კარლოს ფუენტესი

არტემიო კრუსის სიკვდილი

გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი
https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

Contents

კარლოს ფუენტესი 1
არტემიო კრუსის სიკვდილი 1
კარლოს ფუენტესი და მისი რომანები 4
არტემიო კრუსის სიკვდილი 7
* * * 8
* * * 12
* * * 17
* * * 26
* * * 30
* * * 34
* * * 50
* * * 54
* * * 57
* * * 74
* * * 78
* * * 81
* * * 101
* * * 106
* * * 112
* * * 121
* * * 125
* * * 128
* * * 139
* * * 143
* * * 146
* * * 172
* * * 176
* * * 179
* * * 192
* * * 196
* * * 207
* * * 211
* * * 215
* * * 235

* * * 240
* * * 261
* * * 266
* * * 267
* * * 268
დამშვიდებული სინდისი 269
1 270
2 282
3 287
4 294
5 317
6 329
7 356
8 371
9 381
10 395

კარლოს ფუენტესი და მისი რომანები

„არტემიო კრუსის სიკვდილი“, „დამშვიდებული სინდისი“

მსოფლიო ლიტერატურის თანამედროვე რუკაზე ლათინურ ამერიკას გამორჩეული ადგილი უჭირავს - ცალკე სამყაროა, ცალკე განზომილება. ვის არ სმენია ხორხე ლუის ბორხესის, გაბრიელ გარსია მარკესის, ხულიო კორტასარის, მარიო ვარგას ლიოსას, ალეხო კარპენტერისა და ჟორჟი ამადუს სახელები. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია კარლოს ფუენტესი.

ლათინური ამერიკის საოცარი ლიტერატურული ფენომენის, „მაგიური“ რეალიზმის ჩამოყალიბებაში მას განსაკუთრებული წვლილი მოუძღვის.

„არტემიო კრუსის სიკვდილი“ კარლოს ფუენტესის ერთ-ერთი საუკეთესო, ყველაზე ცნობილი რომანია (გამოქვეყნდა 1962 წელს). მულტიმილიონერი არტემიო კრუსი კვდება და თავის ცხოვრებას იხსენებს - უფრო ზუსტად, კი არ იხსენებს, არამედ

ცოცხლად ხედავს, წარმოიდგენს, ხელახლა განიცდის და თანაც აფასებს, თითქოს მსჯავრი უნდა გამოუტანოს. წიგნში ერთდროულად სამი განზომილებაა - მთავარი გმირი სამ პიროვნებად წარმოგვიდგება, ერთმანეთს რომ უპირისპირდებიან და ვერაფრით მორიგებულან: პირველი პირით („მე“) არტემიო კრუსი აწმყოდან ლაპარაკობს, მესამე პირით („ის“) წარსულის მოვლენებს იხსენებს, მეორე პირით კი („შენ“) საკუთარ თავს ჭეშმარიტი „მე“-ს სახელით მიმართავს... რომანი ინტროსპექციულია, რადგან გმირი აგონიურ თვითანალიზს მისცემია, სულის სიღრმეში იხედება, და თანაც, რეტროსპექციული, რადგან არტემიოს მხოლოდ წარსულში ყურება შეუძლია - წინ მხოლოდ სიკვდილია...

არტემიო კრუსი იხსენებს ახალგაზრდობას, ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებსა და მომენტებს, - განსაკუთრებით მექსიკის რევოლუციის პერიოდს. ახალგაზრდა უსახლკარო იდეალისტ-რევოლუციონერი ნელ-ნელა კარგავს იდეალებს, კარგავს ერთადერთ ქალს, რომელსაც უყვარდა (მთავრობის ჯარისკაცები მოუკლავენ), ხდება დაუნდობელი და ანგარებიანი, გულცივი მტაცებელი, საქმოსანი. ცოლად შეირთავს ლატიფუნდისტის ქალიშვილს და მისი ოჯახის კავშირებს გამოიყენებს უზარმაზარი

სიმდიდრის დასაგროვებლად. თხრობა დანაწევრებულია ცალკეულ, დათარიღებულ ეპიზოდებად, ერთმანეთში რომ აბურდულა, რაც დროის გორგალს ქმნის - რომანის ბოლო ეპიზოდი არტემიო კრუსის დაბადებას აღწერს, მაგრამ ცხოვრების დასაწყისი, იმავდროულად, დასასრულის მაუწყებელია.

მეორე რომანი, „დამშვიდებული სინდისი“ (გამოქვეყნდა 1961 წელს), ფსიქოლოგიურია და რეალისტური. მას ერთობ საინტერესო ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული, წიგნის დედააზრს რომ გამოხატავს - სიორენ კერკეგორის ფრაზა: „ქრისტიანები ესაუბრებიან ღმერთს, მეშჩანები საუბრობენ ღმერთზე“ და ემანუელ მუნიეს: „ადამიანები შებღალულ სინდისს უფრო ურიგდებიან, ვიდრე შებღალულ რეპუტაციას“.

ამ, ფორმით უფრო ტრადიციული, რომანის გმირები თავიანთ ცოდვებსა და მანკიერებებს გარეგნული ღვთისმოსაობისა და წესიერების მიღმა მალავენ. რესპექტაბელურ, „ღრმად მორწმუნე“ ოჯახში იზრდება ბიჭი, ხაიმე სებალიოსი, რომელიც ხედავს თავისი ახლობლების რწმენის სიყალბეს. იგი შეეცდება მათ წინააღმდეგობა გაუწიოს, თვითონ გაერკვეს ყველაფერში, მაგრამ ვერ შეძლებს, ძალა არ

ეყოფა, და ისეთივე კონფორმისტი, ისეთივე „ღრმად მორწმუნე“ კაცი ხდება, როგორიც გარშემო მყოფები არიან - კაცი დამშვიდებული სინდისით.

რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ამ შესანიშნავი მწერლის ბიოგრაფიის შესახებ.

კარლოს ფუენტეს მაჩიასი დაიბადა 1928 წელს პანამაში. მამამისი დიპლომატი იყო, ამიტომ მომავალმა მწერალმა ბავშვობა სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქში გაატარა. 1934-დან 1940 წლამდე შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში ცხოვრობდა, სადაც ინგლისურ სკოლაში დადიოდა. ამან განაპირობა მისი ბილინგვიზმი - ინგლისური მისთვის მეორე მშობლიური ენა გახდა - და ლიტერატურული პრიორიტეტები (ფოლკნერი, ჯოისი). 16 წლისა შევიდა პრესტიჟულ უნივერსიტეტში „Colegio de Mexico“, შემდეგ ჟენევაში სწავლობდა. დიპლომატის შვილი თვითონაც პროფესიონალი დიპლომატი გახდა, მუშაობდა მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში, გაეროში, იყო მექსიკის ელჩი საფრანგეთში (1975-1977). გარდაიცვალა 2012 წელს.

კარლოს ფუენტესს მრავალი ლიტერატურული ჯილდო აქვს მიღებული, ხოლო ის

ფაქტი, რომ მას არ მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში, პოლიტიკური კონიუნქტურით უნდა აიხსნას - სამწუხაროდ, ნობელის კომიტეტი ძალზე ხშირად „ვერ ხედავს“ მართლაც ღირსეულ კანდიდატებს. 2012 წელს მექსიკის მთავრობამ დააწესა „კარლოს ფუენტესის სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია“, რომელიც ესპანურ ენაზე დაწერილ საუკეთესო ნაწარმოებებს ენიჭება.

კარლოს ფუენტესმა თავის შესანიშნავ რომანებში მექსიკის სული გამოხატა, - იგი თავად არის მექსიკის სული! ეს მხოლოდ სიტყვები არ არის, ეს ხელშესახები, რეალური განცდაა, რომელიც ფუენტესის რომანების კითხვისას გეუფლება: შეგრძნება ერთდროულად მტკივნეულიც და საამურიც, გულისშემძვრელიც და

აღმაფრთოვანებელიც, - ცხოვრებასავით. შეგრძნება, რომელიც ტროპიკული ყვავილივით მძაფრსურნელოვანია, ტროპიკული ნაყოფივით ერთდროულად მწკლარტე, მომჟავო და მოტკბო.

ირაკლი ლომოური

არტემიო კრუსის სიკვდილი

ლამარა თურმანიძის თარგმანი

* * *

მე ვიღვიძებ. ცივი საგნის შეხებამ გამაღვიძა. ადრე არ ვიცოდი, თურმე შეიძლება ზოგჯერ შარდიც გაგეპაროს. თვალდახუჭული ვწევარ. ხმები ახლოდან მესმის, მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევ. ვითომ თვალი რომ გავახილო, გავიგებ კია, რაზე საუბრობენ?.. მაგრამ ქუთუთოები ფოლადის ბალთებად ქცეულა, ენა ურისავით დამძიმებულა, ყურებში ჩაქუჩი რახუნებს, ამოვისუნთქავ და ვაი.. მკერდში გამდნარი ვერცხლი მეღვრება. ფოლადი, ყველგან ფოლადი... თუ სულაც ისევ მადანი. შარდი მეპარება და ვერ ვამჩნევ. ალბათ... ჰო, უგონოდ ვიყავი, უცბად გამახსენდა... ალბათ, რაღაც დავლიე ბურანში მყოფმა. კარგა ხანი გავიდა. ჰო, ჰო, ის იყო, ალიონი დგებოდა, ხელი გადავწიე და, ეშმაკმა იცის, როგორ მომივიდა, - ტელეფონი იატაკზე გადმოვაგდე. მერე დიდხანს პირქვე ჩამხობილი ვიწექი, ხელები ძირს მქონდა გადმოყრილი, სახე - ბალიშში ჩარგული. დაბუჟებულ თითებში ჭიანჭველები დაფათურობდნენ. ახლა ვიღვიძებ, მაგრამ თვალის გახელა არ მინდა. არა, არ მინდა, თუმცა აბეზარი სინათლე თვალებში მიჭყიტინებს. თვალები დახუჭული მაქვს, მაგრამ შავი ზოლებისა და ცისფერი რგოლების ცეკვას ვხედავ. უნებლიეთ ვიჭმუხნები. მარჯვენა თვალს ვახელ და ქალის

ხელჩანთის შუშის მოსართავში საკუთარ თავს, საკუთარ ანარეკლს ვხედავ. აი, ვინა ვარ. აი, ვინა ვარ. აი. ვინა ვარ. მე - ეს მოხუცი კაცი ვარ - სარკის კვადრატებში ჩამსხვრეული სახით. მე - ეს თვალი ვარ, ეს თვალი, დასერილი სიძულვილის ძარღვებით - მწველი, ადრინდელი, მივიწყებული და მარადის ცხოველი სიძულვილით. მე - ეს მწვანე თვალი ვარ, ჩამოსივებულ ქუთუთოებს შუა გამოზრდილი. ქუთუთოები. ქუთუთოები. ცრემლით აპრიალებული ქუთუთოები. მე - ეს ცხვირი ვარ. ეს ცხვირი მოკაუჭებული, ნესტოებგაბუშტული. მე - ეს ღაწვები ვარ. ღაწვები, რომლებზეც ჭაღარა წვერი ამოწვერილა, დამანჭული, დამანჭული. დამანჭული. და კბილები, თუთუნისგან ჩაშავებული კბილები. თუთუნისგან, თუთუნისგან. ოჰ-ოჰო, მინას ჩემი ნესტიანი ამონასუნთქი ორთქლავს, ვიღაცის ხელი ღამის მაგიდასთან ხელჩანთას იღებს.

- ექიმო, ერთი შეხედეთ, ერთობა...

- სენიორ კრუს...

- სასიკვდილო სარეცელზეც კი გვამაიმუნებს!

სულერთია, კრინტსაც არ დავძრავ. თან ეს ხახაც თითქოს ძველი უზალთუნებით გამომიტენესო. ოდნავ ვახელ თვალს. და წამწამებს შორის ორ ქალსა და დეზინფექციის სუნით გაჟღენთილ ექიმს ვარჩევ. მის ხელებს, ახლა პერანგს შიგნიდან მკერდს რომ მისინჯავს, სპირტის სუნი ასდის. ვცდილობ, სხვისი ხელი სხეულიდან მოვიშორო.

- აბა, აბა, სენიორ კრუს, ასე არ იქნება...

არა, ტუჩებს არ გავხსნი, უფრო სწორად, არ გავხსნი შუშაში არეკლილ ამ დაკლაკნილ ნაპრალს. დაე, ხელები წკნელებივით ეწყოს ზეწარზე. ზეწარი მუცლამდე მაფარია. მუცელი... ოჰ... ფეხებს შუა ღამის ჭურჭლის ამაზრზენი სიცივეა. ჰო... უწინაც მჭვალავდა, კინოში დიდხანს თუ ვიჯექი. სისხლის ცუდი მიმოქცევა მაქვს, სულ ეს არის. სხვა არაფერი. საშიშიც არაფერია. იძულებული ვარ, სხეულზე ვიფიქრო, მბეზრდება სხეულზე ფიქრი. საკუთარ სხეულზე. სხეულზე. მთელი სხეული. იგი დაიღალა. აღარ ფიქრობს. კმარა. მაგრამ მაინც ვფიქრობ, ძმობილო. სხეული ხომ მე თვითონა ვარ. იგი რჩება. არა მიდის... მიდის... ნერვებად და ქსოვილებად, უჯრედებად და სისხლის ბურთულებად იშლება, ნაწილდება ჩემი სხეული, ექიმი ახლა თითებით

რომ სინჯავს. მეშინია. საკუთარ სხეულზე ფიქრის მეშინია. სახე? ტერესამ აიღო ხელჩანთა, რომელშიც ჩემი სახე ირეკლებოდა. ვცდილობ, გავიხსენო ანარეკლი. ასიმეტრიული სიფათი, ნაწილებად დამსხვრეული, ერთი თვალი ზედ ცხვირთან, მეორე - სადღაც განზე. ღიმილი - სამ შუშაში დანაწილებული მანჭვა. შუბლზე ოფლი მოწანწკარებს. ისევ ვხუჭავ თვალს და ვთხოვ, ვთხოვ, დამიბრუნონ ჩემი სახე და ჩემი სხეული. ვთხოვ და ვიღაცის ხელის ალერსიან მოთათუნებას ვგრძნობ. მინდა ეს ხელი მოვიშორო, მაგრამ ძალა არ მყოფნის.

- უკეთ ხართ?

ვერ ვხედავ. კატალინას ვერ ვხედავ. იმას ვხედავ, რაც იქითაა, შორს, სავარძელში ტერესა ზის; ხელში გაშლილი გაზეთი უჭირავს. ჩემი გაზეთი, ეს ტერესაა, თუმცა სახეს გაშლილი გაზეთი უფარავს.

- ფანჯარა გამოაღეთ.

- არა, არა. შეიძლება გაცივდე და უარესი იქნება.

- ოჰ, დედა. ნუთუ ვერ ხედავ, რომ გვამასხარავებს?

ოჰო, საკმევლის სურნელს ვგრძნობ. ოჰო. კარს იქით ჩურჩული მესმის. წმინდა მამა მობრძანებულა თავისი საკმევლის სურნელებით, თავისი შავ-შავი ქვედაკაბებით, ხელში აიაზმის საპკურებელი უჭირავს, რომ, როგორც წესია, ისე გაისტუმროს საიქიოს. ხა-ხა-ხა, კარგად კი გავაცუცურაკე!

- პადილია არ მოსულა?

- მოვიდა. იქ არის.

- შემოვიდეს.

- მაგრამ...

- ჯერ პადილია შემოვიდეს.

ოჰო, პადილია, ახლოს მოიწი. მაგნიტოფონი მოიტანე? თუ შენი საქმის ოსტატი ხარ, მაგნიტოფონს აქ მომიტან, როგორც მოგქონდა ხოლმე ყოველ საღამოს

კოიოაკანში,[1] ჩემთან. დღეს, ისე როგორც არასოდეს, უნდა მიჩვენო, რომ ყველაფერი ძველებურად ხდება. ჩვეულება არ დაარღვიო, პადილია. აი, შენც მოხვედი. მაგათ არც ერთს არ სიამოვნებს შენი მოსვლა.

- მიუახლოვდი, შვილო, რომ გიცნოს. უთხარი, რა გქვია.

- მე... მე გლორია ვარ...

ერთი მისი სახე კარგად დამანახვა. ერთი დამანახვა, როგორ მანჭავს სახეს. ალბათ, მომაკვდავი სხეულის სუნს გრძნობს; ალბათ, ჩავარდნილ მკერდს დასცქერის, ნაცრისფერ ცინგლს, ამ...

გოგონა გაჰყავთ.

ექიმი მაჯას მისინჯავს.

- კონსილიუმი უნდა მოვიწვიოთ.

კატალინა ხელზე ხელს მისვამს. ეჰ... ამაო ალერსია. როგორღაც ბურუსში ვხედავ, მაგრამ ვცდილობ თვალებში ჩავხედო. მის ხელს ვაჩერებ, ცივ თითებზე ხელს ვუჭერ.

- იმ დილით სიხარულით ველოდი მის მოსვლას. მდინარეზე ცხენდაცხენ გავედით.

- რა თქვი? გაჩუმდი. ნუ იღლები. ვერ ვხვდები, რას ამბობ.

- კატალინა, მინდა იქ დავბრუნდე. რა სისულელეა.

ჰო, მღვდელი ჩემ გვერდით იჩოქებს და თავისას ბურტყუნებს. პადილია მაგნიტოფონს რთავს. ჩემს ხმას, ჩემს სიტყვებს ვუსმენ. ოჰ, ერთი ახლა დამაყვირა! ოჰ, ხომ გამოვძვერი. ხომ გადავრჩი. კარში ორმა ექიმმა შემოიხედა. მე გადავრჩი. რეხინა, მტკივა, საშინლად მტკივა, რეხინა, და მე ვიცი, რაც მტკივა, რეხინა. ჯარისკაცი. ჯარისკაცი. ხელი მომხვიეთ. ოჰ, მტკივა. მუცელში გრძელი, ცივი ხანჯალი გამირჭვეს. ვიცი, ვინც გამირჭო ხანჯლის წვერი შიგნეულში. საკმევლის სურნელი მცემს.

დავიღალე. რაც უნდათ, ის გააკეთონ. გადამაბრუნონ, როცა ავკვნესდები. სიცოცხლეს თქვენ როდი უნდა გიმადლოდეთ. არ მინდა, არ შემიძლია, მე არ ამირჩევია... წელი მტკივა. ჩემს გაყინულ ფეხებს ვეხები. არ მინდა ეს ჩალურჯებული ფრჩხილები... ოჰო-ჰო-ჰო, გადავრჩი. გუშინ რაღას ვაკეთებდი? თუ იმაზე ვიფიქრებ, რას ვაკეთებდი გუშინ, სინამდვილეს გამოვეთიშები. ეს ცხადად მახსოვს. ძალიან ცხადად მახსოვს. ძალიან ცხადად. გუშინდელზე ვფიქრობ. ჯერ კიდევ არ შეშლილხარ, - არც ისე აუტანლად იტანჯები, შეგიძლია ამაზე იფიქრო. გუშინ, გუშინ, გუშინ. გუშინ არტემიო კრუსი ერმოსილიოდან მეხიკოში მიფრინავდა. დიახ, გუშინ არტემიო კრუსმა... ავადმყოფობამდე გუშინ არტემიო კრუსმა... გუშინ არტემიო კრუსი თავის კაბინეტში იჯდა და უცბად

თავი ცუდად იგრძნო. არა, გუშინ კი არა, დღეს დილით. არტემიო კრუსი. არა, ცუდად კი არა. არტემიო კრუსმა კი არა, ვიღაც სხვამ. აი, მან, ვინც ავადმყოფის საწოლის გვერდით სარკეში ირეკლება. სხვა არტემიო კრუსმა. მისმა ტყუპისცალმა. არტემიო კრუსი ავადაა, არ ცხოვრობს. არა, ცხოვრობს. არტემიო კრუსი ცხოვრობდა. რამდენიმე წელი ცხოვრობდა... არა, წელი არა, წლები არ მენანება... რამდენიმე დღე. მისი ტყუპისცალი. არტემიო კრუსი. მისი ორეული. გუშინ იყო არტემიო კრუსი, იგი სულ რამდენიმე დღეს ცხოვრობდა, გუშინ იყო არტემიო კრუსი... ეს - მე ვარ... და მე არა ვარ... გუშინ...

* * *

შენ გუშინ იმასვე აკეთებდი, რასაც ყოველთვის. არც კი ღირს მოსაგონებლად. მაგრამ ახლა, ამ საწოლზე, ამ ოთახის ბინდბუნდში გინდა იფიქრო წარსულზე, ოღონდ მხოლოდ ისე, როგორც მომავალზე: თითქოს ჯერ არაფერი დაგმართნოდეს. ამღვრეულ ბინდბუნდში თვალები წარსულის სიღრმიდან მომავლისკენ იყურება. უკან არ უნდა მიბრუნდეს.

დიახ, გუშინ 1959 წლის 9 აპრილს, შენ ერმოსილიოდან 9 საათსა და 55 წუთზე ჩვეულებრივი რეისით მექსიკის ავიაკომპანიის თვითმფრინავით გამოფრინდები სონორის დედაქალაქიდან - სადაც ჯოჯოხეთური სიცხე იქნება - და მეხიკოში ზუსტად 16 საათსა და 30 წუთზე დაეშვები. ოთხმოტორიანი ლაინერის სალონიდან დაინახავ ძირს გაწოლილ, დაბალ, ნაცრისფერ ქალაქს, თუთიისსახურავიანი თიხატკეპნილი სახლების წყებას. სტიუარდესა ცელოფანში გახვეულ საღეჭ რეზინს შემოგთავაზებს, - ამ წვრილმანს გაიხსენებ, რადგანაც ქალიშვილი ძალიან ლამაზი იქნება (იყო, არა, წარსულ დროში უნდა იფიქრო), შენ კი ამ საქმეში მოხერხება არ გაკლია, თუმცა კი

ასაკმა უკვე უფრო ჭვრეტა მოგისაჯა, ვიდრე მოქმედება (აბა, რას ამბობ, შენ ხომ არასოდეს დამორჩილდები ასეთ განაჩენს, თუნდაც მართლა მხოლოდ ჭვრეტის უნარი შეგრჩეს).

კაშკაშა წარწერა - „No Smoking, Fasten Seat Belts!“[2] იმ დროს აინთება, როდესაც მეხიკოს დაბლობს მიახლოებული თვითმფრინავი მკვეთრად დაეშვება ძირს, თითქოს ჰაერში გაჩერების უნარი დაჰკარგვიაო და მაშინვე მარჯვნივ გადაიხრება. თაროებიდან გადმოცვივდება ბადურები, ჩანთები, ხვეულები, ჩემოდნები, ატყდება გნიასი, რომელიც შემდეგ ვიღაცის ქვითინად შეიცვლება, მარჯვენა ფრთაზე კი ცეცხლის ალი მეოთხე მოტორს მოედება - მოტორი გაჩერდება და ისევ ყველა აყვირდება. მხოლოდ შენ არ ადგები, მშვიდი და უმოძრაო, რეზინის ღეჭვას განაგრძობ და თან სტიუარდესას ფეხებს ათვალიერებ, რომელიც გასასვლელში დაიწყებს სირბილს, მგზავრების დამშვიდებას. ამ დროს ცეცხლსაქრობი სისტემა ამოქმედდება და თვითმფრინავი მშვიდად დაეშვება მიწაზე. ვერც ვერავინ შენიშნავს, რომ მხოლოდ შენ, სამოცდაათს გადაცილებული მოხუცი, არ შემკრთალხარ, შენ იამაყებ საკუთარი თავით, მაგრამ არ დაიმჩნევ. გუნებაში გაიფიქრებ, ჩემს სიცოცხლეში იმდენი ლაჩრული საქციელი

ჩამიდენია, რომ ახლა გულადობა გამიადვილდაო. ჩაიღიმებ და შენთვის იტყვი: არა, ეს პარადოქსი არ გახლავთ, ეს ჭეშმარიტებაა და, შესაძლოა, გაცვეთილიც კიო.

სონორაში შენი მანქანით „ვოლვო-1950“ DF712 მოგიწევს წასვლა, ვინაიდან ადგილობრივ ხელისუფალთაგან ზოგ-ზოგიერთმა თავი დაიფასა და მათი მონახულება დაგჭირდება, რათა განამტკიცო და შეამოწმო იმ მოხელეთა ჯაჭვი,

ვინც იყიდე. დიახ, იყიდე, - თავის მოტყუებას არ დაიწყებ მაღალფარდოვანი სიტყვებით „დავარწმუნე“, „დავითანხმე“. არა, შენ მათ ყიდულობ, რათა იმათ თავის მხრივ შეავიწროონ - ესეც ერთი მაგარი სიტყვა! - სონორას, სინალოასა და ფედერალურ ოლქებს შორის მიმომსვლელი თევზით მოვაჭრენი, ათ პროცენტს ინსპექტორს მისცემ და ათას ხელში გამოვლილი თევზი დედაქალაქის ბაზარზე ისეთ ფასად გაიყიდება, რომ შენ საქონლის რეალურ ფასთან შედარებით ოცჯერ მეტი მოგება მიიღო.

იძულებული იქნები, ყოველივე ეს გაიხსენო. რაკიღა გინდა გაიხსენო. თუმცა ამგვარი ამბავი შენს გაზეთში ნამდვილად იმსახურებს გესლიან რეპლიკას, ისე, კაცმა რომ თქვას, გაიფიქრებ შენ, ასეთი ამბების გახსენება მხოლოდ დროს გაკარგვინებს. და

მაინც, მოგონებებში ჩაყურყუმელავდები. მოგონებებს აშლი. ახლა სხვა რამეების გახსენებაც მოგინდება, მაგრამ მანამ მოისურვებ დაივიწყო, თუ რა მდგომარეობაში ხარ. არა, მაპატიე, კი არა ხარ - იქნები.

შენს კანტორაში თავს ცუდად იგრძნობ. გონდაკარგულს შინ წაგიყვანენ; ექიმი მოვა და იტყვის, დიაგნოზის დასმა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მოხერხდებაო. სხვა ექიმებიც მოვლენ, თუმცა ვერც ვერას დაადგენენ და ვერც ვერას გამოარკვევენ. მხოლოდ რამდენიმე ბრძნულ სიტყვას იტყვიან. მერე მოგინდება შორიდან შეხედო საკუთარ თავს, მომჩვარული, მოჭმუჭნილი რუმბი. ნიკაპი გიცახცახებს, გიყარს პირი, იღლიები, ფეხებს შორისაც სიმყრალე ამოგდის. ეგდები ასე - დაუბანელი, გაუპარსავი, გაბოროტებული, ოფლსა და შარდში ამოწუწული, მაგრამ არ შეეშვები იმის გახსენებას, რა მოხდა გუშინ.

აეროპორტიდან შენს კანტორას მიაშურებ, გაივლი ცრემლსადენი გაზით გაჟღენთილ ქალაქს, კაბალიტოს მოედნიდან პოლიცია ახლახან განდევნის დემონსტრაციას. შემდეგ მთავარ რედაქტორთან ერთად გადახედავ გაზეთის ყველაზე მსხვილ სათაურებს,

მოწინავესა და კარიკატურებს, მოგეწონება. შენს ჩრდილოამერიკულ კომპანიონს მიიღებ, ყურადღებას მიაქცევინებ იმ საფრთხეზე, რაც შეიძლება მოჰყვეს პროფკავშირთა ყბადაღებულ წმენდას. შემდეგ კანტორაში მდივანი პადილია შემოვა და გაცნობებს, ინდიელებში მღელვარება დაიწყოო. უმალვე პადილიას დაავალებ, ინდიელთა თემის კომისარს გადასცეს შენი ბრძანება: რქები მოამტვრიოს მაგ ინდიელებს, აბა, რისი კომისარია, ფულს რისთვის ვუხდი.

დილით ბევრი სამუშაო გექნება. ლათინური ამერიკიდან ერთი კეთილისმყოფლის წარმომადგენელი გეწვევა, ჰოდა, შენი გაზეთისთვის სუბსიდიების გაზრდას მიაღწევ. მაღალი საზოგადოების ქრონიკის განყოფილებიდან რეპორტიორს მოიწვევ და ცილისმწამებლურ წერილს შეუკვეთ სწორედ იმ კუოტოზე, სონორის ბიზნესში კვანტი რომ გამოგდო. მოკლედ, უამრავ საქმეს გაჩარხავ, შემდეგ კი პადილიასთან ერთად დაჯდები და

საკუთარი კაპიტალის თვლას შეუდგები. ეს დიდ სიამოვნებას მოგანიჭებს. კაბინეტის მთელ კედელზე გაჭიმულია რუკა, რომელზეც შენი მოღვაწეობისა და საქმიანი ურთიერთობის მასშტაბებია ნაჩვენები: შენია გაზეთი და საიმედო კაპიტალდაბანდება მეხიკოში, პუებლაში, გუადალახარაში, მონტერეიში,

კულიაკანში, ერმოსილიოში, გუაიმასში, აკაპულკოში, გოგირდის სარეწები ხალტიპანში, მაღაროები იდალგოში; ტყის კონცესიები ტარაუმარაში, მრავალი სასტუმროს შემოსავლის წილი, მილსაგლინავი ფაბრიკა, თევზით ვაჭრობა, ფინანსური გარიგებანი, საბირჟო ოპერაციები, ჩრდილოამერიკული კომპანიების კანონიერი წარმომადგენლობა შენს ქვეყანაში, რკინიგზის სესხის განაწილება, ხარ მრავალი საქველმოქმედო ფონდის მრჩეველი, საღებავების, ფოლადის, მედიკამენტების მწარმოებელი მრავალი უცხოური ფირმის აქციონერი. არის კიდევ რაღაც-რაღაცები, რაზეც რუკა დუმს. ციურიხის, ლონდონისა და ნიუ-იორკის ბანკებში შენახული თხუთმეტი მილიონი დოლარი.

არად ჩააგდებ ექიმების გაფრთხილებას, სიგარეტს გააბოლებ და პადილიას ისევ ხმამაღლა ჩამოუწიკწიკებ ამ მაქინაციების ამბავს, რამაც ასეთი სიმდიდრე მოგაპოვებინა; რევოლუციის შემდეგ პუებლას შტატის გლეხებზე გაცემული მოკლევადიანი, მაღალპროცენტიანი სესხები; ქალაქ პუებლას მიმდებარე მიწების შეძენა, ვინაიდან განჭვრიტე ქალაქის სწრაფი ზრდა; მორიგი პრეზიდენტის მეგობრული ხელშეწყობით თვით დედაქალაქში მიწის შეძენა შემდგომ პატარ-პატარა

ნაკვეთებად გასაყიდად; დედაქალაქის გაზეთის შეძენა, სამთამადნო კომპანიების აქციების შესყიდვა და მექსიკა-ჩრდილო ამერიკის შერეული საზოგადოების შექმნა, რომელთა პრეზიდენტისნაცვალი თავად ხდებოდი, რათა ყველაფერი „კანონიერად“ ჩატარებულიყო; ჩრდილოამერიკულ დაბანდებათა რწმუნებულად მუშაობა და ჩიკაგოს, ნიუ-იორკისა და მექსიკის მთავრობას შორის შუამავლობა; ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების კურსის აწევ-დაწევის საბირჟო თამაში, რათა შემდგომ მოგებით იყიდო და გაყიდო; პრეზიდენტ ალემანის[3] დროს პოზიციის განმტკიცება, გლეხებისათვის წართმეული სათემო მიწების მითვისება, ქვეყნის შიდა რაიონებში ნაკვეთებით ვაჭრობა და ტყის კონცესიათა გაფართოება. დიახ, - ამოიოხრებ და პადილიას ასანთს გამოართმევ, - ოცი წელია ხელისუფლებასთან ურთიერთობა გაქვს, ლასარო კარდენასის[4] დემაგოგიის პერიოდის შემდეგ ოცი ნაყოფიერი წელიწადი, ოცი წელი, როდესაც აყვავდა ჭეშმარიტად თავისუფალი მეწარმეობა, დუმდნენ პროფკავშირული ლიდერები, ახშობდნენ გაფიცვებს. უცბად ხელებს მუცელზე იტაცებ, შავგვრემანი, აპრიალებული სახე გემანჭება, ხვეულთმიანი ჭაღარა თავით ხმაურით ეხეთქები მაგიდის შუშას. ისევ დაინახავ, ამჯერად უფრო ახლოს, შენი სნეული ორეულის გამოსახულებას და სიცოცხლის ხმაური თავიდან სიცილით აგიფრინდება, ხოლო

უთვალავი და უთვალავი ადამიანის ოფლი ზედ დაგესხმება, მათი სხეულები ზედ დაგაწვება, გონებას დაკარგავ.

არეკლილი ორეული სხვაში განსახიერდება, შენად იქცევა, სამოცდათერთმეტი წლის მოხუცად, თითქმის უსულოდ მწოლიარედ მბრუნავ სავარძელსა და ფოლადის უზარმაზარ საწერ მაგიდას შორის. ეს მოხდება და ვერ გაიგებ, შენს ბიოგრაფიაში რომელი დღეები და თარიღები შევა, ხოლო რას მიჩქმალავენ, რას აღარ გაიხსენებენ, ვერ გაიგებ. რა თქმა უნდა, ბანალური ფაქტები გახმაურდება და შენ არც პირველი იქნები და არც უკანასკნელი, ვისაც ასეთი ნამსახურობის ნუსხით დააჯილდოებენ. შენ მოგეწონებოდა ეს ნუსხა. სწორედ ამწუთას არ იხსენებდი? ეს დღეები - ახლობლები და შორეულნი, დავიწყებულნი და მეხსიერებას შემორჩენილნი („შეხვედრა“, „დაუბრება“, „წუთიერი სიყვარული“) - იყვნენ და იქნებიან რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ის იარლიყები, მათ რომ ჩამოჰკიდე. ეს ის დღეებია, როცა საკუთარი ბედი კვალში ჩაგიდგება მწევარი ძაღლივით. მოგეწევა, დაგიჭერს, შენს სხეულს - რთულ, გაუმჭვირვალე, მტკიცე მატერიას რაღაც სხვა, ხელშეუხებელთან სამარადისოდ შედუღებულს - აიძულებს ილაპარაკოს და იმოქმედოს შენს სულთან ერთად,

რომლითაც გაჟღენთილია მატერია და რომელიც დაწნულია მზარდი ფრჩხილის შეუპოვრობისგან, სიბერის, სიქაჩლის, სიჯიუტის, მზისა და უდაბნოს სევდისგან, ხმლისა და საფანტის ლაჩრული გულადობის, ქარით აფრიალებული ზეწრების თავქარიანობისგან, საკმევლის სიბილწის, საწამლავის სიკარგის, წითელი გამომშრალი მიწის ტანჯვისა და საღამოობით პატიოს სიმყუდროვისგან... ყველა მატერიის სულისა და ყველა სულის მატერიისაგან. მეხსიერება საკუთარ „მეს“ ნახევრებად ხლეჩს, ცხოვრება კი ისევ აერთებს მათ და ისევ აშორებს, ეძიებს და პოულობს. ნაყოფს ორი ნახევარი აქვს. დღეს ისინი შეერთდებიან. შენ გაიხსენებ იმას, რის დავიწყებასაც ცდილობდი. ბედისწერა მაინც გწვდება ყელში. შენ დაამთქნარებ; რა საჭიროა გახსენება? დაამთქნარებ; წარმოდგენები და გრძნობები წარიხოცებიან, გზადაგზა იფლანგებიან. ჰო, იქ, წალკოტი იყო. მაგრამ განა შეიძლება ახლა იქ დაბრუნდე, თუნდაც აღსასრულის დროს კი დაინახავ მას?.. დაამთქნარებ: თუმცა ხომ იმავე მიწაზე ცხოვრობ. დაამთქნარებ: შენ ხომ ისევ წალკოტში ხარ, ოღონდ გაშიშვლებულ ტოტებზე ნაყოფი არ არის, გამშრალ კალაპოტში წყალს ვერ იპოვი. დაამთქნარებ: ერთმანეთს გაჰყვებიან დღეები - სხვადასხვანაირი, ერთნაირი, შორეული, ახლობელი, მალე დაგავიწყდება მღელვარება, შიში, სწრაფვა. დაამთქნარებ: თვალს გაახელ და ორივეს

შენ გვერდით დაინახავ - მოჩვენებითად შეშფოთებული გამომეტყველება ექნებათ. მათ სახელებს დაიჩურჩულებ: კატალინა, ტერესა. ისინი მოტყუებულად და შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, მაგრამ კვლავ დამალავენ გაღიზიანებას და შენს სიძულვილს, ვინაიდან ახლა მათ უნდათ თავი მოგაჩვენონ შეშფოთებულ, ტანჯულ არსებებად. შენი ავადმყოფობა, შენი შესახედაობა, ზრდილობის წესები, სხვისი აზრი და წეს-ჩვეულება მათ

აიძულებს, თანაგრძნობის ნიღაბი ჩამოიფარონ. შენ დაამთქნარებ: თვალებს დახუჭავ. დაამთქნარებ: შენ, არტემიო კრუსი, ან კიდევ ის. თვალდახუჭული გაჰყვები ფიქრს. შენი ცხოვრების ზოგიერთ დღეს გაედევნები.

- როგორ გითხრათ, ყველა ჩვენმა მეგობარმა ეს გზა გაიარა. ალბათ, სიჭაბუკის გატაცებაა.

- რესტორანი სადღაა?

- აგერ, მოსახვევში.

- ფეხით სიარული არ მიყვარს.

- აქვეა, ახლოს.

შენაძენები გაინაწილეს და ხელოვნების სასახლისკენ გასწიეს, იქ იცდიდა მათი მძღოლი. კვლავინდებურად აუჩქარებლად მიდიოდნენ, მხოლოდ თავებს ატრიალებდნენ სალოკაციო ანტენებივით ერთი ვიტრინიდან მეორისკენ. უცბად დედა ქალიშვილის მკლავს ჩაეჭიდა და პაკეტი გაუვარდა. მათ წინ, იქვე, ახლოს ორი ძაღლი გააფთრებით იბრძოდა, ყრუ ღმუილით დასისხლიანებამდე გლეჯდნენ ერთმანეთს. მერე განზე გახტნენ, რომ კვლავ დასტაკებოდნენ ერთმანეთს, ქვაფენილზე გორაობდნენ ერთ გაბურძგნილ, ღმუილა არსებად ქცეულნი - ქუჩის ორი ქეციანი ძაღლი, ხვადი და ძუკნა.

ქალიშვილმა პაკეტი აიღო და დედა ავტომანქანების სადგომისკენ წაიყვანა. მანქანაში რომ ჩასხდნენ, მძღოლმა იკითხა, ლას-ლომასში[17] ხომ არ ვბრუნდებითო. ქალიშვილმა დაუდასტურა, - ჰო, დავბრუნდეთ, დედაჩემი ძაღლებმა შეაშინესო. „არა უშავს, უკვე გამიარა, - თქვა სენიორამ, - ეს ისე მოულოდნელი იყო და ისე ახლოს მოხდა. თუმცა, შესაძლოა, საღამოთი მაინც წამოვიდეთ ცენტრში, კიდევ იმდენი რამ დაგვრჩა შესაძენი, ბევრი მაღაზია უნდა მოვიაროთ“. „არა, ასაჩქარებელი რა გვაქვს, - შენიშნა ქალიშვილმა, - ერთ თვეზე მეტი კიდევ დაგვრჩა“. „ჰო, მაგრამ დრო მირბის, - შეეპასუხა დედა, - მამაშენს სულაც არ აწუხებს ქორწილის სამზადისი, ყველა საზრუნავი ჩვენ შემოგვატოვა. გარდა ამისა, შენ ღირსეულად თავის დაჭერა უნდა ისწავლო, რა საჭიროა, პირველ შემხვედრს რომ ხელს უწვდი? ეგეც არ იყოს, მინდა ჩქარა გადავიხადო შენი ქორწილი. იმედია, ეს ამბავი მამაშენს შეახსენებს, რომ უკვე დარბაისელი კაცია. ნეტავი შეახსენოს. ვერ შეუგნია, რომ უკვე ორმოცდათორმეტის გახდა. ნეტავ მალე გაგიჩნდეს ბავშვი. ყოველ შემთხვევაში, ქორწილი მამაშენს შეახსენებს, რომ ჩემ გვერდით უნდა იდგეს შენი ქორწინების სამოქალაქო და საეკლესიო ცერემონიების დროს. რომ მლოცველები უნდა მიიღოს და დაინახოს, როგორ პატივს სცემს ყველა, როგორ პატიოსან, მოწიფულ ადამიანად მიაჩნიათ. იქნებ ამან გამოაფხიზლოს. იქნებ“.

* * *

1941 წლის 6 ივლისი

ის მანქანით კანტორისაკენ მიდიოდა. საჭეს მძღოლი უჯდა, თავად კი გაზეთს კითხულობდა. შემთხვევით განზე გაიხედა, მოდის სალონის შესასვლელთან

თვალი მოჰკრა ორივეს. ის იყო, თვალები მოწკურა, უნდოდა უკეთ შეეთვალიერებინა, რომ ავტომობილი სწრაფად გაიჭრა წინ და ისევ სიდი-ბარანისა[5] და ელ-ალამეინის[6] ამბების კითხვა განაგრძო, რომელისა და მონტგომერის ფოტოებს ათვალიერებდა. სიცხისგან გახვითქული მძღოლი წრიალებდა, რადიოს ჩართვას ვერ ბედავდა, თვითონ ფიქრებში ჩაიძირა, - რა სწორად მოვიქეცი, კოლუმბიელ ყავის პლანტატორებთან კონტრაქტები რომ დავდე, როცა აფრიკაში ომი დაიწყო... ორივე ქალი სალონში შევიდა. მოსამსახურე ქალმა შესთავაზა: - ქალბატონებო, გთხოვთ, დაბრძანდით და დაელოდეთ, ქალბატონს ახლავე ვიხმობთ (იცნო, ვინც იყვნენ - დედა და ქალიშვილი, - პატრონს ნაბრძანები ჰქონდა, როგორც კი მოვლენ, მაშინვე გამაგებინეო). მოსამსახურემ ხალიჩებზე უხმაუროდ გაირბინა და უკანა ოთახში შევიდა. ქალბატონი

მწვანეტყავგადაკრულ მაგიდას უჯდა და სარეკლამო ბარათებს აწერდა ხელს. მოსამსახურის სიტყვაზე, სენიორა და მისი ქალიშვილი გეახლნენო, ქალს პენსნე ჩამოუვარდა და ვერცხლის ძეწკვზე ჩამოეკონწიალა, მერე ამოიოხრა და წაიბუტბუტა: „ჰო, მართლა, ჰო, მართლა... დღესასწაული ახლოვდება“. თანაშეწმეს მადლობა გადაუხადა, წარბები შეყარა, ლილისფერი თმა შეისწორა და მენთოლის სიგარეტი ჩააქრო.

პატრონის შემოსვლამდე დარბაზში მჯდარ ორ ქალს ერთმანეთისთვის სიტყვა არ უთქვამთ, მაგრამ პირობითობის მორჩილმა დედამ თვალი მოჰკრა თუ არა, ვითომ დაწყებული საუბარი განაგრძო და ხმამაღლა თქვა: „ეს მოდელი ბევრად ლამაზია. შენი არ ვიცი და მე კი სწორედ ამას ავირჩევდი“. ქალიშვილი კვერს უკრავდა, მშვენივრად იცოდა, რომ დედა მისი კი არა, ამ ქალის გასაგონად ლაპარაკობდა, ახლა რომ მათ მიუახლოვდა და ხელი მხოლოდ ქალიშვილს გაუწოდა: დედას ყურებამდე გაღიმებული მიესალმა და ლილისფერი თავი მდაბლად დაუკრა. ქალიშვილმა სცადა ცოტა ჩაეწია, რომ ქალიც ჩამომჯდარიყო, მაგრამ დედამ შეაჩერა, თვალითაც ანიშნა და მკერდთან თითის ოდნავი მოძრაობითაც. ქალიშვილი აღარ შერხეულა, კეთილად

შესცქეროდა მათ წინ მდგარ შეღებილთმიან ქალს, რომელიც ეკითხებოდა: რომელი მოდელის არჩევა გადაწყვიტეთ? - არა, ჯერ არაფერიც არ გადაგვიწყვეტია, - უპასუხა დედამ, - კიდევ ერთხელ გვინდა ყველა მოდელი ვნახოთ, ამაზე დამოკიდებულია ისეთი დეტალები, როგორიცაა ყვავილები, პატარძლის მეგობართა კაბები და სხვა დანარჩენი.

- სიმართლე გითხრათ, მეუხერხულება თქვენი შეწუხება, მაგრამ გვინდოდა...

- ღვთის გულისათვის, სენიორა. ჩვენ გვესიამოვნება, რამეში თუ გამოგადგებით.

- დიახ. გვინდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ სწორად ავირჩიეთ.

- ცხადია.

- არ გვინდა შევცდეთ, რომ შემდგომ, ბოლო წუთებში...

- მართალი ბრძანდებით, სჯობია აუჩქარებლად აირჩიოთ, რომ ბოლოს...

- დიახ, გვინდა დარწმუნებული ვიყოთ...

- წავალ, მანეკენებს ვუბრძანებ, ჩაიცვან.

მარტონი დარჩნენ. ქალიშვილმა ფეხი გამოსწია. დედამ შიშით გადახედა და ყველა თითი ერთბაშად აამუშავა - ქვედაკაბა უნდა ჩასწიოს და მარცხენა ფეხზე წინდის გაქცეული თვალი ნერწყვით დაასველოს. ქალიშვილმა ფეხი დაითვალიერა, გახეული ადგილი იპოვა, საჩვენებელი თითი დაინერწყვა და წინდას დაადო. მერე, ძილი მომერიაო, თქვა. სენიორამ გაიღიმა, ხელზე მოუთათუნა და ვარდისფერ სტავრაგადაკრულ სავარძელში მოხერხებულად მოკალათდნენ. ახლა მომშივდაო, - დაიჩივლა ქალიშვილმა; - არა უშავს, აქედან სანბორნში[7] წავალთ, თუმცა მე არაფერს შევჭამ, ამ ბოლო დროს ძალიან გავსუქდიო, - გაეპასუხა დედა.

- ჯერჯერობით სადარდებელი არაფერი გაქვს.

- რატომ?

- გოგონასავით ტანი გაქვს. მაგრამ უკვე ფრთხილად უნდა იყო. ჩვენი მოდგმის ქალებს ახალგაზრდობაში მშვენიერი აღნაგობა აქვთ, ორმოცის მერე კი ზორზოხდებიან.

- შენ ხომ არ გასუქებულხარ?

- შენ ჩემი ახალგაზრდობა არ გახსოვს, იმიტომ ამბობ ეგრე. არაფერი არ გახსოვს. ეგეც არ იყოს...

- დღეს დილით რომ გამეღვიძა, საშინლად მშიოდა, ისე მადიანად ვისაუზმე...

- ახლა სადარდებელი არაფერი გაქვს, შემდგომში კი უნდა გაფრთხილდე.

- მშობიარობის შემდეგ ძალიან სუქდებიან?

- არა! ეგ არც ისე საშიშია. ათდღიანი დიეტა და კვლავ ალვისტანა გახდები. აი, ორმოცს რომ გადასცილდები, სხვა ამბავია.

ორი მანეკენის ირგვლივ კი ნერვიულად წრიალებდა სახელოსნოს პატრონი. დაჩოქილი, პირში ქინძისთავგაჩრილი, ქალიშვილებს საყვედურობდა, მოკლე ფეხები გაქვთო: განა შეიძლება ასე მოკლეფეხება ქალი მოხდენილი იყოს? „უნდა ივარჯიშოთ, ჩოგბურთი ითამაშოთ, ცხენოსნობას მისდიოთ. ჰოდა, უფრო წერწეტი ტანი გექნებათ“. ქალიშვილებმა უპასუხეს, დღეს მეტისმეტად გაღიზიანებული ხართო და ისიც დაეთანხმა: მართლაც, ეს ორი ქალი ჩემს ნერვებზე მოქმედებსო. სენიორა შეხვედრისას არაფრისდიდებით ხელს არ გამოგიწვდის; ქალიშვილი უფრო თავაზიანია, მაგრამ საშინლად დაბნეული, თითქოს ამ ქვეყნისა არ არის. საერთოდ კარგად არც კი ვიცნობ და არც არაფერი შემიძლია ვთქვა. მაგრამ, როგორც ამერიკელები ამბობენ, the costumer is alwais

right,[8] ამიტომ სალონში შესული ერთგვარად უნდა იღიმებოდე და ამბობდე, „Cheese, cheese, cheese“.[9] ბევრი შრომა გვიწევს, თუმცა ყველა ადამიანი შრომისთვის როდი იბადება. ამ თანამედროვე, მდიდარი ქალების ჭირვეულობასაც უნდა შეეგუო. მადლობა ღმერთს, კვირაობით მაინც შეიძლება ძველ მეგობარ ქალებთან, ბავშვობის მეგობრებთან ერთად იჯდე, ბრიჯი ითამაშო და კვირაში ერთხელ მაინც იგრძნო თავი ადამიანად.

ასე ეუბნებოდა პატრონი ქალიშვილებს, შემდეგ კი ტაში შემოჰკრა - ესე იგი, შემოსვა დამთავრდა, აფსუს, ფეხები რომ მოკლე აქვთ! პირიდან ქინძისთავები გამოიღო და ფაქიზად ჩაარჭო ხავერდის პატარა ბალიშში.

- Shower[10] -ზე მოვა?

- ვინა? შენი საქმრო თუ მამაშენი?

- მამაჩემი.

- აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე, მითხარი ერთი!

კაცის თვალწინ ჩაიქროლა მსხვილმა, თეთრმა სვეტებმა, ნატიფი ხელოვნების სასახლის ფორთოხლისფერმა გუმბათმა, მაგრამ თვალები მაღლა ჰქონდა აპყრობილი, იქით, სადაც დაფრინავდნენ, ერთმანეთს ერწყმოდნენ და შორდებოდნენ მავთულები, - არა, მავთულები კი არა, სკამის რბილ, ნაცრისფერ საზურგეზე თავგადაკიდებული თვითონ დაფრინავდა, - ერთმანეთის გასწვრივ ფრენდნენ. გაიელვა ვეებერთელა,

მკერდსავსე ქანდაკებებმა და დოვლათის წყარომ - მექსიკის ბანკმა, ღია ოხრისფერი ფოსტამტის ვენეციურმა პორტალმა. ნაზად გადაუსვა ხელი თავისი ყავისფერი ფეტრის შლაპის აბრეშუმის კანტს და ფეხსაცმლის წვერით გამოსაწევი სკამის ღვედს დაუწყო წვალება. აგერ სანბორნის ცისფერი შორენკეცები და ნისლისფერი, თლილი ქვით ნაგები წმინდა ფრანსისკოს მონასტერიც.

ლიმუზინი ისაბელ ლა კატოლიკას ქუჩის კუთხეში შეჩერდა. მძღოლმა კარი გააღო და ქუდი მოიხადა, კაცმა კი, პირიქით, შლაპა დაიხურა და საფეთქლებთან თმა შეისწორა. მაშინვე შემოეჯარნენ ლატარიის ბილეთების გამყიდველები და ფეხსაცმლის მწმენდავები, ინდიელთა შინნაქსოვი რებოსომოხურული[11] ქალები, წვინტლიანი, ქსუტუნა ბავშვები და კარ-ტურნიკეტამდე[12] მიაცილეს. კარის შუშაში საკუთარ თავს შეხედა და ჰალსტუხი შეისწორა. უკანა მხარეს კი, სხვა შუშის კარში, რომელიც მადეროს ქუჩის მხრიდან მოსდევდა, მისმა ორეულმა, მათხოვრებით გარშემორტყმულმა, ასეთივე მკვრივი ქსოვილის კოსტიუმში გამოწყობილმა, ნიკოტინისგან ასევე ჩაყვითლებული თითებით ჰალსტუხის კვანძი შეისწორა, შემდეგ მასთან ერთად ხელი ჩამოსწია, ზურგი აქცია და უკან, ქუჩისკენ გააბიჯა, თვითონ კი წინ მიდიოდა, თვალებით ლიფტს ეძებდა.

დედა კვლავ გააღიზიანა მათხოვრების გამოწვდილმა ხელებმა, ქალიშვილს იდაყვზე ხელი მოუჭირა და დახუთულ, საპნის, საკმევლისა და ჭრელი გასახვევი ქაღალდის სუნით გაჟღენთილ სათბურში უბიძგა. ქალი კოსმეტიკის სარკეებიან ვიტრინასთან შედგა და საკუთარი თავი შეათვალიერა; შემდეგ თვალი მოწკურა და წითელ თავთაზე[13] გამწკრივებული ფლაკონების, ტუბებისა და კოლოფების თვალიერება დაიწყო. მერე კოლდკრემი „თეატრიკელი“ და ორი ტუბი ამ თავთისფერი პომადა მოითხოვა. ნიანგის ტყავის ჩანთა ამოქექა და ქალიშვილს მიუბრუნდა: „ოცი პესო მომეცი“. როცა ნაყიდი შეუხვიეს და ხურდაც დაუბრუნეს, დედა-შვილი კაფეში შევიდა და ორადგილიან მაგიდას მიუჯდა. ქალიშვილმა ფორთოხლის წვენი და ნიგვზიანი ვაფლი შეუკვეთა, ხოლო დედამ თავი ვერ შეიკავა და ტეუანის[14] კოსტიუმში გამოწყობილ ოფიციანტს უბრძანა, ქიშმიშიანი ფუნთუშა და კარაქი მომიტანეო. ორივემ იქაურობა მოათვალიერა, ნაცნობ სახეებს ეძებდნენ, ქალიშვილმა დედას სთხოვა, თუ შეიძლება ყვითელ ჟაკეტს გავიხდიო. მზე დაუზოგავად აცხუნებდა, ჟალუზებიც კი ვერ შველოდა.

- ჯოან კრაუფორდი,[15] - ატიტინდა ქალიშვილი, - ჯოან კრაუფორდი.

- არა-არა. ასე არა, ასე არ წარმოითქმის. კრო-ფორ, კრო-ფორ. ასე წარმოთქვამენ.

- კრაუ-ფორ.

- არა, არა, კრო, კრო, კრო. „ა“ და „უ“ ერთად „ო“ -დ გამოითქმის, ჰო; ჰო, ისინი ასე წარმოთქვამენ.

- სულელური ფილმია.

- ჰო, მაინცდამაინც კარგი არ არის, მაგრამ ქალი კი მშვენიერია.

- კინაღამ დამეძინა.

- ისე ძალიან რომ გინდოდა გენახა?

- ასე მითხრეს, მზეთუნახავიაო. დიდი არაფერია.

- დრო გადის.

- კრო-ფორ.

- დიახ, მე მგონი, სწორედ ასე წარმოთქვამენ - კროფორ. „დ“ არ წარმოითქმის.

- კრო-ფორ.

ქალიშვილმა ვაფლს თაფლი მოასხა, როცა დარწმუნდა, თაფლმა ვაფლის ყველა უჯრა ამოავსოო, დაამტვრია. პირში ტკბილ, ხრამუნა ნაჭრებს იდებდა და დედას შეღიმოდა. მაგრამ დედა არ უყურებდა. ორი ხელი ერთმანეთს ეფერებოდა; მამაკაცის ხელის ცერი ქალის თითების წვერებს ეფერებოდა, თითქოს ფრჩხილები უნდა ააძროსო. დედა თვალს არ აშორებდა ამ ხელებს.

სახეზე შეხედვის სურვილი არ გასჩენია. ხელი ისევ და ისევ უბრუნდებოდა მეორე ხელს, ნელ-ნელა დაცურავდა, ერთი ღრმული რაა, იმასაც არ ტოვებდა. არა, თითზე ბეჭედი არ ეკეთათ. ალბათ, საქმროა საცოლესთან ერთად ან ისე... დედა ცდილობდა მზერა ქალიშვილის თეფშზე დაღვრილ თაფლზე გადაეტანა, მაგრამ უნებურად თვალი ისევ გვერდითა მაგიდისკენ, წყვილის ხელებისკენ, ერთმანეთის მოალერსე თითებისკენ გაურბოდა, თან ცდილობდა, სახეები არ დაენახა.

ქალიშვილმა ენით კბილებში გაჩხერილი ვაფლისა და ნიგვზის ნამცეცები მოიშორა, შემდეგ პირი მოიწმინდა. ხელსაწმენდს წითელი ზოლი დააჩნდა. სანამ პომადას ამოიღებდა, ენა ისევ მოატარა ღრძილებზე და დედას, ქიშმიშიანი ფუნთუშა მომიტეხეო, სთხოვა. ყავის დალევა არ მინდა - ნერვებს ამიგზნებს, ისე, ყავა კი მიყვარს. ახლა არ მინდა, ნერვები ისედაც მღალატობსო. სენიორამ ხელზე ხელი მოუთათუნა და შეახსენა, კიდევ ბევრი საქმე გვაქვს, წასვლის დროაო. ფული ანგარიშის მიხედვით გადაიხადეს და თან ოფიციანტს გასამრჯელოც დაუტოვეს.

ჩრდილოამერიკელმა კრუსს განუმარტა, საბადოში მდუღარე წყალი უნდა ჩაუშვათ, გოგირდს ჩამორეცხავს, შეკუმშული ჰაერი კი ზედაპირზე ამოტყორცნისო. მან კიდევ გაიმეორა თავისი წინადადება, მეორე ამერიკელმა კი თქვა, ძალიან კმაყოფილი ვართ გეოლოგიური დაზვერვების შედეგებითო, ხელები ჰაერში რამდენჯერმე გააქნია და წაიბუტბუტა: „საბადო - კარგი, კოლჩედანი - ცუდი, საბადო - კარგი, კოლჩედანი - ცუდი, საბადო - კარგი...“ კრუსმა ამერიკელის სიტყვებს მაგიდის შუშაზე თითების კაკუნი ააყოლა და კვლავ გაიმეორა: „კოლჩედანი - ცუდი...“ მიჩვეული იყო მათი სიტყვების გამეორებას, რადგან ამერიკელებს ჰგონიათ, ჩვენი საუბარი არ ესმითო,

იმიტომ კი არა, რომ ესპანურად ცუდად ლაპარაკობენ, არამედ იმიტომ, რომ შეიძლება მექსიკელმა საერთოდ ვერაფერი გაიგოს. ინჟინერმა მაგიდაზე ძიების ზონის რუკა გაშალა, კრუსი იძულებული გახდა, მაგიდიდან იდაყვები ჩამოეღო. მეორე ამერიკელმა განაცხადა, საბადო ისეთი მდიდარია, შეიძლება XXI საუკუნის შუა წლებამდე შეუფერხებლივ გამოიყენოთო. მთელი დატვირთვით, მთელი მარაგის სრულ ამოწურვამდე, მთელი დატვირთვით... ეს სიტყვები შვიდჯერ ზედიზედ რომ გაიმეორა, რუკიდან მუშტი აიღო, რომელიც საუბრის დასაწყისში გეოლოგიური სამკუთხა ნიშნებით მოფენილ მწვანე ლაქას დააფარა. ამერიკელმა თვალი მოწკურა და თქვა, რომ ამ ადგილას კედრისა და კაობის ძალიან დიდი ტყეებია და რომ იგი, მათი მექსიკელი კომპანიონი, ტყიდან ას პროცენტ მოგებას მიიღებს. ამ საქმეში არ ჩაერევიან ისინი, ჩრდილოამერიკელი პარტნიორები, თუმცა ურჩევენ, ტყე აზრიანად გაჩეხოს: მათ ხომ ნახეს, რამდენი ხე იღუპება ტყუილუბრალოდ. მერე განა ცხადი არ არის, რომ მერქანი ფული ღირს? თუმცა ეს მათ არ ეხება. მთავარი ის არის, ტყის ქვეშ და არა მარტო ტყის ქვეშ - გოგირდის საბადოებია.

კაცს გაეღიმა და სკამიდან წამოდგა. ქამარში ორივე ხელის ცერა თითები გაირჭო და

პირში ჩამქრალ სიგარას აწვალებდა, სანამ ერთ-ერთი ამერიკელი ანთებული ასანთით ხელში არ წამოდგა. ცეცხლი რომ მიუახლოვდა, მან ერთი-ორჯერ მოქაჩა, სანამ კბილებში გაჩრილი სიგარა არ აინთო. კაცმა ორი მილიონი დოლარი ნაღდი ფული მოითხოვა. ჰკითხეს, რის ანგარიშშიო? მერე განუმარტეს, რომ დიდი სიამოვნებით გაიხდიან კომპანიონად და სამასი ათასი დოლარი წილიც ექნება, მაგრამ ჯერ ვერავინ ერთ სენტავოსაც ვერ მიიღებს, ვიდრე კაპიტალდაბანდება მოგებას არ მოიტანს. ინჟინერ-გეოლოგმა სათვალე ნატის ნაჭრით გაწმინდა, ერთთავად ხალათის ჯიბეში რომ ედო, მეორე ამერიკელი კი მაგიდიდან ფანჯრამდე ბოლთის ცემას მოჰყვა. მან კვლავ გაიმეორა თავისი პირობები: აქ არც ავანსზეა ლაპარაკი, არც სესხზე და არც რაიმე მსგავს ამბავზე. ეს არის ის ფასი, რაც მათ კონცესიის მისაღებად უნდა გადაიხადონ. ამ წინასწარი შესატანის გარეშე მათ შეიძლება კონცესია ვერ მიიღონ. ცოტა ხნის შემდეგ ამ თანხას, ახლა საჩუქრად რომ მოგართმევთ, ავინაზღაურებთ, მაგრამ ამჯერად უმისოდ, მომრიგებლის, „Frontman“ -ის გარეშე, - მაპატიეთ, ასეთი გამოთქმა რომ ვიხმარე, - ვერ შეძლებთ კონცესიის მიღებას და საბადოს დამუშავებასო. მერე ზარის ღილაკს თითი დააჭირა. მდივანი გამოიძახა. მდივანმა სწრაფად წარმოთქვა რამდენიმე ციფრი და ჩრდილოამერიკელებმა ჯერ თითქოს წაიდუდუნეს

„ოკეი“, მერე კი რამდენჯერმე გაიმეორეს „ოკეი, ოკეი, ოკეი“. კაცს გაეღიმა და ორი ჭიქა ვისკი შესთავაზა, თან დასძინა, თქვენ გოგირდის საბადოს ექსპლუატაცია შეგეძლებათ XXI საუკუნის შუახანებამდე, მაგრამ მე მეოცე საუკუნეში ერთი წუთითაც ვერ გამიწევთ ექსპლუატაციასო. ყველამ ჭიქები მიაჯახუნა. უცხოელებმა ძალისძალად ჩაიღიმეს და ჩუმად გამოცრეს: „SOB“.[16]

ხელჩაკიდებული დედა-შვილი მისეირნობდა. მხოლოდ ვიტრინებს უყურებდნენ, თითოეულის წინ ჩერდებოდნენ, ჩაილაპარაკებდნენ ხოლმე, „რა ლამაზია, მაგრამ ძვირია; აქეთ კიდევ უკეთესია, ნახე, ო, რა ლამაზია...“ ბოლოს ქანცი გაუწყდათ და კაფეში შევიდნენ. მყუდრო ადგილი მოძებნეს - ტუალეტისა და შესასვლელისაგან მოშორებით, სადაც ლატარიის ბილეთების გამყიდველები ქოთქოთებდნენ და სვეტად იდგა მშრალი, ჩხვლეტია მტვერი - და ორი ჭიქა „კანადა დრაი“ მოითხოვეს. დედამ პუდრი წაისვა და საპუდრის სარკეში თავისი ქარვისფერი თვალის გუგები შეათვალიერა, მაგრამ თვალებს ქვემოთ ამჯერად შესივებული პარკუჭები რომ დაინახა, საპუდრე ხმაურით დახურა. ქალები შეჰყურებდნენ ჭიქების ფსკერიდან ამომავალ ბუშტუკებს, ელოდნენ გაზის გამოცლას, რომ ნელ-ნელა დამტკბარიყვნენ

გამაგრილებელი სასმლით. ქალიშვილმა მალულად წაიძრო ფეხსაცმელი და სიამოვნებით გაჩაჩხა შეშუპებული თითები, სენიორა კი ფორთოხლის სასმელს დასჩერებოდა და თავისი გაყოფილი საძინებელი ოთახები ახსენდებოდა, გაყოფილი, მაგრამ მოსაზღვრე. ახსენდებოდა, ყოველ დილა-საღამოს დაკეტილ

კარს იქიდან გაგონილი ხმები: ხველება, იატაკზე დავარდნილი ფეხსაცმლის ბრახუნი, ფანჯრის რაფაზე შეგდებული გასაღებების ჩხრიალი, ტანსაცმლის კარადის დაუზეთავი ანჯამების ჭრიალი, ხანდახან მძინარეს თანაბარი სუნთქვაც კი. იგრძნო, რომ ზურგი გაეყინა. დღეს დილით დაკეტილ კართან მიიპარა და სიცივემ ბეჭები გადაუსერა. გააოცა აზრმა, რომ ეს ხმები მისთვის აკრძალული, საიდუმლო იყო. ლოგინში დაბრუნდა, საბანში გაეხვია და ფანჯარას მიაჩერდა, წაბლის ფოთლებში გამოჭრილი მზის სხივები რომ დასთამაშებდა. ცივი ჩაი მოსვა და ისევ ჩაეძინა. ქალიშვილმა გაიღვიძა, შეახსენა, დღეს ბევრი საქმე გველოდებაო. და აი, ახლაც, ცივი ჭიქის შეხებისას, დღევანდელი დილა გაახსენდა.

კრუსი ისე მკვეთრად შემოტრიალდა მბრუნავ სავარძელში, რომ ზამბარებმა გაიჭრიალა. „ვითომ მექსიკის რომელიმე ბანკი რისკზე წავა? - ჰკითხა მდივანს, - ვითომ

მოიძებნება მექსიკელი, რომელიც მენდობა?“ მერე ყვითელ ფანქარს დაავლო ხელი და მდივანს სახეში დაუმიზნა: დაე დადასტურდეს, დაე, პადილია იყოს მოწმე - არავის უნდოდა რისკზე წასვლა, მას კი არ სურს ამოდენა სიმდიდრე სამხრეთის ტყეებში ჩალპეს. თუკი გრინგო მართლაც ერთადერთია, ვინც მზად არის დასამუშავებელი ფული გაიღოს, მაშინ რაღა დაგვრჩენია? მდივანმა საათზე მიუთითა. კრუსმა ამოიოხრა, კეთილიო, დაეთანხმა და მდივანი სადილად მიიწვია. „იქნებ ერთად ვისადილოთ, რომელიმე ახალი ადგილი ხომ არ იცი?“ მდივანმა მოახსენა, ვიცი ერთი არცთუ ხალხმრავალი, ძალიან მყუდრო ადგილი, თანაც სულ ახლოს, აქვე - მოსახვევში, მშვენიერ ღვეზელებს ამზადებენ ყველით, გოგრით, სოკოთიო. ოჰო, ღირს წასვლა. დაღლას გრძნობდა. საღამოს კანტორაში დაბრუნება არ უნდოდა. გარიგებაც ხომ უნდა აღენიშნა. ეგეც არ იყოს, ერთად არასოდეს ესადილათ. კიბეზე უხმოდ დაეშვნენ და ხუთი მაისის ქუჩისკენ გასწიეს.

- თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ. რამდენი წლისა იქნებით?

- ოცდაშვიდის.

- დიდი ხანია დაამთავრეთ?

- სამი წელია. ოღონდ...

- რა ოღონდ?

- თეორია ერთია, ცხოვრება კი სულ სხვა.

- მერე გიკვირთ? მაინც რას გასწავლიდნენ?

- მაგალითად, მარქსიზმს. შრომაც კი დავწერე ჭარბ ღირებულებაზე.

- ცუდი საგანი არ უნდა იყოს, ჰა, რას იტყვი, პადილია?

- დიახ, მაგრამ ჩვენ სხვაგვარი ცხოვრება გვიწევს.

- თქვენ რა, მარქსისტი ხართ?

* * *

მე მისი ხელის გაუბედავ შეხებას ვგრძნობ, მინდა გავწიო, მაგრამ ძალა აღარ მაქვს. ამაო ალერსია, კატალინა, ამაო. რა შეგიძლია მითხრა? გგონია, რომ ბოლოს და ბოლოს იპოვე სიტყვები, რომელთაც მუდამ გაურბოდი? სწორედ დღეს იპოვე? საჭირო არ არის. შეიცოდე შენი ენა. ნუ აიძულებ ამაოდ შრომას. ნუ უღალატებ საკუთარ თავს, ნუ ცდილობ სხვანაირი გამოჩნდე. აგერ, შენი ქალიშვილისგან ისწავლე. ტერესასგან. ჩვენი შვილისგან. როგორი რთული, უმაქნისი სიტყვაა. ჩვენი. ეგ არ თვალთმაქცობს. არ ეძებს, რა თქვას. შეხედე. ზის შავ კაბაში, გულხელდაკრეფილი და იცდის. არ თვალთმაქცობს. ალბათ, როცა მე არ მესმის, გეუბნება: „ნეტავ მალე დამთავრდეს ყველაფერი. მაგას თავის მოავადმყოფებაც შეუძლია ჩვენს დასახოცად“. რაღაც ამგვარი გითხრა. ჰო, რაღაც ამგვარი გავიგონე დილით, როცა ხანგრძლივი, მშვიდი ძილისგან გამოვფხიზლდი. მგონი, წუხელ ძილის მომგვრელი წამალი მომცეს. შენ მგონი, ასე უპასუხე: „ღმერთო ჩემო, დიდხანს მაინც ნუ დაიტანჯება“. გინდოდა შენი ქალიშვილის სიტყვებისთვის სხვა აზრი მიგეცა. მაგრამ შენ არ იცი, როგორ ახსნა სიტყვები, რომლებსაც მე ვჩურჩულებ:

- იმ დილით სიხარულით ველოდი. მდინარეზე ცხენდაცხენ გავედით.

ო, პადილია, ახლოს მოიწი. მაგნიტოფონი მოიტანე? თუ შენი საქმე იცი, მაგნიტოფონს აქ მომიტან, როგორც მოგქონდა ხოლმე საღამოობით ჩემთან, კოიოაკანში. დღეს, ისე როგორც არასოდეს, უნდა მაჩვენო, რომ ყველაფერი ძველებურად ხდება, ჩვეულება არ დაარღვიო, პადილია. აი, მოხვედი, მაგრამ ამათ არ უნდათ შემოგიშვან.

- არა, ლიცენციატო, ვერ გაგიშვებთ.

- ეს მრავალი წლის ჩვეულებაა, სენიორა.

- ნუთუ ვერ ხედავთ, რა დღეშია?

- გამიშვით, ვცადო. ყველაფერი ხომ მზად არის. მხოლოდ აპარატის ჩართვაა საჭირო.

- პასუხისმგებლობას თქვენ კისრულობთ?

- დონ არტემიო... დონ არტემიო... დილანდელი ჩანაწერი მოგიტანეთ...

წამოვიწიე, ვცდილობ, გავიღიმო. ყველაფერი ჩვეულებრივად ხდება. კარგი კაცია ეს პადილია. დიახ, მას შეიძლება ენდო. დიახ, იგი იმსახურებს ჩემი მემკვიდრეობის გვარიან ნაწილს და მთელი ჩემი ქონების უცვლელ მეურვეობას. აბა, სხვა ვინ? მან ყველაფერი იცის. ეჰ, პადილია, შენ ისევ კანტორაში გამართული ჩემი მოლაპარაკებების მაგნიტოფონზე ჩანაწერებს აგროვებ? ჰო, პადილია. შენ ყველაფერი იცი. მე კარგად უნდა გადაგიხადო. ჩემს რეპუტაციას გიანდერძებ.

ტერესა ზის, ხელში გაშლილი გაზეთი უჭირავს, სახე არ უჩანს.

ვიცი, მისი მაღალღირსება მობრძანებულა თავისი საკმევლის სურნელებით, თავისი შავ-შავი კაბით, ხელში აიაზმის საპკურებელი უჭირავს, რომ ყველა წესი დაიცვას და იმ ქვეყნად ისე გამისტუმროს. ხა-ხა-ხა, კარგად გავაცუცურაკე. აგერ, ტერესაც ფლიკვინებს. ხელჩანთიდან საპუდრე ამოაქვს და ცხვირზე პუდრს ისვამს, რომ შემდეგ ისევ წაიტიროს. წარმომიდგენია, როგორ იფლიკვინებდნენ და იმწუთასვე ცხვირის შეპუდვრას მოჰყვებოდნენ ქალები ჩემი კუბოს საფლავში ჩაშვებისას. კეთილი, მე კი თავს უკეთ ვგრძნობ... უფრო კარგი იქნებოდა, აი, ეს სუნი, ჩემი სუნი რომ არ მცემდეს

ზეწრის ნაოჭებიდან, რომ არ ვხედავდე ამ სასაცილო ლაქებს, რომლებითაც თვითონ მოვთხვარე ზეწრები... ხროტინით, არათანაბრად ვსუნთქავ. ესე იგი, თქვენ მეუბნებით, რომ ამ შავ ყვავს დავემორჩილო, რათა მომიახლოვდეს, ვაი-ვაი, ვაი-ვაი. ვცდილობ, თანაბრად ვისუნთქო... თითებს ვმუშტავ... ვაი... კბილს კბილზე ვაჭერ, ჩემ გვერდით კი ვხედავ გამტკნარებულ, ფქვილწაყრილ სახეს, რომლის გამოც ხვალ ან ზეგ - ან იქნებ სულაც არა? ცხადია, არა - ყველა გაზეთი დაწერს: „აღესრულა წმინდა ეკლესიისაგან ცოდვამიტევებული...“ სუფთად გაპარსული სახე ჩემს ნაცრისფრად გაბანჯგვლულ სახეს უახლოვდება. პირჯვარს იწერს და ჩურჩულებს: „ცოდვილი ხარ...“ მე შემიძლია მხოლოდ შევტრიალდე, ჩავიცინო და წარმოვიდგინო სცენა, რომელიც მასაც მინდა დავანახვო - ერთხელ, ღამით, ვინმე ჭუჭყიანმა და ღატაკმა დურგალმა ისიამოვნა, მოკრძალებული გოგონა ქვეშ მოიგდო, იმ გოგონას კი მშობლების ნაამბობის სჯეროდა და მუცელზე თეთრ მტრედებს იხუტებდა, ეგონა, ასე ჩაესახებოდა შვილი. თეთრ მტრედებს კაბის შიგნით, ფეხებშუა მალავდა. დურგალმა ქვეშ მოიგდო, სრულიად ბუნებრივი სურვილით ანთებულმა, ვინაიდან გოგონა, მგონი, ძალიან ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი. ეს საძაგელი ტერესა კი აღშფოთებული ფლიკვინებს, გაფითრებული, ღვარძლიანად მოელის ჩემს უკანასკნელ ჯანყს - თავისი უკანასკნელი აღშფოთების

მიზეზი რომ იქნება. საოცარი სანახავია, რა მშვიდად სხედან, არ წრიალებენ, არ მსაყვედურობენ. კიდევ რამდენი ხანი გავძლებ? ახლა უკვე ისე ცუდად აღარა ვარ. იქნებ მოვრჩე კიდეც! ოჰ, რა დარტყმა იქნება! მართლა? შევეცდები მხნეობა მოვიკრიბო, ოღონდ დავინახო, როგორ აგევსებათ მოთმინების ფიალა ორივეს, როგორ მოიცილებთ მოჩვენებით ალერსს, დაივიწყებთ ყოველგვარ გულითადობას და ბოლოს და ბოლოს გადმოანთხევთ დაგუბებულ ლანძღვა-გინებას, თქვენს თვალებში მბზინავ გააფთრებას. მე კი უბრალოდ ცუდი სისხლის მიმოქცევა მაქვს, მეტი არაფერი. საშიშიც არაფერია. ო, როგორ მზარავს ამათი ყურება. ოდნავ მფეთქავი კაცისათვის, ვინც სამყაროს უკანასკნელად უყურებს, ხომ არსებობს უფრო სასიამოვნო რაღაც. ჰო, მე ამ სახლში მომიყვანეს და არა იქ, მეორეში. იფ, რა წინდახედულებაა! უკანასკნელად უნდა ვეჩხუბო პადილიას. პადილიამ ხომ იცის, სად არის ჩემი ნამდვილი სახლი. იქ ჩემი საყვარელი ნივთების ყურებით დავტკბებოდი. შევეცდებოდი მთლიანად

გამეხილა თვალები, რათა კიდევ ერთხელ დამენახა ჭერის ძველებური, თბილი კოჭები, ოქროსფერი სტავრით დამშვენებული თავსასთუმალი, ღამის მაგიდაზე დადგმული შანდლები, ხავერდისზურგიანი სავარძლები, ბოჰემიური ბროლის ჭიქები. იქვე ერთგული სერაფინი გააბოლებდა და მე ამ ბოლს ჩავისუნთქავდი. ქალიც ისე

ჩაიცვამდა, როგორც ვუბრძანებდი. ლამაზად ჩაიცვამდა. არც შავ ძონძებს შემოიხვევდა და არც ცრემლად დაიღვრებოდა, არც დაბერებულ, დაქანცულ კაცად ვიგრძნობდი თავს. ყველაფერი ისე გაკეთდებოდა, რათა კვლავ მეგრძნო, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ძველებურად მოყვარული, ისეთივე, ზუსტად ისეთივე, როგორც უწინ ვიყავი. რატომ სხედან აქ ეს საძაგელი, ბებერი, მოურიდებელი ფარისეველი ქალები და მახსენებენ, რომ უკვე ის აღარა ვარ? ყველაფერი მზადაა, იქ, ჩემს სახლში ყველაფერი მზადაა. იქ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში. მოგონებების საშუალებას არ მომცემდნენ, ილაპარაკებდნენ იმაზე, ვინ გავხდები და არა იმაზე, თუ ვინ ვიყავი. არავინ შეეცდებოდა რაიმე აეხსნა მანამ, ვიდრე საერთოდ რაიმე ახსნა უსარგებლო არ გახდებოდა. ჰო, აქ რითი გავერთო? ჰმ, ვხედავ, ყველაფერი იღონეს, რომ სხვები აიძულონ და დააჯერონ, თითქოს ყოველღამ ამ საძინებელში შემოვდივარ და აქ ვიძინებ. ვხედავ საპირფარეშოს გამოღებულ კარს, კარადიდან გამოჩრილ პიჯაკებს, ჩაუცმელ პიჯაკებს, უხმარ ჰალსტუხებს, ახალ ფეხსაცმელს. საწერ მაგიდაზე წიგნები დაუხვავებიათ, რომლებიც არასოდეს წამიკითხავს, ქაღალდები, რომლებზეც ხელი არასოდეს მომიწერია, ეს დიდი, მოხდენილი ავეჯიც, ნეტავ როდის მოასწრეს დამტვერილი შალითების გადაძრობა? ო-ოჰ... აგერ ფანჯარაც. ფანჯრის მიღმა - მთელი

ქვეყნიერება. ზეგნებიდან მონაბერი ქარი შავ, ტანწვრილ ხეებს არწევს. შეიძლება ისუნთქო...

- ფანჯარა გააღეთ...

- არა, არა, გაცივდები და უარესად გახდები.

- ტერესა, მამაშენს არ ესმის შენი ხმა...

- თვალთმაქცობს, თვალებს ხუჭავს, თავს იკატუნებს.

- გაჩუმდი.

- შენ თვითონ გაჩუმდი.

გაჩუმდნენ და ჩემს თავსასთუმალს გაშორდნენ. ქუთუთოებს არ ვახელ, ვიხსენებ, იმ საღამოს პადილიასთან ერთად რომ ვისადილე. ჰო, მე უკვე გავიხსენე ის საღამო.

ამერიკელები დავამარცხე. წამოწყებულ თამაშს, ყველაფერ ამას ცუდი სუნი ასდის, მაგრამ როგორღაც გათბობს. ჩემი სხეული ჯერ კიდევ სითბოს გამოსცემს.

ზეწრები თბილია. მე ბევრი დავამარცხე. მე ყველას მოვუგე. ოჰ, სისხლი ჩქეფს ჩემს ვენებში, მალე მოვრჩები. მე მათ ვაპატიებ, ფეხებზე მკიდია, ილაპარაკონ, ილაყბონ, რაც მოესურვებათ. ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი. მე მათ ვაპატიე. როგორ თბილა. მალე მოვრჩები, ვაი, ოჰ...

* * *

შენ კმაყოფილი დარჩები, როცა ამერიკელებს აიძულებ, პატივი გცენ. გამოტყდი, ტყავიდან არ ძვრებოდი, რათა იმათ თავის კაცად მიეღე? მას შემდეგ, რაც იმ ადამიანად იქეცი, ვინც ახლა ხარ, ეს იყო შენი ყველაზე სანუკვარი ოცნება, მას შემდეგ, რაც ისწავლე ძვირფასი ქსოვილების დაფასება, რაც გემო გაუგე ძვირფას ლიქიორებს, რაც შეიგრძენი ძვირფასი ლოსიონების სურნელი - ყველაფერი, რაც უკანასკნელ წლებში შენი მარტოსულობის ერთადერთ ნუგეშად იქცა. სწორედ ამ დროიდან მიაპყარ მზერა ჩრდილოეთს. ამ დროიდან გტანჯავს გეოგრაფიული ცდომილება, უფლებას რომ არ გაძლევს ყველაფერში მათ გაუტოლდე. აღტაცებული ხარ მათი ენერგიით, მათი კომფორტით, მათი ჰიგიენით, მათი ნებისყოფით. მიმოიხედავ ირგვლივ და აუტანლად გეჩვენება შენი საცოდავი, უქონელი ქვეყნის სიზარმაცე, სიღარიბე, სიბინძურე, სიშიშვლე. და მით უფრო გულს გიკლავს შენი ამაო ცდა - სულერთია, ვერ გახდები იმათნაირი. შესაძლოა, მხოლოდ მათი ასლი გახდე, ისიც მიახლოებითი. ვერა, იმათნაირი ვერ გახდები, რადგან სხვა რომ არა იყოს რა, ერთი რამ კარგად იცი: ცხოვრების სხვადასხვა მხარის შენეული აღქმა ყველაზე მძიმე თუ ყველაზე ბედნიერ

დღეებში ისეთი პრიმიტიული არ არის, როგორც იმათი. არა, არასოდეს, არასოდეს. არა, არასოდეს გიფიქრია, რომ არსებობს მხოლოდ თეთრი ან მხოლოდ შავი, მხოლოდ ცუდი ან მხოლოდ კარგი, ოღონდ ყოველთვის, როდესაც ეს თითქოს შეუძლებელი იყო, შავში მუდამ ხედავდი თეთრის ნაწილაკს, თეთრის ანარეკლს. განა შენი პირადი სისასტიკე, როცა ულმობლად სასტიკი იყავი ხოლმე, მთლიანად არ გართმევდა სინაზეს? შენ იცი, რომ არსებობს უკიდურესობა წინააღმდეგობის გარეშე: სისასტიკე-სინაზე, სილაჩრე-გულადობა, სიცოცხლე-სიკვდილი. როგორღაც, თითქმის უნებლიეთ - იმიტომ რომ ასეთი ხარ, აქ დაიბადე და სიცოცხლე აქ გაატარე, - შენ იცი ეს და ამიტომ ვერასოდეს დაემსგავსები იმათ, ვინც ეს არ იცის. არ მოგწონს? ცხადია, ეს ცოტა არ იყოს, უხერხულია, ის კი არა და, შემზღუდავიც კი. გაცილებით იოლი სათქმელია: ეს სიკეთეა, ეს კიდევ - ბოროტება. შენ გიჭირს მისი განსაზღვრა. იქნებ სულაც იმიტომ, რომ ჩვენ, მექსიკელები, საკუთარ თავში მაინცდამაინც დარწმუნებული ვერა ვართ და არა გვსურს, სინათლესა და ჩრდილს შორის ბინდბუნდის გარდამავალი ზოლი წაიშალოს. ის ზოლი, სადაც მუდამ შეიძლება საკუთარ თავს გამართლება მოუძებნო, სადაც შენ მუდამ პოულობდი თავის გასამართლებელს: ყოველ ადამიანს - ისევე როგორც შენ - თავისი სიცოცხლის რაღაც წუთებში უხდება თავის თავში გააერთიანოს

სიკეთე და ბოროტება, ერთდროულად გაჰყვეს ერთი გორგლიდან გამორღვეულ სხვადასხვა ფერის ორ იდუმალ ძაფს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს სცილდებიან - თეთრი ძაფი ზევით მიდის, შავი კი - ქვემოთ, რათა ბოლოს მაინც ერთმანეთს გადაეწნან, შენს ხელშივე.

ახლა ასეთ ამბებზე ფიქრს არ მოისურვებ, ამ შეხსენებისთვის საკუთარ „მეს“ შეიძულებ. მუდამ გინდოდა იმათნაირი ყოფილიყავი და ახლა, სიბერეში, თითქმის წარმატებას მიაღწიე. მაგრამ „თითქმის“, მხოლოდ „თითქმის“. შენ თვითონ არ ავიწყებინებ ამას საკუთარ თავს. შენი სიჩაუქე მუდამ გვერდით უდგას შენსავე ლაჩრობას. შენს სიძულვილს შენივე სიყვარული შობს, მთელი შენი სიცოცხლე შენს აღსასრულს განსაზღვრავს. შენ არც კარგი იქნები, არც ცუდი; არც კეთილი, არც ეგოისტი; არც კეთილშობილი, არც მოღალატე. დაე, ხალხმა განსაზღვროს შენი სათნოებისა და ბიწიერების ხარისხი, მაგრამ განა თვითონ არ იცი, რომ ყოველი შენი მტკიცება უარყოფითად ტრიალდება, ხოლო უარყოფა - მტკიცებად.

ალბათ, შენ გარდა ვერავინ გაიგებს, რომ მთელი შენი სიცოცხლე ნაირფერადი ძაფით

არის ნაქსოვი, - თუმცა, კაცმა რომ თქვას, ასეა სხვათა ცხოვრებაც, - შენ ზუსტად იმდენი შესაძლებლობა გექნება, არც მეტი, არც ნაკლები, რამდენიც საჭიროა, რომ ცხოვრება სასურველი ნიმუშისდარად გამოაქანდაკო. და თუ სწორედ ასეთი გახდები და არა სხვაგვარი, რა პარადოქსულიც უნდა იყოს ეს, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ არჩევანი გქონდა. შენი ყოველი არჩევანი სხვა გზებს არ გამორიცხავს, არ დამარხავს იმას, რისი უარყოფაც მოგიწევს, მაგრამ ცხოვრების კალაპოტი შევიწროვდება და შევიწროვდება, ვიდრე საბოლოოდ შენი არჩევანი შენს წილხვდომილს არ შეერწყმება. მერე სიკვდილი? რას იზამ, სიკვდილი პირველი არ იქნება. შენ ბევრ მკვდარ დღეს, ბევრ ცარიელ საათს იცოცხლებ, როცა კატალინა თქვენს გამყოფ კარს ყურს მიადებს, ყოველ ჩქამს დაიჭერს. როცა ამ კარს უკან ისე იმოძრავებს, რომ არ გეცოდინება, თუ გითვალთვალებს, არ გეცოდინება, რომ ვინმე ცხოვრობს შენი ცხოვრების ხმაურითა და ჩქამით - ვინ შეძლებს ასეთ გათიშულობაში იცხოვროს? როცა ორივემ იცის, რომ სულ ერთი სიტყვაა საჭირო და მაინც დუმან - ვინ შეძლებს ასეთ მდუმარებაში იცხოვროს? არა, ამის გახსენებას არ მოინდომებ, შენ სხვა რამის გახსენება მოგინდება: სხეულის, სახის, რომელსაც წლები წაშლიან შენი მეხსიერებიდან, მაგრამ შენ იცი, თუ სასიამოვნო ამბებს გაიხსენებ, იოლად გადარჩები, ძალიან იოლად. ჯერ შენი მძიმე ბორკილები

გაგახსენდება, ხოლო, როცა ამ ბორკილებს გადაყრი, მიხვდები, რომ ის, რაც ხსნად მიგაჩნდა - ბედნიერ წუთებს გაიხსენებ - ჭეშმარიტ წამებად მოგიტრიალდა. ნორჩ კატალინას რომ გაიხსენებ, ისეთს, როგორიც პირველად გამოგეცხადა, უნებურად ახლანდელს შეადარებ, - ცარიელ, გულცივ ქალს. დაიწყებ თავის მტვრევას: რატომ მოხდა ეს? შეეცდები წარმოიდგინო, რაზე ფიქრობდა მაშინ იგი ან ყველა სხვა. მაგრამ ამას ვერ ამოიცნობ. მხოლოდ წარმოსახვით თუ გააცოცხლებ. შენ არასოდეს უგდებდი ყურს სხვათა სიტყვას. ახლა ისევ უნდა განიცადო ყველაფერი, რაც მაშინ მოისმინე.

თვალები დახუჭე, საკმევლის ბოლს ნუ შეისუნთქავ, ყურს ნუ დაუგდებ ქვითინს. სხვა დღეებს, სხვა ამბებს გაიხსენებ. დღეებს, რომლებიც ღამეებად

შემოვლენ შენს დახურულ ქუთუთოებქვეშ და ხმითღა თუ განასხვავებ, თორემ გარეგნობით ვერა. ღამეს უნდა მიენდო და იწამო იგი, დაუნახავად იწამო. უნდა გჯეროდეს მისი ისე, რომ არ იცნობდე. თითქოს ღამე ყველა შენი დღის ღმერთი იყოს. გუნებაში გაიფიქრებ, თვალის დახუჭვა და ღამის ჩამოწოლა ერთი იქნებაო. უნებურად ტუჩებზე ღიმილი მოგივა, თუმცა ტკივილი ისევ გიბრუნდება, ფეხების გაშლას ცდილობ. ვიღაც ისევ ეხება შენს ხელს, მაგრამ შენ არ პასუხობ ამ ალერსს, - ზრუნვაა, სევდა თუ ანგარიში? -

რადგან შექმნი ღამეს, თვალებს დახუჭავ და შავი ოკეანის სიღრმიდან შენკენ ქვის ხომალდი გამოცურდება. შუადღის მცხუნვარე და ზარმაცი მზე ამაოდ დააფრქვევს შუქს: დიდი და ბნელი კედლები, რომლებიც საყდარს ინდიელთა შეტევისგან იცავენ, თავის ჭერქვეშ კონკისტადორ-ღვთისმსახურებს და კონკისტადორ-ჯარისკაცებს აერთიანებენ. შენი დახუჭული თვალებისკენ ფლეიტის გამაყრუებელი ჭყვიტინითა და დოლის ბრაგუნით გამოემართება ისაბელის დაუნდობელი ესპანური ლაშქარი და შენ მზისგულზე ფართო ესპლანადას გადაჭრი, რომლის შუაშიც ქვის ჯვარი დგას, კუთხეებში კი - ღია სამრეკლოები - ღია ცის ქვეშ ინდიელთაგან აღმართული ქრისტიანული კულტი. ესპლანადის სიღრმეში, უკვე მივიწყებულ მავრიტანიულ მახვილებს ზემოთ, მაღალი ეკლესიის ვარდისფერი ქვის კამარები წამოყუდებულა, როგორც სიმბოლო კონკისტადორების სისხლის წამლეკავი ახალი სისხლისა. შენ მიემართები ადრეული ესპანური ბაროკოს სტილის კარიბჭისკენ, რომელსაც დიდებული ვაზის ლერწი და კამარის საჭექებზე ნაქანდაკები არწივები ამშვენებს, - პირქუშ და ბრწყინვალედ მორთულ კონკისტას კარიბჭისაკენ, რომელიც ცალი ფეხით ძველ, მკვდარ სამყაროში დგას, მეორე ფეხით კი ახალ, არააქაურ, ოკეანის გაღმა დაბადებულ სამყაროში. მათთან ერთად, პირქუშ კედლებთან ერთად მოვიდა ახალი

სამყარო, რათა დაიცვას მგრძნობიარე, მხიარული, ხარბი გული. შენ გზას გაჰყვები და ამ ხომალდ-ტაძრის ნეფში შედგამ ფეხს, სადაც კასტილიელ ექსტერიერს დათრგუნავენ ინდიელთა ცის პირქუში და მოღიმარი წმინდანები და ანგელოზები, ინდიელ ღვთაებათა სიმრავლე. ფართო ნეფი მოოქრული ფოთლებით საშინელი სახე-ნიღბებით მორთულ საკურთხეველთან მიგიყვანს. ეს არის ადგილი სევდიანი და საზეიმო ლოცვებისა, მუდამ რომ მოუწოდებენ - საკუთარი სურვილით, ერთადერთი ძალდაუტანებელი სურვილით - გაამშვენიერონ ტაძარი, აავსონ იგი გაშეშებული შიშით, თაბაშირისგან გამოძერწილი მორჩილებით, ძრწოლით სიცარიელისა და გარდასულ დროთა წინაშე, რომელიც მოფიქრებული და აუჩქარებელი თავისუფალი შრომის ამ ნაყოფში გრძელდება. შენ წახვალ შენი ამერიკის დასამორჩილებლად, გაჰყვები ნეფს, სადაც ცარიელი ერთი გოჯიც არ არის. ანგელოზთა თავები, მშვენიერი ვენახი, ნაირფერადი გვირგვინები, ოქროს ლიანებში გადაწნული ფერმკრთალი წმინდანები, ნაღვლიანთვალება წმინდანები; ინდიელების მიერ ხატად თვისა შექმნილი წმინდანები: მზისა და მთვარის მსგავსი ანგელოზები და წმინდანები, ხელებით რომ მოსავალს იფარავენ, თითებით გამძღოლი ძაღლების თასმები

უჭირავთ; წმინდანები, რომელთაც კერპებისათვის შეუფერებელი მკაცრი უცხო თვალები და

ციკლოპების გააფთრებული სახეები აქვთ. ნიღბებს ამოფარებული სახეები, ვარდისფერი, უდარდელი, უბიწო, მაგრამ უსიცოცხლო, მკვდარ ნიღბებს ამოფარებული. არტემიო კრუს, უხმე ღამეს, შავი აფრები აუშვი, თვალები დახუჭე...

* * *

1919 წლის 20 მაისი

მან პერალესის ციხეში გონსალო ბერნალის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ამბავი აუწყა გონსალოს მამას და ძველი სახლის კარი მის წინაშე გაიღო.

- ჩემი შვილი მუდამ ისეთი წმინდა იყო, - ამბობდა დონ გამალიელ ბერნალი, - მუდამ თვლიდა, რომ ძალადობა სენივით გადამდებია, ჩაგითრევს, გაიძულებს, საკუთარ თავს უღალატო, თუ შენი მოქმედება საღი იდეით არ იქნა ნაკარნახები. მგონი, ამიტომაც წავიდა სახლიდან. თუმცა იგი მხოლოდ ნაწილობრივ იყო სწორი, რადგან ქარიშხალი, რომელმაც ქვეყანა შეარყია, ყველას შეგვეხო, თვით იმათაც, ვინც ჩამთბარი ადგილებიდან არ წამომდგარა, არა, მე მხოლოდ ის მინდა გითხრათ, რომ ჩემს შვილს თავის მოვალეობად მიაჩნდა აჯანყებულებს მიმხრობოდა და მათთვის აეხსნა, შთაეგონებინა თანამიმდევრული იდეები. გონსალოს, ეტყობა, უნდოდა, რომ მისი აზრები, სხვათაგან განსხვავებით, საქმით გამოცდილიყო. როგორ გითხრათ, არ ვიცი, - ძალიან რთული აზრები ჰქონდა. იგი მოთმინებას ქადაგებდა. მიხარია იმის გაგონება,

რომ გულად ვაჟკაცად მოკვდა. მახარებს თქვენი აქ მოსვლა.

მოხუცი ბერნალის სახლში მისული სტუმარი ზეციდან არ ჩამოვარდნილა. წინადღეს მან პუებლაში რამდენიმე ოჯახი მოინახულა, ვიღაცებს ესაუბრა, გაიგო, რაც უნდა გაეგო. იმიტომ იყო, რომ ახლა გაქვავებული სახით ისმენდა მოხუცის ვრცელ სიტყვას, რომელსაც გაჭაღარავებული თავი სავარძლის გაცვეთილი ტყავის საზურგეზე გადაეგდო. სინათლის მოყვითალო სხივი აქანდაკებდა მოხუცის მკაცრ პროფილს, ანათებდა წიგნებით სავსე ბიბლიოთეკის ავეჯზე სქლად დადებულ მტვერს. ისეთი მაღალი წიგნის კარადები ჰქონდათ, რომ უზარმაზარ ფოლიანტებს - გეოგრაფია იყო, ხელოვნება, საბუნებისმეტყველო მეცნიერება თუ ფრანგული, ინგლისური თხზულებები - მხოლოდ გორგოლაჭებიანი კიბით თუ მისწვდებოდით. აჩნდა კიდეც ყავისფრად შეღებილ იატაკს მისი კვალი. ჩვეულებრივ, დონ გამალიელი ლუპით კითხულობდა, ახლაც ბებრულ, რბილ ხელებში უძრავად რომ შერჩენოდა. მოხუცი ვერ ამჩნევდა, ლინზაში გადატეხილი მზის ირიბი სხივი მის საგულდაგულოდ დაუთოებული ზოლიანი შარვლის ნაკეცში კაშკაშა ლაქად რომ ენთო. მაგრამ კრუსმა შენიშნა. უხერხული სიჩუმე უკვე ორივეს აწუხებდა.

- უკაცრავად, იქნებ რამე შემოგთავაზოთ? სულ უკეთესი, თუ ვახშმად დარჩებით.

დონ გამალიელმა ხელები გაშალა და სტუმარი გულღიად მიიპატიჟა; ლუპა ძვალტყავად ქცეული კაცის მუხლებზე ჩასრიალდა, მბზინავი, მოყვითალო კულულები შეერხა თავზე, საფეთქლებზე, ნიკაპთან.

- ახლანდელი დროება არ მაშინებს, - ადრევე უთხრა მასპინძელმა სტუმარს. წყნარი ხმა მშვიდად იღვრებოდა, მაგრამ ზრდილობიან, უწყინარ საუბარში დროდადრო მტკიცე ნოტები ისმოდა, - რად ეღირებოდა ჩემი განათლება, - ლუპით ანიშნა წიგნებით სავსე კარადებზე, - თუ ცვლილებების გარდაუვალობას ვერ შევიცნობდი? მოვლენები იერს იცვლიან, გვინდა ჩვენ თუ არა. რატომ უნდა შევეცადოთ, არაფერი შევნიშნოთ, რატომ უნდა მოვთქვამდეთ წარსულზე? ნაკლებად მომქანცველია გაუთვალისწინებლის შეგუება! თუ გნებავთ, მას სხვა სახელი შევარქვათ. აი, თქვენ, სენიორ... მომიტევეთ, თქვენი ჩინი დამავიწყდა... დიახ, პოდპოლკოვნიკი... მე არ ვიცი, რა წარმოშობისა ბრძანდებით, რა მოწოდების კაცი ხართ... მაგრამ პატივს გცემთ, ვინაიდან ჩემს ვაჟიშვილთან იყავით მისი სიცოცხლის უკანასკნელ საათს... ჰოდა, აი, თქვენ, იმ

მოვლენათა მონაწილეს, შეგეძლოთ წინასწარ განგეჭვრიტათ, როგორ წარიმართებოდა შემდგომი მოვლენები? მე არაფერში არ ვმონაწილეობდი და მეც ვერ შევძელი. ალბათ, ჩვენი აქტიურობა და ჩვენი პასიურობა იმით ჰგვანან ერთმანეთს, რომ ორივე საკმაოდ ბეცია და უნიათო. თუმცა, ალბათ, ცოტაოდენი განსხვავება მაინც არსებობს... თქვენ როგორ მიგაჩნიათ? ბოლოს და ბოლოს...

სტუმარი თვალს არ აცილებდა მოხუცის ქარვისფერ თვალებს - მეტისმეტად უდრეკი თვალები ჰქონდა, რომ გულითადობის ატმოსფერო შეექმნა; მეტისმეტად მკაცრი, მამაშვილური სიყვარული რომ გამოეხატა. შესაძლოა, ბუნებრივი იყოს ეს მეფური მოძრაობები, მკვეთრი პროფილისა და ქათქათა წვერის კეთილშობილური იერი, ეს ზრდილობა და გულისყური. „თუმცა ეს ბუნებრიობაც შეიძლება მშვენივრად გაითამაშო“, - გაუელვა გუნებაში. განა არ ხდება, რომ ნიღაბი დიდებულად წარმოგვიდგენს სახეს, რომელიც არც დამოუკიდებლად არსებობს და არც ნიღბის ქვეშ. მაგრამ დონ გამალიელის ნიღაბი ისე ჰგავდა ნამდვილ სახეს, რომ სულში მღელვარება ძლიერდებოდა: მაინც სად არის ის გამყოფი ხაზი, ის მოუხელთებელი ჩრდილი, რომელიც შეძლებდა მათი ერთმანეთისგან გაცალკევებას. სტუმარი იმაზეც ფიქრობდა, რომ ოდესმე შეძლებდა და მოხუცს ყოველივეს დაუფარავად ეტყოდა.

ერთდროულად სახლის ყველა საათის რეკვა ატყდა და მასპინძელი ბიუროზე დადგმული აცეტილენის ლამპის ასანთებად ადგა. ბიურო ნელა გახსნა და რაღაც ქაღალდების თვალიერებას მოჰყვა. მერე ერთ-ერთი ხელში აიღო, სტუმრისკენ სანახევროდ შებრუნდა და ფურცელი სხვა ქაღალდებს ზემოდან დაადო. საჩვენებელი თითი მოხდენილად მიიტანა ყურთან: ძაღლი წკმუტუნით აფხაჭუნებდა კარს.

მოხუცი რომ შემოტრიალდა, სტუმარმა კვლავ სცადა, თავის ფიქრებში გარკვეულიყო. სენიორ ბერნალის ყოველი მოძრაობა მის კეთილშობილურ იერს ეხამებოდა: შეხეთ, როგორ ამაყად, როგორი დინჯი ნაბიჯით მიდის თმაშევერცხლილი მოხუცი კარისკენ. გულში ისევ მღელვარებამ გაჰკრა: მასპინძელი მეტისმეტად უზადოა. შესაძლოა, მისი თავაზიანობა მისი გულწრფელობის ბუნებრივი თანამგზავრია. ესეც არ მოსწონდა - მოხუცი

აუჩქარებლად მიემართებოდა კარისკენ, ძაღლი ყეფდა, - ბრძოლა ძალიან იოლი იქნება, დაუძაბავი. მაგრამ მაშინ რა, თუ თავაზიანობის მიღმა ბებრული ვერაგობა იმალება?

როდესაც სერთუკის კალთები ნაბიჯების კვალდაკვალ აღარ ირხეოდა, თეთრი თითები

ნაზად შეეხო კარის სპილენძის სახელურს, დონ გამალიელმა თავი მოატრიალა, სტუმარს თავისი ქარვის თვალები მიაპყრო და მარცხენა ხელით წვერი ალერსიანად ჩამოივარცხნა. თითქოს უცნობის აზრები ამოიკითხაო, ტუჩებზე ღიმილი გაუკრთა - გრძნეულის ღიმილი, თითქოს საიდუმლოს გამომჟღავნებას აპირებსო. სტუმარს უცბად მოეჩვენა, რომ ეს იყო უსიტყვო მოწოდება, გამხდარიყო მისი თანამოსაქმე, მაგრამ დონ გამალიელის მოძრაობა თუ ღიმილი იმდენად მსუბუქი და დახვეწილად მზაკვრული იყო, რომ თანამგრძნობი მზერით ვერ უპასუხა, რაც მათ უსიტყვო მოლაპარაკებას განამტკიცებდა.

მოსაღამოვდა. ლამპის ნაზ შუქზე წიგნების მოოქრული ყუები და ბიბლიოთეკის კედლების შპალერის ვერცხლისფერი ნაყშები აელვარდა. კარი რომ გაიღო, ოთახების გრძელი ანფილადა გამოჩნდა - ძველი სახლის მთავარი შესასვლელიდან ბიბლიოთეკამდე, შორენკეცებით მოგებული პატიოს თავზე გამწკრივებული, ერთმანეთს მიყოლებული ოთახები.

ძაღლი მხიარული წკმუტუნით მივარდა პატრონს და ხელი აულოკა. ძაღლის

კვალდაკვალ თეთრად მოსილი ქალიშვილი გამოჩნდა - ღამის სიბნელეში მკვეთრად აღიქმებოდა კაბის ეს სითეთრე.

ქალი ზღურბლთან შედგა. ძაღლი უცნობის ახლოს წრიალებდა, ხელებსა და ფეხებს უყნოსავდა. სენიორ ბერნალი ცდილობდა ძაღლისთვის წითელი ტყავის საყელურში ჩაევლო ხელი, იღიმებოდა და ბოდიშობდა. სტუმარს არაფერი ესმოდა. სამხედრო კაცის ზუსტი მოძრაობით სწრაფად შეიკრა ქურთუკის ღილები, მერე, თითქოს სალაშქრო მუნდირიაო, დაბლა ჩამოიქაჩა და სილამაზის წინაშე უხმოდ გაიჯგიმა.

- ჩემი ქალიშვილია, კატალინა.

ქალიშვილი არ შერხეულა, ფეხი არ გადმოუდგამს. ყარყარა კისერს სწორი, წაბლისფერი თმა უჩრდილავდა - კაცმა შორითვე შეიგრძნო ეს ყველაფერი. გაუბედავი თვალები - ერთდროულად მტკიცე და სათნოც - შუშის ორი ვეებერთელა წვეთის მსგავსი, მამის თვალებივით ყვითელი, მაგრამ უფრო გულუბრყვილო, ჯერ რომ არ იცოდნენ სიცრუე. მგონი, არც გაპობილი, ნამიანი ტუჩები ცრუობენ, არც ეს მაღალი, კაბაშემოტმასნილი მკერდი. თვალები, ტუჩები, მკვრივი და ნაზი მკერდი - თითქოს

ყველაფერი უმწეობისა და გამოწვევისაგან იყო შექმნილი. ტანკენარ ქალიშვილს ხელების თითები მუცელს ქვემოთ ერთმანეთისთვის ჩაეჭიდა. ოთახში რომ

გაიარა, უკან შეკრული კაბა თეთრი მსუბუქი ღრუბელივით აუფრიალდა და ლამაზი კოჭები გამოუჩნდა.

სტუმარმა მისი სახის ოქროსფერი დაინახა, ლოყებსა და შუბლზე ოდნავ ჩამუქებული, კისერზე ისევ განათებული. ქალიშვილის გამოწვდილი ხელის შეხებისას სტუმარი ცდილობდა, შეეგრძნო მისი ხელისგულის სინესტე, ფარული მღელვარება, მაგრამ ამაოდ.

- როგორც გითხარი, სენიორი შენი ძმის გვერდით იყო, სანამ დასჯიდნენ.

- ღმერთმა შეიწყალა სენიორი.

- გონსალომ მიამბო თქვენზე, მთხოვა, მენახეთ. თქვენი ძმა ბოლომდე ვაჟკაცურად იქცეოდა.

- ჩემი ძმა გულადი სულაც არ გახლდათ. ძალიან უყვარდა ყველაფერი ეს.

ქალიშვილმა ხელი გულთან ახლოს მიიტანა და ჰაერში პარაბოლა შემოხაზა.

- იდეალისტი იყო, ჰო, დიდი იდეალისტი, - დაიჩურჩულა მოხუცმა და ამოიოხრა, - სენიორი ჩვენთან ივახშმებს.

ქალიშვილმა მამას ხელკავი გამოსდო. ის კი ძაღლის თანხლებით მათ კვალს მიჰყვა. გაიარეს ფაიფურის ლარნაკებითა და სკამებით, საათებითა და მინის კარადებით, გორგოლაჭებიანი სავარძლებითა და წმინდა წერილის სიუჟეტებზე შექმნილი იაფფასიანი, მაგრამ დიდი სურათებით გატენილი ნესტიანი ოთახები. მაგიდებისა და სავარძლების მოოქრულ ხის ფეხებს დაეხაზა ხის იატაკი. ყველა ლამპა ჩაექროთ. მხოლოდ სასადილოში შუშისმძივებიანი უზარმაზარი ჭაღი აშუქებდა წითელი ხის მძიმე ავეჯს და ნატიურმორტს, რომელზეც თიხის დოქები და ელვარე ტროპიკული ხილი იყო გამოხატული. დონ გამალიელმა ხელსახოცი მოუქნია ქინქლას, ლარნაკზე დაწყობილ ნამდვილ ხილს რომ დახვეოდა, თუმცა არცთუ ისეთი თვალწარმტაცი ხილი გახლდათ, როგორიც სურათზე იყო დახატული და ხელის მოძრაობით სტუმარი სუფრასთან მიიწვია.

ქალიშვილის წინ დაჯდა და, როგორც იქნა, პირდაპირ შეხედა მის მწყაზარ თვალებს. ნეტავ თუ იცის სტუმრობის მიზეზი? მამაკაცის თვალებში თუ ამოიკითხა გამარჯვების რწმენა, რასაც კიდევ უფრო შეურყეველს ხდიდა ქალის იქ ყოფნა? ხედავდა თუ არა მისი ბედის გადამწყვეტ, ოდნავ შესამჩნევ ღიმილს? შენიშნა თუ არა მესაკუთრის დაუფარავი სურვილი? ქალიშვილის თვალებმა უცნაური რამ ამცნეს: მათში ბედისადმი მშვიდი მორჩილება იხატებოდა - თითქოს ყველაფერზე თანახმა იყო, მაგრამ ამავე დროს შეეძლო თავისი ხათრიანობა იარაღად ექცია და დაემარცხებინა მამაკაცი, რომელიც აი, ასე, უსიტყვო ღიმილით ცდილობდა მის მოპოვებას.

ქალიშვილს თავადვე აკვირვებდა საკუთარი სისუსტის ძალა, ვაჟკაცობა, რითაც თავის დამარცხებას იტანდა. გამომწვევად დაიწყო სტუმრის ძლიერი სახის

თვალიერება. უჭირდა მისი მწვანე თვალების მზერას გაჰქცეოდა. არა, ლამაზი სრულიად არ არის, მაგრამ იმის გაფიქრებამ, რომ შეიძლებოდა უცნობის ამ შავგვრემან სახეს შეხებოდა, შეხებოდა საფეთქლებზე ნერვიულად მთრთოლარე სისხლძარღვებს, მოხდენილ, დაკუნთულ სხეულს და მსხვილ ტუჩებს, ქალი საოცრად ააღელვა. სტუმარმა მაგიდის ქვეშ ფეხი გაშალა და ქალიშვილის ფეხსაცმლის წვერს შეეხო. ქალიშვილმა თვალები

დახარა, მამას ცერად გადახედა და ფეხი გასწია. სტუმართმოყვარე მასპინძელი ძველებურად კეთილად იღიმებოდა და თითებში პატარა სასმისს ატრიალებდა.

ოთახში ბრინჯიანი ქვაბით ხელში მოხუცი ინდიელი მოახლე შემოვიდა. მისმა შემოსვლამ სიჩუმეს ზღვარი დაუდო და დონ გამალიელმა სიტყვა ამინდზე ჩამოაგდო, წლეულს გვალვიანობა უფრო ადრე დამთავრდა, ვიდრე შარშან. საბედნიეროდ, მთებში უკვე ღრუბელი ჩამოწვა და, როგორც ეტყობა, გვარიანი მოსავალი გვექნება, იქნებ ისეთი არა, როგორიც შარშან, მაგრამ მოსავალს კარგი პირი უჩანსო.

- საინტერესო ამბავია, - განაგრძო ისევ დონ გამალიელმა, - ჩვენი ძველი სახლი ერთთავად ნესტიან სიგრილეს ინარჩუნებს. ჩრდილიანი მხარეები ნესტიანდება, პატიოში გვიმრა და კოლორინიც[18] კი ამოდის. ეს, ალბათ, ფრიად სიმბოლურია იმ ოჯახისთვის, რომელიც მიწის ნაყოფის წყალობით მრავლდებოდა და მდიდრდებოდა. პუებლას ველზე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ფესვგადგმული ოჯახისთვის, - მოხუცი ბრინჯს ჭამდა, ჩანგლით მოხდენილად აგროვებდა თითოეულ მარცვალს, - ოჯახისათვის, რომელმაც გადაიტანა ქვეყნის ყველა აბსურდული პერიპეტია, რომელიც სიმშვიდეს ვერ იტანს და კრუნჩხვებით გრეხა ურჩევნია.

- ხანდახან მეჩვენება, რომ სასოწარკვეთა გვეუფლება, თუ სისხლისა და სიკვდილის ხილვა დაგვიგვიანდა. თითქოს მხოლოდ ნგრევის ქაოსში, დახვრეტის მუქარის შიშში შეგვიძლია ვიცხოვროთ, - თავისი ალერსიანი ხმით განაგრძობდა დონ გამალიელი - მაგრამ არასოდეს ამოწყდება ჩვენი მოდგმა, ვინაიდან ვისწავლეთ, როგორ გადავრჩეთ, ვისწავლეთ...

მასპინძელმა სტუმრის სასმისი აიღო და სქელი ღვინით აავსო.

- მაგრამ გადარჩენისათვის საფასურია საჭირო, - მკაცრად შენიშნა მან.

- ყოველთვის შეიძლება ხელსაყრელი გარიგება...

დონ გამალიელმა ქალიშვილის სასმისი შეავსო და ხელზე მიუალერსა.

- ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ ფრთხილად, თავაზიანად მოიქცევი. არ არის საჭირო ვინმეს შეწუხება, კეთილშობილური გრძნობების შეურაცხყოფა... ღირსება არ უნდა შეულახო.

იგი ისევ შეეხო ქალიშვილის ფეხს. ამჯერად კატალინამ ფეხი არ გასწია. სასმისი აიღო და სტუმარს ნირშეუცვლელად მიაჩერდა.

- სხვადახვა საგანი არ უნდა აურიო ერთმანეთში, - წყნარად განაგრძობდა მოხუცი, თან ტუჩებს ხელსახოცით იწმენდდა, - ვთქვათ, საქმე ერთი ამბავია, რელიგია კი მეორე.

„თქვენ იფიქრებთ, როგორი მორწმუნე კაცია, ალბათ, რა ხშირად ეზიარება ქალიშვილთან ერთადო... მაგრამ ყველაფერი, რაც გააჩნია - მღვდლებს მოჰპარა, როცა ხუარესმა ეკლესიის ქონება გაყიდა და ყოველ ვაჭრუკანას, ვისაც ცოტაოდენი ფული მოეძევებოდა, შეეძლო უზარმაზარი ადგილ-მამულის შეძენა“).

დონ გამალიელ ბერნალის სახლში გამოჩენამდე კრუსმა პუებლაში ექვსი დღე გაატარა. პრეზიდენტმა კარანსამ არმია დაითხოვა, კრუსს პარალესში გონსალო ბერნალთან საუბარი გაახსენდა და პუებლას მიაშურა. იგი წმინდა ინსტინქტით ხელმძღვანელობდა, დარწმუნებული იყო, რომ დიდი ამბავია ამ რევოლუციით განადგურებული, ყირამალა ამოტრიალებულ სამყაროში ვიღაცის გვარის, მისამართის, ქალაქის ცოდნა, სასაცილოდ მიაჩნდა ბედის ირონია, რომ დახვრეტილი გონსალო

ბერნალი კი არ მივიდა პუებლაში, არამედ თვითონ იგი. ეს რაღაც მასკარადს ჰგავდა, მოტყუებას, კომედიას, რომლის გათამაშებაც მთელი სერიოზულობით შეიძლებოდა. ამავე დროს ეს იყო ცხოვრების საგზური, გადარჩენისა და სხვათა ხარჯზე საკუთარი პოზიციის გამაგრების შანსი. ჩოლულის გზით პუებლას რომ უახლოვდებოდა, ველზე შორიდანვე შენიშნა სახურავების წითელ-ყვითელი სოკოები და მოეჩვენა, თითქოს აქეთ მარტო კი არ მოდიოდა, არამედ წყვილად - მოკლულის სულთან ერთად, გონსალო ბერნალის ბედთან ერთად, იმ უცხო ბედთან, რომელიც მის საკუთარს ასე მჭიდროდ გადანასკვოდა. თითქოს სიკვდილის წინ ბერნალმა თავისი დაუმთავრებელი სიცოცხლის ყველა საშუალება მას გადასცა. ვინ იცის, იქნებ სხვათა სიკვდილი ახანგრძლივებს ჩვენს სიცოცხლესო, გაიფიქრა მან. მაგრამ პუებლაში იმისათვის არ მისულა, რომ ფიქრი დაეწყო.

- წლეულს მოხუცს ერთი მარცვალიც არ აუღია. არც გასესხებული დაუბრუნებიათ, რადგან შარშან გლეხები აჯანყდნენ და ყამირი მიწების ხვნა დაიწყეს. გააფრთხილეს, თუ დაუმუშავებელ მიწებს არ მოგვცემ, შენს მინდვრებს არ დავთესავთო. მოხუცს სიამაყე მოერია, გლეხებს უარი უთხრა და უხორბლოდ დარჩა. უწინ მემამულე მოჯანყეებს ფრჩხილით გასრესდა, ახლა ისე აღარ არის... დრო შეიცვალა...

- ამას სხვა რამეც დაემატა. მევალეები ფეხს არ იცვლიან, ახალ ვალებს არ ცნობენ. ამბობენ, ისეთი პროცენტები აიღო, ყველაფერი ერთი-ორად აინაზღაურაო. ხედავთ, პოლკოვნიკო? ყველას სჯერა, რომ ახლა დიდი ცვლილებები მოხდება.

- დიახ, მოხუცი კი ვირზე შეჯდა, თავის სიტყვას არ გადადიოდა. ისეთი გაქირია, მოკვდება და არავის არაფერს დაუთმობს.

კამათლით თამაშისას ბოლო პარტია წააგო. მხრები აიჩეჩა და მედუქნეს გასძახა, სასმისები ისევ შეავსეო. გამასპინძლებისათვის ყველამ მადლობა გადაუხადა.

- ვისა აქვს მაგ დონ გამალიელის ვალი?

- ეეჰ... ვის არა აქვს-თქო, უნდა იკითხო.

- ვინმე ახლო მეგობარი, თავისი კაცი თუ ჰყავს?

- ცხადია, ჰყავს - მამა პაესი, აქვე, ახლოს ცხოვრობს.

- კი მაგრამ, მოხუცმა ეკლესიაზე მოითბო ხელი?

- ეეჰ... წმინდა მამამ დონ გამალიელს სამარადისო ხსნა მოუპოვა, დონ გამალიელმა კი იგი ჩვენს ცოდვილ მიწაზე იხსნა.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, მზემ თვალი მოსჭრათ.

- როგორ დაიბადება ამისთანა სილამაზე! იზრდება, ყვავის - არც საზრუნავი, არც დავიდარაბა!

- ვინ არის ეს ქალიშვილი?

- როგორ ვინ არის, პოლკოვნიკო... სწორედ იმ დონ გამალიელის ასულია.

კაცი ჭადრაკის დაფისმაგვარ პატარა ქალაქის ძველ ქუჩებში დადიოდა და თავისი ფეხსაცმლის წვერს დასცქეროდა. როდესაც ქვაფენილზე ქუსლების რაკარუკი შეწყდა და ფეხები მშრალ ნაცრისფერ მტვერში ჩაეფლო, მის თვალთა წინ სათოფურიანი,

კედლით შემოზღუდული ძველი მონასტერი აღიმართა. ფართო ესპლანადას შემოუარა და მყუდრო, გრძელ, მოოქრულ ნეფში შევიდა. ისევ გაისმა ნაბიჯების ყრუ ექო. პირდაპირ საკურთხევლისკენ გაემართა.

გეგონებოდათ, მღვდლის სუსტ, ჩამკვდარ ნაცრისფერ სხეულს, ფართო ყვრიმალებზე გადმომსხდარ, ნახშირივით შავ თვალებს სული ძლივს უდგასო. მამა პაესმა, როგორც კი ეკლესიის ნეფში შემოსული უცნობი შენიშნა და მექსიკიდან ლიბერალური რესპუბლიკის დროს გამოქცეულ მონაზონთა მიერ აგებული ძველებური მაღალი პატრონიკედან შეათვალიერა, მაშინვე იცნო მუდამ ფხიზლად ყოფნას, ბრძანებებსა და შეტევებს ჩვეული სამხედრო პიროვნება. მხოლოდ ოდნავ გადრეკილი ფეხები როდი მეტყველებდა ამაზე. რაღაც იმპულსური ძალა იგრძნობოდა მუშტად შეკრულ ხელში, რომელიც სადავისა და რევოლვერის ტრიალს იყო ჩვეული. კაცი ხეირიანად არც დაენახა, მაგრამ მამა პაესმა შეავლო თუ არა თვალი ამ მაგარ მუშტს, უმალვე იგრძნო მისი თავზარდამცემი ძალა. ამისთანა კაცი აქ სალოცავად არ მოვიდოდაო, - გაიფიქრა

თავის მყუდრო კუთხეში მდგარმა მღვდელმა. შემდეგ სუტანა აიწია და დაცარიელებული ძველი მონასტრის ხვეული კიბით ნელ-ნელა ძირს ჩამოსვლა იწყო.

ფრთხილად, საფეხურ-საფეხურ ჩამოდიოდა მამა პაესი, შავი სამოსი აეკალთავებინა. მხრებში თავჩარგული ფერმკრთალ, უსისხლო სახეზე ანთებული შავი თვალებით სიბნელეს ხვრეტდა. საფეხურები სასწრაფოდ უნდა შეეკეთებინათ. მის წინამორბედს 1910 წელს ამ საფეხურზე დაუცდა ფეხი და კისერი მოიტეხა. მაგრამ რემიხიო პაესი, თითქოს მფრინავი ღამურააო, მზერით სწვდებოდა ამ შავი, ნესტიანი, საშინელი ჭის ყველაზე ბნელ კუნჭულებს. სიბნელე და საფეხურებზე ჩამოსვლის საფრთხე ამახვილებდა მის ყურადღებასა და აზრებს: სამოქალაქოდ გადაცმული სამხედრო უჯარისკაცებოდ, ეკლესიაში? დიახ, ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვანი ამბავია, რომ უკვალოდ ჩაიაროს. მღვდელმა იცოდა, ეს ასე იქნებოდა. გარდაივლიან ბრძოლები, ძალადობა, მკრეხელობა - გაახსენდა, რომ ორი წლის წინ ბანდამ გაზიდა მთელი საეკლესიო შესამოსელი და ჭურჭელი - მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ურყევი ეკლესია ისევ იპოვის საერთო ენას სამოქალაქო ხელისუფლებასთან. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სამხედრო... მოსული კენტად...

მამა პაესი ჩამოდიოდა, ხელით ოდნავ ეხებოდა სინესტისაგან გაჯირჯვებულ კედელს, რომელზეც შავ ზოლებად მოჟონავდა წყალი და გაიფიქრა: „მალე წვიმიანობა დაიწყება.

მთელი ჩემი გავლენა უნდა გამოვიყენო, მრევლს ამბიონიდან და სააღსარებოში შთავაგონო, რომ უდიდესი ცოდვა და მკრეხელობაა ბუნების ნობათის უარყოფა, არავის შეუძლია განგების დაწესებულს წინ აღუდგეს. რაკი განგებამ ასე დააწესა, ამას ყველა უნდა შეეგუოს. ყველამ უნდა მოხნას მიწა, აიღოს მოსავალი, მიწის ნაყოფი კანონიერ პატრონს მიუტანოს, კეთილ ქრისტიანს, რომელიც თავისი უპირატესობის სანაცვლოდ წმინდა დედაეკლესიას მუდამ აძლევს შემოსავლის მეათედს. უფალი სჯის მეამბოხეთ, ხოლო ეშმაკს მუდამ ამარცხებენ მთავარანგელოზები: რაფაელი, გაბრიელი, მიქაელი გამალიილი... გამილიილი...“

„- მამაო, ეს არის სამართლიანობა?

- უმაღლეს სამართლიანობას, შვილო ჩემო, იქ იპოვი, ზეცაში. ამქვეყნიურ ჭირ-ვარამში ნუ ეძიებ“).

- სიტყვები, - ბურტყუნებდა მღვდელი, ბოლოს ამოისუნთქა, როცა ფეხი მყარ იატაკს დაადგა და სამოსლიდან მტვერი ჩამოიფერთხა, - სიტყვები, მარცვალთა წყეული კრიალოსანი, ადამიანთა სისხლისა და გონების აღმგზნები; ადამიანები კი იმას უნდა

დასჯერდნენ, რომ სწრაფად გაივლის სიცოცხლე და სიკვდილით გამოცდის ჯილდოდ სამუდამოდ დატკბებიან სამოთხით, - მღვდელმა გადახურული

დერეფანი გაიარა და გრძელ თაღედს გაუყვა. სამართლიანობა! ვისთვის? დიდი ხნით? სიცოცხლე მაშინ მოეწონება ყველას, როცა ყველა შეიგნებს საკუთარი თავის დაძლევის გარდაუვალობას და არ დაიწყებს უკეთესის ძიებას, ჯანყს, არ შეყოფს ცხვირს იქ, სადაც საჭირო არ არის...

- სწორედ რომ, სწორედ რომ... - ჩუმად გაიმეორა მამა პაესმა და საეკლესიო სალაროს ინკრუსტირებული კარი შეაღო.

- დიდებული ნამუშევარია, ხომ მართალია? - თქვა მღვდელმა, საკურთხეველთან მდგარ მაღალ კაცს რომ უახლოვდებოდა, - მონაზვნები ინდიელ ხელოსნებს ესტამპებსა და გრავიურებს აჩვენებდნენ, ისინი კი თავიანთი გემოვნებით ქმნიდნენ ქრისტიანულ წმინდანებს... ამბობენ, ყოველ საკურთხეველში კერპია შემალულიო. ასეც რომ იყოს, მაინც კეთილი კერპი იქნება, რომელსაც უკვე კერპთაყვანისმცემელთა ღმერთებივით სისხლი აღარ სწყურია...

- თქვენ პაესი ხართ?

- რემიხიო პაესი, - უპასუხა მღვდელმა, თან ძალად გაიღიმა. - თქვენ გენერალი ხართ, პოლკოვნიკი თუ მაიორი?

- უბრალოდ, არტემიო კრუსი.

- ჰოო.

ეკლესიის კარიბჭესთან პოდპოლკოვნიკი და მღვდელი ერთმანეთს რომ დაემშვიდობნენ, პაესმა ხელები მუცელზე დაიწყო და დიდხანს გასცქეროდა სტუმარს. დილის გამჭვირვალე ლაჟვარდში უფრო მკვეთრად ისახებოდა, უფრო მჭიდროდ ეკვროდა ერთმანეთს ორი ვულკანი: მძინარე ქალი და მისი ერთადერთი მცველი - იკსტაკსიუატლი და პოპოკატეპეტლი.[19] მღვდელმა თვალები მოხუჭა - მაინც რა აუტანელი გამჭვირვალე სინათლეა! - მერე კი შვებით ამოისუნთქა, როცა შორეულ შავ ღრუბლებს შეხედა, მალე რომ მორწყავდნენ ველს და ყოველ საღამოს ნაცრისფერი წვიმებით ჩააქრობდნენ მზეს.

მღვდელი მოტრიალდა და ისევ ტაძარში შევიდა. ხელები მოიფშვნიტა. არ ღირს ამ ბრიყვის ყოყოჩობასა და შეურაცხმყოფელ სიტყვებს კაცმა ყურადღება მიაქციოს. თუკი ვინმეს შეუძლია მდგომარეობა გამოასწოროს და დონ გამალიელს საშუალება მისცეს დარჩენილი სიცოცხლე საიმედო მფარველობით უზრუნველყოფილმა გაატაროს, მაშინ რემიხიო პაესი, ღვთისმსახური, თვალთმაქცური აღფშოთებითა და ფარისევლური ფანატიზმით ხელს არ შეუშლის. პირიქით. მღვდელმა ტუჩებიც კი მოილოკა სიამოვნებისაგან, როცა გაიფიქრა, თუ რა ბრძნული იყო მორჩილება, თუკი იმ კაცს არ უნდა თავისი სიამაყე დათმოს, თვითონ პაესი მზადაა წყნარად დახაროს თავი და ყოველდღე უსმინოს, ზოგჯერ კვერიც დაუკრას, თითქოსდა ეთანხმებოდეს იმ ბრალდებას, რასაც ეს მდაბიო ეკლესიას უყენებს.

მღვდელმა თავი ასწია. მარჯვენა ხელი ტილოზე გაუშეშდა, რომელზეც შალის ძაფით მონდომებით ამოექარგათ ჭრელი ყვავილები. სამი წლის წინ ამბავი მოუვიდათ: გონსალო მოკლესო. მას შემდეგ მამა და ქალიშვილი ძალიან დაახლოვდნენ. საღამოობით პატიოში წნულ სავარძელში ჩამსხდარნი აუჩქარებლად მუსაიფობდნენ. ამ საუბარს მხოლოდ სულიერი სიმშვიდე როდი მოჰქონდა, იგი ჩვეულებად ექცათ.

როგორც მოხუცი ამბობდა, ამას სიკვდილამდე ვერაფერი შეუცვლიდა. რა ვუყოთ, თუ უწინდებური ძალა და სიმდიდრე აღარ აქვს. იქნებ ეს დროებისა და სიბერის გარდაუვალი ხარკია. დონ გამალიელი პასიურ ბრძოლაზე გადავიდა. დიახ, გლეხები არ უნდა შევავიწროო, მაგრამ არც მიწების უკანონო მისაკუთრების მოთმენა შეიძლება. არავინ ითხოვს ვალისა და პროცენტების დაბრუნებას. მაგრამ ამის შემდეგ მისგან ერთ სენტავოსაც ნუღარ მოელიან. მოხუცი ფიქრობდა, რომ ოდესმე ჩოქვით მიხოხდებოდნენ მასთან, გაჭირვება ბოლოს და ბოლოს დათრგუნავდა გლეხებს. თავისაზე მტკიცედ იდგა. ახლა კი... უცბად ეს უცნობი მობრძანდა და ყველა გლეხს აღუთქვა, ფულს, დონ გამალიელი რომ გაძლევდათ, იმაზე ბევრად ნაკლები პროცენტით გასესხებთო. ეგ კი არა, ისიც კი გაუბედავს და მოუნდომებია, რომ ძველი მემამულის უფლებები მუქთად გადავიდეს მის ხელში, რისთვისაც მევალეებისაგან მიღებული თანხის მეოთხედს ჰპირდება, სხვა პირობებს არ თანხმდება.

- მაგრამ მისი მადა ამას დასჯერდება.

- შენ გგონია, მიწა?..

- დიახ, ეჭვი არ შეგეპაროს, ეგ რაღაცას აწყობს, რომ მიწა წამართვას.

ქალიშვილმა პატიო შემოიარა და როგორც ყოველ საღამოს აკეთებდა, ჩიტების გალიებს ტილოს საფენები გადააფარა, მზის ჩასვლამდე უკანასკნელად დატკბა მკვირცხლი სენსონტლებისა[20] და მეჟოლიების ჭიკჭიკით, სელის თესლს რომ კენკავდნენ.

ასეთ სიურპრიზს მოხუცი არ ელოდა: ეს იყო ადამიანი, ვინც გონსალო უკანასკნელად ნახა, ვინც მასთან იჯდა საკანში, ვისაც გადასცა სიკვდილისწინა სიტყვები, სიყვარულს რომ უთვლიდა მამას, დას, ცოლსა და შვილს.

- მითხრა, სიკვდილის წინ გონსალო ლუისასა და შვილზე ფიქრობდაო.

- მამა, ჩვენ ხომ შევთანხმდით...

- არა, მე არაფერი მითქვამს. მან არ იცის, რომ ლუისა ისევ გათხოვდა და ახლა ჩემი შვილიშვილი სხვა გვარს ატარებს.

- სამი წელია ეს ამბავი არ გაგიხსენებია. ახლა რაღად?

- შენ მართალი ხარ, მაგრამ ჩვენ ხომ ვაპატიეთ გონსალოს, ხომ მართალია? მგონი, გონსალოს უნდა ვაპატიოთ მტრის მხარეს გადასვლა. ჩვენ უნდა შევეცადოთ გავუგოთ მას...

- მე დიდი ხანია, მგონია, რომ ჩვენ ყოველ საღამოს უხმოდ მივუტევებთ მას.

- ჰო, ჰო, სწორედ ეგრეა, შენ ჩემი უსიტყვოდ გესმის, რა კარგია! შენ ჩემი გესმის...

ამიტომ როცა საშინელი და დიდი ხნის ნალოდინევი სტუმარი მოვიდა - ხომ უნდა მოსულიყო ოდესმე ვინმე და ეთქვა: „მე იგი ვნახე. ვიცნობდი მას. იგი თქვენზეც მელაპარაკებოდა“, - მოვიდა და მაგიდაზე თავისი კოზირი დააგდო, გლეხთა ამბოხი და გადაუხდელი ვალებიც კი არ უხსენებია. დონ გამალიელმა სტუმარი ბიბლიოთეკაში შეიყვანა, მოუბოდიშა და თითქმის გაიქცა - თუმცა მუდამ მიაჩნდა, რომ აუჩქარებლობა და მოხდენილობა ძმები იყვნენ - კატალინას ოთახისაკენ.

- გამოეწყვე, შავი კაბა გაიხადე და რამე უფრო ლამაზი ჩაიცვი. საათი როგორც კი შვიდს დარეკავს, ბიბლიოთეკაში მოდი.

მოხუცს მეტი არაფერი უთქვამს. ქალიშვილი დაუჯერებს. ამის საწინდარია მათი მეგობრული საუბრები საღამოობით. იგი გაიგებს. თამაშში მხოლოდ ერთი წაუგებელი კარტი რჩება. საკმარისი იყო, დონ გამალიელს ის კაცი დაენახა, რომ მისი შინაგანი ძალა ეგრძნო და მიმხვდარიყო ან საკუთარი თავისთვის ეთქვა, რომ ყოველგვარი გაჭიანურება თვითმკვლელობა იქნება, რომ ძნელია მას გაუმკლავდე, რომ მსხვერპლი არც ისე დიდია და, საერთოდ, არც ისე ძალიან საშინელი. მამა პაესმა უკვე აღუწერა: გამჭოლი, მწვანეთვალება, მაღალი, ენერგიული, სიტყვაძუნწი კაცი. ეს არტემიო კრუსი იყო.

არტემიო კრუსი. აი, თურმე როგორ იწოდება ახალი სამყარო, რომელიც სამოქალაქო ომმა წარმოშვა! აი, რა ჰქვიათ იმათ, ვინც ძველის შემცვლელად მოვიდნენ. „უბედური ქვეყანა, - ფიქრობდა მოხუცი, ჩვეულებისამებრ ნელი ნაბიჯით რომ ბრუნდებოდა ბიბლიოთეკაში ამ უსიამო, მაგრამ საინტერესო სტუმართან, - უბედური ქვეყანაა, ყოველი ახალი თაობის გამოჩენისთანავე ძველი მიმართულებები უნდა დაამხოს და ახალი პატრონებით შეიცვალოს, ისეთივე მტაცებელი და ძალაუფლების მოყვარე პატრონებით, ძველები რომ იყვნენ“.

მოხუცი მემამულე საკუთარ თავს კრეოლური ცივილიზაციის - განათლებული დესპოტების ცივილიზაციის უკანასკნელ და დამახასიათებელ წარმომადგენლად თვლიდა. მას მოსწონდა ხანდახან მკაცრი, მაგრამ ნიადაგ მზრუნველი მამის ტრადიციული, კარგი გემოვნების, თავაზიანობისა და კულტურის მკაცრი დამცველის როლის თამაში. ამიტომ შეიყვანა სტუმარი ბიბლიოთეკაში. იქ განსაკუთრებულად აღიქმებოდა პატივისცემისა და თაყვანისცემის ღირსი იმ დროის სულისკვეთება, რომლის ნაყოფი და

განსახიერება დონ გამალიელი გახლდათ. მაგრამ სტუმარზე ამან არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა.

დაკვირვებულ მოხუცს, ახლა სავარძლის ტყავის საზურგეზე თავი რომ გადაეგდო და მოწინააღმდეგის უკეთ დასანახავად თვალები მოეწკურა, არ გამოჰპარვია, რომ მის წინ იდგა კაცი, რომელსაც ომის ქარცეცხლში გამობრძმედილი ცხოვრების ახალი პრინციპები ჰქონდა, ვინაიდან დასაკარგი არაფერი დარჩენოდა. თავისი მოსვლის ნამდვილი მიზანი არც უხსენებია. დონ გამალიელმა უსიტყვოდ მოუწონა ასეთი საქციელი, იქნება სტუმარსაც აქვს აუცილებელი თავაზიანობა. თუმცა უფრო ძლიერი განზრახვა ამოქმედებს, პატივმოყვარეობაც - მოხუცმა გაუღიმა ამ სიტყვას, მისთვის

უკვე ფასდაკარგულს - და იმის მოუთმენელი სურვილი, რათა ახლავე დაეუფლოს მსხვერპლს, ბრძოლის ჭრილობების (შუბლზე მათრახის კვალი აჩნდა) ფასად მოპოვებულ უფლებებს. მოსაუბრის ყოვლისმთქმელი მზერა და მჭიდროდ მოკუმული ტუჩები მეტყველებდნენ, რომ არ ცდებოდა მოხუცი, რომელიც თითებში ლუპას ატრიალებდა.

სტუმარს წარბიც არ შესტოკებია, როდესაც დონ გამალიელი ბიუროსთან მივიდა და ქაღალდის ფურცელზე ჩამოწერილი მოვალეთა სია აიღო. „მით უკეთესი, ესე იგი, მალე იპოვიან საერთო ენას, უსიამოვნო ლაპარაკს აიცილებენ. ღვთის შეწევნით, იქნებ ყველაფერი წყნარად და წესიერად მოგვარდეს. როგორც ეტყობა, ამ ჭაბუკმა სამხედრომ ძალაუფლებას უკვე გაუსინჯა გემო“, - ფიქრობდა დონ გამალიელი. იმის გაფიქრებაზე, რომ წინ თავისი მემკვიდრე ედგა, ისე მწარედ აღარ ეჩვენებოდა ის დათმობები, რასაც ცხოვრება აიძულებდა.

- დაინახეთ, როგორ მიყურებდა? - აფეთქდა ქალიშვილი, როდესაც სტუმარმა მშვიდობის ღამე უსურვა და წავიდა, - მიხვდით, რა უნდა და როგორი... ბილწი თვალები აქვს?

- ჰო, ჰო, - ნაზად გადაუსვა მამამ ქალიშვილის ხელს ხელი, - გასაკვირიც არაფერია. შენ ძალიან ლამაზი ხარ, მაგრამ ისიც არის, რომ ძალიან იშვიათად გადიხარ სახლიდან. გასაკვირი არ არის.

- ჰოდა, არც არასდროს გავალ!

დონ გამალიელმა ნელა მოუკიდა სიგარას. თუთუნმა დიდი ხანია გაუყვითლა ხშირი ულვაში და წვერი.

- მე მეგონა, შენ მიხვდებოდი.

დონ გამალიელი წნულ სავარძელში ოდნავ შეირხა და ცას ახედა. ზაფხულის ერთ-ერთი უკანასკნელი ღამე იდგა. ცის თაღი ისეთი სუფთაა, თვალს თუ მოწკურავ, თითოეული ვარსკვლავის ფერს გაარჩევ. ქალიშვილმა ავარვარებულ ლოყაზე მიიდო ხელი.

- პადრემ რა გითხრათ? ეგ ხომ ერეტიკოსია, არც ღმერთი სწამს, არც ხატი... და თქვენ მაგისი ზღაპრების გჯერათ?

- დამშვიდდი. ბედნიერებას ყოველთვის როდი სჭირდება ღვთის კურთხევა.

- თქვენ მაგისი ზღაპრებისა დაიჯერეთ? რატომ დაიღუპა გონსალო, ეგ სენიორი კი გადარჩა? თუკი ორივეს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და ერთ საკანში ისხდნენ, რატომ ორივე არ დაიღუპა? მაგან ტყუილი გვითხრა, ზღაპარი შეთხზა, რომ თქვენ გული აგიჩუყოთ, მე კი...

დონ გამალიელი აღარ ირწეოდა. ყველაფერი ისე კარგად ეწყობოდა, წყნარად, მშვიდად! ახლა კი ქალის ალღო ისევ იქით აბრუნებდა, რაზეც უკვე ბევრი იფიქრა, აწონ-დაწონა და უკუაგდო, როგორც უვარგისი.

- ოცი წლის ასაკში წარმოსახვა გაქვთ განვითარებული, - დონ გამალიელი წამოიწია და სიგარა ჩააქრო, - აბა, სიმართლე თუ გინდა, გეტყვი, - ამ კაცს შეუძლია გადაგვარჩინოს. მეტს ვერაფერს დავუმატებ ნათქვამს...

მოხუცმა ამოიოხრა და ორივე ხელი ქალიშვილის ხელებს შეახო.

- მამაშენის უკანასკნელ წლებზეც იფიქრე. იქნებ არ დამიმსახურებია, რომ ცოტაოდენი...

- დაიცა, მამა, განა რას ვამბობ...

- შენს თავზეც იფიქრე.

ქალიშვილმა თავი ჩაჰკიდა.

- დიახ, მესმის. მე ვიცოდი... რაღაც ამგვარს ველოდი მას შემდეგ, რაც გონსალო შინიდან წავიდა. ის რომ ჩვენთან ყოფილიყო...

- მაგრამ იგი აღარ არის.

- ჩემი ძმა ჩემზე არ ფიქრობდა. ვინ იცის, რა უტრიალებდა თავში.

ქალიშვილი ძველი სახლის ცივ დერეფანში სინათლის ზოლებს მიჰყვებოდა, - დონ

გამალიელს ლამპა თავს ზემოთ აეწია, - და ცდილობდა დიდი ხნის მივიწყებული, მიფერფლილი სახეები მეხსიერებაში აღედგინა. გაახსენდა გონსალოს სკოლის ამხანაგების დაძაბული, გაოფლიანებული სახეები. უკანა ოთახში გამართული დაუსრულებელი დისკუსიები. გაახსენდა ძმის - ამ მანიაკის შეშლილი თვალები, რომელიც თითქოს ღრუბლებში დაფრინავდა, მაგრამ კომფორტიც უყვარდა, გემრიელი საჭმელიც, ღვინოც, წიგნებიც და ხანდახან გააფთრებული კიცხავდა საკუთარ თავს, რომ გემრიელი საჭმელები და კომფორტი უყვარდა. გაახსენდა გულჩათხრობილი რძალი ლუისა, ძმისა და რძლის ხმამაღალი დავა, მისი გამოჩენისთანავე რომ ჩაცხრებოდა ხოლმე.

გონსალოს ცოლის უცნაური, ხარხარის მსგავსი ტირილი, როდესაც მისი დაღუპვის ამბავი მოვიდა. ერთხელ დილით, ჯერ კიდევ ყველას რომ ეძინა, ლუისას გაპარვა სახლიდან. არ ეძინა მხოლოდ კატალინას და ფანჯრის ფარდის მიღმა ხედავდა, თუ როგორ სტაცა იდაყვში ხელი ლუისას ვიღაც ქვაბქუდიანმა მამაკაცმა, ხელში საბჯენი ჯოხი რომ ეჭირა და ბავშვთან ერთად ჩასვა შავ ეტლში, სადაც უკვე ქვრივის სკივრები ეწყო.

ერთი გამოსავალიღა რჩებოდა: შური ეძია ძმის სიკვდილისთვის, - დონ გამალიელმა

შუბლზე აკოცა ქალიშვილს და საძინებელი ოთახის კარი გაუღო, - შური ეძია, ჩახვეოდა ამ კაცის მკერდს, მაგრამ არა სინაზით და სიყვარულით, რისი მოლოდინიც მას უნდა ჰქონოდა. იგი, ცოცხალი, ნელ-ნელა მოეკლა, სულში სიმწარე ჩაეფრქვია, სანამ არ მოწამლავდა. კატალინამ სარკეში ჩაიხედა, მაგრამ სახეზე თავისი საიდუმლო ფიქრების კვალიც არ აჩნდა. აი, როგორ იძიებენ ის და მამამისი შურს გონსალოს წასვლისათვის. მისი სულელური იდეალიზმისთვის: მას, ოცი წლის ქალწულს, მიათხოვებენ... - რად სდის ცრემლი, რად ეცოდება საკუთარი თავი, რად ებრალება საკუთარი ახალგაზრდობა, - ადამიანს, ვინც გონსალოსთან იყო მის უკანასკნელ წუთებამდე და ვისზეც ისე ვერ უფიქრია, რომ საკუთარი თავისა და დაღუპული ძმის ცოდვით მწარედ არ აქვითინდეს. თუ სიმართლეს ვერასოდეს გაიგებს, სულერთია, მაინც იმას იწამებს, რაც სიმართლედ მიაჩნია.

კატალინამ შავი წინდები გაიხადა. ფეხები ხელისგულებით დაიზილა და თვალები დახუჭა: არა, არ არის საჭირო, არ შეიძლება გაიხსენოს ის უხეში, ძლიერი ფეხი, მაგიდის ქვეშ მის ფეხებს რომ დაეძებდა - და უცბად რაღაც ჯერ არგანცდილის, გადაულახავის წინაშე გული შეუტოკდა. მაგრამ თუ სხეული უფალი ღმერთის

შექმნილი არ არის... - გადაჭდობილი თითები შუბლზე მიიდო, - და მხოლოდ ადამიანის ხორცი ხორცთაგანია, მაშინ სული სულ სხვა რამ არის. არ შეიძლება, სხეულს ნება მისცე ალერსს მინებდეს, არ დაგემორჩილოს, სინაზე მოსწყურდეს, თუ სული ამას კრძალავს, არ შეიძლება ამაზე იფიქროს. არა, არა, არ შეიძლება. სიმართლე უნდა თქვას. სხვა სახელი უნდა წარმოთქვას, მამას ყველაფერი გაუმხილოს. ო, არა, რატომ დატანჯოს მამა? დაე, ასე იყოს, როგორც არის. ჰო. და რაც შეიძლება მალე - მომდევნო თვეში. დაე, აიღოს ამ კაცმა ქაღალდები, მიწა, კატალინა ბერნალის სხეული... ჯანდაბამდის გზა ჰქონია... რამონ... არა, ამ სახელის ხსენება არ შეიძლება, აღარ შეიძლება.

კატალინას ჩაეძინა.

- თქვენ თვითონვე მეუბნებოდით, დონ გამალიელ, - თქვა სტუმარმა, მეორე დილით რომ დაბრუნდა, - მოვლენათა შეჩერება შეუძლებელიაო. მოდი, ის ნაკვეთები გლეხებს გადაეცით, - უვარგისი მიწებია და დიდს ვერაფერს

გამორჩებიან. მოდი, მიწა ნაკვეთებად დავყოთ, რომ მცირეოდენი მოსავლის მიღება შეძლონ. აი, ნახავთ:

მადლობასაც კი გვეტყვიან, იძულებული იქნებიან, მადლობა გვითხრან, ბოლოს და ბოლოს, თავიანთ უვარგის ნაკვეთებს ცოლებს შეატოვებენ, თვითონ კი ისევ ჩვენს ნაყოფიერ მიწებს დაამუშავებენ. მეორე ამბავიც გაითვალისწინეთ: თქვენ შეგეძლებათ აგრარული რეფორმის გმირის სახელიც კი გაითქვათ, ისე, რომ საკუთარი თავი არაფრით დააზარალოთ.

მოხუცი ყურადღებით უსმენდა, ღიმილი აფუშფუშებულ თეთრ ულვაშში შეემალა.

- კატალინას ელაპარაკეთ?

- დიახ, ველაპარაკე.

კატალინამ ვერ სძლია საკუთარ თავს, ნიკაპი უკანკალებდა, როცა მან ხელი მოჰკიდა და სცადა, ქალიშვილის დახრილი თავი აეწია. პირველად შეეხო ამ კანს, მალამოსავით ნაზს, მარწყვივით სათუთს. ირგვლივ პატიოს ყვავილების ნაწვიმარზე აბიბინებული ბალახის, აშმორებული მიწის მწკლარტე სუნი იდგა. კრუსს უყვარდა კატალინა. ხელით რომ ეხებოდა, იცოდა, რომ უყვარდა. უნდა დაერწმუნებინა, მასაც უნდა გაეგო,

რომ ჭეშმარიტად უყვარდა, უცნაურად აწყობილი მოვლენების მიუხედავად. მას შეეძლო, კატალინა ჰყვარებოდა, ისევე როგორც მაშინ, სიცოცხლეში პირველად, ისიც იცოდა, რითი დაემტკიცებინა თავისი სიყვარული. ისევ შეეხო ქალიშვილის წითლად აღვივებულ ლოყებს. კატალინამ ვერ მოითმინა, ცრემლი აუბრჭყვიალდა თვალებში. ნიკაპი ხელიდან გასხლტა.

- ნუ გეშინია, საშიში რა გაქვს, - ჩურჩულებდა მამაკაცი, თან ქალიშვილის ტუჩებს ეძებდა, - მე შევძლებ მიყვარდე...

- თქვენი მადლიერი უნდა ვიყოთ... თქვენი მზრუნველობისთვის... - ძლივს გასაგონად უპასუხა ქალმა.

კრუსმა ხელი ასწია და კატალინას თმას მიუალერსა.

- ჰო, მიხვდი? შენ ჩემთან იცხოვრებ, რაღაც-რაღაცებს დაივიწყებ. პირობას გაძლევ, შენს საიდუმლოს პატივი ვცე... მაგრამ შენც უნდა შემპირდე, რომ არასოდეს...

ქალიშვილმა შეხედა და თვალები დაუწვრილდა სიძულვილისაგან. ასეთი სიძულვილი არასოდეს განუცდია. მაინც რა საზარელი ვინმეა! რა ადამიანია ასეთი, ყველაფერი რომ იცის, ყველაფერი მიაქვს და ყველაფერს ამსხვრევს?!

- გაჩუმდი... - თქვა ქალიშვილმა და განზე გადგა.

- მე უკვე ველაპარაკე, სუსტი ჭაბუკია. როგორც საჭიროა, ისე არ უყვარდი, იოლად ჩამოვიცილე.

კატალინამ თითები ლოყებზე მოისვა, თითქოს მისი შეხების ნაკვალევს იშორებდაო.

- ჰო, შენსავით ძლიერი არ არის. შენისთანა ცხოველი არ არის...

ქალმა ლამის შეჰკივლა, როცა მან ხელზე ხელი სტაცა, მოუჭირა და გაიღიმა.

- იმ შენმა რამონსიტომ პუებლა დატოვა. ვეღარასოდეს ნახავ... - თქვა და ქალს ხელი უშვა.

კატალინა პატიოს გაუყვა ფერად-ფერადი, მოჭიკჭიკეჩიტებიანი გალიებისკენ. ერთიმეორის მიყოლებით დააღო შეღებილცხაურიანი პატარ-პატარა კარები. კაცი ადგილიდან არ დაძრულა. თვალს არ აშორებდა. მეჟოლიამ ჯერ გალიიდან გამოიხედა, მერე კი ცაში ავარდა. კატალინამ ჩიტი ნეკზე დაისვა, ფრთაზე აკოცა და ჰაერში ატყორცნა. როცა უკანასკნელი ჩიტი გაფრინდა, ქალიშვილმა თვალები დახუჭა, უფლება მისცა ამ კაცს მხრებზე ხელი მოეხვია და სახლში შეეყვანა. იქ, ბიბლიოთეკაში, მათ კვლავინდებურად მშვიდი და აუმღვრეველი დონ გამალიელი ელოდა.

* * *

მე ვგრძნობ, ვიღაცამ ხელები იღლიაში როგორ ამომიდო და რბილ ბალიშებზე მოხერხებულად დამაწვინა. გრილი ტილო ჩემი მხურვალე თუ გაყინული სხეულისათვის ბალზამია. თვალებს ვახელ და ჩემ წინ გაშლილ გაზეთს ვხედავ, ვიღაცის სახეს რომ ფარავს. მგონი, ეს ჩემი „ვიდა მეხიკანაა“ , იგი გამოდის და გამოვა ყოველდღე, ამქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შეუშლის ხელს. ტერესამ - აი, თურმე ვინ კითხულობდა გაზეთს, - შეშფოთებით დაკეცა.

- რა მოგივიდათ? ცუდად ხართ?

ხელის მოძრაობით ვამშვიდებ ქალიშვილს და იგი ისევ გაზეთს იღებს ხელში. დიახ, კმაყოფილი ვარ - მგონი, კარგი გასართობი ოინი მოვიგონე. მართლაც მაგარი იქნებოდა ჩემი სიკვდილის შემდეგ გაზეთში გამოსაქვეყნებლად დამეტოვებინა სტატია, მომეთხრო სიმართლე, თუ როგორ პატიოსნად ვიცავდი ბეჭდვის თავისუფლებას... ვაი, მღელვარებისაგან მუცელში ისევ მჭრის, უნებურად ტერესასკენ ვიწვდი ხელს, იქნებ მომეშველოს, მაგრამ იგი მთელი გულისყურით კითხულობს გაზეთს. უწინ დღის

მიწურვას ფანჯრიდან ვხედავდი, ჟალუზების საწყალობელი ჭრიალიც მესმოდა. ახლა კი ტლანქჭერიანი და მუხისკარადებიანი საძინებლის ბინდბუნდში მოშორებით მდგარი ადამიანები ვერ გამირჩევია. საძინებელი ოთახი ძალიან დიდია, ჩემი ცოლი, ცხადია, აქ იქნება სადმე მიმჯდარი. წელში გამართული, ტუჩების შეღებვა დავიწყებია, ცხვირსახოცს თითებით ჭმუჭნის და, ცხადია, ჩურჩული არ ესმის:

- იმ დილით რა სიხარულით ველოდი. მდინარეზე ცხენდაცხენ გავედით.

მხოლოდ ამ პირგაპარსულ, შავწარბებიან უცხო კაცს ესმის ჩემი ჩურჩული, იგი უწინ არასოდეს მინახავს. მთხოვს, მოვინანიო - მე კი ამ დროს დურგალსა და ქალიშვილზე ვფიქრობ, - და სამოთხეში მპირდება ადგილს.

- ამ მძიმე წუთებში რის თქმას ისურვებდით?

და მეც ვუთხარი. ტერესამ თავი ვერ შეიკავა, ყვირილით გამაწყვეტინა:

- თავი დაანებეთ, პადრე, თავი დაანებეთ! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ უძლურნი ვართ!

თუ უნდა, სული წაიწყმიდოს და ისე მოკვდეს, როგორც იცხოვრა - უსულგულოდ, ცინიკურად...

მღვდელმა ქალი ხელით მოიშორა და ტუჩები ზედ ყურთან მომადო, თითქმის მკოცნის:

- არ არის საჭირო მაგათ გაიგონ.

ჩამეცინა.

- მაშინ გეყოთ გამბედაობა და ორივენი ჯანდაბის იქით გაგზავნეთ.

დაჩოქილი მღვდელი წამოდგა და აღშფოთებისაგან ავიშვიშებულ ქალებს ხელი წაავლო. პადილია ჩემკენ წამოვიდა, თუმცა ქალები ცდილობენ, არ მოუშვან.

- არა, ლიცენციატო, ვერ დაგრთავთ ნებას.

- სენიორა, ეს ხომ უკვე მრავალი წლის ჩვევაა.

- პასუხისმგებლობას თქვენ კისრულობთ?

- დონ არტემიო... დილანდელი ჩანაწერი მოვიტანე.

წამოვიწიე, ვცდილობ, გავიღიმო. ყველაფერი ისეა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. კარგი ყმაწვილია ეს პადილია.

- გადამრთველი ბიუროს გვერდით არის.

- გმადლობთ.

დიახ, ცხადია, ეს ჩემი ხმაა, გუშინდელი ხმა - გუშინდელი თუ დილანდელი? ვერ გამიგია. პონსს ვესაუბრები, ჩემს მთავარ რედაქტორს... ოჰ, ლენტა ღრჭიალებს, პადილია, გაასწორე, უკან ეხვევა, ჩემი ხმა თუთიყუშივით ხრიწინებს... ჰო, ეს მე ვარ...

„- პონს, როგორ არის საქმე?

- არც ისე კარგად, მაგრამ ჯერჯერობით შეიძლება გამოსწორება.

- ჰოდა, არ მოერიდო, მთელი ნომერი დაატეხე თავს. მაგრად შეახურე.

- შენი ნებაა, არტემიო.

- არა უშავს, ხალხისთვის ახალი ამბავი არ იქნება.

- ჰო, ყოველ წამს ჭკუას ვასწავლით...

- ძირითადი წერილები და პირველი სვეტი მინდა ვნახო... საღამოს შინ შემომიარე...

- საერთოდ, არტემიო, ყველაფერი ისევეა - წითელი შეთქმულების მხილება. უცხოეთის ჩარევა, რაც მექსიკის რევოლუციის საფუძველს არყევს...

- მექსიკის დიდებული რევოლუციის!

- ლიდერები უცხოეთის აგენტების მსახურებია. ტამბრონიმ მშვენიერი მასალა მომცა, ხოლო ბლანკომ მთელი სვეტი გააშანშალა, მათი წინამძღოლი ანტიქრისტეს შეადარა. კარიკატურებია - საშინელი!.. შენ როგორა ხარ?

- ვერა ვარ მთლად კარგად. მოვლით მტკივა. არა უშავს, გამივლის. ეჰ, ცოტა ახალგაზრდები მაინც ვიყოთ, ჰა?

- ჰო, აბა, აბა...

- მისტერ კროკერის უთხარი, მოვიდეს“.

ჯერ ჩემი ხველა გავიგონე, მერე კარის ჭრიალი - გაიღო და დაიხურა. მუცელი დამიწყნარდა, არ ბობოქრობს. თუმცა კი მებერება... ვიჭინთები... ამაოდ... იმათ ვხედავ. შემოვიდნენ. წითელი ხის კარი გაიღო და დაიხურა. სქელი ნოხი ნაბიჯების ხმას აყრუებს. ფანჯარა დაკეტეს...

- გააღეთ...

- არა, არა. გაცივდები და უარესია...

- გააღეთ...

„- Are you worried, Mr. crus?[21]

- საკმაოდ. დაჯექით, ყველაფერს აგიხსნით. დალევთ? თქვენკენ მიიწიეთ მაგიდა, რაღაცა ვერ ვარ კარგად“.

გორგოლაჭების ხმაური და ბოთლების წკარუნი მესმის.

„- You look O.K.“.[22]

მესმის ჭიქაში ყინულის ჩავარდნის ხმა, სიფონიდან გამოსული სოდიანი წყლის შუშხუნი.

„- იცით რა, მინდა აგიხსნათ, როგორ რისკზე მიდიხართ. თქვენ თვითონ ვერ მოიფიქრეთ. ცენტრალურ სამმართველოს აცნობეთ, რომ თუ ე. წ. პროფკავშირების წმენდის მოძრაობა გაიმარჯვებს, ჩვენ დუქნის დახურვა მოგვიწევს...

- დუქნის?

- ჰო, როგორც ჩვენთან, მექსიკაში იტყვიან ხოლმე, შარვალი ჩაიხადე და ყველაფერს...“

- გამოთიშეთ! - იყვირა ტერესამ და მაგნიტოფონს მივარდა, - რა უშვერი გამოთქმებია!..

ხელი გამაფრთხილებლად შევარხიე და კოპები შევყარე. ჩანაწერიდან რამდენიმე სიტყვა გამომრჩა.

„- იმაზე კი, თუ რა განუზრახავთ რკინიგზელთა პროფკავშირის ლიდერებს?“

ვიღაცამ ნერვიულად მოიხოცა ცხვირი. ეს სად იყო?

„- კომპანიებს აუხსენით: მიამიტად ნუ ეგონებათ, ვითომც დემოკრატიულ მოძრაობაზე იყოს ლაპარაკი. როცა იშორებენ, აგდებენ. გესმით? - აგდებენ გახრწნილ მოთავეებს. სულაც არა.

- I'm all ears, Mr Crus".[23]

ჰო, ეს, ალბათ, გრინგოს აცემინებს. ხა-ხა-ხა.

- არა, არა, გაცივდები და უარესია.

- გააღეთ!

მე, და განა მარტო მე, სხვებიც ცდილობენ ნიავქარის მოტანილი სხვა მიწის სურნელის, სხვა ადგილების შუადღის არომატის შეგრძნებას. დიახ, ვისუნთქავ, ვისუნთქავ იმას, რაც ჩემგან ასე შორს არის, შორს არის ცივი ოფლისაგან, შორს არის მხურვალე მიაზმებისგან.[24] ვაიძულე, ფანჯარა გაეღოთ, შემიძლია იმით ვისუნთქო, რაც მინდა, შემიძლია გავერთო - სურნელებანი განვასხვაო: ეს შემოდგომის ტყეების სურნელია, ეს - გამხმარი ფოთლების, ეს კიდევ - მწიფე ქლიავის: დიახ, დიახ, ეს ჩამპალი ტროპიკებისაა, მარილის მაღაროს მწლაკე მტვრისა, მაჩეტეს დარტყმით გაჩეხილი ანანასების, ჩრდილში გასაშრობად გაფენილი თამბაქოს, ლოკომოტივების ბოლის, ზღვის ტალღების, დათოვლილი ფიჭვების, ფოლადისა და გუანოსი - რამდენი სუნი მოაქვს ამ მარადიულ მოძრაობას...

არა, არა, ესენი მომკლავენ. ხან დასხდებიან, ხან ადგებიან, მიმოდიან, ისევ ერთად სხდებიან, თითქოს ერთ დიდ ჩრდილად იქცნენო. თითქოს ცალ-ცალკე ფიქრი და

მოქმედება არ შეეძლოთ. ახლა ისევ დასხდნენ, ფანჯრისკენ ზურგშექცევით, რომ ჰაერს ჩემკენ გზა გადაუჭრან, მომგუდონ, მაიძულონ, თვალები დავხუჭო და მოვიგონო ის, რისი დანახვაც, ხელის ხლება, დაყნოსვა არ შემიძლია. წყეული წყვილი - როდის მომეშვებიან, რას მაჩრიან ამ მღვდელს, რატომ მაჩქარებენ სასიკვდილოდ, სააღსარებოდ? აგერ, ეს გულაზიზი მუხლებზე დაჩოქილა. ახლა ზურგს მივუშვერ. მაგრამ ნეკნის ქვეშ მტკივა და ვერ ვახერხებ. ვაი, ვაი, გამივლის. გამიყუჩდება. მეძინება. ისევ მწვავე ტკივილი. აი... ვაი-ვაი... და ქალები არა, ესენი არა. ქალები, რომელთაც ვუყვარვარ. რაო? დიახ. არა, არ ვიცი. სახე აღარ მახსოვს. დამავიწყდა, როგორი სახე აქვს. არა. მისი დავიწყება არ შეიძლება. სად არის? ოჰ, რა ლამაზი სახე ჰქონდა - განა შეიძლება დამავიწყდეს? ის ჩემი იყო, როგორ შეიძლება დამავიწყდეს. მე შენ მიყვარდი, როგორ დაგივიწყებ. შენ ჩემი იყავი, როგორ დაგივიწყებ. როგორი იყავი, მაინც როგორი იყავი? შემიძლია შენზე ვიფიქრო; შენით დავმშვიდდე. როგორი ხარ? როგორ მოგიხმო? რაო? რატომ? ისევ ნემსის გაკეთება? რატომ? არა, არა, სხვა რამეზე ჩქარა უნდა ვიფიქრო, სხვა რამეზე; მტკივა; ვაი, მტკივა... სხვა რამეზე... ეს დამამშვიდებს... ეს...

* * *

შენ თვალებს დახუჭავ, მაგრამ იგრძნობ, რომ შენი ქუთუთოები მჭიდრო საფარველი არ არის, რომ თვალის გუგამდე ატანს სინათლე, მზის შუქი, რომელიც გაღებულ ფანჯარაში შემოვა და შენს დახუჭულ თვალებამდე მიაღწევს. დაშვებული ქუთუთოები ხელს გიშლის, დაინახო საგნების მოხაზულობა, ბზინვარება, ფერი, მაგრამ მხედველობას არ წაგართმევენ, სამუდამოდ არ ჩამოეფარებიან სპილენძის ფულის ელვარებას, რომელიც ყოველდღე დნება ჰორიზონტზე. დახუჭავ თვალებს და ირწმუნებ, რომ დაინახავ კიდევ უფრო მეტს: იმას, რასაც შენი ტვინი მოისურვებს. იმაზე უფრო მეტს, რისი ჩვენებაც მთელ სამყაროს შეუძლია. დახუჭავ თვალებს და რეალური სამყარო ვერ შეძლებს მეტოქეობა გაუწიოს შენს წარმოსახვას. ქუთუთოებს დახრი და მზის შუქის მსგავსი, უძრავი, უცვლელი შუქი ქუთუთოებს შიგნით შექმნის სხვა სამყაროს, მოძრავ სამყაროს, მოძრავ შუქს, შუქს, რომელსაც შეუძლია დაგღალოს, შეგაშინოს. თვალებს დახუჭავ და გეცოდინება, რომ სინათლის ძალას, რომელიც ატანს ამ პატარა ფუნჩულა ლამბაქში - ქუთუთოში, შეუძლია შენში ისეთი შეგრძნებები გამოიწვიოს, რაც არც შენს ნებაზე, არც შენს მდგომარეობაზე არ იქნება

დამოკიდებული. და მაინც, თვალებს არ დახუჭავ, შეგიძლია ცოტა ხანს წარმოიდგინო, თითქოს ბრმა ხარ. მაგრამ ვერ შეძლებ, თუნდაც დროებით მთლიანად დაიხშო ყურები და წარმოიდგინო, თითქოს ყრუ ხარ, ვერ შეძლებ რაიმე არ შეიგრძნო - თუნდაც ჰაერი საკუთარი თითებით, - ვერ წარმოიდგენ, თითქოს შეხების უნარი დაკარგე, ვერ შეაჩერებ ნერწყვს, პირს რომ გივსებს, თავს ვერ დააღწევ მის საშინელ გემოს. ვერ შეაჩერებ მძიმე სუნთქვას, რომელიც აცოცხლებს შენს ფილტვებს და შენს სხეულს; ვერ შეძლებ მკვდარ-ცოცხლად ყოფნას. ვერ დაბრმავდები, ვერ დაყრუვდები, ვერ შეძლებ არ შეიგრძნო შეხების გემოცა და სუნიც; წამოიყვირებ, როცა სხეულში შეგერჭობა შპრიცის ნემსი, რომელსაც ნარკოტიკი შეჰყავს ორგანიზმში. წამოიყვირებ მანამ, ვიდრე უფრო ადრე მოაღწევს, ვიდრე კანი იგრძნობდეს ტკივილს; მიაღწევს, რომ გააფრთხილოს, გეტკინებაო, რომ მზად იყო, რათა უფრო მეტად შეიგრძნო ტკივილი, რადგან, როცა შეიგრძნობ, მუდამ ერთბაშად იღვენთები, იქცევი მსხვერპლად; მაშინ ხვდები, რომ მხოლოდ ჩვენ თვითონ შეგვიძლია იმ ძალთა არსებობის შეცნობა, ჩვენ რომ არ გვემორჩილებიან და არც რამედ გვაგდებენ.

მაგრამ აი, ბოლოს და ბოლოს, შენი შეგრძნებები წარმოდგენილ ტკივილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება.

და შენ იგრძნობ, რომ გაორებული ხარ - ადამიანი, რომელიც აღიქვამს, და ადამიანი, რომელიც აკეთებს; ადამიანი - მიმღები და ადამიანი მოქმედი. ადამიანი, რომელიც შედგება ცალკეული ორგანოსაგან, ორგანოები გადასცემენ შეგრძნებებს ნერვულ სისტემას, თავის ტვინის წინა ნაწილს, ის კი სამოცდათერთმეტი წლის განმავლობაში აგროვებს და გასცემს სამყაროს

ფერებს, სხეულის შეხებას, ცხოვრების გემოს, მიწის სურნელს, ქარის ხმაურს - მისცემს შენს გონებას, ყველა შენს ნერვს, კუნთებსა და ჯირკვლებს, რომლებიც შენს სხეულს იმ სამყაროსკენ მიმართავს, რომელშიც გიწერია ცხოვრება.

მაგრამ ბურანში, რომელშიც შენ იმყოფები, დაირღვევა ნერვულ ქსოვილთა კავშირი, გრძნობათა ჰარმონია: შენ გაიგონებ ფერებს, იგრძნობ შეხებას, გემოს, შეიგრძნობ ბგერებს, სურნელებებს. იყნოსავ იმას, რაც ენით უნდა გასინჯო.

შენ ხელებს გაშლი, რომ უფიქრელობის ქაოსში არ გადაეშვა, ისევ ძველ წეს-ჩვეულებას დაუბრუნდე, რომ გარედან მიღებული ბრძანება მივიდეს თავის ტვინის შესაბამის უბნამდე, უკან დაბრუნდეს, ქცევად, მოქმედებად განხორციელდეს; ხელებს გაშლი და

დახუჭული ქუთუთოების ქვეშ დაინახავ შენი ფიქრის ფერებს და ბოლოს და ბოლოს, დაუნახავად გამოიცნობ იმ შეხებათა წყაროს, რაც შენ გესმის; ზეწრები, შენს დაკრუნჩხულ თითებში ზეწრის შარიშური. თითებს გაშლი და ხელისგულზე ოფლს შეიგრძნობ, ვინ იცის, ისიც გაგახსენდეს, რომ დაბადებისას ხელისგულზე არ გქონია სიცოცხლისა თუ სიმდიდრის, სიცოცხლისა თუ სიყვარულის ხაზები, შენ დაიბადე, დაიბადე სულ სუფთა ხელისგულებით, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, ქვეყანას მოვლინებოდი, რომ მათი გლუვი ზედაპირი გრძნეულ ნიშნებსა და ხაზებს შეევსოთ. სიკვდილის დროს ხელისგულზე შენ გექნება ღრმა, უხეში კვლები, მაგრამ მოკვდები თუ არა, რამდენიმე საათში შენი ბედისწერის ყოველგვარი კვალი გაქრება შენს ხელებზე.

ქაოსი - მას მრავლობითი რიცხვი აქვს.

ბრძანება, ბრძანება: თითებით ზეწარს ჩააფრინდები და შენთვის უჩუმრად კვლავ აღიდგენ შეგრძნებებს, რომლებსაც ტვინი გიკარნახებს, გაგიძნელდება, მაგრამ შეეცდები გონებაში განალაგო წერტილები, რომლებიც გიბრძანებენ გწყუროდეს ან

გშიოდეს, გაიძულებენ სიცხისგან გაოფლიანდე და სიცივისგან კანკალებდე, ფეხზე იდგე ან დაეცე. ამ მოხელეებს, ამ ლაქიებს, უმალვე რომ ეხმაურებიან შენს ძახილს, ტვინში მეორეხარისხოვან ადგილს დაუთმობ. მთავარ ადგილს დაუტოვებ აზროვნებას, წარმოსახვას, სურვილს, რომელთაც ნიჭიერება, აუცილებლობა თუ შემთხვევითობა წარმოშობს. იოლად და უბრალოდ ვერ ჩასწვდები რეალურ სამყაროს. უმოქმედოდ მყოფი, ბედის შემყურე, ვერ შეძლებ შეიცნო იგი. შენ უნდა იაზროვნო, რომ განსაცდელთა მოძალებამ არ დაგღუპოს, ფხიზლად უნდა შეაფასო რეალობა, რომ ბრმად არ იმოქმედო, ეჭვმა არ გამოგხრას. ჰოდა, გადარჩები, სხვებზე მეტსაც იცოცხლებ.

აღიარებ საკუთარ თავს.

აღიარებ სხვებს და ისე იმოქმედებ, რომ მათაც გაღიარონ შენ; მიხვდები, რომ ყოველი ადამიანი შენი პოტენციური მტერია, ვინაიდან თითოეული კიდევ ერთი დაბრკოლებაა შენს სურვილთა გზაზე.

მოინდომებ და შეეცდები, რომ შენი სურვილი და სურვილის ობიექტი გამთლიანდეს,

იოცნებებ, დაუყოვნებლივ მიაღწიო მიზანს, ერთმანეთს შეერწყას სასურველი და ნანატრი.

მწოლიარე, თვალდახუჭულიც კი დაინახავ, არ მოეშვები ნატვრას, მოგონებას, რადგან მხოლოდ ასე აგიცხადდება სურვილი. უკან, უკან - მხოლოდ წარსულზე დარდი შეგაძლებინებს შენიანებს გაუკეთო ყველაფერი, ყველაფერი, რასაც მოისურვებ. არა, წინ არა. მხოლოდ უკან.

მოგონება - აღსრულებული სურვილია.

მეხსიერებას აღადგენინე, განაცდევინე ყველაფერი, ვიდრე გვიან არ არის. ვიდრე ფიქრებდაცლილ ქაოსში არ ჩაინთქმები.

* * *

1913 წლის 4 დეკემბერი

მან ბარძაყზე ქალის ნესტიანი მუხლის შეხება იგრძნო. ქალს ძილში მუდამ მსუბუქი, გრილი ოფლი ასხამდა. კაცმა ხელი მოაშორა რეხინას წელს და თითებზეც შეიგრძნო ბროლის წვეთების სინესტე. მერე ალერსით დაუსვა ხელი ზურგზე, ოდნავ ეხებოდა, იფიქრა, მძინავსო: შეიძლება საათობით იწვე და ნაზად უსვამდე ხელს რეხინას ზურგს. თვალები დახუჭა და განსაკუთრებული სიძლიერით შეიგრძნო მიხუტებული ნორჩი სხეულის საოცარი მიმზიდველობა; იფიქრა, ალბათ, მთელი სიცოცხლე არ მეყოფა, ამ ფაფუკი ლანდშაფტის შესაცნობად, ვარდისფრის შავ ფერთან მონაცვლეობის აღსაქმელადო. რეხინას სხეული ელოდა. კაცი ჩუმად, თვალდახუჭული გაიჭიმა ლეიბზე, ხელებისა და ფეხების თითები რკინის რგოლებს ჩააჭდო. ირგვლივ ბნელი, გაყინული სიცარიელეა: დილამდე კიდევ დიდი დროა. ქინქლების საწინააღმდეგო მსუბუქი ბადე ყოფდა მათ მთელი სამყაროსგან, ყველაფრისაგან, რაც მათ სხეულებს არ სჭირდებოდა. თვალები გაახილა. ქალის ლოყა შეეხო, ჩხვლეტია ნიკაპზე გაეხახუნა.

უკვე ისეთი უკუნი აღარ იდგა. შავი ნაპრალივით ანათებდა რეხინას ნახევრად ღია მოგრძო თვალები. კაცმა ღრმად ამოიოხრა. რეხინამ ხელები კისერზე შემოაჭდო, კვლავ მიადეს სახე სახეს. ერთიანმა ცეცხლმა გათანგა ოთახი. გახამებული ქვედაკაბა, ბლუზა, კაკლის ხის მაგიდაზე - ქამარი, ჩამქრალი ლამპა. და სულ ახლოს - ზღვის ტუფისგან ნაქანდაკარი ქალი, დაცვარული და ნაზი. მკერდი სიხარულით შეუთამაშდა, როდესაც კაცმა გრძელი, აბურდული თმა სიცილით გადაუწია და ტუჩებით დააცხრა. გაჩუმდი, რეხინა: პირზე ხელი ააფარა, ქალის სუნთქვა იგრძნო. უთვალებოდ, უსიტყვოდ, მხოლოდ ტკბობით თავდავიწყებული მუნჯი სხეული. ქალი მიხვდა. უფრო მჭიდროდ მიეკრა კაცის სხეულს. ხელებით ეფერებოდა, ისიც უბრუნებდა ალერსს ამ სრულიად ნორჩ, ჯერ ისევ თითქმის გოგონას. გაახსენდა, როგორ უხერხულად გრძნობდა თავს, როცა გაუნძრევლად იდგა ხოლმე შიშველი, როგორი მოქნილი და ლბილი იყო მოძრაობისას: როცა ფარდებს ჩამოუშვებდა, იბანდა თუ ღუმელში ცეცხლს აჩაღებდა...

ისევ ჩაეძინათ. მხოლოდ ხელი, ერთადერთი ხელი მოძრაობდა სიხარულით აღსავსე ძილის დროს.

„- მე თან გამოგყვები.

- მერე სად იცხოვრებ?

- იმ სოფლებში შევაღწევ, თქვენ რომ აიღებთ და იქ დაგელოდები.

- ყველაფერს მიატოვებ?

- რამდენიმე კაბას წამოვიღებ. შენ ხილისა და პურის ფულს მომცემ. ჰოდა, მეც დაგელოდები. შემოხვალთ სოფელში, მე კი უკვე იქ ვიქნები. თუმცა, ერთი კაბაც მეყოფა“.

აი, ეს კაბაც - სხვისი ოთახის სკამზე გადაფენილი. ჰო, როცა კაცი იღვიძებს, სიამოვნებს მის კაბას თუ სხვა ნივთებს რომ ჰკიდებს ხელს. სავარცხლებს, შავ ფეხსაცმელს, მაგიდაზე დაწყობილ პაწია საყელოებს. როგორ უნდა იმ წუთებში განშორებისა და ძნელად მოსაგვარებელი შეხვედრების გარდა კიდევ რაღაც მისცეს ქალს. ზოგჯერ უეცარი ბრძანება, მტრის დევნა თუ დამარცხება აიძულებდა ჩრდილოეთისკენ დაეხიათ და რამდენიმე კვირით შორდებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ქალი თითქოს თოლიასავით წინასწარ გრძნობდა, ამ ბრძოლათა და შემთხვევითობათა ქაოსში საიდან

მოვარდებოდა რევოლუციის ტალღა: თუ ქალი ამ სოფელში არ დაუხვდებოდა, სადაც შეთანხმებული იყვნენ, ადრე თუ გვიან, მეორე სოფელში მაინც აღმოჩნდებოდა. დადიოდა სოფლიდან სოფელში, სოფლად დარჩენილ მოხუცებსა და ქალებს ეკითხებოდა ბატალიონის ამბებს.

- ჰოო, ორი კვირა იქნება, რაც ჩაიარეს...

- ამბობენ, ერთი კაციც არ გადარჩენილა ცოცხალიო.

- ვინ იცის, იქნებ დაიხიეს კიდეც უკან. რამდენიმე ქვემეხი დააგდეს აქ.

- ფრთხილად იყავი, ფედერალები აჯანყებულთა მომხრეებს არ ინდობენ.

და მაინც, ისინი კვლავ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ისე, როგორც ახლა შეხვდნენ. ოთახში ხილი და სადილია გაშლილი, ქვედაკაბა უკვე სკამზეა გადაკიდებული. ქალი ელოდა მომზადებული, თითქოს წუთიც არ უნდოდა ტყუილუბრალოდ დაეკარგა. მაგრამ განა ამას წუთის დაკარგვა ერქვა, როცა ხედავდა, როგორ დადიოდა რეხინა, როგორ

ასწორებდა საწოლს, იშლიდა თმას. იგი ხდიდა უკანასკნელ სამოსს, კოცნიდა თავიდან ფეხებამდე, თანდათან მუხლებზე ეშვებოდა მის წინ, მისი დაცვარული კანისა და თმის სურნელით თვრებოდა, სიმივით დაჭიმული სხეულის თრთოლას იწოვდა.

„- არტემიო, კიდევ გნახავ?

- არ გაბედო ამის თქმა. დაიმახსოვრე, ჩვენ არასოდეს დავშორდებით ერთმანეთს“.

მეტად აღარ უკითხავს. შერცხვა, ეს რომ იკითხა, რომ გაბედა და გაიფიქრა, შეიძლებოდა მის სიყვარულს ბოლო ჰქონოდა ან დროით გაზომილიყო, როგორც ყველაფერი სხვა? რა საჭიროა გაიხსენოს, სად და როგორ გაიცნო ეს ოცდაოთხი წლის ჭაბუკი? რა საჭიროა კიდევ სხვა რამეზე იღელვოს, გარდა მათი სიყვარულისა და იმ შეხვედრების მოლოდინისა, როცა ამა თუ იმ სოფლის

დაკავების შემდეგ დროებით, სულისმოუთქმელად, დიქტატორისათვის ბრძოლით წართმეულ ტერიტორიაზე გასამაგრებლად, სურსათის მოსამარაგებლად თუ ახალი შეტევისათვის მოსამზადებლად შეჩერდებოდნენ. ასე გადაწყვიტა ორივემ, თუმცა ამაზე სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. არასოდეს დაფიქრებულან ომით მოსალოდნელ

საფრთხეზე, განშორების ხანგრძლივობაზე. თუ რომელიმე შეხვედრაზე ვერ მოვიდოდა, არტემიო სამხრეთისკენ, ქალაქისკენ გაუყვებოდა, ქალი კი უკან, ჩრდილოეთისკენ, სინათლის ნაპირებისკენ, სადაც შეხვდა არტემიოს და შეიყვარა.

„- რეხინა... რეხინა...

- გახსოვს ის კლდე, ზღვაში ქვის გემივით რომ იყო შეჭრილი? ახლაც იქა დგას.

- იქ გიპოვე. ხშირად დადიოდი იმ ადგილას?

- ყოველ საღამოს. კლდეებს შორის ლაგუნაა და კამკამა წყალში ისე შეიძლება ჩაიხედო, როგორც სარკეში. საკუთარ თავს წყალში ვუყურებდი და ერთხელაც ჩემი სახის გვერდით შენიც დავინახე. ღამღამობით ლაგუნაში ვარსკვლავები ირეკლებოდნენ, დღისით კი - კაშკაშა მზე.

- მე კი იმ საღამოს არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. ალქაჯებივით შემოვცვივდით და უცბად ყველაფერი მიჩუმდა - დაგვნებდნენ ლაჩრები. მიუჩვევლებს უსაქმურობა სულს

გვხდიდა. ათასი რამ გვიტრიალებდა თავში... ჰოდა, მეც ავდექი და შენ გიპოვე. შენ იმ კლდეზე იჯექი, სველი ფეხებიდან წყალი წანწკარით ჩამოგდიოდა.

- მეც მსურდა შენი პოვნა. უცბად ჩემ გვერდით აღმოჩნდი, სულ ახლოს და ზღვის წყლიდან ამომხედე. მიხვდი, რომ მეც ასე მინდოდა?“

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, მაგრამ ორ, ერთმანეთს ჩაკრულ სხეულს ნაცრისფერი საბურველი გადაეცალა, არტემიოს პირველს გაეღვიძა და რეხინას ტკბილი ძილი არ დაუფრთხო. ძილი - უნატიფესი მარადიული ქსელი, სიკვდილის ორეული. ფეხი მოუკეცავს, ხელები კაცის მკერდზე დაუწყვია, დაცვარული ტუჩები გაპობია. მათ მოსწონდათ სიყვარული გარიჟრაჟისას. დღესასწაულივით შეიგრძნობდნენ ახალი დღის დასაწყისს. ბინდბუნდში ოდნავ ჩანდა რეხინას პროფილი. სოფელი მალე გაიღვიძებს და ახმაურდება. ახლა კი მხოლოდ ტკბილი უდარდელობით მიძინებული შავგვრემანი ქალიშვილის სუნთქვა მეტყველებდა, რომ მიძინებული სამყარო ცოცხლობდა. მხოლოდ ერთს აქვს უფლება, გააღვიძოს იგი, მხოლოდ სიცოცხლის ბედნიერებას შეუძლია შეცვალოს ძილის ბედნიერება, რომელშიც ჩაძირულია ზეწარზე

მოკალათებული სხეული - გადატკეცილი, მკრთალი ნახევარმთვარე. თუმცა აქვს კია უფლება? ჭაბუკურმა წარმოსახვამ გაიტაცა: მოეჩვენა, თითქოს მძინარე ისვენებდა იმ სიყვარულისგან, რომელიც რამდენიმე წამში გააღვიძებდა. როდის არის ბედნიერება უფრო ძლიერი? ნაზად შეეხო რეხინას მკერდს. სიახლოვის მოლოდინი, თავად სიახლოვე, შემდეგ ტკბილი მოთენთილობა და ისევ მძაფრი სურვილი, სიყვარულისგან, სიყვარულის ახალი აღსრულებისგან აღმოცენებული: ბედნიერება. რეხინას ყურზე აკოცა და სულ ახლოს დაინახა მისი პირველი ღიმილი, თავი მისწია, რომ სიხარულის პირველი მოძრაობა არ გამორჩენოდა. ქალის ხელის შეხება იგრძნო. ისევ იფეთქა ტკბობის სურვილმა.

ისევ იქ დაბრუნდნენ, სადაც ეს-ესაა, იწყება სამყარო, გონების მხოლოდ ნაპერწკლები კიაფობს, სადაც სიჩუმეში გახმიანებული ორი შინაგანი ხმა პირველად არქმევს საგნებს სახელებს. ამ დროს იგი ყველაფერზე ფიქრობს, ამის გარდა, სადღაც დაფრინავს, რაღაცას ითვლის, ცდილობს, არაფერზე იფიქროს, ოღონდ კი დიდხანს გაგრძელდეს; ცდილობს გონება გამოიტენოს ზღვებითა და დიუნებით, ნაყოფით, ქარიშხლებით, სახეებით, ცხოველებით, თევზებით, ნათესებით, ოღონდ კი ეს წამი გაგრძელდეს;

თვალდახუჭულმა სახე ასწია და ათრთოლებულ აჭიმულ ყელზე სისხლძარღვები ამოებურცა; მაშინ რეხინასაც ავიწყდება ქვეყნად ყოველივე, ძლეული ქალი მძიმედ სუნთქავს, წარბები შეუყრია და იღიმება. დიახ, დიახ, კარგად არის, დიახ, დიახ... ო, რა კარგად არის. ერთმანეთსაც ვეღარ ხედავენ, ვინაიდან ორივე ერთ მთლიანობად ქცეულა და ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებენ.

„- ბედნიერი ვარ.

- ბედნიერი ვარ.

- რეხინა, მიყვარხარ.

- მიყვარხარ, არტემიო.

- ჩემთან თავს კარგად გრძნობ?

- ყოველთვის... ო, რა კარგია შენთან...“

ამასობაში მტვრიან ქუჩაზე წყლის მზიდავის კასრმა გაიხრიგინა, მდინარესთან გარეული იხვები აკრიახდნენ, ხოლო ბუკის გაბმულმა ხმამ აუწყა, რომ უნდა დაბრუნებოდნენ იმას, რასაც ვერ გაექცეოდნენ. აწკარუნდა დეზები, ათქარუნდა ჩლიქები, სახლებიდან მიმწვარი ქონის სუნი გამოვარდა.

არტემიომ ხელი გასწია და ხალათის ჯიბეებში სიგარეტი მოიძია. რეხინა ფანჯარასთან მივიდა, საკეტი გახსნა და ხელგაშლილმა, ფეხისწვერებზე შემდგარმა დილის სურნელი ჩაისუნთქა. შეყვარებულთა თვალწინ ამომავალი მზით განათებული მთების რუხი რკალი აღიმართა... სოფლიდან ცხელი პურის

სურნელი აღწევდა, სადღაც შორიდან კი ხეობებიდან ავარდნილი სიდამპლის ოხშივარს შერწყმული მირტის სუნიც იგრძნობოდა. არტემიო მხოლოდ შიშველ სხეულს ხედავდა, მის გაშლილ ხელებს, ახლა ცის ნათელს რომ ეგებებოდა, საწოლისკენ მოჰყავდა.

- გასაუზმო?

- ძალიან ადრეა. ჯერ გავაბოლო.

რეხინამ თავი მკერდზე დაადო. მისი გრძელი, მოუსვენარი ხელები ბარძაყზე ეფერებოდა. ორივენი იღიმებოდნენ.

- სანამ გოგონა ვიყავი, ლაღად ვცხოვრობდი. რამდენი, რამდენი კარგი რამ იყო - არდადეგები, დღესასწაულები, ზაფხული. თამაში. არ ვიცი რატომ, მაგრამ რომ გავიზარდე, რაღაცის მოლოდინი დამჩემდა: ბავშვობაში - არა... ჰოდა, იმ კლდისკენ გამიწია გულმა. ჩემს თავს ვუთხარი, უნდა ელოდო, ელოდო-მეთქი. არ ვიცი, იმ ზაფხულში რამ გამომცვალა ასე და რატომ აღარ ვიყავი გოგონა.

- შენ ახლაც გოგონა ხარ.

- შენთან? იმის შემდეგ, რასაც ჩვენ ჩავდივართ?

არტემიოს გაეცინა და აკოცა. რეხინამ მის მკერდთან მოიკალათა, როგორც ჩიტი მოიკალათებს ბუდეში. ყელზე მოეხვია, თან ღუღუნებდა თუ მოსაჩვენებლად ტიროდა, ვერ გაიგებდით.

- შენ?

- მე არ ვიცი. გიპოვე და ძალიან მიყვარხარ.

- მითხარი, არტემიო, დაგინახე თუ არა, რატომ მივხვდი, რომ მეტი აღარაფერი მინდოდა? იცი, მაშინ რა ვუთხარი ჩემს თავს: უნდა გაბედო, ან ახლა, ან არასოდეს. ეს რომ წავიდეს, ჩემი სიცოცხლე დასრულდება-მეთქი. შენ?

- მეც ასე ვიფიქრე. ის ხომ არ გიფიქრია, იქნებ ჯარისკაცს უბრალოდ ჩემთან გართობა სურსო?

- არა, არა. შენი ფორმაც არ შემიმჩნევია. მე მხოლოდ შენი თვალები შევნიშნე, წყალში არეკლილი შენი თვალები, ახლაც მუდამ ვხედავ შენს ანარეკლს ჩემ გვერდით.

- ჩემო კარგო, ჩემო სიყვარულო... აბა, ერთი ნახე, ყავა დაგვრჩა?

იმ დილით, რომელიც ასე ჰგავდა მათი ნორჩი სიყვარულის ყველა დილას, ამ ექვსი თვის განმავლობაში, რეხინამ ჰკითხა, ჯარი როდის დაიძვრება აქედანო.

- არ ვიცი, გენერალი როგორ მოისურვებს, - უპასუხა არტემიომ, - ალბათ, ჯერ კიდევ ოლქში მოთარეშე ფედერალების რაზმების გასანადგურებლად მოგვიწევს ბრძოლა, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ყაზარმა მაინც ამ სოფელში

დარჩება. ირგვლივ საქონელიც ბევრია და წყალიც. შესაფერისი ადგილია დასაბანაკებლად. სონორის შემდეგ ჯარისკაცები გვარიანად გაწვალდნენ და დასვენება დაიმსახურეს. თერთმეტი საათისათვის ყველანი კომენდატურის წინ მოედანზე უნდა შევიკრიბოთ. ყოველი სოფლის აღების შემდეგ გენერალი ბრძანებას იძლევა: მოჯამაგირეებმა მინდვრებში რვა საათზე მეტი არ იმუშაონ, მიწები გლეხებს დაურიგდეთ. თუ სადმე ახლომახლო ასიენდეა, გადაწვით, ნაცარტუტად აქციეთო. თუ ვინმე მევახშეა და ღატაკებს ავიწროებს - ამისთანებს კი რა დალევს, ყველა კი არ გარბის ფედერალებთან ერთად - ვალებს უუქმებს. ცუდი ის არის, რომ თითქმის მთელმა ხალხმა თოფი აიღო ხელში, თითქმის ყველა გლეხი ჯარისკაცად იქცა და კაცმა რომ თქვას, გენერლის ბრძანების შემსრულებელი აღარავინ დარჩა. ცხადია, უკეთესი იქნება, მაშინვე ჩამოართვას ფული მდიდრებს, რომლებიც თითქმის ყველა სოფელში სხედან და ელიან, როდის გაიმარჯვებს რევოლუცია, ელიან, როგორ გადაწყდება მიწისა და რვასაათიანი სამუშაო დღის საკითხი. ახლა საჭიროა მეხიკოს აღება და პრეზიდენტის სასახლიდან იმ ლოთბაზარა უერტას,[25] დონ პანჩიტო მადეროს მკვლელის გამოგდება.

- ისე, ქვეყანა კი მოვიარე! - ბუტბუტებდა და თან ხაკისფერ ხალათს თეთრ შარვალში იტენიდა, - კარგად მოვიარე! ვერაკრუსიდან, პროვინციიდან, მეხიკოში მოვხვდი, იქიდან სონორაში, მერე მასწავლებელმა სებასტიანმა მთხოვა, ის საქმე დამესრულებინა, რისი თავიც ბებრებს აღარ ჰქონდათ: წავსულიყავი ჩრდილოეთში, ხელში იარაღი ამეღო და ქვეყანა გამეთავისუფლებინა. მაშინ სულ მთლად ბიჭი ვიყავი, თუმცა უკვე ოცდაათის გახლდით, ღმერთმანი, ქალიც კი არ ვიცოდი. განა შეიძლებოდა, არ დავმორჩილებოდი მასწავლებელ სებასტიანს, ვინც სამი რამ მასწავლა, რაც თვითონ იცოდა: კითხვა, წერა და მღვდლების სიძულვილი.

არტემიო გაჩუმდა, როცა რეხინამ მაგიდაზე ორი ფინჯანი ყავა დადგა.

- ოჰ, რა ცხელა!

ჯერ კიდევ ადრე იყო. გარეთ ჩახუტებულები გამოვიდნენ. ქალს გახამებული ქვედაკაბა ეცვა, კაცს - თეთრი ქურთუკი და ფეტრის სომბრერო. პაწია სახლი, რომელმაც ისინი შეიფარა, ღრმა ხევის ახლოს იდგა. ხევის კიდეებს თავჩაკიდებული მაჩიტელები მოსდებოდნენ, ბუჩქნარიდან კი მყრალი სუნი მოდიოდა, კოიოტის დაგლეჯილი

კურდღელი იხრწნებოდა. ხევის ძირას ნაკადული მიჩხრიალებდა. რეხინა ნაკადულზე დაიხარა, თითქოს ახლაც უნდოდა დაენახა ის, რაც თავად მოიგონა. ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს. სოფლის გზა ხევის გაღმა ფერდობზე ადიოდა. მთებიდან შაშვის ჭახჭახი ისმოდა, არა, ეს იყო ფლოქვების მსუბუქი თქარუნი, მტვრის კორიანტელი რომ ახშობდა.

- ლეიტენანტო კრუს! ლეიტენანტო კრუს!

ცხენმა გამყინავად დაიჭიხვინა და შეჩერდა. ლორეტოს, გენერლის ადიუტანტს, მხიარულ, გაოფლილ სახეზე მტვერი ნიღაბივით ედო.

- იჩქარეთ, - ხრინწიანი ხმით უთხრა და თან ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა, - ახალი ამბებია. პირდაპირ სალაშქროდ მივდივართ. უკვე ისაუზმეთ? ყაზარმაში კვერცხებს არიგებენ.

- არ მჭირდება, - გაიღიმა კრუსმა პასუხად.

მტვრის ღრუბელზე მსუბუქად მოეხვია რეხინა. როდესაც ლორეტოს ცხენი თვალს მიეფარა და დედამიწას სიჩუმე დაუბრუნდა, მხოლოდ მაშინ მოეხვია შეყვარებული ქალი მთელი ვნებით თავის ჭაბუკ საყვარელს.

- აქ დამელოდე.

- როგორ გგონია, რა მოხდა?

- ალბათ, ახლომახლო მტრის რაზმების ნაშთები გამოჩნდა. საშიში არაფერია.

- მე აქ დაგელოდო?

- ჰო, არ წახვიდე. დღეს საღამოს ან დიდი-დიდი ხვალ, განთიადისას დავბრუნდები.

- არტემიო... ოდესმე დავბრუნდებით იქ?

- ვინ იცის. ვინ იცის, რამდენი უნდა ვიჯახიროთ კიდევ, მაგაზე ნუ ფიქრობ. იცი, როგორ მიყვარხარ?

- მეც მიყვარხარ, ძალიან. ალბათ, სამუდამოდ.

ყაზარმის მთავარ პატიოსა და თავლებში კი ჯარისკაცები, რომელთაც ახალი ლაშქრობის ბრძანება მიიღეს, საზეიმო სიმშვიდით ემზადებოდნენ ლაშქრობისათვის. პატიოსა და სადგურის დამაკავშირებელ ლიანდაგზე ერთიმეორის მიყოლებით მიგორავდნენ ზარბაზნები, რომლებსაც თეთრი გრძელყურა ჯორები მიათრევდნენ; ზარბაზნებს სამხედრო მასალით დატვირთული ლაფეტები მიჰყვებოდა. კავალერისტები თავიანთ მებრძოლ, მორჩილ და წყნარ, დენთით ამომწვარ, ტკიპამოდებულ ცხენებს აღვირს უმოკლებდნენ, თივიან ტომრებს ხსნიდნენ, მოსართავს უჭერდნენ, აბურძგნილ ფაფარზე ალერსიანად უსვამდნენ ხელს. ორასი ზერდაგი, ამლაყი და შავრა ცხენი ერთიმეორის მიყოლებით ტოვებდა ყაზარმებს. ქვეითები თოფებს წმენდნენ და დაწალიკებით ჩაუვლიდნენ მხიარულ ქონდრისკაცს, რომელიც მათ ვაზნებს ურიგებდა. ჩრდილოელებს ნაცრისფერი ფეტრის ფარფლებაწეული სომბრეროები ეხურათ. ყელზე მოსახვევები შემოეკრათ. ქამარზე პატრონტაშები ეკიდათ. ჩექმები ცოტას ეცვა: მიტკლის შარვლებიდან ყვითელი ტყავის ფეხსაცმელი ან უბრალო უარაჩი[26] მოუჩანდათ, უსაყელო, ზოლიანი ხალათები

ეცვათ. აქა-იქ ქუჩებში, პატიოში თუ სადგურზე - ტოტებით მორთული ინდიელთა შლაპები გამოირჩეოდა. ესენი ინდიელი იაკები იყვნენ, მუსიკოსები, ხელში საყვირები ეჭირათ და ზურგზე სპილენძის ქვაბები ჰქონდათ მოგდებული. თბილი წყლის ბოლო ყლუპი. ნაკვერცხლებზე შემოდგმული ლობიოს წვნიანის ქვაბები, მოხარშული კვერცხით სავსე თასები. სადგურიდან ღრიანცელი გაისმა - სოფელში მაიას ტომის ინდიელთა ვაგონ-ბაქანი შემოვიდა. ისინი ხმაურა დოლებს ურახუნებდნენ, ფერად-ფერად მშვილდებსა და მსხვილ ისრებს ატრიალებდნენ.

არტემიო წინ გაძვრა. ყაზარმაში, კედელზე ირიბად მიკრულ რუკასთან გენერალი იდგა და სიტყვას ამბობდა.

- ჩვენთან ზურგში, რევოლუციის მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიაზე, ფედერალები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. ცდილობენ ფლანგებიდან მოგვიარონ. ამ დილით ჩვენმა მზვერავმა პოლკოვნიკ ხიმენესის მიერ დაკავებული სოფლების მხრიდან ავარდნილი სქელი ბოლი დაინახა. მზვერავი ჩამოვიდა და მოგვახსენა ეს ამბავი. მე პოლკოვნიკის ბრძანება გამახსენდა, ყოველ სოფელში მორები და ფიჩხი

უნდა მოემზადებინათ, თუ თავს დაესხმებოდნენ, კოცონები დაენთოთ და გავეფრთხილებინეთ. ჩვენ უნდა გავიყოთ. ნახევარი მთების გადავლით უკან წავა და ხიმენესს მიეშველება, მეორე ნახევარი გუშინ დამარცხებულ რაზმებს დაედევნება. ჰო, მართლა, უნდა შევამოწმოთ, სამხრეთიდან ახალი დიდი შეტევა ხომ არ გვემუქრება. ამ სოფელში ერთი ბრიგადა დარჩება. თუმცა, საეჭვოა, მტერი აქამდე მოვიდეს. მაიორო გავილან... ლეიტენანტო აპარისიო... ლეიტენანტო კრუს... თქვენ უკან, ჩრდილოეთისკენ წახვალთ.

ხიმენესის დანთებული ცეცხლი უკვე ჩამქრალიყო, როდესაც შუადღისას კრუსმა მთის უღელტეხილზე სამეთვალყურეო საგუშაგო გაიარა. ქვემოთ ჯარისკაცებიანი ეშელონი მიიზლაზნებოდა, მორტირებსა და ტყვიამფრქვევებს რომ მიათრევდა. ცხენოსან რაზმს ძალიან უჭირდა ციცაბო ფერდობზე ჩასვლა. რკინიგზიდან ზარბაზნებმა ცეცხლი დაატეხეს იმ სოფლებს, რომლებიც, ალბათ, ისევ ფედერალებმა დაიკავეს.

- ეი, სწრაფად! - დაიყვირა კრუსმა, - ჩვენები ერთ-ორ საათს ცეცხლს არ შეწყვეტენ, ამასობაში ჩვენც მოვასწრებთ, დავზვერავთ.

ვერც მერე და ვერც ვერასოდეს შეიცნო კრუსმა, რატომ ჩამოუვარდა თავი მკერდზე, როცა ცხენები ადგილს მოსწყდნენ და მათი ფლოქვები ვაკეზე გახმაურდა. იმაზე ფიქრიც კი დაავიწყდა, რა უბრძანეს. ის უკვე ვეღარც თავის ჯარისკაცებს ხედავდა, სადღაც გაქრა მისი სიმტკიცე და მიზანსწრაფულობა. სულში სინაზე და დაკარგულის მძიმე ნაღველი შემოაწვა. დაბრუნება და რეხინას მკლავებში თავდავიწყება სურდა მხოლოდ. თითქოს მზის გავარვარებულმა დისკომ შთანთქა მის გვერდით მქროლავი ცხენები, მხედრები თუ შორეული ქვემეხების გრიალი. ეს რეალური სამყარო განდევნა მეორემ,

წარმოსახულმა, სადაც მხოლოდ თვითონ და მის სიყვარულს ჰქონდათ სიცოცხლის უფლება, ისინი იმსახურებდნენ გადარჩენას.

„გახსოვს ის კლდე, ზღვაში ქვის გემივით რომ იყო შეჭრილი?“

ისევ რეხინას უყურებდა, კოცნის სურვილი წვავდა, თან ეშინოდა, არ გაეღვიძებინა. სჯეროდა, ასე რომ ვუყურებ, ვეუფლებიო, მხოლოდ ერთი მამაკაცი იცნობს და ხედავს რეხინას ასე, ფიქრობდა იგი, დიახ, ეს კაცი არის მისი მფლობელი და არც არასოდეს მიატოვებს. რეხინაზე ფიქრისას საკუთარ თავზეც ფიქრობდა. ხელებმა აღვირი დაუშვა.

თვითონ ერთიანად, მთელი მისი სიყვარული ამ ქალში იძირებოდა, ქალში, ვინც მის არსებას მთლიანად დაეპატრონა. უნდა დაბრუნდეს... უთხრას, რა ძვირფასია იგი მისთვის... უამბოს, რაზე ფიქრობდა ახლა... რეხინამ უნდა იცოდეს...

ცხენმა დაიჭიხვინა და ყალყზე შედგა. მხედარი მშრალ თიხოვან მიწაზე ეკლიან ბუჩქებში ჩავარდა. ცხენოსნებს ფედერალებმა ხელყუმბარები დაუშინეს. იგი წამოდგა, კვამლში მხოლოდ თავისი ცხენი დაინახა, მისი სისხლით აელვარებული მკერდი-ბეგთარი, რომელმაც სიკვდილისაგან იხსნა. იქვე, გვერდით, ორმოცდაათამდე სხვა ცხენი ბორგავდა. ირგვლივ ჩამობნელდა: ცამ ერთი საფეხურით დაიწია და ზედ თავს ზემოთ საფანტის ბუღად იქცა. დაბალი ხისკენ გაიქცა, თუმცა კვამლის ბოლქვები უფრო საიმედოდ იფარავდნენ, ვიდრე ეს გაქუცული ტოტები. ოცდაათ მეტრში ტყე იწყებოდა. დაბალი, მაგრამ უღრანი, ყოველი მხრიდან საშინელი, გაურკვეველი ყვირილი ისმოდა. იგი წინ გაიჭრა, ვიღაცის ცხენს აღვირში სტაცა ხელი, მოახტა და გვერდზე ჩამოეკიდა, ცხენი იფარა და დეზი ჰკრა. რაში ადგილს მოსწყდა, თავჩაკიდებული მხედარი, გაშლილი თმის წყალობით ვერაფერს რომ ვერ ხედავდა, მაგრად ეჭიდებოდა აღვირსა და უნაგირს. ბოლოს დღის სინათლე ჩაქრა, თვალი ბინდბუნდში, ცხენიდან ჩამოვარდნილმა გაახილა, წამოდგა, მაგრამ ხეს დაეჯახა.

ყვირილი აქამდეც აღწევდა. ირგვლივ საბრძოლო გრიალ-ღრჭიალი იდგა, მაგრამ ტყე ხმაურისაგან საიმედო მანძილით იყო დაშორებული. ნელა შრიალებდა ტოტები, ძლივს გასაგონად დასრიალებდნენ ხვლიკები. მარტოდმარტო ხეს მიყრდნობილი იჯდა და ისევ ივსებოდა სიცოცხლის სიხარულით, ნელ-ნელა რომ უთბობდა სისხლს. სიმშვიდის ნეტარი გრძნობა ფიქრებს დევნიდა. ალბათ, ეძებენ? ხელებსა და ფეხებში მოთენთილობა, სიმძიმე, დაღლილობა ჩამოწვა. რას აკეთებენ იქ უმისოდ? თვალებით უნებურად აკვირდება ჩიტების ფრთხილ ფრენას ზევით, მწვანე ფოთლებში. ალბათ, დისციპლინას მიაფურთხეს და სხვებიც გამოიქცნენ ამ კურთხეულ ტყეში? ჰო, ახლა ძნელია ფეხით ასვლა ზევით, თავისიანებთან. აქ უნდა მოიცადოს. ჰო, მაგრამ, ტყვედ რომ წაიყვანონ? ანაზდად ფიქრი შეუწყდა: აქვე გვერდით ვიღაცის კვნესა მოისმა და ვიღაც პირდაპირ ხელებზე დაეცა. უნდოდა დაცემული გადაეგდო, მაგრამ უნებურად დაიჭირა უღონო, დაჩეხილი, სისხლიან ძონძებში გახვეული სხეული, დაჭრილმა ამხანაგის მხარს მიადო თავი:

- ცხელ... დღეს... გვაყრიან...

ზურგზე რაღაც სითბო იგრძნო: ჯარისკაცს გაჩეხილი მხრიდან სისხლი სდიოდა, ტკივილით დაღრეჯილ სახეს დახედა: ფართო ღაწვები, ნახევრად ღია პირი, დახუჭული თვალები, მოკლე, აბურდული ულვაში და ზუსტად ისეთი წვერი, როგორიც თვითონ აქვს. მწვანე თვალები რომ ჰქონდეს, ღვიძლი ძმა იქნება და ეგ არის...

- რა ამბავია? ჩვენებს ურტყამენ? ცხენოსანი რაზმი რას შვრება? უკან დაიხია?

- არა... არა. მიდიან წინ...

დაჭრილმა ძლივს გაიქნია ჯანმრთელი ხელი - მეორე შრაპნელისგან მთლად დაცხრილული ჰქონდა. ტანჯვისგან სახე ეღრიჯებოდა. გეგონებოდათ, ეს დაღრეჯილობა ტანჯვას უმსუბუქებდა, სიცოცხლეს უხანგრძლივებდა.

- რაო? ჩვენები უტევენ?

- წყალი, მეგობარო... ცუდად ვარ.

დაჭრილი ლეიტენანტს საოცარი ძალით მოეხვია, თითქოს უხმოდ ევედრებაო და გონება დაკარგა. ლეიტენანტი ტყვიასავით მძიმე სხეულის ქვეშ გაირინდა. ისევ შემოესმა ქვემეხების გრუხუნი. მსუბუქი ნიავი ხეთა ტოტებს არხევდა. და აი, სიმშვიდე და მყუდროება ისევ შრაპნელმა დაარღვია. მან დაჭრილის საღი ხელი გადასწია და ზედ დაწოლილი სხეულისგან გათავისუფლდა. დაჭრილს თავში ხელი მოჰკიდა და დახლართული ფესვებით დაფარულ მიწაზე დააწვინა. მათარა გახსნა, დიდი ყლუპი წყალი მოსვა, შემდეგ დაჭრილს მიუტანა ტუჩებთან: წყლის ნაკადმა განაცრისფრებული ნიკაპი ჩამოასველა. მაგრამ გული კვლავ უცემდა. დაჭრილის მკერდთან ჩაჩოქილი თავის თავს ეკითხებოდა: დიდხანს იმუშავებს კიდევ მისი გული? დაწოლილს ქამარზე ვერცხლის მძიმე ბალთა შეუხსნა და შებრუნდა. რა ხდება იქ? ვინ იმარჯვებს? წელში გაიმართა და ტყის სიღრმისკენ წავიდა, ყოველი ნაბიჯით შორდებოდა დაჭრილს.

მიდიოდა, თან საკუთარ სხეულს სინჯავდა: დაბალ ტოტებს გადასწევდა და ისევ სხეულს ისინჯავდა. „არა, მგონი, უვნებელი ვარ, გადავრჩი, ყველაფერი რიგზეა“. წყაროსთან შეჩერდა და მათარა აავსო. წყარო ნაკადულად მიჩუხჩუხებდა, რომელსაც

დაბადებამდე სიკვდილი ჰქონდა მისჯილი: ტყიდან, პეშვით წყალი აიღო და იღლიებში შეისხა. ხალათი გაიხადა, მხურვალე, გახეშეშებულ მხრებზე, მკლავების მკვრივ კუნთებზე, ზეთისხილისფერ გადატკეცილ, ახალდაკაწრულ ხელებზე ნაკადული ჩქეფდა და საკუთარი თავი წყალში ვერ შეათვალიერა. ეს მისი სხეული არ არის - მას რეხინა დაეუფლა, ყოველი მოფერებით რომ მიჰქონდა. ჰო, ეს სხეული მას კი არა, რეხინას ეკუთვნოდა. ამიტომაც უნდა გადაარჩინოს, გადაარჩინოს რეხინასათვის. მათთვის აღარ არსებობს მარტოობა და განშორება, მათი გამყოფი კედელი ჩაიქცა: ორნი სამუდამოდ ერთ არსებად

იქცნენ. რევოლუცია ჩაივლის, გაქრებიან ხალხები და ადამიანები, მაგრამ ეს არასოდეს გათავდება. ახლა ეს მათი, ორივეს სიცოცხლეა. სახე დაისველა, ისევ ვაკეზე გამოვიდა.

აჯანყებულთა ცხენოსანი რაზმი მინდორზე ტყისკენ, მთებისკენ მოაგელვებდა ცხენებს. მისკენ მოქროდნენ, ის კი მიმართულებადაკარგული, ქვემოთ, ცეცხლში გახვეული სოფლებისკენ მიბოდიალობდა. ცხენების გავაზე მათრახების წივილი და თოფის გასროლის მშრალი კაკანი რომ გაიგონა, შეჩერდა - მარტო იდგა მთელ მინდორში. გარბიან? შემოტრიალდა. ხელები თავზე მოიჭირა. კაცი ვერაფერს გაიგებს.

თუ სახლიდან ან ყაზარმიდან გამოდიხარ, ნათელი მიზანი უნდა გქონდეს და ეს ოქროს სიმი არ დაკარგო - მხოლოდ ასე შეიძლება გაერკვე იმაში, რაც ხდება ირგვლივ. საკმარისია ერთი წუთით მოსწყდე, რომ ომის ჭადრაკი ქაოსური, უაზრო სვლებისაგან შემდგარ, გაუგებარ, სულელურ თამაშად იქცეს.

ამ მტვრის ღრუბელი... გაფრენილი ცხენების გააფთრებული სიფათები... მხედარი გაჰკივის და ხმალს ატრიალებს... იქით, მოშორებით, მატარებელი დგას... მტვრის კორიანტელი ახლოვდება. ახლოვდება. აი, მზე - სულ ახლოს, გონდაკარგულ თავზე დანათის... ხმალმა შუბლი გაუსერა... ცხენებმა გვერდით ჩაუქროლეს, წააქციეს...

კრუსი წამოდგა და ჭრილობაზე მოივლო ხელი. ისევ უნდა დაბრუნდეს ტყეში. უშიშრად მხოლოდ იქ იქნება. ფეხებქვეშ მიწა ტორტმანებდა. მზე თვალებს ჭრიდა, შორს, თვალსაწიერის დასასრულს, გადამხმარი მინდორი და მთათა რკალი ერთმანეთს ერწყმოდა. ტყეს რომ მიაღწია, ხეს მიეყრდნო. ხალათი გაიხსნა, მკლავი მოახია, დააფურთხა და გასისხლიანებული შუბლი დაისველა. ნახევით თავის შეხვევა დაიწყო, რომელიც ტკივილისგან უგუგუნებდა. უეცრად გვერდით ვიღაცის ჩექმებქვეშ გამხმარი

ტოტები ატკაცუნდა. დანისლული მზერა ნელ-ნელა ააყოლა მის წინ მდგარ ჩექმას; რევოლუციური არმიის ჯარისკაცს ზურგზე ვიღაც მოეგდო - გასისხლიანებულ, დაფლეთილ, გაწამებულ სახეზე დასახიჩრებული ხელი კონწიალებდა - სისხლი უკვე აღარ სდიოდა.

- ტყის პირას ვიპოვე, სულს ლევს. მკლავი აქვს მოგლეჯილი... ჩემო... ჩემო ლეიტენანტო...

მაღალმა, შავგვრემანმა ჯარისკაცმა თვალები მოწკურა, რომ განსხვავებული ნიშნები გაერჩია.

- ალბათ, მოკვდა. ცხედარივით მძიმეა.

სხეული ზურგიდან გადმოიგდო და ხის ქვეშ მიაწვინა - ზუსტად ისე, როგორც თვითონ გააკეთა ამ ნახევარი საათის თუ თხუთმეტი წუთის წინ. დაჭრილს

პირზე ლოყა მიადო. იცნო ეს გაღებული პირი, ფართო ღაწვები, ჩაცვენილი თვალები.

- ჰო, მომკვდარა. ცოტა ადრე რომ მომესწრო, იქნებ კიდეც გადამერჩინა.

ჯარისკაცმა მიცვალებულს ფართო ოთხკუთხა ხელით თვალები დაუხუჭა. ვერცხლის ბალთა შეუკრა, თავი დახარა და თეთრ კბილებში გამოცრა:

- ეჰ, ჩემო ლეიტენანტო. ქვეყანაზე ასეთი გულადები რომ არ იყვნენ, ჩვენ რა გვეშველებოდა!

კრუსი წამოხტა, ზურგი აქცია ცოცხალსაც და მკვდარსაც და ისევ მინდორზე გაიჭრა. იქ სჯობია. თუმცა, არც არაფერი ჩანს და ვერც ვერას გაიგონებ. თუმცა მთელი სამყარო ირგვლივ მიმოყრილ აჩრდილებად გეჩვენება. თუმცა ომისა და მშვიდობის ხმები - სენსონტლების სტვენა, ქარი, ხარების შორეული ზმუილი - ერთ ყრუ დოლის ხმად ერთიანდება, რომელიც სხვა დანარჩენ ხმაურს გავიწყებს და სევდას გგვრის. ვიღაცის ცხედარს წამოჰკრა ფეხი და თვითონაც არ იცოდა, რატომ, მის წინაშე მუხლებზე დაეცა. ერთი წუთიც და, დოლის ბრაგუნის მონოტონურ ბგერებში ვიღაცის ხმა გამოირჩა:

- ლეიტენანტო... ლეიტენანტო კრუს!

ლეიტენანტს მხარზე ხელი დაადეს. კრუსმა ახედა.

- ლეიტენანტო, თქვენ მძიმედ ხართ დაჭრილი. ერთად წავიდეთ, ფედერალები გაიქცნენ. ხიმენესმა სოფლები არ დათმო. დროა, რიო-ონდოში, ყაზარმებში დავბრუნდეთ. კავალერისტები ქაჯებივით იბრძოდნენ, ღმერთმანი, თითქოს გამრავლდნენ კიდეც. წამოდით. თქვენ, მგონი ცუდად ხედავთ არა?

იგი ოფიცრის მხარს დაეყრდნო და წაიბუტბუტა:

- ყაზარმაში. ჰო, წავიდეთ.

ძაფი დაიკარგა. ძაფი, რომლითაც ომის ლაბირინთს შეუფერხებლად გაივლიდა, არ დაიბნეოდა, არ იდეზერტირებდა. ხელებში ძლივს ეჭირა აღვირი. მაიორ გავილანის უნაგირზე გამობმული მისი ცხენი ნელა გადადიოდა მთას, რომელიც ბრძოლის ველს იმ ველისგან ყოფდა, სადაც რეხინა ელოდა. ძაფი გაქრა. ძირს კი, წინ, სოფელი რიო-ონდო იყო, ისეთივე, როგორიც დილით დატოვა: დახვრეტილსახურავიანი ვარდისფერი, მოწითალო თუ თეთრი თიხით ნაშენი სახლები, კაქტუსების მესრები. ეჩვენებოდა, რომ მწვანეფერდობიანი ხევის პირას უკვე შეიძლებოდა გამოერჩია სახლი, ფანჯარა, სადაც რეხინა ელოდა.

გავილანი წინ მიდიოდა. მზე ჩადიოდა და მთამ თავის ჩრდილქვეშ მოაქცია თავჩაქინდრული ორი სამხედრო. მაიორის ცხენმა ნაბიჯი შეანელა და ლეიტენანტის ცხენი დაეწია. გავილანმა კრუსს სიგარეტი შესთავაზა. აბოლდა თუთუნი და ცხენები ისევ გაჩაქჩაქდნენ. ცეცხლის ალის გაკრთომაზე მაიორის სახეზე თანაგრძნობა ამოიკითხა და თავი დახარა. რას იზამ. ამათ სიმართლის

მხოლოდ ნაწილი იციან: ბრძოლის ველიდან გამოიქცა, რისთვისაც ოფიცრის სამხრეებს ჩამოაგლეჯენ, მაგრამ მათ სხვა რამე არ იციან, არ იციან, რომ უნდოდა, თავი გადაერჩინა, რათა რეხინასთან დაბრუნებულიყო. კიდევაც რომ აუხსნას, ვერ გაიგებენ. მათ არც ის იციან, რომ დაჭრილი ჯარისკაცი მიატოვა მაშინ, როცა მისი შველა შეეძლო. რეხინას სიყვარული ჩამორეცხავს მიტოვებული ჯარისკაცის წინაშე დანაშაულს. ასე უნდა იყოს. თავი ჩაღუნა და სიცოცხლეში პირველად იგრძნო სირცხვილი. სირცხვილი. მაგრამ არა, მაიორ გავილანის ნათელ, პატიოსან თვალებში საყვედური არ ჩანდა. მაიორმა თავისუფალი ხელი მზისა და მტვრისგან გამოხუნებულ ჟღალ წვერზე ჩამოისვა:

- სიცოცხლეს თქვენ უნდა გიმადლოდეთ, ლეიტენანტო. თქვენ და თქვენმა ბიჭებმა... შეაკავეთ თავდასხმა. გენერალი ისე შეგხვდებათ, როგორც გმირს ხვდებიან... არტემიო... შემიძლია უბრალოდ არტემიო გიწოდოთ?

დაღლილად გაიღიმა. შემდეგ ლეიტენანტს მხარზე ხელი დაადო, ჩაიცინა და დაუმატა:

- ამდენი ხანია ერთად ვიბრძვით, „შენობით“ კი არ მიგვიმართავს ერთმანეთისათვის.

უსიცოცხლო, ლანდებიანი ღამე ეშვებოდა. მხოლოდ შორს, უკუნში შეჯგუფებულ მთებს გადაღმა წითლად ღუოდა დაისის ანარეკლი. ყაზარმების მახლობლად ცეცხლი ინავლებოდა, შორიდან ვერც კი შენიშნავდით.

- ოხრები! - ხრინწიანად შეიგინა მაიორმა, - უცბად შემოიჭრნენ სოფელში, დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი. ცხადია, ყაზარმებში ვერ შეაღწიეს. სამაგიეროდ, სოფლებზე იყარეს ჯავრი: რაც მოეპრიანათ, ყველაფერი გააკეთეს. ადრეც დაემუქრნენ ჩვენს მომხრე სოფლებს, სამაგიეროს გადაგიხდითო. ათი მძევალი წაიყვანეს და გვაცნობეს, ამათ ჩამოვახრჩობთ, თუ არ დაგვნებდითო. გენერალმა მორტირების ცეცხლით უპასუხა.

ქუჩები ჯარისკაცებსა და გლეხებს აევსოთ. კუდამოძუებული დაეხეტებოდნენ მაწანწალა ძაღლები, ხოლო ძაღლებივით უსახლკარო ბავშვები კარებთან ღნაოდნენ.

აქა-იქ კიდევ ბოგინებდა ხანძარი, შუა ქუჩაში ქალები ლეიბებზე და გადარჩენილ ავლადიდებაზე ისხდნენ.

- ლეიტენანტი არტემიო კრუსი, - ჩურჩულებდა ჯარისკაცებისკენ გადახრილი გავილანი.

- ლეიტენანტი კრუსი, - ჯარისკაცებიდან ქალებისკენ ტალღასავით გადადიოდა.

შეჯგუფებული ხალხი უმალვე უთმობდა გზას წყვილად მიმავალ ცხენებს: ნერვიულად მოფრუტუნე შავრას და მის უკან თავჩაქინდრულ წაბლას. გამორჩეულად იმ ცხენოსანი რაზმის მებრძოლები ესალმებოდნენ, რომელსაც

ლეიტენანტი მეთაურობდა, ხელებს იშვერდნენ, მისალმების ნიშნად კრუსს ფეხებზე უთათუნებდნენ ხელებს, გასისხლიანებული ნაჭრით შეხვეულ თავზე ანიშნებდნენ, ხმადაბლა ულოცავდნენ გამარჯვებას.

სოფელი გაიარეს, წინ ჩამუქებული ხრამი ჩანდა. საღამოს ნიავი ხეებს არხევდა. თავი ასწია: აი, თეთრი სახლიც, ფანჯრებს შეხედა - დახურული იყო. ზოგიერთი სახლის

კართან სანთლის წითელი ენები ციმციმებდა. აქა-იქ სახლების პარმაღებთან ჩაცუცქული, აბუზული ხალხის პატარ-პატარა ჯგუფები მოჩანდა.

- არ გაბედოთ ჩამოხრჩობილების ჩამოხსნა! - ყვიროდა ლეიტენანტი აპარისიო. ცხენი ყალყზე შეაყენა და მისკენ თხოვნით გაწვდილი ხელები მათრახით მოიშორა.

- სათითაოდ დაიმახსოვრეთ! ისიც იცოდეთ, ვის ვებრძვით! მტერი გლეხებს აიძულებს, თავიანთი ძმები დახოცონ. უყურეთ ამათ. მტერმა იაკების მთელი ტომი მოსპო, რადგან მათ არ უნდოდათ თავიანთი მიწების დათმობა. რიო-ბლანკოსა და კანანეაში გლეხები იმიტომ დახვრიტეს, რომ არ უნდოდათ შიმშილით ამოხდომოდათ სული. ისინი ყველას ამოგვხოცავენ, თუ ჩვენ თვითონ არ გადავუმტვრევთ ხერხემალს. შეხედეთ!

ჭაბუკმა ლეიტენანტმა აპარისიომ თითი ხევისპირას მდგარი ხეებისკენ გაიშვირა: ხეშეში ხენეკენის თოკებით ჰაიჰარად გაკვანძული ყულფებისგან კიდევ სდიოდათ ყელიდან სისხლი, მაგრამ თვალები უკვე ამოსცვენოდათ, ენები გალურჯებოდათ, ხოლო მომჩვარულ სხეულებს ნელა არხევდა მთიდან მონაბერი ნიავი - უკვე მკვდრები იყვნენ. ჩამოხრჩობილთ მიჩერებულ, დაბნეულ თუ მრისხანე, გამწარებულ თუ ჯერ

კიდევ მიუმხვდარი მშვიდი ნაღველით აღსავსე თვალთა წინაშე ქანაობდნენ ტალახიანი უარაჩები, ბავშვის შიშველი ფეხები, ქალების შავი ფეხსაცმელები. კრუსი ჩამოქვეითდა, ჩამომხრჩვალთ მიუახლოვდა და რეხინას გახამებულ ქვედაკაბას მოეხვია, გულსაკლავად ამოიკვნესა. აქვითინდა, პირველად მას შემდეგ, რაც მამაკაცად იქცა.

აპარისიომ და გავილანმა რეხინას ოთახში შეიყვანეს. აიძულეს, დაწოლილიყო, ჭრილობა მობანეს, ბინძური ქსოვილის ნაცვლად ნახვევი დაადეს. მერე, როცა ისინი წავიდნენ, კრუსმა სახე ბალიშში ჩარგო, ბალიშს ჩაეხვია. ნეტავ დაეძინოს, ერთი დაეძინოს. სურდა, ერწმუნა, რომ ძილი ისევ დააახლოებდა, ისევ შეაერთებდა რეხინასთან. მაგრამ მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ახლა ამ საწოლში, ქინქლების საწინააღმდეგო ბადის შიგნით, უფრო მეტი ძალით, ვიდრე უწინ, იმეფებს ნესტიანი თმის, გადატკეცილი, დამყოლი სხეულის სურნელი. რეხინა ახლა ისეთი ახლობელი, ისეთი საყვარელი იყო, როგორიც არასოდეს. რეხინა ცოცხლობდა და მხოლოდ მას ეკუთვნოდა. მოგონებები გულს უკლავდა,

თავი უხურდა. მათი ხანმოკლე სიყვარულის რამდენიმე თვის განმავლობაში არასოდეს ჩაუხედავს ასეთი

მღელვარებით მის მშვენიერ თვალებში, არასოდეს შეუდარებია მათსავით მბრწყინავი ტყუპისცალისთვის: შავი ალმასებისთვის, მზით გაბდღვრიალებული ზღვის სიღრმისთვის, კლდოვანი ხეობის ფსკერისთვის, ხეზე მოკიაფე, ვარვარა მუქი ალუბლებისათვის. არასოდეს უთქვამს მისთვის ეს. არასოდეს ეცალა. დრო არ ჰყოფნიდა, სიყვარულზე ასე ელაპარაკა. არ რჩებოდა დრო ბოლო სიტყვისათვის. იქნებ თვალი რომ დახუჭოს, რეხინა დაბრუნდეს, მთრთოლარე თითების მწველ ალერსში გაცოცხლდეს. იქნებ საჭიროა მხოლოდ წარმოიდგინოს და მუდამ მის გვერდით იქნება, ვინ იცის, იქნებ მოგონებას ჭეშმარიტად ძალუძს სიცოცხლის გაგრძელება, მჭიდროდ შემოეჭდოს ფეხებით, კარი გაუღოს დილას, დაივარცხნოს თმა - აღადგინოს სურნელი, ბგერები, სხეულის შეხება. ხელის ცეცებით ბნელ ოთახში მესკალის[27] ბოთლი იპოვა. მაგრამ არაყმა რატომღაც უწინდელივით თავდავიწყება ვერ მოჰგვარა - პირიქით, მოგონებები უფრო ცინცხალი და უფრო მძაფრი გაუხდა.

სპირტმა გულ-მუცელი ამოწვა. რა დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა ახლა ზღვის პირას, იმ კლდესთან, რომელიც არასოდეს არსებობდა? ამ მშვენიერ გოგონას ნაოცნებართან? ზღაპართან, რეხინას მოგონილ ზღაპართან, თუ როგორ შეხვდნენ

ზღვის პირას, რომ მას სუფთა, მართალ, სიყვარულის ღირს ადამიანად ეგრძნო თავი? სასოწარკვეთილებაში მყოფმა მესკალიანი ჭიქა იატაკზე დაახეთქა. აი, რისთვისაა საჭირო არაყი - სიცრუის დასახრჩობად. მაგრამ ის სიცრუე მშვენიერი იყო.

„- სად გავიცანით ერთმანეთი?

- შენ არ გახსოვს?

- შენ მითხარი.

- გახსოვს ლაგუნა? ყოველ საღამოს იქ დავდიოდით.

- მახსოვს. წყალში შენ გვერდით ჩემს სახეს ხედავდი.

- გახსოვს? მარტო ჩემი სახის დანახვა არ მინდოდა, თუ გვერდით შენიც არ იქნებოდა.

- ჰო, მახსოვს“.

მას უნდა დაეჯერებინა ეს მშვენიერი სიცრუე, უნდა დაეჯერებინა სამუდამოდ, კუბოს კარამდე. არა, იგი სინალოას სოფელში არ შეჭრილა, როგორც ამას სხვა სოფლებში სჩადიოდა, სადაც შემთხვევით ქუჩაში გამოსულ პირველ შემხვედრ ქალს დაითრევდა ხოლმე. არა, ეს თვრამეტი წლის ასული ძალით არ შეუსვამს ცხენზე და ზღვისგან, შორს, ცივ სუსხიან მთაში ოფიცერთა საერთო საძინებლის

სიმყუდროვეში ნამუსი არ აუხდია. რეხინას კეთილმა გულმა უსიტყვოდ როდი აპატია, როდესაც წინააღმდეგობა ნეტარებამ შეცვალა. ჯერ კიდევ მამაკაცის ალერსს უჩვევი მისი ხელები პირველად სიხარულით მას შემოეჭდო, დაცვარული, გაპობილი ბაგენი კი გუშინდელივით იმეორებდნენ, რომ თავს კარგად გრძნობდა, რომ მასთან ყოფნა მოსწონდა, რომ ადრე ამ ბედნიერების ეშინოდა. ფიცხი და მეოცნებე რეხინა. მას შეეძლო სიყვარულით მოგვრილი სიხარულის დაფასება. შეძლო მისი შეყვარება. შეთხზა ზღაპარი ზღვასა და მშვიდ წყალში არეკლილ მის სახეზე, რათა დავიწყებოდა ყველაფერი, რაც მას სირცხვილს მოჰგვრიდა. ქალი - სიცოცხლეა, რეხინაა. უტკბესი მდედრი და წმინდა, საოცარი ჯადოქარი. იგი ბოდიშებისა და თავის მართლების მოსმენას არ ელოდა. არასოდეს აბეზრებდა საყვედურებით თავს, მოთმინებიდან არ გამოჰყავდა მოსაწყენი საყვედურებით. ყოველთვის მასთან იყო - რომელ სოფელშიც უნდა შესულიყვნენ.

სადაცაა გაიფანტება ის საშინელი მოლანდება: თოკზე ჩამოკიდებული უძრავი სხეული - და ის... ის, ალბათ, უკვე სხვა სოფელშია. გზას დაადგა. ცხადია, როგორც ყოველთვის, ჩუმად გავიდა და სამხრეთისაკენ გაემართა. ფედერალებს გაუსხლტა და სხვა სოფელში ოთახი იშოვა. ჰო, იმიტომ, რომ რეხინას არ შეეძლო უმისოდ სიცოცხლე. ჰოდა, მას კი რეხინას გარეშე. დიახ, ერთიღა რჩებოდა. გასულიყო, ცხენს მოხტომოდა, ჩახმახი შეემართა, შეტევაზე გადასულიყო და ისევ ეპოვა იგი შემდგომ ბანაკში...

სიბნელეში ქურთუკი მოძებნა და პატრონტაში გადაიჯვარედინა. გარეთ მშვიდად ელოდა ბოძს მიბმული შავრა. ხალხი კვლავ შემოსჯაროდა ჩამოხრჩობილებს, მაგრამ იქით არც გაუხედავს. ცხენს მოახტა და ყაზარმისკენ გააჭენა.

- საით წავიდნენ ეგ ძაღლის ლეკვები? - დაუყვირა ყაზარმის მცველ ჯარისკაცს.

- იქით, ხევგაღმა, ჩემო ლეიტენანტო. ამბობენ, ხიდთან ჩასაფრდნენ და მაშველს ელიანო. ეტყობა, ამ სოფლის დაბრუნება უნდათ. შემოდით ჩვენთან, ცოტა მომაგრდით.

ცხენიდან ჩამოხტა. აუჩქარებლად წავიდა პატიოსკენ, სადაც კერიების ხარიხაზე შეკიდებული თიხის ქოთნები ქანაობდნენ და ცომის ტყაპუნი ისმოდა. კოვზი შიგნეულის მოთუხთუხე წვნიანში ჩაყო, ხახვი მოციცქნა, წითელი წიწაკა და ორეგანი ჩაუმატა, სიმინდის ცხელი კვერები შეჭამა, ღორის ფეხი გაღრღნა. დიახ, იგი ცოცხალია.

დაჟანგული რკინის ღობიდან მაშხალა ამოაძრო, რომელიც ყაზარმის შესასვლელს ანათებდა და თავის შავრას დეზი ჰკრა. ქუჩაში მიმავალმა ხალხმა ძლივს მოასწრო გვერდზე გახტომა, ტკივილისგან გამწარებულმა ცხენმა ყალყზე შედგომა დააპირა, მაგრამ კრუსმა აღვირი მოსწია, ისევ ჰკრა დეზი და მიხვდა, რომ ცხენმა გაუგო. ეს უკვე აღარ იყო დაჭრილი, გაოგნებული ადამიანის ცხენი, საღამოს მთის ბილიკით რომ ბრუნდებოდა. ეს სხვა ცხენი იყო, რომელსაც

პატრონის ესმოდა. მერე ფაფარი გაიქნია, თითქოს მხედარს უთხრა, შენ მებრძოლ ცხენზე ზიხარ, ისეთივე გააფთრებულსა და ფრთამალზე, როგორიც თავად ხარ. მხედარმაც ჩირაღდანი აღმართა და ცხენი სოფლის შარაზე, ხევზე გადებული ხიდისკენ გააჭენა.

ხიდის თავში ფარანი ბჟუტავდა. მქრქალ-წითელ ლაქებად ჩანდა მტრების კეპები.

მაგრამ შავი ცხენის ფლოქვებს დედამიწის მთელი ძლიერება მოჰქონდათ, ცისკენ ბღუჯა-ბღუჯად ისროდნენ ბალახს, ეკლებსა და მტვერს, მაშხალიდან ავარდნილ ნაპერწკლებს ვარსკვლავებივით თესავდნენ ირგვლივ. მაშხალიანი კაცი კი ხიდისკენ მიაგელვებდა ცხენს. საგუშაგოს ფარანს გასცდა, ესროდა და ესროდა პისტოლეტს გონდაკარგულ თვალებს, ჩამუქებულ კეფებს, შიშით აწრიალებულ სხეულებს. მტერი ზარბაზნებს მოაგორებდა - ვერ შენიშნეს მხედრის სიმარტოვე, რომელიც ჩრდილოეთისკენ მიქროდა, მეზობელი სოფლისკენ, სადაც ელოდნენ...

- მომეცალენით, ძაღლისშვილებო, მე თქვენი დედა! - ათას ხმად ღრიალებდა ერთი კაცი. ეს იყო ტკივილისა და სურვილის ხმები, პისტოლეტის ხმები. ეს იყო ხელი, მაშხალა დენთიან ყუთებს რომ დასცხო, ზარბაზნები ააფეთქა, შეუკაზმავი ცხენები დააფეთიანა. ცხენების ფრუტუნი, აფეთქების ხმა - ბგერათა ეს ქაოსი - შორეულ ექოდ გახმიანდა გამოფხიზლებული სოფლის გაურკვეველ ხმაურში, ეკლესიის ვარდისფერი სამრეკლოს ზარის წკრიალში, აჯანყებულთა ცხენოსანი რაზმის ცხენთა ფლოქვებქვეშ შეტორტმანებული მიწის გუგუნში, რომელიც მაშინვე ხიდს მიაწყდა... მაგრამ გაღმა ჩუმი ღამე იწვა, კოცონებიც ჩანავლული იყო. უკვე აღარც ფედერალები ჩანდნენ, აღარც

ლეიტენანტები - იგი სამხრეთისკენ მიქროდა, თავს ზემოთ მაშხალას მიაქროლებდა, რომელიც ცხენის გაფიცხებულ თვალებში ირეკლებოდა: სამხრეთისკენ, ხელთ ძაფი ეპყრა, სამხრეთისკენ.

* * *

მე გადავრჩი. რეხინა. ასე არ გერქვა? ჰო. შენ რეხინა ხარ. შენ რაღა გერქვა, უსახელო ჯარისკაცო? მე გადავრჩი, თქვენ დაიღუპეთ. გადავრჩი, თავი დამანებეს. ჰგონიათ, ჩამეძინა. შენ გამახსენდი, შენი სახელი მოვიგონე. აი, იმას კი სახელი არა აქვს. თქვენ, ორივე, ხელიხელჩაჭიდებულნი თვალების ცარიელი ფოსოებით მიტევთ, გგონიათ შეძლებთ შემარცხვინოთ, ჩემი თანაგრძნობა გამოიწვიოთ. ო, არა. თქვენ არ გიმადლით სიცოცხლის გადარჩენას. სიცოცხლის გადარჩენას მხოლოდ საკუთარ შეუპოვრობას ვუმადლი. გესმით? - საკუთარ შეუპოვრობას. არაფერს ვერიდებოდი, ჩემი მუდამ გამქონდა. სათნოება? მორჩილება? გულმოწყალება? ეჰ, უმაგათოდაც შეიძლება იცხოვრო, უმაგათოდაც შეიძლება, მაგრამ შეუპოვრობის გარეშე კი არა. გულმოწყალება? მერე ვის სჭირდება? მორჩილება? შენ, კატალინა, როგორ მოექცეოდი ჩემს მორჩილებას? მე რომ შენ დაგმორჩილებოდი, შენი ზიზღით ლაფში ამომსვრიდი, მიმატოვებდი, ვიცი, თავს იმართლებ, ქორწინების სიწმინდეს იმიზეზებ: ხა-ხა. ჩემი სიმდიდრე რომ არა, დიდი ხანია განქორწინებაზე დაიწყებდი ზრუნვას. შენც, ტერესა, თუ ახლა, როცა ჩემს ხარჯზე ცხოვრობ, გეჯავრები და მლანძღავ, როგორ

შემიძულებდი და შეურაცხმყოფდი, ღარიბი რომ ვიყო, ღატაკი! წარმოიდგინეთ, ფარისევლებო, რომ თქვენ ზურგს არ გიმაგრებთ ჩემი სიცოცხლისუნარიანობა, წარმოიდგინეთ თქვენი თავი დასივებულფეხებიანთა შორის, ქალაქის გაყინულ კუნჭულში ავტობუსს რომ ელოდებიან, წარმოიდგინეთ თქვენი თავი ამ ფეხებდასივებულთა შორის, წარმოიდგინეთ, რომ მაღაზიის გამყიდველები ხართ, კანტორის მდივნები, მანქანაზე უკაკუნებთ, ნაყიდ ნივთებს ახვევთ. იმ ადამიანებად წარმოიდგინეთ თავი, ვინც თითოეულ პესოს ინახავს, განვადებით რომ იყიდოს მანქანა, ვინც წმინდა ქალწულს სანთელს უნთებს და თავისი ოცნების ასრულებას ემუდარება, ვინც ყოველთვიური ხელფასის ნაწილს მიწის ნაკვეთის ქირად იხდის, ვინც ოცნებობს მაცივარზე; იმ ადამიანად წარმოიდგინეთ თავი, ვინც შაბათობით კინოში ზის და არაქისს ჭამს, სეანსის დამთავრების შემდეგ კი ტაქსის საძებნელად გარბის, ვინც თავს ნებას აძლევს, თვეში მხოლოდ ერთხელ ისადილოს რესტორანში. ერთი იფიქრეთ, რისგან გიხსენით: რომ გეცხოვრათ, ამისათვის მოგიწევდათ, გეყვირათ, მექსიკაზე უფრო ბედნიერი ქვეყანა არ მოიპოვებაო, სარაპეთი და კანტინფლასით, მარიაჩისა და მოლე პობლანოს[28] მუსიკით მოგეწონებინათ თავი; მოგიწევდათ ნამდვილად გერწმუნათ აღთქმა, წმინდა ადგილების მოხილვა, ლოცვები.

- Domine, non sum dignus.[29]

„- მოგესალმებით და გაცნობებთ. ჯერ ერთი, მათ სურთ უარი თქვან სესხზე, რომელსაც ჩრდილოამერიკული ბანკები წყნარი ოკეანის რკინიგზას აძლევენ. იცით, რამდენს იხდის ყოველწლიურად რკინიგზა ამ სესხის პროცენტის ანგარიშში? ოცდაცხრამეტ მილიონ პესოს; მეორე - უნდათ რკინიგზის

მაგისტრალების რეკონსტრუქციის კონსულტანტები დაითხოვონ. იცით, რამდენს ვიღებთ ჩვენ? წელიწადში ათ მილიონს; მესამე - მათ უნდათ დაითხოვონ ადმინისტრატორები, ვინც რკინიგზის ასაშენებლად ჩრდილოამერიკული სესხის განაწილებას ხელმძღვანელობს. იცით, შარშან რამდენი გამოიმუშავეთ თქვენ და რამდენი - მე?..

- Three millions pesos each...[30]

- სავსებით სწორია. მაგრამ ამით არ მთავრდება საქმე. გეთაყვა, „ნეიშნლ ფრუტ ექსპრესს“ უდეპეშეთ, რომ კომუნისტ ლიდერებს სურთ ვაგონრეფრიჟერატორების არენდა შეწყვიტონ, რასაც კომპანიისათვის წელიწადში ოცი მილიონი პესო მოაქვს, ხოლო ჩვენთვის კარგი საკომისიო გასამრჯელო. კარგად ბრძანდებოდეთ“.

ხა-ხა. მაგარი ნათქვამია. იდიოტები. მე რომ მაგათ ინტერესებს არ ვიცავდე... იდიოტები. ოჰ, გაეთრიეთ ყველანი, მომასმენინეთ. აბა, გაბედონ და ჩემი არ შეისმინონ. აბა, ერთი ნუ შეუნიშნავთ, რას ნიშნავს ჩემი ეს მოძრაობა...

„- დაჯექი, პაწიავ, ახლავე მოვიცლი შენთვის. შენ კი, დიახ, ფრთხილად იყავი: გაზეთში ერთი სიტყვაც კი არ უნდა გაიპაროს მეამბოხეებზე პოლიციის თავდასხმის თაობაზე.

- მაგრამ, სენიორ, მგონი, მოკლულიც არის. გარდა ამისა, ყველაფერი შუა ქალაქში მოხდა. ცოტა არ იყოს, გამიჭირდება...

- არა უშავს, არა უშავს. უფროსების განკარგულებაა.

- მაგრამ მე ვიცი, რომ ერთი მუშათა ფურცელი ცნობას მოათავსებს...

- მერე თქვენ რაღაზე ფიქრობთ? თუ ფულს არ გიხდით იმაში, რომ იფიქროთ? პროკურატურაში განაცხადეთ, მაგათი სტამბა დასახურია“.

ბევრი ფიქრი მე არ მჭირდება. ერთი ნაპერწკალი კმარა. ერთი ნაპერწკალი, რომ უზარმაზარ რთულ წრედს დენი მივცე. სხვებს თავი კი არა, მთელი გენერატორი სჭირდებათ. მე ეს არ მინდა, ჩემთვის საკმარისია ამღვრეულ წყალში ვიცურო, შორეული დისტანციებიდან ვიმოქმედო, მტრები არ გავიჩინო. დიახ, დიახ, ფირი გადაახვიე. ეს არც ისე საინტერესოა.

„- მარია-ლუისა, შენთვის ცნობილ ხუან ფელიპე კოუტოს სურს მეც გამაცუროს. შეგიძლიათ წახვიდეთ, დიას... ჭიქა წყალი მომაწოდე, პაწიავ. გეუბნები, ისე უნდა გამაცუროს, როგორც ფედერიკო რობლესი გააცურა, გახსოვს? მაგრამ ჩემთან ხუმრობა არას არგებს...

- რა მოხდა, ჩემო კაპიტანო?

- ჩემი დახმარებით სონორაში გზატკეცილის გაყვანის კონცესია მიიღო. იმაშიც კი მივეხმარე, მშენებლობის ღირებულებაზე სამჯერ მეტი ბიუჯეტი რომ დაემტკიცებინათ. იმ ანგარიშით, რომ გზატკეცილი იმ სარწყავ მიწებზე

გაივლიდა, რომლებიც ეხიდატარიებისაგან ვიყიდე... გუშინ მაცნობეს, რომ მაგ არამზადასაც

უყიდია იმ მხარეში მიწები და ახლა უნდა გზატკეცილის მიმართულება შეცვალოს, თავის სამფლობელოში გაიყვანოს...

- ღორი ყოფილა, წესიერი კაცის შეხედულება კი აქვს.

- ჰოდა, პაწიავ, სწორედ ეგ უნდა გაათამაშო - ორიოდ ჭორს შენს სვეტში დაბეჭდავ. ხალხს აცნობებ ჩვენი პატივცემული მოღვაწის მოსალოდნელი განქორწინების ამბავს. ძალიან არ გააბუქო - ჯერჯერობით შეშინებაც საკმარისია.

- ჰო, მართლა, კოუტოს ფოტოსურათებიც გვაქვს, კაბარეში გადაუღიათ ვიღაც ქალთან, რომელიც არაფრით ჰგავს მადამ კოუტოს.

- შეინახავ, იმ შემთხვევისთვის, თუ არ გამოგვეხმაურა“.

ამბობენ, ღრუბლის ფორები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან და ღრუბელი მაინც ერთი მთლიანობაა. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ, როგორც მითხრეს, ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილი ღრუბელიც ცდილობს თავისი ფორები შეაერთოს და არასოდეს კვდება. ჰოი, არასოდეს კვდება.

- იმ დილით მის მოსვლას სიხარულით ველოდი. მდინარეზე ცხენდაცხენ გავედით.

- შენ დაისაკუთრე ის და წამართვი.

დაჩოქილი მღვდელი წამოდგა და ავიშვიშებულ ქალებს ხელი მოჰკიდა. მე კი განვაგრძე ფიქრი დურგალზე, შემდეგ მის ვაჟსა და იმაზე, თუ რას გადავურჩებოდით, თავის დროზე საზოგადოებრივი ურთიერთობის თორმეტ სპეციალისტს იგი გზაჯვარედინზე რომ დაეყენებინა, თავის ნებაზე გაეშვა, როგორც თხა. იცხოვრებდა თავისთვის, მოჰყვებოდა სასწაულების ამბებს, ამით უფასო საჭმელსა და საწოლს იშოვიდა, მერე ამ სიკეთეს წმინდა ექიმბაშებს გაუნაწილებდა, სანამ სიბერისგან არ მიიცვლებოდა მთლად გონმიხდილი. კატალინა, ტერესა და ხერარდო კი საძინებლის სიღრმეში სავარძლებში სხედან. ნეტავ კიდევ დიდხანს შემომჩრიან ამ მღვდელს, ამაჩქარებენ სიკვდილისთვის და მაიძულებენ, აღსარება ვთქვა? რაღაც-რაღაცების გაგება კი უნდათ. მაგრამ მე თქვენზე ვიცინებ, მერე როგორ ვიცინებ. მერე როგორ! შენ, კატალინა, მზად ხარ ისიც კი მითხრა, რაც არასოდეს გითქვამს, ოღონდ თავი მომიქონო და რაღაც-რაღაცები გამომტყუო. ო, მე კი ვიცი, რისი გაგებაც გწადია. შენი

ქალიშვილის მელიის თვალებშიც ცნობისმოყვარეობა იხატება. არც ეს გაიძვერა ხერარდო ტრიალებს აქ ტყუილუბრალოდ. უნდა დაზვეროს, კურცხალი ჩამოაგდოს, მერე კი, ვნახოთ, იქნებ რაიმესაც გამორჩეს. რა ცუდად მიცნობენ! ჰგონიათ, სიმდიდრე ხელში ჩაუვარდება ამ სამ კომენდანტს, სამ ღამურას,

რომელთაც ფრენაც კი არ იციან. სამი უფრთო ღამურა, სამი ვირთხა. როგორ ვეჯავრები. დიახ, ვეჯავრები ღატაკების სიძულვილით. ეზიზღებათ ბეწვეული, რომელიც აცვიათ, სახლები, რომლებშიც ცხოვრობენ, ძვირფასეულობა, რითაც შემკული არიან, ვინაიდან ყოველივე ეს მე მივეცი. არა, მე ხელი არ მახლოთ...

- თავი დამანებეთ...

- კი მაგრამ, ხერარდო მოვიდა... ხერარდიტო... შენი სიძე... აბა, შეხედე.

- ოჰ, ეგ კრეტინი...

- დონ არტემიო...

- დედა, ეს აუტანელია, ეს საშინელებაა!

- იგი ავადაა...

- ჰმ, მე ავდგები კიდევ, აგერ ნახავთ...

- ხომ გეუბნებოდით, თვალთმაქცობს...

- ნუ აწუხებ.

- მე შენ გეუბნები, მასხრად გვიგდებს! გვამაიმუნებს, რომ შემდეგ დაგვცინოს, როგორც ყოველთვის, როგორც ყოველთვის.

- არა, არა, ექიმი ამბობს...

- რას ამბობს ექიმი! მე უკეთესად ვიცნობ მაგას. ისევ ოინბაზობს.

- გაჩუმდი!

გაჩუმდი. ზეთი. ტუჩებზე ზეთი წამისვეს. ქუთუთოებზე, ნესტოებზე. მაგათ არ იციან, რად მიღირდა ეს ყოველივე. იმათ არაფერი გადაუწყვეტიათ. ხელები. ფეხები, რომლებსაც უკვე ვეღარ ვგრძნობ. არც ერთმა იცის, არც მეორემ. მათ არასოდეს დასჭირვებიათ რისკის გაწევა. ახლა თვალებს ქვემოთ მისვამენ ზეთს. ფეხებზე საბანი გადამხადეს, ბარძაყებს მიზელენ. Ego te absolvo.[31]

მათ არ იციან. იმან კი არაფერი მითხრა. არაფერი მითხრა.

* * *

შენ სამოცდათერთმეტ წელს ისე იცხოვრებ, არასოდეს დაფიქრდები, რომ შენი სისხლი მოძრაობს, გული ფეთქავს, შარდის ბუშტი იცლება, ღვიძლი ნაღველს გამოყოფს, თირკმლები - შარდს, კუჭქვეშა ჯირკვალი სისხლში შაქრის რაოდენობას აწესრიგებს. ყოველივე ეს შენს აზროვნებაზე არ არის დამოკიდებული. შენ გეცოდინება, რომ სუნთქავ, მაგრამ ამაზე არ იფიქრებ - სუნთქვა შენს აზროვნებაზე არ არის დამოკიდებული, ანგარიშმიუცემლად იცოცხლებ, თუმცა კი შეგეძლო შენი სხეული გემართა: სიკვდილი წარმოგედგინა, ცეცხლში გასულიყავი, მინის ნამსხვრევებზე დაწოლილიყავი. შენ მხოლოდ იცოცხლებ, შენი ორგანიზმი კი თავის საქმეს გააკეთებს. მაგრამ დღევანდლამდე. ამის შემდეგ ყველა უნებური ფუნქცია გამუდმებით შეგახსენებს თავს, დაგიმორჩილებს და ბოლოს და ბოლოს დაგთრგუნავს: დაიწყებ ფიქრს, რომ სუნთქავ, იფიქრებ, რომ შენი სისხლი ძარღვებში მიედინება, როცა კი მუცელში ძარღვების მტკივნეულ ფეთქვას შეიგრძნობ. უნებური ფუნქციები დაგიმონებს, ვინაიდან გაიძულებენ კი არ იცხოვრო, არამედ ცხოვრება დაადასტურო. სრული მონობაა. შეეცდები, წარმოიდგინო, როგორ ხდება ყოველივე ეს; თავი იმდენად

ნათელი გაქვს, რომ შეძლებ შეიგრძნო უმცირესი ფეთქვა, ნებისმიერი დაძაბვა თუ მოდუნება საკუთარ სხეულში. შეგიძლია, შეიგრძნო თვით ყველაზე საშინელიც. რომ შენ შიგნით უკვე აღარაფერი მოძრაობს. შენში, შენს შიგნეულში, შენს მუცელში, ნაწლავებს რომ შემოხვევია, შენს შიგნეულს რომ ეკვრის, უცბად რომელიღაც მონაკვეთი, სისხლისა და ლიმფის, ძარღვებიანი ქონის უჯრედის ნაწილი კუჭსა და ნაწლავებთან შეერთებული, აღარ მიიღებს სისხლს მუცლის მსხვილი აორტისაგან, სისხლის ამ მდინარისაგან, რომელიც შენს კუჭს და შენს მუცლის ღრუს რწყავს. დაიხურება ჯორჯლის არტერია, რომელიც კუჭქვეშა ჯირკვლის უკან წვრილი ნაწლავებისკენ ეშვება და სხვა არტერიას აძლევს საწყისს, რომელიც თორმეტგოჯა ნაწლავს, აორტას, ქვედა ღრუ ვენას, შარდსაწვეთს გადაკვეთს და შენი გენიტოფემორალური ნერვებისა და სათესლეების გასწვრივ გადის. სხეულს შეზრდილ ამ მუქსა და მკვრივ არტერიაში სამოცდათერთმეტი წლის განმავლობაში შენს დაუკითხავად იდენს სისხლი. შენ კი ამას დღეს გაიგებ. სისხლის დინება შეწყდება. კალაპოტი დაშრობას დაიწყებს. სამოცდათერთმეტი წლის განმავლობაში არტერიამ დიდ დატვირთვას უნდა გაუძლოს: არის ერთი ადგილი, სადაც მას მუდამ მაგრად დააწვება ხერხემლის ერთი მალა და ამიტომ სისხლმა უნდა გააღწიოს ქვევით, წინ,

მაღლა. სამოცდათერთმეტი წლის განმავლობაში შენი ჯორჯლის შევიწროებული არტერია გამოიცდება, შენი სისხლის სალტო-მორტალეებს აიტანს. ამას იქით კი ვეღარ შეძლებს. დაწოლას ვერ გაუძლებს, ქვევით, წინ, მაღლა მიმდინარე სწრაფი ნაკადი გადაულახავ დაბრკოლებას წააწყდება. არტერია შეიკუმშება, სპაზმით შევიწროვდება, ხოლო სისხლის მასა ლილისფერ

ზღუდესთან გაშეშდება, რომელიც გზას ჭრის შენი ნაწლავებისკენ. არტერიის ფეთქვის მიხედვით იგრძნობ, როგორ მაღლა იწევა წნევა. იგრძნობ, ეს შენი სისხლია, რომელმაც პირველად შეწყვიტა სრბოლა, მაგრამ შენი სიცოცხლის ნაპირებს მაინც რეცხავს, იგი მუცლის ღრუში ჩაგუბდება, შენი შიგნეულის მხურვალებაში გაიყინება, მაგრამ შენი სიცოცხლის ნაპირებიდან არ უკუიქცევა.

ამ დროს კატალინა მოვა შენთან და გკითხავს, რაიმე ხომ არ გინდაო, შენ კი მხოლოდ იგრძნობ, როგორ გფლეთს ტკივილი. მოინდომებ, დაიყუჩო ტკივილი, თავდავიწყებას მიეცე. კატალინა თავს ვერ შეიკავებს, ხელს გამოგიწვდის, მაგრამ წამსვე შეშინებული უკან წაიღებს და მსუქან მკერდზე მეორე ხელთან მიიდებს. მერე ისევ გამოიწვდის მოცახცახე ხელისგულს და შუბლზე შეგახებს. ნაზად მოგისვამს, მაგრამ შემზარავი ტკივილით შეწუხებული შენ ამას ვერ იგრძნობ, ვერ გაიზიარებ, რომ რამდენიმე წლის

განმავლობაში პირველად შეგეხო კატალინა. თავზე, შუბლზე ხელი გადაგისვა, ოფლით შეწებებული ჭაღარა თმის კულულები გადაგიწ-გადმოგიწია და ისევ ხელს გისვამს, ეშინია და უხარია, რომ შიშს სინაზემ სძლია. გეფერება სირცხვილიანი სინაზით, შემდეგ კი სირცხვილით უკუიქცევა, როგორც კი მიხვდება, რომ შენ მის ალერსს ვერ გრძნობ. შესაძლოა, მისი თითების შეხებასთან ერთად ჩნდება სიტყვები, რაც ერთ შენს მოგონებას ერწყმის, რომელიც წელთა წრიალში გამოხუნდა, მაგრამ შენი ნების საწინააღმდეგოდ მეხსიერებაში მაგრად ჩაგეჭედა, ახლა ტკივილს არღვევს და გამოდის. ახლა მისი თვალები იმ სიტყვებს იმეორებენ, მაშინ რომ არ გესმოდა.

კატალინასაც აღმოაჩნდება მედგარი შეუპოვრობა. აქედან დაიწყება ყველაფერი. შენ მას დაინახავ თქვენს საერთო სარკეში - ჭაობის დამდგარ წყალში, რომელიც თქვენს სახეებს ირეკლავს და გშთანთქავთ კიდეც, როცა წყალში ერთმანეთის ანარეკლს კოცნას დაუწყებთ. რატომ არ მიაბრუნებ თავს? შენ გვერდით ხომ ცოცხალი კატალინა დგას? რატომ არ ცდილობ წყლის ცივ ანარეკლში აკოცო? ან თვითონ რატომ არ მოგიახლოებს სახეს, შენსავით რატომ არ ჩაძირავს დამდგარ წყალში? ახლა, როცა შენ უკვე აღარ გესმის, რატომ იმეორებს: „მე მაინც მოვედი“. იქნებ მისმა ხელმა გიამბოს,

გადაჭარბებულ თავისუფლებას როგორ შეუძლია დაღუპოს თავისუფლება; რომ თავისუფლება უსასრულო კოშკს აგებს და ვერასოდეს მიაღწევს ზეცას, შთაინთქმება უფსკრულში, დედამიწის ნაპრალში. შენ ამას განდგომას უწოდებ. სიამაყის გამო შენ ამას არად ჩააგდებ. შენ გადარჩები, არტემიო კრუს, გადარჩები, იმიტომ, რომ რისკს გასწევ, გასწევ რისკს საკუთარი თავისუფლებისათვის. შენ გაიმარჯვებ და როცა მტრებს დაამხობ, თვითონ იქცევი საკუთარი თავის მტრად და შეუპოვარ ბრძოლას გააგრძელებ; ყველას რომ დაამარცხებ, საკუთარ თავს შეებრძოლები. სარკიდან გადმოვა და უკანასკნელ ბრძოლას გაგიმართავს შენი მტერი - ავისმოსურნე ნიმფა, ღმერთების ასული, დედა თხისჩლიქა მაცდუნებლისა, ადამიანების თვალწინ რომ მოკვდა, დედა ერთადერთი ღმერთისა - სარკიდან გადმოვა დიადი ღმერთის, პანის დედა - მზვაობრობა, შენი

„მე“, კიდევ ერთი შენი „მე“, შენი უკანასკნელი მტერი ამ უდაბურ მიწაზე, შენი ეგოიზმითა და შეუპოვრობით დამარცხებული. შენ გადარჩები. შენ დაიჯერებ, რომ სიკეთე მხოლოდ სასურველია, ხოლო უპირატესობა - აუცილებელი. და მაინც მოვა ეს ხელი, რომელიც ახლა ნაზად ეფერება შენს შუბლს და თავისი წყნარი ხმით გააჩუმებს მზვაობრობის კივილს, შეგახსენებს, რომ დასასრულ, თუნდაც სულ ბოლოს, უპირატესობა არ გჭირდება, ადამიანურობა კი აუცილებელია.

მისი ცივი თითები შენს გახურებულ შუბლს დაედება, მოისურვებს, ტკივილი შეგიმსუბუქოს, მოისურვებს, დღეს გითხრას ის, რაც ორმოცდასამი წლის წინ არ გითხრა.

*** * ***

1924 წლის 3 ივნისი

მას არ გაუგონია, როგორ თქვა თვლემისგან გამოფხიზლებულმა ქალმა: „მე მაინც მოვედი“. ის ქმრის გვერდით იწვა. ჩამოშლილი წაბლისფერი თმა სახეს უფარავდა, დაცვარული სხეული ზაფხულის მოთენთილობას შეებოჭა. ქალმა ხელი ტუჩებზე მოისვა, წარმოიდგინა, შუადღის მოსალოდნელი პაპანაქება საღამოს თავსხმა წვიმით რომ შეიცვლებოდა, ამინდის მკვეთრი ცვლილება, - დღის ხვატს მკვეთრად შეცვლიდა საღამოს სიგრილე. ერიდებოდა ღამით მომხდარი ამბის გახსენებას. სახე ბალიშში ჩარგო და კვლავ გაიმეორა: „მე მაინც მოვედი“.

განთიადმა ღამეს ბოლო ფრთები შეურხია და ცივი, ნათელი საძინებლის გამოღებულ ფანჯარაში შეიპარა. კატალინას თვალწინ დაუდგა ყველა წვრილმანი, რაც ღამის უკუნმა ერთ მოხვევაში შეაერთა.

„ახალგაზრდა ქალი ვარ, უფლება მაქვს...“

პერანგი გადაიცვა და სანამ მზე მთათა მწკრივს უკან ამოიწვერებოდა, ქმარს გაეცალა.

„უფლება მაქვს. ეკლესიამ გვაკურთხა...“

თავისი საძინებლის ფანჯრიდან ხედავდა, სიტლალტეპეტლის შორეული მწვერვალის ირგვლივ როგორ იფრქვეოდა ნათელი. ღია ფანჯარასთან მდგარი ქალი ბავშვს ანანავებდა.

„ღმერთო, რა სულმდაბლობაა. დილით ყველაფერს გრძნობ - საკუთარ სულმდაბლობასაც, სიძულვილსაც, ზიზღსაც...“

მისი თვალები ინდიელის თვალებს შეხვდა, რომელმაც ბაღში შემოსვლისას ჭილის ქუდი მოიხადა, გაუღიმა და თავი დახარა.

„როდესაც იღვიძებ და მას შენ გვერდით მძინარეს ხედავ...“

ინდიელის თეთრმა კბილებმა კიდევ უფრო გაიელვა, როდესაც სახლიდან გამოსული პატრონი დაინახა.

„ვითომ მართლა ასე ვუყვარვარ?“

პატრონი ვიწრო შარვალში ხალათს იტენიდა, ინდიელი ფანჯარაში მდგარი ქალისკენ ზურგით შებრუნდა.

„უკვე ხომ ხუთი წელი გავიდა...“

- ამ უთენია რამ მოგიყვანა აქ, ვენტურა?

- ჩემმა ყურებმა მომიყვანა. შეიძლება თქვენთან წყალი დავლიო?

- დალიე. სოფელში ყველაფერი მზადაა?

ვენტურამ თავი დაუქნია, წყალსაცავთან მივიდა, გუახის ნაჭუჭით წყალი ამოიღო, ცოტა მოსვა და ისევ ამოიღო.

„იქნებ თვითონაც დაავიწყდა, რატომ შემირთო...“

- აბა, რა გითხრეს შენმა ყურებმა?

- ის მითხრეს რომა, ბებერ დონ პისაროს უსაზღვროდ სძულხართ.

- ეს მეც ვიცი.

- კიდევ ჩემმა ყურებმა ის მითხრეს, რომ ამ კვირის დღესასწაულზე დონ პისარო შეეცდება, ანგარიში გაგისწოროს...

- „...ახლაც ნამდვილად ვუყვარვარ...“

- ღმერთმა აკურთხოს შენი ყურები, ვენტურა.

- ღმერთმა აკურთხოს დედაჩემი, ვინც ყურების დაბანა და გაწმენდა მასწავლა.

- შენ იცი, ახლა რაც უნდა გააკეთო.

„...ვუყვარვარ და ჩემი სილამაზით აღფრთოვანებულია...“

ინდიელმა ჩუმად ჩაიცინა, შელანძღული სომბრეროს ფარფლები გაისწორა და კრამიტით გადახურულ ტერასას გახედა, სადაც ლამაზი ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა და საქანელა-სავარძელში ჩაჯდა.

„...ჩემი ვნებიანობითაც...“

„წლიდან წლამდე ზის ამ საქანელა-სავარძელში, - ფიქრობდა ვენტურა, - ხან დიდი, მრგვალმუცლიანი, ხან კი წერწეტა და მდუმარი. არაფერი ესაქმება მარცვლით პირთამდე დატვირთულ მოჭრიალე ურმებთან, დადაღვისას აღრიალებულ ხარებთან, ზაფხულობით პატრონის მიერ საზაფხულო სახლის ირგვლივ გაშენებულ ბაღში ბრაგაბრუგით ჩამოცვენილ ტეხოკოტეებთან“.

„...საერთოდ, ჩემით...“.

ქალი ორივე მამაკაცს უყურებდა. მისჩერებოდა იმ კურდღელივით, მგლებამდე მანძილს რომ თვალით ზომავს. დონ გამალიელის უეცარმა გარდაცვალებამ ჩამოაშორა მედიდური თავდაცვის ყველა საშუალება, რაც გათხოვების პირველ თვეებში

შველოდა. მამის სიცოცხლეში დაცული იყო მორჩილების დადგენილი წესი, შინაური იერარქია, პირველი ორსულობაც მისი გაუცხოების, მორცხვი უარის გამართლება იყო.

„ღმერთო ჩემო, ღამით რატომ არა ვარ ისეთი, როგორიც დღისით?“

კრუსმა თავი იქითკენ მიაბრუნა, საითაც ინდიელი იყურებოდა და ცოლის უმოძრაო სახე რომ დაინახა, გაიფიქრა, ჩვენი ცხოვრების პირველ წლებში მის გულცივობას მშვიდად ვითმენდი, არავითარი სურვილი არ მქონდა ჩავწვდომოდი ამ სამყაროს, ჩვენს ურთიერთობას, რაც ასე მეორეხარისხოვნად მიმაჩნდა, იგი ჯერ არ ჩამოყალიბებულიყო, სახელი არ დარქმეოდა.

„...არა ვარ ისეთი, როგორიც დღისით?...“

სხვა სამყაროს, გადაუდებელ საქმეთა სამყაროს შთაენთქა კრუსი.

„- სენიორ, მთავრობა ჩვენზე არ ზრუნავს, სენიორ არტემიო, და ამიტომაც გთხოვთ დახმარებას.

- მუდამ მოხარული ვიქნები, დაგეხმაროთ, ბიჭებო. სიტყვას გაძლევთ, გექნებათ შარაგზა, ოღონდ ერთი პირობით: თქვენს მარცვლეულს დონ კისტულო პისაროს წისქვილში ნუღარ წაიღებთ. თვითონვე ხედავთ - ბებრუხანა ერთ მტკაველ მიწასაც არ გითმობთ. ჰოდა, რა საჭიროა მაგას ვასიამოვნოთ. ყველაფერი ჩემს წისქვილში წამოიღეთ, ბაზარზე მე თვითონაც გაგისაღებთ ფქვილს.

- ჩვენ კი ყაბულსა ვართ, მაგრამ დონ პისარო დაგვხოცავს.

- ვენტურა, მიეცი მაგათ შაშხანები, რომ საკუთარი თავის დაცვა შეძლონ“).

კატალინა ნელ-ნელა ირწეოდა სავარძელში. იხსენებდა, თვლიდა დღეებს, თვეებსაც კი, რომელთა განმავლობაშიც კრინტი არ დაუძრავს.

„არასოდეს მსაყვედურობს იმ გულცივობას, რითაც დღისით ვეპყრობი“.

თითქოს ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა, მის ჩაურევლად. ძლიერი მამაკაცი, გაოფლიანებული, ცხენიდან ჩამოხტებოდა, დამაშვრალ, დაკოჟრებულ ხელებში

მათრახი ეჭირა, გვერდით ჩაუვლიდა და საწოლზე დაეშვებოდა, რომ ხვალ გამთენიისას ისევ ამდგარიყო და მოევლო მინდვრები, დიდხანს და ქანცის გაწყვეტამდე ემუშავა. ამ მინდვრებს უნდა ეშვათ, მოეცათ შემოსავალი და, როგორც თვითონ ჩაიფიქრა, მისი კვარცხლბეკი გამხდარიყვნენ.

„მგონი, მხოლოდ ჩემი ღამეული ვნებით კმაყოფილდება“.

პატარა ველის სარწყავ მიწებზე, ბერნალის, ლაბასტიდასა და პისაროს ძველებურ ასიენდეებს რომ აკრავს, სიმინდი დათესა. იმის იქით კი, სადაც ისევ ღორღიანი ველები იწყება, მაგეა და პულკე[32] დარგო.

- „ვენტურა, უკმაყოფილონიც არიან?

- კი, ბატონო, არიან, თუმცა ხმას არ იღებენ, ახლაც უჭირთ, მაგრამ უწინდელზე უკეთესად მაინც არიან. ისე, იმას კი მიხვდნენ, რომ მათ გადამხმარი მიწები მიეცით, ხოლო სარწყავი თვითონ დაიტოვეთ.

- მერე რა?

- გასესხებულ ფულსაც პროცენტების დიდი ნამატით იბრუნებთ, ზუსტად ისე, როგორც დონ გამალიელი იქცეოდა.

- აი, რა, ვენტურა. აუხსენი გლეხებს, რომ ნამდვილად მაღალ პროცენტებს მოხუცი პისაროს მსგავს მემამულეებსა და ვაჭრებს ვახდევინებ, მაგრამ თუ ესენი უკმაყოფილონი არიან, შემიძლია სულაც აღარ ვასესხო ფული. მეგონა, პატივს ვცემდი, თურმე...

- არა, არა, იმათ არაფერი...

- უთხარი, რომ პისაროს დაგირავებული მიწები მალე ჩემი გახდება და მაშინ გამოვუყოფ სარწყავ მიწებს მოხუცის ყოფილი მიწებიდან. უთხარი, მოითმინონ და ჩემში ნუ დაეჭვდებიან, მერე თავად ნახავთ“).

იგი ვაჟკაცი იყო.

„მაგრამ დაღლილობა და ბევრი საზრუნავი მის თავს მაშორებს. მე არ ვთხოვ ღამღამობით ამ ნაჩქარევ სიყვარულს“.

დონ გამალიელმა, რომელსაც უყვარდა საზოგადოება, გასეირნება და პუებლის ქალაქური კეთილდღეობა, მიატოვა თავისი სახლი სოფელში და მთელი მეურნეობა იჯარით სიძეს მისცა.

„ისე მოვიქეცი, როგორც მამას სურდა, მთხოვა, არ მეყოყმანა და არ მეფიქრა. ჩემმა მამამ. მე გაყიდული ვარ და აქ უნდა ვიყო...“

სანამ დონ გამალიელი ცოცხალი იყო, შეეძლო ყოველ ორ კვირაში ერთხელ პუებლაში ჩასულიყო და მასთან მთელი დღე გაეტარებინა, ბუფეტი აევსო საყვარელი ტკბილეულობით, ყველით, მასთან ერთად ევლო წმინდა ფრანსისკოს ტაძარში, მუხლი მოეყარა წმინდა სებასტიან დე აპარისიოს წმინდა ნაწილებთან, ევლო პარიანის ბაზარში, ენახა სამხედრო მოედანი, ერერესკოს[33] სტილში ნაგები საკათედრო ტაძრის ქვის უზარმაზარი გუმბათების წინ პირჯვარი გადაეწერა, უბრალოდ ეყურებინა, როგორ დაბორიალებდა მამამისი პატიოსა და ბიბლიოთეკაში...

„ჰო, ცხადია, მე დასაყრდენი მქონდა, მხარდამჭერი მყავდა“.

უკეთესის იმედს მაინც არ კარგავდა, ძველებურად უყვარდა ბავშვობიდან შეჩვეული გარემო, ამიტომ სოფელსა და ქმარს მაინცდამაინც უხალისოდ არ უბრუნდებოდა.

„ხელ-ფეხი შეკრული მაქვს, გაყიდული ვარ. მისი უტყვი ჩრდილი ვარ“.

საკუთარი თავი იმ უცხო სამყაროს დროებით მდგმურად ეჩვენებოდა, რომელიც ამ ბინძურ მიწაზე მისმა ქმარმა შექმნა.

მას მოსწონდა ქალაქის სახლის ჩრდილიანი პატიო, სუფთა ტილოს სუფრაგადაფარებულ წითელი ხის მაგიდაზე დაწყობილი ტკბილეული, ხელით მოხატული ჭურჭელი და სუფრის ვერცხლეული...

„...დაჭრილი მსხლის, კომშისა და ატმის კომპოტის სურნელი...“

„- ვიცი, რომ დონ ლეონ ლაბასტიდა ცარიელზე დასვით, პუებლაში ეს სამი უზარმაზარი სახლი მთელი ქონებაა.

- იცით რა, პისარო, ლაბასტიდა ჩემგან სულ სესხულობდა და სესხულობდა, პროცენტებს კი არ იხდიდა, თვითონ გაყო ყულფში თავი.

- სასიამოვნო საყურებელია, როგორ იღუპება ძველი არისტოკრატი, მაგრამ მე ასეთი რამ არ დამემართება. მე მაგ ლაბასტიდასავით რეგვენი კი არა ვარ.

- თქვენ ზუსტად ასრულებთ თქვენს მოვალეობას და მოვლენებს წინ არ უსწრებთ.

- კრუს, მე ვერავინ გამტეხს, გეფიცებით...“).

დონ გამალიელმა მოახლოებული აღსასრული იგრძნო და თვითონ მოიმზადა საკუთარი მდიდრული დასაფლავება, ყოველივე წვრილმანი გაითვალისწინა. სიძემ მოხუცს ათას წკრიალა პესოზე უარი ვერ უთხრა. დონ გამალიელს ქრონიკული ბრონქიტი ახრჩობდა, მკერდში თითქოს გამდნარი მინა უთუხთუხებდა. ნახველსა და სისხლს შუა ფილტვებამდე ძლივს აღწევდა ჰაერის წვრილი ცივი ნაკადი.

„ჰო, მე მხოლოდ ვნების დასაცხრომად ვჭირდები“.

დონ გამალიელის განკარგულებით შავ ხავერდგადაფარებული ბალდახინი ვერცხლით მოჭედილი უნდა ყოფილიყო; შიგ შებმული რვა ცხენიც ვერცხლის აღკაზმულობითა და შავი ჯიღით უნდა დაემშვენებინათ. მოხუცმა მოისურვა, დარბაზიდან აივანზე გორგოლაჭებიანი სავარძლით გამოეყვანათ. აღგზნებული, მოელვარე თვალებით გაჰყურებდა, როგორ ნელა მიათრევდნენ ცხენები ბალდახინს ქუჩაში.

„დედობრივი გრძნობა? უსიხარულოდ, უმტკივნეულოდ ვშობე“.

არტემიომ თავის ახალგაზრდა ცოლს სთხოვა, ოთხი დიდი ოქროს შანდალი გაწმინდე და ღამის თევისა და პანაშვიდის დროს მიცვალებულს თავთან დაუდგიო. სთხოვა, შენ თვითონ გაპარსე, ვინაიდან მიცვალებულს თმა კიდევ რამდენიმე საათს ეზრდება. კისერი და ლოყები გაპარსე, ხოლო ულვაში და წვერი ოდნავ შეუკრიჭე, გახამებული ხალათი და ფრაკი ჩააცვი, ხოლო ძაღლს საწამლავი მიეციო.

„უტყვი ვარ და უმოძრაო. სიამაყისგან“.

დონ გამალიელმა თავისი მამული სამემკვიდრეოდ ქალიშვილს დაუტოვა, სიძე კი

უზუფრუქტუარად და გამგებლად დანიშნა. ეს მხოლოდ ანდერძიდან გაიგეს. ქალიშვილს ავადმყოფი ისე ექცეოდა, როგორც მის თვალწინ გაზრდილ ბავშვს, არასოდეს იხსენებდა შვილის სიკვდილს, არც მის პირველ სტუმრობას. მოსალოდნელმა სიკვდილმა თითქოს შეარიგა უსიამო ამბებს და დაკარგული სიმშვიდე აპოვნინა.

„მაქვს კი უფლება უარვყო მისი სიყვარული, თუ იგი ნამდვილია?“

სიკვდილამდე ორი დღით ადრე მოხუცმა გორგოლაჭებიანი სავარძელი დატოვა და ლოგინში ჩაწვა. წამოწეული იწვა, ირგვლივ ბალიშებშემოწყობილი, კვლავინდებურად გამართული და ტანადი, თავაწეული, არწივისცხვირიანი და აბრეშუმივით ფაფუკი წვერიანი სახე მაღლა აეპყრო. ხანდახან ხელს გაიწვდიდა - იქ იყო თუ არა მისი ასული? ძაღლი საწოლის ქვეშ წკმუტუნებდა. ბოლოს მკვეთრად შემოხაზული ტუჩები საშინელმა კრუნჩხვამ დაუმანჭა და ხელიც მეტად აღარ გამოუწვდია, მკერდზე გაუშეშდა. კატალინა გვერდით უჯდა, ამ ხელს მიშტერებოდა. პირველად იხილა სიკვდილი. დედა რომ მოუკვდა, ძალიან პატარა იყო, გონსალო სადღაც შორს მოკვდა.

„აი, სამუდამო სიმშვიდე, ასე ახლოს. აი, ხელი, სრულიად უძრავი“.

დიდებულ ბალდახინს წმინდა ფრანსისკოს ტაძარში და შემდეგ სასაფლაოზე ბევრი ხალხი არ გაჰყოლია. ალბათ, მის ქმართან შეხვედრა ეშინოდათ. კრუსმა ბრძანა, პუებლაში სახლი გაექირავებინათ.

„მარტო ვარ, სრულიად მარტო. ბავშვმა სიცარიელე ვერ შემივსო. ლორენსომ ჩემი ცხოვრება ვერ შეავსო. არა, ნეტავ როგორი ცხოვრება მექნებოდა იმასთან, მეორესთან, ცხოვრება, რომელიც ამან დაანგრია“.

„- მოხუცი პისარო ყოველდღე ზის თავისი ასიენდეს კედლებთან თოფით ხელში. ცარიელი კედლებიღა შერჩა.

- ჰო, ვენტურა. ცარიელი კედლები.

- რამდენიმე ყმაწვილიც შერჩა. ამბობენ, ჩვენ არავის შიში არა გვაქვს, სიკვდილამდე მასთან ვიქნებითო.

- კეთილი, ვენტურა. მათი სახეები დაიმახსოვრე“).

ერთხელ, საღამო ხანს კატალინამ შენიშნა, რომ ქმარს მალულად უთვალთვალებდა, თვითონაც არ უნდოდა, უნებურად ღალატობდა წინა წლების ჩვეულ გულგრილობას. ბინდისას, პირქუშ საათებში, მისი თვალები ქმრის მზერას ეძებდა, მის თვალებს უთვალთვალებდა, მის დინჯ მოძრაობებს, როცა ტყავის ტაბურეტზე ფეხებს დააწყობდა ან ძველ ბუხართან დახრილი ზამთრის ცივი საღამოობით ცეცხლს აჩაღებდა.

„ოჰ, ალბათ, ძალიან საცოდავი გამოხედვა მქონდა, საკუთარი თავის შეცოდებისა და თანაგრძნობის გამომხატველ საპასუხო მზერას ვეძებდი. დიახ, იმიტომ, რომ მამაჩემის სიკვდილის შემდეგ სევდა და მიუსაფრობის გრძნობა ვერ დავძლიე. მეგონა, მხოლოდ მე დამეუფლა ახალი გრძნობა“.

ქალმა არ იცოდა, რომ ქმარიც უკვე სხვაგვარად უყურებდა - მშვიდად და დანდობით - თითქოს აგრძნობინებდა, მძიმე დღეებმა გადაიარესო.

„- ბატონო, ახლა ყველა იმას ელოდება, როდის დაურიგებთ დონ პისაროსეულ მიწებს.

- უთხარი, ცოტაც მოითმინონ, თვითონაც ხომ ხედავენ, პისაროს ჯერ კიდევ არ დაუყრია ფარ-ხმალი. უთხარი, შაშხანებს ხელი არ შეუშვან - ვინიცობაა მოხუცი შემებრძოლოს. როგორც კი საქმე მოგვარდება, მიწებსაც დავურიგებ.

- მე ხომ არ გაგცემთ, ხომ ვიცი, რომ დონ პისაროსეულ კარგ მიწებს თქვენს მოჯამაგირეებს აძლევთ და იქ, პუებლაში ყიდულობთ ნაკვეთებს.

- ნუ წუხხარ, წვრილი მესაკუთრეები გლეხებსაც მისცემენ სამუშაოს... აი, ეს გამომართვი და დარდი ნუ გაქვს...

- გმადლობთ, დონ არტემიო, ხომ იცით, მე...“).

ახლა, როცა დარწმუნდა, კეთილდღეობის საძირკველი უკვე ჩაყრილიაო, მზად იყო კატალინასთვის ეჩვენებინა, რომ მისი ძალა შეიძლებოდა ბედნიერებასაც გამოსდგომოდა. იმ საღამოს, როცა მათი თვალები ბოლოს და ბოლოს ერთი წამით ერთმანეთს შეხვდნენ და ჩუმი ყურადღებით შეათვალიერეს პირველად ამდენი თვის შემდეგ, კატალინამ გაიფიქრა, ნეტავ კარგი აღკაზმულობა თუ აქვს მის ცხენსო და მუქ თმაზე ხელი გადაუსვა.

„...იგი ბუხართან იდგა და მიღიმოდა ისეთი, ისეთი ალერსით... მაქვს კი უფლება, შესაძლებელ ბედნიერებაზე უარი ვთქვა?...“

„- ვენტურა, უთხარი, შაშხანები დამიბრუნონ. მეტად აღარ სჭირდებათ. ახლა ყველას თავისი ნაკვეთი აქვს. ყველა მსხვილი ნაკვეთი მე მეკუთვნის ან ჩემზე დამოკიდებულ ადამიანებს. უკვე აღარაფრის შიში არა გვაქვს.

- ცხადია, ბატონო. ისინი ყველაფერზე თანახმა არიან და დახმარებისთვის მადლობას გიხდიან. მართალია, ზოგიერთს მეტზე უჭირავს თვალი, მაგრამ ახლა ყველაფერზე თანახმა არიან: სულ უქონლობას მაინც ეს სჯობსო.

- ათი-თორმეტი საიმედო ჭაბუკი შეარჩიე და შაშხანები მიეცი. უკმაყოფილონი უნდა დავაშოშმინოთ“).

„მერე კი სული ბრაზით ამევსო. მე თვითონ მივედი... და მომეწონა! ჰოი, სირცხვილო!“

არტემიოს სურდა მეხსიერებიდან ამოეშალა დასაწყისი და ჰყვარებოდა ისე, რომ არ

გახსენებოდა ის მოვლენები, რამაც ქალი აიძულა, ცოლად გაჰყოლოდა. ცოლის გვერდით იწვა და უხმოდ ევედრებოდა - ქალმა ეს იცოდა - რომ მათი ერთმანეთს გადაწნული თითები უფრო მეტის მანიშნებელი ყოფილიყო, ვიდრე უბრალოდ მგრძნობიარე პასუხი.

„იქნებ იმას მეტი მოეცა ჩემთვის, არ ვიცი. მე მხოლოდ ჩემი ქმრის სიყვარული ვიცი, უფრო სწორად, მისი ხარბი ვნება, - გეგონება, მოკვდება, რომ არ ვუპასუხო...“.

არტემიო საკუთარ თავს ამუნათებდა, როცა ფიქრობდა, მოვლენები ჩემს წინააღმდეგაა მომართულიო. როგორ აიძულოს, როგორ დააჯეროს, რომ სწორედ მაშინ შეუყვარდა, როდესაც პუებლის ქუჩაში მიმავალი დაინახა, როდესაც ჯერ კიდევ არ იცოდა, ვინ იყო.

„როცა ერთმანეთს გავშორდებით, როცა ვიძინებთ, როცა ახალ დღეს ვიწყებთ, არ შემიძლია, არ შემიძლია მას ხელი გავუწოდო, ღამეული სიყვარულით ავავსო დღე“.

და მაინც, არტემიო უნდა გაჩუმებულიყო. პირველ განმარტებას სხვაც მოჰყვებოდა და ყველა ერთად გარდაუვალად მიიყვანდა ერთ ადგილამდე, ციხის ერთ საკნამდე,

ოქტომბრის ერთ ღამემდე. წარსულთან დაბრუნება რომ აიცილოს თავიდან, უნდა აიძულოს თავი, უსიტყვოდ შეიყვაროს, აკი ეუბნებოდა კიდეც თავის თავს: ალერსს სიტყვები არ სჭირდებაო. მაგრამ მაშინვე სხვა ეჭვი ეუფლებოდა: მიხვდება კი ეს გოგონა იმას, რისი თქმაც სურს, როცა გულში ჩაიკრავს? შეძლებს კი სინაზის ჭეშმარიტი აზრი შეაფასოს? მეტად მხურვალე და დასწავლილი ხომ არ არის მისი საპასუხო ალერსი? იქნებ უბრალოდ მასვე ჰბაძავს? ამ უნებურ აღტყინებაში ხომ არ იკარგება იმედი ჭეშმარიტი ურთიერთგაგებისა?

„მე კი მოკრძალების გამო ვპასუხობდი ამგვარად ან კიდევ მინდოდა, მერწმუნა, რომ ეს სიყვარული სიბნელეში ნამდვილად რაღაც განსაკუთრებული იყო“.

არტემიო ვერ ბედავდა ეკითხა, ელაპარაკა. სჯეროდა, ყველაფერი თავისთავად მოგვარდება - ჩვევა, აუცილებლობა, გარდაუვალობა თავისას გაიტანსო. აბა, რისი იმედი უნდა ჰქონოდა კატალინას? მისი ერთადერთი მომავალი ქმრის გვერდით ყოფნაა. იქნებ ამ უბრალო და აშკარა ფაქტმა ბოლოს და ბოლოს აიძულოს, დაივიწყოს ის, რაც დასაწყისში იყო. ამ აზრით, უფრო სწორად, ამ ოცნებით იძინებდა იგი ცოლის გვერდით.

„ღმერთო, მომიტევე, ვნებამ დამავიწყა ჩემი სიძულვილის მიზეზი. ღმერთო, როგორ გავუძლო ამ ძალას, როგორ დავემორჩილო ამ ელვარე მწვანე თვალებს. სადღაა ჩემი ნებისყოფა, როცა მისი ხარბი, ნაზი ხელები მეხვევიან. ის არც

უფლებას მთხოვს, არც პატიებას... რომ შემეძლოს, სახეში მიმეხალა მისთვის... ოჰ, მაგრამ სადა ხართ, სიტყვებო, ვიდრე სიტყვას იპოვი, ყველაფერი ჩავლილია...“

„- რა წყნარი ღამეა, კატალინა... გეშინია ხმის ამოღება, სიჩუმის დარღვევა?

- არა... გაჩუმდი.

- შენ არასოდეს არაფერს მთხოვ. მე კი მესიამოვნებოდა ზოგჯერ...

- გაჩუმდი. შენ იცი, რომ არსებობს...

- ჰო. არ ღირს ამაზე ლაპარაკი. შენ ისე მომწონხარ, ისე მომწონხარ... არასოდეს მიფიქრია...“).

და კატალინაც მოდიოდა, სიყვარულის ნებას მაძლევდა. მაგრამ გაიღვიძებდა თუ არა, ისევ ყველაფერი ახსენდებოდა და მამაკაცის ძალას თავის უტყვ სიძულვილს უპირისპირებდა.

„არაფერს გეტყვი. შენ ღამით მამარცხებ, მე კი - დღისით. არ გეტყვი, რომ არასოდეს დამიჯერებია ის შენი ზღაპარი. მამას თავისი დიდებულება, ბატონკაცობა, თავისი აღზრდა შველოდა, დამცირება დაეფარა, მაგრამ მე ორივეს ნაცვლად ვიძიებ შურს - ფარულად, მთელი სიცოცხლე“.

ქალი საწოლიდან დგებოდა, გაწეწილ თმას დაიწნავდა, ლოგინს არც კი დახედავდა. სანთელს აანთებდა და უსიტყვოდ ლოცულობდა, ხოლო დღის საათებში მდუმარედ აგრძნობინებდა, რომ იგი არ დამარცხებულა, თუმცა მათი ღამეები, მეორე ორსულობა, დიდი მუცელი, თითქოს სხვაზე მეტყველებდნენ. მხოლოდ ჭეშმარიტი მარტოობის წუთებში, როცა არც წარსულზე ფიქრით მოგვრილ ბოღმაზე, არც სიამოვნებისგან წარმოქმნილ სირცხვილზე არ ფიქრობდა, გულწრფელად უტყდებოდა საკუთარ თავს, რომ ქმარია მთელი მისი ცხოვრება, რომ მისი შინაგანი ძალა „...ითრევს გასაოცარ ავანტიურაში და ეს ყველაფერი შიშს ჰგვრის“.

იგი თითქოს მოუწოდებდა, თავზე ხელი აეღო, რომ მთლიანად მინებებოდა ჯერ გამოუცდელს, გაჰყოლოდა გზას, რომელიც სულაც არ იყო წეს-ჩვეულებით კურთხეული. ვითომ მის მოსვლამდე არა არსებობდა რა. იგი ყველაფერს ქმნიდა და ყველაფერს თავიდან იწყებდა. ადამი - უმამოდ, მოსე - სჯულის ფიცრების გარეშე. ასეთი როდი იყო დონ გამალიელის ცხოვრება, მისი სამყარო...

„ვინ არის იგი? როგორ გახდა ასეთი? არა, მე არ მეყოფა გამბედაობა მის გვერდით ვიყო. მე თავი უნდა შევიკავო და არ უნდა ვიტირო ბავშვობის გახსენებისას. რა ნაღველია“.

ქალი მამის სახლში გატარებულ ბედნიერ დღეებს ადარებდა ამ უხეში და ხარბი სახეების წარმოუდგენელ კალეიდოსკოპს, არაფრისგან შექმნილ და დაკარგულ ქონებას. ვადაგასულ სესხებს. კაბალურ პროცენტებს, ფეხქვეშგათელილ სახელებს.

„- მაგან გაგვაღატაკა. ჩვენ არ შეგვიძლია მასთან ურთიერთობის გაგრძელება. შენც მაგასთან ხარ, შენც იცოდი, როგორ გვძარცვავდა ეს კაცი“).

დიახ, სიმართლეა. ეს კაცი.

„სწორედ ეს კაცი, რომელმაც თავგზა ამიბნია და რომელსაც, მგონი, ნამდვილად ვუყვარვარ, კაცი, რომლისთვისაც სათქმელი არაფერი მაქვს, რომელიც მაიძულებს ხან სირცხვილით ვიწვოდე, ხანაც სიამოვნებით ვნეტარებდე... ხან ყველაზე დამამცირებელი სირცხვილი, ხან სიამოვნება ყველაზე, ყველაზე...“).

ეს კაცი ყველას დასაღუპად მოვიდა: მათი ოჯახი უკვე დაღუპა, კატალინამ საკუთარი თავი მიჰყიდა, საკუთარი თავი, მაგრამ სული არა. საათობით იჯდა ღია ფანჯარასთან, რომელიც მინდორზე ევკალიპტებით დაჩრდილულ ველს გაჰყურებდა. დროდადრო აკვანს არწევდა, მეორე შვილის დაბადებას ელოდა და ცდილობდა თავისი მომავალი წარმოედგინა ამ ვიგინდარას გვერდით, დედამიწაზეც რომ ისევე იკვალავდა გზას, როგორც თავისი ცოლის სხეულისკენ გაიკვლია - იოლად, მოურიდებლად, არად მიაჩნდა წესი და რიგი. მაგიდასთან ყოველი ჯურის ვიგინდარას მიუჯდებოდა - თავისი კაპატასები[34] იყო ეს, თვალანთებული პეონები თუ ნაძირალები. დონ გამალიელის დაკანონებულ იერარქიას ბოლო მოუღო. სახლი პირუტყვის ბაკად აქცია, სადაც მოჯამაგირეები გაუგებარ, მოსაწყენ და უხეშ თემებზე ლაპარაკობდნენ. მეზობლების ნდობა მოიპოვა და მის სმენას მლიქვნელური სიტყვები ატკბობდა. შენაო,

მეხიკოში, ახალ კონგრესზე უნდა წახვიდეო. ჩვენ ასე მიგვაჩნიაო. აბა, შენს მეტმა ჩვენი ინტერესები ვინ უნდა დაიცვასო? აი, მეუღლესთან ერთად რომ ინებო კვირას სოფელში გასეირნება, თვითონ დარწმუნდები, როგორ პატივს გცემენ და როგორ გვინდა ჩვენს დეპუტატად გიხილოთო.

ვენტურამ ერთხელ კიდევ დახარა თავი და სომბრერო დაიხურა. პეონს შარაბანი ზედ მესერთან მიეყენებინა. კრუსმა ინდიელს უმალვე ზურგი აქცია და საქანელასკენ გაემართა, სადაც მისი ორსული ცოლი იჯდა.

„თუ ჩემი ვალია ბოლომდე ვგრძნობდე ამ კაცის მიმართ ჩემში ჩაბუდებულ მტრობას?“

ქმარმა ხელი გაუწოდა, ქალი დაეყრდნო მის იდაყვს. დამპალი ტეხოკოტები ფეხქვეშ სკდებოდა, შარაბნის გარშემო ძაღლები ყეფდნენ და ხტოდნენ, გრილი ნამი სცვიოდა ქლიავის ტოტებს, შარაბანში ასვლაში მიხმარებისას ცოლს უნებურად ხელზე მოუჭირა და გაუღიმა.

- არ ვიცი, იქნებ რაიმე გაწყენინე. თუ ასეა, მაპატიე.

გავიდა წამი, მეორე. ცოლის სახეზე დაბნეულობის კვალი მაინც შენიშნოს. ესეც კი საკმარისი იქნებოდა. ერთი უბრალო მოძრაობა, არცთუ ალერსიანი, უბრალოდ მის ქალურ სისუსტეს, ფარულ სინაზეს, დასაყრდენის პოვნის სურვილს გაამჟღავნებდა.

„მე რომ შემძლებოდა, რომ შემძლებოდა“.

მაგრამ, როგორც მათი პირველი შეხვედრისას მოხდა, ახლაც ქალის ხელს ხელი დაუსვა, პასუხი კი არ მიუღია. მერე აღვირს წაავლო ხელი, ქალი გვერდით მიუჯდა და ცისფერი ქოლგა გაშალა, ქმრისთვის არც შეუხედავს.

- ბიჭს გაუფრთხილდით.

„ჩემი სიცოცხლე დღედ და ღამედ გავყავი, თითქოს ერთდროულად ორ გრძნობას ვემორჩილებოდე. ღმერთო, რატომ არ შემიძლია მხოლოდ ერთს ვმორჩილებდე?“

თვალმოუშორებლად გასცქეროდა აღმოსავლეთს. გზის გასწვრივ არხებით დასერილი სიმინდის ყანები გადაჭიმულიყო. არხები გლეხებმა ხელით გაჭრეს მიწაში თესლის

დასარწყულებლად. ზევით ქორები ლივლივებდნენ. მაღლა აჭრილიყო მაგეების მწვანე სკიპტრები, კაკუნით სერავდნენ ხეებს მაჩეტეები - წვენის შეგროვების დრო დგებოდა. მხოლოდ ქორს შეეძლო სიმაღლიდან დაენახა მოსავლიანი სარწყავი ნაკვეთები, ახალი ბატონის მამულს რომ ეკრა გარს - ბერნალის, ლაბასტიდასა და პისაროს საგვარეულო მიწები.

„ჰო, ვუყვარვარ, ალბათ, ვუყვარვარ“.

ნაკადულთა ვერცხლისფერი ქარსი მალე დაიშრიტა და უჩვეულო პეიზაჟი ჩვეული - მაგეებით მოფენილი კირის ველებით შეიცვალა. შარაბანის ჩავლისას მუშები მაჩეტეებსა და თოხებს დაბლა უშვებდნენ, გამრეკები ვირებს შოლტებს უტლაშუნებდნენ: თვალუწვდენელ, მშრალ ველზე მტვრის ღრუბლები ავარდებოდა. წინ ფუტკრის ნაყარივით მიღოღავდა რელიგიური პროცესია, შარაბანიც მალე დაეწია.

„ყველაფერი უნდა დამეთმო, ოღონდ ვყვარებოდი, განა მისი ვნება არ მომწონს? განა მისი მგზნებარე სიტყვები, მისი გამბედაობა, მისი სიყვარულის დასტური არ მომწონს? ასეთსაც კი, ორსულსაც, მარტოს არ მტოვებს. ჰო, ჰო, ასეა...“

მლოცველთა ნელმა სვლამ ისინიც შეაფერხა, ბავშვები თეთრ, ოქროსფერქობიან ტანსაცმელში გამოეწყოთ. ზოგს შავ თავზე მავთულისა და ვერცხლის ქაღალდისგან დაწნული გვირგვინი უშრიალებდა. ბავშვები ხელიხელჩაკიდებული მიჰყავდათ შალმოხვეულ, ღაწვებაწითლებულ მზერაგაყინულ ქალებს, პირჯვრის წერითა და ძველი ლოცვების ჩურჩულით რომ მიიკვლევდნენ გზას. ზოგი ღვთისმოსავი დაჩოქილი მიცოცავდა, მიწაზე შიშველ ფეხებს მიათრევდა, კრიალოსანს მარცვლავდა, ვის აღთქმის შესასრულებლად წამოსული დაწყლულებულფეხებიანი ავადმყოფი მიჰყავდა, ვინ ცოდვილის მათრახები იყვნენ, რომელიც კმაყოფილი სახით უშვერდა დარტყმებს გაშიშვლებულ ზურგსა და ეკლიანი ღეროებით შემოხვეულ წელს. ეკლიან გვირგვინებს შავგვრემანი შუბლები დაესერა, შიშველ მკერდებს

ნოპალის[35] ავგაროზები უკაწრავდათ. ინდიელთა კილოკავზე მოთქმას ახშობდა გზის მტვერი, რომელსაც სისხლის წვეთები რწყავდნენ და ზელდნენ ქერქითა და კოჟრებით დაფარული, აუჩქარებელი ფეხები, ტალახი ფეხსაცმელებად რომ აჰკვროდათ. შარაბანი შეფერხდა.

„რატომ არ ძალმიძს ყველაფერი ეს მშვიდი და ღია გულით მივიღო - მას ხომ

დაუძლევლად იხმობს ჩემი სხეული - ესე იგი, დავიმორჩილე იგი, რადგან შემიძლია ღამღამობით მისი ვნება აღვაგზნო, დღისით კი გულცივობითა და მიუკარებლობით გავაწამო. რატომ ვერ გადამიწყვეტია?“

ავადმყოფები საფეთქელზე ხახვის ნაჭრებს იდებდნენ, ნაკურთხ ტოტებს ეხებოდნენ, რომლებიც ქალებს ეჭირათ. ასობით ადამიანი შეყრილიყო. მათ ყრუ მოთქმას თან ერთვოდა ნაღვლიანი ღმუილი; დრუნჩებზე დორბლმორეული გაქუცული ძაღლები ხროტინითა და ყმუილით დაშლიგინებდნენ ზლაზვნით მიმავალ ბრბოში. ხალხი იქით მიიწევდა, სადაც ვარდისფერი თაბაშირის კოშკები, შორენკეცის კარიბჭეები და ყვითელი მოზაიკით მოზიმზიმე გუმბათები მოჩანდა. მონანიეთ გაცრეცილ ტუჩებზე მიყუდებული ბოთლებიდან ნიკაპებზე პულკეს სქელი წვენი ეღვრებოდათ. ცრემლიანი, ლიბრგადაკრული თვალები, ეგზემამოდებული სახეები, ავადმყოფი ბავშვების გადაპარსული თავები, ყვავილით ამოკენკილი შუბლები, ათაშანგით ამოჭმული ცხვირები - დამპყრობთა მიერ ნიშანდებული სხეულები, ფეხით, ჩოქით მიბობღავდნენ ტეულების[36] ღვთაების სადიდებლად აგებული წმინდა ტაძრისკენ. ასობით, ასობით: ხელი, ფეხი, რელიკვიები, ოფლის ნაკადი, გოდება, წყლულები, რწყილი, ფუფხი, ტუჩი, კბილი. ასობით იყო.

„არა, უნდა გადავწყვიტო. სხვა გამოსავალი მე არა მაქვს. სიკვდილამდე ამ კაცის ცოლი უნდა ვიყო. რატომ არ უნდა დავნებდე? იოლი სათქმელია. მაგრამ ჩემი სიძულვილის მიზეზის დავიწყება არ არის იოლი. ღმერთო, უფალო ღმერთო, მითხარი, ჩემივე ხელით ხომ არ ვანგრევ ჩემს ბედნიერებას, მითხარი, დავივიწყო თუ არა მისი გულისთვის მამისა და ძმის წინაშე მოვალეობა?!“

წმინდა ადგილისკენ ფეხით, ჩოქით, ოთხით აუჩქარებლად მიმავალ ხალხს უკან მისდევდა მტვრის ბუღში გახვეული შარაბანი.

მაგეთა მწკრივები საშუალებას არ აძლევდა გზის კიდეზე გაჭრილიყვნენ და პროცესიისათვის გადაესწროთ. ეკიპაჟში, რომელსაც უნებურად არყევდნენ მლოცველები, ქოლგის ქვეშ ნელა ირწეოდა თეთრი ქალი; ქურციკის თვალები, ყურების ვარდისფერი ბიბილოები, თეთრი, გადატკეცილი კანი, ცხვირსა და პირზე აფარებული ცხვირსახოცი, ცისფერ აბრეშუმში გახვეული მაღალი მკერდი, მოზრდილი მუცელი და ერთმანეთზე გადადებული ატლასისფეხსაცმლიანი პატარა ფეხები.

ბიჭუნა გვყავს. მამაჩემი და ჩემი ძმა აღარ არიან. რატომ არ მასვენებს წარსული? წინ

უნდა ვიყურო, მაგრამ მე არ შემიძლია გადავწყვიტო. ან იქნებ მოვლენებმა, ბედისწერამ ჩემს ჩაურევლად გადაწყვიტოს ჩემი საქმე? იქნებ. ღმერთო ჩემო, მე მეორე ვაჟს ველოდები“.

მისკენ იწვდიან ხელებს ჯერ მოხუცი, ჭაღარა ინდიელის დაკოჟრილი ვეება ხელი, შემდეგ ქალების მოსასხამებიდან გამოყოფილი შიშველი ხელები, ალერსისა და აღტაცების გამომხატველი წყნარი ჩურჩული; მის შეხებას მოწადინე თითები, გაბმული ოხვრა: „სენიორა, სენიორა!“ შარაბანი გაჩერდა. არტემიო ჩახტა. მათრახს შავ-შავ თავებს ზემოთ იქნევდა, ყვიროდა, გზა მომეცითო: მაღალი, შავ კოსტიუმსა და წარბებამდე ჩამოფხატულ მოსირმულ შლაპაში გამოწყობილი...

„ღმერთო, ასეთი გამოცდა რად მომივლინე?“

კატალინამ აღვირს ხელი სტაცა და ცხენი მარჯვნივ მოსწია. შავრამ რამდენიმე მლოცველი მოცელა, დაიფრუტუნა და ყალყზე შედგა, ზოგს ხელიდან თიხის ბოთლები და აკრიახებულ ქათმებიანი გალიები დააყრევინა, წაქცეულ ინდიელებს თავში ჩლიქებიც დასცხო და მკვეთრად შეტრიალდა, ოფლისგან მბზინავი ყელი

ააღირა, ფართო თვალები დაიელმა. ქალს უცბად მოეჩვენა, რომ სხეული მათი წყლულებით დაესერა და ტალახსა და ოფლში, პულკეს ოხშივარში ჩაინთქა. ცხენს მთელი ძალით გადაუტლაშუნა მათრახი ზურგზე. ბრბო ორად გაიყო, შიშისა და გულუბრყვილო გაკვირვების შეძახილები გაისმა. იგი უკან დაბრუნდა და ზეცისკენ ხელაპყრობილ ადამიანებს ჩაუქროლა.

„რატომ მერგო ასეთი ცხოვრება, არჩევანი რომ სჭირდება? ამისთვის არა ვარ გაჩენილი...“

მძიმედ სუნთქავდა. ამ საშინელი ადამიანებისგან ილტვოდა თავისი ასიენდესკენ, რომელიც ავარვარებული მზის ბრწყინვალებაში მათ მიერ გაშენებული ხეხილის ხეებს მიღმა მიმალულიყო.

„სუსტი ქალი ვარ. მშვიდად მინდოდა მეცხოვრა, ყველაფერი ჩემ ნაცვლად სხვებს გადაეწყვიტათ. არა... მე თვითონ ვერ გადავწყვეტ... არ შემიძლია...“

ტაძრის გვერდით, მზის გულზე, გაზეთგადაფარებული მაგიდები დაედგათ.

ქინქლების გუნდი ღრუბელივით ადგა ლობიოთი და გამხმარი კვერებით სავსე დიდ სინებს. ალუბალზე დაყენებული პულკეთი სავსე გრაფინები, სიმინდის გამხმარი ტაროები და ნუშის კანფეტების სამფეროვანი გულები ხორაგის ერთფეროვნებას ალამაზებდა. მუნიციპალიტეტის მეთაური ტაძრის სტოვაზე შედგა, არტემიო ხალხს წარუდგინა, საქებარი სიტყვა წარმოთქვა. იგი დათანხმდა მუნიციპალიტეტის თხოვნას, რომელმაც პარლამენტის დეპუტატად დაასახელა და რამდენიმე თვის წინ პუებლასა და მეხიკოში მთავრობას შეუთანხმა მისი კანდიდატურა. მთავრობამ ცნო არტემიოს

რევოლუციური დამსახურება, მოიწონა მისი საქებარი გადაწყვეტილება, მიეტოვებინა არმია, რათა ცხოვრებაში გაეტარებინა აგრარული რეფორმა, დაუფასა ის თავგამოდებაც, რითაც უხელისუფლებობის პერიოდში საკუთარი პასუხისმგებლობითა და რისკით თავის ოლქში წესრიგი დაამყარა.

ირგვლივ მოსაწყენად და ყრუდ გოდებდნენ ღვთისმლოცველნი. ტაძარში შედიოდნენ და გამოდიოდნენ, მოთქვამდნენ, შესჩიოდნენ და ევედრებოდნენ თავიანთ წმინდა ქალწულსა და თავიანთ ღმერთს, ისმენდნენ გამოსულთა სიტყვებს და გრაფინებს ეწაფებოდნენ. უცბად ვიღაცამ დაიყვირა. გაისმა სროლის ტკაცატკუცი. კანდიდატს

წარბიც არ შეუხრია, ინდიელები კვერების ღეჭვას განაგრძობდნენ. ინდიელების დოლის მისასალმებელ რაკარუკზე მან სიტყვა გადასცა მეორე ადგილობრივ განათლებულ ორატორს. მზე უკვე მთებს უკან ეშვებოდა.

- ხომ გაფრთხილებდით, - ჩასჩურჩულა ვენტურამ, როცა წვიმის მსხვილი წვეთები ჯიუტად ახმაურდა მის სომბრეროზე, - ეს დონ პისაროს ბიჭები არიან. მიზანში მაშინვე ამოგიღეს, როგორც კი სტოვაზე შედექით.

არტემიო უქუდოდ იყო. სიმინდის ტაროსფერი მოსასხამი მოიხურა.

- მერე, რა მოუვიდათ?

- ცოცხლებივითა წვანან, - ჩაიქირქილა ვენტურამ, - ჯერ კიდევ დღესასწაულის დაწყებამდე შემოვარტყით ალყა.

უზანგში ფეხი გაუყარა.

- პისაროს ჭიშკართან მიუყარეთ.

თეთრ, ცარიელ დარბაზში რომ შედიოდა, კატალინა ეჯავრებოდა. ქალი მარტო იჯდა საქანელა-სავარძელში და აკანკალებულ ხელებს ისრესდა, თითქოს ამ კაცის გამოჩენამ სიცივე შეაფრქვია და თითქოს ქმრის სუნთქვა, მისი სხეულის ცივი ანაორთქლი, თხოვნის გამომხატველი კილო ჰაერს ყინავდა.

შლაპა მაგიდაზე დააგდო. აგურის იატაკზე დეზები გაწკარუნდა. ქალს ჩამოქნილი ცხვირი შეუტოკდა.

- იმათ... იმათ შემაშინეს.

არტემიომ არ უპასუხა. მოსასხამი მოიძრო და ბუხართან სკამზე გადაკიდა. კრამიტის სახურავზე წვიმა ხმაურობდა. ქალმა სცადა თავის მართლება.

- მეკითხებოდნენ, შენი ცოლი სად არისო. დღევანდელ დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

- ჰო, ვიცი...

- როგორ გითხრა... ყველას... ყველას გვინდა ცხოვრების თანამგზავრი, რათა ვიაროთ...

- ჰო...

- შენ კი...

- ჩემი ცხოვრება მე არ ამირჩევია! - დაიყვირა და ხელებით სავარძლის სახელურებს ჩააფრინდა, - როცა ადამიანებს აიძულებ, შენს ნებას დაემორჩილონ, მაშინ მათგან ნურც მადლობას ითხოვ და ნურც...

- ესე იგი, ჩემს ნებას, არა? მაშ, რატომ მოგწონვარ? ნეტარებისგან რატომ კრუსუნებ საწოლში, მერე კი დაძმარებული სახით დადიხარ? ვინ გაგიგებს შენ?

- არამზადავ!

- მოეშვი თვალთმაქცობას და მიპასუხე: რატომ?

- სხვა მამაკაცთან ასევე იქნებოდა, - თავი ასწია და პირდაპირ შეხედა. მორჩა და გათავდა, დამცირება სჯობია, - აბა, შენ რა იცი? მე შემიძლია სახეც გიცვალო და სხვა სახელი...

- კატალინა... მე შემიყვარდი... ის კი არ არის საქმე, რომ მე...

- თავი დამანებე. ისედაც სამუდამოდ შენთან ვარ დაკავშირებული. რაც გინდოდა, კიდეც მიიღე. იკმარე და შეუძლებელს ნუ ითხოვ.

- რატომ ამსხვრევ ყველაფერს? ხომ მოგწონვარ, მე ვიცი.

- თავი დამანებე. ხელი არ მახლო. არ გაბედო ჩემი სისუსტე წამომძახო. გეფიცები, მეტს აღარ მოვალ... იმისთვის.

- შენ ხომ ჩემი ცოლი ხარ.

- არ მომეკარო. სახლის მიტოვებას არ ვაპირებ. ჩვენ შენი ვართ. შენი გამარჯვების ნაწილი.

- ჰო. და შენ ჩემი ცოლი იქნები სიკვდილამდე.

- არა უშავს. ვიცი, რითი უნდა ვინუგეშო თავი - ჩემთან ჩემი შვილები იქნებიან... და ღმერთი, მეტი მე არაფერი მინდა...

- ესე იგი, ღმერთი იქნება. აბა, სცადე!

- შენი შეურაცხყოფა არ შემბღალავს. ახლა ვიცი, სად უნდა ვეძიო თავშესაფარი.

- რატომ?

- მოიცა, არ წახვიდე... იმიტომ, რომ იმ ადამიანთან ვცხოვრობ, ვინც მამაჩემი გაძარცვა და ჩემს ძმას უღალატა.

- კატალინა ბერნალ, შენ ამას ინანებ. კარგი აზრი მომაწოდე - შენს მამას და ძმას ყოველთვის გაგახსენებ, როცა გვერდით მომიწვები...

- მეტჯერ ვეღარ მომაყენებ შეურაცხყოფას.

- ნუ იქნები ასე თავდაჯერებული.

- რაც გინდა, ის ქენი, მაგრამ სიმართლისა გეშინია. შენ ჩემი ძმა გაყიდე.

- შენმა ძმამ იქამდე არ მოიცადა, რომ ეღალატათ. ერთი სული ჰქონდა, წამებული გამხდარიყო. თავის გადარჩენა არ ისურვა.

- ის მოკვდა, შენ კი აქა ხარ, საღ-სალამათი და იმის ნაცვლად პარპაშებ. აი, ყველაფერი, რაც მე ვიცი.

- არა, ეს ყველაფერი არ არის. შენ რაც გინდა, ის ქენი, მაგრამ იცოდე, თავისუფლებას არასოდეს მოგცემ, თუნდაც მომკლა. მეც შემიძლია ყელში გწვდე. შენს სისულელეს ინანებ...

- ჰო, ტყუილად კი არ გქონდა მხეცის სახე, როცა მარწმუნებდი, მიყვარხარო.

- მინდოდა, ჩემ გვერდით კი არა, სამარადჟამოდ ჩემთან ერთად ყოფილიყავი.

- ხელი არ მახლო. ამას ვერასოდეს იყიდი.

- გიჯობს დღევანდელი დღე დაივიწყო. აბა, იფიქრე, ჩვენ ხომ მთელი სიცოცხლე ერთად უნდა გავატაროთ.

- გამეცალე. დიახ, მეც ვფიქრობ ამაზე. მომავალ გრძელ წლებზე.

- მაშინ მაპატიე. კიდევ ერთხელ გთხოვ.

- შენ კი მაპატიებ?

- მე რა უნდა გაპატიო?

- ის, რომ არ შემიძლია გაპატიო იმის დავიწყება, იმ მეორის, ვინც მე ნამდვილად მიყვარდა? ახლა ძლივსღა ვიხსენებ მის სახეს... ამისთვისაც მეზიზღები, მეზიზღები იმისთვისაც, რომ შენ მაიძულე დამვიწყებოდა ის სახე... მე რომ ის, პირველი სიყვარული განმეცადა, კიდევ ვიტყოდი, ვიცხოვრე ქვეყანაზე-მეთქი... შეეცადე გამიგო,

ის უფრო მეზიზღება, ვიდრე შენ, იმიტომ, რომ შენ უფლება მოგცა, გაგეგდო და აღარ მობრუნდა... იქნებ ამას შენ იმიტომ გეუბნები, რომ არ შემიძლია მას ვუთხრა... დაე, იყოს ეს ლაჩრობა... როგორც გინდა... არ ვიცი. მე... სუსტი ვარ, შენ თუ მოისურვებ, შეგიძლია სხვა ქალებიც გიყვარდეს, მაგრამ ჩემი ხვედრი შენთან ყოფნაა. მას რომ ძალით დავემორჩილებინე, ახლა აღარ მოვიგონებდი, აღარ შემძულდებოდა, მისი სახე აღარ დამავიწყდებოდა. ჩემს გულში სამუდამო ნაღველი დარჩა, გესმის? მოიცა, არ წახვიდე... და, რადგან ძალა არ მყოფნის

ყველაფერში საკუთარი თავი დავადანაშაულო, - ის კი აქ არ არის, - ყველას დანაშაულს შენ გაბრალებ და მხოლოდ შენ მძულხარ - შენ ხომ ძლიერი ხარ და ყველაფერს გაუძლებ... მითხარი, შეგიძლია მაპატიო? მე კი ვერ გაპატიებ, ვიდრე საკუთარ თავსა და იმას, წარსულს არ ვაპატიებ, იმ უსუსურს... თუმცა, მეტი აღარც ფიქრი შემიძლია და აღარც ლაპარაკი. თავი დამანებე. პატიებას ღმერთს ვთხოვ, შენ არა...

- დაწყნარდი, შენი ჯიუტი დუმილი უფრო მომწონდა.

- ახლა შენ იცი, შეგიძლია როგორც მოისურვებ, ისე აწამო ჩემი სული, თვითონ

მოგაწოდე იარაღი. მოგაწოდე იმიტომ, რომ მინდა შენც შემიჯავრო და ერთხელ და სამუდამოდ ილუზიებს მოვეშვათ...

- უფრო იოლი იქნებოდა, ყველაფერი დაგვევიწყებინა და კვლავ თავიდან დაგვეწყო.

- არა, არ გამოგვივა.

სავარძელში უძრავად მჯდარ ქალს ახსენდებოდა, თუ რა გადაწყვიტა, როდესაც დონ გამალიელმა სთხოვა, დამარცხება ღირსეულად გადაეტანა. გადაწყვიტა, თავი სამსხვერპლოზე დაედო, რომ შემდგომ შური ეძია.

- ვერაფერი გადამარწმუნებს. შეგიძლია კი, თუნდაც ერთი საბუთი მოიტანო ჩემს გადასარწმუნებლად?

- ეგ ძალიან ადვილია.

- არ გაბედო, ხელი არ მახლო.

- მე იმას ვამბობ, რომ სიძულვილი ყველაზე ადვილია. სიყვარული ბევრად უფრო ძნელია, სიყვარული მეტს ითხოვს...

- ცხადია. იმიტომაც გამოდის ასე.

- გამოდის და გამოვიდეს. ნუ ელოლიავები შენს სიძულვილს.

- გამეცალე!

ქმარს აღარ უყურებდა. გაჩუმდა თუ არა, მისთვის აღარ არსებობდა ეს მაღალი, შავგვრემანი კაცი, რომელსაც კეფასა და შუბლს ყრუ ტკივილი უბურღავდა. იგი ცდილობდა, კიდევ რაიმე ამოეკითხა ცოლის ლამაზ, ნაღვლიან თვალებში, თითქოს მისი მაგრად მოკუმული, ზიზღით დაბრეცილი ტუჩებიდან იფრქვეოდა სიტყვები, რომლებსაც იგი არასოდეს იტყოდა.

„გგონია, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩაიდინე, კიდევ გაქვს სიყვარულის უფლება? გგონია, ცხოვრების წესები შეიძლება შეიცვალოს, რომ ყველაფერთან ერთად კიდევ ეს

ჯილდოც მიიღო? იქ, ჩემთვის უცხო სამყაროში, შენ დაკარგე სულის სიწმინდე. არა, შენ ვეღარ დაიბრუნებ მას გრძნობების სამყაროში. შენ, შესაძლოა გქონდა შენი ბაღი. მეც მქონდა ჩემი, ჩემი პაწია სამოთხე. ახლა ჩვენ ორივემ დავკარგეთ ეს. გაიხსენე. შენ ჩემში ვეღარ იპოვი იმას, რაც უკვე მსხვერპლად გაიღე. რაც საკუთარი ნებით, სამუდამოდ დაკარგე. არ ვიცი, საიდან მოგვევლინე. არ ვიცი, რას აკეთებდი უწინ. ვიცი მხოლოდ, რომ ცხოვრებაში დაკარგე ის, რაც შემდეგ მეც დამაკარგვინე: ოცნებები, სულის სიწმინდე, ჩვენ აღარასოდეს ვიქნებით ისეთი, როგორიც ვიყავით“.

თითქოს შეიძლებოდა ასეთი აზრები ამოეკითხა ცოლის თვალებში. თავისდა უნებურად ხსნიდა დუმილის აზრს. საკუთარი სიტყვები ისევ იდუმალ შიშში შთაინთქა. კაენი. ეს საშინელი სიტყვა არასოდეს არ უნდა მოსწყდეს მისი ცოლის ბაგეებს, რომელმაც თუმცა კი სიყვარულის რწმენა დაკარგა, მაგრამ მის თანამგზავრად მაინც დარჩა - მომავალი ცხოვრების უტყვ, დაძაბულ თანამგზავრად. კბილი კბილს დააჭირა. ალბათ, მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო მტრობისა და განდგომის კვანძის მოკვეთა. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უნდა ეთქვა - ახლა ან არასოდეს. თუ კატალინა გაიგებს, ისინი შეძლებენ, ყველაფერი დაივიწყონ და თავიდან დაიწყონ. თუ ვერ გაიგებს...

„დიახ, მე საღ-სალამათი დავრჩი. აქა ვარ, შენ გვერდით, იმიტომ, რომ სხვები დაიხოცნენ ჩემ ნაცვლად. გამოგიტყდები, დაიხოცნენ იმიტომ, რომ თავის დროზე დავიბანე ხელები და ჩემს გზას დავადექი. მიმიღე, როგორიცა ვარ, ჩემი დანაშაულით და მიყურე როგორც კაცს, რომელსაც სხვაგვარად ცხოვრება არ შეუძლია... ნუ შემიძულებ. კატალინა, საყვარელო, შემიბრალე... მე ხომ მიყვარხარ. სასწორზე დადე ჩემი სიყვარული და ჩემი ცოდვები და დაინახავ, რომ სიყვარული გადაწონის...“

ხმამაღლა წარმოთქმა კი ვერ გაბედა. თავის თავს ეკითხებოდა: რატომ ვერ გაბედა? ან კატალინა რატომ არ სთხოვდა, ეთქვა სიმართლე? არა, არ შეეძლო სიმართლის თქმა, თუმცა ხვდებოდა, რომ ეს სულმოკლეობა უარესად აშორებდა ცოლს, აიძულებდა, მათი ჩაშლილი სიყვარულის პასუხისმგებლობის მოზიარე გამხდარიყო. თუმცა შეეძლოთ კი ერთად ჩამოერეცხათ დანაშაული, რომელიც სურდა მასთან ერთად გაენაწილებინა, რათა გამოესყიდა.

„მარტო ვერა, მარტო ვერ შევძლებ“.

გავიდა მოკლე წუთი - გადამწყვეტი, უტყვი...

„რას იზამ, ძლიერი ვარ. დიახ, შემწევს ძალა, უდრეკად გადავიტანო ბედისწერის დარტყმები“.

დაემორჩილა იმ აზრს, რომ შეუძლებელი იყო საკუთარი თავის ჯობნა, უკან დაბრუნება.

კატალინა ადგა, საძინებელში ბიჭი მარტოაო, ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავიდა. დარბაზში მარტოდ დარჩენილმა კრუსმა წარმოიდგინა, როგორ

დაეშვებოდა ახლა კატალინა მუხლებზე სპილოს ძვლის ჯვარცმის წინაშე და დღეს უკანასკნელად შეევედრებოდა, დაეხსნა.

„ჩემი ბედისა და ჩემი დანაშაულისაგან, რაც შენს ხსნას განაპირობებს, უკუაგდებდი იმას, რაც ჩვენი უნდა გამხდარიყო, თუმცა ამას მე თვითონვე უსიტყვოდ გთავაზობდი. შენ მეტად აღარ მოხვალ...“

გულ-ხელი დაიკრიფა და შებურვილ სივრცეს მიაშურა, თავი ასწია, მიესალმა კაშკაშა ვენერას, პირველ ვარსკვლავს ჩაბნელებული ცის თაღზე, სადაც ერთიმეორის

მიყოლებით ინთებოდა მნათობები. ოდესღაც, ასეთივე ღამეს ასევე შეჰყურებდა ბრიალა ვარსკვლავებს - თუმცა რა საჭიროა გახსენება, აღარც თვითონ არის ისეთი და აღარც ვარსკვლავები, ახალგაზრდობაში რომ უნათებდნენ.

წვიმამ გადაიღო. ბაღს გუაიის, ტეხოკოტეს, ქლიავისა და მსხლის მძაფრი სურნელი მოსდებოდა. თვითონ დარგო აქ ხეხილი. აღმართა გალავანი, რომელიც სახლსა და ბაღს ნათესი მინდვრებისგან აცალკევებდა - ამ სამფლობელოში იგი სულიერად ისვენებდა.

ჩექმის ქვეშ სველი მიწის ტყლაპუნი იგრძნო, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ნელ-ნელა კუტიკარისკენ გასწია. მალე ერთ-ერთი მეზობლის სახლს მიადგა. ცოლის პირველი ორსულობის დროს ამ ახალგაზრდა ინდიელ ქალთან დადიოდა ხოლმე - ქალიც ჩუმი გულგრილობით ხვდებოდა, არც არაფერს ეკითხებოდა, არც არაფრის იმედი ჰქონდა.

არ დაუკაკუნებია. ჩექმის დარტყმით შეაღო დატეხილი ადობით[37] ნაგები სახლის კარი. ქალი გააღვიძა, მხრებით შეანჯღრია. მუქი, მძინარე სხეულის სითბო შეიგრძნო. ქალიშვილი შიშით შესცქეროდა პატრონის შეშლილ სახეს, გამოციებულ მწვანე

თვალებს ზემოთ თმის ხუჭუჭა კულულებს, ხეშეში ულვაშითა და წვერით შემოსაზღვრულ სქელ ტუჩებს.

- წამოდი, ნუ გეშინია.

ქალმა თეთრი ბლუზა გადაიცვა, შალი მოიხურა და დაქამანდებული დეკეულივით ხრუტუნით გაჰყვა. არტემიომ კი ყველა მნათობით მოჭედილ ღამეულ ცას ახედა.

- იმ ბრწყინვალე ვარსკვლავს ხედავ? გეგონება ახლოა, ხელსაც კი წავავლებო. მაგრამ შენ კი იცი, რომ ვერ მისწვდები. ჰოდა, თუ რაიმეს ვერ მისწვდები, უნდა ისწავლო, თქვა, „არ არის საჭირო“. წამოდი, ჩემთან იცხოვრებ დიდ სახლში.

ქალიშვილმა თავი ჩაქინდრა და უკან გაჰყვა.

თქეშით ჩამორეცხილი ხეები სიბნელეში ბრწყინავდნენ. აფუებული მიწა გამაბრუებულ სურნელს აფრქვევდა. არტემიომ ღრმად ამოისუნთქა.

ზემოთ კი, თავის საძინებელში კატალინა უკვე დაწვა. კარი გამოღებული დატოვა. ღამის ლამპა აანთო. კედლისკენ გადაბრუნდა, ხელები მხრებზე შემოიჭდო და ფეხები მოკეცა. მაგრამ მაშინვე წამოჯდა და ქოშებში წაჰყო ფეხები. მერე წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, თან ნაბიჯებს თავის ქნევაც ააყოლა. ანგარიშმიუცემლად დაარწია პაწია საწოლში მძინარე ბავშვი. მუცელზე მოისვა ხელი. ისევ დაწვა და გაიტრუნა, მიაყურადა - დერეფანში ქმრის ნაბიჯების ხმა ხომ არ ისმისო.

* * *

მე არც ფიქრის თავი მაქვს და არც არა მწადია რა. რაც უნდათ, ის ქნან. ტკივილს ეჩვევა ადამიანი: როცა რაიმე დიდხანს გრძელდება, ჩვევად იქცევა ხოლმე. ტკივილი ნეკნებქვეშ, ჭიპთან, ნაწლავებში - ეს უკვე ჩემი ტკივილია, გულის გამაწვრილებელი ტკივილი. პირში მწარე გემო - ჩვეული გემოა. გაბერილი მუცელი - ჩემი ორსულობაა. მართლაც, ორსულობასავითაა. სასაცილოა. მუცელზე ხელს ვიკიდებ. ჭიპს ქვემოთ თითებს ვისვამ. რაღაც სხვანაირია, მრგვალი, რბილი. მაგრამ ცივი ოფლი აღარ მასხამს. ფერგამქრალი სახე მაქვს - ხანდახან ტერესას ხელჩანთის ვარაყში ვხედავ, როცა საწოლთან ახლოს მოდის - ხელიდან კი არ უშვებს, გეგონება, ოთახში ქურდები სხედანო. რა საშინელ სისუსტეს ვგრძნობ. ეშმაკმა უწყის. ექიმი წავიდა, სხვა ექიმებს მოვიყვანო. პასუხისმგებლობას გაურბის. ეშმაკმა უწყის. აგერ ისინიც. შემოვიდნენ. წითელი ხის კარი გაიღო და დაიხურა, რბილი ნოხი ნაბიჯების ხმას აყრუებს. ფანჯრები დახურეს. ნაცრისფერი ფარდები შარიშურით დაეშვა. ისინი აქ არიან. ოჰ, ხომ არსებობს ფანჯარა და მის მიღმა მთელი სამყარო. მთიდან მონაბერი ქარი, შავ, ნორჩ ხეებს რომ არხევს. იქ კი შეიძლება სუნთქვა...

- ფანჯარა გააღეთ...

- არა, არა, გაცივდები, უარესად გახდები...

- გააღეთ...

- Domine, non sum dignus.

- მიმიფურთხებია ღმერთისთვის...

რამეთუ გწამს იგი.

სწორია. კარგად შენიშნეს, ასაღელვებელი არაფერია. კაცმა ამაზე აღარც უნდა იფიქროს. აბა, რისთვის უნდა შეურაცხყო ღმერთი, თუ იგი არ არსებობს? გულს გეფინება, როცა ამას გაიფიქრებ. დაე, აკეთონ, რაც უნდათ. აჯანყდე - იმას ნიშნავს, რომ ეს ჩმახი მართლა არსებობს. მიმიფურთხებია ყველაფრისთვის. არ ვიცი, რაზე ვფიქრობდი უწინ. დამნაშავე ვარ. მღვდელმა კი გამიგო. დამნაშავე ვარ. ჰოდა, არ არის საჭირო

აღშფოთება, მაგათ ვასიამოვნო. აჯობებს, მოვიწყინო. ცხვირი ჩამოვუშვა. ყველას აჯობებს. რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ყოველივეს. იმას, რასაც მთავარი მოქმედი პირისთვის, ანუ ჩემთვის, აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. დიახ, ასეა, დიახ. მე უკვე შევიგნე, რომ მალე ყველაფერი აზრს დაკარგავს, ისინი კი, პირიქით, ცდილობენ სულელური ცერემონია განსაკუთრებული აზრით დატვირთონ: ხომ უნდა აჩვენონ თავიანთი მწუხარება, გადაარჩინონ სხვისი სული. ჰმ, რაც უნდათ, ის ქნან, მე მუცელზე ვიწყობ ხელებს. ოჰ, წადით აქედან. ჩანაწერი მომასმენინეთ, აბა, ერთი ნუ გაგიგიათ... ნუ მიმხვდარხართ, რას ნიშნავს ჩემი ეს მოძრობა.

„- ამტკიცებენ, რომ აქ, მეხიკოშიც, შეიძლება ასეთი ვაგონების გაკეთება. მაგრამ ჩვენ ამის ნებას არ მივცემთ, ხომ მართალია? რატომ უნდა დავკარგოთ ოცი მილიონი პესო, ესე იგი მილიონ-ნახევარი დოლარი...

- Plus our commissionfs...[38]

- ყინულიანი წყალი არ უნდა დალიოთ, როცა ასე გაცივებული ხართ...

- Just hay fever. Well, I′ ll be.[39]

- მე არ დამიმთავრებია. ამას გარდა, ისინი ამბობენ, რომ დაქირავების ღირებულება, რაც დაწესებულია სამთო კომპანიებისათვის, მექსიკის ცენტრიდან საზღვრამდე ტვირთის გადასატვირთად ძალიან დაბალია, რომ ფაქტობრივად ეს სუბსიდიაა, რომ ბოსტნეულის გადაზიდვაზე მეტის გამომუშავება შეიძლება, ვიდრე ჩვენი კომპანიის მადნეულის გადაზიდვაზე.

- Nasty, nasty...[40]

- სწორედ ასეა, ხომ ხვდებით, თუ სატრანსპორტო ხარჯი მოიმატებს, ჩვენი მაღაროების ექსპლუატაცია არარენტაბელური გახდება.

- „Lessprofits, sure, lessprofit, sure lessfessless...“[41]

- რა მოხდა, პადილია? მეგობარო, ეს რა არეული ხმები მესმის? ჰა, პადილია?

- ლენტა ჩაეხვა. ერთი წამი მადროვეთ, ახლავე გადავახვევ.

- ლიცენციატო, ეგ ხომ არ გისმენთ.

პადილიას, ალბათ, ულვაშში ჩაეცინა. პადილია მიცნობს. მე ვუსმენ, ჰო, მე ვუსმენ. ეს ხმა ელექტროდენივით მივლის სხეულში. ჩემი საკუთარი ხმის ბგერები, ჩემი უწინდელი ხმის გაგონება. დიახ, აი, ისევ გაისმა ტკაცუნით უკან დატრიალებული ლენტის ხმა, ისევ გაიწივლა, ციყვივით, მაგრამ ეს ჩემი ხმა იყო. ჩემს სახელსა და გვარში თორმეტი ასოა, თუმცა შეიძლება ისინი სხვადასხვანაირად შევუთანხმოთ ერთმანეთს: ამუკ რეისტრიო სურიტეკ მარიო იტსაუ ერკიმორ, მაგრამ ამ აბდაუბდას თავისი კოდი, თავისი ღერძი - არტემიო კრუსი. ასევეა ჩემი ხმაც, მე მას გაბმით ატკაცუნებულსაც ვცნობ, რომ წყდება და ისევ ისმის, აზრს იძენს:

- „მისტერ კორკერი, გეთაყვა, ამერიკულ გაზეთებს უდეპეშეთ. ზოგიერთი შეიძლება ამით დაინტერესდეს. დაე, აშშ-ის პრესა თავს დაესხას მექსიკელ კომუნისტ-რკინიგზელებს.

- Sure, if you say they’re commies, I feel it duty to uphold by any means our.[42]

- დიახ, დიახ, დიახ. კარგია, რომ ჩვენი იდეალები და ინტერესები ერთმანეთს ეთანხმება. ასე არ არის? და, მეორე, თქვენს ელჩს სთხოვეთ, აიძულოს მექსიკის

ხელისუფლება - ახალი შექმნილია და ჯერ სულ გამოუცდელია.

- Oh, we never intervene...[43]

- მაპატიეთ, მე ისე ვერ გამოვთქვი. ელჩს ურჩიეთ, მიუდგომლად შეისწავლოს საკითხი და ობიექტური აზრი გამოთქვას, - ეგ ხომ, ცხადია, მექსიკაში ჩრდილო ამერიკის მოქალაქეთა ინტერესებზე უნდა ზრუნავდეს. აუხსნას, ვისაც საჭიროა, რომ უცხოური დაბანდებისათვის საჭიროა ხელსაყრელი კონიუნქტურის შექმნა, ასეთი აგიტაცია კი...

- O. K., O. K".

ო, როგორ მიბურღავს დაქანცულ ტვინს ეს ტერმინები, სიტყვები, სიტყვები, მინიშნებები. ო, რა მოსაწყენია, რა აბდაუბდა. მაგრამ - მე უკვე ვთქვი - ეს ჩემი ცხოვრებაა და ვალდებული ვარ, მოვუსმინო. არა, ესენი ჩემს მოძრაობას ვერ მიხვდებიან. მე კი თითის განძრევა მიჭირს: გამოთიშონ მაინც. მომბეზრდა. არ არის საჭირო, გულის გამაწყალებელია, გულის გამაწყალებელი... სხვა რამ მინდა ვთქვა...

- შენ დაისაკუთრე, წამართვი...

- იმ დილით გახარებული ველოდი. მდინარეზე ცხენებით გავედით...

- შენი ბრალია, შენი. შენა ხარ დამნაშავე.

ტერესას გაზეთი გაუვარდა. კატალინა საწოლთან მოვიდა და ჩაილაპარაკა, თითქოს ვერ გავიგონებდი:

- ძალიან ცუდად გამოიყურება.

- თქვა კი, სადა აქვს? - ძალიან ჩუმად ჰკითხა ტერესამ. კატალინამ თავი გადააქნია.

- ვექილებს არაფერი აქვთ. ალბათ, ხელით დაწერა. თუმცა, მაგას შეუძლია ისე მოკვდეს, ანდერძი არ დატოვოს, რომ სიცოცხლე გაგვიმწაროს.

თვალდახუჭული ყურს ვუგდებ და თავს ყრუ-მუნჯად ვაჩვენებ.

- წმინდა მამამ ვერაფრით დასცინცლა?

კატალინამ, ალბათ, ისევ გადააქნია თავი. ვგრძნობ, რომ იჩოქებს ჩემს თავთით და წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მეუბნება:

- თავს როგორ გრძნობ?.. არ გინდა, ცოტა გამოგველაპარაკო? არტემიო... ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია... არტემიო... ჩვენ არ ვიცით, დატოვე თუ არა ანდერძი. ჩვენ გვინდა, ვიცოდეთ, სად...

ტკივილი მომეშვა. ვერც ერთი, ვერც მეორე ვერ ხედავს, როგორ დამეცვარა ცივი ოფლით შუბლი, ვერ ამჩნევენ ჩემს დაძაბულობას და უძრაობას. ხმები მესმის, მაგრამ მხოლოდ ახლაღა ვარჩევ სილუეტებს. ბურუსი იფანტება, მე უკეთ ვხედავ მათ სხეულებს, სახეებს, მინდა, ისევ დამიბრუნდეს ტკივილი. საკუთარ თავს

ვეუბნები, ვეუბნები - სრულ გონებაზე მყოფი - რომ არ მიყვარს ესენი, არც არასოდეს მიყვარდნენ.

- ...გვინდა ვიცოდეთ, სად...

თქვე უნამუსოებო, მედუქნეებს რომ ექლესებოდეთ, ბინის მფლობელის რომ გეშინოდეთ, თაღლითი ვექილებისა და გამომძალველი ექიმის იმედად რომ იყოთ,

თქვე უნამუსოებო, იმ ჭუჭყიან დუქნებში გიწევდეთ სიარული, წყალწყალა რძისთვის რიგებში იდგეთ, უბადრუკი მემკვიდრეობისათვის გადასახადს იხდიდეთ, ამა ქვეყნის ძლიერთა კარებს ატალახებდეთ, სესხულობდეთ და რიგში მდგარი უკეთეს მომავალზე ოცნებობდეთ, არტემიო კრუსის ცოლისა და შვილისა გეხარბებოდეთ, საკუთარი მანქანით რომ დასრიალებენ, ლომას დე ჩაპულტეპეკზე ცხოვრობენ, წაულას ბეწვის ქურქებითა და ბრილიანტის ყელსაბამებით იწონებენ თავს, საზღვარგარეთ მოგზაურობენ. წარმოიდგინეთ, როგორ გაწვალებდით, მე რომ ასეთი მტკიცე და შეუვალი არ ვიყო. წარმოიდგინეთ, როგორ იცხოვრებდით, მე რომ სათნო და მორჩილი კაცი ვიყო. მხოლოდ იმ ფსკერზე - საიდანაც მე ამოვედი ანდა მაღლა - სადაც მერე აღმოვჩნდი, მხოლოდ იქ-მეთქი, გეუბნებით, არსებობს ადამიანური ღირსება. შუაში იგი არ არის. არ არის იგი შურიანობაში, უღიმღამო ყოველდღიურობაში, რძის კუდიან რიგებში. ყოველივე ან არაფერი. იცით კი ჩემი თამაშის წესები? მათი რამე გაგეგებათ? ყველაფერი ან არაფერი, ყველაფერი ან ასე, ან ისე; მთლიანად, ერთიანად, თავგამეტებით თამაში, ჯიქურ გატანა: იმის შიში არ გქონდეს, რომ ისინი, მაღლა რომ დგანან, ან ისინი, დაბლა რომ არიან, დაგხვრეტენ. ეს ნიშნავს, იყო ისეთი ადამიანი, როგორიც მე ვიყავი. ისეთი კი არა, თქვენ რომ გერჩივნათ ვყოფილიყავი - საცოდავი,

უფერული, ბაქია, შარისთავი, სამიკიტნოებისა და საროსკიპოების მუდმივი სტუმარი, ღია ბარათების ლამაზი ბიჭი. არა, მე ასეთი არა ვარ. თქვენთან ყვირილი არ მჭირდება, არ მჭირდება დათრობა, მაგიდაზე მუშტის ბრახუნი. არ მჭირდება ჩემი სიტყვის გასატანად გცემოთ. არ მჭირდება თავის დამცირება თქვენი სიყვარულის გამოსათხოვად. მე თქვენ სიმდიდრე მოგეცით, სამაგიეროდ, არც სიყვარული მითხოვია, არც თანაგრძნობა. და მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს არაფერს მოვითხოვდი, ვერ შეძელით ჩემი მიტოვება, ჩემს სიმდიდრეს მიეკარით, თან ისე მწყევლიდით, როგორც, ალბათ, არ დამწყევლიდით და შემაჩვენებდით, კონვერტით საცოდავი ხელფასი რომ მომეტანა. ეჰ, თქვე ძველო ფარისევლებო, ბებერო ბატებო, ყეყეჩებო, ყველაფერი რომ გაქვთ და ამ ცხოვრების ვერაფერი გაგიგიათ. იმის მოხმარება მაინც შეგეძლოთ, რაც მოგეცით, ის მაინც გესწავლათ, როგორ იცხოვროთ, რომ ატაროთ ძვირფასეულობა. აბა, მე ყველაფერი გამოვცადე - გესმით? - მქონდა ყველაფერი, რისი ყიდვაც შეიძლება და რასაც ვერ იყიდი. რეხინა, - გესმით? - რეხინა მიყვარდა, მაგრამ ფულისთვის კი არა. მე გამომყვა და სიცოცხლეც

შემომწირა. იქ, დაბლა, გესმით? შენ კი, კატალინა, მესმოდა, როგორ ეუბნებოდი ვაჟიშვილს:

„- ლორენსო, მამაშენი, მამაშენი... როგორ ფიქრობ... ვითომ შეიძლება ამის პატიება?.. არა, არ ვიცი, არ შემიძლია... ღვთის გულისათვის, ყველა უბიწო წამებულისათვის...“

- Domine, non sum dignus...

* * *

შენ საკუთარი ტკივილიდან შეისუნთქავ საკმევლის მძაფრ სუნს და თვალდახუჭულად მწოლიარეს გეცოდინება, რომ ფანჯრები დახურულია და უკვე ვეღარ ჩაყლაპავ ღამის გრილ ჰაერს. მხოლოდ საკმევლის სიმყრალეს გრძნობ და ხედავ მღვდლის სახეს, რომელსაც უნდა, ცოდვები შეგინდოს. აუტანელია, მაგრამ ეგუები, რომ იმათ არ ასიამოვნო სიკვდილის წინ შენი უძლური ჯანყით. დაე, იწრიალონ, იფუსფუსონ, შენ ხომ არავისი ვალი არა გაქვს. შენ მოგინდება მოიგონო ცხოვრება, სადაც არავისი არაფერი გმართებს. თუმცა, ის ქალი ხელს გიშლის, უფრო სწორად, მისი გახსენება გიშლის ხელს. შენ მას რეხინას დაარქმევ. შენ მას ლაურას დაარქმევ. შენ მას კატალინას დაარქმევ, შენ მას ლილიას დაარქმევ. ეს მოგონება ყველაფერს დაჩრდილავს, ვინაიდან გაიძულებს მის მიმართ მადლიერება იგრძნო. მაგრამ ამ მადლიერებას (საშინელი ტკივილისაგან დაგრეხილი) მაინც საკუთარი თავის თანაგრძნობად შეატრიალებ, აქცევ არარსებულ დანაკარგად. იგი ბევრს მოგცემს, რათა შენგანაც ბევრი წაიღოს. ის, ის ქალი, რომელიც შენ ოთხი სხვადასხვა სახელით გიყვარდა. მაინც ვინ დარჩა ვალში?

თავს ტყუილუბრალოდ გაიწამებ, ვინაიდან საიდუმლო აღთქმას დადებ: არავის მოვალედ არ ჩათვალო თავი. ამიტომ შეეცდები დაივიწყო ტერესაც და ხერარდოც და თავს იმით იმართლებ, რომ სრულებით არ იცნობ მათ - გოგონა მუდამ დედის გვერდით იყო, მამისგან შორს, რომელიც მხოლოდ ვაჟიშვილით ცოცხლობდა. თავის გასამართლებლად იმას იტყვი, რომ ტერესა ცოლად გაჰყვა ჭაბუკს, რომელიც შენ არაფრით გამოგირჩევია - შეუხედავ, უღიმღამო ადამიანს, კაცს, დროის დაკარგვის, მოგონების ღირსად რომ არ თვლი. სებასტიანი? შენ არც მასწავლებელ სებასტიანის გახსენება გსურს, არ გინდა წარმოიდგინო, თავისი უშველებელი ხელებით ყურებს რომ გახევდა, სახაზავით გცემდა. შენ არ მოგინდება გაიხსენო, ტკივილისგან როგორ გიხურდა ცარცით მოთხვრილი თითები, როგორ დაუსრულებლად მიიზლაზნებოდა საათები საკლასო დაფასთან, როდესაც წერას, ანგარიშს, სახლებისა და რგოლების ხატვას სწავლობდი - იმიტომ, რომ ეს შენი გადაუხდელი ვალია.

ყვირილს მორთავ, წამოხტომას მოინდომებ სიარულში ტკივილის ჩასახშობად, მაგრამ ვიღაცის ხელები შეგაჩერებს.

საკმევლის სუნს და მიუწვდომელი ბაღის სურნელს შეისუნთქავ.

მერე იმაზეც დაფიქრდები, რომ არჩევანი შეუძლებელია, რომ არჩევა არ შეიძლება, რომ იმ ღამით არც შენ აგირჩევია, უბრალოდ, მოვლენათა მსვლელობას დაემორჩილე და პასუხს აგებ იმაზე, რაც მოჰყვა იმ ღამით მორალის ორი განსხვავებული პრინციპისგან ერთ-ერთის ამორჩევას, მორალის, რომელიც შენ არ შეგიქმნია. შენ პასუხს ვერ აგებდი იმაზე, რომ იმ გზით წახვედი, რომელიც შენ არ გაგიკაფავს. შენ იოცნებებ - შეეცდები, დაივიწყო შენი სხეული, მუცელში ხანჯალივით გარჭობილი ტკივილისგან რომ ყვირის, - იოცნებებ შენს

საკუთარ გზაზე, რომელსაც ვერასოდეს იპოვი, ვინაიდან სამყარო ამის საშუალებას არ მოგცემს, სამყარო მხოლოდ თავის მიუწვდომელ სჯულის ფიცარს, თავის წინააღმდეგობრივ კანონებს შემოგთავაზებს, მათზე არც ფიქრი მოგიწევს, არც ოცნება, ისინი შენზე მეტს იცოცხლებენ.

თანდათან საკმევლის სუნი გამძაფრდება, ყველგან შეაღწევს. მამა პაესი შენს სახლში იცხოვრებს - კატალინა სარდაფში დამალავს და შენ არაფერში იქნები დამნაშავე, სულ არაფერში.

შენ არ გაიხსენებ, რაზე ლაპარაკობდით თქვენ - შენ და ის - იმ ღამით. ვეღარ მოიგონებ,

რომელმა - შენ თუ იმან - თქვა ეს სიტყვები: რა ჰქვია იმ ურჩხულს, რომელიც საკუთარი ნებით უარს ამბობს ქალობაზე, საკუთარი ნებით ისაჭურისებს თავს, საკუთარი ნებით ითრობს თავს არარსებული უფალი ღმერთის სისხლით?.. მაგრამ რომელსაც - ვინ იტყვის ამას? - გეფიცებით, არ შეუძლია, არ უყვარდეს, ვინაიდან ღვთის სიყვარული უდიდესია და მის ყოველ ქმნილებაში ცოცხლობს, ადამიანებს ამართლებს. ღვთის წყალობით, მისი კურთხევით გვაქვს ჩვენ სხეული, რომ ვაჩუქოთ მას სიყვარულის წუთები, რის წართმევასაც ცხოვრება ცდილობს. არ უნდა განიცდიდე სირცხვილს, არაფერს არ უნდა განიცდიდე და მაშინ დაივიწყებ საკუთარ ტანჯვას. არ შეიძლება არსებობდეს ცოდვა, ვინაიდან ჩვენი ხანმოკლე, ნაჩქარევი სიყვარულის - მხოლოდ დღევანდელის და არასოდეს ხვალინდელის - ყველა სიტყვა და აღსრულება მხოლოდ ნუგეშისცემაა; რასაც ჩვენ ვეძებთ მხოლოდ ცხოვრების გარდაუვალი ბოროტების აღიარებაა, რომელიც შემდგომ ჩვენი მონანიებით გამოისყიდება. მაგრამ განა შესაძლებელია ჭეშმარიტი მონანიება, თუკი არ აღიარებ შენში ჩაბუდებული ბოროტების ნამდვილობას? როგორ შეიძლება აღიარო ცოდვა და მუხლმოყრილმა მოინანიო, სანამ მას არ ჩაიდენ? დაივიწყე შენი ცხოვრება, ჩამაქრობინე სანთელი, დაივიწყე ყველაფერი, რათა ერთად გამოვითხოვოთ მონანიება და ცად აღვავლინოთ

ლოცვა - რომელიც ჩვენი მეხსიერებიდან აღმოფხვრის ჩვენი სიყვარულის წუთებს, - რომ იკურთხოს ჩვენი სხეული, რომელიც ღმერთმა შექმნა და ყოველი თავისი ახდენილი და აუხდენელი საიდუმლო ნეტარებას მიეცემა, ღმერთს ადიდებს, როცა შენს წიაღს თესლს აძლევს. სიცოცხლე ხომ ღვთის ღალატს ნიშნავს, ყოველი ქცევა, ჩვენი ყოველი ნაბიჯი, რაც ცოცხალ ადამიანებად გვამკვიდრებს, შენი ღმერთის მცნებების დარღვევას მოითხოვს.

იმავ ღამით ბორდელში მაიორ გავილანს და შენს ყველა ძველ მეგობარს გაუბამ საუბარს. ძნელი იქნება გაიხსენო, რა ითქვა იმ ღამით, გაიხსენო - ისინი ამბობდნენ თუ შენ მკაცრი ხმით, არა ადამიანის, არამედ ძალაუფლებისა და ეგოიზმის მკაცრი ხმით: სამშობლოს აყვავებას ვუსურვებთ, თუ ეს ჩვენს საკუთარ კეთილდღეობას ეთანხმება; ჩვენ ჭკვიანები ვართ და შეგვიძლია შორს წავიდეთ. მოდი, რაიმე აუცილებელი და სავსებით აუცილებელი გავაკეთოთ:

ერთბაშად შევასრულოთ ძალადობისა და სისასტიკის ყველა აქტი. ეს იმ სარგებლობას მოგვიტანს, რომ აღარ დაგვჭირდება მათი გამეორება. მოდი, განვსაზღვროთ, რამდენი მოწყალება უნდა მივუგდოთ ხალხს, ვინაიდან ძალიან სწრაფად შეიძლება მოვახდინოთ რევოლუციური გადატრიალება,

მაგრამ სახვალიოდ კიდევ მოგვთხოვენ, კიდევ და კიდევ და, თუ ყველაფერს გავაკეთებთ და ყველაფერს მივცემთ, აღარაფერი დაგვრჩება შესათავაზებელი, საკუთარ სიცოცხლესღა თუ გავიღებთ. მაგრამ რად დავიხოცოთ, ჩვენი გმირობის ნაყოფი თუ არ ვიგემეთ? სათადარიგოდ რაღაც უნდა დავიტოვოთ. ჩვენ ადამიანები ვართ და არა მოწამეები. ჩვენ ყველაფრის უფლებას მოგვცემენ, თუ იმას დავუჭერთ მხარს, ვისაც ძალაუფლება აქვს. ეს ხელისუფლება რომ დაემხობა, ლაფში ამოგვსვრიან. მდგომარეობა ფხიზლად უნდა შევაფასოთ: ახალგაზრდები კი ვართ, მაგრამ გამარჯვებული რევოლუციის გმირების შარავანდედი გვამკობს. კიდევ რისთვისღა ვიბრძოლოთ? იმისათვის, რომ შიმშილით სული ამოგვხდეს? როცა აუცილებელია, ხელისუფლება განუყოფელია, ძალადობა - სამართლიანი.

მერე? მერე კი, დეპუტატო კრუს, ჩვენ დავიხოცებით და ჩვენმა შთამომავლობამ თავისი საქმე როგორც უნდა, ისე მოაწყოს.

Domine, non sum dignus. Domine, non sum dignus, დიახ, ადამიანს შეუძლია თავისი მწუხარებით ღმერთს მიმართოს, ადამიანს შეუძლია მიუტევოს ცოდვები, ვინაიდან

თვითონ სჩადის ცოდვას; მღვდელს აქვს უფლება ასეთი ადამიანი იყოს, ვინაიდან საკუთარი არარაობა საშუალებას აძლევს საკუთარი სხეულის ცოდვები გამოისყიდოს, ვიდრე მათ სხვებს მიუტევებდეს.

შენ ყოველგვარ ბრალდებას უარყოფ. შენ პასუხს არ აგებ მორალზე, რომელიც არ შეგიქმნია, რომელიც უკვე მზამზარეული დაგხვდება.

შენ გსურდა.

გსურდა.

გსურდა.

გსურდა.

ო, გსურდა ბედნიერად მოგჩვენებოდა მასწავლებელ სებასტიანთან გატარებული დღეები, რომელთა გახსენებასაც შენ მეტად აღარ მოისურვებ, დღეები, როდესაც

მუხლებზე უჯექი, იგებდი სრულიად მარტივ ამბებს, იმას, რაც უნდა იცოდე, რომ თავისუფალი ადამიანი იყო და არა მცნებათა მონა, რომლებიც უშენოდ დაიწერა. ო, შენ გსურდა, ბედნიერად მოგჩვენებოდა დღეები, როდესაც იგი გასწავლიდა სხვადასხვა ხელობას, გასწავლიდა პატიოსნად მოგეპოვებინა

ლუკმაპური, ის დღეები, ქურასა და გრდემლთან გატარებული, როცა დაღლილი მასწავლებელი სებასტიანი მოდიოდა და მხოლოდ შენ გიტარებდა გაკვეთილებს, რათა ცხოვრებისთვის გეჯობნა და სხვა, საკუთარი წესები შეგექმნა. შენ - მეამბოხე ხარ; შენ - თავისუფალი ხარ; შენ ახალი ადამიანი ხარ. არა, შენ ახლა არ მოისურვებ ამის გახსენებას. მან წარმართა შენი გზა და შენ რევოლუციას მიაშურე: მე არ შემიძლია ამ მოგონებას თავი დავაღწიო, მაგრამ შენ იგი ამიერიდან აღარ შეგაწუხებს.

შენ პასუხს არ აგებ იმაზე, რომ არსებობს სხვადასხვა მორალური პრინციპი, რასაც ცხოვრება თავს გვახვევს.

შენ უდანაშაულო ხარ.

შენ მოისურვებ, უდანაშაულო იყო.

შენ არ აგირჩევია, არა, ის ღამე შენ არ აგირჩევია.

პაესიც საკმეველში გაიბნა. ქალი აეფარა თავის საიდუმლო მდგმურს, რომელიც ცდილობდა ფეხებს შორის დაემალა ანაფორის კალთები და გუნდრუკის გასაფანტად ხელებს იქნევდა. მაგრამ მღვდელი მალე მიხვდა, რომ ყოველივე ამაო იყო - ქალის დაცვაც, ყოველგვარი თვალთმაქცობაც და ბედის მორჩილების ნიშნად თავი დახარა, თან თავს ირწმუნებდა, ჩემს მოვალეობას ვასრულებ, მორჩილების წმინდა მოვალეობასო - ამას ვაკეთებ საკუთარი თავისთვის და არა ამ ორი ადამიანისთვის, ერთმანეთს რომ შესცქერიან და ზედაც არ მიყურებენო. მღვდელს უნდოდა, გულში ნატრულობდა, შემოსულმა შემხედოს, მიცნოსო, მაგრამ სახლის პატრონი ქალს თვალს არ აშორებდა. ქალიც ქმარს შეჰყურებდა, თუმცა თითქმის მღვდელს აჰკვროდა, მის დამალვას ცდილობდა, მღვდელს მუცელი აუწრიალდა, თვალები და პირი გაუშრა, მიხვდა, რომ ვერ დაფარავდა შიშს, როცა გადამწყვეტი წუთი დადგებოდა - მომდევნო წუთი, ვინაიდან სხვა უკვე აღარ იქნებოდა. ეს წუთიღა დამრჩა ბედისწერასთან პირისპირ შეხვედრამდეო, - ფიქრობდა მღვდელი, - ასეთი წუთი კი ყველაფერს წყვეტსო. ეს მწვანეთვალება კაციც ევედრება, ევედრება ქალს, რომ სთხოვოს, გაბედოს და სთხოვოს, გარისკოს ბედის გამოცდა - ჰო თუ არა? მაგრამ ქალს ბაგეები არ გაუხსნია, ვერ შეძლო, რაიმე ეპასუხა. უეცრად მღვდელს გაახსენდა, რომ ოდესღაც, როცა ქალმა სამუდამოდ თქვა უარი შესაძლებლობაზე, ეპასუხა ან ეთხოვა რაიმე, მისი სიცოცხლეც გაწირა, ღვთისმსახურის სიცოცხლე. სანთლის შუქზე კანის ცოცხალი ელვარება იბინდებოდა, ჩრდილები თითქოს მკვდრისფერ სახეებს დასთამაშებდა. მღვდელი უცდიდა - იქნებ სთხოვოსო: ქალს კოცნის სურვილით აუთრთოლდა ტუჩები. ამოიოხრა - არა, იგი არაფერს სთხოვს ქმარს და მას მხოლოდ ეს წუთიღა რჩება, მწვანეთვალება კაცის წინაშე მორჩილების წუთი, ვინაიდან ხვალ გაუძნელდება, შეუძლებელიც გახდება მორჩილება, მორჩილება თავის სახელს დაკარგავს და ხორცად იქცევა, ხორცი კი ღვთის სიტყვას ვერ შეისმენს.

შუადღემდე ეძინა. არღნის ხმამ გამოაღვიძა, მაგრამ ჰანგი ვერ დაიჭირა, წუხანდელი სიჩუმე ისევ ყურში ედგა და დილის ხმაურს გზას უღობავდა, მუსიკას ახშობდა. მაგრამ ცნობიერების ეს ყრუ ჩავარდნა სულ რაღაც ერთ წამში შეივსო გამოღებული ფანჯრიდან შემოსული ნელი და ნაღვლიანი ჰანგით. ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილი აიღო და ნაცნობი მსტვინავი სიცილი რომ გაიგონა, თქვა:

- გისმენთ.

- სენიორ დეპუტატო, უკვე პოლიციის სამმართველოში მივიყვანეთ.

- უკვე?

- სენიორ პრეზიდენტს მოახსენეს.

- ესე იგი...

- თავად მოგეხსენებათ. კიდევ ერთი მტკიცებაა საჭირო - ვიზიტი. ლაპარაკი არ არის საჭირო.

- რომელ საათზე?

- ორისთვის მოდით.

- შევხვდებით.

ქალმა კარს მიღმა მისი სიტყვები გაიგონა და ატირდა, მაგრამ მოკლე საუბარი დამთავრდა. ქალმა თვალები ამოიწმინდა და სარკეს მიუჯდა.

მან გაზეთი იყიდა და საჭესთან მჯდარმა ჰაიჰარად გადაათვალიერა. თვალში საცემი სათაურები იუწყებოდა, რომ დახვრეტდნენ მათ, ვინც პრეზიდენტობის კანდიდატის, კაუდილიოს სიცოცხლის ხელყოფა განიზრახა. გაიხსენა, როგორი იყო კაუდილიო ამ დიადი მოვლენების, ვილიას წინააღმდეგ ლაშქრობისას პრეზიდენტის სასახლეში, როდესაც ყველა პადრე პროს[47] ერთგულებას იფიცებოდა და გაზეთში მოთავსებულ ფოტოსურათს დახედა; მისი ყოფილი მფარველი ტყვიით თავგახვრეტილი, ხელებგაშლილი იწვა. ქუჩებში ახალი ლიმუზინების კაპოტები ბრჭყვიალებდნენ. წამისწამ ელავდნენ ქალების მოკლე ქვედაკაბები და მაღალი შლაპები, ფრანტების განიერი შარვლები, შადრევნებთან ტროტუარებზე ჩამომსხდარი მწმენდავების ყუთები. მაგრამ მისი გამოცივებული, უძრავი თვალების წინ კი არ მიქროდნენ, არამედ ერთადერთი სიტყვა, თითქოს იგი ყველას ენაზე ადგა, იგრძნობოდა ფეხით მოსიარულეთა სწრაფ გამოხედვაში, მათ თავის დაქნევაში, ჩაცინებაში; იგი იკითხებოდა უხეშ მოძრაობებში, დაეჭვებით აჩეჩილ მხრებში, ზიზღით გაშვერილ თითებში. უცბად ბოროტი მხიარულება დაეუფლა, საჭისკენ გადაიხარა და მანქანა სწრაფად გააქროლა. ჩაუქროლა ყველა იმ სახლს, ჟესტს, შიშის მომგვრელებს. დიახ, მისი საათის ქანქარა გაჩერდა, მაგრამ ახლა ისევ დაიწყებს მოძრაობას. ყოველი წუთი ძვირფასია. მან დღეს უნდა გააკეთოს ეს, თორემ იმან, ვისაც გუშინ არაფრად აგდებდა, შესაძლოა ხვალ დაჯაბნოს კიდეც. მზემ საქარე მინას დააცხუნა და ხელით თვალები მოიჩრდილა: ჰო, აქამდე არ უჭირდა სწორი არჩევანის გაკეთება - მიმხრობოდა მამალ მგელს, ამომავალ კაუდილიოს და მიეტოვებინა ის, ვინც თავისი დრო მოჭამა.

ესეც ცენტრალური მოედანი - სოკალო. ეროვნული სასახლის ყოველი თაღის ქვეშ გუშაგი დგას. დღის ორი საათია. ბრინჯაოს ბოხი ხმით გადაიგუგუნეს ტაძრის ზარებმა. სასახლის შესასვლელთან გუშაგს დეპუტატობის მოწმობა წარუდგინა. მთიანეთის ზამთრის გამჭვირვალე ჰაერი ძველი მეხიკოსა და მისი ურიცხვი ტაძრის მახვილ კონტურებს არბილებდა. დაბლა, არგენტინისა და გვატემალის ქუჩებით, ჯგუფ-ჯგუფად ეშვებოდნენ სტუდენტები, რომელთაც გამოცდა ჩააბარეს. მანქანა პატიოში დააყენა. ლიფტით ავიდა, ვარდისფერი სეიბის პარკეტზე, გაჩახჩახებული ჭაღების ქვეშ სალონების წყება გაიარა და მისაღებში ადგილი დაიკავა. ირგვლივ მოწიწებით წარმოთქმული მხოლოდ ორი სიტყვა მოისმინა:

- სენიორ პრეზიდენტი.

- სონიორ პროზოდონტი.

- სანიარ პრაზადანტი.

- დეპუტატი კრუსი? გთხოვთ.

ზორზოხამ ხელები გაუწოდა და ორივემ ერთმანეთს მხრებზე მოუთათუნეს ხელები. ზორზოხა, როგორც ყოველთვის, სიცილით იჭაჭებოდა, საჩვენებელ თითს საფეთქელზე იმიზნებდა და ისევ უხმო ხარხარით ბჟირდებოდა. მუცელი და ხორბლისფერი ლოყები უთახთახებდა. შემდეგ, როგორც იქნა, მუნდირის საყელო შეიკრა და ჰკითხა, გაზეთი თუ წაიკითხეო. კრუსმა უპასუხა, რომ წაიკითხა, საქმის ვითარებასაც მიხვდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ახლა მხოლოდ იმისთვის მოვიდა, რათა სენიორ პრეზიდენტს თავისი ერთგულება გამოუცხადოს, თავისი უსაზღვრო ერთგულება, თავისი უსაზღვრო ერთგულება. ზორზოხამ ჰკითხა, რაიმე ხომ არ გსურსო. კრუსმა ქალაქგარეთ მდებარე რამდენიმე უშენი ადგილი უხსენა, ახლა იაფი ღირდა, მაგრამ დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდებოდა ნაწილ-ნაწილ გაყიდვა. პოლიციის შეფი დაჰპირდა, მაგ საქმეს მოგიგვარებო, ახლა ხომ ისინი მოყვრები იყვნენ, ძმაკაცები, აი, სენიორ დეპუტატი კი იბრძოდა, - ოჰო-ჰო, რას იბრძოდა! - ცამეტი წლიდან და სრული უფლება აქვს თავის ნებაზე იცხოვროს, პოლიტიკის ცვალებადობის არ ეშინოდეს. ზორზოხამ ისევ მოუთათუნა მხარზე ხელი, მეგობრობის ნიშნად გვერდებსა და ბეჭებზეც შემოჰკრა.

ოქროსსახელურებიანი კარი გაიღო და კაბინეტიდან გამოვიდნენ გენერალი ხიმენესი, პოლკოვნიკი გავილანი და დანარჩენი ძმაკაცობა, გუშინ საღამოს დონია სატურნოსთან რომ იყვნენ. თავჩაღუნულებმა ჩაუარეს გვერდი, მისთვის არ შეუხედავთ. ზორზოხამ ისევ გაიცინა და უთხრა, ბევრი შენი მეგობარი მოვიდა, რათა სენიორ პრეზიდენტს ერთგულება გამოუცხადოს ამ საყოველთაო შეკავშირების წუთებშიო და ხელის მოძრაობით ოთახში შეიწვია.

კაბინეტის სიღრმეში, მწვანე აბაჟურის გვერდით, წვრილი, გამსჭვალავი თვალები დაინახა, ჩასაფრებული ვეფხვის თვალები, კრუსმა თავი დახარა და წარმოთქვა:

- მიმსახურეთ, ბატონო პრეზიდენტო... მოხარული ვიქნები რწმენითა და სიმართლით გემსახუროთ, სენიორ პრეზიდენტო, გეფიცებით...

* * *

1927 წლის 23 ნოემბერი

ის თავისი მწვანე თვალებით ფანჯარას მიაშტერდა. მეორე კაცმა ჰკითხა, რაიმეს თქმა ხომ არა გსურსო. იგი დუმდა, მწვანე თვალებს ფანჯარას არ აშორებდა. მაშინ მეორე კაცმა, მშვიდად რომ ეჭირა თავი, ქამრიდან ერთბაშად ამოიგლიჯა

რევოლვერი და მაგიდაზე დააგდო. მან გაიგონა, როგორ გაწკარუნდა ჭიქები და ბოთლები და ხელი გამოსწია. მაგრამ მეორემ გაიღიმა და იარაღს ხელი სტაცა. იმის განსაზღვრაც ვერ მოასწრო, რა განაცდევინა ამ მკვეთრმა მოძრაობამ, მაგიდაზე დარტყმამ და ცისფერი ჭიქებისა და თეთრი ბოთლების წკარუნმა. მეორემ გაიღიმა - მოსახვევში ქროლით მომავალი ავტომანქანის შუქი, რომელსაც უკან სტვენა და უშვერი გინება მოსდევდა, მელოტ თავს დაეცა - გაიღიმა, რევოლვერის დოლი გამოსწია, აჩვენა, შიგ მარტო ორი ტყვია�ო, ჩახმახი შეაყენა და ლულა საფეთქელზე მიიდო. კაცმა მზერა გადაიტანა, მაგრამ ამ პაწია ოთახში თვალს ვერაფერზე შეაჩერებდა: შიშველი ლურჯი კედლები, ტუფის გლუვი იატაკი, მაგიდები, ორი სკამი და ისინი, ორი კაცი. მეორე უცდიდა,

სანამ მწვანე თვალები ოთახს მოათვალიერებდა და, ალბათ, საფეთქელთან მიტანილ რევოლვერიან ხელს დაუბრუნდებოდა. ზორზოხა მელოტი იღიმებოდა, მაგრამ ოფლში ცურავდა. ისიც ოფლში ცურავდა. ისმოდა, მისი ჟილეტის მარჯვენა ჯიბეში როგორ წიკწიკებდა საათი, თითქოს გული უფრო ხმამაღლა სცემდა, გასროლას კი, რომლის გრიალი ყურებში ედგა, ჯერ სიჩუმე არ დაურღვევია. ზორზოხა კაცი იცდიდა. იგი ხედავდა, როგორ აცდიდა. ბოლოს მსუქანმა თითმა ჩახმახს მოსწია... მოკლე, ცივი ხმა იქვე სიჩუმეში დაინთქა. ფანჯრებს მიღმა ისეთივე უმთვარო ღამე იდგა. რევოლვერი ჯერ ისევ საფეთქელთან ჰქონდა და ზორზოხამ კვლავ გაიღიმა, მთელი ხმით ახარხარდა, ფაშფაშა სხეული ფლანივით[44] აუთანთალდა, თუმცა კი უძრავი ჩანდა. ასე იდგნენ რამდენიმე წამს. არც თვითონ გარხეულა და თითქოს საკმევლის სუნი სცემდა, რომელიც მთელი დილა ვერ მოიცილა და თვალებზე გადაკრულ ამ მოჩვენებით ბინდში ძლივძლივობით არჩევდა იმ კაცის ნაკვთებს, სიცილით რომ იხრჩობოდა. ზორზოხა ისევ იცინოდა, თან რევოლვერი მაგიდაზე დაუშვა და კოტიტა ყვითელი თითებით მისკენ გააჩოჩა. მარჩიელობა არ დაუწყია, - ზორზოხას რა უბინდავდა თვალებს, ბედნიერება თუ ცრემლი? გახსენებისას გული უწვრილდებოდა. თუმცა არა, ჯერ ამას მოგონება არ ერქვა - ფაშფაშა სხეული, საფეთქელთან მიტანილი

რევოლვერი. შიშისგან - თუმცა უკვე დათრგუნა შიში - სისხლი ეყინებოდა, ყელი ეკეტებოდა: ვინმემ რომ მოუსწროს ამ პატარა ოთახში მოკლულ ზორზოხასთან ერთად, ეს ხომ მის საწინააღმდეგოდ ნაღდი სამხილი იქნება - მისი აღსასრული დადგება. მან უკვე იცნო საკუთარი რევოლვერი, შინ, კარადაში რომ ინახავდა ხოლმე. მხოლოდ ახლა დაინახა თავისი იარაღი, რომელიც ზორზოხამ ცხვირსახოცშემოხვეული კოტიტა თითებით მიუჩოჩა. შეიძლებოდა ცხვირსახოცი გაშლილიყო, თუ... თუმცა იქნებ ცხვირსახოცი არც ჩამოვარდნილიყო ხელიდან, მაშინ აშკარა იქნებოდა თვითმკვლელობა. მაგრამ ვისთვის იქნებოდა აშკარა? პოლიციის შეფი მკვდარი იპოვეს პატარა ოთახში თავის მტერთან, დეპუტატ კრუსთან მარტომყოფი. რომელმა რომელი შეიტყუა იქ?

ზორზოხამ ქამარი მოიშილიფა და სულმოუთქმელად დაცალა ჭიქა. ოფლი მუქ ლაქებად დააჩნდა იღლიებქვეშ, წანწკარით ჩამოსდიოდა კისერზე. კოტიტა თითები დაჟინებით უჩოჩებდნენ რევოლვერს. აბა, ახლა რაღას იტყვის? პოლიციის შეფმა ხომ დაუმტკიცა, ახლა თვითონ აღარ უნდა დაიხიოს, ასე არ არის? ჰოდა, ჰკითხა, მაინც რა დაამტკიცა პოლიციის შეფმაო, პასუხი ასეთი იყო; ის, რომ სერიოზული თამაშია, რომ

საქმე სიცოცხლედ ღირს, რომ კმარა სისულელეები. მორჩა და გათავდა, თუ ამან არ დაარწმუნა, მაშინ პოლიციის შეფმა აღარ იცის, კიდევ რითი შეიძლება მისი დარწმუნება. შენ დაგიმტკიცეთო, ამბობდა ზორზოხა, რომ ჩვენთან უნდა იყო. განა შენი ბანდის რომელიმე წევრი საკუთარი სიცოცხლის ფასად დაგიმტკიცებს შენს მხარეზე დარჩენის აუცილებლობას? ზორზოხამ სიგარეტს მოუკიდა და კოლოფი მას გაუწოდა. მან თავისი აიღო და ანთებული ასანთი ზორზოხას ყავისფერ სახეს მიუახლოვა, მაგრამ ზორზოხამ სული შეუბერა და ჩააქრო. მან იგრძნო, რომ უკან დასახევი გზა აღარ იყო. რევოლვერი აიღო და სიგარეტი ფრთხილად ჭიქაზე ჩამოდო - მერყევი წონასწორობა - ვერ ამჩნევდა, რომ ფერფლი ტეკილაში ცვიოდა და იძირებოდა. ლულა საფეთქელზე მიიბჯინა, მაგრამ არაფერი უგრძნია, თუმცა იცოდა, ლულა ცივი უნდა ყოფილიყო. უეცრად გაიფიქრა, 38 წლისა ვარო, მაგრამ ეს ვიღას აინტერესებს, ყველაზე ნაკლებად ამ ზორზოხას, ხოლო უფრო ნაკლებად თვითონ მეო.

ამ დილით თავისი საძინებლის დიდი, ოვალური სარკის წინ გამოეწყო. საკმევლის ტკბილმა სუნმა იქაც კი შეაღწია და სახე შეჭმუხნა. ბაღიდანაც შემოდიოდა სურნელება - ყვაოდა წაბლი. გაზაფხულის მშრალ და სუფთა მიწას დამათრობელი სურნელი

ეფინებოდა, სარკეში ხედავდა წარმოსადეგი, ძლიერხელებიანი მამაკაცის გამოსახულებას, რომელსაც დაკუნთული მუცელი ჰქონდა, ზედ ჭიპთან უმთავრდებოდა შავი ბალანი. ღაწვებზე, კეხიან ცხვირზე მოისვა ხელი და კვლავ დაიმანჭა საკმევლის სუნისგან. სუფთა პერანგი აიღო და ვერ შენიშნა, რომ კარადაში უკვე აღარ იყო რევოლვერი. ჩაიცვა და საძინებლის კარი გამოაღო. „არ მცალია, დრო არა მაქვს. გეუბნები, დრო არა მაქვს-მეთქი“.

ბაღს მრავალნაირი ყვავილნარი ამშვენებდა, ჰერალდიკური შროშანები, ვარდები, ბუჩქნარები. ცოცხალი მწვანე ღობე ეკრა ფლორენციული სტილით ნაგებ ერთსართულიან მოწითალო სახლს, რომელსაც მოხდენილი სვეტები და კარიბჭეების თავზე თაბაშირის ფრიზები ამკობდა. სალონებში, რომლებიც ამ დილით გამოიარა, დილის სუსტი სინათლე დასთამაშებდა ულამაზეს ჭაღებს, მარმარილოს ქანდაკებებს, ხავერდის ფარდებს, მაღალზურგიან სტავრის სავარძლებს, ვიტრინებს, ოქროცურვილ ტახტებს. ერთ-ერთ სალონში გვერდითა კართან შეჩერდა, ბრინჯაოს სახელურს ხელი მოჰკიდა, მაგრამ არ გაუღია, არ შესულა.

„ეს ყველაფერი საცხოვრებლად საფრანგეთში გადასული მეგობრებისგან შევიძინეთ. გროშები გადავიხადეთ, მაგრამ რესტავრაცია ძვირი დაგვიჯდა. ქმარს ვუთხარი: ეს საქმე მე მომანდე, მე ვიცი, როგორც...“

ზორზოხა მსუბუქად და სწრაფად წამოხტა სკამიდან და რევოლვერიანი ხელი გადაუწია: სროლის ხმა არავის გაუგია - გვიან იყო და ისინიც სულ მარტონი იყვნენ. ჰო, ალბათ, იმიტომ ვერავინ გაიგონა სროლის ხმა - გრიალი ოთახის ლურჯ კედლებს შერჩა. შეფმა გაიცინა და თქვა: „გვეყოფა სათამაშოებით გართობა, სახიფათო სათამაშოებით თამაში, ყველაფერი ხომ შეიძლება სულ იოლად გადაწყდეს“. „სულ იოლად“, - გაიფიქრა მან. დროა, ყველაფერი იოლად გადავწყვიტო. ბოლოს და ბოლოს საჭიროა მშვიდი ცხოვრება.

- რა ჯანდაბად არ მასვენებ, ჰა?

- ეს არ არის ძნელი საქმე, ძვირფასო ძმობილო, მაგრამ შენზეა დამოკიდებული.

- რა მოხდა, რა ამბავია?

ფეხით კი არ მოსულა აქ - მანქანით მოიყვანეს. თუმცა მანქანამ მხოლოდ ქალაქის ცენტრი გამოიარა, მძღოლმა მაინც გვარიანად დაარყია. ხან მარცხნივ უხვევდა, ხან მარჯვნივ, სწორკუთხა ესპანური დაგეგმარება ლაბირინთად აქცია. ყველაფერი შეუმჩნევლად მოხდა, ზორზოხას მოკლე, სლიპინა ხელმა სიცილით გამოსტაცა რევოლვერი და ისევ დაჯდა. თვალებს აკვესებდა, ერთიანად გაოფლილი.

- მალე ჩვენსას მივაღწევთ. გაიგე? მამალ მგლებთან იმეგობრე, მათ მიეხმარე და ვერავინ შეგჭამს. მოდი, დავლიოთ.

ჭიქები მიაჭახუნეს და ზორზოხამ თქვა, ქვეყანა თავკაცებად და ყეყეჩებად არის გაყოფილი და დროა, ავირჩიოთო. მერე ისიც დასძინა, დასანანი იქნებოდა, დეპუტატს, - ესე იგი, მას - სწორი არჩევანი დროულად რომ ვერ გაეკეთებინა. კაცმა რომ თქვას, ყველა მისი მეგობარი ხომ გულადი, კარგი ადამიანია, თან ყველას ეძლევა არჩევანის საშუალება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყველა არ აღმოჩნდება დეპუტატივით საზრიანი. ზოგიერთმა თავი დაირწმუნა, ეშმაკიც ვერ მომერევაო და იარაღს სტაცა ხელი. მერე რა ადვილია სკამიდან სკამზე გადაჯდომა, თუ არ გინდა უსიამოვნებას

გადაეყარო და მშრალზე დარჩე. თვითონაც სულ ახლა იცვალა კანი. როგორ იცხოვრა ბოლო თხუთმეტი წელი? ჰა? მას აჯადოებდა გველივით შიშინა ხმა, პაპიროსით გაბოლილი და დასპირტული ყანყრატოდან რომ ამოდიოდა, - ან იქნებ ასე არ არის?

ზორზოხა დაკვირვებით შესცქეროდა, თვითონ კი ხმას არ იღებდა, გაუაზრებლად უსვამდა ხელს ქამრის ვერცხლის ბალთას, ლითონის სითბომ თუ სიცივემ რევოლვერი გაახსენა და თითები მოაცილა, მეტად აღარ უნდოდა იარაღის ხელში აღება.

- ხვალ მღვდლებს დახვრეტენ. მეგობრულად გეუბნები ამას. დარწმუნებული ვარ, მაგ არამზადების მხარეზე არა ხარ... - გახრიგინდა გაწეული სკამები. შეფი ფანჯარასთან მივიდა და მინებზე თითები ააკაკუნა. პირობითი ნიშანი მისცა და კრუსს ხელი გაუწოდა.

სახლიდან გამოვიდა და აქოთებულ შესახვევს გაუყვა. სიბნელეში ნაგვის ურნა გადააყირავა - ფორთოხლის დამპალი კანისა და სველი გაზეთის სუნი ეცა. ზორზოხა ისევ კართან იდგა, ხელით თავის თეთრ შლაპას შეეხო, მერე კი ხელით ანიშნა, 16 სექტემბრის ქუჩა მარცხნივ არისო...

-... აბა, რას იტყვი?

- ვფიქრობ, მათ მხარეს გადასვლაა საჭირო.

- მე წინააღმდეგი ვარ.

- შენ?

- მოვუსმენ, ვიფიქრებ.

- სხვა არავინ გვისმენს?

- დონია სატურნო ჩვენი კაცია, მაგას სახლი კი არა, აკლდამა აქვს...

- სწორედ რომ აკლდამა და არა ბუნაგი...

- ჩვენ მაგან გამოგვაჩინა და ხალხში გამოგვიყვანა, ეტყობა, მაგასვე მიგვაყოლებენ.

- მაგის საქმე გათავებულია. ყელში წაუჭირეს.

- რას გვთავაზობ?

- მე მგონია, თითოეული უნდა მივიდეთ და დანაშაული ვაღიაროთ.

- უმალ ყურები დამაჭრან. ვინა გგონივართ?

- არ მესმის, რას ამბობ.

- არსებობს სინდის-ნამუსი.

- ამ დროს არც ისეთი საჭირო, არა?

- სწორედ რომ. ვისაც არ მოსწონს...

- არა, არა, არაფერი მითქვამს.

- მაშინ რას იტყვი, ჰო თუ არა?

- მე ვამბობ, ერთად უნდა გამოვიდეთ, აშკარად, ან ამის, ან იმის მხარეზე...

- ჩემო გენერალო, დროა, გამოვფხიზლდეთ, მამალმა უკვე იყივლა...

- რა ვქნათ?

- რა ვიცი... ვისაც როგორ უნდა, ყველამ თვითონ იცის.

- ვინ იცის?

- მე კი ვიცი.

- შენ ნამდვილად გჯერა, რომ ჩვენი კაუდილიოს[45] საქმე წასულია?

- ასე მგონია, ასე მგონია...

- რაო?

- არა, არაფერი. უბრალოდ მგონია...

- შენ რას ფიქრობ?

- მეც ასევე... თანდათან ასე მეჩვენება.

- მაგრამ თუ მძიმე წუთები დაგვიდგება, ყველამ უნდა დაივიწყოს, რაზე ვლაყბობდით აქ!

- მოსაგონებელი, იცოცხლე კია.

- მე ამ ეჭვებზე მოგახსენებთ.

- სულელური ეჭვებია, სენიორებო.

- ნეტავი ერთი გაჩუმდებოდე. წადი, დასალევი მოგვიტანე.

- დიახ, სენიორ, სულელური ეჭვებია.

- ესე იგი, ყველამ ერთად რომ გადავწყვიტოთ, არ ვარგა?

- ყველამ ერთად - არა. ყველამ თავისი გზით, რომ ბოლოს მშრალზე არ დავრჩეთ.

- ამის შემდეგ კი.

- სწორედ რომ აგრეა, ჩვენც ამას მოგახსენებთ.

- გენერალო ხიმენეს, ივახშმებთ?

- ყველაფერს მოეძებნება ანდაზა.

- მაგრამ თუ ვინმე ენას წაუშვებს...

- ძმობილო, ვინ გგონივართ? თუ ჩვენ აქ ძმობა არა გვაქვს?

- მართლაც. მერე ვინმე მშობელ დედას გაიხსენებს და ეჭვი გულს დაუღრღნის...

- სულელური ეჭვი, როგორც დონია სატურნო ამბობს...

- ყველაზე უფრო სულელური, ჩემო პოლკოვნიკო გავილან.

- ჰოდა, თავში ათასგვარი აზრი აფუთფუთდება.

- არა, ყველა ცალ-ცალკე გადაწყვეტს და საქმეც გათავდება.

- ამგვარად, ყველა თავის ტყავს გადაარჩენს.

- ოღონდ, სენიორ დეპუტატო, ღირსება არ უნდა დავკარგოთ.

- ასე...

- აქ არაფერი თქმულა.

- არაფერი, სრულიად არაფერი.

- ვიცოდეთ მაინც - ჩვენს მთავარს მართლა გააპანღურებენ თუ არა?

- რომელს? ახლანდელს თუ წინანდელს?

- წინანდელს, წინანდელს...

„Chicago, Chicago, that toddlin' town..."[46]

დონია სატურნომ გრამოფონი გააჩერა და ტაში შემოჰკრა:

- გოგონებო, გოგონებო, რიგი დაიცავით.

მოღიმარმა კრუსმა ჭილის ქუდი დაიხურა, ფარდა გადასწია და დაბინდულ სარკეში ქალებს მოჰკრა თვალი: შავგვრემანები, შეღებილ-შეპუდრულები, თვალებშეღებილები იყვნენ, ლოყებზე, მკერდსა და ტუჩებთან შავ-შავი ხალები დაესვათ. ყველას მოკლე

ქვედაკაბა და ატლასის ან ტყავის ფეხსაცმელი ეცვა. აი, ასევე შეპუდრული და გამოწყობილი მათი ცერბერის ხელიც.

- სენიორ, ჩემი საჩუქარი?

ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა, როცა ამ საროსკიპოს წინ ბაღში იდგა, მარჯვენა ხელს მუცელზე ისვამდა და ახალდაცვარული ნაყოფებისა და ბინძური გუბურის სურნელს ისუნთქავდა. დიახ, გენერალი ხიმენესი თავის ლურჯ სათვალეს მოიხსნის და გამომშრალ ქუთუთოებს დაიზელს, თეთრი ქერტლი წვერს მოუფიფქავს. შემდეგ მოითხოვს, ჩექმები გამხადეთ, ესაო და, ძალიან დაღლილი ვარო. მერე ყველას სიცილი აუტყდება, როცა გენერალი კაბას აუწევს ფეხებთან დახრილ ქალიშვილს და ყველას აჩვენებს ლურჯ აბრეშუმში გამოტკეცილ მის უკანალს. მაგრამ აქ მყოფთ სხვა, უფრო საოცარი სანახაობა მიიზიდავს, - გენერლის თვალები, მუდამ სათვალის მიღმა მიმალული, რომელიც ახლა გაშიშვლდება: დიდი, სლიპინა ლოკოკინები. უკლებლივ ყველა - ძმები თუ მეგობრები - ხელებს გაშლის და დონია

სატურნოს პანსიონატის ყმაწვილქალებს აიძულებს, პიჯაკები გახადონ. გოგონები ფუტკრებივით შემოეხვევიან

სამხედრო მუნდირებს - თითქოს არც ერთმა არ იცოდა, რა იმალებოდა კიტელის ქვეშ, არწივის, გველისა თუ ოქროსთავთავებიანი ღილების ქვეშ. იგი შესცქეროდა პარკებიდან ახალგამოფრენილ ნამიან პეპლებს, ხორბლისფერ ხელებში საპუდრეები რომ ეჭირათ და ძმებსა თუ მეგობრებს თავს დაჰფარფატებდნენ. ისინიც საწოლზე გაშხვართულიყვნენ, პერანგები კონიაკით ჩამოესველებინათ და შუბლი ოფლით დასცვაროდათ. კედელს მიღმა ჩარლსტონის ხმა ისმოდა. გოგონები კი ნელ-ნელა ხდიდნენ სტუმრებს, სხეულის ყოველ გაშიშვლებულ ნაწილს უკოცნიდნენ და მათ ჩქმეტაზე წიოკობდნენ.

კრუსმა თეთრად დაწინწკლულ ფრჩხილებზე დაიხედა, ცერა თითის თეთრ ფოსოზე, თითქოსდა მის მატყუარობაზე რომ მეტყველებდა. შორიახლოს ძაღლმა დაიყეფა. მერე ქურთუკის საყელო აიწია და შინისკენ გასწია, თუმცა ერჩივნა, უკან დაბრუნებულიყო და შეპუდრულ ქალთან ჩახუტებულს დაეძინა, გაექარვებინა სულის მომწამლავი სიმწარე, სიმწარე, რომელიც აიძულებდა, თვალებგახელილი წოლილიყო, ეცქირა აივნებით შემორკალული დაბალი, ნაცრისფერი სახლებისათვის, ფაიფურისა და მინის საყვავილე ქოთნებით რომ იყო დამშვენებული, ეცქირა, ქუჩას გაყოლებული ხმელი,

დამტვერილი პალმებისათვის, უფიქრელად შეესუნთქა სიმინდის ჩამპალი ტაროების მომწარო-მჟავე სუნი.

ჩხვლეტია ლოყაზე ხელი ჩამოისვა. აჩხრიალებულ ასხმაში საჭირო გასაღები ამოარჩია. ცოლი, ალბათ, ქვემოთ არის. იგი მუდამ უხმაუროდ დაგოგმანებს ნოხით მოფენილ კიბეზე და შეკრთება ხოლმე მის დანახვაზე: „ოჰ, როგორ შემაშინე. არ გელოდი, ასე ადრე არ გელოდი; მართლაც არ გელოდი ასე ადრე...“ - კრუსიც თავის თავს ეკითხებოდა, ნეტავ როგორ ახერხებს ამას? ჯერ თანამზრახველის როლს თამაშობს, რათა შემდეგ უნამუსობაში ამხილოს. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები და შეხვედრები იყო. ურთიერთლტოლვას, რაც მანამდე ქრებოდა, ვიდრე შეიძლებოდა მთლიანად შეეგრძნოთ, და შეხლა-შემოხლას, ხანდახან რომ ერთმანეთისკენ ეწეოდა, ჯერ თავისი სახელი არ ერქვა - არც აღმოცენებამდე, არც შემდეგ - ვინაიდან მათ შორის განსხვავება არ იყო. ერთხელ სიბნელეში ზევით რომ ადიოდა, მისი თითები კიბის მოაჯირზე ცოლის თითებს შეეხო; ცოლმა ხელი მოუჭირა, მან კი წამსვე შუქი აანთო, ქალს ფეხი რომ არ დასცდენოდა. არ იცოდა, დაბლა თუ ჩამოდიოდა, მაგრამ ქალის სახე არ გამოხატავდა იმას, რასაც ხელის მოძრაობა მეტყველებდა. ქალმა ისევ ჩააქრო შუქი.

ქმარს შეეძლო ამისთვის გარყვნილება ეწოდებინა, მაგრამ ეს სახელწოდება ზუსტი არ იქნებოდა, ვინაიდან მათ ჩვევად ექცათ ასეთი დამოკიდებულება. ჩვევა კი არ შეიძლება გარყვნილება იყოს, რადგან სიახლისა და

მოულოდნელობის შეგრძნება დაკარგული აქვს. იგი იცნობდა აბრეშუმსა და ტილოს ზეწრებში გახვეულ ფაფუკ ქალს. იცნობდა შეხებით, ვინაიდან ასეთ წუთებში საძინებელში შუქი არასოდეს ინთებოდა. შუქი მხოლოდ მაშინ, კიბეზე აინთო, როცა ქალი არ მიტრიალდა, სახის გამომეტყველებაც კი არ შეუცვლია. ეს ერთხელ მოხდა, რისი გახსენება არც კი ღირდა, და მაინც კვლავ გამეორების ტკბილ-მწარე სურვილი სადღაც გულის კოვზთან ერთთავად ღრღნიდა. ასე ფიქრობდა იგი, როდესაც ამ დილით ეს შეხვედრა განმეორდა. ისევ ის ხელი შეეხო მის ხელს, ამჯერად ძირს, სარდაფში ჩამომავალი კიბის მოაჯირზე. სინათლე არ ანთებულა, ქალმა მხოლოდ ჰკითხა: „აქ რა გინდა? - მაშინვე გონს მოეგო და ჩვეულებრივად გაიმეორა, - ოჰ, როგორ შემაშინე! არ გელოდი, ასე ადრე მართლა არ გელოდი“, - სულ ჩვეულებრივი ხმით, დაცინვის გარეშე, მან კი შეისუნთქა საკმევლის ეს თითქმის ხელშესახები სურნელი, მოლაპარაკე, დამცინავი სურნელი.

მან სარდაფის კარი გააღო, მაგრამ შესვლისთანავე არავინ დაუნახავს, თითქოს მამა

* * *

მე ზეთის სუნისგან ვიჭმუხნები, რომელსაც მისვამენ ქუთუთოებზე, ცხვირზე, ტუჩებზე, გაყინულ ფეხებზე, ჩალურჯებულ ხელებზე, გვერდებზე. ვთხოვ, ფანჯარა გამოაღონ: სუნთქვა მინდა. ხმაურით ვუშვებ ჰაერს ცხვირიდან - ჯანდაბას მაგათი თავი - და ხელებს მუცელზე ვიწყობ. სელის ზეწარი სასიამოვნოდ გრილია. აი, ეს მართლაც მნიშვნელოვანია. არაფერი ამათ არ გაეგებათ - არც კატალინას, არც მღვდელს, არც ტერესას, არც ხერარდოს.

- თავი დამანებეთ.

- რა იცის მაგ ექიმმა? მამაჩემს მე უკეთ ვიცნობ, ეს მაგის ახალი ოინია.

- გაჩუმდი.

- ტერესიტა, მამას ნუ ეწინააღმდეგები... მე მინდოდა მეთქვა, დედას... ნუთუ ვერ ხედავ...

- დიახ, დიახ, ჩვენ ცარიელზე ვრჩებით - შენი მიზეზითაც, მარტო მაგისი კი არა, შენი მშიშრობისა და სისულელის წყალობით და მაგისი, მაგისი.

- კარგი, გეყოფა, გაჩერდი.

- საღამო მშვიდობისა...

- შემოდით...

- გეყოფა, ღვთის გულისათვის.

- განაგრძეთ, განაგრძეთ.

- რაზე ვფიქრობდი ახლა? რას ვიგონებდი?

- ...ღატაკებივით. რატომ ამუშავებს ხერარდოს?

არაფერი ამათ არ გაეგებათ - არც კატალინას, არც მღვდელს, არც ტერესას, არც ხერარდოს. რა მნიშვნელობა ექნება გაზეთებში დაბეჭდილ ბრტყელ-ბრტყელ ნეკროლოგებსა და პანეგირიკებს? ვის ეყოფა გამბედაობა თქვას, როგორც ახლა მე ვამბობ, რომ ერთადერთი, რაც მუდამ მიყვარდა, ნივთები იყო? ნივთების ფიზიკური ფლობა. აი, რა მიყვარს მე. ზეწარი, რომელსაც ვეფერები და ყველაფერი, რაც ახლა ჩემ თვალწინაა. მომწვანო-შავი ზოლებიანი მარმარილოს იატაკი, ბოთლები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მზის არომატს ინახავდნენ, წვრილი ხაზებით დასერილი ძველებური ტილოები, დღის სინათლეზე ან სანთლის შუქზე რომ ცოცხლდებიან, ტილოები, რომლებიც შეიძლება დინჯად დაათვალიერო და გასინჯო, თან ტყავგადაკრულ, მოოქრულ სავარძელში იჯდე, ცალ ხელში კონიაკის სირჩა გეჭიროს, მეორეში - სიგარა, თხელი სმოკინგი გეცვას, რბილი ტყავის ფეხსაცმელი ფუმფულა ნოხში გეფლობოდეს. აქ იგებს ადამიანი პეიზაჟებისა და ხალხის ფასს. აქ ან წყნარი ოკეანის სანაპიროზე,

ტერასაზე, მზის ჩასვლას რომ შეჰყურებს და თავისი სულის უფაქიზესი, დიახ, უფაქიზესი მოძრაობით პასუხობს ტალღის მოქცევას ან მიქცევას, სველ ქვიშაზე ვერცხლისფერ ქაფს რომ ტოვებს. მიწა, მიწა, რომელსაც შეუძლია ფულად იქცეს. კვადრატული ნაკვეთები ქალაქში, სადაც ხარაჩოები და შენობათა

კარკასები მაღლა-მაღლა მიიწევენ. მომწვანო-ყვითელი ნაკვეთები ქალაქგარეთ, სადაც ნაყოფიერ, სარწყავ მიწებზე ტრაქტორები გუგუნებენ. საბადოებითა და ნახშირით მდიდარი მთაგორიანი ნაკვეთები. ეს ნაცრისფერი სეიფები და მანქანები. რა ტკბილი სურნელი აქვს საროტაციო მანქანას, ნაბეჭდ ფურცლებს მარდად რომ ისვრის.

„- ო, დონ არტემიო, ცუდად ხართ?

- არა, მხოლოდ ცხელა. წყეული სიცხე. მენა, ერთი ფანჯრები გააღეთ...

- ამ წუთში...“

ოჰ, ეს ქუჩის ხმაური. ყველაფერი ერთმანეთში ირევა, ვერ გაარჩევ, რა ხმაურობს, ოჰ, ეს ქუჩის ხმაური.

„- დონ არტემიო, თქვენ მეძახდით?

- მენა, თქვენ იცით, პრეზიდენტ ბატისტას რა მონდომებით ვიცავდი გაზეთში - სულ

ბოლო წუთამდე. ახლა, როდესაც იგი ხელისუფლების სათავეში არ არის, ეს არც ისე იოლია. მაგრამ უფრო ძნელია გენერალ ტრუხილიოს მხარდაჭერა, თუმცა იგი ჯერ კიდევ ხელისუფლებას მეთაურობს. თქვენ ორივეს იცნობთ და უნდა გაიგოთ... რა არის საჭირო...

- კეთილი, დონ არტემიო, ნუ წუხხართ, მე შევძლებ ისრის გადაწევას, თუმცა ტალახის გატოპვა კი მომიხდება... რაკი ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, თანა მაქვს ზოგი რამ „კეთილისმყოფლის“ მოღვაწეობაზე... ზოგი რამ...

- მოიტა, მოიტა. ო, დიახ, რა კარგია, რომ მოხვედით... ერთი შეხედეთ... ეს პირველ გვერდზე მოათავსეთ მოგონილი გვარით... ნახვამდის, მენა, ახალ ცნობებს ველი...“

ცნობებს ველი, ცნობებს. ახალ ცნობებს. ჩემზე, ჩემს ლურჯ ტუჩებზე. ო-ოჰ, ხელი, მომეცით ხელი - სხვისი მაჯისცემა გამაცოცხლებს, ჩემი ჩალურჯებული ტუჩები...

- ყველაფერი შენი ბრალია.

- მაგით გულზე მოგეშვა, კატალინა? ასე იყოს. მდინარეზე ცხენდაცხენ გადავიდეთ. ჩემს მიწაზე დავბრუნდეთ. ჩემს მიწაზე.

- ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, სად...

როგორც იქნა, მასიამოვნეს: მოვიდნენ, მუხლებზე ხოხავენ, უნდათ საიდუმლო გამომტყუონ. მღვდელი ადრეც ცდილობდა. ეტყობა, ჩემი საქმე წასულია, თუ ახლა ორივე ჩემს საწოლთან წუწუნებს, ხმის კანკალით მევედრებიან - ყველაფერი მშვენივრად მესმის. მათ უნდათ ამოიცნონ ჩემი ჩანაფიქრი, ჩემი ბოლო ხუმრობა, რასაც დიდი ხანია გულით ვატარებ. მე ვერ დავტკბები მათი დამცირებით და იმით, რაც ამას მოჰყვება, მაგრამ ამის პირველი ნიშნები მახალისებს. იქნებ ეს გამარჯვების ბოლო სიხარულია...

- მაინც სად არის ის... - შეწუხებულად ვაჩვენებ თავს და ვჩურჩულებ, - სად არის... მაცალეთ, გავიხსენო... ტერესა, მგონი, მაგონდება, წითელი ხის კოლოფში ხომ არ არის, სიგარებს რომ ვინახავ?.. ორმაგი ძირი აქვს...

სიტყვის დამთავრებას ვერ ვასწრებ. ორივე წამოხტა და ჩემს რკინისუჯრებიან უზარმაზარ მაგიდას ეცა, სადაც, მათი აზრით, ანდერძის კითხვაში უძილო ღამეებს ვატარებ - უნდათ, ასე რომ იყოს. ორივე დიდი გაჭირვებით აღებს უჯრებს, ქაღალდებში იქექება და, ბოლოს და ბოლოს, პოულობს... შავი ხის კოლოფს. აბა, ესე იგი, აქ არის. უწინ სხვა იყო. ახლა ეს არის. ახლა, ალბათ, მათი თითები აჩქარებით ეძებენ მეორე ძირს, მოწიწების თრთოლით ქექავენ. არაფერიც არ არის. როდის ვჭამე უკანასკნელად? დიდი ხანია, რაც მოვშარდე. როგორ ვჭამო? გული ამერია. როგორ ვჭამო?

„- დონ არტემიო, ხაზზეა მინისტრის მოადგილე...“

ფანჯრების ჟალუზები უკვე ჩამოუშვეს, არა? უკვე დაღამდა? არსებობენ ყვავილები, რომელთაც ღამის სინათლე სჭირდებათ, რომ გაიშალონ. ისინი უკუნის დადგომას ელოდებიან. ხვართქლა იყო, მდინარესთან მდგარ ქოხზე. საღამოობით იშლებოდა, ჰო.

„- გმადლობთ, სენიორიტა... გისმენთ... დიახ, არტემიო კრუსი გახლავართ. არა, არა, დაუშვებელია რაიმე შეთანხმება. ეს მთავრობის ჩამოგდების პირდაპირი ცდაა. მაგათ

უკვე იმას მიაღწიეს, რომ პროფკავშირის წევრები მმართველი პარტიიდან ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან. თუ შემდეგშიც ასე გაგრძელდა, სენიორ მინისტრის მოადგილევ, ვიღასღა დაეყრდნობით?.. დიახ... ეს ერთადერთი გზაა: გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადოთ, ჯარისკაცები გაგზავნოთ, გაანადგუროთ ისინი, მოთავეებს კი ციხეებში უკრათ თავი... ახლა, ძვირფასო სენიორ, ხუმრობის დრო არ არის...“

მიმოზას, დიახ, მიმოზასაც აქვს გრძნობები: შეუძლია იყოს მორცხვი, უმანკო და მთრთოლარე, ცოცხალი მიმოზა...

„- ...დიახ, ცხადია... და უფრო მეტიც, გადაჭრილად გეტყვით: თუ თქვენ სისუსტეს გამოიჩენთ, მე და ჩემი კომპანიონები კაპიტალს მაშინვე მექსიკის საზღვარს მიღმა გადავრიცხავთ. ჩვენ გარანტიები გვჭირდება. რას იტყვით, თუ,

მაგალითად, ქვეყნიდან ორ კვირაში ასი მილიონი დოლარი გავა?.. ჰა?.. დიახ, მე მესმის. აბა, რა იქნება!..“

დიახ. დასასრულია. ყველაფერი დამთავრდა. ვითომ ყველაფერი? ვინ იცის, არ მახსოვს. დიდი ხანია მაგნიტოფონს აღარ ვუსმენ. თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს ვუსმენ, ისე კი გემრიელ რამეებზე ვფიქრობ. დიახ, სასიამოვნო საჭმელზე ვფიქრობ - უკვე

დიდი ხანი გავიდა, რაც არ მიჭამია. პადილია აპარატს გამორთავს, მე თვალდახუჭული ვწევარ და არ ვიცი, რაზე ფიქრობენ, რაზე ლაპარაკობენ კატალინა, ტერესა, ხერარდო, გოგონა... არა, გლორია წავიდა, ახლახან წავიდა პადილიას ვაჟიშვილთან ერთად: ერთმანეთს ლოკავენ დარბაზში, სანამ იქ არავინაა. თვალდახუჭული ვწევარ. მელანდება დაბეგვილი ღორის ხორცი, სისხლიანი ბიფშტექსი, შემწვარი ცხვარი, სატენიანი ინდაურები, წვნიანები - წვნიანი ძალიან მიყვარს, თითქმის ტკბილეულივით. ო, მუდამ სუსნია ვიყავი, მშვენიერი ტკბილეული კი არსებობს: ქოქოსის რძესა თუ მაწონზე დამზადებული ნუშისა და ანანასის ნამცხვარი, ახლა ცუკატები... თევზიც კარგია: უაჩინანგო, სვია რობალო, ახლა ხამანწკა, კიბორჩხალა...

- მდინარეში ცხენებით გადავიდეთ. მეჩეჩამდე, ზღვის სანაპირომდე მივალთ. ვერაკრუსში...

...კალმახები და რვაფეხები... მოლუსკები და ზღვის სხვა ნუგბარები... ლუდზე ვფიქრობ, ზღვასავით მწარე ლუდზე, იუკატანურად მომზადებულ ირმის ხორცზე, იმაზე, რომ ბებერი არა ვარ, არა, თუმცა ერთხელ ბებრად ვიქეცი, სარკეში რომ

ჩავიხედე. კიდევ ამ ცხარე ყველებზე, მე რომ მიყვარს. ვფიქრობ, მინდა - რა სასიამოვნოა და როგორ მომბეზრდა საკუთარი ხმის მოსმენა. მუდამ ერთი და იმავე როლის თამაში, მოსაწყენია. ხომ შეიძლებოდა მეჭამა, მეჭამა, მეჭამა, დამეძინა, მყვარებოდა და ყველაფერი სხვა. რაო? ვის უნდა ჩემს ხარჯზე ჭამა, ძილი, სიყვარული? შენ - პადილია და შენც - კატალინა, შენც - ტერესა, შენც - ხერარდო და შენც, პაკიტო პადილია - ასე არ გქვია? - ლაწირაკო, ჩემი ოთახის კუთხეებში, ჩემი შვილიშვილის ტუჩებს რომ წუწნი, ან, უფრო სწორად, ამ ოთახის კუთხეებში, ვინაიდან მე აქ არ ვცხოვრობ. თქვენ ახალგაზრდები ხართ, მაგრამ მეც ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო, იმიტომ არ ვცხოვრობ აქ. ბებერი ვარ? ახირებული, ჟინიანი ბებერი, რომელსაც უფლება აქვს იყოს ახირებული და ჟინიანი. ვინაიდან ყველას... გზავნიდა... ასე არ არის? - ...ისიც იცოდა, ვინ უნდა აერჩია და დროულადაც ირჩევდა ხოლმე, როგორც იმ ღამით ამოირჩია. ჰო, უკვე გამახსენდა ის ქალი... ის ღამე... ეს სიტყვაც გამახსენდა. საჭმელი მომეცით, რატომ არ მაძლევენ საჭმელს? გაეთრიეთ აქედან, ვაი... მტკივა, გაეთრიეთ... თქვენი დედა...

* * *

შენ თქვი ეს სიტყვა, შენ იტყვი ამ სიტყვას. იგი შენი და ჩემი სიტყვაა. სინდისის სიტყვა, ვაჟკაცის სიტყვა, სიტყვა - ბორბალი, სიტყვა - წისქვილის დოლაბი; წყევლა, განზრახვა, მისალმება, ცხოვრებასთან დამოკიდებულება, მეგობრობის ჩასახვა, განწირული ყვირილი; ღატაკთა შვება, მებატონეთა ბრძანება, ბრძოლისა და შრომისკენ მოწოდება; სიყვარულის ეპიგრაფი, დაბადების ხარება, მუქარა და დაცინვა. სიტყვა - თანამგზავრი, დღესასწაულებისა და ლოთობის მუდმივი თანამგზავრი, ვაჟკაცობის მახვილი, ძალის კვარცხლბეკი, ოქროპირობის საზომი, ერის დიდება, საზღვრების დარაჯი, ისტორიის შეჯამება, მექსიკის პაროლი და გამოძახილი - აი, რა არის ეს სიტყვა... ადამიანები ამ სიტყვით იბადებიან და კვდებიან, ამით ცოცხლობენ. იგი ყველგანაა და ყველაფერში: ბანქოს ჭრის, ფსონს ჩადის, ბოლომდე უთქმელსა და ორმაგ თამაშს ფარავს, გულადობასა და კინკლაობას აშიშვლებს, ათრობს, თავზარს სცემს, ღუპავს, მისით იწყება მეგობრობის, სიძულვილისა და ხელისუფლების ისტორია. ჩვენი სიტყვა. შენცა და მეც ამ მასონთა ლოჟის წევრები ვართ, ამ უბილწესი ორდენის წევრები. შენ ისა ხარ, ვინცა ხარ, ვინაიდან შეგეძლო სხვები ტალახში ამოგეხრჩო, სხვას კი არ აძლევდი

უფლებას, ასევე მოგქცეოდა. შენ ისა ხარ, ვინცა ხარ, ვინაიდან ვერ შეძელი ტალახში ჩაგეხრჩო სხვები და უფლება მიეცი, თავად შენ ამოესვარე ნეხვში. ჩვენ ყველანი ერთი საზიზღარი ჯაჭვით ვართ გადაბმული - ისინი, ვინც საფეხურით მაღლა დგანან, და ისინი, ვინც დაბლა არიან. ჩვენამდეც იყვნენ მამაძაღლები, ჩვენ შემდგომაც იქნებიან. შენ მემკვიდრეობით მიიღებ ამ მურტალ სიტყვას და დაუტოვებ მათ, ვინც შენ შემდეგ იცხოვრებს. შენ მამაძაღლების შვილი ხარ და თვითონ წარმოშობ მამაძაღლებს... სიბინძურეში ყელამდე ხარ ჩაფლული.

საითღა მიდიხარ ამ სიბილწით?

ვაი, თავის როგორი მოტყუებაა, რა სიყალბე, რა სევდა: შენ ფიქრობ ამ სიტყვით საწყისთან დაბრუნდე? მაინც რომელ საწყისთან? არა, არც შენ და არც სხვა ვინმეს არ სურს დაუბრუნდეს მაცდუნებელ ოქროს ხანას, წარსულის წყვდიადს, მხეცურ ბრდღვინვას, ხორცის ნაჭრისათვის ბრძოლას, გამოქვაბულსა და კაჟს, მსხვერპლსა და სიგიჟეებს, ანგარიშმიუცემელ შიშს, მეხის, უკუნის, ცეცხლის, ნიღბების, წყლის, შიმშილის, საკუთარი მოწიფულობის, სისუსტის, სიკვდილისა და საშინელებათა წყეულ პირამიდას.

ო, თავის როგორი მოტყუებაა, რა სიყალბე, რა სევდა: გგონია, ასეთი ტვირთით წინ წახვალ, მომავალში დამკვიდრდები? მაინც რომელ მომავალში? არა, არც შენ და არც სხვა ვინმეს არ მოუნდება წავიდეს და ათრიოს წყევლა, ეჭვი, გაცრუებული იმედი, ბოღმა, სიძულვილი, წყენა, შური, მოსყიდვა, შეურაცხყოფა, დაშინება, ცრუ თავმოყვარეობა, მასხრად აგდება, კორუფცია - მთელი ეს გარყვნილება.

გზაზე დააგდე იგი, რაიმე ახალი იარაღით გაანადგურე. მოვსპოთ იგი, მოვსპოთ ეს სიტყვათა სიტყვა, რომელიც გვთიშავს, ქვებად გვაქცევს, გვიმონებს და ორმაგად გვამძიმებს - ეს ჩვენი კერპი და ეს ჩვენი ჯვარი. დაე, ნუღარ იქნება იგი ნუღარც ჩვენი პაროლი და ნუღარც ჩვენი ბედისწერა.

ილოცე, ვიდრე მღვდელი ტუჩებზე, ცხვირზე, ქუთუთოებზე, ხელებზე, ფეხებზე ზეთს გისვამს. ევედრე, რომ მთელი ეს გარყვნილება, რომელშიც ადამიანები ფართხალებენ, არც ჩვენი პაროლი იყოს და არც ბედისწერა - გარყვნილება, რომელიც სიყვარულს წამლავს, მეგობრობას შლის, სინაზეს კლავს; გვღრღნის, გვთიშავს, გვშლის, გვაზიანებს. ქვის პირამიდებში მთვრალი ქურუმების ღრიანცელი, ტახტზე ბატონთა და ტაძარში

მღვდელმთავართა - აი, რა არის გარყვნილება. კვამლი, ესპანეთი და ანაუაკი, ბუღი, გარყვნილების სასუქი, გარყვნილების ექსკრემენტი, გარყვნილების ამაღლება, გარყვნილების მონობა, გარყვნილების ტაძრები, გარყვნილების სიტყვები. დღეს, თავად რომ გადარჩე, ვის ჩაახრჩობ სიბინძურეში? ხვალ ვისღა? ვის შეაგინებ, ვის შებილწავ? ყველა ამ უბადრუკ ადამიანს გამოიყენებ, დაიპყრობ, რათა ისიამოვნო, იბატონო, გძულდეს, გაიმარჯვო, იცოცხლო - შენ გამოიყენებ ყველა ამ არამზადას, ამ სიმყრალეს, რომლის უარესიც არაფერი არსებობს.

მაგრამ შენ დაიღლები.

შენ ვერ აჯობებ.

სხვა ჯადოსიტყვებიც გესმის, შენსას რომ ახშობენ: დაე, იგი არც ჩვენი პაროლი იყოს, არც ჩვენი ბედისწერა, ჩამოირეცხე სიბინძურე.

შენ ფარ-ხმალს ყრი.

შენ მას ვერ მოერევი.

შენ მას მთელი სიცოცხლე მოანდომე.

შენ მთელი ამ სიბილწის ნაშიერი ხარ, ამ სიბინძურის, რომლისგანაც თავად იწმინდებოდი, როცა მასში სხვებს ახრჩობდი; ამ დავიწყების, რომელიც გახსენებისათვის არის საჭირო; ამ ჩვენი უსასრულო უსამართლობისა.

და შენ ფარ-ხმალს ყრი...

შენ დამამარცხე, მაიძულებ შენთან ერთად შთავინთქა ამ ჯოჯოხეთში; მაიძულებ ვიფიქრო სხვა საგნებზე; მაიძულებ ვიფიქრო იმაზე, თუ რა იქნება და არა იმაზე, რა არის და რა იყო; შენ ბილწი ცხოვრებით მამარცხებ.

შენ ფარ-ხმალს ყრი.

დაისვენე.

იოცნებე შენს უდანაშაულობაზე.

თქვი, რომ ცდილობდი და კიდევ შეეცდები. გახსოვდეს, რომ ერთხელაც იქნება ძალმომრეობა იმასვე მოგიზღავს, მეორე მხრიდან მოგიტრიალდება, როცა შენ, როგორც ახალგაზრდას, მოგინდება შეურაცხყო ის, რაზეც, როგორც მოხუცს მადლობა უნდა გეთქვა. ის დღეც მოვა, როცა შენ რაღაცას მიხვდები, მიხვდები, რომ ზოგი რამის აღსასრული დადგება. ერთ დილით ადგები, - გაიძულებ, გაიხსენო, - ადგები, სარკეში ჩაიხედავ და დაინახავ ბოლოს და ბოლოს, რომ ზოგი რამ უკან დარჩა. მოიგონებ სიბერის მოსვლის იმ პირველ დღეს, ქანდაკებასავით გაქვავებული, აღნიშნავ, და ამიერიდან ყოველივეს ახლებურად შეხედავ. ჟალუზს ასწევ, რომ ოთახში დილის ნიავი შემოიჭრას. ოჰ, იგი აგავსებს, საკმევლის სუნს დაგავიწყებს, ამ სუნს, მოსვენებას რომ არ გაძლევს. ო, როგორ გამოგაცოცხლებს ქარი - გაგიფანტავს ეჭვებს, დაგეხმარება საკუთარი ძალის შესაძლებლობაში პირველი დაეჭვება გაგიქარწყლოს.

*** * ***

1947 წლის 11 სექტემბერი

მან ჟალუზი ასწია და სუფთა ჰაერი ღრმად შეისუნთქა. ოთახში შემოჭრილმა დილის ნიავმა ფარდები შეარხია. გარეთ გაიხედა. განთიადის ამ ნათელ საათებს არაფერი შეედრება: დღის გაზაფხულია. თუმცა მალე მასაც მოაშთობს მზის ჯიუტი სხივები. მაგრამ დილის შვიდ საათზე აივნის წინ გაწოლილი ზღვის პლაჟი გრილ, მთვლემარე სიჩუმეს მოუცავს. ოდნავ შრიალებენ ტალღები, ქვიშას ეფერებიან; ორიოდე მობანავის ხმა ხელს არ უშლის ამომავალი მზის ჩუმ მიახლოებას დაშოშმინებულ ოკეანესთან. სამი ბიჭუნა პაწია ვედროებით ხელში ნაპირს მიუყვება. ღამით გამორიყულ განძეულს აგროვებენ. ზღვის ვარსკვლავებს, ნიჟარებს, წყლით გაპრიალებულ ხის ნაჭრებს. იქვე ახლოს ტალღებზე აფრიანი ნავი ირწევა. გამჭვირვალე ზეცას თითქოს მომწვანო მინა აჰკვრიაო, ისე დანათის დედამიწას. სასტუმროდან პლაჟამდე გაწოლილ გზაზე ჯერ ერთ მანქანსაც არ გაუვლია.

ისევ ჩამოუშვა ჟალუზი და მავრიტანიული შორენკეცებით მოპირკეთებულ

სააბაზანოში გავიდა. სარკეში თავისი სახე დაინახა, ძილისგან შეშუპებული, ამღვრეული, კარი ნელა გამოიხურა. ონკანები მოუშვა და აბაზანის ხვრელი დაგმანა. პიჟამა უნიტაზის სახურავზე მიაგდო, ახალი პირი აიღო, სანთლის გარეკანი შემოაცალა და მოოქრულ სამართებელში ჩადო, სამართებელი ცხელ წყალში ჩაყო, პირსახოცი დაასველა და სახეზე მიიტყაპუნა. ორთქლმა სარკე დაბინდა. სარკე ხელით გაწმინდა და მილისებური ნეონის ნათურა აანთო. ტუბიდან საპარსი კრემი გამოწურა - ახალი ჩრდილოამერიკული გამოგონება - და თეთრი, გრილი მასა ლოყებზე, ნიკაპსა და ყელზე წაისვა. წყლიდან სამართებელს რომ იღებდა, თითები დაეწვა. ტკივილისგან სახე დაემანჭა, ლოყა დაძაგრა და სამართებლით ქვევიდან ზევით დაიწყო პარსვა, მონდომებით იფხეკდა ნიკაპს, ღრეცდა ტუჩებს, ორთქლმა შეაწუხა, დასცხა, ნეკნებზე ოფლის წვეთები ჩამოუცურდა. სამართებელს ნელა ისვამდა სახეზე, დროდადრო ფრთხილი მოძრაობით კანს სინჯავდა, კიდევ ხომ არ იჩხვლიტებაო. ისევ გახსნა ონკანები, პირსახოცი დაასველა და ლოყებზე მიიფარა, მერე ყურები გამოირეცხა და გამაგრილებელი ლოსიონი პირზე შეისხა, სიამოვნებისგან დაიწკმუტუნა კიდეც. სამართებლის პირი წყალში გაავლო, ისევ სამართებელში ჩადო და ტყავის შალითაში შეინახა. ნიჟარიდან საცობი ამოაძრო და წყლის ბრუნვას დააცქერდა, საპნის ნაცრისფერ

ქაფსა და მოკლე-მოკლე ბეწვებს რომ ატრიალებდა. ისევ გაწმინდა დაორთქლილი სარკე და შიგ შესამოწმებლად ჩაიხედა: უნდოდა ადრინდელი სახე დაენახა. უნებურად გაიფიქრა, რომ ძალიან დიდი ხანია საკუთარი თავი არ დაუნახავს, თუმცა საკუთარ სახეს ყოველდღე უყურებდა, ადრიანი დილის ამ საათებში, წვრილმანი, მაგრამ აუცილებელი საქმეების დროს, როცა მუცელში ჭვალი ადგას, როცა უჩნდება გაურკვეველი სურვილები, გრძნობს არცთუ

საჭირო სუნს, ძილის გაუცნობიერებელ სამყაროს რომ სდევდა თან. ვერცხლის წყლით დაფარული ეს ოთხკუთხა მინა, ერთადერთი ჭეშმარიტი პორტრეტია მისი სახის: მწვანე თვალები, ენერგიული ნიკაპი, მაღალი შუბლი და ფართო ღაწვები. პირი გააღო და ნადებიანი ენა გამოყო; ცერად გახედა კბილებს შორის პირდაღებულ ხვრელებს. პატარა აფთიაქის ყუთი გამოაღო და წყლიანი ჭიქიდან პროთეზები ამოიღო. სწრაფად გაწმინდა და სარკისკენ ზურგით მდგარმა პირში ჩაიწყო. ჯაგრისს მომწვანო პასტა დააწურა, კბილები გაიხეხა და ყელში წყალი გამოივლო. პიჟამის შარვალი წაიძრო. შხაპის ონკანი გახსნა, წყალი ხელით გასინჯა, მერე ნეკნებგამოჩრილი, დაშვებულმუცლიანი გამხდარი სხეული გაისაპნა. წყლის ნაკადი კეფაზე ესხმებოდა. კუნთებს ჯერ კიდევ არ დაჰკარგოდა დაძაბვის უნარი, მაგრამ ადვილად უდუნდებოდა, ემჩვარებოდა, თუ ერთიანად მთელ სხეულს

არ დაძაბავდა. ასეთი დაძაბვა კი მხოლოდ მაშინ სჭირდებოდა, როცა მოურიდებლად თვალს გამოაყოლებდნენ ხოლმე, როგორც ეს ამ დღეებში სასტუმროსა და პლაჟზე მოხდა. სახე შხაპს მიუშვირა, ონკანი დაკეტა და ტანი პირსახოცით გაიმშრალა. სუმბულის წყალი მკერდსა და იღლიებში რომ მოისვა, ისევ კარგ გუნებაზე დადგა და სავარცხლით ხუჭუჭა თმა გადაივარცხნა. ცისფერი შორტი ჩაიცვა, თეთრი სპორტული ხალათი, იტალიური ტილოს რბილძირიანი ფეხსაცმელი და სააბაზანოს კარი ფრთხილად გამოაღო.

ნიავი ისევ არხევდა ფარდებს. მზე კი ჯერ არ შემაღლებულიყო. დასანანია, ამინდი რომ გაფუჭდეს. სექტემბერი ცვალებადია. საწოლისკენ მიბრუნდა. ლილიას ისევ ეძინა, საწოლზე მოკალათებულს თავი ბალიშზე გადაწვდილ ხელზე ედო: ზურგი მოშიშვლებოდა, ზეწრიდან მოხრილი ფეხის მუხლი მოუჩანდა. მიუახლოვდა ნორჩ სხეულს, ზედ რომ მზის სხივი დასთამაშებდა, მკლავების ღინღლს და იღლიებში ოქროსფერ ნაზ ბეწვს, თვალებისა და ტუჩების დანამულ კიდეებს აელვარებდა. დაიხარა, უკეთ რომ დაენახა ტუჩზე დაყრილი ოფლის წვეთები და საწოლზე უნებური ურცხვობით გაწოლილი, მზისგან გამუქებული ამ მხეცუნას სითბო უკეთ შეეგრძნო.

ხელები გაიშვირა, ქალის ზურგზე გადაწვენა და მისი სხეულის წინიდან ხილვა მოიწადინა. ქალიშვილმა გაპობილი ტუჩები დამუწა და ძილში ამოიოხრა. იგი სასაუზმოდ წავიდა.

ყავა დალია, ტუჩები ხელსახოცით შეიწმინდა და ირგვლივ მიმოიხედა. როგორც ჩანდა, ამ საათებში ბავშვები ძიძებთან ერთად საუზმობდნენ. ბევრს სველი, გადასლექილი თმა ჰქონდა - იმათ, ვინც ვერ სძლია ცდუნებას, ზღვაში საუზმემდე ეჭყუმპალავა. ახლა კი სველი საბანაო კოსტიუმები ჩაებღუჯათ და ისევ ბრუნდებოდნენ ზღვის პირას, სადაც დროის ანგარიში იკარგება. დრო თავის სრბოლაში - სწრაფი იქნება თუ ნელი - ემორჩილება მხოლოდ ბავშვების წარმოსახვას, რომლებიც ქვიშის სასახლეებს აშენებენ ან კიდევ მხიარულ დასაფლავებას აწყობენ, ან ზღვაში დატყაპუნობენ, ცელქობენ, მზეზე იხრუკებიან, ზღვის ნაზ ტალღებს ჩაკრულნი ჭყიპინებენ. საოცარი საყურებელია

- ჯერ სრულიად ბავშვები არიან, თითოეული მათგანი კი უკვე ამ სივრცეში მხოლოდ თავისთვის ეძებს თავშესაფარს - სათამაშო საფლავში ან ქვიშის სასახლეში. მაგრამ აი, ბავშვები მიდიან და პლაჟს სასტუმროს მოზრდილი მცხოვრებნი იკავებენ.

მან სიგარეტს მოუკიდა, გააბოლა და მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო, რასაც აგერ უკვე რამდენიმე თვეა დილით პირველი მოწევის დროს გრძნობს ხოლმე. მზერა შორს გაექცა, - დაკლაკნილი სანაპიროსკენ, ჰორიზონტიდან უკვე აფრიანი ნავებით მოფენილი ყურის მოსახვევამდე, ტალღების ქაფიანი ზოლებით რომ იყო აჭრელებული. იქვე ნაცნობმა წყვილმა ჩაუარა, მისალმების პასუხად თავი დაუკრა და ისევ გააბოლა.

რესტორანი შესამჩნევად გამოცოცხლდა. ისმოდა დანა-ჩანგლის წკრიალი, კოვზების რაკუნი, ბოთლებიდან ამოგდებული საცობების ხმაური და ჭიქებში შიშინითა და ბუყბუყით ჩამოსხმული მინერალური წყლის რაკრაკი. ამას ერთვოდა სკამების ხრიგინი, წყვილებისა და მრავალრიცხოვანი ტურისტების საუბარი. სულ უფრო მეტი ძალით გრიალებდა ზვირთცემა, არ უნდოდა ადამიანთა ხმაურს ჩამორჩენოდა. აქედან კარგად ჩანდა აგარაკ აკაპულკოს ახალი მოდერნიზებული ფასადის მთელი ესპლანადა, რომელიც სასწრაფოდ გადაეკეთებინათ ჩრდილოამერიკელი ტურისტების მოსაზიდად, რაკი ომმა მათ ბიარიცი, უაკიკი და პორტოფინო წაართვა. ასევე საჭირო იყო შემოეღობათ უშნო, ჭუჭყიანი გარეუბანიც - ღატაკ მებადურთა ქოხმახები, სადაც

რაქიტიანი ბავშვები და ქეციანი ძაღლები ირეოდნენ, მღვრიე არხებში ტრიქინელოზი და ათასი სხვა სენი რომ ბუდობდა. თანამედროვე საზოგადოება ორსახოვან იანუსს ჰგავს, თანაბრად შორსაა იმისგან, რაც იყო ან რაც უნდა იყოს.

იგი იჯდა და აბოლებდა, ფეხები კი უკანკალებდა - უკვე დილის თერთმეტ საათზეც კი უჭირდა ასე შილიფად ჩაცმულს მოეწონებინა თავი. შეუმჩნევლად დაიზილა მუხლები, ალბათ, შიგ სხეულში უზის სიცივე - დილით ირგვლივ ყველაფერს კაშკაშა სინათლე მოეფინა და მზის დისკოს მხურვალე ფორთოხლისფერმა გვირგვინმა დაამშვენა. შემოვიდა შავსათვალიანი ლილია. მან სკამი მიუჩოჩა და ოფიციანტი მოიხმო. ნაცნობი წყვილის ჩურჩული მოესმა. ლილიამ პაპაია და ყავა მოითხოვა.

- კარგად გეძინა?

ქალიშვილმა თავი დააქნია, ტუჩებშეურხევლად გაიღიმა და მაგიდაზე დადებულ კაცის შავგვრემან ხელს მიუალერსა.

- მეხიკოდან გაზეთები არ მოგიტანიათ? - იკითხა, თან პაპაიას ჭრიდა, - ჯერ არ წაგიკითხავს?

- ჯერ არ მოუტანიათ. იჩქარე, თორმეტისთვის იახტა გველოდება.

- სად ვისადილებთ?

- კლუბში.

კაცი ადმინისტრატორისკენ გაემართა გაზეთების მოსატანად. ჰო, დღევანდელი დღე გუშინდელის მსგავსი იქნება - გატანჯული საუბრები, უაზრო კითხვები და პასუხები. აი, ღამე, უტყვი ღამე - სხვა საქმეა, ვითომ საჭიროა კი უფრო მეტის ძიება? უტყვი შეთანხმებაა, ჭეშმარიტ სიყვარულს არ ითხოვს. ქალი საშვებულებოდ სჭირდებოდა. ჰოდა, აი, ჰყავს კიდეც ასეთი გოგო. ორშაბათს ყველაფერი დამთავრდება. მას აღარასოდეს ნახავს. მეტი ვის რა უნდა? გაზეთები იყიდა და ნომერში ავიდა ფლანელის შარვლის ჩასაცმელად.

მანქანაში ლილიამ გაზეთებში ჩარგო თავი და კინოს უკანასკნელი სიახლეები ხმამაღლა ამოიკითხა. ბრინჯაოსფერი ფეხი ფეხზე გადაედო და თითებზე წამოცმულ ფეხსაცმელს აქანავებდა. კრუსმა ამ დილით მესამე სიგარეტს მოუკიდა. კრინტიც არ

დაუძრავს, რომ ამ გაზეთის გამომცემელი თვითონ იყო და ახლა სახლებზე გაკრული სარეკლამო განცხადებების კითხვით გაერთო. შემდეგ ყურადღება მიაქცია თხუთმეტსართულიანი სასტუმრო-რესტორნისა (სადაც ჰამბურგულად მომზადებულ მშვენიერ ბიფშტექსს მოგართმევდნენ) და შიშველი მთის მეზობლობას, ექსკავატორით გაფატრული ვარდისფერი მუცლით ზედ გზატკეცილზე რომ გადმოწოლილიყო.

ლილიამ მოხდენილად ისკუპა გემბანზე, ქალს თვითონაც მიჰყვა. ტრაპზე წონასწორობის შესანარჩუნებლად ფეხს ფრთხილად ადგამდა. ვიღაც კაცმა ხელი შეაშველა.

- ხავიერ ადამე.

თითქმის შიშველი იყო - მოკლე საბანაო ტრუსები ეცვა. შავგვრემანი სახე და მახვილი, მოძრავ წარბებქვეშ მოქცეული ცისფერი თვალები ჰქონდა. ხელი გაუწოდა - მომხიბლავი მგელია: გულადი, მიამიტი და ვერაგი.

- დონ როდრიგომ მითხრა, წინააღმდეგი არ იქნება იახტაზე რომ დარჩეო.

კრუსმა თავი დაუქნია და კაიუტის ჩრდილში მოკალათდა. ადამემ ლილიას უთხრა:

- ...მოხუცმა ერთი კვირის წინ მომაქირავა, მერე კი დაავიწყდა...

ლილიამ გაიღიმა და მზით გაჩახჩახებულ კიჩოზე პირსახოცი გაფინა.

- შენ არაფერი გინდა? - ჰკითხა ლილიას, როდესაც სტიუარდმა ხონჩაზე დაწყობილი ბოთლები და ათასგვარი ნუგბარი შესთავაზა.

წამოწოლილმა ლილიამ ოდნავ გაარხია თითი - არაო. ხონჩას კრუსი მიუახლოვდა, ცოტაოდენი ნუში აკრიფა, სანამ სტიუარდი ტონიკიან ჯინს უმზადებდა. ხავიერ ადამე სადღაც კაიუტის სახურავზე გაუჩინარდა: ერთხანს

კიდევ ისმოდა მტკიცე ნაბიჯის ხმა, შემდეგ ვიღაც გამოელაპარაკა, ბოლოს გადაწყვიტა, მზეზე გაწოლილიყო.

იახტა ნელ-ნელა გადიოდა ყურიდან. კრუსმა გამჭვირვალე წინაფრიანი ქუდი დაიხურა და ჯინი მოსვა.

მის გვერდით ლილიას სხეული ლაპლაპებდა. ქალიშვილს ზურგი მზისთვის მიეშვირა. სხეული ნეტარებით გაჭიმულიყო. მერე ხელები ასწია და გაშლილი, ოქროსფრად მბზინავი თმა კისერზე დაიგრაგნა. ყელიდან ოფლის პაწაწინა წინწკლები ჩამოუცურდა, მრგვალი მხრების ნაზ კანსა და გლუვ ზურგზე ნამიანი ბილიკები დატოვა. კრუსი ქალს კაიუტის სიღრმიდან შესცქეროდა. ახლა იმავე პოზაში ჩაეძინება, როგორც დილით ეძინა. ხელს თავქვეშ ამოიდებს, მუხლს მოხრის. წინ გაჭრილი იახტა ტალღებს ორად ყოფდა და ლილიას წვრილი, მლაშე წვიმა ეფრქვეოდა. ზღვის წყალმა დაუსველა საბანო ტრუსები, დუნდულები, ბარძაყები. ზემოთ თოლიები წრიპინებდნენ. კრუსი ნელ-ნელა წრუპავდა ჯინს ღეროთი. ეს ნორჩი სხეული გონებას არ აკარგვინებდა, პირიქით, მისი შემყურე იძაბებოდა. სასიამოვნო თვითგვემა ეუფლებოდა. კაიუტის სიღრმეში შეზლონგზე ნახევრად წამოწოლილი თითქოს თავისი სურვილის კონდენსირებით ერთობოდა, ღამისთვის ზოგავდა, როდესაც სხეულები სიბნელეს ერთვიან და, ცხადია, შედარების საშუალებაც ქრება. ღამით ქალს მხოლოდ მისი ხელები დარჩება, რომელთაც იციან აუჩქარებლობისა და მოულოდნელობის ფასი: მერე თავის ხორბლისფერ, ლურჯად დაბერილ ვნებიან ხელებს დახედა, წარსული წლების ძალისა და მოუთმენლობის საზღაურს.

შორს, უკან მოიტოვეს ყურე. ეკლიანი ბუჩქნარით დაფარულ კლდეებთან უკაცრიელ სანაპიროს ცხელი ბურუსი ადგა. იახტა მკვეთრად შემოტრიალდა და ლილიას თბილი ტალღა გადაევლო. ქალმა მხიარულად წამოიყვირა და წამოიწია - ისევ დაწვა. გემბანზე ხონჩიანი სტიუარდი გამოჩნდა, შავი ქლიავის, ატმის, გაფცქვნილი ფორთოხლის სურნელი დაიფრქვა. კრუსმა თვალი დახუჭა და თავის აზრებს სევდიანად გაუღიმა: ამ მგრძნობიარე სხეულს, ამ ვერხვის წელს, ამ სავსე ბარძაყებსაც სადღაც, ღრმად, შიგნით, ხრავდა ჯერ კიდევ უხილავი სენი, დროის კიბო. ეფემერულო საოცრებავ, ოცი წლის შემდეგ რა განგასხვავებს იმ სხეულისგან, რომელიც დღეს შენ გფლობს? გვამი ხარ მზის ქვეშ, ოფლად დამდნარ მალამოდ დათხეული. ახალგაზრდობა სწრაფად ორთქლდება, თვალის დახამხამებაში გაფრინდება და მშობიარობისა და აბორტისგან გამომშრალ, დამჭკნარ სხეულს დაგიტოვებს, დედამიწაზე უღიმღამო არსებობას, უხამს და მოსაწყენ გაყინვას. თვალი გაახილა. ქალს შეხედა.

ზემოდან ხავიერი ჩამოდიოდა. ჯერ მისი ბალნიანი ფეხები დაინახა, შემდეგ შემოტკეცილი ტრუსები და ბოლოს, წითლად მზემოკიდებული მკერდი. დიახ, ნამდვილი მგელია: ფრთხილად, ქურდულად შესრიალდა ხავიერი ღია კაიუტაში და

ყინულიან წყალში ჩაცივებული ვედროდან ორი ატამი ამოიღო. გაიღიმა და ხილით ხელში გემბანზე გავიდა. ლილიას გვერდით ჩაცუცქდა, მუხლები ზედ სახეს მიუახლოვა. ქალიშვილს მხარზე ხელი შეახო, ლილიამ გაიღიმა და ერთი ატამი აიღო, თან რაღაც თქვა. კრუსმა სიტყვები ვერ გაარჩია, მოტორის, ქარისა და ტალღების ხმაურმა ჩაახშო. აი, ერთდროულად აამუშავეს ყბები და ტუჩებზე ხილის წვენი ჩამოეღვარათ. ნეტავი კი ერთი... ყმაწვილი დაჯდა. ქიმს მიეყრდნო და მუხლები გამართა. მოღიმარი, მოჭუტული თვალები შუადღის თეთრ ცას მიაპყრო. ლილიამ შეხედა, ტუჩები აამოძრავა. ხავიერმა რაღაც უპასუხა და ხელი აიქნია, ნაპირზე მიუთითა. ლილიამ თავი ასწია და მკერდზე ხელები მიიფარა. ხავიერი მისკენ დაიხარა, ორივე მხიარულად იცინოდა, სანამ იგი სველ ტანზე აკრულ ბიუსტჰალტერს უკრავდა. ქალი ადგა, ხელით შუბლი მოიჩრდილა, უნდოდა დაენახა, რას უჩვენებდა ყმაწვილი - პაწია ყურე, ყვითელი ნიჟარა იმ შორეულ, ბუჩქნარით დაფარულ ნაპირზე. ხავიერი წამოხტა და მესაჭეს რაღაც უბრძანა. იახტა ისევ მკვეთრად შეტრიალდა და ნაპირისკენ აიღო გეზი. ქალიშვილი დაჯდა, ქიმს მიეყრდნო, ხელჩანთა მიიჩოჩა და ხავიერს სიგარეტი შესთავაზა. საუბარი გააბეს.

კრუსი გვერდიგვერდ მსხდომთ მისჩერებოდა, ერთნაირად ხორბლისფრებს, ქანდაკებებივით ჩამოქნილებს; უძრავი, მაგრამ დაძაბული სხეულები, დაჯერებულ მოლოდინში გატრუნულები. ჯერ ერთმანეთი არ შეეცნოთ, მაგრამ ძლივსღა იოკებდნენ ამ შეცნობის სურვილს.

კრუსმა შავი სათვალე გაიკეთა, რომელიც ქუდის ფართო საჩიხთან ერთად სახის ზემო ნაწილს უფარავდა. გემბანზე საუბარი გრძელდებოდა, თან ატმის შემოხრულ კურკებს წუწნიდნენ. ალბათ, თქვეს კიდეც:

„არ არის ცუდი“.

ან სულაც: „მშვენიერია...“

ან რაიმე ამდაგვარი, რაზეც აქამდე არ უთქვამთ - თქვეს სხეულებით, გამომეტყველებით. ცხოვრების ახალი სპექტაკლის პერსონაჟები. ალბათ, ესეც ითქვა:

- ადრე რატომ ვერ შევხვდით ერთმანეთს? მე კლუბში ხშირად დავდივარ...

- მე კი არა... აბა, კურკები მოვისროლოთ, ერთი, ორი...

კრუსმა დაინახა, ერთდროულად რომ ისროლეს კურკები სიცილ-სიცილით, თუმცა სიცილი არ გაუგონია, მხოლოდ შემართული ხელები დაინახა.

- მე უფრო შორს ვისროლე! - თქვა ხავიერმა, როცა კურკები უხმაუროდ ჩაეშვა წყალში იახტისგან მოშორებით. ქალიშვილს გაეცინა. მერე ისევ მოხერხებულად მოკალათდა ქიმთან.

- შენ ზღვის თხილამურები გიყვარს?

- არ ვიცი.

- დაიცა, მე გასწავლი...

მაინც რაზე უნდა ელაპარაკათ? კრუსმა ჩაახველა და ხონჩა მიიჩოჩა კოქტეილის მოსამზადებლად. ეტყობა, ხავიერს აინტერესებს, არკვევს, ეს რა წყვილი ვართ ასეთი.

ლილია, ალბათ, უამბობს ჩვენი ნაცნობობის მოკლე და ბინძურ ამბავს. ყმაწვილი მხრებს აიჩეჩს და აიძულებს თუნდაც ერთი ღამით, მრავალფეროვნებისთვის, მგლის ვნება ამჯობინოს. მთავარია - სიყვარული, ერთმანეთის ნდომა...

- იდაყვები არ უნდა მოხარო, გესმის? გაჭიმულ მკლავებს უნდა დაეყრდნო...

- ჯერ შევხედავ, შენ როგორ აკეთებ...

- ცხადია, აი, ყურეში შევიდეთ.

ჰო, კარგია იყო ახალგაზრდა და მდიდარი.

იახტა პატარა ყურეში ზედ ნაპირს მიადგა და დაირწა. დაღლილმა ბენზინის ნამწვი გამობოლქვა, გამჭვირვალე მწვანე წყალი და თეთრი ფსკერი აამღვრია. ხავიერმა თხილამურები წყალზე დაყარა და ჩაყვინთა, მერე მოღიმარი სახით მალევე ამოყვინთა და თხილამურები გაიკეთა.

- თოკი გადმოაგდე!

ქალიშვილმა თოკი იპოვა და გადაუგდო. იახტა ისევ ღია ზღვაში გავარდა. ფეხზე მდგარი ხავიერი ფრენით მისდევდა იახტის კვალს და ხელს სალამის ნიშნად იქნევდა. ლილია ხავიერს უყურებდა. კრუსი კი ტონიკიან ჯინს სვამდა. ახალგაზრდების გამთიშავი ზღვის ეს ზოლი რაღაც შეუცნობი ძალით უფრო მეტად აახლოებდა მათ, ვიდრე ყველაზე მჭიდრო ჩახუტება და ისე ინარჩუნებდა ამ სიახლოვეს, თითქოს იახტა ტალღებზე გაშეშებულიყოს. ხავიერი კიჩოზე მიმაგრებულ ქანდაკებად იქცა, ლილია კი ერთ-ერთ ტალღაზე გაირინდა. ლანდებივით მაღლა ატყორცნილი ლურჯი ტალღები ნაწილებად იფრქვეოდნენ, კვდებოდნენ და კვლავ მაღლა აღიმართებოდნენ, ერთთავად იგივენი და ერთთავად სხვანი, მუდამ ბობოქარნი და მუდამ ერთნაირნი, დროის ურჩნი, საკუთარი სახისა და პირველყოფილი წყლების ანარეკლნი, წარსული და მომავალი ათასწლეულების სარკე.

კრუსი სულ ჩაიფლო დაბალ, მოხერხებულ შეზლონგში. რას აირჩევს ქალიშვილი? ვითომ დააღწევს თავს ამ ლტოლვით აღმოცენებულ ცდუნებას, რომელიც ნებასაც არ ემორჩილება?

ნაპირთან ახლოს ხავიერმა თოკს ხელი გაუშვა და წყალში ჩავარდა.

ლილიამ ჩაყვინთა, არც კი გაუხედავს შავი სათვალისაკენ. განმარტება უთუოდ იქნება, მაგრამ როგორი? ლილია აუხსნის? თუ ხავიერი აუხსნის ლილიას? ან

ლილია ხავიერს? როდესაც მზისა და ზღვის შხეფებისგან ერთიანად აბრჭყვიალებული ლილიას თავი ჭაბუკის თავის გვერდით გამოჩნდა, კრუსმა უკვე იცოდა, რომ მის გარდა სხვა ვერავინ გაბედავდა ახსნა-განმარტების მოთხოვნას. იქ, სიღრმეში, გამჭვირვალე ყურის მშვიდ წყალში, არავინ მოუხმობს გონიერებას, არავინ დაიხევს უკან იმისგან, რაც არის, რაც უნდა იყოს. რა დაბრკოლება შეიძლება გაჩნდეს ახალგაზრდათა შორის? ნუთუ ეს სხეული, სავარძელში ჩაძირული, სპორტულ ხალათში, ფლანელის შარვალსა და საჩიხიან ქუდში გამოწყობილი? თუ ეს უმწეო მზერა? იქ, ქვემოთ, წყვილი ჩუმად ცურავდა. კრუსს ქიმი ეფარებოდა, რომ დაენახა, რა ხდებოდა დაბლა. ხავიერმა დაუსტვინა. იახტა ადგილს მოსწყდა. ლილია წუთით გამოჩნდა ზღვის ზედაპირზე და კვლავ ჩაიმალა. იახტა გაჩერდა. ძრავის გუგუნი გაჰკვეთა წკრიალა ხარხარმა. მას არასოდეს მოუსმენია ქალიშვილის ასეთი სიცილი. თითქოს ეს-ესაა, ქვეყანას მოევლინა, თითქოს სულ უფრო და უფრო არ იძირებოდეს კისერზე გამობმული თავისი უბადრუკი ტვირთით, სირცხვილის ბალასტით. ყოველივე იმით, რაც მას, მათ ჩაუდენიათ.

რასაც სჩადის, ყველა. ყველა. დიახ - სისაძაგლეს. ამას ყველა სჩადის. სევდიანად ჩაიცინა. აი, სიტყვა, რომელიც ძირს უთხრის ძალასა და დანაშაულს, განუყოფელ ბატონობას სხვებზე, ვიღაც ერთზე, გოგონაზე, რომელიც მას ეკუთვნის და მან იყიდა, და აიძულებს შევიდეს ერთობლივ საქმეთა, მსგავს იღბალთა, უცერემონიო ფლობის ვრცელ სამყაროში. ესე იგი, ეს ქალი სამუდამოდ შერცხვენილი არ არის? ესე იგი, არავის ენაღვლება, რომ ამ ქალმა მის ხელში გაიარა? ამ ქალზე მისი დროებითი ბატონობა ქალის ცხოვრებას დაღს არ დაასვამს, საბედისწერო არ გახდება? ესე იგი, ლილიას შეუძლია უყვარდეს, თითქოს კრუსი ქვეყანაზე არც ყოფილიყოს?

კრუსი ადგა, ქიმთან მივიდა და გასძახა:

- გვიანაა, კლუბში დაბრუნების დროა, სადილობა ხომ უნდა მოვასწროთ.

თითქოს შორიდან დაინახა საკუთარი სახე, მთელი თავისი სხეული - გახამებულივით სწორი და ხეშეში. მიხვდა, რომ მისი ძახილი არ გაუგონიათ, - ან კი როგორ გაიგონებდნენ. ორი მსუბუქი სხეული ოპალის წყალში გვერდიგვერდ დასრიალებდა, ერთმანეთს არ ეხებოდნენ, თითქოს სტრატოსფეროში ფრენენო.

ხავიერ ადამე მოლზე გამოემშვიდობა მათ და იახტაზე დაბრუნდა - კიდევ უნდოდა თხილამურებით სრიალი. კიჩოდან გამოსამშვიდობებლად ხალათი დაუქნია, ხავიერის თვალებში ის ვერ დაინახა, რისი დანახვაც კრუსს სურდა. ვერც ლილიას თაფლისფერ თვალებში შენიშნა მსგავსი რამ, როდესაც მოგვიანებით, ყურის სანაპიროზე რესტორანში სადილობდნენ პალმის ფოთლების ჩარდახში. ესე იგი, ხავიერს არაფერი უკითხავს. არც ლილიას უამბნია თავისი ნაღვლიანი ამბავი ამ მელოდრამიდან, რომლითაც კრუსი ფარულად ტკბებოდა, თან სოუსების სურნელს ყნოსავდა. ჩვეულებრივი მეშჩანური ქორწინება არამზადასთან, უხეშ, ქალების მუსუს ლოთთან.

განქორწინება და პროსტიტუცია. ერთი ათქმევინა, - ჰო, საჭიროა ეს ამბავი ხავიერს უამბოს. თუმცა ამ ფიქრებმა სიამოვნება არ მოჰგვარა, ვინაიდან ახლა თვითონ ლილიასათვის აღარ არსებობდა, ისევე როგორც დილაობით ქალისთვის მისი წარსული არ არსებობს.

მაგრამ არ შეიძლებოდა არ არსებულიყო აწმყო, ვინაიდან ისინი აწმყოში ცხოვრობდნენ. ჭილის სკამებზე ისხდნენ და ანგარიშმიუცემლად შეექცეოდნენ წინასწარშეკვეთილ სადილს - სოუს „ვიშის“, ლანგუსტს, დაბეგვილ ხორცს რონულად,

ომლეტ „ალასკას“. წინ ეჯდა ნაყიდი ქალი. ნელ-ნელა მიჰქონდა პირთან ჩანგალი. იყიდა, მაგრამ ცდილობს, დაუძვრეს. მას არ შეეძლო ქალის შეჩერება. მალე, ამ საღამოსვე იპოვის იგი ხავიერს, მალულად შეხვდებიან ერთმანეთს, პაემანი უკვე დანიშნეს. მთვლემარე წყალზე აფრიანი ნავების გუნდს მიპყრობილი ლილიას თვალები კი არაფერს ამბობდნენ. რა თქმა უნდა, შეეძლო იძულებული გაეხადა და აელაპარაკებინა, შეეძლო დავა აეტეხა. თავი უხერხულად იგრძნო და ისევ ლანგუსტს მიუბრუნდა. რა ქნას ახლა... ეს ამბავი მის ნებისყოფაზე ძლიერი აღმოჩნდა. ეჰ, სულერთია, ორშაბათს ყველაფერი დამთავრდება. იგი ლილიას მეტად აღარ ნახავს. გაშიშვლებული ოთახში ძებნას არ დაუწყებს, დაიმედებული, რომ ამ თბილ სხეულს ზეწრებში გახვეულს იპოვის, მეტად აღარ...

- არ გეძინება? - წაიჩურჩულა ლილიამ, ტკბილეული რომ მოიტანეს, - ღვინომ არ მოგთენთა?

- ჰო, თითქოს. გადაიღე.

- არა, ნაყინი არ მინდა... წავალ, ცოტას წავთვლემ.

სასტუმროდან ლილიამ გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია, მან კი ხეივანი გადაჭრა და ზანგ ბიჭს სთხოვა, შეზლონგი პალმების ჩრდილში დაედგა. სიგარეტს ვერ მოუკიდა: მოუსვენარი ნიავი ცხელ ჰაერს არხევდა და ასანთს უქრობდა. იქვე მახლობლად რამდენიმე ახალგაზრდა წყვილი ისვენებდა. ერთნი - ხელიხელჩაკიდებულნი, ფეხებგადაჭდობილნი, მეორენი - თავზე პირსახოცწაფარებულნი. უეცრად ლილიას დაბლა ჩამოყვანა მოიწადინა. უნდოდა, ქალს თავი მის მუხლებზე დაედო. ფლანელის შარვალქვეშ მოქცეულ გამხდარ, მაგარ მუხლებზე, იტანჯებოდა, თავმოყვარეობაშელახულად თუ ნაწყენად გრძნობდა თავს. იტანჯებოდა იმის გაფიქრებისას, რომ სიყვარულის საიდუმლოს ვერ ეზიარებოდა. ტანჯავდა იმის გახსენება, თუ რა სწრაფად და უსიტყვოდ შეთანხმდნენ მის თვალწინ, თითქოს საძრახისიც არაფერი ჩაუდენიათ, მაგრამ შეთანხმდნენ ამ კაცის თანდასწრებით, რომელიც ქუდის წინაფრასა და შავ სათვალეს შეფარებული სავარძელში მიყუჟულიყო...

პლაჟზე წამოწოლილმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა მოთენთილად გაიზმორა, ხელი ასწია, მუჭიდან თავისი მეგობრის კისერზე ქვიშის წვრილი ნაკადი დაუშვა და მაშინვე

შეჰყვირა, როცა ვითომ გაბრაზებული ჭაბუკი წამოხტა და წელზე მოხვია ხელი. ორივენი ქვიშაზე დაგორდნენ, ქალიშვილი წამოხტა და გაიქცა: ჭაბუკი სულშეგუბებულ, აღგზნებულ გოგონას დაეწია, ხელში აიყვანა და ზღვისკენ გააქცია.

კრუსმა იტალიური ფეხსაცმელი გაიძრო და ფეხები ცხელ ქვიშაში ჩაფლო. კარგი იყო, მთელი პლაჟი ბოლომდე, მარტო გაევლო, გაევლო საკუთარ ნაბიჯებს დაჩერებულს, მაგრამ ვერ შეემჩნია, როგორ შლის ტალღა ნაკვალევს. მისი აქ გავლის ამ ერთადერთ წამიერ მტკიცებას.

მზე თოხის ტარზე იდგა.

შეყვარებულნი წყლიდან ამოვიდნენ. სად წავიდა ის სილაღე, რითაც ზღვაში შევიდნენ - ახლა ხელიხელგადახვეულნი უხმოდ მოზოზინებდნენ. ჭაბუკი აშკარად შემცბარი ჩანდა, რადგან ვერ შენიშნა, რა დიდხანს გაუგრძელდათ სასიყვარულო თამაში - თითქმის მთელი პლაჟის თვალწინ, თუმცა უკვე საღამოს ზღვის მოვერცხლილი ზეწარი ფარავდათ, - ქალიშვილს თავი არ აუწევია... მზეთუნახავი, ხორბლისფერი, ახალგაზრდა... ნორჩი... კვლავ მის ახლოს წამოწვნენ, თავზე პირსახოცები წაიფარეს,

მერე მდორე, ტროპიკულმა საღამომ ნელ-ნელა ორივე გააუჩინარა. ზანგმა ბიჭმა გაქირავებული შეზლონგების აკრეფა დაიწყო.

კრუსი ადგა და სასტუმროსკენ წავიდა. თავის ოთახში ასვლამდე გადაწყვიტა, აუზში გაგრილებულიყო. საშხაპე კაბინიდან გვერდით გასახდელში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა, ფეხსაცმლის გახდა დაიწყო. ცნობისმოყვარეთა თვალთაგან დიდი რკინის კარადები იფარავდა, სადაც მობანავეთა ტანსაცმელი ინახებოდა, უკანა მხრიდან სველ რეზინის ფარდაგზე ფეხების ტყაპატყუპისა და პირსახოცებით ტანის მშრალების ხმა მოესმა. ხალათი გაიხადა. გვერდითა კაბინიდან ოფლის, მაგარი თამბაქოსა და ოდეკოლონის სუნი მოდიოდა. ჭერისკენ ბოლის რგოლები მიიზლაზნებოდა.

- დღეს ამ ურჩხულთან ის მზეთუნახავი რატომღაც არ ჩანს.

- ჰო, მართლა, არა ჩანს.

- კაი გოგო კია...

- ნამდვილად. ვინ იცის, როგორ არ სიამოვნებს ის ბებრუხუნა.

- არ გაგიკვირდეს, დამბლა რომ დაეცეს.

- ნამდვილად. აბა, ცოტა იჩქარე.

მოსაუბრენი წავიდნენ. კრუსმა ფეხსაცმელი და ხალათი ჩაიცვა და გამოვიდა. ნომერში ავიდა. კარი გააღო. საკვირველი არ იყო. დილის შემდეგ აბუგნული ლოგინი ეცა თვალში, ლილია კი არსად ჩანდა. შუა ოთახში გაჩერდა. ვენტილატორი დაჭერილი სოპილოტესავით[48] ძაგძაგებდა. გარეთ, ტერასაზე, ისევ ღამე იდგა - ჭრიჭინობელებითა და ციცინათელებით სავსე ღამე. ისევ ღამე. ფანჯარა მიხურა, ოთახში მდგარი სურნელება შეისუნთქა: სუნამოს, მალამოს, ოფლის, სველი პირსახოცის სურნელება. არა, ის სურნელი არ არის, ოდნავ ჩაზნექილი ბალიში - აი, რისი სურნელი დგას ბაღის, ხილის, ნამიანი მიწის, ზღვის... ნელი ნაბიჯით მივიდა კარადასთან, საიდანაც ლილია... ხელში აბრეშუმის პერანგი აიღო, ლოყაზე მიიდო. დღის განმავლობაში წამოზრდილი წვერი აბრეშუმზე გაფხაჭუნდა. თავი უნდა მოიწესრიგოს, შხაპით წყალი გადაივლოს, კიდევ გაიპარსოს. ამ ღამისთვის. პერანგი მოისროლა და ისევ მოგუნებებული, მხნე ნაბიჯით სააბაზანოსკენ გაემართა.

სინათლე აანთო. ონკანი გადაატრიალა და ცხელი წყალი მოუშვა. ხალათი უნიტაზის სახურავზე მიაგდო. პატარა აფთიაქი გააღო. აგერ ისინიც, მათი საერთო ნივთები. კბილის პასტა, საპარსი პიტნის კრემი, კუს ბაკნის სავარცხელი, კოლდკრემი, ასპირინი, კუჭის წვის საწინააღმდეგო აბები, ჰიგიენური ტამპონები, ლავანდის წყალი, პირსაპარსის ცისფერი პირები, ბრიოლინი, სახეზე წასასმელი ფერი, სისხლძარღვების გამაფართოებელი საშუალებანი, ყელში გამოსავლები ყვითელსითხიანი პატარა შუშა, პრეზერვატივები, მაგნეზიის ხსნარი, წებოვანი სალბუნი, იოდიანი შუშა, შამპუნის ფლაკონი, პატარა მაშა, ფრჩხილის მაკრატელი, ტუჩების საცხი, თვალის წვეთები, სურდოს საწინააღმდეგო ევკალიპტის მალამო, ხველების დასაამებელი მიქსტურა, დეზოდორატორი.

უსაფრთხო სამართებელი აიღო. შიგ ხეშეში თმის წითელი ღერები შერჩენილიყო. ასე სამართებლით ხელში წუთით გახევდა. მერე ტუჩებთან მიიტანა და უნებურად თვალი დახუჭა. როცა ისევ გაახილა, სარკიდან თვალებამოწითლებული, გაფითრებული, ტუჩებჩალურჯებული მოხუცი შემოსცინოდა - სულ რომ არ ჰგავდა იმ ოდითგან ნაცნობი სახის ანარეკლს.

* * *

მე მათ ვხედავ. ისინი შემოვიდნენ, წითელი ხის კარი გაიღო და დაიხურა. ნაბიჯების ხმას რბილი ნოხი ნთქავს. ფანჯრები დახურეს, ნაცრისფერი ფარდები შარიშურით ჩამოეშვა. მინდა ვთხოვო, გააღონ, ფანჯრები გააღონ. იქ გარეთ - მთელი სამყაროა. იქ მაღალი მთიანეთიდან მონაბერი ნიავია, წერწეტა ხეებს რომ წეწავს. საჭიროა სუნთქვა... - ისინი შემოვიდნენ.

- ახლოს მოიწი, გოგონავ, რომ გიცნოს. უთხარი, რა გქვია.

სასიამოვნო სურნელი იფრქვევა. გოგონას საამო სურნელი. ჯერ კიდევ შემიძლია დავინახო ანთებული ლოყები, აციმციმებული თვალები, ნორჩი, მოქნილი ტანი, ჩემი საწოლისკენ მოკრძალებით მომავალი...

- მე... მე გლორია ვარ...

- იმ დილით სიხარულით მოველოდი. მდინარეზე ცხენებით გადავედით.

- ხედავ, რითა მთავრდება ეს ყველაფერი? ჩემი ძმა... იმანაც ასე დაამთავრა...

- შენ ამით გულს გეფონება? მაშინ კეთილი.

- Ego te absolvo.[49]

ტკბილად ტკაცუნობენ ახალი ბანკნოტები და ბონები ისეთი კაცის ხელში, როგორიც მე ვარ. ნარნარად მისრიალებს საგანგებო დაკვეთით გაკეთებული მდიდრული ლიმუზინი - ჰაერის საკონდენსაციო მოწყობილობით, პაწაწკინტელა ბარით, ტელეფონით, ზურგის მისაყრდნობი ბალიშებითა და ფეხების შესაწყობი პატარა სკამებით... აბა, წმინდაო მამაო, როგორია? იქ, მაღლაც ასეა? ზეცა - ადამიანებზე მბრძანებლობაა, ადამიანთა ურიცხვ მასებზე, ვის სახეებსაც ვერ განასხვავებ, ვის სახელებსაც ვერ დაიხსომებ; მაღაროების, ფაბრიკების, გაზეთების სიებში მათი გვარები ათასობითაა. ესენი არიან უცნობი ადამიანები, დაბადების დღეს მილოცვებს რომ მიგზავნიან; მაღაროების დათვალიერებისას, ქუდის წინაფრის ქვეშ თვალებს რომ მალავენ, მოკრძალებით რომ ხრიან ხოლმე თავს, როცა მამულებს ჩამოვივლი; ოპოზიციურ ჟურნალებში ჩემზე კარიკატურებს რომ ხატავენ, ასე არ არის? ასეთი ცა

არსებობს. დიახ, არსებობს და იგი - ჩემია. და ეს ნიშნავს, რომ შენ ღმერთი ხარ? ხარ ის, ვისიც ეშინიათ და ვინც სძულთ? დიახ, ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ხარ. ახლა მითხარით, როგორ ვიხსნა ეს ყველაფერი და მე ნებას დაგრთავთ, ჩაატაროთ ყველა ცერემონია, მკერდში მჯიღის ცემით, იერუსალიმამდე ჩოქვით ვივლი, ძმარს დავლევ და ეკლის გვირგვინს დავიდგამ... მითხარით, როგორ ვიხსნა ყოველივე ეს, რადგან სახელითა...

- ...ძისა და სულისა წმიდისა, ამინ...

თავისთვის ბუტბუტებს ეს მუხლმოყრილი მირონცხებული. მინდა გადავბრუნდე. ზურგი ვაქციო. ნეკნქვეშ მტკივა და ვერ ვბრუნდები. ვაი-ვაი-ი, გამივლის. მომეშვება. მეძინება. ისევ მეწყება ტკივილი. მოყვარული ქალები. რაო, ჰო, არა. არ ვიცი. სახე დამავიწყდა, დამავიწყდა. იგი ჩემი იყო, ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება დამავიწყდეს.

„- პადილია... პადილია... საინფორმაციო განყოფილების შეფი და მაღალი საზოგადოების ქრონიკის განყოფილების რეპორტიორი გამოიძახეთ“.

შენი ხმა, პადილია; სისინში გამოღწეული ყრუ გამოძახილი...

„- ახლავე, დონ არტემიო. დონ არტემიო, ძალიან სასწრაფო საქმეა. ინდიელები არ მუშაობენ. თქვენი ტყის გაჭრისთვის ფულს ითხოვენ.

- ჰო? მაინც რამდენს ითხოვენ?

- ნახევარ მილიონს.

- მხოლოდ? ეხიდოსების კომისარს[50] გადაეცით, იქ წესრიგი დაამყაროს. განა რისთვის ვუხდი ფულს, ესღა მაკლდა...

- მისაღებში მენა იცდის. რა გადავცე?

- შემოვიდეს“.

ეჰ, პადილია, თვალის გახელა და შენი დანახვა არ შემიძლია, არ შემიძლია დავინახო მწუხარების ნიღაბქვეშ მოქცეული შენი ფიქრები. აგონიაში იკრუნჩხება ადამიანი, რომლის სახელია არტემიო კრუსი. ეს არის და ეს. არტემიო კრუსი. ეს კაცი კვდება, არა?

მორჩა და გათავდა. ბედისწერა ჯერჯერობით სხვა სიკვდილს ახანებს. ახლა მხოლოდ არტემიო კრუსი კვდება. და ამ სიკვდილმა ვიღაც სხვისი სიკვდილი გადასწია, იქნებ შენი, პადილია... ჰმ. არა. მე კიდევ მაქვს აქ საქმეები. ნუ ჩქარობთ, ნუ...

- ხომ გეუბნები, იგონებს-მეთქი.

- თავი დაანებე.

- გეუბნები, ეგ მხოლოდ ჩვენ გვამასხარავებს!

შორიდან ვხედავ. მათი თითები სწრაფად ხსნიან ორმაგ ძირს, გაფაციცებით ეძებენ, მაგრამ ვერაფერს ნახულობენ. მე მუხის უზარმაზარი გარდერობისკენ ვუთითებ, რომელსაც საძინებელი ოთახის მთელი მარცხენა კედელი უჭირავს. მაშინვე გარდერობს ეცნენ, დააღეს კარები, საკიდებზე ჩამოკიდებული ყველა კოსტიუმი გასინჯეს - ცისფერი, ზოლიანი, ორბორტიანი, ირლანდიური შალისა - დაავიწყდათ, რომ ეს ჩემი ტანსაცმელი არ არის, რომ ჩემი ნივთები ჩემს სახლში

დარჩა. ამ სიჩქარეში ყველა საკიდარი მისწი-მოსწიეს. მე კი ამ დროს ორივე ხელი მაღლა ავწიე და

როგორღაც მივახვედრე, რომ საბუთი რომელიღაც პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში დევს. კატალინასა და ტერესას მღელვარებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. გამძვინვარებულებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენეს, ნოხზე ისროდნენ პიჯაკს, სანამ ბოლოს და ბოლოს ჩხრეკა არ დაამთავრეს და მე არ მომიტრიალდნენ. რაც შემეძლო დინჯი იერი მივიღე. ძლივს ვსუნთქავ, აკოკოლავებულ ბალიშებზე დაყრდნობილი, მაგრამ არც ერთი წვრილმანი არა მრჩება შეუმჩნეველი. ალბათ, მახვილი და ხარბი მზერა მქონდა. ხელით ვიხმე, ჩემთან მოდი-მეთქი:

- გამახსენდა... ფეხსაცმელშია... ჰო, ჰო, იქ...

მართლაც რომ სანახავები არიან, ოთხზე ფორთხავენ, პიჯაკებისა და შარვლების გროვაზე გადადიან, მსუქან ბარძაყებს დაათანთალებენ, უკანალებს მიმიზნებენ, ურცხვად ქსუტუნებენ ჩემს ფეხსაცმელებზე. თვალებს მიბინდავს მწარე კმაყოფილებით მოგვრილი ცრემლი. ხელებს გულზე ვიკრეფ და თვალებს ვხუჭავ.

- რეხინა...

სადღაც, უკუნეთში იკარგება ორივე ქალის აღშფოთებული ჩურჩული და წრიალი. დიდი დრო აღარ მრჩება მოგონებისთვის, იმის მოგონებისთვის, რაც მიყვარს... რეხინა...

„- პადილია... ყური მიგდეთ, პადილია... რაიმე მსუბუქი მინდოდა მეჭამა... კუჭი მტკივა. გამომყევით, როდესაც დავამთავრებ...“

დიახ, არჩევ, ქმნი, აკეთებ, იცავ, აგრძელებ - ეს არის და ეს... მე...

„- დიახ, მალე შეხვედრამდე, მაქვს პატივი.

- სენიორ, თქვენ მარჯვედ უბრძანეთ. მაგათი მოთოკვა იოლია.

- არა, პადილია, არც ისე იოლი. ის თეფში მომაწოდეთ, აგერ ის, სენდვიჩები რომ აწყვია... ეგ ხალხი აბობოქრებულიც მინახავს. თუ მაგათ გადაწყვიტეს, ძნელადღა შეაჩერებ...“

როგორ იყო ის სიმღერა? „მიწა სულ ჩამომართვეს, მთავრობამ მიწა წამართვა, მეც სამხრეთისკენ გავემართე; მაგრამ ჩემთვის უშენოდ ბედნიერება არ არსებობს. მამასთან ან მეგობრებთან კი არ მოვედი - ეს შენ დაგიბრუნდი, ბედნიერებას...“

„- სწორედ ამიტომ ახლავე უნდა ვიმოქმედოთ, როცა უკმაყოფილება მხოლოდ ისახება. ახლავე ძირში უნდა მოიკვეთოს. ისინი მოუწესრიგებლები არიან და ყველაფერზე მიდიან ყველაფრისთვის. აიღეთ, აიღეთ სენდვიჩი, ორივეს გვეყოფა.

- ტყუილად ეჩრებიან...“

სპილოს ძვლისსახელურიანი წყვილი პისტოლეტი მაქვს, რომ ტყვია მივაჭედო მაგ რკინიგზელებს... როგორ არის ის სიმღერა: „ჩემი ხუანი, მაგალითად, თუ წყვილი ჩექმა აქვს, გგონიათ, ოფიცერია? სრულიადაც არა - იგი რკინიგზის ღატაკი მუშაა მხოლოდ“.

„- არა, ტყუილად რატომ, თუ იციან, რისთვის ეჩრებიან, მაგრამ ამათ არ იციან. თუმცა ხომ ყმაწვილობაში მარქსისტი იყავით, უკეთესად უნდა იცოდეთ, ურიგო არ იქნებოდა, ამჟამინდელი მოვლენების ცოტაოდენი შიში გქონოდათ. აბა, მე კი რისა უნდა...

- კამპანელა გელოდებათ“.

რაო, რა თქვეს? შენ რა გინდოდა? სისხლის ჩაქცევაო, თიაქარიო? ნაწლავების გაუვალობა? გახვრეტაო? გადახლართვაო? ჩხვლეტები?

ო, პადილია, ღილს უნდა ვეცე, შენ სწორედ დროზე მოხვედი. პადილია. მაგრამ ვერ გხედავ, ვინაიდან თვალები დახუჭული მაქვს, რადგან ამ ჩემი ფუტური თვალის ბადურას ვერ ვენდობი: ერთიც ვნახოთ, ქუთუთოები ავწიო, თვალებმა კი ვერაფერი დაინახონ, ტვინს ვერაფერი გადასცენ, მაშინ?!

- ფანჯარა გააღეთ.

- ყველაფერში შენ გადანაშაულებ. ისევე როგორც ჩემი ძმა.

- დიახ.

* * *

შენ ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები, შენ გვერდით მჯდომ კატალინას რად სჭირდება ჩაერიოს ამ მოგონებაში? შენს მოგონებაში, რომელმაც ყველა სხვა დაჩრდილა. რატომ ხარ შენ აქ, ხოლო ლორენსო - იქ? რა სურს გაგახსენოს? ამ ციხეში შენი და გონსალოს ყოფნის ამბავი. იმ მთებში ლორენსოს უშენოდ დარჩენა? შენ კი ვერ გაიგებ, ვერ შეძლებ ნათლად წარმოიდგინო, ვინ რა იყო მაშინ, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს: შენ იგი იყავი თუ იგი იყო შენ. ის დღე მასთან ერთად იცოცხლე, უმისოდ, მის ნაცვლად თუ მან იცოცხლა შენ ნაცვლად? მოიგონებ. ჰო, იმ უკანასკნელ დღეს იქ ერთად იყავით. და მაშინ ჯერ კიდევ არ იდგა საკითხი - რომელს ეცოცხლა მეორის ნაცვლად. თქვენ ერთად იყავით. ვაჟიშვილმა გკითხა, ერთად ხომ არ წავსულიყავით ცხენებით ზღვისკენო. სასადილოდ სად შევჩერდებითო. და გითხრა... გეტყვის: „წინ, მამა“ - და გაგიღებს, თოფიან ხელს აიქნევს და ცხენს ფონზე მიუშვებს, შიშველ ზურგს შემართავს, თავს ზემოთ ასწევს თოფსა და ბრეზენტის ჩანთას. კატალინა იქ არ იქნება. იგი ვერ მოიგონებს ამ ამბავს. სწორედ ამიტომ შეეცდები მოიგონო, რათა დაივიწყო ის, რაც მას უნდა, ახლა რომ მოგაგონოს. კატალინა განმარტოებულად იცხოვრებს და ძალიან

აღელდება, როდესაც გაიგებს, რომ ვაჟიშვილი რამდენიმე დღით მეხიკოში შეივლის გამოსამშვიდობებლად. ოღონდ გამოსამშვიდობებლად შეივლიდეს. კატალინას სჯერა შვილისა, მაგრამ იგი ამას არ გააკეთებს. ვერაკრუსში გემზე დაჯდება, გაემგზავრება. კატალინა ფიქრობს თავის საძინებელზე, ძილის სამეფოზე, თუმცა კი აივნის ღია კარიდან გაზაფხულის ჰაერი იღვრება. მას ახსენდება გაყოფილი საძინებელი, გაყოფილი სარეცელი, აბრეშუმის ბალიშები და დაჭმუჭნილი ზეწრები, ჩატკეპნილი ბუმბული, რომელსაც ატყვია მათი მოხაზულობა, ვინც ზედ იწვა. მაგრამ იგი ვერასოდეს გაიხსენებს ცხენის მბზინავ გავას, შავ ალმასს რომ მიაგავს, ამღვრეული მდინარით ჩამორეცხილს. შენ კი შეძლებ. მდინარეზე გადასვლის დროს შენ და შენი შვილი აბოლებულ დილის ნისლში სანაპიროს დალანდავთ. ყველა საგანი შუაზე გაიყოფა, საოცრად გაორდება ნათელი სხივებით გასერილ ნესტიან უკუნში, ტევრის სიბნელისა და აგიზგიზებული მზის ბრძოლაში. ბანანების სურნელი მოიფრქვევა. ეს კოკუიაა. კატალინა ვერასოდეს გაიგებს, რა არის კოკუია, რა იყო და რად დარჩება. ცალ ხელში სარკეს დაიჭერს, მეორეში კი ჯაგრისს, შვილის მოლოდინში საწოლის კიდეზე ჩამოჯდება, პირში მომწარო გემოს შეიგრძნობს, თვალებს სიცარიელეს მიაპყრობს და ასე გაუნძრევლად მყოფი ირწმუნებს, რომ უმოქმედოდ მჯდომს სამუდამოდ

გაეცლებიან შფოთიანი ზმანებები. დიახ, მხოლოდ შენ და შენი ვაჟიშვილი გაიგონებთ, ჩლიქებქვეშ როგორ ატლაშუნდება სანაპიროს ფხვიერი მიწა. წყლიდან ამოსულები სელვის სიგრილესა და ცხელ სუნთქვას შეიგრძნობთ: მდორე მდინარე გაღმა ნაპირთან შეარხევს ბიბინა ისლს, იქით კი, ბილიკის ბოლოს, ჩრდილოვან მდელოზე ტაბაჩინის წითელი ყვავილებით დაბურული ახალშეღებილი სახლია - კოკუიას ასიენდე. კატალინა წამდაუწუმ იბუტბუტებს:

„ღმერთო ჩემო, მე რისთვის...“ - სარკეში ჩაიხედავს და იკითხავს, ნუთუ ასეთი უნდა მიხილოს ლორენსომ, როცა მოვა, თუკი საერთოდ მოვა: ჩამოხლეწილი ლოყები, ყელზე ნაოჭები. შეამჩნევს კი იმ საზარელ ნაოჭებს, მის ქუთუთოებსა და ღაწვებს რომ ღარავენ? სარკეში თმის ჭაღარა ღერს შენიშნავს და ამოიგლეჯს, შენ კი ლორენსოსთან ერთად სელვაში ღრმად შეხვალ. მიაცქერდები შენი შვილის შიშველ ზურგს, ხან მაგნოლიის ჩრდილში რომ ზავდება, ხან კი სქელ ტოტებში გამოღწეული მზის მცხუნვარე სხივები კვეთს. მაჩეტეთი გაკვალულ ბილიკზე ხეთა საზარლად დაგრეხილი ფესვები გამოჩნდება. სულ მალე ლიანების წნულში ბილიკი ისევ იკარგება. ლორენსო წინ მიდის, გამართული ზის, ცხენს მათრახს უტყლაშუნებს ბზუილა ბუზების გასაფანტად. კატალინა წამდაუწუმ იმეორებს, რომ ვაჟიშვილი მას არ ენდობა, თუ ისეთს არ ნახავს, როგორიც უწინ იყო,

მაშინ, მის პატარა ბიჭობაში. აკვნესებული, ცრემლმორეული ქალი ხელებგაშლილი საწოლზე დაემხობა. აბრეშუმის ფეხსაცმელი იატაკზე ჩაუცურდება და თავის შვილზე ფიქრი წაიღებს, ფიქრი ვაჟიშვილზე, რომელიც ასე ჰგავს მამამისს, ისეთივე ტანადია, ისეთივე შავგვრემანი. ცხენების ფლოქვებქვეშ გამხმარი ტოტები ატკაცუნდება, წინ კი თეთრი ვაკე გადაეშლებათ - ლერწმის საგველების მღელვარე ზღვა. ლორენსო ცხენს დეზს ჰკრავს. შენკენ შემოტრიალდება, ტუჩები ღიმილით გაეპობა - შენ მის ღიმილს დაინახავ, გაიგონებ სიხარულის შეძახილსაც. დაკუნთული ხელები, ზეთისხილისფერი კანი, ღიმილი, თეთრი კბილების ელვარება - ისევე როგორც შენ გქონდა ახალგაზრდობაში. ვაჟიშვილი და ეს ადგილები სიჭაბუკეს დაგიბრუნებს, მაგრამ შენ არ ეტყვი ლორენსოს, რამდენი რამ გაკავშირებს ამ მიწასთან - ალბათ, იმიტომ, რომ არ გინდა მღელვარება გაუძლიერო. შენ ამას გაიხსენებ მხოლოდ შენთვის, საკუთარი თავისთვის. საწოლზე გაწოლილი კატალინა გაიხსენებს პაწია ლორენსოს ალერსს მოხუცი გამალიელის სიკვდილის შემდგომ მძიმე დღეებში, გაიხსენებს მასზე მიხუტებულ პაწიას, თავი დედის კალთაში რომ ჩაუდვია. მაშინ ბიჭუნას თავისი სიცოცხლის სიხარული უწოდა. მის დაბადებამდე კი ასე არ ფიქრობდა: ძალიან იტანჯებოდა, თან ვერავის შესჩივლებდა, რადგან თავის წმინდა მოვალეობას

ასრულებდა. ბავშვი კი შეჰყურებდა და ვერაფერი გაეგო: ვინაიდან, ვინაიდან... - შენ ლორენსოს კოკუიაში მოიყვან, რათა თავად შეიყვაროს ეს მიწა - შენი წაქეზების გარეშე, იმ ჯიუტი სიყვარულის მიზეზების აუხსნელად, რითაც მისთვის ხელახლა ააგე გადამწვარი ასიენდე და ეს მინდორიც დაამუშავე. ყოველგვარი „ვინაიდან, ვინაიდანის“ გარეშე. მამა-შვილი მზით განათებულ მინდორზე გააჭენებენ ცხენებს. წარბებზე ჩამოიფხატავ განიერფარფლებიან სომბრეროს. ცხენების ჭენება მშვიდ, გავარვარებულ ჰაერს აატოკებს და ქარი ჩაგივარდება პირში, ყურებში, თავში. ლორენსო წინ გაიჭრება და პლანტაციებს შორის სწორ შარაზე თეთრი მტვრის კორიანტელს დააყენებს. შენ უკან მიჰყვები, დარწმუნებული, რომ ორივე ერთსა და იმავეს განიცდით. ჭენება აფორიაქებს, ამღელვარებს სისხლს, ამახვილებს მხედველობას, რომელიც მიჯაჭვულია ამ

ვრცელსა და ნაყოფიერ მიწას, შენთვის ცნობილი უდაბნოებისა და მთიანეთისაგან ასე განსხვავებულს, დიდ წითელ, მწვანე თუ შავ ოთხკუთხედებად რომ არის დაყოფილი და მაღალი პალმებით დამშვენებული; ეს ზღვასავით მშფოთვარე, ნაკელისა და დამპალი ხილის სუნით გაჟღენთილი მიწა თქვენს სულებს აფორიაქებს, ორივეს აღგაგზნებთ, მთელი ძალით რომ მიაგელვებთ ცხენებს, გეძაბებათ ყოველი მთვლემარე ნერვი, ყოველი მოდუნებული კუნთი. შენი

დეზები გასისხლიანებამდე სერავენ ზერდაგის მუცელს: შენ იცი, ლორენსოს სწრაფი ჭენება უყვარს. მისი გაოცებული მზერა კატალინას დაადუმებს. სიტყვა შუაზე უწყდება, თავშეუკავებლობას უსაყვედურებს საკუთარ თავს, გუნებაში გაიფიქრებს, რომ ეს დროის საკითხია, პატარა ვაჟიშვილს თავისი ტანჯვის მიზეზი შემდეგ უნდა აუხსნას, როცა იგი შეძლებს ყველაფერი ისე გაიგოს, როგორც საჭიროა. კატალინა სავარძელში ჩაჯდება, ბიჭი ფერხთით დაუჯდება, მუხლებზე ხელებს დააწყობს. ფლოქვებქვეშ მიწა აგუგუნდება. შენ თავს ცხენის ყურთან დახრი, თითქოს სიტყვით გინდოდა შეგეფუცხუნებინა, მაგრამ ინდიელი იაკი ძალიან მძიმეა, ძალიან მძიმე, იაკი, შენს ქამარს ხელებით რომ ეპოტინება. შენ კი ტკივილს არ იგრძნობ, თუმცა შენი ხელი და ფეხი წნელებივით ჩამოეკიდება, იაკი კი მაინც შენს ქამარს მოეჭიდება და აკვნესდება, საშინლად დამანჭავს სახეს. თქვენს გზაზე კლდეები აიჩხორება და მათ ჩრდილს შეფარებულნი მთის ხეობაში ჩახვალთ, ქვაღორღიან ღარტაფებში, ღრმა კარიერებში, ამომშრალი ნაკადულების გასწვრივ, გვიმრითა და ბირკით მოდებულ ბილიკებზე ივლით. ვინ მოიგონებს შენთან ერთად? ლორენსო, უშენოდ დარჩენილი იქ, მთებში? თუ გონსალო, შენთან მყოფი ამ ციხეში?

* * *

1915 წლის 22 ოქტომბერი

ის ლურჯ სარაპეში უფრო მჭიდროდ გაეხვია. ღამის სუსხიანი ქარი ბალახს აშრიალებდა და დღის მცხუნვარე პაპანების გახსენებასაც კი ფანტავდა. მთელი ღამე მშივრებმა და გათოშილებმა მოშიშვლებულ მინდორზე გაატარეს. წინ, ორიოდე კილომეტრზე, სიერას ბაზალტოვანი მწვერვალები მოჩანდნენ, პირქუშ, მოუსავლიან უდაბნოს რომ გადმოჰყურებდნენ. მზვერავთა რაზმი მთელი სამი დღე უგზოდ დადიოდა, კაპიტნის ალღოს მინდობილი, რომელმაც, ეტყობოდა, კარგად იცოდა დამარცხებული და გაქცევით თავდაღწეული ფრანსისკო ვილიას[51] ჯარის ზნე და მიმართულება. რაზმს სამოცი კილომეტრის დაშორებით არმია მიჰყვებოდა, რომელიც გაქაფულ ცხენიან მაცნესღა ელოდა, რათა მაშინვე დასტაკებოდა ვილიას ჯარის ნარჩენებს და არ მიეცა საშუალება ჩიუაუას შტატში ახალ ძალებს შეერთებოდნენ. მაინც სად არიან ეს მაწანწალები და მათი მეთაური? მას, რა თქმა უნდა, არ ეეჭვებოდა, რომ სადღაც მთიანეთში ბილიკებს იქნებოდნენ შეხიზნულნი, სადაც ეშმაკიც კი ფეხს

მოიტეხს - მზვერავთა რაზმი სიერაში ღრმად უნდა შესულიყო, ხოლო კარანსას არმიას მათ ბოლო სამყოფლამდე უნდა მიეღწია. თვითონ თავისი ხალხით აქედან განთიადისას დაიძვრება. ჯერ კიდევ გუშინ გაუთავდათ სიმინდის ფქვილის მარაგი, სერჟანტი ცხენით წავიდა თავისი მათარებიანად იმ ნაკადულისკენ, სადღაც კლდეებიდან რომ გადმოდიოდა და მინდორზე გასული შრებოდა, მაგრამ ვერ იპოვა. მხოლოდ კალაპოტი დაინახა, - წითლად დაძარღვული, სუფთა, ჩანაოჭებული, ამომშრალი. ორი წლის წინ ამ ადგილებში სწორედ წვიმების პერიოდში მოუწიათ გავლამ, ახლა კი წყურვილით გაწამებულ ჯარისკაცებს ავარდისფრებული აღმოსავლეთის მხრიდან მხოლოდ მრგვალი ვარსკვლავი დასციმციმებდა. შესასვენებლად შეჩერდნენ, მაგრამ ცეცხლი არ დაუნთიათ, მთიდან მტრის მზვერავებმა არ დაგვინახონო. ან კი რად უნდოდათ ცეცხლი? მოსახარში არაფერი ჰქონდათ, უკიდეგანო ვაკეზე კი კოცონთან ვერ გათბები. სარაპეში გახვეული გალეულ სახეზე ხელს ისვამდა: ულვაშის შავი ბოლოები წვერს შეზრდოდა, ტუჩებში, წარბებში, ცხვირის ნაოჭებში მტვერი ჩაჰბუდებოდა. ოცდარვა კაცი კაპიტნიდან სულ რაღაც რამდენიმე მეტრის მოშორებით ისვენებდა. თვითონ მას ეძინა ან მზირზე მარტოდმარტო იდგა თავისი მებრძოლებისაგან მოშორებით. დაუდეგარი ქარი

ცხენების კუდებს აფრიალებდა. გადაყვითლებულ ვაკეზე მათი შავი ჩრდილები უფრო მოკლე ჩანდა. მთაში ყოფნა უნდოდა: იქ, სადღაც, ზემოთ, ერთადერთი ნამცეცა მდინარე იბადება და ქვებს შორის თავის ხანმოკლე სიგრილეს ტოვებს. მთაში ასვლა ეჩქარებოდა. მტერი შორს არ უნდა წასულიყო. იმ ღამით სხეული სიმივით ჰქონდა დაჭიმული. შიმშილმა და წყურვილმა თვალის ფოსოები კიდევ უფრო ჩაუღრმავა, ფართოდ გაახელინა პირდაპირ და ცივად მზირალი მწვანე თვალები.

მისი სახის მტვერშეყრილი ნიღაბი უძრავი იყო და დაძაბული. პირველ ნათებას უცდიდა, რომ დაძრულიყო, - მეოთხე დღის ალიონს, როგორც შეთანხმებული იყვნენ. თითქმის არავის ეძინა, მას შემოსცქეროდნენ. იგი კი მუხლებზე ხელებშემოჭდობილი, სარაპეში გახვეული უძრავად იჯდა. თვალმილულულნიც ვერ იძინებდნენ წყურვილის, შიმშილისა და დაღლილობისაგან. ის, ვინც კაპიტნისკენ არ იყურებოდა, შუბლზე თმაშეჭრილი ცხენების დრუნჩებს მისჩერებოდა. სადავეები მიწიდან ეულად ამოჩრილ ფესვმაგარ, მძლავრ მესკიტეზე მიებათ. დაღლილ ცხენებს თავები ჩაექინდრათ. საცაა მთიდან მზე ამოყოფდა თავს. დგებოდა წასვლის ჟამი.

ყველა ელოდა, ბოლოს და ბოლოს დადგა წუთი, როცა კაპიტანი წამოდგა და ლურჯი სარაპე გადაიგდო - გამოჩნდა პატრონტაშში ჩამჯდარი მკერდი, ოფიცრის კიტელის ბრჭყვიალა ბალთა, ღორის ტყავის კრაგები. ჯარისკაცები უსიტყვოდ ადგნენ და ცხენებისკენ გაემართნენ. კაპიტნის გადაწყვეტილება სწორი იყო. დაბალ მწვერვალებს უკვე გადაეფინა წითელი მარაო. იქ, მაღლა კი, თანდათან იზრდებოდა ბრიალა ნახევარწრე, რომელსაც ჩიტების გუნდი ჟივილ-ხივილით ეგებებოდა. ამ უჩინარი, შორეული ფრთოსნების ხმებით ივსებოდა უკიდეგანო სივრცეც. მან იაკის[52] ტომის ინდიელი ტობიასი თითით მოიხმო და ინდიელთა ენაზე უთხრა: „შენ სულ ბოლოს წამოხვალ. როგორც კი მტერს შევნიშნავთ, მაშინვე ჩვენებისკენ გამოქუსლავ“.

იაკიმ უჩუმრად დაუქნია თავი და დაბალი შლაპა დაიხურა, რომელსაც ლენტით მიმაგრებული წითელი ფრთა ამშვენებდა. კაპიტანი უნაგირზე შეხტა და მხედართა მწკრივი ჩორთით გაუყვა სიერას კარიბჭისკენ - ვიწრო მოყვითალო კანიონისკენ.

კანიონის მარჯვენა ფერდობს ქვის სამი ლავგარდანი ამშვენებდა. რაზმი მეორისკენ გაეშურა. ლავგარდანი არცთუ ძალიან განიერი იყო, მაგრამ დაწალიკებით

შეიძლებოდა ცხენებს გაევლოთ. თანაც ამ გზით ზედ წყაროს მიადგებოდნენ. მხედრების ფეხებს ხმაურით ეხათქუნებოდა ცარიელი მათარები. ამ ხმას იმეორებდნენ ცხენების ფლოქვებით უფსკრულში გადაყრილი ქვები, კანიონის ძირში დოლის რაკარუკივით ნელ-ნელა რომ იკარგებოდა. მაღლიდან ისე გეგონებოდათ, თითქოს ცხენებზე დახრილი მხედრების მწკრივი ალალბედზე მიიკვლევდა გზას. მხოლოდ კრუსს არ დაუხრია თავი, თავის ცხენს სავსებით დანდობილი, მზეზე თვალმოჭუტული მალიმალ გახედავდა ხოლმე მთათა წვეროებს. რაზმის მეთაურობა არც შიშს ჰგვრიდა, არც სიამაყეს, შიში წარსულში დარჩა - თუ პირველ ბრძოლაში არა, შემდგომ ურიცხვ ბრძოლაში მაინც, რომელთა წყალობით ხიფათი ჩვეულებრივ ამბად ექცა, ხოლო სიმშვიდე - იშვიათ ხილად. ამიტომ კანიონის სამარისებური სიჩუმე აფორიაქებდა, აიძულებდა, მაგრად ჩაებღუჯა სადავე; უნებურად ეძაბებოდა ხელი, რევოლვერისთვის წასავლებად გამზადებული. თითქოს არც პატივმოყვარეობა უღრღნიდა გულს. ჯერ შიშმა, შემდეგ ჩვეულებამ ჩაახშო ეს გრძნობა. საკუთარ

თავთან საკეკლუცოდ სად ეცალა, როცა პირველი ტყვიები ზედ ყურებთან ზუზუნებდა და აიძულებდა, შეჰგუებოდა უცნაურ ცხოვრებას. კიდევ კარგი, ტყვიები მიზანში არ ხვდებოდა. აკვირვებდა საკუთარი ბრმა ინსტინქტი, რომლის კარნახით ხან გვერდზე

გახტებოდა, ხან წელში იმართებოდა, ხან ჩაჯდებოდა, ხანაც ხეს ეფარებოდა. უკვირდა და თავისი სხეული ეზიზღებოდა იმის გაფიქრებისას, თუ როგორი შეუპოვრობით ახერხებდა ხიფათისგან თავის დაძვრენას, ვიდრე დაფიქრდებოდა. ქედმაღლობის დრო არც შემდეგ ჰქონდა, როცა ტყვიების მომაბეზრებელი ზუზუნი ჩვეულ ამბად ექცა. მაგრამ, როცა ირგვლივ მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, მოუსვენრობა ეუფლებოდა, ღრღნიდა, აფორიაქებდა, ქვედა ტუჩი უნებურად ებურცებოდა.

ზურგს უკან ჯარისკაცის გამაფრთხილებელმა სტვენამ მისი შიში დაადასტურა - არც ისე მშვიდია კანიონი. სტვენა უეცარმა გასროლამ გაწყვიტა და მეთაურს ნაცნობი ყვირილი შემოესმა: პანჩო ვილიას ჯარისკაცებმა კანიონის წვეროდან თავიანთი ცხენები ძირს, ციცაბო ფერდობზე გადმოყარეს და ზედა ლავგარდანიდან მზვერავებს თოფების ცეცხლი დაუშინეს. გასისხლიანებული, გაშმაგებული ცხენები თოფების გრიალში დაჭრილ მხედრებთან ერთად უფსკრულში მიგორავდნენ, ბასრ ქვებს ეხეთქებოდნენ. მეთაურმა თავის მობრუნება მოასწრო. დაინახა, ვილიას ჯარისკაცის მსგავსად როგორ დაეშვა ციცაბოზე ტობიასი. მაგრამ ინდიელმა ვერ შეასრულა ბრძანება: მისმა ცხენმა წაიფორხილა, მერე ერთი წამი უფსკრულისკენ იფრინა, ხეობის

ფსკერს დაეხეთქა და მხედარიც ქვეშ მოიყოლა. ყვირილი ძლიერდებოდა, თოფების ბათქაბუთქი გახშირდა. მეთაური სწრაფად გადაიხარა მარცხენა ფერდისკენ, უნაგირიდან გადახტა და კლდის შვერილებს ჩაეჭიდა, რომ არ დაცემულიყო. წამით მის თვალწინ ყალყზე შემდგარი ცხენების მუცლებმა და ტყვია-წამლის ბოლმა გაიელვა - ამაოდ ირჯებოდნენ, ამაოდ ხარჯავდნენ ტყვია-წამალს კლდის ვიწრო ლავგარდანზე მიმწყვდეული მისი მებრძოლები: მათ არც თავის შეფარება შეეძლოთ და არც ცხენების მოტრიალება. თვითონ ძირისკენ მიგორავდა; ქვებმა ხელები გადაუტყავა, ვილიას მებრძოლები კი მეორე ლავგარდანზე გადმოხტნენ, რათა მზვერავებს ხელდახელ შებმოდნენ. ისევ მოისმა საშინელი ზვავის გრუხუნი - უფსკრულისკენ მიექანებოდნენ ერთმანეთს გადახვეული სხეულები თუ გაცოფებული ცხენები. ის კი ამ დროს გასისხლიანებულ ხელებს კანიონის ბნელ ფსკერზე აფათურებდა და რევოლვერის ამოღებას ცდილობდა. ისევ სიჩუმეში ჩაიძირა. მისი რაზმი განადგურებულიყო. უზარმაზარი კლდის ქვეშ წაწვა. მხარიც სტკიოდა და ფეხი სტეხდა.

- კაპიტანო კრუს, გამოდით, დაგვნებდით, კმარა...

გამშრალი ყელიდან ძლივს ამოთქვა პასუხი:

- რომ დამხვრიტოთ? არა, აქ მოვიცდი.

ტკივილისგან დადამბლავებული თითებიდან რევოლვერი ლამის გავარდნოდა, ძლივძლივობით ასწია მარჯვენა ხელი და უცბად სადღაც, შიგ მუცელში, მწვავე ტკივილი იგრძნო. ისე, ალალბედზე ისროლა - ძალა არ ჰყოფნიდა დასამიზნებლად; ისროდა, სანამ ცარიელი სასხლეტი არ ატკაცუნდა. მერე რევოლვერი კლდის იქით მოისროლა, ზემოდან ისევ ჩამოაღწია ხმამ:

- ხელები კეფაზე და გამოდით.

კლდის იქითა მხარეს სამ ათეულზე მეტი მკვდარი თუ მომაკვდავი ცხენი ეყარა. ზოგი ცდილობდა თავი აეწია, ზოგიც წინა ფეხებს გაშმაგებით იქნევდა; ბევრს შუბლზე, კისერზე, მუცელზე იარები წითლად უღვიოდა. ცხენებზე თუ ცხენებქვეშ მოყოლილნი იწვნენ ორივე რაზმის მებრძოლები. ვინ როგორ იწვა და ვინ როგორ: ზოგი პირაღმა, თითქოს პირი უხილავი წყაროსთვის შეუშვერიაო; ზოგიც პირდაღმა, ქვებს ჩაბღუჯული, ყველა მკვდარი იყო იმ ერთის გარდა, წაბლას ქვეშ მოქცეული რომ კვნესოდა.

- გამომათრევინეთ! - ასძახა ზევით მყოფთ, - იქნება ვინმე თქვენიანია.

მაგრამ როგორ? ძალა საიდან მოეკრიბა? დაიხარა თუ არა, რომ ცხენის ქვეშ გართხმული ტობიასის სხეულისთვის იღლიებში ჩაევლო ხელი, ჰაერში ტყვიამ გაიზუზუნა და ქვას მიეჭედა. კრუსმა ზევით აიხედა. გამარჯვებული მეთაური - მაღალი შლაპა მთის ფონზე თეთრად რომ მოუჩანდა, - მსროლელს ხელით დაემუქრა. წებოვანი, ბინძური ოფლი ხელებზე ჩამოსდიოდა; მარჯვენა ხელის მტევანს საერთოდ ვერ გრძნობდა, მარცხენით კი ტობიასის მკერდს მაგრად ჩააფრინდა.

ზურგს უკან ფლოქვების ხმა შემოესმა. ვილიას ხალხი დაწალიკებული ეშვებოდა ხეობაში მის დასაჭერად. ის იყო, ცხენის მუცლის ქვეშიდან ინდიელი იაკის დამსხვრეული ფეხები გამოჩნდა, რომ ისინიც წამოადგნენ. ვილიას მებრძოლებმა კრუსს პატრონტაში ააგლიჯეს.

დილის შვიდი საათი იყო.

პერალესის ციხეს რომ მიაღწია, გაუკვირდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, ვილიას

მებრძოლებმა პოლკოვნიკ საგალის მეთაურობით და ორმა ტყვემ ცხრა საათში როგორ გაიარეს სიერას ციცაბო ბილიკები და ჩიუაუას რაიონის სოფელს ჩამოაღწიეს. ტკივილისგან თავბრუდახვეული ბუნდოვნად არჩევდა გზას. მისთვის ძალიან მძიმე გზას. სამაგიეროდ, ძალიან იოლს მათთვის, ვინც, საგალის მსგავსად, პანჩო ვილიას პირველი უკან დახევის დროიდან ამ ოცი წლის განმავლობაში თან ახლდა, ეს მთებიც შემოიარა და იცოდა ყველა საფარი, გასასვლელი, ფლატე თუ ბილიკი.

სოკოს მოყვანილობის თეთრი შლაპა საგალს თითქმის ნახევარ სახეს უფარავდა, მაგრამ შავი ულვაშითა და წვერით გარშემორტყმული მისი გრძელი, მაგარი კბილები მუდამ ღიმილით კიაფობდნენ, კიაფობდნენ, როცა კრუსი ძლივს

შეჯდა ცხენზე, ხოლო იაკის დამსხვრეული სხეული უკან, მისი ცხენის გავაზე პირდაღმა გადაკიდეს. კიაფობდნენ, როცა ტობიასმა ხელი გაიწვდინა და კაპიტნის ქამარს სტაცა. კიაფობდნენ, როცა რაზმი დაიძრა და მთებში ხახადაფჩენილი ხვრელისკენ გაემართა, შევიდა იმ ნამდვილ გვირაბში, რომელიც არც მან, არც სხვა კარანსისტმა არ იცოდა. გვირაბით კი ერთ საათში იმდენი მანძილი გაიარეს, რასაც მიწისზედა გზებით ოთხ საათშიც ვერ გაივლიდნენ. მაგრამ კრუსი ახლა ამაზე არ ფიქრობდა. მან იცოდა, რომ ამ ბანდიტურ

ომში ორივე მხარე ადგილზევე ხვრეტდა მტრის ოფიცრებს და ახლა საკუთარ თავს ეკითხებოდა, პოლკოვნიკმა საგალმა სხვა ბედი რად განმიმზადაო.

იმედი ამშვიდებდა. დაცემისას მოტეხილი ხელ-ფეხი წნელებივით ეკიდა, იაკი კი ქამარზე ქაჩავდა და სახედაღრეჯილი გაბმით კვნესოდა. მთის ერთ აკლდამას მეორე ცვლიდა. ისინი ჩრდილ-ჩრდილ მიდიოდნენ სიერას წიაღში, უკან ტოვებდნენ ქვის დერეფნებსა და ღრმა ხეობებს, ნაკადულთა გადამშრალ კალაპოტებს, სახურავებით რომ გადმოსდგომოდნენ თავს, მხედრების თავზე ეკლოვანი თაღივით გადაწნილ გვიმრის ბარდებსა და ბუჩქნარებში შემავალ ბილიკებს. მხოლოდ პანჩო ვილიას ხალხი ყოფილა ამ ადგილებში, ფიქრობდა იგი. ამიტომ მოახერხეს მათ თავის დროზე კრიალოსანივით აეკინძათ პარტიზანული გამარჯვებები და ამ კრიალოსნით დიქტატურა მოეხრჩოთ. მათ ეხერხებათ უეცარი დარტყმები, ალყის შემორტყმა და სწრაფი უკუქცევა შეტევის შემდეგ. კრუსის ტაქტიკის საწინააღმდეგო ტაქტიკა, გენერალ ალვარო ობრეგონის ტაქტიკის საწინააღმდეგოც, რომელიც ბრძოლას ამჯობინებდა გაშლილ მინდორზე, - კარგად შესწავლილ ადგილებში, ზუსტი დისპოზიციითა და მანევრებით.

- სწორდით, ნუ ჩამორჩებით! - ისმოდა პოლკოვნიკ საგალის ხმა, რომელიც კბილების კრეჭითა და ფურთხებით მიაჭენებდა ცხენს კოლონის ბოლოსკენ, - მალე ვაკეზე გავალთ, იქ კი ეშმაკმა უწყის, რა გველის. ყველა ფხიზლად იყავით, თვალი გეჭიროთ - გზაზე სადმე მტვერის ავარდნა არ გამოგვეპაროს, ყველა ერთად უფრო შევნიშნავთ, ვიდრე მარტო მე...

უზარმაზარი კლდეები გაიხსნა, რაზმი ზეგანზე გამოვიდა და მესტიკეს ხეებით აჭრელებული ჩიუაუას ველი მათ ფეხქვეშ გაიშალა. სიცხეს მთის ნიავი არბილებდა: მისი გრილი სუნთქვა მიწის ცხელ ქერქს არასოდეს ეხებოდა.

- მაღაროსკენ გაუხვიე, მოკლეზე გავალთ! - დაიყვირა საგალმა, - კრუს, მაგრად დაიჭირეთ თქვენი ამხანაგი, ძალიან დამრეცი დაღმართია.

იაკიმ ხელით არტემიოს ქამარი მოქაჩა. კრუსს მოეჩვენა, რომ ეს რაღაც ნიშანი იყო, მისი ყურადღების მიპყრობის ცდა. იგი დაიხარა, ცხენს ალერსით მოუთათუნა ხელი კისერზე და ტობიასის დაღმეჭილი სახისკენ შეაბრუნა თავი.

ინდიელი თავის ენაზე აჩურჩულდა:

- ჩვენ მაღაროს ჩავუვლით, დიდი ხნის მიტოვებული მაღაროა. როცა ერთ-ერთ შესასვლელს გავუსწორდებით, გადახტი და მაღაროსკენ გაიქეცი, იქ ბევრი გასასვლელია და ვერ გიპოვიან.

კრუსი ცხენის ფაფარს ხელით ვარცხნიდა, ბოლოს, როგორც იქნა, თავი ასწია და შეეცადა დაღმართზე ჩასვლის დროს გაერჩია მაღაროს ის შესასვლელი, რომელზეც ტობიასი ელაპარაკებოდა.

იაკიმ უჩურჩულა: „ჩემზე არ იფიქრო. მე ფეხები მოტეხილი მაქვს“.

თორმეტია თუ პირველი? მზე კარგა მაგრად აცხუნებდა.

ერთ-ერთ ფრიალოზე ორი შველი გამოჩნდა. რომელიღაც ჯარისკაცმა გაისროლა. ერთი შველი გაუჩინარდა, მეორე კი დაბლა ჩამოგორდა. ვილიას მებრძოლი ცხენიდან გადახტა და შველი მხრებზე მოიგდო.

- ნადირობა აღარავინ გაბედოს! - გაისმა საგალის მკაცრი ხმა, - კაპრალო პაიან, ოდესმე ძვირად დაგიჯდება ეს გასროლა.

პოლკოვნიკი უზანგებზე აღიმართა და რაზმს მიმართა:

- სულელებო, ბოლოს და ბოლოს, გაიგეთ: კარანკლანები[53] კვალში გვიდგანან. ტყუილუბრალოდ რად ვხარჯოთ ტყვიები? იქნებ ფიქრობთ, რომ ძველებურად გამარჯვებულნი სამხრეთისკენ მივემართებით? პირიქით, ჩვენ დავმარცხდით და ჩრდილოეთისკენ მივიწევთ, იქით, საიდანაც მოვედით.

- ჰო, მაგრამ, ჩემო პოლკოვნიკო, - გაისმა კაპრალის ბოხი ხმა, - საჭმელი მაინც გვექნება.

- საჭმელი კი არა, მე შენი... - აფეთქდა საგალი.

რაზმმა გადაიხარხარა, პაიანმა კი მოკლული შველი თავის უნაგირს გამოაბა.

- არც წყალს, არც ფქვილს ხელი არ ახლოთ, სანამ ქვევით არ ჩავალთ, - ბრძანა საგალმა.

კრუსი თვალს არ აშორებდა ფლატეს ბილიკს. იქ, მოსახვევის იქით, ხახადაღებული მაღარო ჩანდა.

სიგალის ცხენის ფლოქვებქვეშ ვიწრო რელსები გაწკარუნდა, მაღაროს შესასვლელიდან კაი ნახევარ მეტრზე რომ გამოჩენილიყო. კრუსმაც ისკუპა, ჩაკოტრიალდა დაღმართზე, სახტად დარჩენილმა ჯარისკაცებმა ძლივს მოასწრეს იარაღისთვის ხელის წავლება, რომ იგი უკვე სადღაც სიბნელეში მუხლებზე დავარდა. მოისმა პირველი გასროლა და ვილიას მებრძოლების ხმები. მიწისქვეშეთის სიგრილემ გამოაცოცხლა, მაგრამ სიბნელისგან თავბრუ დაეხვა, წინ, მხოლოდ წინ: ფეხები ტკივილს არ გრძნობდნენ, მარდად მიარბენინებდნენ, ვიდრე სხეული კლდეს არ შეეჯახა. ხელები გაშალა, მიხვდა: მარჯვნივ და მარცხნივ დერეფნები იყო. ერთი მხრიდან სუფთა ჰაერი მოდიოდა,

მეორიდან - დახუთული, ცხელი. გაშლილი ხელების თითებმა იგრძნეს ტემპერატურის სხვაობა. იგი ისევ იქითკენ გაიქცა, საითაც ცხელოდა, როგორც ეტყობოდა, შტრეკი სიღრმეში მიდიოდა. დეზების ჟღარუნით მოსდევდნენ უკან ვილიას ჯარისკაცები. ფორთოხლისფრად განათდა ასანთი. სწორედ ამ დროს კრუსმა ფეხებქვეშ საყრდენი დაკარგა და ვერტიკალურ ჭაში ჩავარდა, მაღაროს დამპალ სამაგრზე საკუთარი სხეულის დარტყმის ყრუ ხმა გაიგონა. ზემოთ უფრო ხმამაღლა აჟღარუნდა დეზები; მაღაროს კედლები მდევართა ხმების ექოს გამოსცემდა. ლტოლვილი ძლივძლივობით წამოდგა, შეეცადა ორმოს ზომები განესაზღვრა, რომელშიც ჩავარდა, გასასვლელი მოსინჯა.

„სჯობს აქ მოვიცადო...“

მაღლა უფრო ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა, თითქოს დაობდნენ. გარკვევით გაიგონა პოლკოვნიკ საგალის ხარხარი, ხმები თანდათან შორდებოდნენ მის ადგილსამყოფელს. შორს ვიღაცამ დაუსტვინა: უხეშად, გამაფრთხილებლად. შემდეგ მის თავშესაფრამდე გაუგებარმა, მძიმე გრუხუნმა მოაღწია, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ბოლოს სრული სიჩუმე ჩამოვარდა. თვალები სიბნელეს მიეჩვია.

„მგონი, წავიდნენ. იქნებ ხაფანგს მიგებენ. სჯობს აქ მოვიცადო“.

კრუსმა მკერდზე ხელი მოივლო, გვერდი მოისინჯა, დაცემისგან რომ ტეხდა. ჭას გასასვლელი არ ჰქონდა - ალბათ, ჩიხი იყო. იქვე რამდენიმე დამპალი ხიმინჯი ეყარა. რამდენიმეც მორყეულ თიხის ჭერს ჰქონდა შედგმული. როცა დარწმუნდა, ერთ-ერთი საიმედოაო, ჩამოჯდა და ხიმინჯს მიეყრდნო. გადაწყვიტა, რამდენიმე საათს მოეცადა. ეს ხიმინჯი იმ ორმოს თავს სწვდებოდა, საიდანაც შიგ ჩავარდა. მაღლა აცოცებაც არ გაუძნელდებოდა გასასვლელამდე მისაღწევად. შარვალსა და კიტელზე გახეული ადგილები მოისინჯა, შემოვლებული სირმა ალაგ-ალაგ აჰგლეჯოდა. დაღლილობას,

შიმშილსა თუ ძილს თავისი გაჰქონდა. ახალგაზრდა სხეული მოდუნდა, ფეხებში სისუსტე იგრძნო, ფენთხშიც ტეხდა. უკუნი და სრული სიმშვიდე, აჩქარებული სუნთქვა და დახუჭული თვალები. და აი, იმ ქალებზე დაიწყო ფიქრი, რომელთაც ჯერ არ დაუფლებოდა: ნაცნობ სხეულებზე არ ოცნებობდა. უკანასკნელი ფრენსილიოში შეხვდა. მორთულ-მოკაზმული მეძავი. ერთი იმათგანი, ვინც ტირის, როცა ჰკითხავ: „საიდანა ხარ? აქ როგორ გაჩნდი?“ ჩვეულებრივი კითხვაა, საუბრის გასაბმელად. მეძავებს უყვართ ზღაპრების მოყოლა, მაგრამ ეს - არა, არაფერს გიყვებოდა, მხოლოდ ტიროდა. ეს ომიც რომ არ იქნა და არ გათავდა. გასაგებია, უკანასკნელი ბრძოლები მიმდინარეობს. ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და შეეცადა თანაბრად ესუნთქა. პანჩო ვილიას დამარცხებული ჯარი ხელში რომ ჩააგდებინათ, მშვიდობაც ჩამოვარდება, მშვიდობა.

„რაღა უნდა ვაკეთო, როცა ეს ყველაფერი დამთავრდება? თუმცა რატომ უნდა ვიფიქრო, რომ დამთავრდება? ეს მე არ მჩვევია“.

იქნება მშვიდობიანობის დროსაც რიგიანი საქმე გამოძებნოს. მთელი მექსიკა გადაიარა

- ერთი ბოლოდან მეორემდე - და მხოლოდ ნგრევაში მონაწილეობდა. მაგრამ ხომ შეიძლება მიტოვებული მინდვრები ისევ დათესონ. ბახიოში როგორღაც კარგი ადგილი მოხვდა თვალში, რომლის მახლობლადაც შეიძლებოდა აეშენებინა თაღებიანი სახლი პატიოთი, გაეხარებინა ყვავილები და მიწათმოქმედებისათვის მიეყო ხელი, ეყურებინა მარცვლეულის ზრდისთვის, მოერწყა ნათესები, აყვავებული მცენარეები დაეცვა, ნაყოფი მოეწია. შეიძლებოდა დიდებული ცხოვრება დასდგომოდა, დიდებული...

„ჰეი, არ დაიძინო, ფხიზლად იყავი...“

ბარძაყზე იჩქმიტა. კეფა უმძიმდებოდა, თავი უკან უვარდებოდა.

ზევიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. დაზვერვაზე წასვლა შეიძლებოდა. მხარი ხიმინჯს მიაყრდნო და ფეხით ჭის კიდეების შვერილები მოსინჯა, ზემოთ აცოცდა, ჯანმრთელი ხელით ბოძს მოეჭიდა. შვერილიდან შვერილზე ადგამდა ფეხს. მიცოცავდა, სანამ ზედა შტრეკის იატაკი ფრჩხილებით არ მოფხოჭნა. თავი ცხელ დერეფანში ამოყო. თითქოს აქ ახლა უფრო ჩამობნელდა და ჩამოცხა. შახტის ჭაურისკენ წაბობღდა და მალე იგრძნო, რომ მიზანს მიაღწია. იქვე შტოლნი იწყებოდა, შიგ კი გამჭოლი ქარი ნავარდობდა,

მაგრამ იქით, სადაც შემოსასვლელი უნდა ყოფილიყო, სინათლე არ ჩანდა თუ უკვე ჩამობნელდა? იქნებ დროის შეგრძნება დაკარგა?

ხელის ცეცებით შტოლნის შესასვლელს მიაღწია. არა, ღამემ კი არ ჩაუკეტა კარი, არამედ კლდის მძიმე ლოდების ბარიკადამ, ვილიას მებრძოლებს გასვლისას რომ აღუმართავთ. ამ აკლდამაში გამოამწყვდიეს - მიტოვებულ მაღაროში.

სული უნდა ამოხადონ. ამის გაფიქრებაზე წამოიზიდა. უნებურად გაუფართოვდა ნესტოები, თითები შუბლზე მოივლო, საფეთქლები მოისრისა, მაგრამ შტოლნიც რომ არსებობდა და გარეთ გასასვლელიც ჰქონდა. იქიდან არ შემოდიოდა ველის ნიავი მზის სხივებთან ერთად! იქით გაექანა. ჰო, უტკბესი გრილი ნიავი. სიბნელეში მიფრთხიალობდა, ხელით კედლებს სინჯავდა. აი, თითებმა წყლის წვეთი შეიგრძნო. ღია პირით კედელს მიეხუტა, სინესტის წყაროს ეძებდა. ჭერიდან ნელ-ნელა, ერთი-ერთმანეთზე მოცურავდა გრილი მარგალიტები, ენით მეორე წვეთი მოლოკა, მესამეს დაელოდა, მეოთხეს. თავი დაღუნა, მგონი, შტოლნი დამთავრდა. ჰაერი შეიყნოსა. ნიავი სადღაც ქვემოდან შემოდიოდა, კოჭებამდე უბერავდა. მუხლებზე დაეშვა,

ხელები მოაფათურა. დიახ, რომელიღაც უჩინარი, ჩამოქცეული შესასვლელიდან სიგრილე შემოდიოდა. იმედმა ძალა შემატა: ჩამონაქცევი მყარი არ იყო, ქვები გადაყარ-გადმოყარა, ნაპრალი თანდათან ფართოვდებოდა და ბოლოს გაიხსნა. იგი ახლა მიწისქვეშა დერეფანში გადიოდა, რომელშიც სუსტად ციმციმებდა ვერცხლისფერი ძარღვები. გასასვლელში გაძვრა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ

გამართული ვერ ივლიდა, მხოლოდ ოთხზე თუ იმოძრავებდა, ჰოდა, გაცოცდა, თან არ იცოდა, სად მიიყვანდა ეს ნადირის საძრომი. ქვეწარმავალივით ცოცხალ-მკვდარი რომ მიცოცავდა, მხოლოდ მონაცრისფრო-ვერცხლისფერ ძარღვებს და სირმის მკრთალ ანარეკლს ხედავდა. თვალები გაფაციცებით კვეთდა წყვდიადს, დორბლი ნიკაპზე ჩამოსდიოდა. პირი თითქოს ტამარინდებით ჰქონდა გამოტენილი: ამ ნაყოფის უნებურმა გახსენებამ ნერწყვი მოჰგვარა. იქნებ ეს ნამდვილი სურნელია, რომელიმე შორეული ბაღიდან მოვარდნილი და მინდვრის ნელ ნიავთან ერთად ამ ვიწრო დერეფანშიც აღწევს? დიახ, გამახვილებულმა ალღომ გრილი მონაბერი შეიგრძნო. მთელი მკერდით ღრმად ჩაისუნთქა მიწის სურნელი, რომელსაც მყისვე იგრძნობს ის, ვისაც ამდენი ხანი მთის ჰაერი უსუნთქავს. ვიწრო დერეფანი სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვებოდა და მალე შეწყდა კიდეც. დაბლა სილაწაყრილი პატიოს მსგავსი რაღაც დაინახა. კლდეს მოსწყდა

და თეთრ, რბილ საწოლზე დაეცა. იქაც შემოეღწიათ რომელიღაც მცენარის საცეცებს. მაგრამ საიდან?

„უნდა გამოვძვრე. აი, სინათლე! ეს სილის გამონაშუქი არ არის, ეს სინათლეა!“

ღრმად სუნთქავდა, მზით გაჩირაღდნებული გასასვლელისკენ გაიქცა. მირბოდა, არც არაფერს ხედავდა, არც არაფერი ესმოდა. არც გიტარის ჟღარუნი ესმოდა და არც ჯარისკაცის გულამომჯდარი სიმღერა:

„იქ, დურანგოში, ყველა გოგონას ცისფერი და მწვანე კაბა აცვია;

რომ მივეფერე, ლამაზმანები გამინაწყენდნენ, ლოყა დამკაწრეს...“

არც პატარა კოცონი შეუმჩნევია, რომლის თავზეც მოკლული შველი ქანაობდა, არც ხელები დაუნახავს, ნაჭერს ნაჭერზე რომ აგლეჯდა ამ შველს.

ცხელ მიწას ფეხი დაადგა თუ არა, დაეცა, არც არაფერი გაუგია, არც არაფერი

დაუნახავს. განა რას დაინახავ შუადღისას მცხუნვარე მზეზე, რომლის ქვეშაც ცარცის სოკოსავით თეთრად კიაფობდა იმ კაცის თეთრი შლაპა, გაღიმებული ხელს რომ უწვდიდა:

- სწრაფად, კაპიტანო, გვაგვიანებთ. შეხედეთ, იმ თქვენმა იაკიმ უკვე ამოივსო მუცელი. ახლა შეიძლება ყელიც გაისველოს.

„ჩიუაუაში გოგონები იმას დარდობენ, ღმერთს სულ იმას ევედრებიან, ნუ დაგვანატრებ, ჩვენც გვაღირსე სულით ძლიერი, მხნე და ლაღი ჭაბუკებიო“.

ტყვემ სახე ასწია და საგალის მიძინებული ჯარისკაცებისთვის არც კი მიუხედავს, ისე გაიხედა წინ: დაკბილული კლდე და ეკალ-ბარდები, გრძელი და ზოზინით სავალი გზა, უკაცრიელი და ძნელი, ადგა და ერთ პატარა ბანაკთან

მისანსალდა, სადაც ინდიელი იაკის მტკიცე მზერა შეეგება. მაშინვე შვლის ხერხემალს ცხელი ხორცი მოაგლიჯა და ჭამა დაუწყო. ხელები დაეთუთქა.

პერალესი.

ეს თიხატკეპნილქოხებიანი სოფელი სხვა სოფელთაგან არც არაფრით განსხვავდებოდა. გზის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო მოკირწყლული მუნიციპალიტეტის წინ. იმის იქით მტვერს მიჰქონდა იქაურობა. ბავშვებს შიშველი ფეხებით, გაფხორილ ინდაურებსა და სოფელში ყეფით მოწანწალე ძაღლებს თითებით დაეტკეპნათ მტვერი. სოფლად სულ ერთი თუ ორი მოზრდილი სახლი იდგა - დიდკარებიანი, თუნუქით გადახურული. ჩვეულებრივ ასეთი სახლები მედუქნე-გამყიდველებს ან ხელისუფლების წარმომადგენლებს (თუ ერთი და იგივე ადამიანი არ იყო) ეკუთვნოდათ, ახლა რომ პანჩო ვილიას მოახლოებულ შურისგებას გაჰქცეოდნენ. ჯარმა ორივე სახლი დაიკავა, ცხენებითა და სანოვაგით, საბრძოლო მასალითა და იარაღით აავსეს პატიო, რომელიც ქუჩიდან მაღალი, თითქოს ციხესიმაგრის კედლებით იყო შემოსაზღვრული. აქ მოათავსეს ყველაფერი, რისი გადარჩენაც მოახერხა განადგურებულმა და უკუქცეულმა ჩრდილოეთის დივიზიამ.

მთელი სოფელი ჩამუქებული ჩანდა, მხოლოდ მუნიციპალიტეტის წინახედი

კიაფობდა ვარდისფრად, შემდეგ ეს ვარდისფერი მქრქალდებოდა და გვერდითა კედლებსა და პატიოს ასევე მონაცრისფრო მურა ელფერი გადაჰკრავდა. იქვე, ახლოს, წყალსაცავი იყო, ამიტომაც გაეშენებინათ აქ სოფელი, რომლის მთელ სიმდიდრეს რამდენიმე დუჟინი ქათამი და ინდაური, მტვრიანი ქუჩების გაყოლებაზე სიმინდის გადამხმარი ყანები, ორი სამჭედლო, ერთი სადურგლო სახელოსნო, საწვრილმანო დუქანი და რაღაც შინაური წარმოება შეადგენდა. სოფელი თითქოს სასწაულით ცოცხლობდა. ცხოვრობდა წყნარად, როგორც მექსიკური სოფლების უმრავლესობა, გადაშენებული რომ გეგონებოდათ. დილით ან საღამოს თუ გაიგონებდით ჩაქუჩის ხმას ან ჩვილის ტირილს, ისე კი დაალხულ ქუჩებში იშვიათად შეხვდებოდით ადამიანს. მხოლოდ ბავშვები თუ გამოცვივდებოდნენ ხანდახან - პაწაწინა, ფეხშიშველა ბავშვები. ჯარისკაცებიც დაკავებული სახლებიდან ფეხს არ იცვლიდნენ, მუნიციპალიტეტის პატიოში ისხდნენ. ამ დაღლილ-დაქანცულმა რაზმმა პატიოს მიაშურა. როცა ჯარისკაცები ჩამოქვეითდნენ, მათ ყარაულის პიკეტი მიუახლოვდა. პოლკოვნიკმა საგალმა ინდიელ იაკზე ანიშნა:

- ეს ვირის აბანოში წაიყვანეთ. თქვენ კი, კრუს, მე გამომყევით.

პოლკოვნიკი აღარ იღიმებოდა. შეთეთრებული ოთახის კარი შეაღო და სახელოთი შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. ქამარი შეიხსნა და დაჯდა. ტყვე იდგა და შეჰყურებდა.

- სკამი აიღეთ, კაპიტანო, და მოდი, გულწრფელად ვილაპარაკოთ, სიგარეტი გინდათ?

ტყვემ სკამს ხელი მოჰკიდა; ასანთის ალმა წამით ორივე სახე ერთმანეთს მიუახლოვა.

- ასე და ამრიგად, - საგალმა ისევ ღიმილით დაკრიჭა კბილები. - სულ უბრალო საქმეა. თუ ჩვენს კვალს დადევნებულთა გეგმებს გაგვაცნობ, გაგათავისუფლებთ. დაუფარავად გიცხადებთ. ჩვენ ვიცით, რომ აღსასრული დაგვიდგა, მაგრამ მაინც გვინდა თავი დავიცვათ. თქვენ ნამდვილი ჯარისკაცი ხართ და უნდა გაგვიგოთ.

- დიახ. ამიტომაც არაფერს გეტყვით.

- კეთილი. მაგრამ ჩვენ ძალიან ცოტა რამ გვინდა ვიცოდეთ. თქვენ და ის მიცვალებულები, კანიონის ძირზე რომ დარჩნენ, მზვერავთა რაზმი ხართ, ეს ნათელია. ესე იგი, ძირითადი რაზმი კვალში მოგყვებათ. შეიძლება ითქვას, დაყნოსეთ გზა,

რომლითაც ჩრდილოეთისკენ მივდივართ. მაგრამ ვინაიდან მთებში გზა თქვენ არ იცით, ცხადია, თქვენებს ველის გადაჭრა მოუწევთ, ამას კი რამდენიმე დღე დასჭირდება. ჰოდა, მითხარით, რამდენი ხართ? რკინიგზით ეშელონები ხომ არ გაგიგზავნიათ? თქვენი აზრით, რა რაოდენობის საბრძოლო მასალა გექნებათ? რამდენი ზარბაზანი გაქვთ? როგორია თქვენი ტაქტიკა, სად უნდა შეერთდნენ ის ცალკეული ბრიგადები, ჩვენ რომ მოგვდევენ? სულ იოლი ამბავია: თქვენ ყველაფერ ამას მეტყვით და თავისუფალი იქნებით, სიტყვას გაძლევთ.

- რა გარანტია მაქვს?

- კარამბა, კაპიტანო! სულერთია, ჩვენი საქმე წასულია. გულახდილად გეუბნებით. დივიზია დაიშალა. რაზმებად დაქუცმაცდა, ერთმანეთთან კავშირი დაკარგეს, მთებში მიმოიფანტნენ, ხალხი თავიანთ სოფლებს უბრუნდება. დავიღალეთ. პორფირიო დიასზე გალაშქრების შემდეგ მრავალი წელი ცხარე ბრძოლებში გავატარეთ. ჯერ მადეროს ვებრძოდით, მერე ოროსკოს რაზმს თუ უერტას ლაწირაკებს. ბოლოს კი თქვენ, კარანსისტებს, გეომებით უკვე მრავალი წელია. ჰოდა, დავიღალეთ. ჩვენი

მებრძოლები ხვლიკებივით არიან, ხან მიწისფრად იცვლიან კანს, ხან ქოხებში იმალებიან, ხანაც ისევ პეონების ძონძებით იმოსებიან, დროს ელოდებიან, რათა ისევ იბრძოლონ, თუნდაც ას წელიწადს მოიცდიან. მათ იციან, რომ ამჯერად დავმარცხდით, დავმარცხდით, როგორც სამხრეთში საპატისტები.[54] გაიმარჯვეთ თქვენ, ჰოდა, აი, რატომ უნდა დავიხოცოთ, როცა თქვენიანებმა ომი მოიგეს? მაგრამ საშუალება მოგვეცით, იარაღით ხელში დავმარცხდეთ. მხოლოდ ერთსა გთხოვთ: საშუალება მოგვეცით, ღირსეულად დავმარცხდეთ.

- პანჩო ვილია ამ სოფელში არ არის?

- არა. იგი წინ მიდის. ხალხიც გვტოვებს. უკვე ცოტანიღა დავრჩით.

- რას მპირდებით?

- აქ, ციხეში, ცოცხალს დაგტოვებთ და თქვენი მეგობრები გაგათავისუფლებენ.

- კი, თუ ჩვენებმა გაიმარჯვეს, თუ არა და...

- თუ ჩვენ დავამარცხეთ, მე ცხენს მოგცემთ და გაიქცევით.

- გავიქცევი და ზურგში ტყვიას დამახლით.

- ესე იგი, არა...

- არა. არაფერი მაქვს სათქმელი.

- საპატიმროში გამომწყვდეული გვყავს თქვენი მეგობარი იაკი და ლიცენციატი ბერნალი. კარანსას მოციქული. თქვენც მათთან ერთად დაელოდებით დახვრეტის ბრძანებას.

საგალი ადგა.

არც ერთი მათგანი აღარაფერს არ განიცდიდა. მათი გრძნობები - გაუთავებელი ბრძოლების ყოველდღიური დაძაბულობით დადამბლავებული და დათრგუნვილი იყო. უგრძნობლად ან ანგარიშმიუცემლად საუბრობდნენ. პოლკოვნიკს სურდა

ცნობები მიეღო და თავისუფლებისა და დახვრეტის არჩევის საშუალებას აძლევდა. ტყვე არ თანხმდებოდა ცნობების მიწოდებაზე: საგალი და კრუსი კი არა, სხვადასხვა საომარი მანქანის ერთმანეთს შეტაკებული კბილანები იყვნენ. ამიტომ დახვრეტის ამბავი ტყვემ სრული სიმშვიდით მიიღო. თუმცა, ეს სიმშვიდე საშუალებას აძლევდა შეეცნო საშინელი გულგრილობა, რითაც საკუთარ თავს სასიკვდილოდ სწირავდა, და აი, თვითონაც წამოდგა და პოლკოვნიკს მიმართა:

- პოლკოვნიკო საგალ, ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ბრძანებებს ვემორჩილებოდით, საშუალება არ გვქონდა, რაიმე გაგვეკეთებინა... გაგვეკეთებინა რაღაც ისეთი, რაც საშუალებას მოგვცემდა გვეთქვა: ამას ვაკეთებ ჩემი ნებით, როგორც არტემიო კრუსი და არა როგორც ოფიცერი. თუ უნდა მომკლათ, მომკალით, როგორც არტემიო კრუსი. თქვენ უკვე თქვით, რომ ომი მთავრდება, ხალხი დაიღალა. მე არ მინდა მოვკვდე როგორც გამარჯვების უკანასკნელი მსხვერპლი. ალბათ, არც თქვენ გსურთ დაიღუპოთ, როგორც დამარცხების უკანასკნელი მსხვერპლი. პოლკოვნიკო, მომექეცით როგორც კაცი კაცს. მოდი, რევოლვერებით შევებრძოლოთ ერთმანეთს, პატიოს შუაგულში ხაზი გაავლეთ და ერთმანეთისკენ გამოვეშუროთ პისტოლეტებით ხელში.

თუ თქვენ მანამ დამჭრით, ვიდრე ამ ხაზს გადმოვლახავ, მომკალით. თუ ხაზს გადმოვაბიჯებ და თქვენ ვერ მომახვედრებთ, გამიშვით.

- კაპრალო პაიან! - დაიყვირა თვალანთებულმა საგალმა, - საკანში წაიყვანეთ! - შემდეგ ტყვეს მიუბრუნდა, - მე არ გაცნობებთ თქვენი დასჯის საათს. იჯექით და

ელოდეთ. იქნებ ეს ერთ საათში მოხდეს, იქნებ ხვალ ან სულაც ზეგ. მაინც იფიქრეთ იმაზე, რაც გითხარით.

გისოსებშუა შემოჭრილი მზის სხივები ორი პატიმრის სილუეტს ოქროსფრად მოსავდა. ერთი ბოლთას სცემდა, მეორე იატაკზე იწვა. ტობიასი შეეცადა მისალმება წაეჩურჩულებინა, ხოლო ის, ვინც საკანში აქეთ-იქით აწყდებოდა, ახალშემოსულისკენ შებრუნდა. როგორც კი კარი დაიკეტა და კაპრალის გასაღები გაჩხაკუნდა, მისი ხმაც გაისმა:

- თქვენ კაპიტანი არტემიო კრუსი ხართ? მე გონსალო ბერნალი ვარ, მთავარსარდალ ვენუსტიანო კარანსას პარლამენტიორი.

სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ბერნალს ყავისფერი შალის ქურთუკი ეცვა. კაპიტანმა კრუსმა ისე შეხედა, როგორც უყურებდა ხოლმე ყველა სამოქალაქო პირს, ვინც ომის ხორცსაკეპში მიძვრებოდა: უნდობლად, ზიზღიანი გულგრილობით. მაგრამ ბერნალმა ცხვირსახოცით თავისი ფართო შუბლი, წითური ულვაში მოიწმინდა და განაგრძო:

- ინდიელი ძალიან ცუდადაა. ფეხი აქვს მოტეხილი.

კაპიტანმა მხრები აიჩეჩა:

- დიდი ხანი არ მოუწევს მოთმენა.

- რა, რა ისმის, რა ამბებია? - იკითხა ბერნალმა და ცხვირსახოცი ტუჩებთან შეაჩერა; სიტყვები ყრუდ გაისმა.

- ყველას კედელთან მიგვაყენებენ, მაგრამ როდის, არ ამბობენ. გაცივებისგან სიკვდილი არ გვერგო.

- არ არის იმედი, რომ ჩვენები მოგვისწრებენ?

საკანში ბოლთისცემა შეწყვიტა. მზერა, რომელიც გასაქცევი ხვრელის ძიებაში უნებურად ბურღავდა ჭერს, კედლებს, გისოსებიან ფანჯარას, ამ ახალ მტერზე, ზედმეტ ჯაშუშზე, შეაჩერა.

- წყალი არ არის?

- იაკიმ მთლიანად დალია.

ინდიელი კვნესოდა. კრუსი შიშველი ქვის სკამის სასთუმალთან მივიდა, რომელსაც აგრეთვე საწოლად ხმარობდნენ და სპილენძისფერი სახისკენ დაიხარა. მისი ლოყა თითქოს ტობიასის ლოყას შეეხო და პირველად - იმდენად ცხადად, რომ უკანაც კი დაიწია - მის წინაშე წარმოჩნდა იმ კაცის სახე, უწინ რომ მხოლოდ მუქ ნიღბად ეჩვენებოდა, ერთი მრავალთაგანი, იმ უსახურ მებრძოლებს რომ ეკუთვნოდა და მის შემეცნებაში სწრაფ და მარჯვე სხეულთან მთლიანობაში ჯარს წარმოადგენდა. დიახ, ტობიასს ჰქონდა სახე და იგი ხედავდა ამ სახეს, გატანჯულსა და მკაცრს. სიცილით,

მრისხანებითა თუ მზით გაჩენილი ასობით თეთრი ნაოჭი უღარავდა განიერ ღაწვებს. მსხვილი ტუჩები უბოროტოდ იღიმებოდნენ, ხოლო ვიწრო, შავ თვალებში რაღაც სიხარულის მსგავსი გაკრთა.

- ესე იგი, შენ მოხვედი, - თავის კილოზე თქვა ტობიასმა. კაპიტანმა შეძლო ამ კილოს გაგება, იგი ხომ სინალოას მთიდან მოსულ ინდიელ ჯარისკაცებს მეთაურობდა.

იაკის ნერვიულად მოთახთახე ხელისგულს ხელი მოუჭირა.

- ჰო, ტობიას, მაგრამ ახლა უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეა: ჩვენ დაგვხრეტენ.

- ასეც უნდა მოხდეს. შენც ასე მოიქცეოდი.

- კი.

სიჩუმე ჩამოვარდა: საკნიდან მზე გადადიოდა. სამივე ტყვეს ერთად უნდა გაეთია ღამე. ბერნალი საკანში მიმოდიოდა. კაპიტანი მიწაზე იჯდა და მტვერში რაღაცას ხატავდა.

გარეთ, დერეფანში, ნავთის ლამპა აინთო და მორიგე კაპრალის წკლაპუნი მოისმა. ველიდან სიცივე აღწევდა.

კრუსი წამოდგა და კართან მივიდა: ფიჭვის სქელი ფიცრებისგან შეკრულ კარს თვალის სიმაღლეზე პატარა სარკმელი ჰქონდა დატანებული. კაპრალი თამბაქოს ეწეოდა და სარკმელში ბოლის ზოლები ჩანდა. კაპიტანმა დაჟანგულ გისოსებს ხელი ჩასჭიდა და თავისი დარაჯის გაბრტყელებულ პროფილს მიაჩერდა. ბრეზენტის ქუდიდან შავი თმა შიშველ ოთხკუთხა ლოყებზე გადმოყროდა. ტყვე შეეცადა მისი ყურადღება მიეპყრო და კაპრალმაც მაშინვე ასწია თავი: „რა გინდა?“ - ცალი ხელი მაღლა აიქნია, მეორით ჩვეულებისამებრ კარაბინი ჩაბღუჯა.

- ხვალის ბრძანება გაქვთ?

კაპრალი ვიწრო, ყვითელი თვალებით მდუმარედ მისჩერებოდა.

- მე აქაური არა ვარ, შენა?

- მე მთიელი ვარ, - ჩაილაპარაკა კაპრალმა.

- ეგ რა ადგილია?

- რომელი?

- სადაც ჩვენ უნდა დაგვხვრიტონ. მაინც რა მოჩანს იქიდან?

- რა მოჩანს?

მას მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მუდამ წინ იყურებოდა. იმ ღამის შემდეგ, მთები რომ გადმოლახა და ვერაკრუსთან თავისი ძველი სახლი მიატოვა, მას

შემდეგ უკან აღარ მიუხედავს. მას შემდეგ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდა. ახლა კი... სულელური კითხვისგან ვერ შეიკავა თავი - რა ადგილია, რა მოჩანს იქიდან? ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მოეშორებინა ამოტიტვლებული მოგონებები, უცაბედი ნაღველი, ჩრდილოვანი გვიმრნარების, მდორე მდინარეების, ქოხებზე გასული ხვიარების, გახამებული ქვედაკაბებისა და კომშისსურნელიანი რბილი თმის მონატრებამ რომ მოჰგვარა...

- პატიოს უკან გაგიყვანენ, - თქვა კაპრალმა, - რა ჩანს... რა ჩანს იქიდან? შიშველი, მაღალი, ტყვიებით დაცხრილული კედელი, ვინც აქ მოხვდება, ყველას...

- მთები, მთები არ ჩანს?

- სიმართლე გითხრა, არ მახსოვს.

- ბევრი გინახავს აქ დამწყვდეული?

- აუჰ...

- ალბათ, ის, ვინც ესვრის, მეტს ხედავს, ვიდრე ის, ვისაც?..

- ვითომ შენ თვითონ არასოდეს დაგიხვრეტია?

„ჰო, ვერასოდეს წარმომედგინა, იმაზე არ დავფიქრებულვარ, რა შეიძლება ასეთ წუთებში იგრძნო კაცმა, რომ ოდესმე მეც მომიწევდა... ამიტომ არც არაფერი უნდა

გკითხო, ხომ მართალია? შენ კლავდი, ჩემსავით, უკანმოუხედავად. ამიტომ არავინ იცის, ასეთ დროს რას ფიქრობენ და ვერც ვერავინ მოჰყვება რაიმეს. აი, იქიდან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, იმის მოყოლა, რას ნიშნავს ზალპის გაგონება, ტყვიები მკერდში, სახეში - აი, ამ სიმართლის მოყოლა რომ შეიძლებოდეს, მაშინ იქნებ აღარ მოგვეკლა, არასოდეს, ან, პირიქით, ფეხებზე დაგვეკიდა სიკვდილი... იქნებ ეს საშინელი... ან სულაც ისევე უბრალო ამბავია, როგორც დაბადება... აბა, მე და შენ რა ვიცით?“).

- კაპიტანო, მომისმინე, სირმები შენ აწი აღარ დაგჭირდება. ჰოდა, მე მომეცი.

კაპრალმა გისოსებში შემოყო ხელი, კრუსმა ზურგი აქცია, დარაჯმა ჩახლეჩილი ხმით ყრუდ გაიცინა.

იაკი რაღაცას ჩურჩულებდა თავის ენაზე. კრუსი მისკენ გაემართა და გახურებულ შუბლზე ხელი დაადო, მიაყურადა. სიტყვები სიმღერასავით, ნარნარად იღვრებოდა.

- რას ამბობს?

- ამბავს ჰყვება, როგორ წაართვა მთავრობამ ინდიელებს მიწები და გრინგოებს დაურიგა; როგორ იბრძოდნენ ამ მიწის შესანარჩუნებლად, როგორ შეებნენ ფედერალურ არმიას, მამაკაცებს რომ მკლავებს აჭრიდა და მთებში გახიზნულთ

აპატიმრებდა. როგორ აიყვანეს იაკების ყველა ბელადი მაღალ მთაზე და კისერზე ქვებმობმულები ზღვაში გადაყარეს.

იაკი თვალდახუჭული ლაპარაკობდა.

- გადარჩენილები კი გრძელზე უგრძეს მწკრივებად უცხო მხარეს, იუკატანისკენ გარეკეს, სინალოა დაატოვებინეს...

- ჰოდა, ჰყვება, როგორ მიდიოდნენ იმ იუკატანისკენ, როგორ ეცემოდნენ უსულოდ ქალები, მოხუცები თუ ბავშვები. იმათ, ვინც შემლო ხენეკენის პლანტაციებამდე მიღწევა, მონებივით ყიდდნენ, ცოლებს აშორებდნენ. ქალებს აიძულებდნენ, ჩინელებთან ეცხოვრათ, რომ საკუთარი ენა დაევიწყებინათ და რაც შეიძლება მეტი მუშახელი გაეჩინათ...

- მაგრამ მე დავბრუნდი, დავბრუნდი, როგორც კი გავიგე, რომ აქ ომია, დავბრუნდი. ჩემს ძმებთან ერთად დავბრუნდი, რათა ბოროტებას ვებრძოლო.

იაკიმ ხმადაბლა გაიცინა. კრუსს მოშარდვა მოუნდა, ადგა, ხაკისფერი შარვალი გაიხსნა და კუთხისკენ წავიდა - ნაკადმა მტვერი დატკეპნა. კოპებშეყრილი კრუსი გულადების ჩვეულებრივ აღსასრულზე ფიქრობდა, სამხედრო შარვალზე სველი ლაქებით რომ იხოცებოდნენ.

ბერნალს ხელები მკერდზე დაეკრიფა და ამ ბნელ და ცივ უკუნში, იქ, მაღალ გისოსებს მიღმა, თითქოს მთვარის ანარეკლს ეძებდა.

დროდადრო სოფლიდან ჩაქუჩის მონოტონური ხმა აღწევდა, ძაღლები ყმუოდნენ. კედლის მიღმა ყრუ ბუბუნი ისმოდა. კრუსმა კიტელიდან მტვერი ჩამოიბერტყა და ახალგაზრდა ლიცენციატთან მივიდა.

- სიგარეტი გაქვს?

- კი, უნდა მქონდეს... აიღეთ.

- ინდიელს მიეცი.

- მივეცი. ჩემი არ მოსწონს.

- მგონი, გაუთავდა.

- თავისი აქვს?

- ალბათ, ჯარისკაცებს კარტი ექნებათ.

- არა... ვერც ვითამაშებ, აზრის მოკრებას ვერ შევძლებ. ვერც კი...

- გეძინება?

- არა.

- სწორი ხარ, რატომ უნდა დავკარგოთ დრო.

- ვითომ გგონია, კიდევ ვინანებთ?

- რას?

- იმას, რომ დროს ვკარგავდით...

- ჰო, სასაცილოა.

- ჯობს რამე გავიხსენოთ. ამბობენ, შველისო.

- განა რამდენი ვიცხოვრეთ?

- გეთანხმები. ამ შემთხვევაში იაკი უკეთეს დღეშია. ესე იგი, ამიტომ არ გინდა ლაპარაკი.

- ჰო, თუმცა მთლად კარგად ვერ მივხვდი, რას მეუბნები.

- მე იმას ვამბობ, იაკის ბევრი რამ აქვს მოსაგონარი-მეთქი.

- იქნებ ეგენი სხვანაირად იგონებენ.

- თუნდაც იმ გზის ამბავს, სინალოადან რომ წამოვიდნენ, ახლა რომ ჰყვებოდა.

- ჰო.

- ...

- რეხინა...

- რა?

- არა, მე ისე, სახელებს ვიხსენებ.

- რამდენი წლისა ხარ?

- მალე ოცდაექვსის გავხდები. შენ?

- ოცდაცხრისა ვარ. მეც, კაცმა რომ თქვას, არაფერი მაქვს მოსაგონარი. ამ ბოლო წლებში ცხოვრება ისეთი შფოთიანი და ცვალებადი იყო...

- საინტერესოა, როდის იწყებენ ადამიანები ბავშვობის გახსენებას? ჰა?

- იცი? აი, ჩვენ აქ ვსაუბრობთ...

- მერე?

- ჰოდა, ახლა ზოგი სახელი გამახსენდა. თუმცა ისინი უკვე აღარაფერს ნიშნავენ ჩემთვის, აღარაფერს მეუბნებიან...

- მალე გათენდება.

- არ ღირს ამაზე ფიქრი.

- ოფლისგან ზურგი დამისველდა.

- მომეცი ერთი გავაბოლო. გესმის?

- მაპატიე. აიღე, იქნებ ვერც ვერაფერი ვიგრძნოთ?

- ასე ამბობენ.

- კრუს, ვინ ამბობს?

- ცხადია, მკვლელები.

- შენ რა აზრისა ხარ?

- ჰმ...

- რატომ არ ფიქრობ იმაზე...

- რაზე? იმაზე, რომ ყველაფერი ძველებურად იქნება, ჩვენ კი არ ვიქნებით?

- არა, მომავალზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ წარსულზე, ახლა მე მხოლოდ იმათზე ვფიქრობ, ვინც რევოლუციის დროს დაიღუპა!

- აი, მაგალითად, კარგად მახსოვს ბულე, აპარისიო, გომესი, კაპიტანი ტიბურსიო, ამარილიასი... სხვებიც.

- ნაძლევს ჩამოვალ, რომ ოციოდე სახელსაც ვერ დაასახელებ. მარტო შენიანები კი არა, სხვებიც რომ გაიხსენო. აბა, რა ერქვა ყველა დახოცილს? არა, მარტო ამ რევოლუციას კი არ ვგულისხმობ, ყველა სხვა რევოლუციის დროს, ყველა სხვა ომში. თავიანთ საწოლებში გარდაცვლილთაც. აბა, ვის ახსოვს ისინი?

- ასანთი მომეცი. არ გესმის?

- მაპატიე.

- აგერ მთვარეც ამოვიდა.

- გინდა დაინახო? თუ მხრებზე შემადგები, დაინახავ...

- არა, რა საჭიროა.

- ეჰ, ალბათ, კარგიც არის, საათი რომ ჩამომართვეს.

- ჰო.

- ის მინდა ვთქვა, დროს აღარ ვითვლი-მეთქი.

- მესმის.

- მუდამ მეგონა, რომ ღამე უფრო გრძელია.

- დაწყევლილი აქოთებული სორო.

- იაკის შეხედე. ჩაეძინა, კარგია, რომ არც ერთ ჩვენგანს არ ულაჩრია.

- მეორე დღე თენდება, რაც აქა ვართ.

- ყოველ წუთს შეიძლება შემოვიდნენ.

- არა. მაგათ ეს თამაში მოსწონთ. ყველამ იცის, რომ განთიადზე ხვრეტენ ხოლმე, ჯერ ჩვენი გათამაშება სურთ.

- მაშ, იგი ასე სწრაფად არაფერს გადაწყვეტს?

- ვილია კი, საგალი - არა.

- კრუს... განა ეს უაზრობა არაა?

- რა?

- ერთ-ერთი კაუდილიოს ხელით მოკვდე და არც ერთი კი არ გწამდეს...

- საინტერესოა, ერთად გაგვიყვანენ თუ ცალ-ცალკე?

- ერთი მოსმით არა სჯობია, ასე არ არის? შენ ხომ სამხედრო ხარ.

- შენ როგორღა მოხვდი აქ?

- ახლა ერთ რაღაცას გეტყვი. ღმერთმანი, სიცილით მოკვდები.

- აბა, თქვი.

- ამას არ მოვყვებოდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აქედან ვერ გავალ. კარანსამ ერთადერთი მიზნით გამომგზავნა შუამავლად - რომ დამიჭირონ და ჩემს სიკვდილში ბრალი ედებოდეთ. ასე სწამს, რომ მკვდარი გმირი სჯობია ცოცხალ მოღალატეს.

- მერე შენ მოღალატე ხარ?

- გააჩნია, როგორ შეხედავ ამ ამბავს. შენ, მაგალითად, დაუფიქრებლად იბრძოდი. ბრძანებებს ასრულებდი და არასოდეს დაეჭვებულხარ შენს ბელადებში.

- ცხადია. მთავარია, ბრძოლა მოიგო, შენ რა, ობრეგონისა და კარანსას მხარე არ გიჭირავს?

- ასევე შემეძლო საპატას ან კიდევ ვილიას მომხრე ვყოფილიყავი. არც ერთისა არ მჯერა.

- მერე?

- მთელი უბედურება ის არის, რომ მათ გარდა აღარავინ არის. არ ვიცი, გახსოვს თუ არა, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. სულ ახლახან იყო, ახლა რომ ძალიან შორეული ამბავი გვგონია... ბელადები მაშინ არაფერს ნიშნავდნენ. მაშინ ყველა საყოველთაო კეთილდღეობაზე ფიქრობდა და არა ერთი კაცის სახელზე.

- შენი აზრით, ჩვენი ხალხის ჯარისკაცურ ერთგულებას უნდა ვაძაგებდე? არა, რევოლუცია ბელადების ერთგულებაა.

- სწორედ ეგრეა. თვით იაკიც კი, თავდაპირველად თავისი მიწისთვის საბრძოლველად აღმდგარი, ახლა მხოლოდ გენერალ ობრეგონის მხარეზეა და ვილიას ებრძვის. არა, უწინ სხვანაირად იყო - მანამ, ვიდრე რევოლუცია დაჯგუფებათა შორის ბრძოლებად გადაგვარდებოდა. სოფელში, სადაც რევოლუცია შედიოდა, გლეხები სავალო

კაბალისგან თავისუფლდებოდნენ, მდიდრებს სიმდიდრე ჩამოერთმეოდათ, პოლიტიკური პატიმრები თავისუფლდებოდნენ, კასიკები[55] თავიანთ პრივილეგიებს კარგავდნენ. სად წავიდნენ ისინი, ვისაც სჯეროდა, რომ რევოლუცია მოწოდებულია, ხალხი გაათავისუფლოს და არა ბელადები ამრავლოს.

- კიდევ მოვა ამის დრო...

- არა, არ მოვა. რევოლუცია ბრძოლის ველზე იწყება, მაგრამ როგორც კი თავის პრინციპებს უღალატებს, წასულია მისი საქმე. თუნდაც რამდენიმე ბრძოლაც მოიგოს. ჩვენ ყველანი ამაზე პასუხს ვაგებთ. ჩვენ მათ გაგვთიშეს და ამის საშუალება თვითვე მივეცით, ხარბ, ხელისუფლების მოყვარე, უფერულ ადამიანებს გავყევით. ნამდვილი, თანამიმდევრული და უკომპრომისო რევოლუცია, სამწუხაროდ, მხოლოდ გაუნათლებელი და სისხლისმოყვარე ხალხის წყურვილია. ინტელიგენტებს კი ასეთი სანახევრო რევოლუცია არ შეუშლის ხელს განცხრომით, თავის ნებაზე, სიამოვნებით იცხოვრონ, დონ პორფირიოს ელიტას კვალში ჩაუდგნენ. ეს არის მექსიკის უბედურება. აი, მაგალითად, მე. მთელი სიცოცხლე კროპოტკინს, ბაკუნინს, მოხუც პლეხანოვს

ვკითხულობ, ბავშვობიდან წიგნებში ვიქექები, ვდავობ, ვპაექრობ. დადგა დრო და კარანსას გავყევი, რადგან იგი პატიოსან ადამიანად მომეჩვენა, რომლისაც შეიძლება არ გეშინოდეს. ხედავ, როგორი ღვთის გლახა ვარ? მეშინია ამ მათხოვრების, ვილიასი და საპატასი მეშინია... „მუდამ ვიქნები მიუღებელი ადამიანი, ვინაიდან დღეს მიღებული ხალხი, ასეთად დარჩება მუდამ...“ დიახ, სწორედ რომ ასეა.

- სიკვდილის წინ სულს ითავისუფლებ...

- „ჩემი უმთავრესი ნაკლი ფანტაზიების, გაუგონარი ავანტიურების, გმირობის სიყვარულია, უსასრულო და საოცარ ჰორიზონტს რომ გადაგვიშლის თვალწინ...“ დიახ, ასეა.

- რატომ არასოდეს გითქვამს ეს ყველაფერი იქ, გარეთ?

- ცამეტი წლიდან ამას ვეუბნები ლუსიო ბლანკოს, იტურბეს, ბუელნეს და ყველა პატიოსან სამხედროს, ვინც არასოდეს ისწრაფოდა, კაუდილიო გამხდარიყო.

ამიტომაც ვერ შეძლეს მოხუცი კარანსას ხრიკების ჩაშლა, რომელიც მთელი სიცოცხლე

განხეთქილებას თესავდა და ინტრიგებს ქსელავდა. ასე რომ არ ექნა, თვითონ მას გამოაცლიდნენ პირიდან ლუკმას. ამიტომ ეს ბებერი გაიძვერა ათას ვიგინდარას განადიდებდა ხოლმე, ყოველნაირ პაბლო გონსალესებს, ვისაც მისი დაჩრდილვა არ შეეძლო. ასე გათიშა მან რევოლუცია, დაჯგუფებათა ომად გადააქცია.

- ამისთვის გამოგგზავნეს პერალესში?

- დამავალეს, ვილიას მომხრეები დამერწმუნებინა, რომ დანებებულიყვნენ. ვითომ ჩვენ არ ვიცოდით, რომ განადგურებული გარბოდნენ და ყოველი კარანკლანელის დანახვაზე შიშით თავზარდაცემული იარაღს იმარჯვებდნენ. მოხუცს ხელის გასვრა არ უყვარს. ამჯობინებს, ბინძური საქმე თავის მტრებს გააკეთებინოს. ეჰ, არტემიო, ასეთი ადამიანები თავიანთი ხალხისა და თავიანთი რევოლუციის ღირსნი არ არიან.

- რატომ ვილიას მხარეს არ გადახვალ?

- სხვა კაუდილიოს მივემხრო? გადავიდე მის მხარეს, ვუყურო, რამდენ ხანს გაძლებს, მერე სხვასთან გადავინაცვლო და ასე შემდეგ, სანამ რომელიმე სხვა კედელთან არ აღმოვჩნდები სხვა თოფდამიზნებული?

- მაგრამ თავს გადაირჩენდი...

- არა... კრუს, დამიჯერე, მინდა გადავრჩე და პუებლაში დავბრუნდე, ვნახო ცოლი, ვაჟიშვილი, ლუისა და პანჩოლინა; ჩემი დაიკო კატალინა - მე ისეთი უმწეო დაიკო მყავს; ვნახო მამა, ჩემი მოხუცი დონ გამალიელი - ისეთი კეთილშობილი კაცია, თანაც ბრმა. ვცადო, ავუხსნა, რატომ გავები ამ ამბავში. მამაჩემს არასოდეს ესმოდა, რომ არსებობს მოვალეობა, რაც აუცილებლად უნდა შეასრულო, თუმცა წინასწარ იცი, რომ საქმე განწირულია დასაღუპად. მისთვის ის ძველებური წესები ერთხელ და სამუდამოდ შეუცვლელად არის დაწესებული: კარ-მიდამო, შეფარული ძარცვა და სხვა მისთანანი... აი, ვინმე რომ გამოჩნდებოდეს, ვისაც შეიძლება ვთხოვო, მივიდეს მათთან და რაღაც გადასცეს ჩემგან. მაგრამ ვიცი, აქედან ცოცხალი ვერავინ გავა. არა, ყველანი საშინელი თამაშით ერთობიან. ვინ ვის. ჩვენ ხომ მკვლელებსა და პიგმეებს შორის ვცხოვრობთ, ვინაიდან უფრო მსხვილი კაუდილიო მხოლოდ წვრილფეხობას სწყალობს, რათა მზის ქვეშ ადგილი შეინარჩუნოს, ხოლო უფრო პატარა კაუდილიომ უფრო მსხვილს უნდა სძლიოს, რომ წინ გახოხდეს. ეჰ, აფსუს, არტემიო. ჭეშმარიტად საჭირო და აუცილებელია ის, რაც ხდება, ეს ყველაფერი არ უნდა დაიღუპოს. ჩვენ განა

ეს გვინდოდა, როცა ცამეტ წელში მთელ ხალხთან ერთად რევოლუცია მოვახდინეთ... ახლა კი, დაუკვირდი და მითხარი, საპატასა და ვილიას რომ მოაშთობენ, ორი ბელადიღა დარჩება - შენი ახლანდელი უფროსები. შენ ვის გაჰყვები?

- ჩემი მეთაური გენერალი ობრეგონია.

- უკვე აირჩიე, რას იზამ. მომავალი გვიჩვენებს, ვნახავთ, რა გამოგვივა. ვნახავთ...

- შენ დაგავიწყდა, რომ ჩვენ დაგვხვრეტენ.

მოულოდნელობისგან ბერნალს გაეცინა - ესაოდა, ცაში ავიჭერი, დამავიწყდა, მიჯაჭვული რომ ვარო. საკნელ ამხანაგს მხარზე ხელი დაადო და და უთხრა:

- წყეული პოლიტიკური გატაცება! თუ აქ ინტუიციის ამბავია? მაგალითად, შენ რატომ არ მიჰყვები ვილიას?

სიბნელეში ვერ არჩევდა გონსალო ბერნალის გამომეტყველებას, მაგრამ სწავლული

ლიცენციატუნას თავდაჯერებული გამომეტყველება და მისი დამცინავი თვალები ელანდებოდა. ის ხომ ერთი იმათგანია, ვისაც არც კი უბრძოლია. მარტო ენას იფხანს იმ დროს, როცა ისინი, ჯარისკაცები, ბრძოლებს იგებენ, კრუსი ბერნალს უეცრად გაშორდა.

- რა მოგივიდა? - გაიღიმა ლიცენციატმა.

კაპიტანმა პირქუშად ამოიქშინა და ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა.

- ტყუილად ლაყბობა რა საჭიროა, - გამოცრა კბილებში, - ჰმ, სიმართლე გითხრა? გულს მირევენ დოყლაპიები, ყოველგვარ სისულელეს რომ ჩმახავენ ხოლმე, როცა ამას არავინ სთხოვს, მით უმეტეს, სიკვდილის წინ. პატივცემულო, ან გაჩუმდით, ან მხოლოდ საკუთარ თავზე ილაპარაკეთ, მე კი არ მინდა სიკვდილის წინ ვისლუკუნო.

გონსალოს ხმა ეცვალა და საოცრად მკვეთრად წარმოთქვა:

- მეგობარო, ხომ ხედავ, ჩვენ - სამი განწირული ადამიანი ვართ. იაკიმ თავისი ცხოვრება

გვიამბო, - გონსალოს სიბრაზისგან ნერწყვი გადასცდა, ბრაზობდა საკუთარ თავზე, რა საჭირო იყო აღსარება და ფილოსოფოსობა, რა საჭირო იყო გული გაეხსნა. ადამიანისთვის, რომელიც ამად არ ღირდა.

- იაკი ვაჟკაცი იყო. მას უფლება აქვს.

- შენ?

- მეც ვიბრძოდი - ეს არის და ეს. და თუ იყო კიდევ რამე სხვა, არ მახსოვს.

კრუსმა მუშტები შეკრა.

- ...გყავდა მშობლები, ვინ იცის, იქნებ ვაჟიცა გყავს, არა? მე კი მყავს, კრუს, და მჯერა, რომ ჭეშმარიტი ცხოვრებით ვიცხოვრე, მინდა გარეთ გავიდე და სიცოცხლე განვაგრძო, შენ კი არა, კრუს? ვითომ ახლა არა გსურს ეფერებოდე...

ბერნალს ხმა ჩაუწყდა, როცა კრუსი სიბნელეში უეცრად ეცა. ორივე ხელი ქიშმირის

ქურთუკის საყელოში ჩაავლო და სიტყვის უთქმელად, ღრენა-ღრენით კედელს მიახეთქა. დაეტაკა იდეებითა და ჰუმანურობით აღჭურვილ თავის ახალ მტერს, რომელმაც გაიმეორა მისი, პატიმარ კაპიტან კრუსის იდუმალი აზრი, რა იქნება ჩვენი სიკვდილის შემდეგ? ბერნალი კი კვლავ თავისას იმეორებდა, თუმცა კრუსი გვარიანად აჯანჯღარებდა:

- ...რომ არ მოვეკალით? ჩვენ ხომ ჯერ ოცდაათისაც არა ვართ... კიდევ რამდენი რამის გაკეთება მსურს...

ბოლოს, ოფლად გაღვრილმა კრუსმა ბერნალს შიგ სახეში უჩურჩულა:

- ...ყველაფერი ძველებურად იქნება, გაიგე? მზე ამოვა, ბიჭები დაიბადებიან, თუმცა მე და შენ გვამებიღა ვიქნებით მხოლოდ, გაიგე?

ერთმანეთს დაძგერებულმა მამაკაცებმა მკლავები დაუშვეს. ბერნალი იატაკზე გაიშხლართა, კრუსი კარისკენ გაემართა. გადაწყვიტა, საგალისთვის ტყუილი ცნობები მიეწოდებინა, იაკისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ბერნალი კი საკუთარი ბედისწერისთვის მიენდო.

როდესაც კაპრალს ღიღინ-ღიღინით იგი პოლკოვნიკთან მიჰყავდა, კრუსმა იგრძნო, როგორ შემოაწვა თითქოს მინავლული ტკივილი რეხინას დაკარგვისა, ტკბილი და ნაღვლიანი მოგონება, რომელიც სადღაც სულის სიღრმეში მიმალულიყო, ახლა კი გულთან მობჯენოდა და კრუსის ცოცხლად დარჩენას ითხოვდა - თითქოს გარდაცვლილი ქალი ცოცხალ კაცს ევედრებოდა, ჭიაღუის დასახრავ სხეულად არ დაეტოვებინა იმ უცნობ საფლავსა და უსახელო სოფელში.

- ჩვენი გასულელება გაგიძნელდებათ, - პოლკოვნიკმა საგალმა ჩვეული ღიმილით დაკრიჭა კბილები, - ახლავე ორ ოცეულს გავგზავნით თქვენი სიმართლის შესამოწმებლად, ხოლო თუ ჩვენ სხვა მხრიდან დაგვესხნენ თავს, მაშინ პირდაპირ საიქიოს მოგიწევთ გამგზავრება იმაზე ფიქრით, რომ საკუთარი სინდისის ფასად მხოლოდ რამდენიმე საათით გაიხანგრძლივეთ სიცოცხლე.

საგალმა წინდებიანი ფეხები გამოსწია და თითები აამოძრავა. სიქაგაცლილი, უდეზო ჩექმიანი ფეხები ზედ მაგიდაზე ეწყო.

- იაკის საქმე როგორღა წავა?

- იაკზე არ გვილაპარაკია. მართლაც, ღამე რაღაც გაჭიანურდა. ნუღარ ვანუგეშებთ საცოდავებს ახალი განთიადის მოლოდინით! კაპრალო პაიან!.. მოდი, ის ტყვეები უკეთეს ქვეყანაში გავისტუმროთ. საკნიდან გამოიყვანეთ და იქ, პატიოში შეიყვანეთ.

- იაკის სიარული არ შეუძლია, - შენიშნა კაპრალმა.

- მარიხუანა მიეცით, - გაიკრიჭა საგალი, - საკაცით მიათრიეთ, მერე როგორმე კედელზეც მიაყუდეთ.

რა დაინახეს ტობიასმა და გონსალო ბერნალმა? იგივე, რაც კაპიტანმა, თუმცა იგი მაღლა იდგა, საგალის გვერდით, მუნიციპალიტეტის ბრტყელ სახურავზე. იქ, ქვევით იაკი საკაცით წაიღეს, თავჩაღუნულმა ბერნალმაც გაიარა - ორივე კედელთან, ნავთის ორ ლამპას შორის დააყენეს.

იმ ღამით განთიადი იგვიანებდა. მთების მოხაზულობა თოფების ზალპის მოწითალო ნათების გრუხუნმაც ვერ გამოსტაცა ბნელს - ბერნალმა ძლივს მოასწრო იაკისთვის მხარზე ხელის დადება. ტობიასი ისევ კედელზე აყუდებული დარჩა - საკაცემ შეუშალა

ხელი, ძირს რომ დაცემულიყო. ტყვიებისგან დამახინჯებულ მის სახეს და მოკლული გონსალო ბერნალის ფეხებს, სისხლი ღვარად რომ სდიოდა, ლამპების შუქი ადგა.

- ესეც თქვენი მიცვალებულები, - თქვა საგალმა.

მისი სიტყვები თოფების შორეულმა და მწყობრმა ზალპმა დაფარა, რომელსაც წამსვე ქვემეხების ყრუ გუგუნიც შეუერთდა. მუნიციპალიტეტის ერთი კუთხე ჩამოინგრა. ვილიას მებრძოლების თავზარდაცემულმა ყვირილმა თეთრ, ბრტყელ სახურავამდე მიაღწია და საგალიც საზარლად აყვირდა:

- უკვე მოვიდნენ? დაგვეწივნენ? კარანკლანები არიან?!

ტყვემ თვალის უსწრაფესად პოლკოვნიკი ძირს დასცა და უცბად ძალამიცემული ხელით მისი რევოლვერის ბუდეს სწვდა. თითებმა ფოლადის სიცივე შეიგრძნეს. რევოლვერი საგალის ზურგს მიაბჯინა. ჯანმრთელი ხელი პოლკოვნიკს ყელში წაუჭირა და თავი სახურავზე დაამხობინა. დაძაბულობისგან ღაწვები გაუფითრდა, პირზე დუჟი მოადგა. მერე ლავგარდანს მოავლო თვალი, ქვემოთ, ვცრელ პატიოში,

საოცარი პანიკა იდგა. დამსჯელი ოცეულის ჯარისკაცებს ნავთის ლამპები აეყირავებინათ და ტობიასისა და ბერნალის სხეულებს ფეხით თელავდნენ, თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. მთელ სოფელში ისმოდა ყუმბარების აფეთქებისა და სროლის ხმა. ამ ხმას ხალხის წივილ-კივილის, ალმოდებული შენობების ტკაცუნისა და ცხენების ფლოქვების თქარუნიც ერთვოდა. მაგრამ აი, ვილიას მებრძოლები ისევ გამოჩნდნენ პატიოში, გამალებით შეიკრეს ხალათები, შემოიჭირეს ქამრები, მაშხალების შუქზე ბრინჯაოსფრად ელავდნენ მათი ქამრები, ღილები, ბალთები, თოფებსა და პატრონტაშებს იმარჯვებდნენ. სწრაფად გახსნეს თავლის კარები, აჭიხვინებული ცხენები გამოიყვანეს, აღკაზმეს და ღია ჭიშკარში გაცვივდნენ. რამდენიმე ჩამორჩენილი მხედარი გაქცეულთ გაედევნა და პატიო დაცარიელდა. დარჩა მხოლოდ ბერნალისა და იაკის გვამები და ორი გატეხილი ნავთის ლამპა. ყვირილი უკვე იერიშზე გადმოსული მტრის მხარეზეღა ისმოდა. ტყვემ საგალი აუშვა. პოლკოვნიკი

მუხლებზე წამოიწია, ჩაახველა. ჩალურჯებული კისერი დაიზილა და გაჭირვებით ამოიხრიალა:

- არ დანებდეთ! მე აქა ვარ!

ბოლოს, როგორც იქნა, დილამ თავისი ცისფერი ქუთუთოები ასწია და ველიც გადაანათა.

ბრძოლის ხმა უფრო და უფრო შორიდან აღწევდა. ქუჩაში მტერს დადევნებული ვილიას მებრძოლები მიქროდნენ. მათ თეთრ ხალათებს ლურჯი ელფერი დაჰკრავდა. პატიოდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. საგალი ფეხზე წამოდგა და მკერდის მოსაღეღად თავისი ნაცრისფერი კიტელის შეხსნა დაიწყო. რევოლვერმომარჯვებული კაპიტანი მისკენ წამოვიდა.

- ჩემი პირობები ძალაში რჩება, - გულგრილად მიმართა პოლკოვნიკმა.

- ძირს ჩავიდეთ, - უთხრა საგალმა და ხელები დაუშვა.

ოთახში საგალმა მაგიდის უჯრიდან „კოლტი“ ამოიღო.

ასე შეიარაღებულნი ცივი დერეფნის გავლით პატიოსკენ წავიდნენ. ოთხკუთხა ეზოს შუაგული მონიშნეს. პოლკოვნიკმა ბერნალის თავი ფეხით გასწია. კაპიტანმა ნავთის ლამპები მოისროლა.

ჯერ თავ-თავიანთი კუთხეებისკენ დაიხიეს, შემდეგ კი ერთმანეთისკენ წამოვიდნენ.

პირველად საგალმა გაისროლა - ტყვიამ კიდევ ერთხელ გახვრიტა იაკი ტობიასის თავი, გაისროლა და ნაბიჯი შეანელა; შავ თვალებში იმედის შუქი ჩაუდგა: კაპიტანი მისკენ მოიწევდა, მაგრამ არ ისროდა; ეს ორთაბრძოლა უბრალოდ ღირსების აქტია. წამი ერთი, წამი მეორე, მესამე... იმედი რწმენად იქცა, რომ მოწინააღმდეგე მის ვაჟკაცობას დააფასებდა, რომ ორივე პატიოს შუაგულში მეორე გასროლის გარეშე შეხვდებოდა ერთმანეთს.

ორივე პატიოს შუაგულში შედგა.

პოლკოვნიკის ტუჩები კვლავ ღიმილმა გააპო. კაპიტანმა უჩინარი ხაზი გადაკვეთა. საგალმა კბილების ელვარება დააფრქვია, ხელი მეგობრულად დაუქნია, მაგრამ სწორედ ამ დროს მუცელში დამიზნებულმა ზედიზედ ორმა გასროლამ შუაში გატეხა, ძირს დაეცა, მტრის ფერხთით. კრუსმა რევოლვერი პოლკოვნიკის ოფლიან კეფაზე დააგდო და გაუნძრევლად, ჩუმად დადგა.

ველიდან მონაბერი ნიავი უფრიალებდა შუბლზე გადმოყრილ კულულებს, ოფლით გაჟღენთილი კიტელის დაგლეჯილ კალთებს, ტყავის კრაგების შესაკრავის ნაფლეთებს. ლოყებს მოსდებოდა ხუთი დღის გაუპარსავი წვერი. ხშირი წამწამებით მოჩრდილული მწვანე, დანამული თვალები უბრჭყვიალებდა.

იდგა კრუსი, ეული გმირი ბრძოლის ველზე მიცვალებულთა შორის. იდგა მდუმარებით გარემოცული, სადღაც სოფლის იქით კი დოლის რაკარუკის შერწყმული ბრძოლის ცეცხლი გიზგიზებდა.

თვალები დახარა. პოლკოვნიკ საგალის მკვდარი ხელი გონსალოს მკვდარ თავს გადასწვდომოდა. იაკი კედელთან ჩაკეცილიყო, ტანის სიმძიმეს საკაცის ბრეზენტი ჩაეზნიქა.

იგი დაიხარა და პოლკოვნიკს თვალები დაუხუჭა. შემდეგ სწრაფად გაიმართა და მთელი მკერდით ჰაერი ჩაისუნთქა, სურდა ვინმე დაენახა, მადლობა ეთქვა, ხელახლა მოპოვებული სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის. მაგრამ მარტო იყო. არც მეგობრები, არც მოწმეები. ყრუ ღმუილი შრაპნელის შორეული აფეთქების ხმას

ერწყმოდა.

„თავისუფალი ვარ, თავისუფალი“.

სახე ტკივილმა დაუმანჭა და მუშტები მუცელზე მიიჭირა. მერე თვალები აღაპყრო და როგორც იქნა, დაინახა ის, რასაც სიკვდილმისჯილნი განთიადისას ხედავენ ხოლმე: შორეული მთები, უფერული ცა, პატიოს აგურის კედლები; გაიგონა ის, რაც ესმით სიკვდილმისჯილთ განთიადისას: უჩინარი ჩიტების ხმები, მშიერი ბავშვის ტირილი, სოფლელი კაცის ჩაქუჩის კაკუნი, ასე უცნაურად რომ ისმოდა ქვემეხების მონოტონურ გუგუნსა და სადღაც უკანა მხრიდან მოვარდნილი თოფების ზალპების ფონზე. სწორედ ამ უცნობი ჩაქუჩის რაკუნი, სროლის ხმა რომ ახშობდა, იმის რწმენას უნერგავდა, რომ ყველა ამ ბრძოლების, სიკვდილისა და გამარჯვების შემდეგ კვლავ მუდამ იკაშკაშებს მზე...

* * *

მე აღარაფერი მინდა, თავი აღარ მაქვს. რაც უნდათ, ის ქნან. მუცელზე ხელს ვიდებ და თითებს ჭიპს ქვემოთ ვაცურებ. მრგვალია. შესივებული. დასწყევლოს ეშმაკმა. ექიმი წავიდა. თქვა, სხვა ექიმებს მოვიყვანო. არ უნდა, პასუხისმგებლობა თვითონ იკისროს. ეშმაკმა იცის მაგისი თავი. აგერ, მოვიდნენ კიდეც. წითელი ხის კარი გაიღო და მიიხურა. ფუმფულა ნოხმა ნაბიჯების ხმა შთანთქა. ფანჯრები დახურეს, შრიალით გასწიეს ნაცრისფერი ფარდები. ისინი აქ არიან.

- მიუახლოვდი, შვილო... რომ გიცნოს... უთხარი, რა გქვია.

საამო სურნელი ვიგრძენი. ეს მას ასდის საამო სურნელი. ჰო, მე კიდევ შემიძლია გავარჩიო ღაჟღაჟა ლოყები, ელვარე თვალები, ნორჩი, მოქნილი ტანი, ჩემს საწოლთან მორიდებით რომ დაცუნცულებს.

- მე... მე გლორია ვარ...

ვცდილობ, გავიმეორო ეს სახელი. ვიცი, ჩემს სიტყვებს ვერ გაარჩევენ. ამისთვის მაინც მადლობა ტერესას - საშუალება მომცა ახალგაზრდობის გვერდით ვიყო, თავისი ქალიშვილის გვერდით. ახლოს რომ დამანახვა მისი სახე! დამანახვა მისი ღიმილი. თვითონ გლორია კი, ალბათ, ხედავს ჩემს ჩავარდნილ მკერდს, ნაცრისფერ წვერს, სანთლისფერ ყურებს. ცხვირიდან შეუჩერებელ მდინარეებს, ტუჩებსა და ნიკაპზე მიმხმარ ნერწყვს, დაცეცებულ თვალებს, მის მზერას რომ უნდა გაუძლონ. ამ...

იგი გაჰყავთ.

- საცოდავი... გოგონა აღელდა...

- ჰა?

- არა, არაფერი. მამა, მშვიდად იწექი.

ამბობენ, პადილიას ვაჟის საცოლეაო. ალბათ, როგორ კოცნის, ყოველგვარ სისულელესაც ეჩურჩულება, თან ვინ იცის, წითლდება კიდეც. შემოდიან და გადიან.

მხარზე ხელს მისვამენ, თავებს აკანტურებენ. გამამხნევებელ სიტყვებს ბუტბუტებენ. დიახ, მათ არ იციან, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მე მესმის მათი ხმა, მესმის ყველაზე ჩუმი საუბარი, ოთახის შორეულ კუთხეში ლაყბობაც და თავსასთუმალთან ნათქვამი სიტყვებიც.

- სენიორ პადილია, თქვენი აზრით, დღეს როგორ არის?

- ცუდად, ცუდად.

- მთელი იმპერია რჩება.

- დიახ.

- თქვენ ხომ ამდენი წელია მის საქმეებს მართავთ.

- მისი შეცვლა ძნელი იქნება.

- ჩემი აზრით, დონ არტემიოს შემდეგ თქვენს მეტი ამას ვერავინ შეძლებს.

- ჰო, რა თქმა უნდა, საქმის ვითარებისა რაღაც გამეგება...

- ასეთ შემთხვევაში თქვენს ადგილს ვინღა დაიჭერს?

- მცოდნე ადამიანი ბევრია.

- აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია დაწინაურებები?

- ცხადია. პოსტების ახალი განაწილება უკვე მონიშნულია.

- ა, პადილია, ახლოს მოდი, მაგნიტოფონი მოიტანე?

- პასუხისმგებლობას თქვენ კისრულობთ?

- დონ არტემიო... აი, მოვიტანე...

„- დიახ, პატრონო.

- მზად იყავით. მთავრობა მაგრად მოჰკიდებს ხელს და წესრიგს დაამყარებს, თქვენ კი მზად უნდა იყოთ პროფკავშირის სათავეში ჩასადგომად.

- კარგი, პატრონო.

- მინდა გაგაფრთხილოთ - ვიღაც-ვიღაცები, ძველი გაიძვერები, ამ ადგილს უმიზნებენ. მაგრამ ხელისუფლებას სიტყვა ჩავუკარი, რომ მხოლოდ თქვენ სარგებლობთ ჩემი ნდობით. მიირთვით.

- გმადლობთ, ახლახან გეახელით.

- გაფრთხილდით. თქვენ თვითონ არ შეგჭამონ. სანამ გვიან არ არის, სხვა გზაზე გადაუხვიეთ - შრომის სამინისტროსკენ, მმკ-სკენ,[56] ჩვენკენ...

- გასაგებია, პატრონო, ჩემი იმედი გქონდეთ.

- კარგად იყავით, კამპანელა... ფრთხილად იმოქმედეთ, თვალი გეჭიროთ. აბა, პადილია...“

აი, დამთავრდა კიდეც. დიახ, სულ ეს არის. სულ ეს არის? ვინ იცის. არ მახსოვს. დიდი ხანია მაგნიტოფონს არ ვუსმენ. მაგრამ თავს ვაჩვენებ, ვითომ ვუსმენ. ვინ მეხება? ვინ არის ჩემ გვერდით? არ გინდა, კატალინა. ჩემთვის ვიმეორებ. არ გინდა. ამაო სინაზეა. უსიტყვოდ ვეკითხები: რა შეგიძლია მითხრა? ვითომ, როგორც იქნა, იპოვე სიტყვები, რომელთა წარმოთქმა ყოველთვის გეშინოდა? გიყვარდი? მაშ, რისთვის ვდუმდით? მე მიყვარდი. უკვე აღარ მახსოვს. შენი

ალერსი მაიძულებს შეგხედო, მაგრამ არ ვიცი, ვერ ვხვდები, რად გინდა ჩემთან გაინაწილო ეს მოგონება. თან ამჯერად შენს თვალებში საყვედური რატომ არ ჩანს. სიამაყე თუ მედიდურობა. ამან გადაგვარჩინა. ამან დაგვღუპა.

- უბადრუკ ხელფასს იძლევა, თანაც თავს გვჭრის იმ ქალთან თავისი კავშირით, კომფორტს ცხვირში გვადენს; რაღაც გროშებს გვაძლევს, თითქოს მათხოვრები ვიყოთ...

ამათ ვერაფერი გაიგეს. მათთვის ცუდი არ მინდოდა. ჩემთვის ესენი ნაღდი არარაობაა. ამას ჩემთვის ვაკეთებდი. მე მათი ლაყბობა არ მაინტერესებს. არ მაინტერესებს, ტერესა და ხერარდო როგორ ცხოვრობენ. ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი.

- ხერარდო, რატომ არ მოითხოვ, რომ რიგიანი ადგილი მოგცეს? შენც ხომ აგებ პასუხს ყველაფერზე, როგორც ეგ...

მიმიფურთხებია.

- ტერესიტა, დამშვიდდი, გამიგე, მე არაფრის პრეტენზია არა მაქვს.

- ერთი ბეწო ნებისყოფაც არა გაქვს.

- ჩუმად, ნუ აწუხებთ.

- გამოუჩნდა დამცველი! ყველაზე მეტად სწორედ შენ დაგტანჯა...

მე გადავრჩი, რეხინა. რა გერქვა შენ? არა. შენ რეხინა ხარ. შენ რაღა გერქვა, უსახელო ჯარისკაცი? გონსალო. გონსალო ბერნალი. ინდიელი კაცი, იაკი. საცოდავი იაკი. მე გადავრჩი. თქვენ დაიხოცეთ.

- ...და მეც. ამას ვერასოდეს ვაპატიებ - ქორწილზეც კი არ მობრძანდა, საკუთარი ქალიშვილის ქორწილზე...

ამათ არასოდეს არაფერი გაეგებოდათ. ესენი მე არ მჭირდებოდნენ. მე მარტო ვიკვლევდი გზას. ჯარისკაცი იაკი, რეხინა, გონსალო...

- დედა, თავად რაც უყვარდა, ისიც კი გაანადგურა, შენ ხომ იცი.

- გაჩუმდი. ღვთის გულისათვის. გაჩუმდი...

ანდერძი? ნუ წუხდებით. არსებობს წერილობითი საბუთი, ბეჭდიანი, თავად ნოტარიუსის დამოწმებული. მე არავინ გამომრჩენია. რატომ უნდა დამავიწყდნენ ისინი ან რატომ უნდა მეზიზღებოდნენ? განა გულის სიღრმეში მადლობას არ მეტყვიან? განა თვითონ არ ესიამოვნებათ იმის გაფიქრება, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მათზე ვფიქრობდი, თუნდაც მათ მასხრად ასაგდებად? არა, მე თქვენ გაგიხსენეთ ანდერძის გაცვეთილი სიტყვებით, ჩემო ძვირფასო კატალინა, საყვარელო ქალიშვილო, სიძევ. საოცარ სიმდიდრეს გიტოვებთ და თქვენ, ყველას გასაგონად, საკადრისს მიუზღავთ

ჩემს შრომას, ჩემს შეუპოვრობას, ჩემს პასუხისმგებლობის გრძნობას, ჩემს ღირსებებს. ასე იმოქმედეთ და მშვიდად იძინეთ. დაივიწყეთ, რომ სიმდიდრე თავგანწირული ბრძოლით დავაგროვე. იმ ბრძოლით, რომლის არსში გარკვევას არ ვცდილვარ, ხელს არც მაძლევდა ამის გარკვევა, რადგან მისი გაგება მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც არაფერს ელოდა გაწეული მსხვერპლის სანაცვლოდ. ეს ხომ საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებაა, ხომ მართალია? გასცე ყველაფერი, სანაცვლოდ კი არაფერი მიიღო. ამას რაღა ჰქვია, როდესაც ყველაფერს გასცემ და სანაცვლოდაც ყველაფერს მიიღებ? მაგრამ მათ ყველაფერი არ შემომთავაზეს. იმ ქალმა კი შემომთავაზა. მე არ გამოვართვი, აღება არ ვიცოდი. ამას რაღა ჰქვია?

„- O. K. The picture's clear enough. Say, the old at the Embassy wants to make a speech comparing this Cuban mess with the old-time Mexican revolution. Why don't you prepare the climate with an editorial?[57]

- კეთილი. შეიძლება. ასე, ოცი ათასად.

- Seems gair enough. any ideas?[58]

- დიახ, უთხარით, რომ აქცენტი გააკეთოს ძირეულ განსხვავებაზე კერძო საკუთრებასა და მასთან ერთად ადამიანის უფლებების გამანადგურებელ, ანარქიულ, სისხლიან მოძრაობასა და მოწესრიგებულ, მშვიდობიან, ლეგალურ რევოლუციას შორის, ესე იგი, ჩვენს მექსიკურ რევოლუციას შორის, რომელსაც საშუალო ფენა წარმართავდა და ჯეფერსონის იდეებით იყო შთაგონებული. საბოლოოდ, ხალხი გულმავიწყია. უთხარით, რომ გვაქოს.

- Fine. So long, Mr. Cruz, it's always...[59]

ოჰ, როგორ მიხვრეტს ამ დაღლილ ტვინს ყველა ეს სიტყვა, განჩინება თუ გადაკრული ლაპარაკი. არა, ესენი ჩემი ხელის მოძრაობით ვერას მიხვდებიან, თითის განძრევის არაქათიც აღარა მაქვს, გამართონ მაინც. მომბეზრდა. ან კი რა საჭიროა, თან მოსაწყენია, მოსაწყენი...

- სახელითა მამისა და ძისა...

- იმ დილით რა სიხარულით ველოდი. მდინარეზე ცხენებით გადავედით.

- რატომ წამართვი იგი?

მე გიანდერძებთ ყველასთვის უსარგებლო სიკვდილს, მკვდარ სახელებს, რეხინას, იაკი ტობიასის... გამახსენდა, იმას ტობიასი ერქვა... გონსალო ბერნალისას, უსახელო ჯარისკაცისას. იმას, მეორეს რა ერქვა? იმ მეორე ქალს?

- ფანჯარა გააღეთ.

- არა. შეიძლება გაცივდე და უარესი იქნება.

ლაურა. რატომ? რატომ მოხდა ასე? რატომ?

* * *

შენ გადარჩები. კვლავ საწოლში იწვები და გეცოდინება, რომ გადარჩი, გადარჩი, ჟამთა სვლის ჯიბრზე, რომელიც წუთი წუთზე ამოკლებს შენს სიცოცხლეს, სიცოცხლის ხაზი კი სადღაც დამბლასა და მძვინვარებას შუა გადის. ვინ იცის? შენ გადაწყვეტ, რომ გადარჩენის საუკეთესო საშუალება უძრაობაა. საფრთხის, შემთხვევითობის, ეჭვის, თავდაცვის უკეთეს საშუალებად უძრაობას ჩათვლი, მაგრამ შენი სიმშვიდე დროს ვერ შეაჩერებს, რომელიც შენი ნების გარეშე გარბის, თუმცა იგი თვითონ მოიგონე და მის აღრიცხვასაც თვითვე ახერხებ. არ შეჩერდება შენი უძრაობის უარმყოფელი დრო, რომელიც საკუთარი დასასრულით გემუქრება. განუსჯელად გულადი, საკუთარი სიცოცხლის სრბოლას დროით გაზომავ, დროით, რომელსაც შენ მოიგონებ, რომ დიდხანს იცოცხლო, რომ შექმნა დედამიწაზე უფრო ხანგრძლივად ყოფნის ილუზია.

შენი გონება შობს დროს, ჩასწვდება ძილისა და სიფხიზლის ციფერბლატზე სინათლისა და სიბნელის მონაცვლეობას. როცა შეიცნობ ბუნების სურათების მონაცვლეობას, როცა უზარმაზარ ლეგა ღრუბელს მეხის გავარდნა მოჰყვება, ელვა გაკრთება, თქეში წამოვა,

ცაზე მშვიდად გადაწვება ცისარტყელა, შეიცნობ დროის ბგერებს: შეიცნობ ომიანობის გოდებას, ზეიმის ღრიანცელს, ტყის ბინადართა საგაზაფხულო მყვირალობას; აღიარებ, რომ დროს შეუძლია ილაპარაკოს და იფიქროს, სამყაროს არარსებულ დროს, რომელმაც არ იცის დრო, ვინაიდან იგი არასოდეს დაწყებულა და არასოდეს დამთავრდება, არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. არ უწყის, რომ შენ უსასრულობის საზომი გამოიგონე, საღი აზრის თავშესაფარი.

შენ მოიგონებ და თვლას დაუწყებ არარსებულ დროს.

შენ ბევრ რამეს შეიცნობ, გადაიტან, შეაფასებ, გამოთვლი, წარმოიდგენ, გაითვალისწინებ და ბოლოს მიხვდები, რომ შენი შექმნილი სინამდვილის გარდა სხვა სინამდვილე არ არსებობს, შენ ისწავლი შენი ძალის წარმართვას, რათა მტრები დაამარცხო; შენ ისწავლი ხახუნით ცეცხლის გაჩენას, ვინაიდან დაგჭირდება დადევნებული მტრების მოსაგერიებლად შენი გამოქვაბულის შესასვლელთან ანთებული მუგუზლების დაყრა, რადგან მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინა ხარ შენ და შენი ხორცი სხვა ცხოველების ხორცისგან რითი განსხვავდება. შენ ააგებ ათასობით

ციხესიმაგრეს, გამოსცემ ათასობით კანონს, დაწერ ათასობით წიგნს, მუხლს მოიყრი ათასობით ღმერთის წინაშე, დახატავ ათასობით სურათს, შექმნი ათასობით მექანიზმს, დაიპყრობ ათასობით ქალაქს, გახლეჩ ათასობით ატომს, რათა ისევ ანთებული მუგუზლები მიაყარო შენი გამოქვაბულის შესასვლელს.

დიახ, შენ შეძლებ ყოველივე ამას, ვინაიდან შენ აზროვნებ, ავითარებ შენს ტვინსა და ნერვულ სისტემას - ამ ურთულეს ქსელს, რომელსაც ძალუძს ინფორმაციის

შეცნობაც და საპასუხო სიგნალების დაგზავნაც. შენ გადარჩები არა საკუთარი ძალის წყალობით, არამედ ბუნების იდუმალი ახირების გამო: საშინელი სიცივის დროს მხოლოდ ის ორგანიზმები გადარჩებიან, რომლებიც, გარემო პირობების მიუხედავად, შეძლებენ სხეულის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნებას. გადარჩება ის, ვინც გაივარჯიშებს ტვინს, ვინც შეძლებს სიფრთხილისაგან თავის დაცვას, იშოვის საკვებს, გააწონასწორებს თავის მოძრაობებს და იცურავებს ოკეანეში, ცხოვრების ამ უზარმაზარ, უხვ წყაროში. ის, ვინც ვერ გადარჩა და დაიღუპა, ზღვის ფსკერზე დარჩება - შენი თანამოძმენი, მილიონობით შენი თანამოძმე, ზედაპირზე ვერ ამოყვინთავენ თავიანთი ხუთქიმიანი საცეცებით, თავიანთი ხუთ-ხუთი თითით, რომლებითაც

ეჭიდებიან ნაპირს, მყარ მიწას, განთიადის კუნძულებს. შენ ამოყვინთავ ამებებთან ერთად, საოცარ არსებებთან ერთად - რეპტილიებსა და ფრინველებთან. ფრენის სწავლისას ბევრი მათგანი პირველქმნილი მწვერვალებიდან პირველქმნილ უფსკრულში ჩაცვივდება, ვიდრე ფრენას ისწავლიან, მიწაც თანდათან განელდება. შენ გადარჩები ფრინველებთან ერთად, თავიანთი მჩქეფარე სისხლით გამთბარ, ბუმბულით შემოსილ არსებებთან ერთად, ხოლო ცივსისხლიანი რეპტილიები მიიძინებენ, გაცივდებიან და ბოლოს დაიღუპებიან. მაგრამ შენ ბრჭყალებით ჩააფრინდები მყარ დედამიწას, განთიადის კუნძულებს და ცხენივით გაოფლილი ხეებზე ცოცვას დაიწყებ, სხეულის მუდმივ ტემპერატურას შეინარჩუნებ, შემდეგ კი დედამიწაზე დაბრუნდები შენი ტვინის დიფერენცირებული უჯრედებით, შენი ავტომატიზებული სასიცოცხლო ფუნქციებით, შენი შემადგენელი ელემენტებით: წყალბადით, შაქრით, კალციუმით, წყლით, ჟანგბადით... აზროვნებისთვის მომზადებული, წუთიერი სურვილების და მოთხოვნებისგან განდგომილი. შენ აიტან შემდგომი ევოლუციის პროცესს და დაიწყებ შენი ტვინის ათი მილიარდი უჯრედით, თავში მოთავსებული ამ მგრძნობიარე და ცვალებადი ელექტრული ბატარეით, რაღაცის ძიებას, საკუთარი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. დაუსახავ საკუთარ

თავს ათასგვარ ამოცანას, რასაც ძალის უმცირესი დაძაბვით გადაჭრი, გაექცევი სიძნელეებს, ისწავლი წინასწარგანჭვრეტას, დაივიწყებ, მოიგონებ, ერთმანეთს დაუპირისპირებ იდეებს, გაარჩევ ფორმებს, განსაზღვრავ იმას, რაც აუცილებლობის საზღვარს მიღმა რჩება; ჩაახშობ შენს ლტოლვასა და ანტიპათიას, გამოძებნი შენთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს. მინიმალურ მოთხოვნებს წაუყენებ რეალობას, საკუთარი თავისთვის ფარულად მოისურვებ მაქსიმალურ სიკეთეს და არც უსაზღვრო მარცხისგან შეღონებული დაეცემი სულით.

საკუთარ თავს საზოგადოების მოთხოვნებთან შეგუებას მიაჩვევ.

მოისურვებ არ იყოს განსხვავება სასურველსა და სანატრელს შორის; იოცნებებ მიზნის დაუყოვნებლივ მიღწევაზე, სასურველისა და სანატრელის თანხვდომაზე.

შენ მოინდომებ საკუთარი თავის აღიარებას, სხვათა აღიარებას, მოინდომებ, რათა იმ სხვებმა მერე შენ გაღიარონ; მიხვდები, რომ ყოველი ადამიანი შენი პოტენციური მტერია, ვინაიდან ყოველი მათგანი დაბრკოლებაა შენი სურვილების განხორციელების გზაზე.

თავის გადასარჩენად შერჩევას დაიწყებ, დაიწყებ შერჩევას და დაუსრულებელ წყებაში ერთადერთ სარკეს ამოირჩევ, ერთ სარკეს, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ აღგბეჭდავს შენ; გადაჩრდილავს ყველა სხვა სარკეს. შიგ ჩაუხედავად გადაყრი ყველას და უარყოფ შენ წინ გადაშლილ სხვა უსასრულო გზებს.

შენ გადაწყვეტ. გაწირავ ყველა სხვას და ამოირჩევ ერთადერთ გზას. თავს მსხვერპლად მიიტან არჩევანისას და აღარასოდეს გადაიქცევი იმ ერთ-ერთ ადამიანად, ვინც შეიძლებოდა ყოფილიყავი; მოისურვებ, რომ სხვა ადამიანებმა - სხვა ადამიანმა - შენ მაგივრად გაიაროს ის ცხოვრება, რომელიც არჩევანისას დაამახინჯე: აირჩიე ან საჭიროდ სცანი, რომ გამოძრავებდა არა შენი სურვილი, რაც შენს თავისუფლებას ნიშნავდა, არამედ შენი ანგარიშიანობა, შიში, შენი ყალბი სიამაყე;

იმ დღეს სიყვარულის შეგეშინდება.

მაგრამ შეძლებ დანაკარგის ანაზღაურებას: თვალდახუჭული დაწვები და კვლავ ყველაფერს დაინახავ, ყველაფერს მოისურვებ, ვინაიდან მხოლოდ ასე გახდება ყველა სურვილი შენი საკუთრება.

მოგონება - შესრულებული სურვილია... ახლა, როცა შენი სიცოცხლე და შენი ბედ-იღბალი - ერთი და იგივეა.

*** * ***

1934 წლის 12 აგვისტო

მან ასანთი აიღო, კოლოფს გაჰკრა, ალს შეხედა და სიგარეტს მოუკიდა. მერე თვალები დახუჭა და ნაფაზი დაარტყა, ხავერდის სავარძლის ზურგზე გადაწვა, ფეხები გაჭიმა, თავისუფალი ხელი ხავერდს გადაუსვა და მის ზურგს უკან მაგიდაზე ბროლის ლარნაკში ჩაწყობილი ქრიზანთემების სურნელი შეისუნთქა. ფირსაკრავიდან, ისიც მის ზურგს უკან რომ იდგა, მომდინარე ნელ მელოდიას მიუგდო ყური.

- მე თითქმის მზადა ვარ.

თავისუფალი ხელით მისგან მარჯვნივ კაკლის ხის პატარა მაგიდაზე დადებული ფირფიტების ალბომი გახსნა. მუყაოს ყდას დახედა, წარწერა წაიკითხა „Deutsche Grammophon-Gesellschaft“[60] და ისევ ყური მიუგდო: საზეიმოდ ამღერდა ვიოლონჩელო - სულ უფრო გამოკვეთილად, ძლიერად, მისმა ხმამ თითქმის ჩაახშო ვიოლინოები, დაბალ აკომპანემენტად რომ მოისმოდა. უკვე აღარ უსმენდა. ყელსახვევი

შეისწორა და რამდენიმე წამს ხელს უსვამდა ხორკლებიან აბრეშუმს, თითებქვეშ ოდნავ რომ შრიალებდა.

- რაიმე მოგიმზადო?

გორგოლაჭებიან, დაბალ მაგიდასთან მივიდა, რომელზეც უამრავი ბოთლი და სირჩა იდგა, შოტლანდიური ვისკის ბოთლი და სქელი ბოჰემიური მინის ჭიქა აიღო, ცოტაოდენი ვისკი გადმოასხა, პაწაწინა ყინული ჩააგდო და წყალი დაუმატა.

- რასაც შენთვის მოიმზადებ.

მეორე ჭიქა შეავსო, თავისას მიუჯახუნა, შეანჯღრია და ორივე ჭიქით საძინებლის კართან მივიდა.

- ერთი წუთი.

- ეს ფირფიტა ჩემთვის დაუკარი?

- ჰო. გახსოვს?

- მახსოვს.

- მაპატიე, ამდენ ხანს რომ გაცდევინე.

ისევ სავარძელში ჩაჯდა. ისევ აიღო ალბომი და მუხლებზე დაიდო: „Werke von Geord Friedrich Händel“.[61] მაშინ ჰენდელის კონცერტს ორივენი ძალიან დახუთულ დარბაზში ისმენდნენ. შემთხვევით გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ და

ქალმა გაიგონა, ესპანურად როგორ შესჩივლა თავის მეგობარს, დარბაზში ძალიან ცხელაო. ქალს კი ინგლისურ ენაზე სთხოვა პროგრამა, ქალმა გაუღიმა და ესპანურად უპასუხა: „სიამოვნებით“. ორივემ გაიღიმა. „Concerti Grossi, opus 6“.

შეთანხმდნენ, მომდევნო თვეში შეხვედროდნენ ერთმანეთს - როდესაც ორივენი კვლავ ამ ქალაქში დაბრუნდებოდნენ - რიუ კომარტენზე მდებარე კაფეში, კაპუცინების ბულვარის გვერდით. კრუსმა ეს კაფე რამდენიმე წლის შემდეგ მოინახულა, მაგრამ უკვე უიმისოდ და არც იყო დარწმუნებული, რომ სწორედ ის კაფე იყო. კრუსს კი ისე

უნდოდა ისევ ის ლიქიორი დაელია, ისეთივე კაფე დაენახა - წითელ-ყავისფერ ტონებში, რომაული სავარძლებითა და მოწითალო ხის გრძელი დახლით. წყლით გაზავებული პიტნის ლიქიორი დალიეს. კრუსმა კიდევ შეუკვეთა. ქალმა თქვა, სექტემბერი საუკეთესო თვეა, განსაკუთრებით სექტემბრის დასასრული და ოქტომბრის დასაწყისიო. დედაბრის ყვავილობა. ისევ დასვენების დრო. კრუსმა ფული გადაიხადა. ქალმა ხელკავი გამოსდო, სუნთქვაგახშირებული ლაღად იცინოდა. პალე-რუიალის ეზოები დაიარეს, პირველ დამჭკნარ ფოთლებს ფეხებით თელავდნენ, აფრთხობდნენ მტრედებს. შემდეგ რესტორანში შევიდნენ, სადაც პატარა მაგიდები და ხავერდის სავარძლები იდგა. რესტორანს სარკეებიანი მოხატული კედლები ჰქონდა - ძველებური მოხატულობით დამშვენებული, ძველებური ოქროცურვილი ჭიქურით.

- მე მზადა ვარ.

კრუსმა უკან მიიხედა, ქალი საძინებლიდან გამოდიოდა, თან საყურეს იკეთებდა და თაფლისფერ გადატკეცილ თმას ხელით ისწორებდა. მოვიდა თუ არა, მომზადებული ვისკი გაუწოდა. ქალმა ერთი ყლუპი მოსვა და შეიჭმუხნა. მერე წითელ სავარძელში

ჩაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ჭიქა თვალებთან მიიტანა. კრუსმა მისი მოძრაობა გაიმეორა, ქალმა თავისი შავი კაბის საყელოდან მტვერი ჩამოიფერთხა. ისმოდა მუსიკა, ვიოლინოს თანხლებით, ძირითადი მელოდია კლავესინს მიჰყავდა. მელოდია ქვეითდებოდა: კრუსი ამ დაღმასვლას აღიქვამდა როგორც სიმაღლიდან დაშვებას, რომელიც მიწაზე აღმოჩენისას ვიოლინოს მაღალი და დაბალი ხმების მოზეიმე კონტრაპუნქტად იქცეოდა. კლავესინი თითქოს ფრთები იყო, მიწაზე დასაშვები ფრთები. ახლა, მიწაზე, მუსიკა ცეკვავდა. ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

- ლაურა...

ქალი თითით დაემუქრა და კვლავ მუსიკის მოსმენა განაგრძო. ის ჭიქით ხელში იჯდა, კრუსი კი ფეხზე იდგა და ასტრონომიულ გლობუსს ღერძის ირგვლივ ატრიალებდა. ხანდახან აჩერებდა, რათა დაენახა ვერცხლისფერი პუნქტირით მონიშნული თანავარსკვლავედების ფიგურები: მარტორქა, ბაკანი, მეძებარი ძაღლები, თევზები, ზვარაკი, კენტავრი.

ნემსი დადუმებულ ფირფიტაზე გასრიალდა. კრუსი ფირსაკრავთან მივიდა და ფირფიტის ბგერათამრთველი გადასწია.

- კარგი ბინა გაქვს.

- კი. მშვენიერია. ოღონდ ყველაფერი ვერ მოვათავსე.

- კარგი ბინაა.

- იძულებული გავხდი, ზედმეტი ავეჯის მოსათავსებლად სხვა ბინა მექირავა.

- შენ რომ გსურვებოდა, შეგეძლო...

- გმადლობთ, - გაიცინა ქალმა, - მე რომ მხოლოდ ეს მსურვებოდა: დიდ სახლში მეცხოვრა, იქიდან არც გადავიდოდი.

- კიდევ გინდა მუსიკას უსმინო თუ წავიდეთ?

- ჯერ დავლიოთ.

ერთხელ ერთ სურათთან შეჩერდნენ, ქალმა თქვა, სურათი ძალიან მომწონს და ხშირად მოვდივარ მის სანახავადო. ეს გარინდებული მატარებლები, ეს ცისფერი ბოლი, უზარმაზარი სიღრმიდან გამოზრდილი ლურჯ-ჟანგმიწისფერი სახლები, სენ-ლაზარის სადგურის ეს საშინელი - თუნუქისა და დაბინდული მინის - სახურავი, მონეს ხელით ოდნავ მოხაზული გაურკვეველი ფიგურები, ძალიან მომწონს, ისევე, როგორც ყველაფერი ამ ქალაქში, სადაც დეტალები არც ისე ლამაზია, მაგრამ ყველაფერი ერთად უბადლოაო. კრუსმა შენიშნა, ეს მართლაც შეფასებაა, ქალმა გაიცინა, ხელზე ალერსით მოუთათუნა ხელი და უთხრა, მართალი ხარ, მე ყველაფერი მომწონს, აქ ყველაფერი მომწონს, ყველაფერი მახარებსო. რამდენიმე წლის შემდეგ კრუსმა ჟო-დე-პომ-ის სალონში გამოფენილი სწორედ ეს სურათი ნახა. სპეციალისტმა მეგზურმა ურჩია, ღირს ამაზე ყურადღების მიქცევა. ოცდაათი წლის განმავლობაში სურათი ოთხჯერ უფრო გაძვირდა და ახლა რამდენიმე ათას დოლარად არის შეფასებულიო.

კრუსი ლაურას უკან ამოუდგა, სავარძლის ზურგს ხელები ააყოლა და ქალს მხარზე დააწყო. ქალმა თავი გვერდზე გადასწია და ლოყა მის თითებს შეახო, ჩაიცინა, ოდნავ წინ გადაიხარა და ვისკი მოსვა. თვალები დახუჭა, მერე თავი უკან გადასწია, ვისკი დაიგემოვნა და გადაყლაპა.

- ჩვენ შეგვეძლო მომავალ წელსაც იქ ჩავსულიყავით, ხომ მართალია?

- დიახ, შეგვეძლო.

- ხშირად ვიგონებ, როგორ დავხეტიალებდით ქუჩებში.

- მეც. შენ გრინვიჩ-ვილიჯში ნამყოფი არ იყავი, იქ მე მიგიყვანე.

- ჰო, შეგვეძლო კიდევ ჩავსულიყავით.

- ამ ქალაქს რაღაც ცხოველმყოფელი ძალა აქვს. გახსოვს? მდინარის სუნს ზღვის სუნისგან რომ ვერ არჩევდი, როცა ერთდროულად დაუბერავდა ნიავი. შენ მათ ვერ ასხვავებდი. ჩვენ გუძონისკენ მივდიოდით და თვალებს ვხუჭავდით, რომ გამოგვეცნო.

კრუსმა ლაურას ხელსა და თითებს კოცნა დაუწყო... უეცრად ტელეფონმა დარეკა. ყურმილი კრუსმა აიღო: „ალო, ალო, ლაურა?“ - იმეორებდა ხმა.

კრუსმა შავ ყურმილს ხელი დააფარა და ლაურას გადასცა. ქალმა ჭიქა მაგიდაზე დადგა და ტელეფონთან მივიდა.

- დიახ?

- ლაურა, მე ვარ, კატალინა.

- ჰო, როგორა ხარ?

- ხელი ხომ არ შეგიშალე?

- წასასვლელად ვემზადებოდი.

- არა უშავს, ბევრ დროს არ წაგართმევ.

- გისმენ.

- ხომ არ გაგვიანებ?

- არა, არა. თქვი, გეთაყვა, რა გინდა.

- მგონი, სისულელე ჩავიდინე. შენთვის უნდა დამერეკა.

- ჰო?

- ჰო, ჰო. შენი სოფა უნდა მეყიდა. ამას მხოლოდ ახლა მივხვდი, როცა ახალი სახლის მოწყობა დავიწყე. გახსოვს ის ნაქარგი? იცი, ჩემს შემოსასვლელს ძალიან მოუხდება - გობელენები ვიყიდე შემოსასვლელის გასალამაზებლად და ვფიქრობ, რომ მხოლოდ ხელით ნაქარგი შენი სოფა მოუხდება.

- არა ვარ დარწმუნებული. მგონი, ძალიან ბევრი ნაქარგი აქვს.

- არა, არა, არა. ჩემი გობელენები მუქია, შენი სოფა კი ღია. კარგი კონტრასტი იქნება.

- მაგრამ, იცი, ეს სოფა აქ დავდგი, ამ ბინაში.

- კარგი, ნუ ჯიუტობ. შენ ისედაც ბევრი ავეჯი გაქვს. თვითონ არ მითხარი, ნახევარზე მეტი ფარდულში დავდგიო? ხომ მითხარი?

- ჰო, მაგრამ ოთახი ისე მოვაწყვე, რომ...

- მაინც იფიქრე. ჩვენი სახლის სანახავად როდის მოხვალ?

- როცა გინდა.

- არა, არა. მოდი, შევთანხმდეთ. დათქვი დღე - ფინჯანი ჩაი დავლიოთ და ვიმასლაათოთ.

- პარასკევს?

- არა, პარასკევს არ შემიძლია, ხუთშაბათს ჯობია.

- კარგი, ხუთშაბათს იყოს.

- მაგრამ იცი, შენი სოფა თუ არ დაიდგა, მთელი შემოსასვლელი იერს დაკარგავს. მაშინ უმჯობესი იქნება სოფა აღარ დავდგა, გაიგე? სულ მთლად დაიკარგება. პატარა ბინის მოწყობა უფრო იოლია. აი, თვითონ ნახავ.

- ესე იგი, ხუთშაბათს.

- ჰო, მართლა, ქუჩაში შენი ქმარი ვნახე. დიდი თავაზით მომესალმა. ლაურა, სამწუხაროა, ცოდვას სჩადიხართ, განქორწინებას რომ აპირებთ. ჩემი აზრით, საოცრად ლამაზი კაცია. ისიც ეტყობა, რომ უყვარხარ. ასე როგორ შეიძლება, ლაურა, ასე როგორ შეიძლება?

- ეგ უკვე წარსული ამბავია.

- ესე იგი, ხუთშაბათს. მარტონი ვიქნებით, ლაპარაკით გულს ვიჯერებთ.

- ჰო, კეთილი, კატალინა, ხუთშაბათამდე.

- კარგად იყავი.

ერთხელ კრუსმა ლაურა საცეკვაოდ გაიწვია და ორივენი ოტელ „პლაზის“ პალმებით მორთული სალონების გავლით დარბაზისკენ გაემართნენ. კრუსმა ხელი მოხვია, ქალი კი მამაკაცის დიდ თითებს ჩაეჭიდა, მისი ხელისგულების სითბო რომ იგრძნო, თავი პარტნიორის მხარს ჩამოადო. შემდეგ ოდნავ მოშორდა და თვალმოუშორებლივ მიაჩერდა, ისევე როგორც თვითონ კრუსი შეჰყურებდა მას: შიგ თვალებში შესცქეროდნენ ერთმანეთს: ქალი - მწვანე თვალებს, კრუსი კი - ნაცრისფერს. შესცქეროდნენ და შესცქეროდნენ და შესცქეროდნენ, მარტონი იყვნენ საცეკვაო დარბაზში, მარტონი ორკესტრთან, რომელიც ნელ ბლიუზს უკრავდა, უყურებდნენ ერთმანეთს, წელზე ხელებშემოხვეულნი, თითებგადაჭდობილნი, ნელ-ნელა ტრიალებდნენ, მხოლოდ ქალის არშიაშემოვლებული ქვედაკაბა ირხეოდა ოდნავ, ქვედაკაბა...

ყურმილი დადო და კრუსს შეხედა, წამით შეყოვნდა. შემდეგ მოქარგულ სოფასთან მივიდა, საზურგეს ხელი გადაუსვა და ისევ მას შეხედა.

- გეთაყვა, შუქი აანთე. მანდ, შენ ახლოსაა, გმადლობთ.

- მან არაფერი იცის.

ლაურა სოფას მოსცილდა და ისევ მას შეხედა.

- არა, ასე ძალიან კაშკაშებს. ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე სწორი განათება. ერთია დიდი სახლის განათება, ხოლო მეორე...

ქალმა უცებ დაღლილობა იგრძნო, სოფაზე ჩამოჯდა, იქვე მაგიდიდან ტყავისყდიანი პატარა წიგნი აიღო და ფურცვლა დაუწყო. თაფლისფერი გრუზა თმა, თითქმის ნახევარ სახეს რომ უფარავდა, გვერდზე გადაიყარა. ფურცელი ლამპის შუქს მიუახლოვა და ხმადაბლა კითხვა დაიწყო. წარბები აწკიპა და ტუჩებს ნაღვლიანად ამოძრავებდა. მერე წიგნი დახურა და თქვა, - კალდერონ დე ლა ბარკა, - ზეპირად გაიმეორა, თან კრუსს უყურებდა, - თუ აღარასოდეს დადგება ბედნიერების დღე? ღმერთო, მითხარი, რისთვის შექმენი ყვავილები, თუ არ შეიძლება მათი საამო სურნელით, მათი არომატით დატკბობა...

ქალი სოფაზე გადაწვა, თვალებზე ხელი მიიფარა, ანგარიშმიუცემლად იმეორებდა ჩახლეჩილი, უხალისო ხმით:

- თუ ვეღარასოდეს გავიგონებ, ვეღარასოდეს დავინახავ?..

უეცრად კისერზე კრუსის ხელი იგრძნო, მის ცოცხალ, თბილ მარგალიტებს რომ ეხებოდა.

- მე შენ იძულებული არ გამიხდიხარ...

- არა, შენ არაფერ შუაში ხარ. ყველაფერი გაცილებით უფრო ადრე დაიწყო.

- რატომ გამოვიდა ასე?

- იქნებ იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ძალიან დიდი აზრისა ვარ... მაგრამ ვფიქრობ, რომ უფლება მაქვს მოვითხოვო სხვაგვარი დამოკიდებულება... რომ ადამიანი ვიყო და არა ნივთი.

- ჩემზე რას იტყვი?

- არ ვიცი. ოცდათხუთმეტი წლისა ვარ. ძნელია ყველაფრის თავიდან დაწყება. ალბათ, ეს ჭეშმარიტ მეგობართან თუ იქნება შესაძლებელი... გახსოვს, იმ საღამოს ჩვენ ამაზე ვსაუბრობდით?

- ნიუ-იორკში.

- ჰო. ვთქვით, რომ ერთმანეთი უნდა გავიცნოთ... რომ კარის დახურვა უფრო სახიფათოა, ვიდრე გაღება... შენ კიდევ ვერ გამიცანი ვინა ვარ?

- შენ არასოდეს არაფერს ამბობ, არასოდეს არაფერს მთხოვ.

- უნდა მეთხოვა? რატომ? - იკითხა გაკვირვებულმა ქალმა.

- არ ვიცი.

- არ ვიცი. გეცოდინება მხოლოდ მაშინ, მე თუ აგიხსნი...

- შესაძლოა.

- მე მიყვარხარ. შენ მითხარი, რომ გიყვარვარ. არა, შენ არ გინდა გაიგო... სიგარეტი მომეცი.

კრუსმა პიჯაკის ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო და ასანთს გაჰკრა. ლაურამ სიგარეტი პირში ჩაიდო, მერე ტუჩებს შერჩენილი ქაღალდის ნახევი მოაცილა, ნამცეცად მოჭმუჭნა და უჩუმრად მოისროლა. კრუსი თვალს არ აშორებდა.

- ახლა, ალბათ, ჩემს საქმიანობას განვაახლებ. ჯერ კიდევ ყმაწვილქალობაში მხატვარი მინდოდა გავმხდარიყავი, მერე მივატოვე.

- არსად არ წავალთ?

ქალმა ფეხსაცმელი გაიხადა, თავი ბალიშზე დადო. ჭერისკენ გაიძაბა სიგარეტის ბოლის რგოლები.

- არა, არ წავალთ.

- კიდევ გინდა ვისკი?

- ჰო, დამისხი.

კრუსმა მაგიდიდან ცარიელი ჭიქა აიღო, ტუჩსაცხის წითელ ლაქას შეხედა, ბროლის ჭიქაში ყინულის ნატეხმა გაიწკრიალა, პატარა, დაბალ მაგიდასთან მივიდა, ვისკი დაასხა, ვერცხლის მაშით კიდევ ერთი ყინულის ნატეხი აიღო.

- თუ შეიძლება, უწყლოდ.

ერთხელ როგორღაც ლაურამ ჰკითხა, ნუთუ არ გაინტერესებს, საით ვის ან რას უყურებს ჩრდილში საქანელაზე შემდგარი თეთრკაბიანი, ცისფერი ბაფთებით მორთული გოგო. მუდამ რაღაც ხდება ჩარჩოს მიღმა, - თქვა ლაურამ, - რადგან სურათზე აღბეჭდილი სამყარო იქითაც გრძელდება, ფართოვდება, სავსეა სხვა საღებავებით, სხვა ადამიანებით, სხვა მისწრაფებებით, რომელთა წყალობითაც ეს სურათი იქმნებოდა და არსებობსო. სექტემბრის მზეზე გავიდნენ, რივოლის ქუჩის თაღებქვეშ დახეტიალებდნენ. ბოლოს ლაურამ უთხრა, ვოგეზის მოედანზე უნდა გახვიდე, ეს ნამდვილად ყველაზე ლამაზი ადგილიაო. ტაქსი გააჩერეს. კრუსმა მუხლებზე მეტროს გეგმა დაიდო, ლაურას კი მისი ხელი ეჭირა და ლოყაზე მის

სუნთქვას გრძნობდა, თითს ხან წითელ ხაზებს აყოლებდა, ხან მწვანეს. თან იმას ამბობდა, აღტაცებაში მოვყავარ ამ სახელწოდებებს, არ დავიღლები, უსასრულოდ რომ ვიმეორო: რიშარ ლენუარი, ლედრიუ-როლენი, ფი დიუ კალვერი...

კრუსმა ჭიქა ქალს გადასცა და ისევ ასტრონომიული გლობუსის ტრიალს მოჰყვა, თანავარსკვლავედის სახელწოდებებს კითხულობდა: ლომი, მშვილდოსანი,

არგონავტები, საათი, თევზი, სასწორი, გველი. კრუსი სფეროს ატრიალებდა, თითებით ზედაპირზე შორეულ, ცივ ვარსკვლავს ეხებოდა.

- რას აკეთებ?

- სამყაროს ვათვალიერებ.

- ااا...

კრუსი მუხლებზე დაეშვა და ქალს გაშლილი თმა დაუკოცნა. ლაურამ თავი დაუქნია, გაუღიმა.

- შენს ცოლს ეს სოფა უნდა.

- გავიგონე.

- როგორ მირჩევ? ვიყო სულგრძელი?

- როგორც გენებოს.

- თუ ეგოისტობა გამოვიჩინო? დავივიწყო მისი თხოვნა? მე ეგოისტობას ვამჯობინებ. სულგრძელობა ზოგჯერ ბინძურ შეურაცხყოფას ჰგავს, თანაც უაზროს, ასე არ არის?

- ვერ გავიგე შენი ნათქვამი.

- კიდევ დადე ფირფიტა.

- ახლა რომელი ფირფიტა გსურს?

- თუ შეიძლება, ისევ ის. ისევ ის დადე.

ფირფიტების ორივე მხარის ნომრებს დახედა. დაალაგა რიგის მიხედვით, ღილაკს თითი დააჭირა და პირველი ფირფიტა ყრუ ხმაურით დაეცა ნატის ზედაპირიან დისკოს. კრუსმა სანთლის, გადახურებული მექანიზმისა და გაპრიალებული ხის შორეული სუნი იგრძნო და კვლავ მუსიკას მიუგდო ყური - კლავესინის აღმაფრენა, სწრაფვა სიხარულისკენ, კლავესინის უარყოფა, ზეცისგან განდგომა, რათა ვიოლინოების თანხლებით მყარ მიწას შეეხოს, საყრდენს, ბუმბერაზის ზურგს.

- ასე კარგია? - ჰკითხა კრუსმა.

- ცოტა ხმამაღლა. არტემიო...

- რა იყო?

- მეტი აღარ შემიძლია, საყვარელო. შენ არჩევანი უნდა გააკეთო...

- მოითმინე, ლაურა, დაფიქრდი...

- რას დავუფიქრდე?

- ნუ მაიძულებ.

- გაიძულებ? შენ ჩემი გეშინია?

- ვითომ ცუდადა ვართ? რაიმე გვაკლია?

- ვინ იცის, იქნებ არც არაფერი გვაკლია.

- შენი ხმა ცუდად მესმის.

- ნუ დაუწევ. მუსიკა არ გვიშლის. მე ვიღლები.

- მე შენ არ მომიტყუებიხარ, არ მოგძალებივარ.

- მე ეს არ მითქვამს, უბრალოდ, შენ არ იცვლები, არ გინდა შეიცვალო.

- მე კი ისეთი მიყვარხარ, როგორიც იყავი და როგორიცა ხარ.

- როგორიც პირველ დღეს.

- ჰო, ასეა.

- მაგრამ ახლა პირველი დღე არ არის. ახლა შენ უკვე გამიცანი, მითხარი.

- ლაურა, გეთაყვა, გაიგე. ამაზე ლაპარაკი მიმძიმს. შენარჩუნება უნდა შეგვეძლოს...

- გარეგნული წესიერების? თუ გეშინია? ნუ წუხხარ, არაფერი მოხდება, თუ შენ ირწმუნებ, რომ არაფერი მოხდება.

- ჩვენ ხომ წასვლას ვაპირებდით.

ვიოლინოების ზეიმი ბროლის წკრიალს ჰგავს: სიხარული.

- არა, არ ღირს. უკვე აღარ ღირს. ხმას აუწიე.

და უარყოფა... არაბუნებრივად მხიარული ღიმილი, კრიალა თვალების ელვარება. კრუსმა სკამიდან შლაპა აიღო. გასასვლელისკენ წავიდა. კარს ხელი შეახო და შეჩერდა. მოიხედა, მოკუნტული ლაურა მისკენ ზურგით იჯდა. ხელში ბალიში ჩაებღუჯა. კრუსმა კარი ფრთხილად გაიხურა და გავიდა.

ისევ ვიღვიძებ, მაგრამ ამჯერად ყვირილით: ვიღაცამ მუცელში ცივი და გრძელი სოლი ჩამასო. ვიღაც უცხომ. თავად არ შემიძლია საკუთარი სიცოცხლე ასე მოვისპო. ვიღაც სხვამ ორლესული შიგ სხეულში ჩამარჭო. ხელებს ვიწვდი, ვცდილობ, წამოვდგე, მაგრამ ვიღაცის თითები და ხელები მაკავებენ, ვიღაცების ხმები მამშვიდებენ, მეუბნებიან, რომ გაუნძრევლად უნდა ვიწვე, ვიღაცის თითი გამალებით კრეფს ტელეფონის ნომერს, მაგრამ დისკო უსხლტება, ისევ კრეფს და ისევ უსხლტება, ბოლოს სწორად აკრიფა - ექიმს იძახებენ: ჩქარა... ჩქარა... ეს იმიტომ, რომ მე ადგომა მინდა ტკივილის გასაყუჩებლად, ისინი კი არ მიშვებენ. ვინ არიან „ისინი“? ვინ? სპაზმები კი ძლიერდება, შემოხვეული გველივით

მიჭერს - ზემოთ და ზემოთ, მკერდში, ყელში, პირს მწარე, მოუნელებელი მასა მივსებს - უკვე დავიწყებული, რაღაც ძველი საჭმელი, რომელსაც ახლა ვარწყევ, პირჩამხობილი ამაოდ ვეძებ თვალებით ფაიფურის

ჭურჭელს, მაგრამ მხოლოდ ნოხს ვხედავ, რომელიც უკვე დასვრილია ჩემი კუჭიდან ამოსული სქელი და მყრალი სითხით. გულისრევა არ ჩერდება, მთელი მკერდი მეწვის, ყელში მიღიტინებს, ვიგუდები, თითქოს სიცილი მახრჩობდეს, გულისრევა არ მიჩერდება - ნოხზე სქელი სისხლის ნაკადი იღვრება. საკუთარი თავის დანახვა არ მჭირდება, რათა ვიგრძნო, რა უფერული სახე მაქვს, ჩალურჯებული ტუჩები, აჩქარებული გულისცემა. ჭიპში ხანჯალი გამირჭვეს, ზუსტად იმ ჭიპში, საიდანაც ოდესღაც ჩემს სხეულში სიცოცხლე ჩაიღვარა. ოდესღაც. არ შემიძლია ვერწმუნო საკუთარ თითებს, ცომივით რბილ ჩემს მუცელს რომ შეიგრძნობენ, ვინაიდან ეს არ არის ჩემი მუცელი. უზარმაზარი, გასივებული, გაზებისგან გაბერილი მუცელი მიბუყბუყებს, ვერაფრით შევძელი ამ გაზებისგან გათავისუფლება - შუაზე მგლეჯენ, პირში სიმყრალეს ვგრძნობ. ბოლოს და ბოლოს შევძელი მოხერხებულად დაწოლა. ჩემ გვერდით სწრაფად წმენდენ ნოხს, საპნიანი წყლისა და სველი ტილოს სუნი მეცა, ნარწყევის სუნი რომ გაანელა. მაგრამ მე მინდა ავდგე: თუ ოთახში გავივლი, ტკივილი გამივლის, ვიცი, რომ გამივლის.

- ფანჯარა გააღეთ.

- დედა, შენ ხომ იცი, მაგან ისიც კი გაანადგურა, რაც უყვარდა.

- გაჩუმდი, ღვთის გულისათვის, გაჩუმდი.

- განა ლორენსო მაგან არ მოკლა?

- გაჩუმდი, ტერესა! ლაპარაკს გიკრძალავ, შენ მე მაწამებ.

ლორენსო? სულერთია. ჩემთვის სულერთია. რაც უნდათ, ის თქვან. მე უკვე დიდი ხანია ვიცი, რაზეც ჩურჩულებენ, ხმამაღლა თქმას ვერ ბედავენ. ახლა ილაპარაკონ, ილაპარაკონ. მიმიფურთხებია. მაგათ ვერ გაიგეს. გაშტერებულები მიყურებენ. მღვდელი კი ზეთს მისვამს ქუთუთოებზე, ყურებზე, ტუჩებზე, ფეხებზე, ხელებზე, ფერდებზე. პადილია, მაგნიტოფონი ჩართე.

- ჩვენ მდინარეზე გადავედით...

უეცრად ტერესამ ხელი მტაცა, ამჯერად მის თვალებში შიშს ვხედავ, ვხედავ

საშინელებას შეღებილი ტუჩების მანჭვაში, ხოლო კატალინას ხელებში წარმოთქმული სიტყვების სიმძიმეს, რომელთა წარმოთქმის უფლებასაც არ ვაძლევ. ქალები ახერხებენ, დამაწვინონ. არ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია, ტკივილმა შუაში გამდრიკა, ხელის თითებით ფეხებს ვწვდები, რათა დავრწმუნდე, რომ მთელი მაქვს, არ გამქრობია, მაგრამ ფეხები ცივია, უსიცოცხლო, ვაიიიი... უკვე მომკვდარან. მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ მუდამ,

მთელი სიცოცხლე, ჩემი ნაწლავები ერთთავად მოძრაობდნენ - ეს მხოლოდ ახლა შევნიშნე, როცა იგი უცბად გაჩერდა. ახლა მას აღარ ვგრძნობ, ჩემ შიგნით მოძრაობას არ ვგრძნობ და ჩემს ფრჩხილებს დავჩერებივარ, როცა ხელებს ვიწვდი, რომ ცივ, უსიცოცხლო ფეხებს მივწვდე, შევყურებ უცნობ, ლურჯ, გამუქებულ, სიკვდილის ჟამდამდგარ ფრჩხილებს... ვაი-ვაი-ვაი... არა, ეს გაივლის. არ მინდა ეს ლურჯი კანი, მკვდარი სისხლისფერი კანი, არა, არა, არ მინდა. ლურჯი სხვა რამ უნდა იყოს: ლურჯი ცა, ლურჯი მოგონებები, ლურჯა ცხენები, მდინარეზე ფონით რომ გადადიან, ლურჯად მოლაპლაპე ცხენები და მწვანე ზღვა, ლურჯი ყვავილები, ლურჯი - მე, არა, არა, არა... ვაი-ვაი-ვაი! და მე ისევ ზურგზე ვეცემი, რადგან არ ვიცი, საით ვქნა პირი, როგორ ვიმოძრაო, არ ვიცი, სად წავიღო ხელები და უსიცოცხლო ფეხები. არ ვიცი, რას ვუყურო. უკვე აღარ მინდა ადგომა, რადგან არ ვიცი, სად წავიდე.

მხოლოდ ტკივილს ვგრძნობ ჭიპთან და სწორ ნაწლავში. ფეხებს ვმართავ და უკვე სუნი არ მცემს, მაგრამ მესმის ტერესას ქვითინი და ზურგზე კატალინას ხელს ვგრძნობ.

არ ვიცი, ვერ ვხვდები, რატომ, მაგრამ ჩემ გვერდით მჯდარი ბოლოს და ბოლოს ჩემთან ერთად იზიარებს ამ მოგონებებს და ახლა შენს თვალში საყვედური არ ჩანს. ეჰ, შენ რომ მიმხვდარიყავი. ჩვენ რომ ერთურთის გაგვეგო. ალბათ, თვალებზე რაღაც ბისტი გადაგვეკრა, მხოლოდ ახლა ჩამოვხევთ, რაღაცას დავინახავთ. ყოველ ადამიანს შეუძლია იმდენი გაიღოს, რამდენსაც თვითონ მიანიჭებს ვინმეს ალერსი, შეხედვა. შენ ჩემს ხელს ეხები, მე შენს ხელს ვგრძნობ, ჩემსას - ვერა. შენი ხელი მეხება. კატალინა. ხელზე ხელს მისვამ. იქნებ ეს სიყვარულია? - ვეკითხები ჩემს თავს და ვერ გამიგია. იქნებ ეს სიყვარულია? ჩვენ ასე მივეჩვიეთ. თუ მე სიყვარულს ვთავაზობდი, იგი საყვედურით მპასუხობდა. როცა იგი მთავაზობდა სიყვარულს, მე ქედმაღლობას ვიჩენდი. იქნებ ეს ერთი გრძნობის ორი მხარეა? შესაძლოა. ქალი ხელს მადებს. უნდა ჩემთან მხოლოდ ეს გაიხსენოს. ამის გაგება სურს.

- რატომ?

- მდინარეზე ცხენებით გადავედით...

მე გადავრჩი. რეხინა. რა გერქვა? არა. შენ რეხინა ხარ. შენ რაღა გერქვა. შენ, უსახელო ჯარისკაცო? თქვენ დაიხოცეთ. მე გადავრჩი.

- მიუახლოვდი, შვილო. გიცნოს... უთხარი, რა გქვია.

ზურგზე კატალინას ხელს ვგრძნობ და ტერესას ქვითინი მესმის. შემდეგ ვიღაცის სწრაფი ნაბიჯის ხმა. ვიღაც მუცელს მისინჯავს, მაჯას, ძალით მიხელს ქუთუთოებს და რაღაც უსიამო შუქს ხან ანათებს და ხანაც აქრობს. ისევ ჩემს მუცელს სინჯავს, უკანა ტანში თითით შედის, პირში თბილ, სპირტისსუნიან თერმომეტრს მიდებს. სხვა ხმები ჩუმდება, ხოლო ახალმოსული რაღაცას ამბობს, თითქოს გვირაბიდან ლაპარაკობსო.

- ძნელი დასადგენია. შესაძლოა, თიაქარი ჩაიჭედა, იქნებ პერიტონიტიც კია. ან სულაც თირკმლების ჭვალი ადგას. ჩემი აზრით, უფრო თირკმლების ჭვალია. ასეთ შემთხვევაში ორი კუბი მორფიუმის გაკეთებაა საჭირო, მაგრამ ეს საშიშია, ვფიქრობ, სხვა ექიმსაც უნდა მოვეთათბიროთ.

ო, რა თვითშთანმთქმელი ტკივილია; ტკივილი, რომელიც მანამ არ ყუჩდება, ვიდრე ამ მიეჩვევი, ვიდრე მისი შეგრძნების უნარს არ დაკარგავ. ოჰ, ტკივილო, მე უკვე უშენოდ, ალბათ, ვერ გავძლებდი, მე უკვე გეჩვევი შენ, ოჰ, ტკივილო, ტკივილო, ოჰ, შე...

- დონ არტემიო. თქვით რაიმე, გეთაყვა, ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ.

- მე ის არ მახსოვს, მე უკვე ის აღარ მახსოვს, მაგრამ როგორ შემეძლო მისი დავიწყება...

- ხედავთ, როდესაც ლაპარაკობს, მაჯისცემა სულ იკარგება.

- ექიმო, გაუკეთეთ ნემსი, რომ აღარ იწვალოს...

- სხვა ექიმმაც უნდა ნახოს. ეს სახიფათოა.

- როგორ შემეძლო მისი დავიწყება...

- დაისვენეთ, გეთაყვა. ნუღარაფერს იტყვით. აი, ასე. უკანასკნელად როდის მოშარდა?

- ამ დილით... არა, ორი საათის უკან, უნებურად.

- შარდი არ შეგინახავთ?

- არა... არა.

- ღამის ჭურჭელი შეუდგით. შეინახეთ, ანალიზი უნდა გაკეთდეს...

- ... მაგრამ მე ხომ იქ ვიყავი. როგორ უნდა გავიხსენო ეს ყველაფერი?

ისევ ის ცივი ჭურჭელი. ჩემს უსიცოცხლო ასოს კვლავ იმ ლითონის ხვრელში დებენ. მგონი, ვეჩვევი ამ ოხერს. შეტევა. შეტევას შეუძლია ჩემი ასაკის, რომელიც გნებავთ მოხუცი წააქციოს. მაგრამ შეტევა ჯერ კიდევ აღსასრული არ არის. გაივლის, უნდა გაიაროს, მაგრამ ცოტა დრო დარჩა. რატომ არ მანებებენ მოგონებას? იმ დროის ამბებს, როცა სხეული ახალგაზრდა იყო; ოდესღაც ხომ იყო ახალგაზრდა... სხეული ტკივილისგან იღუპება, ხოლო ტვინი სინათლით ივსება: ისინი ერთმანეთისგან ცალკევდებიან, ვიცი, ერთმანეთს ეთიშებიან. იმიტომ, რომ აი, უკვე მაგონდება მისი სახე.

- აღსარება უნდა თქვათ.

- მე ვაჟიშვილი მყავს. ამქვეყნად მე მოვავლინე და ახლა ვხედავ მის სახეს, ვხედავ იმ სახეს, მაგრამ როგორ შევაჩერო, რა ვქნა, რომ არ წავიდეს, ღვთის გულისათვის, როგორ გავაჩერო?!

* * *

შენ აჩრდილს გამოიძახებ შენი მეხსიერების სიღრმეებიდან: ცხენის ყურს აეკვრები, თითქოს სიტყვების დეზი გინდა ჰკრა: შენ იგრძნობ - და შენმა შვილმაც იგივე უნდა იგრძნოს - გააფთრებული ფრუტუნის მხურვალებას, სველი გვერდების და სიმივით დაჭიმული ნერვების, თვალების მღელვარე ბრწყინვას. ფლოქვების წკარუნში ხმები გამოაღწევს, იგი დაგიძახებს: „მამა შენ ვერასოდეს გადამისწრებ! - „მერე ცხენზე ჯდომა ვინ გასწავლა?!“ - „სულერთია, ვერ გადამისწრებ“. „აბა, ვნახოთ“.

„ლორენსო, ყველაფერი უნდა მიამბო, როგორც უწინ მიამბობდი ხოლმე... ისევე, როგორც უწინ... არაფერი არ უნდა დაუმალო დედაშენს. არა, არა, ჩემთან ყოფნისას შენ უხერხულობა არ უნდა იგრძნო, მე შენი გულითადი მეგობარი ვარ. შესაძლოა, ერთადერთი მეგობარიც...“ - კატალინა ამის გამეორებას მოჰყვება იმ დილით, გაზაფხულის იმ დილით, საწოლში მწოლიარე. გაიმეორებს იმას, რასაც პატარაობიდანვე უნერგავდა შვილს, შენ რომ წაგართვა. თვალს არ აშორებდა არც დღისით, არც ღამით, ძიძის მოყვანაზე რომ უარი თქვა და ქალიშვილი ექვსი წლიდან

სამონასტრო პანსიონში გამოკეტა, რომ მთელი თავისი დრო მხოლოდ ლორენსოს აღზრდაზე დაეხარჯა, ფუფუნებას, უდარდელ ცხოვრებას მიაჩვია.

სწრაფი ჭენებისგან თვალებზე ცრემლი მოგადგება, ფეხებს ცხენის გვერდებს მიაჭერ, ფაფარს ჩაებღაუჭები, მაგრამ მისი შავი ფაშატი მაინც სამი კორპუსით გაუსწრებს შენსას. შენ წელში გასწორდები და ჭენებიდან თანაბარ სვლაზე გადახვალ. უსაზღვრო სიამოვნებას მოგგვრის იმის დანახვა, თუ რა უხმაუროდ გაგშორდება ფაშატზე ამხედრებული ჭაბუკი - მისი ფლოქვების წკრიალი თუთიყუშების ყვირილსა და ცხვრების ბღავილში ჩაინთქმება. შენ თვალებს მოწკურავ, რათა მხედველობიდან არ დაგეკარგოს ლორენსო, რომელიც ახლა ბილიკიდან გადაუხვევს, ტყისკენ გააჭენებს, მდინარის დინების შესახვედრად.

„არა, უნდა ავარიდო რთულ ვითარებებს, გადაწყვეტილების მიღების მტანჯველ აუცილებლობებს“, - თავის თავს ეტყვის კატალინა და იმასაც ჩაუფიქრდება, რომ დასაწყისში შენი ჩაურევლობით უნებურად ეხმარებოდი მას. შენ ხომ სხვა სამყაროს ეკუთვნოდი, შრომისა და ძალის სამყაროს, რასაც კატალინა პირველად შეეჩეხა,

როდესაც შენ დონ გამალიელის მიწებს დაეპატრონე, ხოლო ბავშვს ნება დართე, ბნელი საძინებლების სამყაროში დარჩენილიყო, თითქმის შეუმჩნეველ აკრძალვათა და ნაზ დარიგებათა საუფლოში, სათბურის გარემოში, რომელიც კატალინამ თავისი მლოცველი ჩურჩულითა და ფარისევლური მორჩილებით აავსო.

ლორენსოს ფაშატი ბილიკიდან გადაუხვევს და უღრანი ტყისკენ გაჭენდება, მდინარის დინების შესახვედრად. ჭაბუკი აწეულ ხელს აღმოსავლეთისკენ

გაიშვერს, საიდანაც მზე იწვერება, ყურისკენ, რომელიც ქვიშიანი ვიწრო ნახევარკუნძულივით არის გამოყოფილი ზღვისგან. შენ თვალებს დახუჭავ და ისევ იგრძნობ, თუ როგორ ელამუნება შენს სახეს ცხენის ცხელი სუნთქვა, ხოლო თავზე გრილი ჩრდილი გეცემა. აღვირს ხელს უშვებ, ოფლით დასველებულ უნაგირზე ნელა დაიწყებ რწევას. შენი დახუჭული ქუთუთოების მიღმა სინათლე და სიბნელე ერთ მოზეიმე ფერად იქცევა, რომლიდანაც ახალგაზრდა, ძლიერი ტანის ლურჯი მოხაზულობა ამოიმართება. იმ დილით, როგორც ყოველთვის, სიხარულის მოლოდინის გრძნობით გამომეღვიძა. „მე მუდამ მეორე ლოყას მივუშვერდი ხოლმე, - გაიმეორებს ბავშვს ჩახუტებული კატალინა, - მუდამ ყველაფერს მხოლოდ შენი გულისთვის ვითმენდი - შენ კი

დატკბები ამ გაკვირვებული ბავშვური თვალების ცქერით, გაოცებით რომ შეხედავს დედას. „ოდესმე მოგიყვები...“ არა, შენ შეცდომა არ მოგსვლია, თორმეტი წლიდან ლორენსო კოკუიაში რომ გაგზავნე და იქ აცხოვრე. მხოლოდ მისთვის შეიძენ მიწას, ასიენდეს გადააკეთებ და ბიჭს იქ დატოვებ, მებატონე-ბავშვს, რომლის მთავარი საზრუნავი იქნება მოსავალი, ცხენის ჭენება და ნადირობა, ცურვა და თევზაობა. შორიდან დაინახავ ცხენზე ამხედრებულს და იტყვი: ეს ჩემი ახალგაზრდობის ცოცხალი ხატია. ტანადი, ძლიერი, შავგვრემანი, მწვანეთვალება, ფართოღაწვებიანი ჭაბუკი. მდინარის შლამის დამპალ სუნს იგრძნობ. „ოდესმე მოგიყვები... მამაშენი, მამაშენი, ლორენსო...“ ლაგუნის მოშრიალე ბალახებში ერთად ჩამოქვეითდებით. ცხენები თავისუფლებას იგრძნობენ თუ არა, თავებს დახრიან, წყალს დალევენ, ერთმანეთს სველი ენებით ალოკავენ. შემდეგ მაღალ ბალახს აუჩქარებლად გადათელავენ და ფაფრის რხევით პირიდან ქაფს ბოლქვებად გაყრიან, მზისა და წყლის ბრწყინვაში ილივლივებენ. ლორენსო მხარზე ხელს დაგადებს. „მამაშენი, მამაშენი, ლორენსო... ლორენსო, შენ ჭეშმარიტად გიყვარს ჩვენი ღმერთი? გჯერა ის, რაც მე გასწავლე? შენ იცი, რომ ეკლესია ღვთის სხეულია დედამიწაზე, ხოლო მღვდელი ღვთის მსახური? გწამს?“ ლორენსო მხარზე ხელს დაგადებს. ერთმანეთს შეხედავთ და

გაიღიმებთ. შენ ლორენსოს კისერზე მოეხვევი, ბიჭი მსუბუქად გკრავს ხელს გვერდში, შენ სიცილით თმას აუბურდავ; ერთმანეთს შეებმებით, ხუმრობით, მაგრამ შემართებითა და თავდავიწყებით; იბუღრავებთ, სულშეგუბებული ბალახზე გაგორდებით... იცინებთ... „ღმერთო ჩემო! ამას შენ რატომ გეკითხები? მე ხომ უფლება არა მაქვს, არავითარი უფლება არა მაქვს... მე არ ვიცი, წმინდანებო... წმინდა მოწამეო... შენ გგონია, შეიძლება მივუტევო?.. არ ვიცი, შენ რატომ გეკითხები...“ ცხენები დაღლილები დაბრუნდებიან, თქვენც დაღლილები ხართ და აღვირში ხელს წაავლებთ, ნახევარკუნძულის ქვიშნარზე გაატარებთ, რომელიც ზღვისკენ მიემართება, ლორენსო, არტემიო, ღია ზღვისკენ, საითაც გავარდება გულადი ლორენსო - ზედ ტალღებზე მის ირგვლივ რომ აცეკვდებიან, მწვანე ტროპიკულ ზღვაზე, რომელიც თავით ფეხებამდე გალუმპავს, ზღვაზე, ზარმაცად რომ ლოკავს ნაპირს და რომელსაც დაბლა-დაბლა მფრინავი თოლიები დარაჯობენ, ზღვაზე, რომელსაც ანაზდად

პეშვით აიღებ და ტუჩებთან მიიტან; ზღვაზე, რომელსაც მწარე ლუდის გემო აქვს და ნესვის, გუანაბანის, გუაიავის, კომშისა და ხენდროს სურნელი ასდის. მეთევზეები ქვიშაზე გამოათრევენ თავიანთ მძიმე ბადეებს, თქვენ მათთან მიხვალთ, მათთან ერთად გახსნით ხამანწკების ნიჟარებს და კიბორჩხალებითა და კრევეტებით ჩაიტკბარუნებთ პირს. მარტოდ

დარჩენილი კატალინა კი შეეცდება თვალები დახუჭოს და დაიძინოს, ბიჭის დაბრუნებას დაელოდება, რომელიც აგერ ორი წელია არ უნახავს - მას შემდეგ, რაც მას თხუთმეტი წელი შეუსრულდა. ლორენსო კი უამრავ პატარა ბაკანს გახსნის და მეთევზეებს მადლობას გადაუხდის ლიმონებისთვის, რითაც მას გაუმასპინძლდებიან; გკითხავს, ხომ არ იცი, როგორი მიწაა იქ, ზღვის გაღმაო; მიწა ხომ, ალბათ, ყველგან ერთნაირია, მხოლოდ ზღვებია განსხვავებულიო. მოუყვები კუნძულებზე. ლორენსო გეტყვის, ზღვაზე ბევრი საოცარი რამ ხდებაო და თუ ზღვის პირას ვცხოვრობთ, ჩვენ თვითონვე უფრო ძლიერი, უკეთესი უნდა გავხდეთო. შენ კი, ქვიშაზე გაწოლილს, თვითნაკეთ გიტარაზე მეთევზეთა ბარტყუნს რომ უსმენ, ძალიან მოგინდება აუხსნა მას, რომ გავლილმა ორმოცმა წელმა შენში რაღაც ჩაკლა და რომ ძნელია თავიდან დაიწყო, ყველაფერი თავიდან დაიწყო. განთიადის დანისლული მზის ქვეშ, შუადღის გავარვარებული მზის ქვეშ, შავ ბილიკებზე, ასეთი მშვიდი, სქელი და მწვანე ზღვის გვერდით შენ წინ მოჩანს, თუმცა არცთუ ნამდვილი, მაგრამ ჯერ კიდევ შესამჩნევი აჩრდილი, რომელსაც შეეძლო... მაგრამ არა ის - დაკარგულ შესაძლებლობათა აღიარება - შეგაშფოთებს ასე და გაიძულებს კოკუიაში დაბრუნდე, ლორენსო ხელჩაკიდებული წაიყვანო, არამედ რაღაც უფრო რთული, ეტყვი საკუთარ თავს, თვალებს დახუჭავ,

პირში ხამანწკის გემოს იგრძნობ და ისევ ჩაგესმება ვერაკრუსული გიტარის ხმები, იმ უკიდეგანო ბინდბუნდებში რომ იკარგება, რაღაც უფრო რთული: სურვილი საკუთარი აზრების, შენი იდუმალი ფიქრების გამოთქმისა. მოგინდება ბევრი რამ უამბო ვაჟიშვილს, მაგრამ ვერ გადაწყვეტ, იგი თვითონ უნდა მიხვდეს ყველაფერს და შენ გაიგონებ, რომ იგი მიხვდა. ლორენსო პირით ზღვისკენ ჩაცუცქდება, გაფარჩხულ თითებს პირქუში, უეცრად ჩამოქურუშებული ცისკენ აღაპყრობს და იტყვის: „ხუთი დღის შემდეგ გემი გადის. მე უკვე ვიყიდე ბილეთები“. ცასა და წვიმის პირველ წვეთებს შეშვერილი ლორენსოს ხელი თითქოს მოწყალებას ითხოვს. „მამა, განა შენც ასე არ მოიქცეოდი? შენც ხომ არ დარჩი შინ. მე მწამს თუ არა? არ ვიცი. შენ აქ მომიყვანე და ყველაფერი მასწავლე. თითქოს შენს ცხოვრებას ხელახლა ჩემი ცხოვრებით ვიმეორებ, გამიგე?“ „ჰო“. „ახლაც არის ომი. ალბათ, ერთადერთი ომი. მე ესპანეთში მივდივარ...“

ოჰ, რა ტკივილია, ოჰ... როგორ მოგინდება ადგე, გაიქცე, დაივიწყო ეს ტკივილი მოძრაობაში, მუშაობაში, ყვირილში, ბრძანებებში. მაგრამ არ გაგიშვებენ, ხელებს გაგიკავებენ, გაიძულებენ მშვიდად იწვე, ძალით გაიძულებენ კვლავ მოგონებებში

ჩაიძირო. შენ კი არ მოისურვებ ან მოისურვებ, ო, არა, არ ისურვებ. შენ ხომ მხოლოდ საკუთარ დღეებს იგონებდი და არ გინდა იფიქრო იმ ერთ დღეზე, რომელიც შენ უფრო გეკუთვნის, ვიდრე რომელიმე სხვას, ვინაიდან ეს არის ერთადერთი, რომელსაც ვიღაცის გამო იხსენებ, დღე მოკლე და საშინელი, თეთრი ალვის ხეების დღე, არტემიო, - შენი ვაჟისა და შენი დღე და შენი სიცოცხლე... ოჰ...

*** * ***

1939 წლის 3 თებერვალი

ის ბანიან სახურავზე იდგა შაშხანით ხელში და იხსენებდა, მამასთან ერთად ყურეში სანადიროდ რომ დადიოდა. აი, ეს ჟანგიანი შაშხანა კი სანადიროდ არ გამოდგება. სახურავიდან საეპისკოპოსო სასახლის ფასადი ჩანდა. მხოლოდ კედლებიღა შემორჩენილიყო - ცარიელი ნაჭუჭივით: არც იატაკები ჰქონდა და აღარც სახურავები. ყუმბარებს ამოებრუნებინათ ყველაფერი. ნანგრევებიდან აქა-იქ მოჩანდა ძველებური ავეჯის ჩამარხული ნამტვრევები.

ქუჩაში მწკრივად მიდიოდნენ შავებში გამოწყობილი ორი ქალი ფუთებით ხელში და ქათქათა საყელოიანი კაცი. მიიპარებოდნენ, აქეთ-იქით იყურებოდნენ, კედელს ეკვროდნენ. აშკარა იყო - ჩვენიანები არ იყვნენ.

- ეი, თქვენ! იქითა ტროტუარზე გადადით!

სახურავიდან გასძახა. მამაკაცმა თავი ასწია და თვალები მოჭუტა: მზის სხივი სათვალის მინებზე აკიაფდა. ლორენსომ ხელი აუქნია, მეორე მხარეს გადასვლა უბრძანა, ყოველ წუთს შეიძლებოდა, ფასადი ჩამონგრეულიყო და ისინიც იქითა მხარეს გადავიდნენ. შორიდან ისმოდა ფაშისტური არტილერიის სროლის ხმა - მთის ხეობაში ყრუ აფეთქება ჭურვების სტვენას ენაცვლებოდა. ქვიშიან ტომარაზე ჩამოჯდა. მიგელი იქვე იყო, ტყვიამფრქვევს არ შორდებოდა. სახურავიდან დაბის დაცარიელებული, ორმოებად ქცეული ქუჩები ჩანდა, ტელეგრაფის წაქცეული, მავთულებშერჩენილი ბოძებით ჩახერგილი. ქვემეხების უსასრულო გრიალისა და თოფების დაუსრულებელი ექო აღწევდა. ელვარებდნენ ქვაფენილის მშრალი ფილები. ამ ქუჩაზე საეპისკოპოსო სასახლის ფასადიღა იდგა.

- ტყვიამფრქვევის ერთი ლენტიღა დაგვრჩა, - შესჩივლა მიგელს ლორენსომ.

მიგელმა დაამშვიდა:

- საღამომდე მოიცადე. აი, მაშინ კი...

კედელს მიეყრდნენ და გააბოლეს. მიგელმა შარფი ჟღალ წვერამდე შემოიფუთნა. იქით, შორს, თოვლიანი მთები ჩანდა. თუმცა მზე ანათებდა, მაგრამ მაინც დიდი თოვლი მოვიდა. დილით სიერა კარგად ჩანს, თითქოს გიახლოვდებაო, საღამოს კი ისევ უკან იხევს და უკვე ვეღარ არჩევ მის ფერდობებზე ბილიკებსა და ფიჭვებს. სიბნელეში მთები შორეულ იისფერ საგნებად იქცევიან.

შუადღე იდგა. მიგელმა მზეს ახედა, თვალი მოწკურა და თქვა:

- ქვემეხებისა და თოფების ეს ტკაცატკუცი რომ არა, კაცი იფიქრებდა, მშვიდობიანობაა. რა სჯობია ზამთრის დღეებს. ერთი გახედე, რამდენი თოვლია.

ლორენსომ მიგელის ქუთუთოებიდან გაუპარსავ, ლოყებზე ჩამოძაბულ თეთრ ნაოჭებს შეხედა, თოვლის ბილიკებივით რომ აჩნდა მის მზედაკრულ სახეს. არასოდეს დაივიწყებს მათ ლორენსო, იმიტომ, რომ მათში სიხარულის, შემართების, გააფთრების, დამშვიდების ამოკითხვა ისწავლა. ზოგჯერ გამარჯვებებიც ჰქონდათ, თუმცა მტერს შემდეგ ისევ მოჰქონდა იერიში. ხანდახან მხოლოდ მარცხდებოდნენ. გამარჯვებამდე ან დამარცხებამდე მიგელის სახეზე შეიძლებოდა ამოგეკითხა, როგორ უნდა

მოქცეულიყავი. ბევრი რამ ამოიკითხა მიგელის სახეზე. მაგრამ მისი ცრემლი არასოდეს უნახავს.

ქუსლით ნამწვი ჩააქრო - იატაკიდან მარაოსავით ავარდა ნაპერწკლები - და მიგელმა ჰკითხა:

- მაინც რატომ ვმარცხდებით?

- იმიტომ, რომ ჩვენი ტყვიამფრქვევები იქ არ გადიან, - უპასუხა მიგელმა და საზღვრისპირა მთებისკენ გაიშვირა თითი. მერე სიგარეტი მაინც ჩააქრო და ხმადაბლა წაიმღერა:

„ოთხმა გენერალმა,
ოთხმა გენერალმა,
ეჰ, დედილო, დედილო,
უცბად ბუნტი დაიწყო“.

ლორენსო ქვიშიან ტომრებს გადააწვა და თვითონაც აჰყვა:

„შობას ჩამოახრჩობენ,
შობას ჩამოახრჩობენ
ჰო, დედილო, დედილო,
ოთხივეს ხეზე“.

დროის მოსაკლავად კარგა ხანს იმღერეს. ხშირად ხდებოდა ხოლმე, აი, ასე იდგნენ საგუშაგოზე, განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა და თავისთვის ღიღინებდნენ. წინასწარ როდი თანხმდებოდნენ, ვიმღეროთო. ზოგჯერ ხმამაღლა სიმღერასაც არ ერიდებოდნენ, სწორედ ისე, როგორც იქ, კოკუიის ახლოს, ზღვის პირას, როცა უმიზეზოდ იცინოდნენ, ერთმანეთთან ბუღრაობდნენ და მეთევზეებთან ხმაშეწყობით მღეროდნენ. ახლა კი თავის გასამხნევებლად ღიღინებდნენ, თუმცა სიმღერის სიტყვები უკვე დაცინვად ისმოდა, ვინაიდან ოთხი გენერალი არ ჩამოუხრჩვიათ. თვითონ მათ შემოარტყეს ალყა რესპუბლიკელებს სასაზღვრო სიერასთან მიყუჟულ ამ დაბაში. უკან დასახევი აღარსად იყო.

მზე ახლა უკვე ადრიანად, ოთხი საათისთვის იმალებოდა. ლორენსომ თავის დიდსა

და ძველ, ყვითელკონდახიან თოფს ხელი გადაუსვა და ქუდი დაიხურა. მიგელივით შარფი შემოიხვია. აგერ რამდენიმე დღეა მეგობრისთვის თავისი ჩექმის შეთავაზებას აპირებს - ცოტა გაცვეთილი კია, მაგრამ ჯერ კიდევ ვარგა. აი, მიგელს კი სულ ძველისძველი, ძონძებშემოკრული და თოკით დაბმული ალპარგატები აცვია. უნდოდა მიგელისთვის ეთქვა, მოდი, ჩექმა რიგრიგობით ჩავიცვათო: „ერთ დღეს შენ, მეორეს - მე“. მაგრამ ვერ გაბედა. მიგელის სახის ნაოჭებით ხვდებოდა, რომ ეს არ უნდა ეთქვა. ხელები გულდაგულ დაიორთქლეს, რადგან კარგად ესმოდათ, რას ნიშნავდა ზამთრის ღამის სახურავზე გატარება, რომ ქუჩის სიღრმიდან, თითქოს თხრილიდან ამოხტაო, ჩვენი რესპუბლიკელი ჯარისკაცი გამოჩნდა. ხელების ქნევით მორბოდა და უცბად პირქვე დაეცა. მის კვალდაკვალ ამომტვრეულ ტროტუარზე ჩექმების ბრახუნით კიდევ რამდენიმე რესპუბლიკელი ჯარისკაცი მორბოდა. ქვემეხის გუგუნი, ასე შორეული რომ ეჩვენებოდათ, ერთბაშად მოახლოვდა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ხმამაღლა ამოსძახა:

- იარაღი! იარაღი მოგვეცით!

- არ ჩამოგვრჩე! - აყვირდა კაცი, ჩვენი ჯარისკაცების წინ რომ გამორბოდა, - თავშესაფარში, დაგვხოცავენ!

ჯარისკაცებმა ქვემოთ ჩაირბინეს, ამათ კი ტყვიამფრქვევი ქუჩას დაუმიზნეს, რათა ამხანაგების უკან დახევა დაეცვათ.

- ალბათ, სადმე ახლოსაა, - უჩურჩულა მიგელს.

- დაუმიზნე, მექსიკელო, მარჯვედ დაუმიზნე, - თქვა მიგელმა და ტყვიამფრქვევის უკანასკნელი ლენტი ხელისგულში მოიმწყვდია.

მაგრამ მათ ტყვიამფრქვევს სხვამ დაასწრო. ორი თუ სამი კვარტალის იქით ერთი ფაშისტური შენიღბული ტყვიამფრქვევის კერა ჩვენი ჯარისკაცების უკან დახევას ელოდა. ტყვიებმა ქუჩა დაფარა და ჩვენი ჯარისკაცები ჩახოცა. მეთაური ყვირილით წაწვა მიწაზე:

- მუცელზე დაწექით! ამათ რას შეასმენ!

ლორენსომ ტყვიამფრქვევი შეაბრუნა და მტრის ბუდეს მიუშვირა. მზე კი ამასობაში მთებს უკან ჩაესვენა. ტყვიამფრქვევის დგანდგარი მთელ ტანს არყევდა. მიგელმა ჩაიბურდღუნა:

- მარტო სიმამაცით ვერაფერს გახდები. ეს წითურა ბანდიტები ჩვენზე უკეთ არიან შეიარაღებული.

ლორენსომ მაღლა აიხედა: მათ თავზე მოტორები გუგუნებდნენ.

- ისევ მოფრინდნენ „კაპრონები“.

გვერდიგვერდ იდგნენ, მაგრამ სიბნელეში ერთმანეთს ვეღარ ხედავდნენ. მიგელი ლორენსოს მხარს ხელით შეეხო. დღეს მეორედ ბომბავდნენ ქალაქს იტალიური თვითმფრინავები.

- წამოდი, ლორენსო, ისევ მოფრინდნენ „კაპრონები“.

- სად წავიდეთ? ტყვიამფრქვევს რა ვუყოთ?

- ეშმაკსაც წაუღია. ვაზნები აღარ გვაქვს.

მტრის ტყვიამფრქვევიც გაჩუმდა. დაბლა, ქუჩაზე, რამდენიმე ქალი ხმამაღალი სიმღერით მიდიოდა. არაფერს უშინდებოდნენ:

„ლისტერი და კომპენსინო,
გალანი და მოდესტო,
თან კარლოსი მეთაურად -
შიშს გაგიქრობს, მებრძოლო“.

აფეთქებათა გრუხუნში უცნაურად ირჩეოდა მათი ხმები, ყუმბარების ხმას აჭარბებდა, დროდადრო რომ სკდებოდნენ, სიმღერა კი არ წყდებოდა. „მამა, იცი, ეს სიმღერა მეომრულს არ ჰგავდა, უფრო სწორად, შეყვარებული გოგონების ხმები იყო. მიჯნურებივით უმღეროდნენ რესპუბლიკელ მებრძოლებს. მე და მიგელი ჯერ კიდევ ზემოთ, ტყვიამფრქვევთან, შემთხვევით შევეხეთ ერთმანეთს ხელებით და ერთი და იგივე გავიფიქრეთ, - რომ გოგონები ჩვენ, მიგელსა და ლორენსოს გვიმღეროდნენ და რომ მათ ჩვენ ვუყვარვართ“.

შემდეგ საეპისკოპოსო სასახლის ფასადი ჩაინგრა და ორივე მტვერში ამოგანგლული

სახურავს გაეკრა. ლორენსოს უეცრად მადრიდი გაახსენდა, ისეთი, როგორიც პირველად ნახა, გაახსენდა ხალხით გატენილი კაფე, სადაც ღამის ორ-სამ საათამდე მხოლოდ ომზე ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ მხიარულად, დარწმუნებულნი, რომ გაიმარჯვებდნენ. გაიფიქრა, რომ მადრიდი ჯერ კიდევ მაგრადაა, ხოლო იქაური ქალები მასრებიდან ბიგუდებს იკეთებენ. კიბისკენ გახოხდნენ. მიგელი ძლივს მიბობღავდა. ლორენსოსაც უჭირდა თავისი უზარმაზარი თოფის თრევა - გადაწყვიტა, არ გადაეგდო, რადგან ყოველ ხუთ მებრძოლზე ერთი შაშხანა მოდიოდა.

ძირს ხრახნილი კიბით დაეშვნენ.

„მეჩვენებოდა, რომ იქ, სახლში, ბავშვი ტიროდა. ძნელი სათქმელია, მართლა ტირილის ხმა იყო თუ სირენის ზუზუნი“.

ლორენსოს მაინც მიტოვებული ბავშვი ელანდებოდა. ხელის ფათურით ჩამოდიოდნენ უკან სიბნელეში. ქუჩაში რომ გავიდნენ, მოეჩვენათ, რომ იქ ნათელი დღე იდგა. „¡No pasarán!“[62] - თქვა მიგელმა, ქალებმაც უპასუხეს - „¡No

pasarán!“. ეტყობა, სიბნელეში ჭაბუკები გზას ასცდნენ, ერთ-ერთი ქალი ყმაწვილებს დაეწია და უთხრა: „იქით არ

შეიძლება, ჩვენ გამოგვყევით“.

თვალი ღამის წყვდიადს რომ შეეჩვია, დაინახეს, რომ ტროტუარზე პირქვე იწვნენ. აფეთქებამ ისინი მტრის ტყვიამფრქვევებისგან გამიჯნა. ქუჩა ჩახერგილი იყო. ლორენსომ მტვერი და გვერდით მწოლიარე ქალების ოფლის სუნი შეისუნთქა. თავი მიაბრუნა მათი სახეების დასანახავად, მაგრამ მხოლოდ ბერეტი და ნაქსოვი ქუდი დაინახა. ბოლოს ერთ-ერთმა ქალიშვილმა თავი ასწია, კირის მტვრით შეფეთქილი წაბლისფერი თმა შეიფერთხა და თქვა:

- მე დოლორესი ვარ.

- მე ლორენსო, ეს კი მიგელი.

- მე მიგელი ვარ.

- ნაწილს ჩამოვრჩით.

- ჩვენ კი მეოთხე კორპუსში ვიყავით.

- როგორ გავაღწევთ აქედან?

- უნდა შემოუაროთ და ხიდზე გახვიდეთ.

- თქვენ იცნობთ ამ ადგილებს?

- მიგელი იცნობს.

- დიახ, მე ვიცი.

- შენ სადაური ხარ?

- მექსიკელი.

- აბა, მაშ, იოლად გავუგებთ ერთმანეთს.

თვითმფრინავები გაფრინდნენ და ყველა ადგა. ბერეტიანმა და ნაქსოვქუდიანმა

გოგონებმა თავიანთი სახელები გაიმეორეს. დოლორესს შარვალი და ქურთუკი ეცვა, მის ორ მეგობარს - ლაბადები, ზურგზე კი ტომრები ეკიდათ, მაღალი სახლების კედლებს დაწალიკებით გაუყვნენ უკაცრიელ ქუჩებში, აივნებისა და, ზაფხულის დღეს რომ გინახავს, ისე მოღიავებული, ჩაბნელებული ფანჯრების ქვეშ მიდიოდნენ. განუწყვეტელი სროლის ხმა ესმოდათ, ხანდახან ფეხებქვეშ დამსხვრეული მინები ხრაშუნობდა ან კიდევ წინ მიმავალი მიგელი აფრთხილებდა, მავთულებში არ გაიხლართოთო. გზაჯვარედინზე ძაღლი აყეფდა და მიგელმა ქვა ესროლა. ერთ-ერთ აივანზე საქანელა სავარძელში ბერიკაცი იჯდა, ყვითელ შარფშემოხვეული თავიც კი არ მიაბრუნა, რომ გაეგოთ,

რას აკეთებდა იქ მოხუცი: ვინმეს ელოდა თუ მზის ამოსვლას ეგებებოდა. ბერიკაცმა მათ არ შეხედა.

ლორენსომ ღრმად ამოისუნთქა. დაბა უკან მოიტოვეს, გაძარცული ალვის ხეებით შემოსაზღვრულ მინდორზე გავიდნენ. ამ შემოდგომით ჩამოცვენილი ფოთლები არავის მოუფოცხავს და ახლა ფეხებქვეშ შრიალებდნენ. ლორენსომ მიგელის ფეხებს შეხედა, შემოხვეული ძონძები დასველებოდა და ისევ დააპირა თავისი ჩექმების შეთავაზება. მაგრამ მეგობარი მიწაზე ისე დანდობილად მიაბიჯებდა თავისი ძლიერი,

სწორი ფეხებით, რომ ლორენსო მიხვდა, არ უნდა შეეთავაზებინა ის, რაც საჭირო არ იყო. იქით, შორს, შავად მოჩანდნენ მთის ფერდობები. იქნებ იქ დასჭირდეს მიგელს ჩექმა. ახლა მათ წინ ხიდი იყო, რომლის ქვეშაც ღრმა, აბობოქრებული მდინარე მიედინებოდა. ყველა შეჩერდა, მდინარეს მიაჩერდნენ.

- მეგონა, გაყინული იქნებოდა, - ლორენსომ დანანებით ჩაიქნია ხელი.

- ესპანეთის მდინარეები არ იყინებიან, - ჩუმად ჩაილაპარაკა მიგელმა, - მუდამ ასე ხმაურობენ.

- მერე რა? - ჰკითხა დოლორესმა ლორენსოს.

- მერე ის, რომ მაშინ ხიდზე აღარ გადავივლიდით.

- რატომ? - იკითხა სამივემ, ფართოდ გახელილი თვალებით ცნობისმოყვარე გოგონებს დაემსგავსნენ.

- იმიტომ, რომ ხიდი, ჩვეულებრივ, დანაღმულია, - მიუგო მიგელმა.

გაუნძრევლად იდგნენ, თითქოს ქვევით აქაფებულმა, სწრაფმა, თეთრმა მდინარემ მოაჯადოვა ყველანი. ბოლოს მიგელმა ასწია თავი, მთებს გახედა და თქვა:

- თუ ხიდზე გავედით, მთებამდე მივაღწევთ, იქიდან კი საზღვრამდეც მივალთ. თუ ვერ გავედით, დაგვხვრეტენ...

- ესე იგი?.. - თქვა მარიამ, ქალი ქვითინს ძლივს იკავებდა და მამაკაცებმა პირველად შენიშნეს მისი გაყინული, დაღლილი თვალები.

- ესე იგი, ბრძოლა წავაგეთ! - შეჰყვირა მიგელმა, მუშტი შეკრა, წაბარბაცდა, თითქოს მიწაზე, შავი ფოთლების გროვაში შაშხანას ეძებსო, - ესე იგი, უკან დასახევი აღარსაით გვაქვს! ესე იგი, არც ავიაცია გვაქვს, არც არტილერია და არც არაფერი!

ლორენსო ადგილიდან არ იძვროდა. ყველა მიგელს შეჰყურებდა, ვიდრე დოლორესის ცხელი ხელი, იღლიაში გამთბარი ხუთი თითი ჭაბუკის ხუთ თითს არ შეეხო და ლორენსოც მიხვდა. ქალიშვილმა თვალებში ჩახედა, ჭაბუკმაც

პირველად შეხედა დოლორესის თვალებს. ქალიშვილმა თვალები მოწკურა და ვაჟის მწვანე გუგები

დაინახა, ისეთი მწვანე, როგორიც ზღვაა ხოლმე ჩვენს სანაპიროებთან. ჭაბუკმა კი დაინახა გაშლილი თმა, სიცივისგან აწითლებული ლოყები და გაბუსხული, გამომშრალი ტუჩები. დანარჩენები ერთმანეთს არ უყურებდნენ. ქალიშვილმა და ჭაბუკმა ხელები ჩამოჰკიდეს და ხიდისკენ გაემართნენ. ჭაბუკი წამით შეყოყმანდა, ქალიშვილი - არა. თბებოდნენ ათი გადაჭდობილი თითის სიმხურვალით. ეს იყო პირველი სითბო, რაც ლორენსომ მთელი ამ თვეების განმავლობაში იგრძნო.

„...პირველი სითბო, რაც მე ვიგრძენი კატალონიისა და პირენეისკენ უკან დახევის მთელი ამ თვეების განმავლობაში...“

მათ არაფერი ესმოდათ, მდინარის შხუილსა და ფეხებქვეშ ხის ფიცრების ჭრაჭუნის მეტი. მიგელი და ქალიშვილები ნაპირიდან რაღაცას ეძახდნენ, მაგრამ მათ არაფერი ესმოდათ. ხიდი თითქოს სულ უფრო და უფრო გრძელდებოდა, თითქოს აქაფებულ პატარა მდინარეზე კი არა, ოკეანეზე იყო გადებული.

„გული საშინლად მიძგერდა. ეს გულისცემა, ალბათ, ჩემს ხელებსაც გადაედო, რადგან ლოლამ ჩემი ხელები მკერდზე მიიდო და მეც ვიგრძენი მისი გულის ფეთქვა...“

გზა მხარდამხარ განაგრძეს და ხიდიც უცებ დამოკლდა. გაღმა ნაპირზე არნახული სანახაობა გადაეშალათ, - იდგა უზარმაზარი, გაძარცული თელა, თეთრი და მშვენიერი. თოვლით კი არა, ბრჭყვიალა თრთვილით დაფარული, ღამით ბრილიანტებივით რომ კრიალებდა. ლორენსო მხარზე თოფის სიმძიმეს გრძნობდა, ფეხებიც ტყვიასავით დაუმძიმდა. გაღმა კი რა მსუბუქი, მოციმციმე და თეთრი ჩანდა მათი მომლოდინე თელა. დოლორესის თითებს ხელი მოუჭირა. სუსხიანმა ქარმა ქალ-ვაჟი ერთმანეთს შეაწება. ჭაბუკმა თვალები დახუჭა.

„მამა, თვალები დავხუჭე და მაშინვე გავახილე, მეშინოდა, რომ ხე აღარ იქნებოდა...“

აი, უკვე ხიდს გადავიდნენ და მიწაზე დადგეს ფეხი. წამით ორივე შეჩერდა და უკანმოუხედავად თელისკენ გაეშურნენ. არც მიგელისა და ქალიშვილების ყვირილი გაუგონიათ და არც ის დაუნახავთ, როგორ გადმორბოდნენ ხიდზე. ისინი ეხვეოდნენ ხის დათრთვილულ, თეთრ გაძარცულ ტანს. არყევდნენ მას და თავზე მარგალიტები აცვიოდათ. როგორც კი ხეს შემოჭდობილი მათი ხელები ერთმანეთს შეხვდნენ, უმალვე ხეს მოსცილდნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ. ლორენსო ნაზად

ეალერსებოდა დოლორესის შუბლს, დოლორესი კი ვაჟის კეფას. ქალიშვილმა თავი გადასწია, რათა ჭაბუკს კარგად დაენახა მისი დანამული თვალები და გაპობილი ბაგეები; მერე ჭაბუკის მკერდში ჩამალა, თუმცა უმალვე ისევ ახედა

და ტუჩები შეაგება. მაგრამ ეს ყველაფერი იყო მანამ, ვიდრე ამხანაგები შემოეხვეოდნენ, რომელთაც მათსავით ხის ალერსი არ დაუწყიათ...

„...როგორი თბილი ხარ, ლოლა,[63] როგორი თბილი და უკვე როგორ მიყვარხარ“.

ქედის ფერდობზე შეისვენეს, იქ, სადაც თოვლი იწყებოდა. ჭაბუკებმა ფიჩხი მოიტანეს და ცეცხლი დაანთეს. ლორენსო ლოლას მიუჯდა და ისევ ჩაჰკიდა ხელი. მარიამ ზურგჩანთიდან გატეხილი ჯამი ამოიღო, თოვლით აავსო და ცეცხლზე შემოდგა, შემდეგ თხის ქონის ნაჭერი ამოიღო. ნურიმ უბიდან „ლიპტონის“ ჩაის დაჭმუჭნილი პატარა პაკეტები სიცილ-სიცილით ამოაძვრინა. ყველას გაეცინა ეტიკეტიდან გამომზირალი ინგლისელი კაპიტნის სიფათის დანახვაზე.

- ბარსელონის დაცემამდე ამერიკელები თუთუნს, ჩაისა და შედედებულ რძეს გვიგზავნიდნენ, - თქვა ნურიმ.

ეს მხიარული, ჩათქვირებული ქალიშვილი ომამდე საფეიქრო ფაბრიკაში მუშაობდა. მარია კი იმ დღეებს იგონებდა, როდესაც მადრიდში სწავლობდა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ჰყვებოდა, როგორ მონაწილეობდა პრიმო დე რივერას საწინააღმდეგო დემონსტრაციებში, როგორ ტიროდა გარსია ლორკას პიესების ნახვისას.

„მამა, ქაღალდი მუხლებზე მიდევს და წერილს ისე გწერ, თან მათ ლაპარაკს ვუგდებ ყურს. მინდა ვუთხრა, რა ძლიერ მიყვარს ესპანეთი. თავში სულ ის მიტრიალებს, ტოლედო რომ ვნახე. ეს ქალაქი ისეთი წარმომედგინა, როგორიც ელ გრეკომ დაგვიხატა, - ელვით გადახაზული, მომწვანო-მონაცრისფრო ღრუბლებქვეშ, ფართო მდინარე ტახოს ნაპირებზე გაწოლილი, თითქოს საკუთარ თავს შეჭიდებული ქალაქი, ვნახე კი მზით გაკაშკაშებული ქალაქი, მზისა და სიჩუმის ქალაქი, ყუმბარებით დანგრეული ციხესიმაგრე. ელ გრეკოს სურათი ხომ - შევეცდები ჩემი აზრი გავუზიარო - მთელი ესპანეთია. და თუ ტახო ტოლედოში არცთუ ისე განიერია, ესპანეთის ტანს „ტახო“[64] ზღვიდან ზღვამდე სერავს. ეს ყველაფერი მე თვითონ ვნახე. მამა, მინდა ამათ ვუთხრა...“

დიახ, ლორენსომ უთხრა ეს მეგობრებს. მიგელი კი იმას მოჰყვა, თუ როგორ ჩარიცხეს იგი პოლკოვნიკ ასენსიოს ბრიგადაში და როგორი ძნელი გამოდგა ბრძოლის სწავლა. რესპუბლიკური არმიის ყველა მებრძოლი ყოჩაღია, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს არ კმარა, ბრძოლის ცოდნაა საჭირო. ახალგამომცხვარი ჯარისკაცები უცბად ვერ გაერკვნენ თავდაცვის წესებში, რომ უნდა იცოდე თავის გაფრთხილება, რათა ბრძოლა განაგრძო. თავდაცვა რომ ისწავლეს, თავდასხმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ხოლო როცა ორივე შეითვისეს, კიდევ გადაუჭრელი რჩებოდა ყველაზე რთული ამოცანა: ესწავლათ გამარჯვება ყველაზე მკაცრ ბრძოლაში - ბრძოლაში საკუთარ თავთან, საკუთარ ჩვევებსა და ხელსაყრელ პირობებთან. მიგელი ცუდად იხსენიებდა ანარქისტებს, რომლებიც, მისი სიტყვით, ნამდვილი მარბიელები იყვნენ, და აგინებდა კომერსანტებს, რომლებიც რესპუბლიკას იმ იარაღს დაჰპირდნენ, ფრანკოსათვის რომ ჰქონდათ

მიყიდული. მიგელმა თქვა, რომ მას ყველაზე მეტად აწვალებს და სიკვდილამდე გააწვალებს ის, რომ ვერაფრით გაუგია, მთელი მსოფლიოს მშრომელები რატომ არ აღდგნენ იარაღით ხელში ესპანეთში ჩვენს დასაცავად, ვინაიდან ესპანეთის დამარცხება ყველა მშრომელის დამარცხებაა, ყველასი ერთად. ეს თქვა ესპანელმა და სიგარეტი გადატეხა, ნახევარი მექსიკელს გაუწოდა. ლორენსომ ნაფაზი დაარტყა და ახლა დოლორესს გაუწოდა, შენც მოსწიეო.

შორიდან ძლიერი დაბომბვის გრუხუნი ისმოდა. ჩამუქებული ცის ფონზე ბოლქვებად ავარდნილი ყვითელი მტვერი ელვარებდა.

- ეს ფიგერასია, - თქვა მიგელმა, - ფიგერასს ბომბავენ.

ყველა ფიგერასის მხარეს იყურებოდა. ლოლა ლორენსოს გვერდით იჯდა და მხოლოდ მის გასაგონად ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდა. ოცდაორი წლისა ვარო (სამი წლით უფროსი იყო მასზე), ლორენსომ კი ხუთი წელი მოიმატა, ოცდაოთხი წელი შემისრულდაო. ლოლამ უამბო, რომ ალბასეტში ცხოვრობდა და ომში საქმროს გამოჰყვა, რომელთანაც ერთად ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ იგი ოვიედოში მაროკოელებმა დახვრიტესო. ლორენსომაც თავის მხრივ უამბო, რომ მექსიკიდან ჩამოვიდა, რომ იქ ზღვასთან ახლოს ცხოვრობდა, სადაც ძალიან ცხელა და ბევრი ხალხია ხოლმე. ლოლამ სთხოვა, ტროპიკულ ხილზე მიამბეო და ძალიან ბევრი იცინა ხილის უცნაურ სახელწოდებებზე, უწინ რომ არასოდეს გაეგონა. მისი აზრით, სიტყვა „მამეი“ საწამლავს უფრო შეეფერებოდა, ხოლო „გუანაბანა“ - რომელიმე ფრინველს. ჭაბუკმა უთხრა, ცხენები მიყვარს და ჯერ კავალერიაში ჩამრიცხესო, მაგრამ

ახლა აღარც ცხენებია და საერთოდ აღარაფერიც აღარ არისო. ცხენზე არასოდეს ვმჯდარვარო, თქვა ლოლამ.

ჭაბუკი ცდილობდა, აეხსნა მისთვის, რა დიდებული რამ არის დილაადრიან ზღვის პირას ცხენების ჭენება, როდესაც ნოტიო ჰაერში იოდის სუნი ტრიალებს და მარილი ტუჩებზე გელექება, როცა ჩრდილოეთის ქარი წყნარდება, მაგრამ წვიმა ისევ გიტყლაშუნებს შიშველ მკერდზე და ფლოქვებქვეშიდან ამოსროლილ ქაფს უერთდება. ლოლას ნაამბობი მოეწონა. თქვა, იქნებ მარილი ტუჩებიდან კიდევ არ ჩამოგრეცხიაო და აკოცა. დანარჩენებმა კოცონთან მიიძინეს. ცეცხლი ქრებოდა და ლორენსო ცეცხლის გასაღვივებლად ადგა, ტუჩებზე ლოლას კოცნის გემო შერჩენოდა. როცა დაინახა, გასათბობად ერთმანეთზე მიკრულებს უკვე ეძინათ, ლოლასთან დაბრუნდა. ლოლამ ცხვრის მატყლზე დალიანდაგებული ქურთუკი გაშალა, ლორენსომ ხელები ზურგზე შემოაჭდო, ლოლამ თავისი ქურთუკი მასაც გადააწვდინა და უჩურჩულა, შეხვედრის ადგილი უნდა დავთქვათ, ერთმანეთს თუ დავკარგავთო. ლორენსომ სიბელესის ახლოს კაფეში შეხვედრა შესთავაზა, როდესაც მადრიდს გავათავისუფლებთო. ქალმა მექსიკა ამჯობინა, უკეთესი იქნებოდა, მექსიკაში შეხვედრაო და ჭაბუკიც დაეთანხმა:

ვერაკრუსში, ნავსადგურის მოედანზე კაფე „ლა პოროკიას“ თაღებქვეშ შევხვდეთ, ყავასაც დავლევთ და კიბორჩხალებსაც მივირთმევთო.

ლოლას გაეღიმა. ვაჟმაც გაუღიმა და მისი ხუჭუჭა თმის აბურდვა და დაკოცნა ისურვა. ლოლამაც მოხადა ქუდი და თმა აუჩეჩა. ლორენსომ ხელები ტილოს ხალათის ქვეშ შეუცურა და ზურგზე უსვამდა, მკერდზე ეფერებოდა. ლორენსო უკვე აღარაფერზე ფიქრობდა, ალბათ, აღარც დოლორესი, რადგან მათ ჩურჩულში აზრის დამაკავშირებელი სიტყვები არ ისმოდა. მხოლოდ: გმადლობთ, მიყვარხარ, არ დამივიწყო, მოდი...

მთაზე მიღოღავდნენ. მიგელს პირველად დაეტყო კოჭლობა, მაგრამ ძნელი აღმართის გამო კი არა, სიცივე გაუჯდა ფეხებში, მწარე სიცივე, სახესაც რომ უსუსხავდა. დოლორესს თავისი შეყვარებულისთვის გამოედო ხელი. როდესაც ჭაბუკი შეუმჩნევლად გააპარებდა მისკენ თვალს, ლოლას საოცრად მოქურუშებული სახე ჰქონდა, ხოლო, როცა თვითონ შეტრიალდებოდა ყმაწვილისკენ, ერთთავად უღიმოდა. ჭაბუკი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა - თუმცა ყველა ამაზე ფიქრობდა - ქარიშხალი

არ ამოვარდესო. მხოლოდ ლორენსოს აქვს თოფი, ხოლო თოფში ორი ვაზნა. არა, არ უნდა შეგვეშინდესო, - თქვა მიგელმა.

„მე არც მეშინია. მთის იქით საზღვარია და ამ ღამეს ჩვენ უკვე საფრანგეთში გავათევთ, საწოლში, ჭერქვეშ. კარგად ვივახშმებთ. მახსოვხარ და ვფიქრობ, რომ შენ ჩემ გამო არ შეგრცხვება, რომ შენც იმავეს ჩაიდენდი. შენც იბრძოდი და, ალბათ, გახარებს იმის შეგნება, რომ ვიღაც განაგრძობს ბრძოლას. მე ვიცი, რომ გახარებს. მაგრამ ახლა ეს ბრძოლა მთავრდება. როცა ჩვენ საზღვარზე გადავალთ და ინტერნაციონალური ბრიგადების უკანასკნელი მებრძოლი აღარ იარსებებს, რაღაც სხვა დაიწყება. მამა, მე არასოდეს დამავიწყდება ეს ცხოვრება, ვინაიდან მან მასწავლა ყველაფერი, რაც ვიცი. ყველაფერი ისე უბრალოა. როცა დავბრუნდები, გიამბობ, ახლა მიძნელდება სიტყვების შერჩევა“.

თითით მოსინჯა ხალათის ჯიბეში შენახული წერილი. ასეთ სიცივეში პირის გაღება ჭირდა. სუნთქვა ძნელდებოდა - მოკუმულ კბილებში თეთრი ორთქლის ჭავლები გამოდიოდა. ნელ-ნელა მიდიოდნენ. ლტოლვილთა მწკრივს ბოლო არ უჩანდა.

მწკრივის წინ ხორცითა და ხორბლით დატვირთული ურმები მიიზლაზნებოდა, გლეხებს საფრანგეთში რომ მიჰქონდათ. მიდიოდნენ ზურგზე საბნებმოგდებული ქალები, ზოგიერთს სურათები, სკამები, ტაშტები და სარკეებიც კი მიჰქონდა. გლეხები ამბობდნენ, საფრანგეთშიც კი დავთესავთო. ძლივძლივობით მიიწევდნენ წინ. ბავშვები მიდიოდნენ, დედის მკლავებში ეძინათ ჩვილებს, მთის გზა ღორღიანი იყო, ოღროჩოღრო, გზისპირებს ეკლიანი ბუჩქნარი მოსდებოდა. ისე მიდიოდნენ, თითქოს მთას ფეხებით ხნავენო. ლორენსოს გვერდს დოლორესის ხელი ეკვროდა და იგი გრძნობდა, რომ უნდა გაფრთხილებოდა ქალიშვილს, უნდა გადაერჩინა. ახლა უფრო მეტად

ეყვარებოდა, ვიდრე გუშინ. და იცოდა, რომ ხვალ უფრო მეტად ეყვარებოდა, ვიდრე დღეს. ქალიშვილსაც უყვარდა იგი. რა საჭირო იყო ამაზე ლაპარაკი. ისინი ერთად თავს კარგად გრძნობდნენ. ჰო, ჰო, ჩვენ კარგად ვიყავით. მათ შეეძლოთ ერთად გაეცინათ. მუდამ ჰქონდათ ერთმანეთისთვის მოსაყოლი.

უეცრად დოლორესი მოშორდა და მარიასკენ გაიქცა. ქალიშვილი კლდესთან იდგა, შუბლზე ხელს იჭერდა. არა, არაფერია, ისე, დავიღალეო. იძულებული გახდნენ, გვერდზე გამდგარიყვნენ, რომ წინ გაეშვათ ალეწილი სახეები, გაყინული ხელები,

მძიმე ურმები. მარიამ თქვა, თავი ოდნავ მიბრუისო. ლოლამ ხელი გამოსდო და ერთად წავიდნენ. და სწორედ მაშინ, მაშინ იგრძნეს თავზე მოტორების გუგუნი და გაშეშდნენ. მაგრამ თვითმფრინავი არ ჩანდა. ყველა ეძებდა თვითმფრინავს, მაგრამ ზეცა ნისლმა დაფარა. პირველმა მიგელმა შენიშნა შავი ფრთები, ფაშისტური სვასტიკა და პირველმა დაუყვირა დანარჩენებს: „დაწექით! მიწაზე!“

კლდეებთან ახლოს, ურმებს შუა მიწვა ყველა, ყველა, იმ თოფის მეტი, რომელშიც ორი ვაზნა იდო. არ ისვრის ეს წყეული კეტი, წყეული დაჟანგული ცოცხი, არ ისვრის, როგორ არ აწვება ჩახმახს. გრუხუნი კი უკვე მათ თავზეა, უკვე სწრაფმა ჩრდილმა გადაუარა მათ და გზა ტყვიებმა დაცხრილეს, ქვებზე ატკაცუნდნენ.

- ლორენსო, დაწექი! დაწექი, მექსიკელო!

ლორენსო, მიწაზე, მიწაზე დაწექი! მაგარი ჩექმაც მაგარ მიწაზე დააწყვე, ლორენსო, შენი თოფიც მიწაზე დადე, მექსიკელო; ყელში გულისრევა მოგაწვა, თითქოს ოკეანეს ამოევსოს შენი შიგნეული; უკვე მიწაზეა შენი სახე ფართოდ გახელილი მწვანე თვალებით, შენც ბინდბუნდში ხარ, მზესა და ღამეს შუა. ლოლა კი ყვირის. და შენც

იცი, რომ ბოლოს და ბოლოს, საცოდავ მიგელს ერგება ჩექმა... ბაცი წვერი, თეთრი ნაოჭები... წამიც და, დოლორესი ზედ დაგემხობა, ლორენსო, მიგელი კი, პირველად აცრემლებული მიგელი ეტყვის, რომ ეს არ გიშველის, რომ გზა უნდა განაგრძონ, რომ სიცოცხლე მთებს გადაღმა გაგრძელდება, სიცოცხლე და თავისუფლება - დიახ, სწორედ ეს სიტყვები დაწერა. გასისხლიანებული ხალათის ჯიბიდან წერილი ამოუღეს: ლოლამ ხელებში მოჭმუჭნა, როგორი ცხელია! თუ მოთოვა, ლორენსო დაიმარხება. და შენ ისევ აკოცე მას, დოლორეს, მკვდარ სხეულს მიეხუტე, მას უნდოდა ზღვაზე წაეყვანე, ცხენით ეტარებინე - სანამ მისი სისხლი დაიღვრებოდა და სანამ მიიძინებდა, თვალებში შენი გამოსახულება ჩარჩენოდა... მწვანე თვალებში... არ დაივიწყო...

* * *

მე სრულ სიმართლეს ვეტყოდი ჩემს თავს, განაცრისფრებულ ტუჩებს რომ არ ვიკვნეტდე, ტკივილისგან რომ არ ვიგრიხებოდე მოთმენის ძალადაკარგული, რომ შემეძლოს საბნის სიმძიმე გადავაგდო, მუცელზე რომ არ ვწრიალებდე, რომ ამოვანთხიო ეს ლორწო, ეს ნაღველი; საკუთარ თავს ვეტყოდი, რომ საკმარისი არ არის მისი დაღუპვის დრო და ადგილი აღვიდგინო - ეს კიდევ არ არის ისეთი მნიშვნელოვანი. ჩემს თავს ვეტყოდი, რომ რაღაც უფრო მეტმა - სურვილმა, რომელსაც არასოდეს ვამხელდი, - წამაქეზა დედამისისთვის წამერთმია ლორენსო, - ოჰ, არ ვიცი, უკვე აღარაფრის გარკვევა აღარ შემიძლია... - ჰო, მეიძულებინა იგი, იმ ძაფის ბოლოები შეეკრა, რომელიც მე გავწყვიტე; თავიდან დაეწყო ჩემი სიცოცხლე, ბოლომდე გაევლო ის, სხვა - ჩემთვის განკუთვნილი გზა, რომლის არჩევაც მე ვერ შევძელი. კატალინა კი სასთუმალთან მიზის და დაუსრულებლად მეკითხება:

- რატომ მოხდა ასე? მითხარი, რატომ? მე იგი სხვა ცხოვრებისთვის აღვზარდე. რატომ წაიყვანე?

- განა თავისი საყვარელი შვილი სასიკვდილოდ არ გაგზავნა? განა ჩვენ არ დაგვაშორა, დაგაშორა შენ, დამაშორა მე. განა ასე არ არის?

- ტერესა, მამაშენს არ ესმის შენი ნათქვამი...

- თავს იკატუნებს. თვალებს ხუჭავს და თავს იკატუნებს.

- გაჩუმდი.

- შენ თვითონ გაჩუმდი.

მე არაფერი ვიცი... მაგრამ იმათ ვხედავ. შემოვიდნენ. წითელი ხის კარი გაიღო და მიიხურა. ნაბიჯების ხმას რბილი ნოხი ნთქავდა. ფანჯრები დახურეს. შარიშურით გადმოსწიეს ნაცრისფერი ფარდები. ისინი აქ არიან.

- მე... მე - გლორია ვარ...

ტკბილად ტკაცუნობდნენ ახალი ბანკნოტები და ბონები ისეთი კაცის ხელში, როგორიც მე ვარ. ნელა იძვრის მდიდრული, საგანგებოდ შეკვეთილი ლიმუზინი. აქ ყველაფერია გათვალისწინებული. კონდიცირებული ჰაერი. პაწაწინა ბარი, ტელეფონი, ზურგის ბალიშები თუ ფეხის დასადგმელი პატარა სკამები. აბა, თქვენო მაღალღირსებავ, როგორია? იქ, მაღლა, ზეცაში ასეა?

- მინდა დავბრუნდე იქ, მიწაზე...

- რატომ მოხდა ასე, მითხარი, რატომ? მე იგი სხვა ცხოვრებისათვის აღვზარდე, რატომ წაიყვანე?

კატალინას არ ესმის, რომ არსებობს კიდევ უფრო საშინელი რამ, ვიდრე გზაზე დატოვებული ცხედარი, ვიდრე მზისა და ყინულის საფლავი, ვიდრე სამუდამოდ გახელილი, ფრინველებისგან ამოკორტნილი თვალები. კატალინამ თავი დაანება ჩემი საფეთქლების ბამბით წმენდას, განზე დადგა და მგონი, ტირის, მინდა მივწვდე, ხელის აწევას ვცდილობ, მაგრამ დაძაბვისგან ხელიდან მკერდში, მკერდიდან მუცელში მწვავე ტკივილი დამივლის. არსებობს უფრო საშინელი რამ, ვიდრე გზაზე დატოვებული

ცხედარი, ვიდრე მზისა და ყინულის საფლავი, ვიდრე სამუდამოდ გახელილი, ფრინველისგან ამოკორტნილი თვალები: ეს არის შეუკავებელი გულისრევა, შეუკავებელი სურვილი, გინდოდეს კუჭში გასვლა ან თუნდაც გაბერილი მუცლის გაზებისგან გათავისუფლება - და არ შეგეძლოს; შეუძლებელი იყოს მთელ სხეულში ტკივილის გაყუჩება; არ შეგეძლოს მაჯისცემის გასინჯვა, საკუთარი ფეხების გათბობა; ისეთი შეგრძნება გქონდეს, რომ სისხლი შიგნეულში გეღვრება, ჰო, გეღვრება და გახრჩობს. მაგათ არ იციან, რა დღეში ვარ და არ შემიძლია დავარწმუნო, რომ ასეა. ისინი ვერ ხვდებიან, როგორ გადმოდის პირიდან სისხლი, მათ არ სჯერათ, დაუჩემებიათ, სიცხე აღარ გაქვსო - რის სიცხე, რა სიცხე, - კოლაფსი, კოლაფსიო გაიძახიან, წყალმანკზე ეჭვობენ, ერთსა და იმავეს იმეორებენ, გაკავებულს რომ მსინჯავენ, ახსენებენ მარმარილოსებურ ხაზებს - მე მესმის ლილისფერი, მარმარილოსავით დაძარღვული მუცელი რომ მაქვს, რომელსაც უკვე ვეღარ ვგრძნობ, ვეღარ ვხედავ. არსებობს უფრო საშინელი რამ, ვიდრე გზაზე მიტოვებული ცხედარი, ვიდრე მზისა და თოვლის საფლავი, ვიდრე სამუდამოდ გახელილი, ფრინველებისგან ამოკორტნილი თვალები - როცა იგი ვერ მოგიგონებია და მხოლოდ ფოტოსურათებით იხსენებ, იმ ნივთებით, რომლებიც საძინებელში დარჩა, წიგნების არეებზე გაკეთებული

შენიშვნებით. მაგრამ განა ამას მისი ოფლის სუნი სდის? განა მისი კანის ფერს გახსენებს? არა, არ შემიძლია მასზე ვიფიქრო, როცა არ შემიძლია დავინახო და ვიგრძნო იგი.

იმ დილით ცხენით მივდიოდი;

ეს კი მახსოვს: უცხოურმარკებიანი წერილი მივიღე.

მაგრამ მასზე ფიქრი...

ო, ყველაფერი წარმოვიდგინე, მისი მეგობრების სახელებიც გავიგე, სიმღერებიც გავიხსენე, ოჰ, გმადლობთ, მაგრამ ყველაფრის ცოდნა - როგორ შემიძლია ყველაფერი ვიცოდე? მე არ ვიცი, არ ვიცი, როგორი იყო ის ომი, ვის ელაპარაკებოდა სიკვდილის წინ, რა ერქვათ იმ კაცებსა და ქალებს, ვინც ბოლომდე მასთან იყვნენ. არ ვიცი, რა თქვა, რას ფიქრობდა, რა ეცვა, იმ დღეს რა ჭამა - არ ვიცი. ვიგონებ პეიზაჟებს, ვიგონებ ქალაქებს, ვიგონებ სახელებს და უკვე აღარ ძალმიძს მათი დამახსოვრება: მიგელი, ხოსე, ფედერიკო, ლუისი, კონსუელო, დოლორესი, მარია, ესპერანსა, მერსედესი, ნური,

გუადალუპე, ესტებანი, მანუელი; აურორა, გვადარამია, პირენი, ფიგერასი, ტოლედო, ტერუელი, ებრო, გერნიკა, გვადალახარა? გზაზე დატოვებული გვამი, მზისა და ყინულის საფლავი, ღიად დარჩენილი, ფრინველებისგან ამოკორტნილი თვალები...

ო, გმადლობთ, რომ მაჩვენე, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრება.

ო, გმადლობთ, რომ ჩემ მაგივრად იცხოვრე იმ დღეს.

რამეთუ არსებობს რაღაც უფრო საშინელი:

ა? რა? იგი ხომ არსებობს, იგი ჩემია. სწორედ ეს ნიშნავს, იყო ღმერთი, ხომ ასეა? იყო ის, ვისიც ეშინიათ და სძულთ? სწორედ ეს ნიშნავს, იყო ღმერთი, ხომ ასეა? მითხარით, თქვენო მაღალღირსებავ, როგორ გადავარჩინო ყველაფერი ეს და გავაკეთებ ყველაფერს, რაც წესია: მკერდში მჯიღს დავიცემ, წმინდა ადგილებს ჩოქვით მოვივლი, ძმარს დავლევ და ეკლის გვირგვინს დავიდგამ. მითხარით, როგორ გადავარჩინო ყველაფერი ეს, ვინაიდან სახელითა მამისა...

- ძისა და სულისა წმინდისა, ამინ.

არსებობს უფრო საშინელი რამ...

- არა, მაშინ სიმსივნე მოისინჯებოდა, თან რომელიმე ორგანოს დაწევა ან ნაწილობრივ სიკვდილი...

- ვიმეორებ, ეს ფლეგმონაა, ასეთი ტკივილი მხოლოდ ნაწლავების გადახლართვამ შეიძლება გამოიწვიოს, აქედან - გაუვალობაც...

- მაშინ ოპერაცია უნდა გაგვეკეთებინა...

- იქნებ განგრენაც დაიწყო; ესეც უნდა მივიღოთ მხედველობაში...

- აშკარა ციანოზია...

- სახე...

- ჰიპოთერმია...

- ლიპოსარკომა...

გაჩუმდით, გაჩუმდით!

- ფანჯრები გააღეთ.

განძრევა არ შემიძლია, აღარ ვიცი, საით გავიხედო, საით მივტრიალდე. არავითარი ტემპერატურა, ესაა, რომ ფეხებიდან სიცივე ამომდის; ჩვეულებრივი სიცივე ან სიცხე კი არა, როგორც საერთოდ ხდება... ასეთი პირველად...

- საცოდავი... ანერვიულდა...

... გაჩუმდით... ვიცი, როგორი შესახედავიცა ვარ, ნურაფერს იტყვით... ვიცი, ფრჩხილები გამიშავდა, კანი გამილურჯდა... გაჩუმდით...

- იქნებ აპენდიციტია?

- ოპერაცია უნდა გავუკეთოთ.

- სარისკო საქმეა.

- ვიმეორებ. თირკმლის ჭვალია, ორი კუბი მორფიუმი და დამშვიდდება.

- სარისკო საქმეა.

- სისხლდენა არ არის.

გმადლობთ. შეიძლებოდა პარალესში მოვმკვდარიყავი. შეიძლებოდა იმ ჯარისკაცთან ერთად მოვმკვდარიყავი. შეიძლებოდა იმ გამოცარიელებულ ოთახში მოვმკვდარიყავი ზორზოხას გვერდით. მე გადავრჩი, შენ კი მოკვდი, გმადლობთ.

- დაიკავეთ. ღამის ჭურჭელი მოიტანეთ.

- ხედავ, როგორ ამთავრებს? ხედავ? ისევე, როგორც ჩემმა ძმამ. ბოლო ერთია.

- გააკავეთ. ღამის ქოთანი მოიტანეთ.

გააკავეთ. მიდის. გააკავეთ. არწყევს, იმას, რითაც უწინ ყარდა. უკვე არაქათი აღარა აქვს, რომ გადაბრუნდეს. პირაღმა წევს. განავალს არწყევს, სქელი სითხე ტუჩებზე, ლოყებზე გადმოდის. განავალი. ყვირიან, ორივენი ყვირიან. მათი ხმა არ მესმის. მაგრამ იმათ უნდა იყვირონ. არა, ჯერ არაფერი მომხდარა. იმათ უნდა იყვირონ, რომ ეს არ მოხდეს. მაკავებენ, არ მიშვებენ. მაგრამ არა. მიდის, მიდის ცარიელ-ტარიელი, თავისი ქონების გარეშე. დააკავეთ. მიდის.

* * *

შენ წაიკითხავ საკონცენტრაციო ბანაკში დაწერილ წერილს, უცხოურმარკიან წერილს ხელმოწერით: „მიგელი“. მეორე წერილიც აღმოჩნდება ხელმოწერით „ლორენსო“. ნაჩქარევად დაწერილი წერილი. შენ აიღებ ამ წერილს, წაიკითხავ: „არ მეშინია... მახსოვხარ... მამა, შენ ჩემ გამო არ შეგრცხვება... მამა, მე არასოდეს დამავიწყდება ეს ცხოვრება, მან მასწავლა ყველაფერი, რაც ვიცი... როცა დავბრუნდები, გიამბობ“. შენ წაიკითხავ წერილს და არჩევანს შეცვლი; შენ სხვა ცხოვრებას აირჩევ:

ამჯობინებ იგი კატალინასთან დატოვო, კოკუიაში არ წაიყვან, ნებას არ მისცემ, თვითონ აირჩიოს თავისი გზა, არ უბიძგებ ნაადრევი სიკვდილისაკენ, რომელიც შეიძლებოდა შენი ხვედრი ყოფილიყო; არ აიძულებ გააკეთოს ის, რასაც თვითონ არ ჩაიდენდი, - შენი დაღუპული ცხოვრებისთვის შური იძიოს; ნებას არ მისცემ, რომ კლდოვან ბილიკზე მასთან ერთად შენც დაიღუპო, ხოლო კატალინამ თავისი სული გადაარჩინოს.

შენ ამჯობინებ ტყეში შემთხვევით მოხვედრილ იმ დაჭრილ ჯარისკაცს ხელი მოხვიო,

დააწვინო, ნატყვიარი ხელი ძლივს მოწანწკარე ნაკადულის წყლით ჩამობანო, შეუხვიო, მასთან დარჩე, სიცოცხლე შთაბერო და დაიცადო, სანამ გიპოვიან, დაგაპატიმრებენ და რომელიმე ასეთივე უსახელო სოფელში, სადაც მტვრიანი, თიხატკეპნილი, ფოთლებით გადახურული სახლები დგას - დაგხვრეტენ; სანამ არ დაგხვრეტენ, ორ უცნობს - ჯარისკაცსა და შენ - დედიშობილას. საერთო საფლავში ჩაგაგდებენ, საფლავის ქვას არ დაგადებენ. ოცდაოთხი წლისა მოკვდები - და მორჩა, არავითარი ფიქრი, ძიება, ყოყმანი; მოკვდები, შენგან გადარჩენილ უსახელო ჯარისკაცთან ხელჩაჭიდებული მოკვდები.

ლაურას ეტყვი: ჰო.

ცარიელ ლურჯკედლებიან ოთახში გამომწყვდეულ ზორზოხას ეტყვი: არა.

შენ ამჯობინებ საკანში ბერნალსა და ტობიასთან ერთად დარჩე, მათი ბედი გაიზიარო; არ წახვალ სისხლით მოსვრილ პატიოში, რომ თავი იმართლო; არ იფიქრებ, რომ საგალის მოკვლით ამხანაგების შურს იძიებ.

მამულში ლუნეროსთან დარჩები და იმ ადგილებს არასოდეს მოშორდები.

ლილიას არ მიიღებ, როცა იმ ღამით შენთან დაბრუნდება. იმაზე არ იფიქრებ, რომ აწი ვეღარასოდეს შეძლებ სხვა ქალის დაუფლებას.

იმ საღამოს მდუმარებას დაარღვევ და კატალინას გამოელაპარაკები, პატიებას სთხოვ, მოუყვები მათზე, ვინც შენ მაგივრად მოკვდა, სთხოვ, მიგიღოს ისეთი, როგორიც ხარ, ყველა შენი დანაშაულით: სთხოვ, არ შეგიძულოს, მიგიღოს ისეთი, როგორიცა ხარ.

მასწავლებელ სებასტიანს არ მიატოვებ, იმად დარჩები, ვინც იყავი, რევოლუციურ არმიას ჩრდილოეთში არ გაჰყვები.

იქნები პეონი, იქნები მჭედელი.

შენ განზე დარჩები ყველა გარიყულთან ერთად.

შენ არ იქნები არტემიო კრუსი, დაბადებიდან სამოცდათერთმეტი წლისა, წონით სამოცდაცხრამეტი კილოგრამი, სიმაღლით მეტრი და ოთხმოცდაორი სმ, არ გექნება ჩასმული კბილები. ძვირფას სიგარეტს არ მოსწევ და იტალიური აბრეშუმის პერანგებს

არ ჩაიცვამ; საკინძეების შეგროვებას არ მოჰყვები, ნიუ-იორკიდან არ გამოიწერ ჰალსტუხებს, არ შეიკერავ ლურჯ, ცალბორტიან პიჯაკებს, უმეტესად ირლანდიური ქიშმირისას, არ დალევ ტონიკიან ჯინს, არ ჩაჯდები „ვოლვოში“, „კადილაკსა“ და „რამბლერში“, არ დაიხსომებ და არ გეყვარება რენუარის ის სურათი, საუზმედ არ მიირთმევ თოხლო კვერცხებს და მურაბიან ტოსტებს, დილდილობით არ წაიკითხავ საკუთარ გაზეთს, საღამოობით არ დაიწყებ ჟურნალ „ლაიფისა“ და „პარი მატჩის“ ფურცვლას; არ იგუებ შენ გარშემო არსებულ სიტყვამრუშობას, ამ სიძულვილს, რომელსაც უნდა დროზე ადრე დაგმარხოს და გაიძულებს, იფიქრო, რაზეც სულ ახლახან ღიმილით შეგეძლო გელაპარაკა და რასაც ახლა შეძრწუნებული იგერიებ: De profundis clamavi...[65] შემიწყნარე, შემისმინე, უფალო ღმერთო ჩემო! (გაანათლე თვალნი ჩემნი, რათა არ დავიძინო მე მომაკვდავის ძილით). რამეთუ დღე, როცა მისგან იგემებ, შენი სიკვდილის დღედ იქცევა (ნუ გიხარია მოყვასის სიკვდილი, რამეთუ სიკვდილი ჩვენი საერთო ხვედრია). სიკვდილი და ჯოჯოხეთი ცეცხლოვანი გეჰენიისაგან გამოტყორცნეს და სხვა სიკვდილი მოვიდა. (რამეთუ საშინელება, რისიც მეშინოდა, მომეწია, რისიც მეშინოდა, იგი მოვიდა ჩემთან). სიბრალულის ღირსია იგი, ვისაც თავისი სიმდიდრე აცდუნებს (გაიღო თუ არა შენთვის ჭიშკარი სიკვდილისა?).

ყოველი ცოდვის საწყისი დედაკაცია, დედაკაცია ჩვენი დამღუპავი. იხილე თუ არა შენ ჭიშკარი წყვდიადისა? (უფალი დაჩაგრულთა ზედა სამართალსა ჰყოფს და გულით შეურვებულთ კურნავს). და რა მოიმკეთ თქვენ მაშინ? (და დაირცხვინეს ახლა, რამეთუ სიკვდილია ბოლო მათი). რამეთუ ხორცის სურვილი არის სიკვდილი.

სიტყვა უფლისა; სიცოცხლე და სიკვდილის აღთქმა, გვედრი.
ღმრთით ამო ღაღად-ვყავ შენდამი, უფალო.
იყვნენ ყურნი შენნი ფხიზელნი,
თუ უკანონობას შენიშნავ,
უფალო, ვინ გაუძლებს?
იმედი მაქვს უფლისა,
სული ჩემი იმედოვნებს.

ლოცვანსა და შენი სხეულის დაწვას, სიტყვებსა და დამარხვას წარმოიდგენ შენი სურვილის საწინააღმდეგოდ - ეს რიტუალები, ეს ცერემონიები, ეს უკანასკნელი საზრუნავი: დაკრძალვა, კრემაცია, დაბალზამება. მაღალ კვარცხლბეკზე დაგდებენ,

რომ მიწამ კი არა, ჰაერმა დაშალოს შენი ნეშტი; აკლდამაში გამოგამწყვდევენ. ამოგკეტავენ შენი მკვდარი მონების გვერდით, დაქირავებული მოტირალები დაგიტირებენ, შენთან დამარხავენ შენთვის ყველაზე ძვირფასს, შენს თანამგზავრებს, შენს შავ განძეულს: უძილო ღამეებს. requiem, aeternam donaeis Domine, de profundis clamavi Domine...[66] ეს ლაურამ თქვა, მისი ხმაა... იგი იატაკზე ზის, მუხლებზე ხელებშემოჭდობილი, ხელში პატარა წიგნი უჭირავს... თქვა, რომ ყველაფერი შეიძლება ჩვენი მოსპობის საბაბი გახდეს, ისიც კი, რასაც სიცოცხლე გვაძლევს... თქვა, რომ რაკიღა თავი ვერ დაგვიღწევია სიკვდილისაგან, სიღატაკისგან, უვიცობისგან, ჯობს მათზე არ ვიფიქროთ. თქვა, რომ შიშს მხოლოდ უეცარი სიკვდილი გვინერგავს, - ამიტომ ამა ქვეყნის ძლიერთა სახლებში სულიერი მამები ცხოვრობენ... თქვა რომ: უნდა იყო ადამიანი, უნდა გეშინოდეს სიკვდილის არა განსაცდელის ჟამს, არამედ უსაფრთხოების დროს... თქვა, რომ სიკვდილის გარდაუვალობა თავისუფლების გარდაუვალობაა... თქვა, რომ უხმოდ გეპარება ცივი სიკვდილი, თქვა რომ: არ დაგინდობენ საათები, ის საათები, მატლებივით რომ ხრავენ შენს დღეებს... თქვა და თან მიჩვენა, როგორ უნდა გავაკეთოთ გორდიასის კვანძი... თქვა, რომ ჩემი კარი ცხოვრებაში სეიფის მძიმე კარია... თქვა, რომ მე ვერ ავცდები ასჯერად სიკვდილს,

ვინაიდან მხოლოდ სიცოცხლეს ვუცდი... თქვა, რომ ადამიანის სიყვარული სიცოცხლეს ნიშნავს, მაშინაც კი, როდესაც ღმერთს შენთვის სიცოცხლის წართმევა სურს... თქვა: რა საჭიროა მთელი ეს განძეული, ვასალები, მსახურები?

რა საჭიროა? რა საჭიროა მოთქმით დაგიტირონ? სულერთია, მათ არ ერგებათ ეს დიდებული ქანდაკებები, ბრწყინვალე ინკრუსტაციები, ოქროსა და თაბაშირის სტატუეტები, ძვლისა და კუს ბაკნის ზარდახშები, მოხატული ურდულები და სახელურები, ლირსებიანი და რკინის სალტეებიანი სკივრები, აიაკაუიტეს სურნელოვანი ხის სკამები, ძველებური სკამები, ბაროკოს სტილის ნაძერწი სამკაულები, გაღუნულზურგიანი სავარძლები, ჩუქურთმიანი ჭერი, ნაირფერადი როსტრები, სპილენძის დეკორატიული ლურსმნები, გამოყვანილი ტყავები, გრძელფეხებიანი ავეჯი, ვერცხლის სიმით ნაქსოვი გობელენები, აბრეშუმგადაკრული სავარძლები, ხავერდგადაკრული დივნები, უზარმაზარი სასადილო მაგიდები, თასები და ამფორები, ლომბერის მაგიდები, სელის ნაზი თეთრეულით გაწყობილი ბალდახინიანი საწოლები, გერბები და ვინიეტები, ფუმფულა ნოხები, რკინის კლიტეები, ძველი, დამსკდარი სურათები, აბრეშუმი და ქიშმირი, შალი და სტავრა,

ბროლი, შანდლები, ხელით მოხატული ჭურჭელი, წითელი ხის გადასახურავები. არა, ამას ხელს ვერ მიაკარებენ, ეს შენვე გრჩება.

ხელს შენი ნივთებისკენ გაიწვდი, მაგრამ მოწყვეტილივით ჩამოგვარდება: ერთ მშვენიერ დღეს, თუმცა ეს მთლად ჩვეულებრივი დღე არ იქნება, სამი თუ ოთხი წლის წინ - უკვე ძნელი გასახსენებელია, როდის. გაიხსენებ, უბრალოდ იმისთვის, რომ გაიხსენო. არა, ამას გაიხსენებ იმიტომ, რომ ეს დღე თვითონ ამოტივტივდება მეხსიერებაში - განსაკუთრებული დღე, საზეიმო დღე, კალენდარში წითელი ციფრით აღნიშნული დღე. ეს იქნება დღე, - მაშინ ამას შენ თვითონ ჩაუფიქრდები - როდესაც გარდასულ დღეთა ადამიანები, სხეულები, სიტყვები, საქმეები ისევ შემოიჭრებიან შენს ცხოვრებაში, ხმაურით შემოგიხეთქენ ამქვეყნიურ კარს. იმ საღამოს შენ ახალ წელს შეხვდები. ნიკრისიანი თითებით გაჭირვებით ჩაეჭიდები კიბის რკინის მოაჯირს. მეორე ხელს საშინაო ხალათის ჯიბეში ჩაიდებ და მძიმე ნაბიჯით დაეშვები კიბეზე. ხელს გაიწვდენ...

*** * ***

1955 წლის 31 დეკემბერი

ის კიბის რკინის მოაჯირს ძლივს მოეჭიდა. მეორე ხელი საშინაო ხალათის ჯიბეში ჩაუვარდა და მძიმე ნაბიჯით კიბეზე დაეშვა. ზედაც არ შეუხედავს ნიშებისთვის, რომლებზეც მექსიკის წმინდა ქალწულები - გვადალუპე, საპოპანი და რემედიოსი იწონებდნენ თავს. ჭრილებს შორის გამოღწეული ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად აელვარებდა სტავრას, ვერცხლისფრად აკიაფებდა აფრების მსგავს განიერ ქვედაკაბებს, სქელ დაკალასებულ ძელებს, ასხივოსნებდა მამაკაცის პროფილს. პეპლიან ქათქათა პერანგზე წითელი ხალათი გადაეცვა, მოხუც, დაღლილ მეფოკუსეს ჰგავდა და იმაზე ფიქრობდა, რომ ამაღამ განმეორდებოდა სანახაობა, ოდესღაც უცნაური მომხიბვლელობა რომ ახლდა. დღეს იძულებული გახდება იმავე სახეებს უყუროს, იგივე სიტყვები მოისმინოს, რასაც წლიდან წლამდე მის უზარმაზარ სახლში, კოიოაკანში, წმინდა სილვესტრის დღესასწაულზე ისმენდა ხოლმე.

ქვის იატაკი ყრუდ გამოსცემდა ნაბიჯების ხმას. უკვე უძნელდებოდა ფეხების

კანკალის დაფარვა და მძიმედ მიაბიჯებდა ვიწრო, შავი ლაკის ფეხსაცმლით. ფართომკერდიანი მაღალი მოხუცი, მსხვილი ვენებით დაძარღვული ხელები წნელებივით რომ ჩამოცვენოდა, ხაოიანი ნოხების ტკეპნით, ნელა და გაუბედავად მიუყვებოდა ნათელ დერეფანს, ძველებური კომოდების მიმქრალ შუშებსა და სარკეებში იყურებოდა, თან თითებს უსვამდა მოხატულ ურდულებსა და სახელურებს, რკინის კლიტეებთან მოჩუქურთმებულ სკივრებს, აიკაუიტეს სურნელოვან ხის სკამებს, საოცხოო ინკრუსტაციებს.

მსახურმა დარბაზის კარი გაუღო. მოხუცი უკანასკნელად შეჩერდა სარკის წინ, ყელზე პეპელა გაისწორა. მაღალ შუბლს ზემოთ შეთხელებულ ჭაღარა კულულებზე ხელი გადაისვა, ყბები მოკუმა, რომ კბილის პროთეზი ადგილზე ჩაესვა და სასტუმრო ოთახში შევიდა - უზარმაზარი დარბაზი იყო, საცეკვაოდ ნოხებისაგან გათავისუფლებული კედრის იატაკი ბზინავდა. კედლებზე წმინდანების გამოსახულებიანი კოლონიური დროის სურათები ეკიდა. დარბაზის კარი და ფანჯრები აგურით ნაგებ აივანზე და ყვავილნარიან ბაღში გადიოდა.

დარბაზის სიღრმეში ფოტოგრაფები ელოდნენ, მწვანე დამასკგადაკრულ სავარძელს შემოხვეოდნენ, რომლის თავზეც ჯაჭვით უზარმაზარი ლამპარი ეკიდა. ბუხრის თავზე შემოდგმულმა საათმა შვიდი დარეკა. ცივი დღეები იდგა, ცეცხლი ენთო და ბუხართან მიდგმულ ტყავის პუფებს აკიაფებდა. კრუსმა მისალმების ნიშნად ფოტოგრაფებს თავი დაუკრა, გახამებული პერანგი და პიკეს სამაჯურები შეისწორა და სავარძელში ჩაჯდა. მეორე მსახურმა ორი ნაცრისფერი, თვალებნაღვლიანი ძაღლი მიუყვანა და თასმები პატრონს ხელში მისცა. ოქროსფერვარაყიანი ლამაზი საყელურები სინათლეზე ელვარებდნენ.

კრუსმა თავი ასწია და ყბები ისევ მოკუმა. ბუხრის ალის ანარეკლზე მისი დიდი, ჭაღარა თავი სულ თეთრი ჩანდა. ფოტოგრაფებმა სთხოვეს, პოზები შეიცვალეო, თვითონ კი ერთთავად თმას იტკეპნიდა და თითებით ნესტოებიდან ჩამოძაბულ ორ ღრმა ნაოჭს ისწორებდა. მხოლოდ ფართო ღაწვებზე შერჩენოდა კანს სიმკვრივე. თუმცა ქუთუთოებიდან წამოსული ნაოჭები იქაც ხლართავდნენ თავიანთ ქსელს, ქუთუთოები კი სულ უფრო ღრმად ჩასცვენოდა თვალის ბუდეებში, სადაც მიმალულიყვნენ დამცინავი და ნაღვლიანი, მოშვებული კანის ნაოჭებში ჩამსხდარი მომწვანო ზამბახები. ერთ-ერთმა ძაღლმა დაიყეფა და წინ გავარდა. ბლიცის უეცარმა ანთებამ პატრონის პირქუში, უკმაყოფილო სახე იმ დროს გაანათა, როცა ძაღლმა გაიწია

და კრუსი იძულებული გახდა, სავარძლიდან უცბად წამომდგარიყო. დანარჩენმა ფოტოგრაფებმა საყვედურით გადახედეს სურათის გადამღებს. დამნაშავემ შავი ოთხკუთხედი კამერიდან ამოიღო და ჩუმად მეორე ფოტოგრაფს გაუწოდა.

ფოტოგრაფები რომ გავიდნენ, აკანკალებული ხელით მასიურ მაგიდაზე მდგარი ვერცხლის ზარდახშიდან ფილტრიანი სიგარეტი ამოიღო, გაჭირვებით აანთო და ნელ-ნელა მოათვალიერა ზეთის საღებავებით შესრულებული, გალაქული ძველებური სურათები, რომლებსაც შუქის კაშკაშა ზოლები ეცემოდა და სურათების საერთო წითელ-ყვითელ კოლორიტს ამძაფრებდა. კრუსმა სავარძლის აბრეშუმის სახელურს ხელი გადაუსვა და გაფილტრული ბოლი შეისუნთქა. მსახური უხმაუროდ მიუახლოვდა და ჰკითხა, რაიმე ხომ არ მოგართვათო. მან თავი დაუქნია და ყველაზე მშრალი „მარტინის“ მოტანა სთხოვა. მსახურმა კედელში დატანებული კედრის გალაქული კარი გასწია და შემინული პატარა კარადა გამოაღო. შიგ სასმელებიანი ბოთლები ეწყო - ოპალისფერი, ზურმუხტისფერი, წითელი, გამჭვირვალე თეთრი - სხვადასხვაგვარი ეტიკეტით დამშვენებული: „შარტრეზი“, „პეპერმინტი“, „აკვავიტი“, „ვერმუთი“, „კურვუაზიე“, „ლონგჯონი“, „კალვადოსი“, „არმანიაკი“, „პერნო“, იქვე

სქელი და თლილი, თხელი და წკრიალა ბროლის ჭიქების მწკრივები ეწყო. ჭიქა მიართვეს. მერე ბრძანება გასცა, მსახურმა სარდაფიდან ვახშმისთვის სამნაირი ღვინო ამომიტანოსო. შემდეგ ფეხები ნებიერად გაშხლართა და იმას ჩაუფიქრდა, თუ რა გულმოდგინებით გადააკეთა თავისი საცხოვრებელი და რა კეთილმოწყობილი გახადა. დაე, კატალინამ ლას-ლომასზე, იმ უზარმაზარ სახლში იცხოვროს, რომელიც ყველა მილიონერის სახლივით ინდივიდუალურობას მოკლებულია. თვითონ ამ ძველ, ორსაუკუნოვანი ქვისა და ტესონტლეს[67] კედლებს ამჯობინებს, იდუმალად რომ აახლოებს წარსულის მოვლენებთან, მიწასთან, რომელთან განშორებაც მას არ სურს. დიახ, ცხადია, ყოველივე ამაში იყო რაღაც მაგიური. და მაინც ხემ, ქვამ, ცხაურებმა, ნაძერწმა სამკაულებმა, ინკრუსტაციებმა, ჩუქურთმიანმა სკამებმა და მასიურმა მაგიდებმა

თითქოს პირი შეკრეს მისთვის ნაღველის მსუბუქი კვამლით დაბურული სცენები, შეგრძნებები, სიჭაბუკის განცდები გაეხსენებინათ.

ლილია უკმაყოფილო იყო, მაგრამ ლილია ვერასოდეს მიხვდება ამას. აბა, რას ეტყვის ახალგაზრდა ქალს ჭერის ძველი ნაჩუქურთმები ძელები? ან ჟანგისგან შეჭმული ფანჯრის გისოსი? ან ვერცხლის სირმით ნაქარგი, ბუხართან დაკიდებული დიდებული

ხატი ან აიაკაუიტეს სურნელი, ხის სკივრებს რომ ასდის? ან სამზარეულოში სოფლური შორენკეცების ბზინვა? სასადილოში არქიეპისკოპოსის სკამები? იყო რაღაც მომხიბლავი და დიდებული, გქონოდა ასეთი ნივთები, ისევე, როგორც ფული და ყოველივე ის, რასაც სიმდიდრე იძლევა. ო, რა სიამოვნების მონიჭება შეუძლიათ უსულო საგნებს, რა სიხარულის, რა ფაქიზი ტკბობის... ყოველივე ამით წელიწადში მხოლოდ ერთხელ ტკბებოდნენ - ახალი წლის წინაღამეს ამ სახლში წვეულებაზე მოწვეული ადამიანები...

ეს დღე ორმაგად უხალისებდა სულს, ვინაიდან სტუმრებს აქ უნდა ენახათ მისი ნამდვილი სახლი და გაეხსენებინათ მარტოსული კატალინა, რომელიც ამ დროს იმათთან - ტერესასთან, იდიოტ ხერარდოსთან ერთად ლას-ლომასზე მდებარე სახლში ვახშმობდა... კრუსი ლილიას დიასახლისად წარადგენდა ხოლმე და ცისფერი სასადილოს კარს აღებდა, სადაც მაგიდას სელის ცისფერი სუფრა ეფარა, ჭურჭელიც ცისფერი იყო და კედლებიც... სადაც იღვრებოდა ღვინო და მიმოჰქონდათ ნაზი ხორცით, წითელი თევზით, მადის მომგვრელი ხამანწკებით, არნახული სანელებლებით, ტკბილეულით სავსე უზარმაზარი სინები...

რა ეშმაკად ურღვევენ მყუდროებას? ფლოსტების ფლატუნი მოესმა. ეს ლილიაა. მისმა ხელმა - შეუღებავფრჩხილიანმა ხელმა სასტუმრო ოთახის კარი შემოაღო. კრემწასმული სახე უბზინავდა, ქალს აინტერესებს, საზეიმო საღამოსთვის მისი ვარდისფერი კაბა ივარგებს თუ არა. არ უნდა უხერხულ დღეში ჩავარდეს, როგორც გასულ წელს მოუვიდა, და ყველას დასაცინი გახდეს. აბა, იგი უკვე სვამს! მასაც რატომ არ შესთავაზებს ერთ სირჩას? ო, როგორ მოსწყინდა ეს უნდობლობა, ეს გასაღებით დაკეტილი ბარი, ვითომ თვითონ არ იცის, ლილიას მალე დაბერება და დაუშნოება სურს, რათა არტემიომ კინწისკვრით გააგდოს და თავის ჭკუაზე ცხოვრება არ დაუშალოს. ნეტავ ვინ აკავებს? მაგრამ ეს როგორ, უფულოდ, უფუფუნებოდ, დიდი სახლის გარეშე როგორ იქნება? დიახ, ბევრი ფული, ბევრი ფუფუნება აქვს, მაგრამ სიხარული კი არა. გართობა არა აქვს, იმის საშუალებაც კი არა აქვს, ერთი სირჩა მაინც გადაკრას. ცხადია, ძალიან უყვარს არტემიო. ათასჯერ უთქვამს ეს მისთვის. ქალები ყველაფერს ეჩვევიან, თუ ალერსიანად მოექცევი. მათ შეიძლება თავი შეაყვარო მგზნებარე ვნებითაც და მამობრივი სიყვარულითაც. ცხადია, მას უყვარს არტემიო. აბა, რა იქნება... მალე რვა წელი გახდება, რაც ერთად ცხოვრობენ, და არტემიოს ერთხელაც არ წაჰკინკლავებია, არ გაულანძღავს... არაფერი აკავებს... ა? ურიგო არ იქნებოდა,

კიდევ ვინმესთან წამოეწყო რომანი. დიახ, ცხადია, არტემიოს ლილია შტერი ჰგონია. ჰო, მართალია, ლილიას არასოდეს ესმოდა ხუმრობა. დაე, ასე იყოს, მაგრამ მშვენივრად იცის, რა და როგორ არის... უკვდავი არავინაა... თვალების ირგვლივ უკვე ნაოჭები მოუჯარდა... სხეულიც... მაგრამ არტემიოც მიეჩვია მას, ხომ მართალია? მის ასაკში ძნელი იქნება ყველაფრის თავიდან დაწყება. თუმცა მილიონები კი აქვს... არც ისე იოლია ქალის პოვნა, დიდი ძებნა უნდა... იმათ, ვერაგებმა, ათასი ფანდი იციან, ისეთ ოინს მოუწყობენ... სულს ამოუღებენ... ასეც გაითამაშებენ და ისეც, კიდეც მიგიზიდავენ, კიდეც გაგაცუცურაკებენ, ვინ იცის, რას აღარ!.. მოკლედ, იციან, როგორ გამოასულელონ ბერიკაცი... აშკარაა, ლილია უფრო ხელს აძლევს... არც წუწუნებს - რა ეთქმის. კიდეც სიამოვნებს ყველა ის საახალწლო მიღებები და მილოცვები. ეგეც არ იყოს, ღმერთმანი, უყვარს არტემიო - ძალიან მიეჩვია... ესაა, რომ ძალიან მოწყენით ცხოვრობს! აბა, რა არის ამაში ცუდი - გაიჩინო დაქალები, ათასში ერთხელ გასართობად წახვიდე... ანდა კვირაში ერთი სირჩა გადაკრა?

არტემიო გაუნძრევლად იჯდა. არავის მიუცია ლილიასთვის ნება, ამდენი შეურაცხმყოფელი სისულელის ყბედობისა, მაგრამ არტემიოს ეს მოდუნება,

მოთენთილობა, რაც არ სჩვევია... აიძულებდა, გახევებულ თითებში მომწყვდეული „მარტინიანი“ ჭიქით ხელში გარინდებულიყო... ესმინა ამ ქალის სისულელეები, დღითი დღე სულ უფრო ვულგარული რომ ხდებოდა და... თუმცა არა, ქალი ჯერ კიდევ დიდი ვნების ამშლელია, როგორ დაუმორჩილოს ეს ქალი თავის ნებას? ყველაფერი, რაზეც თვითონ ბატონობდა, ახლა ინერციით რაღაც მოჩვენებას ემორჩილებოდა... წარსული წლების ძალას... ლილიას შეეძლო წასულიყო... ამის გაფიქრებაზე გული შეეკუმშა... ძნელია, საკუთარი თავის დაძლევა... ძლივს აამოძრავა თითები, ხელის მტევანი, იდაყვი, და აი, საფერფლე ნოხზე გადავარდა. ყვითელფილტრიანი ნამწვები გაიფანტა, ფერფლი აბუქდა - თეთრი მტვერი თუ მოშავო-მონაცრისფრო ფანტელები. აქოშინებული არტემიო დაიხარა.

- არ დაიხარო, ამ წუთში სერაფინს დავუძახებ.

- დაუძახე.

შესაძლოა... ლილიას მოსწყინდა მასთან. მაგრამ არ ეშინია, არ სძულს... თავში მუდამ რაღაც ეჭვი უტრიალებს... სინაზის უნებურმა მოზღვავებამ თავი მიაბრუნებინა და

ქალს შეხედა.

ზღურბლიდან შემოსცქეროდა ნაწყენი, საყვარელი ლილია. შეღებილი მოვერცხლისფრო თმა, შავგვრემანი კანი... უკან დასახევი მასაც არსაით აქვს... წარსულს ვერ დაიბრუნებს. მათ სწორედ ეს ათანასწორებს, თუმცა ასაკი და ხასიათი სხვადასხვა აქვთ. რა საჭიროა უსიამოვნებანი? არტემიო დაიღალა. მორჩა და გათავდა... ეშმაკსაც წაუღია მოგონებები. არ არის საჭირო ახალი ამბები,

ახალი სახელები. ისევ სავარძლის აბრეშუმის სახელურს გადაუსვა ხელი. ნამწვისა და გაფანტული ფერფლის უსიამო სუნი ტრიალებდა. სახეზე კრემწასმული ლილია კართან იდგა და არტემიოს მისჩერებოდა. ის კი დამასკგადაკრულ სავარძელში იჯდა.

ქალმა ამოიოხრა და ზარმაცად გაუყვა საძინებლისკენ. არტემიო კვლავ სავარძელში იჯდა, არც არაფერზე უფიქრია, ვიდრე არ ჩამობნელდა და ბაღში გამავალ შემინულ კარში საკუთარი, საოცრად მკაფიო გამოსახულება არ გამოჩნდა.

მსახურმა სმოკინგი, ცხვირსახოცი და ოდეკოლონის ფლაკონი მოუტანა. მოხუცი წამოდგა და ჩაცმის ნება მისცა. შემდეგ ცხვირსახოცი გაშალა, რომელსაც მსახურმა

არომატული სითხე მოასხურა. როცა არტემიო ცხვირსახოცს ჯიბეში იდებდა, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მსახურმა თვალები დახარა. არ არის საჭირო. რატომ უნდა იფიქრო იმაზე, რაც შეიძლებოდა ამ კაცს ეგრძნო?

- სერაფინ, ეს ნამწვები ახლავე...

ორივე ხელით სავარძელს მოეჭიდა და წამოდგა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ბუხრისკენ, ტოლედურ მაშებს ხელი შეახო. სახესა და ხელებზე ცეცხლის სუნთქვა იგრძნო. შემდეგ კარისკენ წავიდა, ვესტიბიულიდან აღფრთოვანებული, აღტაცებული ხმები ისმოდა. სერაფინი უკანასკნელ ნამწვებს კრეფდა.

კრუსმა ბრძანა ცეცხლისთვის შეშა შეემატებინათ. რეგულესის ოჯახი სწორედ მაშინ შემოვიდა, მსახური მაშას რომ ატრიალებდა და უზარმაზარი ალი საკვამურს მიაწყდა. სასადილოს კართან მეორე მსახური გამოჩნდა, ხელში გალაქული ლანგარი ეჭირა. რობერტო რეგულესმა ჭიქა აიღო, ხოლო ახალდაქორწინებულებმა - ბეტინამ და მისმა მეუღლემ, ჭაბუკმა სებალიოსმა, სასტუმრო ოთახის დათვალიერება დაიწყეს. მოსწონდათ ძველებური სურათები, ქანდაკებები, ოქროსა და თაბაშირის სტატუეტები,

შესანიშნავი ქანდაკებები, ბაროკოს ნაძერწი სამკაულები, წნული კოჭები, ნაირფერადი როსტრები.

არტემიო კარისკენ ზურგით იდგა, როცა ჭიქის მსხვრევის ხმა - გამსკდარი ზარის ჟღრიალს რომ ჰგავდა - და ლილიას დამცინავი ყვირილი გაისმა. კრუსმა და სტუმრებმა თმაგაწეწილი ქალი დაინახეს, ქალმა სასტუმრო ოთახში შემოიხედა, კარის სახელურს ჩაეჭიდა და ყვიროდა:

- სულელო! იდიოტო! ბედნიერ ახალ წელს გისურვებ!.. ნუ წუხხარ, ბებრუხუნა, ერთ საათში გამოვფხიზლდები და გამოგეცხადები. მე მხოლოდ მინდოდა შენთვის მეთქვა, რომ გადაწყვიტე, ახალი წელი ძალიან სასიამოვნოდ გამეტარებინა, უბრალოდ... ძალიან სასიამოვნოდ!

კრუსი მძიმე ნაბიჯებით ლილიასკენ გაემართა. ქალი კი განაგრძობდა ყვირილს:

- მომბეზრდა დილიდან საღამომდე ტელევიზორის ყურება... უუ, ბებრუხუნა!

კრუსის მიახლოებაზე ლილიას ხმა უფრო გამკივანი ხდებოდა.

- უკვე ზეპირად ვიცი კოვბოების ყველა ამბავი... ბახ-ბახ-ბახ! არიზონელი მარშალი... წითელკანიანთა ბანაკი... ბახ-ბახ! მესიზმრება კიდეც მათი ყვირილი. ო, ბებრუხუნა! „პერსი“ დალიეთ... სულ ერთი და იგივე... ბებრუხუნა... მოსახერხებლად და მშვიდად... დააზღვიე სიცოცხლე...

კრუსმა დაძარღვული თითები კრემით აპრიალებულ სახეზე დასცხო და შეღებილი დალალები თვალებზე ჩამოეყარა. ლილია ჯერ გაირინდა, შემდეგ ლოყაზე იტაცა ხელი და უკან გაბრუნდა. კრუსი რეგულესებს და ხაიმე სებალიოსს მიუტრიალდა, თავი მაღლა ასწია და რამდენიმე წამს სათითაოდ ყველას თვალებში ჩახედა. ჭიქაზე მზერადახრილი რეგულესი ვისკის სვამდა, ბეტინამ გაიღიმა და თითებში სიგარეტგაჩრილი, მასპინძელს მიუახლოვდა. გეგონებოდა, ასანთს სთხოვსო.

- სად იშოვეთ ეს კოლოფი?

მოხუცი შებრუნდა, ხოლო მსახურმა სერაფინმა ქალიშვილს ზედ სახესთან მიუტანა ანთებული ასანთი, ქალი იძულებული გახდა, განზე გამდგარიყო. ჰოლიდან, სადაც ლილია მიიმალა, შარფებშემოხვეული, სიცივისგან აკანკალებული მუსიკოსები

გამოვიდნენ. ხაიმე სებალიოსი თითების ტკაცუნით ესპანელ მოცეკვავესავით ქუსლებზე შეტრიალდა.

დელფინისფეხება მაგიდაზე, ბრინჯაოს ლამპრების ქვეშ, უხვად ეწყო გამდნარ ქონსა და ძველისძველი ღვინის სოუსში ჩაწყობილი კაკბები, ტარაგონული მდოგვის ფოთლებში გახვეული მერლანები, ფორთოხლის კანით შეზავებული გარეული იხვები, კატალონიური ლაბასხმული ზეთისხილით, ქვირითისგან გაბერილი კობრები, ღვინოში ჩაწყობილი შემწვარი ვარიები, არტიშოკის პიურეთი გამოტენილი მტრედები, მრავალწახნაგოვან ფიალებში ჩაყრილი ყინულის ნატეხები, ლიმონის ნაჭრებშემოწყობილი ვარდისფერი ლანგუსტები, ტომატიანი ქამა სოკო, ბაიონური ლორი, მოხრაკული ხორცი არმანიაკით, ღორის პაშტეტის სატენიანი ბატის კისრები, წაბლის პიურე, შემწვარი ვაშლის ნიგვზიანი საწებელი, ხახვის, ფორთოხლის, ნივრის სოუსები ნუშითა და კრევეტებით.

და როცა კერიოტაროს მონასტერში გაკეთებული ფუნთულადუნდულებიანი ანგელოზებით მოჩუქურთმებული კარი გაიღო, მოხუცის თვალებში ოდნავ შესამჩნევი

ნაპერწკალი გაკრთა, ხოლო შემდეგ, ყოველთვის, როცა მსახური - ცისფერ ჭურჭელზე ჩანგლებისა და დანების რაწკუნში - დრეზდენული ლანგრით იმ ასი მოწვეული სტუმრიდან რომელიმეს უახლოვდებოდა - მჭახე ჩახლეჩილი სიცილი აღმოხდებოდა ხოლმე. სტუმრები ბროლის ჭიქებს უწვდიდნენ ბოთლებმომარჯვებულ ლაქიებს. არტემიომ ბრძანა, გადაეწიათ ბაღისგან დარბაზის გამყოფ ვიტრაჟზე ჩამოშვებული ფარდები. მინებს მიღმა ფოთლებშემოძარცული ქლიავისა და ალუბლის ხეები მოჩანდა. ჩანდა სამონასტრო ქვისგან გამოკვეთილი თეთრი სტატუები: ლომები, ანგელოზები, აქ რომ სასახლეებიდან თუ მონასტრებიდან გადმოსახლებულიყვნენ. იფეთქა ფეიერვერკმა. ზამთრის მოწმენდილ და შორეულ ზეცის კაბადონზე უზარმაზარი ცეცხლი ავარდა, თეთრმა, ნაპერწკლოვანმა ელვამ ზიგზაგების წითელი ვუალი და ყვითელი მარაო გაკაწრა; შადრევანმა პირშეუკრავი ჭრილობები ააშხეფა; არტემიომ გაიცინა, ტუჩებმოკუმულმა გაიცინა და ეს სიცილი ღრენას ჰგავდა.

დაცარიელებული სინები ისევ და ისევ ივსებოდა გარეული ფრინველებით, კრევეტებითა და კიბორჩხალებით, ცვრიანი ხორცით. ძველებურ, მდიდრულად ინკრუსტირებულ, ათასნაირად მოჩუქურთმებულ ღრმა სავარძელში ჩაფლული

მოხუცის ირგვლივ შიშველი ხელები ირეოდნენ. მის ყნოსვას არ ეპარებოდა სუნამონაპკურებ ქალთა სურნელება. შესცქეროდა მათ ღრმად გულამოჭრილ კაბებს, გაპარსულ იღლიებს, ბრილიანტებით დამძიმებულ ყურის ბიბილოებს, ქათქათა ყელს, წერწეტა წელზე ტალღებად ჩამოშლილ აბრეშუმს, ოქროსფერ სტავრას, თავთას, ერთმანეთისგან არჩევდა ლავანდისა და აბოლებული სიგარეტების, პომადისა და პუდრის, ქალების ფეხსაცმლისა და დაღვრილი კონიაკის, ფრჩხილების ლაქის ნაცნობ სუნს.

კრუსმა ჭიქა ასწია და ფეხზე წამოდგა. მსახურმა უმალვე თასმები მიაწოდა - ძაღლები მთელი საღამო არ მოშორებიან. გაისმა ხმამაღალი საახალწლო სადღეგრძელოები. ჭიქები იატაკზე იმსხვრეოდა. მაღლა სწევდნენ ნაზად თუ მაგრად ჩაჭიდებულ ხელებს წარსული წლის სადიდებლად, მეხსიერების ამ დასაფლავების, ამ დაწვის სადიდებლად, - მიწის ახალი მოსავლის სადიდებლად, რომელიც წარსული წლის საქმეებით, სიტყვებით და წარსულ წელთან ერთად მკვდარი ადამიანებით იყო განოყივრებული... - ორკესტრი ამ დროს, როგორც ყოველთვის, უკრავდა ვალსს „მერცხლები“ - ამ ასი კაცისა და ქალის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, რომლებიც

ახლა ერთმანეთს არას ეკითხებოდნენ, მხოლოდ ნაზი გამოხედვით ეუბნებოდნენ, რომ არ შეიძლება დაკარგო დრო, ახლანდელი დრო, თავად ეს წუთი, რაკეტების ნათებითა და ზარების რეკვით ხელოვნურად გაწელილი.

ლილიამ გაუბედავად მოუსვა ხელი კისერზე, თითქოს პატიებას სთხოვდა. მაგრამ არტემიომ ხომ იცოდა: რამდენი განზრახვა, რამდენი სურვილი უნდა ჩაიკლა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეგეძლოს ბედნიერებით დატკბე - დიახ, ამის

გამო ლილია მისი მადლიერი უნდა ყოფილიყო, ასე უნდა აღქმულიყო მისი გაურკვეველი ლუღლუღი.

დარბაზში ვიოლინოებმა ისევ „პარიზელი ღატაკები“ დაუკრეს, ლილიამ სახის ჩვეული მანჭვით ხელკავი გამოსდო, მაგრამ კრუსმა თეთრი თავი უარის ნიშნად გააქნია და ძაღლების თანხლებით, სავარძლისკენ გაემართა, სადაც აპირებდა ღამის გატარებას და მოცეკვავეთა ცქერას. მშვენივრად გაერთობა ყველა იმ ყალბი, ტკბილი, ეშმაკი, გესლიანი, შტერი, გონიერი სახეების ცქერით, გაერთობა იმათ ბედ-იღბალზე თუ საკუთარ ბედზე ფიქრით... მასავით თავისუფალი ადამიანების სახეები, სხეულები ამშვიდებს... გაპრიალებულ იატაკზე კაშკაშა კანდელაბრების ქვეშ ცეკვით

მოსრიალენი, აქეზებენ... გათავისუფლდეს მოგონებათაგან, განაგდოს მოგონებანი... კვლავ და კვლავ დატკბეს ამ ურთიერთსაპირისპირო ერთობით. თავისუფლებითა და ძლევამოსილებით... იგი მარტო არ არის... მასთან არიან მოცეკვავენი... ამის გაფიქრებაზე მთელ სხეულში სითბო ეღვრება, გული სიამით ევსება... ჭაღარა, ნიკრისისქარიანი, წელში მოხრილი არსების ძლევამოსილი სიბერის შავი საკარნავალო ესკორტი... მოუშორებელი ხრინწიანი ჩაცინების ექო, რომელიც ჩაცვენილ მწვანე თვალებშიც ირეკლება. მცირე საგვარეულო ნუსხა, როგორიც თვითონ მას აქვს... ხანდახან უფრო მცირეც... ტრიალებენ და ტრიალებენ... იგი მათ იცნობს... მეწარმენი... კომერსანტები... ტურები... მლიქვნელები... მებირჟეები... მინისტრები... დეპუტატები... ჟურნალისტები... ცოლები... საცოლეები, მაჭანკლები... საყვარლები... ტრიალებენ საუბრის ნაწყვეტები... ცალკეული სიტყვები მოსრიალე წყვილებთან ერთად...

- ჰო... მერე წავიდეთ... მერე მამაჩემი... მიყვარხარ... თავისუფალი ხართ? მე მითხრეს... დრო საკმაოდ გვაქვს... მაშინ, ესე იგი... ასე... მე მინდოდა... სად?.. მითხარი... ალბათ, დავბრუნდები... შენ მოგწონდა?.. ძნელია... ეს დაიკარგა... ეშმაკუნა მშვენიერი... გაქრა... ეგრე მოუხდება... ჰმ...

ჰმ!.. მას შეეძლო გამოეცნო თვალებით, ტუჩების, მხრების მოძრაობით... მას შეეძლო ეთქვა, რასაც ფიქრობდა მათზე... შეეძლო ეთქვა, ვინ იყვნენ ისინი... შეეძლო მათი ნამდვილი სახელები შეეხსენებინა... წინასწარ მოწყობილი გაკოტრებები... ფულის დევალვაციის თაღლითური გამოყენება... პოლიტიკური ინსინუაციები... მამისეული მემკვიდრეობის განიავება, მექრთამეობა სამინისტროში... ყალბი სახელები: არტურო კაპდევილია, ხუან ფელიპე კოუტო, სებასტიან იბარგუენი, ვისენტე კასტანიედა, პედრო კარსო, ხენარო არაიგა, ხაიმე სებალიოსი, პეპტიო იბარგუენი, რობერტო რეგულესი... ვიოლინოები კი მღერიან, ქვედაკაბები და ფრაკის კალთები ტრიალებენ... არა, ისინი ამ ამბებზე არ ლაპარაკობენ. ისინი საუბრობენ მოგზაურობასა და სიყვარულზე, სახლებსა და ავტომანქანებზე, დასვენებასა და დღესასწაულებზე, ავადმყოფობებსა და მღვდლებზე... მაგრამ ისინი აქ არიან, აქ, მის წინაშე... ყველაზე ძლევამოსილის წინაშე... მას ძალუძს ლილიას იქ ყოფნა მოათმენინოს... ძალუძს ერთი

ჯადოსნური სიტყვით აიძულოს, რომ იცეკვონ, ჭამონ, სვან... აი, უკვე ახლოვდებიან...

- ჩემი ქმარი არქანგელოზის გამოსახულების სანახავად მოვიყვანე, დიდებული სურათია...

- მე ყოველთვის ვამბობდი: მხოლოდ დონ არტემიოს გემოვნების ადამიანი...

- რითი გადაგიხადოთ მადლობა?

- თუმცა თქვენ სწორად იქცევით, მიწვევებს რომ არ იღებთ.

- დონ არტემიო, აქ ყველაფერი დიდებულია. მე აღტაცებისგან ვმუნჯდები, ვმუნჯდები, ვმუნჯდები. რა ღვინოებია, ახლა ეს საოცარი საკაზმით შეზავებული იხვები!

...შებრუნდე და თავი ისე დაიჭირო, ვითომ არაფერი გესმის... მარტო ხმაურიც საკმარისია... არ არის საჭირო ჩაღრმავება... სასიამოვნოა მხოლოდ გარშემო მყოფთა გაურკვეველი საუბრის ყურის წაკვრაც... ბგერები, არომატები, სუნები, სახეები... დაე, სიცილითა და ჩურჩულ-ჩურჩულით კოიოაკანელი მუმია უწოდონ... დაე, ჩუმ-ჩუმად ლილიას დასცინონ... მაგრამ ყველანი ხომ აქ არიან... და მის წინ ცეკვავენ...

კრუსმა ხელი ასწია, დირიჟორს ანიშნა, მუსიკა დადუმდა. ცეკვა შეწყდა და წყვილები

შეჩერდნენ. უეცრად გიტარები აჟღარუნდნენ - აღმოსავლური პოპური დაუკრეს. სტუმრები მიიწ-მოიწივნენ; დარბაზის შუაგულისკენ თეძოების ნარნარი რხევითა და ხელების მოძრაობით ნახევრად შიშველი ქალი გამოემართა. გაისმა გახარებული შეძახილები. მოცეკვავე მუხლებზე დაეშვა და დოლის რაკარუკში კლაკვნა დაიწყო: ზეთწასმული სხეული ნაირფრად ულაპლაპებდა, ელვარებდა ფორთოხლისფერი ტუჩები, თეთრი ქუთუთოები, ლურჯი წარბები. მერე ადგა და წრე დაუარა, თან სულ უფრო ჩქარ-ჩქარა, კონვულსიურად ატრიალებდა მუცელს, მოხუცი იბარგუენი ამოირჩია, ხელი ჩასჭიდა და შუა დარბაზში გამოათრია, აიძულა, იატაკზე დამჯდარიყო და ღმერთ ვიშნუს პოზა მიეღო. მუცლის ცეკვა გრძელდებოდა, იბარგუენი მონდომებით იმეორებდა მოცეკვავის მოძრაობებს. ყველა იღიმებოდა. მოცეკვავე ახლა კაპდევილას მიუახლოვდა. აიძულა, პიჯაკი გაეხადა და იბარგუენის ირგვლივ ეცეკვა. აბრეშუმგადაკრულ სავარძელში ჩაფლული გულიანად იცინოდა, ძაღლების თასმებს ხელს უსვამდა. მოცეკვავე ქალი კოუტოს ზურგზე შეახტა და ქალებს მოუწოდა, მომბაძეთო. გულის წასვლამდე იცინოდნენ. ამორძალებს ამ მარულისაგან თმის ვარცხნილობა აეწეწათ, ანთებული ლოყები ოფლით აუპრიალდათ, ქვედაკაბები მუხლებს ზემოთ აუფრიალდათ, სამეჯლისო კაბები დაეჭმუჭნათ. ზოგი

ჭაბუკი ამ სიცილ-ხარხარში დაძაბულობისგან აწითლებულ „ცხენებს“ ფეხებს უდებდა და ერთიერთმანეთს ეხლებოდნენ ორი მოცეკვავე მოხუცისა და ბარძაყებგაშიშვლებული ქალის გვერდით.

არტემიომ თვალები ჭერს მიაპყრო - თითქოს აბობოქრებული წყლიდან ამოყვინთა, თითქოს სიმძიმისგან გათავისუფლდა. გაწეწილი თმებისა და შიშველი მხრების ზემოთ - ჭერის ნათელი ცა და თეთრი კედლებია. XVII საუკუნის სურათები, ოქროსფერ ფონზე გამოსახული ანგელოზები... თავში კი თითქოს ვირთხების ლაშქრის ყრუ ბრაგაბრუგი უდგას, შავულვაშა, წვრილდრუნჩა ვირთხებისა, წმინდა ხერონიმეს ამ უძველესი მონასტრის სხვენებსა და სარდაფებში რომ ბინადრობდნენ. ზოგჯერ დაურიდებლად დარბაზის კუნჭულებში რომ დაფხაკუნობდნენ, ახლა კი, იქ, ბნელში, გამხიარულებული სტუმრის თავებს ზემოთ თუ ფეხებქვეშ ათასობით ვირთხა უცდის... ალბათ... იცდიან, რომ ადამიანებს ეცნენ... დამართონ შავი ჭირი... დაკრუნჩხონ სიცხისა და თავის ტკივილისაგან... მთელ სხეულში ხანგრძლივი და საშინელი ტკივილისაგან... სული გასძვრეთ ტანზე გაჩენილი შავი წყლულებისგან... სისხლიანი რწყევისაგან... ჰოდა, ახლა ხელი რომ დაუქნიოს... და მსახურებმა რკინის ურდულებით გადაკეტონ

კარები... ეს ამფორებიანი და თასებიანი... ლომბერის მაგიდებიანი... თუჯის ორმაგკარიანი... ლომებისა და ღვთის მსახურთა ქანდაკებებიანი სახლის ყველა გასასვლელი... და მთელი ეს ბრბო აქ დაიმარხოს... გემიდან არავინ გადავიდეს. სხეულებს ძმარი გადაასხა... სურნელოვანი მერქნის კოცონები დაანთო... თავად კისერზე არცის ასხმა ჩამოიკიდო... და ნელ-ნელა მწვანე ბზუილა ბუზებს აუქშიო... შენ კი უკვე - უბრძანებ, იცეკვონ, იცხოვრონ, წრუპონ ღვინო...

კრუსმა არეული ხალხის ზღვაში თვალებით ლილია მოძებნა. მარტოსულსა და მდუმარეს ამ ველური ცეკვებისა და სამახსოვრო შეჯიბრებისათვის ზურგი შეექცია და თავის კუთხეში რაღაცას სვამდა... ზოგი მამაკაცი უკვე გასასვლელისკენ იძურწებოდა... შარვლის უბეზე ხელწავლებული... რამდენიმე ქალსაც უკვე გაეხსნა ხელჩანთა... კრუსმა უხეშად ჩაიქირქილა... აი, თავშეუკავებელი გართობისა და ღორმუცელობის ერთადერთი შედეგი... უეცრად წარმოიდგინა... ბელეტაჟის ტუალეტებთან რიგში ჩამდგარი ყველა ერთად და სათითაოდ... როგორ ითავისუფლებდნენ თავს საუცხოო ღვინისგან... როგორ ითავისუფლებდნენ თავს იმ სადილისაგან, რომელიც ორი დღე და ღამე მზადდებოდა ოსტატურად, გულმოდგინედ, დაფიქრებით... და აი, ესეც ამ

იხვებისა და კიბორჩხალების, პიურეებისა და საწებლების ნაღვლიანი დასასრული... ხა-ხა, ამ საღამოს ყველაზე სასიამოვნო გასართობები...

მალე მოიქანცნენ. სრული გულგრილობით გარემოსილმა მოცეკვავე ქალმა ცეკვა დაასრულა. სტუმრებმა ისევ გააბეს საუბარი, შამპანურის წრუპვა, ვინ რბილ დივნებზე ჩამომსხდარა, ვინ კიდევ ახლა ბრუნდებოდა დარბაზში, იკრავდნენ შარვლებს, საპუდრეებს სამეჯლისო ჩანთებში მალავდნენ. და აი, დამთავრდა.

წინასწარ მომზადებული ხანმოკლე ორგია... დაგეგმილი ბაკქანალია... ისევ წყნარად და მელოდიურად აჟღერდა ხმები... ისევ მექსიკის ზეგნების თვალთმაქცობა. ისევ ზრუნვა და ფაციფუცი... თითქოს სტუმრებს იმ წუთების, იმ გაფრენილი წამის გამოსყიდვა სურდათ...

- ...არა, კორტიზონისგან ტანზე მაყრის...

- ...შენ არც კი იცი, მამა მარტინესი რა კარგი მოძღვარია...

- ...გეთაყვა, მითხარით, მაგ ქალზე ამას ვინ იფიქრებდა. ამბობენ, ისინი იყვნენ...

- ...მე გადავიტანე...

- ...ლუისი ისე იღლება, რომ მხოლოდ...

- ...არა, ხაიმეს ეს არ უყვარს...

- ...ეგ ქალბატონი ძალიან იწევს ცხვირს...

- ...ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურე და...

- ...ახლანდელი მოახლეები მართლაც რომ აუტანლები არიან...

- ...ოცი წელი იქნება, რაც დაახლოვდნენ...

- ...ნუთუ ამ ბინძურ ინდიელებს ხმის უფლებას მისცემენ?..

- ...ცოლი კი მარტოა სახლში, არასოდეს...

- ...ეს დიდი პოლიტიკის საკითხებია, ჩვენ უკვე ვიცით...

- ...კრპ-ს[68] ამოტივტივება უჭირს... ისე დროა.

- ... სენიორ პრეზიდენტის საქმიანობა პალატაში...

- ...დიახ, მე გავბედავ...

- ...ლაურა, მგონი ლაურა ჰქვია...

- ...ყველა ერთად წავიმუშავებთ...

- ...თუ ისევ income tax-ზე იმსჯელებენ...

- ...ოცდაათი მილიონი უსაქმურისთვის...

- ...ჩემს დანაზოგს მაშინვე შვეიცარიის ბანკში მოვათავსებ...

- ...კომუნისტებმა მარტო ის იციან, რომ...

- ...არა, ხაიმე, ნუ შეაწუხებთ...

- ...ეს საარაკოდ მომგებიანი საქმე იქნება...

- ...იდიოტურად...

- ...ოცი მილიონი უნდა შეიტანო...

- ...ამ შესანიშნავ დალის...

- ...და ორ წელიწადში ერთი-ორად ამოვიგებთ ყველაფერს...

- ...აგენტებმა ჩემი გალერეისთვის გამომიგზავნეს...

- ...ან სულ ცოტა...

- ...ნიუ-იორკში...

- ...მრავალი წელი საფრანგეთში იცხოვრა. ამბობენ... გულგატეხილობა...

- ...მოდი, შევიკრიბოთ - მხოლოდ ქალები...

- ...პარიზი ბრწყინვალე ქალაქია...

- ...უმამაკაცებოდ გავერთოთ...

- ...თუ გინდა, ხვალ აკაპულკოში გავფრინდეთ...

- ...მართლაც სასაცილოა - შვეიცარიული მრეწველობის ბორბლები...

- ...ამერიკის ელჩმა დამირეკა, რომ გავეფრთხილებინე...

- ...ათ მილიარდ დოლარს ატრიალებენ...

- ...ლაურა, ლაურა რივერი, იქ ისევ გათხოვდა...

- ...ჩემს ავიონეტაში...

- ...ჩვენ, ლათინური ამერიკის მკვიდრებმა, რომ განვალაგეთ...

- ...ვერც ერთი ქვეყანა თავს ვერ დაიცავს ძირგამომთხრელი მუშაობისგან...

- ...როგორ, როგორ გეკადრებათ, მე თვითონ წავიკითხე „ექსელსიორში...“

- ...გეუბნები, შესანიშნავად ცეკვავს...

- ...რომი, ცხადია, მარადიული ქალაქია.

- ...მაგრამ სულს იქით გროშიც არ გააჩნია...

- ...წელებზე ფეხს ვიდგამდი, რომ როგორმე ჩემი მატყლი გამესაღებინა...

- ...შეხედე, ზის და განძრევისა ეშინია, კვერცხის ნაჭუჭში ჩამჯდარი ღვთაებასავით...

- ...გადასახადი რაღად უნდა ვუხადო ამ ღატაკ მთავრობას?..

- ...მაგას მუმიას ეძახიან, კოიოკანელ მუმიას...

- ...ერთი კარგი მკერავია, გენაცვალე...

- ...სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი კრედიტები?..

- ...გეუბნები - გიჯობს ამ საქმეში არ გაერიო...

- ...საცოდავი კატალინა...

- ...მაინც, ვისზეა დამოკიდებული - გვალვა იქნება თუ ყინვა?

- ...ჰმ, ვერსად დაიმალები: ამერიკული კაპიტალდაბანდების გარეშე...

- ...ამბობენ, კაცს ძალიან უყვარდაო, მაგრამ...

- ...მადრიდი ღვთაებრივია, სევილია - მშვენიერი...

- ...ჩვენ ვერასოდეს ამოვალთ ჭაობიდან...

- ...თუმცა ისეთს, როგორიც მეხიკოა...

- ...შეეძლოთ მეტი მოეცათ? შენ გაიგე?..

- ...ჰო, ოჯახის დიასახლისმა, რომ...

- ...ყოველ პესოზე ორმოც-ორმოცი სენტავო მივიღე...

- ...თავიანთ ფულს და თავიანთ ნოუ-ჰაუს გვთავაზობენ...

- ...ჯერ კიდევ მანამ...

- ...ჩვენ კიდევ ვწუწუნებთ...

- ...ოციოდე წლის უკან...

- ...გეთანხმები, კასიკები, გამყიდველებიც არიან და ყველაფერი, რაც გინდა...

- ...წარმოგიდგენია, მთელი ჩემი ინტერიერი მოოქრულია. ნამდვილად გადასარევია...

- ...მაგრამ კარგი პოლიტიკოსი არ ცდილობს სინამდვილის შეცვლას...

- ...ცდილობს ქალი გამოიყენოს და, რა თქმა უნდა, მასთანაც იმუშაოს...

- ...იმ საქმეების გამო, რაც ხუან ფელიპესთან აკავშირებს და არც მალავს...

- ...ეგ იმდენ სიკეთეს სჩადის, თუმცა ამაზე კრინტსაც არ ძრავს...

- ...მე ვუთხარი: არ არის საჭირო...

- ...ყველამ სიკეთე უნდა ვაკეთოთ, ხომ მართალია?..

- ...რას არ მივცემდი, ამისათვის თავი რომ დაგენებებინა!..

- ...მართლაც ცოდვაა, საწყალი კატალინა!..

- ...იმათ მივყიდე, ოღონდ დაახლოებით ათი ათასი დოლარი დამრჩა...

- ლაურა, მე მგონი, ლაურა ერქვა; ძალიან ლამაზი იყო...

- მაგრამ რად გინდა: ეს სუსტი ქალების ხვედრია...

მოცეკვავეთა ლაპარაკის ტალღა ხან მოაწყდებოდა, ხან მიჩუმდებოდა. მაგრამ აი, ქერათმიანი, გაღიმებული გოგონა მოხუცის გვერდით ჩაცუცქდა და მისი სავარძლის სახელურს დაეყრდნო, თან ხელში შამპანურიან ჭიქას ათამაშებდა. ახალგაზრდა კაცმა კი მასპინძელს ჰკითხა, ხელს ხომ არ გიშლითო, რაზეც მოხუცმა ასე უპასუხა:

- სენიორ სებალიოს, მთელი საღამო მხოლოდ ამას აკეთებთ...

...ახალგაზრდებისთვის არ შეუხედავს... იგი ისევ გულდასმით მიაჩერდა მოცეკვავეებს... არსებობს დაუწერელი კანონი... სტუმრები მას არ უნდა მიუახლოვდნენ - მხოლოდ სახლს და ვახშამს ორიოდ სიტყვით თუ შეუქებენ... საჭიროა დისტანციის დაცვა... შეიძლება მადლობა გადაუხადოს სტუმართმოყვარეობისა და გართობისათვის... სცენა და პარტერი... ჭაბუკი ხაიმე სებალიოსი, ალბათ, თავს ანგარიშს არ აძლევდა... „იცით? თქვენით აღტაცებული ვარ...“

კრუსმა სმოკინგის ჯიბეები მოიქექა და სიგარეტის გაცრეცილი კოლოფი ამოიღო... დინჯად გააბოლა. ჭაბუკისთვის არც შეუხედავს. თვითონ ჭაბუკი კი ეუბნებოდა, მხოლოდ მეფეს შეეძლო ასეთი ზიზღით ყურება, როგორც თქვენ გვიყურებდითო, როცა... კრუსმა იკითხა: „ჭაბუკი სებალიოსი პირველად ესწრება ჩვენს...“ „დიახ, პირველად“, - უპასუხა ჭაბუკმა. „და თქვენს სიმამრს თქვენთვის არაფერი უთქვამს?“ „როგორ არა, ცხადია...“ „ესე იგი...“ „ეს წესები ისე მოიფიქრეს, დონ არტემიო, მე არ მომთათბირებიან...“ კრუსმა ვეღარ მოითმინა... დაღლილი თვალები აღაპყრო... ხაიმეს შეხედა, ჭაბუკიც თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა... გამოხედვაში ცბიერება იგრძნობოდა... ტუჩები და ნიკაპი უთრთოდა... მოხუცსაც, ჭაბუკსაც... არტემიომ მასში

საკუთარი თავი იცნო, ოჰ... მაშ ასე, სენიორ სებალიოს... აი, რისი მსხვერპლად გაღებამ მომიწია. „მე არ მესმის თქვენი...“

აჰ, არ ესმის. ამბობს, არ მესმისო. დამცინავად ჩაიფრუტუნა. ძნელია თავის ღალატი, მაგრამ მომიწევს. „იცით, თუ არა, ყმაწვილო, ვის ელაპარაკებით? გგონიათ, არასწორად ვიქცევი?“

ხაიმემ საფერფლე გაუწოდა... ჰო, მდინარეზე ცხენებით გავედით, იმ დილით... - ვცდილობ საკუთარი თავის წინაშე თავი ვიმართლო? ვაკვირდებოდი, ხელს არავის ვუშლიდი... - თქვენი სიმამრი და სხვა თქვენი ნაცნობები, ალბათ... მდინარეზე გადავიდნენ იმ დილით... - ...ჩვენი სიმდიდრე სწორედ თავის მართლებაა, რომ მის მოსაპოვებლად ვიშრომეთ... - ჩვენი ჯილდო, ასე არ არის განა?.. ვაჟიშვილმა ჰკითხა, ერთად თუ წავალთ ზღვისკენო... - იცით თუ არა თქვენ, რატომ ვდგავარ ამ კაცუნებზე მაღლა... რატომ მემორჩილებიან?.. ხაიმემ საფერფლე გაუწოდა, კრუსმა ჩააფერფლა... ხალათი გავიხადე და მდინარეზე ისე

გადავედი... - დიახ, თქვენ მოხვედით, მაგრამ მე არ მომიხმიხართ... ხაიმემ თვალები მოწკურა და შამპანური მოსვა... გული გაგიტყდათ

საკუთარ იდეალებზე? კატალინა იმეორებდა: „ღმერთო, ჩემო, ეს მე არ დამიმსახურებია“, როდესაც სარკე სახესთან მიჰქონდა და თავის თავს ეკითხებოდა: ნუთუ დაბრუნებული შვილი მას ასეთს ნახავს?.. - საცოდავი კატალინა... - არა, მე თავს არ ვიტყუებ... ისინი გაღმა ნაპირზე დედამიწის ყველა ყვავილს ნახავენ, ყველა ყვავილს - დიახ... როგორ მოგწონთ ეს საღამო?.. „ვიტრიალებთ, ვიბზრიალებთ, რა კარგია, ჩა-ჩა-ჩა-ჩა!“ ბანანების სურნელი იდგა. კოკუია... - ჩემთვის სულერთია. ვაჟიშვილმა ცხენი შეაჩერა, მობრუნდა და გაიცინა... - ჩემს სურათებს, ჩემს ღვინოებს, ჩემს ავეჯს მე ისევე ვფლობ, როგორც თქვენ... - თქვენ ასე გგონიათ?.. შენ იხსენებდი ახალგაზრდობას, როცა ვაჟიშვილსა და იმ ადგილებს შესცქეროდი... - ძალაუფლება თავისთავად კარგი რამ არის, ამას რაღა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ იგი მიიღო... მაგრამ შენ არ გინდოდა გეთქვა, რამდენს ნიშნავდა იგი შენთვის, - როგორც ეს მე გავაკეთე, თქვენმა სიმამრმა, და თითოეულმა, ვინც ამ დარბაზში ცეკვავს... იმ დილით სიხარულით მოველოდი... - ...ასევე მოიქცევით თქვენც, თუ მოინდომებთ. - დონ არტემიო, თქვენთან მუშაობა, თქვენს ერთ-ერთ საწარმოში, თუ თქვენ... ვაჟიშვილმა აწეული ხელი აღმოსავლეთისკენ გაიშვირა, იქით, საიდანაც მზე ამოდის, ყურისკენ... - ჰმ, ჩვეულებრივ ეს სხვანაირად კეთდება... აუჩქარებლად მოჩაქჩაქებდნენ ცხენები,

თელავდნენ მაღალ ბალახებს, ფაფარს არხევდნენ, ქაფს აშხეფებდნენ... - სიმამრი ტელეფონით მირეკავს და მიმანიშნებს, რომ სიძე... მათ ერთმანეთს თვალებში შეხედეს და გაიღიმეს... - მაგრამ საქმე ის არის, რომ მე სხვა იდეალები მაქვს... ზღვაში, გაშლილ ზღვაში, იქით, საითაც გაიჭრა ლორენსო, შიგ ტალღებში, მის ირგვლივ რომ ცეკვავენ... - მან ნახა შეულამაზებელი სამყარო, გონიერი ადამიანი იყო... სწორედ რომ. ზუსტად თქვენისთანა, დონ არტემიო... ვაჟმა ჰკითხა მაშინ, როგორი მიწაა იქ, ზღვის გაღმა, ალბათ, მიწა ყველგან ერთნაირია და მარტო ზღვაა სხვადასხვანაირი... ზუსტად ჩემნაირად!.. კრუსმა უთხრა, კუნძულები არსებობენო... - რომ იბრძოდა რევოლუციისთვის, საკუთარ თავს სასწორზე დებდა, კინაღამ დახვრიტეს?.. ზღვას მწარე ლუდის გემო ჰქონდა - ნესვის, კომშის, ხენდროს სუნი... ჰა? - არა... მე... - ათ დღეში გემი გადის. მე უკვე ბილეთი ავიღე... - თქვენ, მეგობარო, ბანკეტის დასასრულს მოხვედით. იჩქარეთ, ნამცეცები აკრიფეთ... - მამა, განა შენც ასევე არ მოიქცეოდი? - ორმოცი წელი სულ მაღლა და მაღლა ვისწრაფოდით, მისი დიდება გვფარავდა... - დიახ... - თქვენ, ჭაბუკო? თქვენ გგონიათ, შთამომავლობით გადაეცემა? რას აკეთებთ, რომ გაგრძელდეს... ახლა ომია... დღეისათვის, ალბათ, ერთადერთი ომი - დიახ... - ჩვენი ხელისუფლების? - მე იქ წავალ... - თქვენ გვასწავლიდით, თუ როგორ... ეჰ, გვიან

მოხვედით-მეთქი, გეუბნებით. იმ დილით სიხარულით ველოდი... - დაე, სხვებმა სცადონ მოტყუება; მე თავი არასოდეს მომიტყუებია. ამიტომ ვარ აქ... მდინარეზე

ცხენებით გადავედით... - იჩქარეთ... გეძახით. რადგან გაძლევენ... ჰკითხა მას, ზღვისკენ ერთად თუ წავალთო. - რა ჩემი საქმეა... ზღვას დაბლა-დაბლა მფრინავი თოლიები დარაჯობდნენ. - მე მოვკვდები, სასაცილოა ამაზე ფიქრი... ზღვა ზარმაცად ლოკავდა ნაპირს... - სასაცილოა ამაზე ფიქრი... ზღვა შიგ ტალღებში, მის ირგვლივ აქაფებულ ტალღებში... - ...სიცოცხლე მათთვის უნდა შეინარჩუნო, ვინც არაფერს ნიშნავს...

მოხუცი სებალიოსის ყურთან დაიხარა... ზღვა, რომელსაც მწარე ლუდის გემო აქვს. - გნებავთ, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ? ზღვა, რომელსაც ნესვისა და გუაიავას გემო აქვს... მან საჩვენებელი თითი ჭაბუკის ჭიქას მიარტყა... მეთევზეები, ბადეებს ქვიშაზე რომ მიათრევენ... - ჭეშმარიტ ძალას ამბოხებული სული შობს... - მჯერა თუ არა მე? არ ვიცი. შენ მომიყვანე აქ, მასწავლე ეს ყველაფერი... - თქვენში... ყველაში ერთად... ზღვისკენ პირით მდგარმა თითები გაფარჩხა, მოქურუშებული ცისკენ გაწვდილი თითები... - ხოლო თქვენში, ჭაბუკო, უკვე აღარ არის ის, რაც საჭიროა... კრუსმა ისევ დარბაზს გახედა.

- მაინც, - წაიდუდუნა ხაიმემ, - შემიძლია ამ დღეებში შემოგიაროთ?

- პადილიას მოელაპარაკეთ. ღამე მშვიდობისა.

საათმა სამჯერ დარეკა. მოხუცმა ამოიოხრა და თასმები მოსწია. მთვლემარე ძაღლებმა ყურები ცქვიტეს და ადგნენ. კრუსი ძლივ-ძლივობით წამოდგა, სავარძლის სახელურებს დაეყრდნო, მუსიკა დადუმდა.

კრუსმა სასტუმრო ოთახი გადაჭრა, მის წინაშე თავდახრილი სტუმრები მადლობის სიტყვებს ჩურჩულებდნენ. ლილიამ კრუსთან გააღწია... - ნება მიბოძეთ... და ხელი გაშეშებულ მკლავზე მოჰკიდა. ისინი ადამიანების ცოცხალ დერეფანში მიაბიჯებდნენ. არტემიო - თავაწეული (ლაურა, ლაურა), - ლილია - თვალებდახრილი, მალულად აქეთ-იქით იყურებოდა. ჩაუარეს დიდებულ სკულპტურებს, მდიდრულ ინკრუსტაციებს, ოქროსა და თაბაშირის სტატუეტებს, ძვლისა და კუს ბაკნის ზარდახშებს, მოჩუქურთმებულ ურდულებსა და სახელურებს, ლირსებიან და რკინისსალტეებიან სკივრებს, აიაკაუიტეს სურნელოვანი ხის მერხებს, ძველებურ სკამებს, ბაროკოს სტილით ნაძერწ სამკაულებს, სავარძლის გაღუნულ საზურგეებს,

ნაირფერ როსტრებს, სპილენძის ლურსმნებს, გამოყვანილ ტყავებს, გრეხილ ავეჯს, ვერცხლის სირმით ნაქსოვ გობელენებს, აბრეშუმგადაკრულ სავარძლებს, ხავერდგადაკრულ ოტომანებს, თასებსა და ამფორებს, ლომბერის მაგიდებს, დამსკდარ სურათებს. მიაბიჯებდნენ ხაოიან ნოხებზე, მოჩუქურთმებული ჭერისა და ბროლის ჭაღების ქვეშ.

კიბის პირველ საფეხურთან ლილიას ხელზე მოუთათუნა, ქალმა ხელკავი გამოსდო, ცდილობდა მაგრად დაეჭირა. გაუღიმა:

- ძალიან დაიღალე?

არტემიომ თავი გააქნია და ისევ ალერსიანად მოუთათუნა ხელზე.

გაიღვიძე... ისევ... მაგრამ ამჯერად... ჰო... ავტომობილში, ამ კარეტაში... არ... არ ვიცი... უხმაუროდ მიდის... ჯერ კიდევ გონს არ მოვსულვარ... თვალებს ვახელ, მაგრამ ადამიანების გარჩევა არ ძალმიძს... საგნები, სახეები... თეთრი ბრჭყვიალა კვერცხები გორავენ ჩემ თვალწინ... რძისფერი კედლით ვემიჯნები სამყაროს... ხელშესახებ

საგნებს, უცხოთა ხმებს... მე გამიჯნული ვარ... მე ვკვდები... ვცალკევდები... არა, ეს უბრალოდ შეტევაა... ყოველთვის შეიძლება ჩემი ასაკის კაცს შეტევა მოუვიდეს... სიკვდილი - არა... განშორება - არა... არ მინდა ამაზე ლაპარაკი... მინდა ვიკითხო ეს... მაგრამ თუ თავს ძალას დავატან... ჰო... უკვე მესმის წყვეტილი ხმა სირენების... სანიტარული მანქანის სირენების... საკუთარი ხორხიდან ამოხეთქილი ხმა... ჩემი წაჭერილი ყელიდან... გადმონადენი ნერწყვი... უძირო ჭაში ეშვება... განშორება? ანდერძი?.. ოჰ, ნუ ინერვიულებენ! არის ასეთი ბეჭდიანი ქაღალდი, ნოტარიუსის დამოწმებული... არავინ დამვიწყებია... რისთვის უნდა დავივიწყო, შევიძულო? განა სიამოვნება არ მოგანიჭეთ იმით, რომ უკანასკნელ წუთამდე მახსოვდით, თუნდაც იმიტომ, რომ მასხრად ამეგდეთ, დამეცინა?. ოჰ, რა სასაცილოა... ოჰ, რა თავშესაქცევი ამბავია... არა.. მე თქვენ სრულიად გულგრილად გიხსენიებთ... ანდერძის მშრალ მუხლებში... მე გაძლევთ თქვენ სიმდიდრეს, რასაც ყველას გასაგონად მიაწერთ ჩემს მონდომებას, შეუპოვრობას, პასუხისმგებლობის გრძნობას... ჩემს პირად ღირსებებს... ასეც მოიქეცით... მშვიდად იცხოვრეთ. დაივიწყეთ, რომ სიმდიდრეს ვიგებდი, სასწორზე ვდებდი ყველაფერს და ისევ ვიგებდი... გასცე ყოველივე და სამაგიეროდ არაფერი მიიღო... ეს არის თქვენი სიმართლე? იმას რაღა ჰქვია, როდესაც ყველაფერს

გასცემენ და სამაგიეროდ ყველაფერს მიიღებენ? დაარქვით რაც გინდათ... ისინი დაბრუნდნენ, არ დანებდნენ... დიახ, მე ამაზე ვფიქრობ და მეღიმება... მეცინება ჩემს თავზე, თქვენზე... ჩემს საკუთარ ცხოვრებაზე მეცინება... განა ამისი უფლება არა მაქვს? განა ის ერთადერთი წამი არ დადგა, როცა შემიძლია ეს გავაკეთო?.. არ შემეძლო ჩემი თავისთვის დამეცინა, როცა ცოცხალი ვიყავი... ახლა კი შემიძლია. ეს ჩემი უფლებაა. ანდერძს დავტოვებ. გიანდერძებთ ამ მკვდარ სახელებს... რეხინა. ტობიასი, პაესი... გონსალო... საგალი... ლაურა... ლაურა... ლორენსო... რომ არ დამივიწყოთ მე... წასული... მე შემიძლია ამაზე ვიფიქრო და ჩემს თავს ვკითხო... უნებურად... ვინაიდან ეს უკანასკნელი აზრებია... მე ვიცი... ვფიქრობ, თავს ვიკატუნებ... არ მემორჩილებიან, ოჰ, ჰო... თითქოს გონება, თვითონ გონება... მეკითხება. და პასუხი კითხვის დასმამდეა მზად... ალბათ... კითხვა და პასუხი - ერთი და იგივეა... ცხოვრებაც განშორებაა... მდინარისპირა ქოხთან, იმ მულატთან... კატალინასთან... ჩვენ რომ გველაპარაკა... იქ, ციხეში, იმ დილით. ნუ წახვალთ ზღვისგაღმა. კუნძულები არ არის, ტყუილია, მე მოგატყუე... მასწავლებელთან... ესტებანთან? სებასტიანთან? არ მახსოვს... მან ბევრი რამ მასწავლა... არ მახსოვს... მე იგი მივატოვე და ჩრდილოეთისკენ წავედი... ოჰ,

დიახ... დიახ... დიახ... სხვანაირი ცხოვრება მექნებოდა... ახლაც... სხვანაირი... და არა ამგვარი

ცხოვრება არა... აგონიაში ჩავარდნილი კაცის... არა, არა, აგონიაში არა... გეუბნებით, არა-მეთქი. არა, უბრალოდ შეტევაა. მოხუცს შეტევა აქვს... გამოვჯანსაღდები, ჰო... სხვანაირი იქნებოდა... სხვანაირი... მაგრამ ისიც განშორებაში... რა სისულელეა... არც სიკვდილი, არც სიცოცხლე... რა სისულელეა... ამქვეყნად... სიცოცხლის საიდუმლო... სიკვდილის საიდუმლო... საბედისწერო ვადა... უაზრო... ღმერთო ჩემო... დიახ, ეს შეიძლება ჩემი უკანასკნელი გარიგება იყოს... ვინ მეწევა მხრებზე? გწამდეს ღმერთი... ჰო, ხელსაყრელი კაპიტალდაბანდებაა, მერე როგორი... ვინ მაკავებს, თითქოს ადგომა მინდოდეს? განა არსებობს სხვა საშუალება გწამდეს, რომ შენ უკვალოდ არ გაქრები, მარადიულად, მაშინაც, თუ ეს არ გწამს? ღმერთი, ღმერთი... საკმარისია ეს სიტყვა ათასჯერ გაიმეორო, რომ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგოს და კრიალოსნად იქცეს... მარცვლების... ცარიელი... ღმერთი, ღმერთი... როგორ გამიშრა ტუჩები... ღმერთო... ღმერთო... გაანათლე ისინი, ვინც რჩება... მე ვფიქრობ... მაგრამ იმათ ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ... ვერ ვხედავ... დამწუხრებულ ქალებსა და კაცებს... შავი ფარდა ჩამოიხა... ჩემ თვალწინ და მე ვხედავ... რომ ისინი აგრძელებენ ცხოვრებას... თავიანთ საქმეებს უბრუნდებიან... უსაქმურობას, ინტრიგებს... არ იხსენებენ... საცოდავ მიცვალებულს... რომელსაც ესმის, როგორ აყრიან ბარები ნესტიან მიწას... ზედ სახეზე...

მოცოცავენ... მოცოცავენ... ჰო, მოცოცავენ და ფუთფუთებენ... მატლები... ყელში, ყელში, ზღვა მიღელავს... ხმა მეხრინწება... არა, მას გამოღწევა სურს. აღდგეს. ისევ იცოცხლოს... ცხოვრება განაგრძოს იქიდან, სადაც იგი მეორე ცხოვრებამ გადაკვეთა... სიკვდილი... არა, ყველაფერი თავიდან დაიწყოს... აღდგეს... ახლად დაიბადოს... აღდგეს... ისევ გადაწყვიტოს, ხელახლა ამოირჩიოს... არა... ცივი საფეთქლები... ფრჩხილები ლურჯი... მუცელი... გაბერილი... გაბერილი... გულისრევა... საშინელი... არ გაბედო უაზროდ სიკვდილი... არა, არა... ოჰ, თქვენ, ბებერო ბატებო... თქვენ ყველაფერი გაქვთ... სიმდიდრე... თავში კი... სიცარიელე... ნეტავი ის... მაინც ესმოდეთ, რა რის მაქნისია... როგორ მოიხმარონ... ეს საგნები... არაფერი გაეგებათ... მე კი ყველაფერი მქონდა... გესმით? ყველაფერი, რაც შეიძლება და რაც არ შეიძლება იყიდო... მე რეხინა მყავდა... მას რეხინა ერქვა... მასაც ვუყვარდი... ფულისთვის კი არ ვუყვარდი... გამომყვა... სიცოცხლე შემომწირა... იქ, დაბლა... რეხინა, რეხინა... როგორ მიყვარხარ... როგორ მიყვარხარ ახლა... როცა შენი სიახლოვე არ მჭირდება... შენი სიხარულით მავსებ... მხურვალე... შენი სურნელებით მათრობ... იმ, უკვე დავიწყებულ... რეხინა... გამახსენდი, ხედავ? კარგად შემომხედე... უწინაც გიხსენებდი... მე შემეძლო შენი გახსენება... ისეთის, როგორიც იყავი... როგორ გიყვარვარ... როგორ მიყვარდი... არავის

შეუძლია ჩვენი დაშორება... რეხინა, ჩვენი დაშორება... მე მას თან ვატარებ და ვინახავ... ორივე ხელით ვიფარავ... როგორც ალს, პატარა და ცოცხალ ალს...

რომელიც შენ მაჩუქე... რომელიც მომეცი... შენ მომეცი... მე არ გამოგართმევ... მაგრამ შენი კი მოგეცი... ოჰ, სად არის ნეტავ შენი თვალები, სად არის შენი მუქი, სურნელოვანი სხეული, სად არის შენი ტუჩები, რომელსაც ახლა ვერ შევეხები, ვერ ვახსენებ, ვერ გავიმეორებ... ოჰ, შენი ხელები რეხინა... შენი ხელები ჩემს კისერზე შემოხვეული და... შენით მოგვრილი თავდავიწყება... სრული თავდავიწყება... ყველაფრისა, რაც მე და შენ შორის არ ყოფილა... ოჰ, რეხინა... არაფერზე იფიქრო... არ ილაპარაკო... მხოლოდ მუქი თეძოები... უსაზღვრო ბედნიერება... ოჰ, ჩემო წყეულო სიამაყევ... ის სიამაყე, შენ რომ მიყვარდი. უპასუხო პაროლი... მაგრამ რა შეიძლება გვითხრას სამყარომ, რეხინა... რას დაამატებდა... რას გვეტყოდა.... ჩვენს გახელებაზე, ჩვენს სიყვარულზე... რას? მტრედი, მიხაკი, ხვართქლა, სამყურა, წყარო, ცისარტყელა, ვარსკვლავი, აჩრდილი, სხეული... რა ვუწოდო... სიყვარული... როგორ მოგიახლოო... ისევ... ჩემს სუნთქვასთან... როგორ შეგევედრო... როგორ დაგიყოლიო... დამნებდე... როგორ ვეამბორო შენს ლოყებს... როგორ დავკოცნო... შენი ყურები... როგორ შევიყნოსო... შენი სურნელი... როგორ ვთქვა... შენი თვალები... როგორ დავინახო... შენი გემო... როგორ დავაღწევ თავს...

მარტოობას... საკუთარ მარტოობას... რომ ჩავიკარგო... ჩემს მარტოობაში. როგორ გავიმეორებ... რომ მიყვარხარ... როგორ განვაგდებ... შენს ხსოვნას, რათა კვლავ შენს დაბრუნებას ველოდო... რეხინა... რეხინა... ისევ ის ტკივილი, რეხინა, მე ვიღვიძებ, ალბათ, საძილე წამალმა ბურანში გამხვია, ვიღვიძებ... ტკივილი... სადღაც შუაგულ მუცელში... მუცლის სიღრმეში... რეხინა, ხელი მომეცი, არ წახვიდე, არ მინდა გავიღვიძო, თუ შენ აქ არა ხარ, ჩემო საყვარელო ლაურა, ჩემო ძვირფასო, შენ ჩემი მოგონება ხარ, ჩემი ხსნა, შენი ქვედაკაბა, ჩემო რეხინა, მტკივა... ჩემო ყველაზე ნაზო, ჩემო ცხვირპაჭუა, მტკივა, რეხინა. მე ვიცი, რატომაც მტკივა, რეხინა, მოდი, რომ ისევ გადავრჩე, რეხინა, ისევ ამსხვერპლე შენი სიცოცხლე ჩემსას, რეხინა, ისევ მოკვდი, რომ მე ვიცოცხლო, რეხინა. ჯარისკაცი. რეხინა. ხელი მომხვიეთ, ლორენსო, ლილია, ლაურა, კატალინა, ხელი მომხვიეთ, არა. როგორი სიცივე მივლის საფეთქლებში... ტვინო, არ მოკვდე... აზრო... მე მინდა ვიპოვო იგი... მინდა... მიწა... ქვეყანა... მიყვარდი... მინდოდა დავბრუნებულიყავი... უაზრობის აზრი... სადღაც მაღლიდან დაჰყურებდე განვლილ ცხოვრებას და ვერაფერს ხედავდე... და თუ არაფერს ვხედავ... რატომ მოვკვდე... ტანჯვით მოვკვდე... რატომ არ ვიცხოვრო. მკვდარი სიცოცხლით... რატომ გადავიდე... ცოცხალი არარაობიდან მკვდარ არარაობაში... ყველაფერი

იშრიტება... ილევა... სირენის... ძაღლების ყეფა... სანიტარული მანქანა ჩერდება... დავიღალე... არა... მიწა... თვალწინ სინათლეს ვგრძნობ... ვიღაცის ხმა...

- ექიმი საბინესი გაუკეთებს ოპერაციას.

აზრი? სად არის აზრი?

მანქანიდან საკაცე ლიანდაგზე მისრიალებს. აზრი სადღაა? ვინ ცხოვრობს? ვინ?

* * *

შენ ამაზე მეტად ვეღარ დაიღლები, ეს შეუძლებელია, იმიტომ, რომ ძალიან ბევრს გაივლი ფეხით, ცხენით, ძველი მატარებლებით, ქვეყნის დასასრული კი არა და არ გამოჩნდება. დაიმახსოვრებ კი ქვეყანას? დიახ? დაიმახსოვრებ, თუმცა იგი მეტად ნაირსახოვანია; ათასობით ქვეყანას ერთი სახელი აქვს. ამას შენ გაიგებ. საკუთარ არსებაში ჩაიტევ წითელ მიწებს, აგავიან და ლეღვისხიან ტრამალებს, კაქტუსოვან სამყაროს, ყინულოვან კრატერებს და ლავის სარტყელს, ოქროსგუმბათიან და ქვისსათოფურიან კედლებს. ქვითა და კირით, ტესონტლეთი ნაგებ ქალაქებს, თიხატკეპნილ სოფლებს, ლელქაშიან სოფლებს, შავ, დატკეპნილ ბილიკებს, მშრალ, ცხელ გზებს, ზღვის სველ ბაგეებს, სანაპიროების გაუვალ ტევრებს, ხორბლისა და სიმინდის მშვენიერ მინდვრებს, ჩრდილოეთის მწვანე, ხასხასა მდელოებს, ბახიოს ტბებს, მაღალ ტანკენარ ტყეებს, თივის უზარმაზარ ზვინებს, მთათა დათოვლილ მწვერვალებს, საროსკიპოებიან, ციებიან ნავსადგურებს, თავთეთრა ხენეკენის მინდვრებს, ჩაკარგულ გიჟმაჟ მდინარეებს, ოქროს და ვერცხლის ქვიშრობებს. შენში ყველაფერია: სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ინდიელები - კორას, იაკის, უიჩილოს,

პიმას, სერის, ჩონტალის, ტეპეუნის, უასტეკის, ტოტონაკის. ნაუას, მაიას - ენებზე; ინდიელთა ცეკვები, სალამური და დოლი, ვიუელა და გიტარა, ფრთა-ბუმბულის სამკაულები, მიჩოაკანის ნათელი თვალები, ჩიაპასის თეთრი კბილები; ინდიელთა ნაქარგობანი, ვერაკრუსული სავარცხლები, მისტეკთა ნაწნავები, ცოცილური ქამრები, სანტა-მარიული შალები, პუებლური ჭრელი ჭურჭელი. ხალისკოს მიწა, ოახაკური იასპი, ნანგრევები, გველის, შავი თავის, დიდი ცხვირის, ტაძრები და საკურთხევლები, ფერები და ბარელიეფები, ტორანციტლისა და ტლოკაჩაგუაიის კერპები, უძველესი სახელები, ტეოტიუაკანი და პაპანტლა, ტულა და უშმალი. ყოველივე ეს შენი არსებით დაგაქვს და იგი გთრგუნავს. საფლავის ქვები ერთი ადამიანისთვის მეტისმეტად მძიმეა. ისინი მარადიული და უძრავნი არიან, შენ კი ზურგით დაგაქვს, მათი სიმძიმის ქვეშ იდრიკები; ისინი შენს შიგთავსში შევიდნენ... შენი მიკრობები, შენი ბაცილები, შენი ვირუსები...

შენი მიწა.

შენ გაიფიქრებ, რომ შენეული მიწის ხელმეორედ აღმოჩენა ხდება ამ საომარ

ცვალებადობაში, მთებსა და ტრამალებში გადადგმულ ყოველ ნაბიჯში, რომლებიც გაბედულად წინ აღუგდებიან გზების, ლიანდაგების, ტელეგრაფის ბოძების დაყოვნებულ, მაგრამ შეუკავებელ იერიშს. ბუნებას არ უნდა, რომ დაანაწილონ და ძალა იხმარონ; სიჩუმე და სიმშვიდე სურს. მან ადამიანს რამდენიმე ველი და რამდენიმე მდინარე აჩუქა, რომ იქ დასახლებულიყვნენ - სანაპიროებსა და მდელოებზე. იგი მკაცრ დიასახლისად რჩება ციცაბო და მიუვალ მთებში, უდაბნოებში, ტყეებსა და უდაბურ სანაპიროებში. მისი

მედიდური ძლევამოსილებით მოჯადოებული ადამიანები თვალს ვერ მოსწყვეტენ: თუ არასტუმართმოყვარე ბუნებამ ადამიანს ზურგი აქცია, თვითონ ადამიანმაც აქცია ზურგი თვალუწვდენელ მივიწყებულ ოკეანეს, ცოცხლად ლპება მხურვალე ნაყოფიერ მიწაზე, აღმოჩენილ განძეულთან ერთად იწვის.

შენ მემკვიდრეობით მიიღებ მიწას.

შენ აღარასოდეს ნახავ იმ ადამიანთა სახეებს, რომელთაც სონორასა და ჩიუიუაში იცნობდი. შენ ისინი ნამძინარევებიც, მორჩილებიც გინახავს და გააფთრებულნიც:

ისინი დაუფიქრებლად, სასტიკ ბრძოლაში გადაეშვნენ და თავიანთ მსგავსებს, თავიანთ ძმებს, გადაეხვივნენ, რომლებსაც შემდგომ დააშორეს; ერთმანეთს უთხრეს: „მე აქა ვარ, შენთან, შენთანაც, შენთანაც“, ერთმანეთს გაუწოდეს ხელები, ერთმანეთს მიაპყრეს მზერა, სიყვარული, ძმური სიყვარული, საკუთარი თავის დამფერფლავი, ამას საკუთარ თავს ეტყვი, ვინაიდან შენ გამოცადე ეს სიყვარული. ჰო, გამოცადე, მაგრამ ვერ გაიგე. მხოლოდ მომაკვდავი მიხვდები ყველაფერ ამას და აღიარებ, რომ, თუმცა ვერ გაიგე, მაგრამ დღედაღამ გეშინოდა მისი, მას შემდეგ, რაც სათავეში დადექი. შეგეშინდება, ვაითუ ისევ აბრიალდეს ძმური სიყვარულის სახალხო ხანძარი. ახლა კვდები და ნუ გეშინია, ამის მსგავსს აღარაფერს დაინახავ, მაგრამ ვისაც ამისი ეშინია, იმათ ეტყვი: გეშინოდეთ ნაადრევი მაცდური სიმშვიდისა. გეშინოდეთ მოჩვენებითი თანხმობისა, სიტყვიერების ჯადოსნური ძალისა, დაკანონებული მომხვეჭელობისა; გეშინოდეთ ამ უსამართლობისა, რომელმაც თავად არ უწყის, რასა იქმს.

ისინი შენს მემკვიდრეობას მიიღებენ. შენ მათ მდგომარეობა და შეძლება მიეცი. ისინი მადლიერი იქნებიან სოფლელი ბიჭის, არტემიო კრუსისა, რადგან სწორედ მან გახადა ისინი პატივცემულ ადამიანებად. მადლობას ეტყვიან, სიკვდილამდე მულატის ქოხში

ცხოვრება რომ არ ისურვა. მადლობას ეტყვიან იმისთვის, რომ ცხოვრებასთან შეჭიდების არ შეეშინდა. ისინი, გაგამართლებენ, ვინაიდან უკვე მათ ხელთ არ იქნება შენი გამართლება: ვეღარ შეძლებენ შენსავით ლაპარაკს ბრძოლებსა და მხედართმთავრებზე, მათ ვერ ამოეფარებიან, რათა რევოლუციის სახელით გაამართლონ ძარცვა-გლეჯა და საკუთარი თავი დიადი რევოლუციის სახელით განადიდონ. შენ დაფიქრდები და გაიკვირვებ: რა გამართლებას გამოგინახავენ? როგორ შემოუვლიან დაბრკოლებებს? არა, ამაზე არ დაიწყებენ თავის მტვრევას და სანამ შეძლებენ, დატკბებიან იმით, რასაც შენ დაუტოვებ; ბედნიერი იქნებიან, ხალხს კი დამწუხრებულად და მადლიერად მოაჩვენებენ თავს - ესეც კარგია. შენ კი ჩაწვები მეტრი სისქის მიწის ქვეშ. დაელოდები, სანამ შენს მკვდარ სახესთან ფეხების ბაკუნს გაიგონებ და იტყვი: „დაბრუნდნენ. არ დანებდნენ“, - და გაიღიმებ, დასცინებ მათ, დასცინებ საკუთარ თავს, ეს შენი უპირატესობაა.

ნაღველი გულს დაგიფლეთს, წარსულისათვის ხარკის გადახდა მოგინდება, მაგრამ ამას არ გააკეთებ.

მემკვიდრეობად დატოვებ უსარგებლო სიკვდილებს, მკვდარ სახელებს; იმათ სახელებს, ვინც დაიღუპა, რათა შენი სახელი არ დაღუპულიყო; იმ ადამიანთა

სახელებს, რომელთაც დაკარგეს ყველაფერი, რათა შენს სახელს ჰქონოდა ყველაფერი; ადამიანთა სახელებს, რომლებიც იმიტომ დაივიწყეს, რომ არასოდეს დავიწყებას არ მისცემოდა შენი სახელი.

მემკვიდრეობად დატოვებ ამ ქვეყანას, შენს გაზეთს, ჩურჩულსა და პირფერობას; უღიმღამო კაცუნების ყალბი სიტყვებით მითვლემილ სინდისს; დატოვებ იპოთეკებს, ნუვორიშების კლასს, ხელისუფლების დიდების გარეშე, გაღმერთებულ უგუნურებას, მდაბიურ პატივმოყვარეობას, მოვალეობის მასხრულ ცნებას, ფუჭ ლაქლაქს, ცვლილებების შიშს, წვრილმან ეგოიზმს.

მემკვიდრეობად დატოვებ ქვეყნის ხელმრუდ პოლიტიკანებს, მის ყვითელ პროფკავშირებს, მის ახალ ლატიფუნდიებს, მის ამერიკულ კაპიტალდაბანდებებს, მის ციხეებში გამომწყვდეულ მუშებს, მის გამყიდველებს და დიდ პრესას, მის შავ მუშებს, მის პოლიციელებსა და საიდუმლო აგენტებს, მის უცხოურ ანაბრებს, მის სინდისგარეცხილ მებირჟეებს, მაამებელ დეპუტატებს, მის ხარბ მინისტრებს, მის ელეგანტურ პოლიტიკანობას, მის იუბილეებსა და ღირსშესანიშნავ დღეებს, მის

ტილებსა და მატლიან კვერებს, მის უწიგნურ ინდიელებს, მის უმუშევრებს, მის გაჩეხილ ტყეებს, მის აკვალანგებითა და აქციებით აღჭურვილ ღიპიანებს, მის ბრჭყალებით შეიარაღებულ მშივრებს. დაე, მიიღონ თავიანთი მექსიკა, მიიღონ შენი ანდერძი.

მემკვიდრეობად დატოვებ ადამიანებს, ჩვეულებრივ, უცნობ ადამიანებს; უმომავლო ადამიანებს, ვინაიდან ისინი თავიანთ საქმეს დღეს აკეთებენ, მხოლოდ დღესო, ასე ამბობენ; მხოლოდ აწმყოში არსებობენ, თვითონაც დღევანდელობა არიან. მართალია, ამბობენ: „ხვალ“, მაგრამ ხვალესთან მათ არაფერი ესაქმებათ. შენ იქნები მომავალი. არც გეცოდინება, ისე; შენ დღეს გაქრები. ხვალინდელ დღეზე ფიქრით. ისინი ხვალ იცხოვრებენ მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს ცხოვრობენ.

შენი ხალხი.

შენი სიკვდილი: შენ ის ცხოველი ხარ, რომელიც განჭვრეტს თავის სიკვდილს, უმღერის საკუთარ სიკვდილს, ლაპარაკობს მასზე. ცეკვით ასახიერებს, ხატავს, იგონებს მანამ, ვიდრე მოკვდება.

შენი მიწა.

შენ არ მოკვდები სამუდამოდ.

აი ეს, მთისძირა სოფელი, სადაც სამასიოდე კაცი ცხოვრობს, მაგრამ სახლების სახურავები ძლივსღა ჩანს დამრეც ფერდობებზე მოდებულ ხშირ ბარდებში მთის მწვერვალებიდან სანაპირომდე, სადაც ზღვისკენ მდინარე მიედინება. ტამიაუადოდან კოცალკოატლკოსამდე მწვანე ნახევარმთვარესავით დახლართული დაბლობი ზღვის თეთრ სახეს კაწრავს, ცდილობს - ვაი რომ, ამაოდ - მთების ზედწამომდგარ გვირგვინს გაექცეს და მოცეკვავე ტალღებს შორის მდებარე ტროპიკულ არქიპელაგამდე მიაღწიოს. მექსიკის გრძელ ხელს - გამომშრალს, უცვლელს, სევდიანს, თითქოს თავის ფერდობზე ქვით ნაგები და მტვრიანი მონასტერივით ჩაკეტილს - ვერაკრუსის ხელს, ამ მწვანე ნახევარმთვარეს, სხვა ისტორია აქვს, რაც ოქროს სიმებით არის დაკავშირებული ანტილის კუნძულებთან, ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვასთანაც კი. იქ, სადაც ვულკანების წყება შემაღლებულა და მდუმარე მაგეების შტანდარტები მაღლა მიიწევენ, დაიღუპება სამყარო, რომელიც ტალღებად ეხეთქებოდა ამ ნაპირებს, თან

მოჰქონდა ბოსფორისა და ეგეოსის ყურეების ტკბილი მუსიკა, სირაკუზული, ტუნისური ყურძენი და დელფინები; ანდალუსიიდან და გიბრალტარიდან აღიარების შეძახილები, ჰაიტელი და იამაიკელი პარიკიანი ზანგის ცერემონიული მისალმებები, დაფდაფებიანი მოცეკვავეები, კუბელი კორსარები და კონკისტადორები. შავი მიწა მოქცევის კვალს ინახავს; რკინის მოხატულ აივნებსა და კაფეების კარებზე შორიდან მოსული ტალღები აღიბეჭდება; სოფლის შენობათა თეთრ კოლონებში, სხეულის ვნებიან მოძრაობებსა და ხმის კილოში უცხო ფლუიდები ჩაეწნება. მაგრამ საზღვარი აქ გადის. იქით კი არწივების და ქვის სიმაგრეების მოქურუხებული კვარცხლბეკებია. საზღვარი, რომელსაც არავინ დაარღვევს - არც ესტრამადურელები და არც სევილიელები. ისინი პირველი იერიშისთანავე გამოიფიტნენ, შემდეგ კი დამარცხდნენ, ჯერ კიდევ არა გაეგებოდათ რა ამ ნაკრძალი ფერდობისა, რომელმაც მხოლოდ მოსაჩვენებლად დართო ნება ზედ ფეხი დაედგათ და დაენგრიათ: ბოლოს და ბოლოს შიმშილის მსხვერპლი გახდნენ, შიმშილმა ისინი მტვრის ქანდაკებებად აქცია, შერეკა ზღვის გულცივ ყურეში, რომელმაც ჩაყლაპა ოქრო, ცივილიზაცია და თვითონ მოძალადე კონკისტადორები. ამ საზღვარს ვერ გადალახავენ კორსარები, თავიანთ ბრიგანტინებზე გესლიანი ქირქილით რომ ტვირთავდნენ ინდიელთა მთების

მწვერვალებთან მოპოვებულ ოქროს მონეტებს. ამ საზღვარს ვერ გადალახავენ ბერები, მალინჩეს გადასასვლელი რომ გადმოიარეს, რათა ახალი იერი მიეცათ უძლეველი ღმერთებისათვის, რომელთა ქვის გამოსახულებანი შეიძლებოდა გაენადგურებინათ, მაგრამ ისინი თვით ჰაერში განაგრძობდნენ სიცოცხლეს. ამ საზღვარს ვერ გადალახავენ ტროპიკულ პლანტაციებში მორეკილი ზანგები, ვისთანაც სარეცელს იზიარებდნენ, თმახუჭუჭა რასაზე გამარჯვებას ზეიმობდნენ ყოჩაღი ინდიელი ქალები. ამ საზღვარს ვერ გადალახავენ სამეფოაფრიანი გემებიდან გადმოსული პრინცები, აქაური მსხმოიარე ხეხილისა და აბუსალათინის საოცარი სანახაობით მოჯადოებულები, მაქმანებით

მორთულ-მოკაზმული, ლავანდანაპკურები ამალით დაკბილულ ფერდობზე რომ ადიოდნენ. ამ საზღვარს სამკუთხა ქუდებსა და ეპოლეტებიან მუნდირებში გამოწყობილი კასიკებიც კი ვერ გადალახავენ, ისინიც დამარცხდნენ იდუმალად გარინდებულ ფერდობზე, ისინი დაამარცხა ზიზღმა, განდგომამ, ყრუ დაცინვამ და სრულმა გულგრილობამ. შენ ის ბავშვი იქნები, ვინც ამ მიწაზე მოევლინება ქვეყნიერებას, ამ მიწას შეხვდება მისი წიაღიდან ამოსული და თავის ხვედრს განისაზღვრავს - ასეთი იქნება ახლაც, როცა სიკვდილი დაბადებასა და ბედ-იღბალს ათანასწორებს და მიუხედავად ყველაფრისა, მათ შორის თავისუფლების სიმს აბამს.

* * *

1903 წლის 18 იანვარი

ის მულატ ლუნეროს შეძახილმა გამოაღვიძა: „ოჰ, შე ლოთო, ოჰ, შე ლოთო...“ მამლებმა ტროპიკული დილის გათენება აუწყეს ქვეყნიერებას. ეს ჯმუხი და ლამაზი ფრინველები სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინ ასიენდეს სიამაყეს წარმოადგენდნენ, მთელი ოლქის მბრძანებლის მოჩხუბარ მამლებს უწევდნენ მეტოქეობას, ახლა კი თავიანთი კორალები[69] დაკარგეს და ველური სელვის მონებად იქცნენ. ღამე დასრულდა სენიორ პედრიტოსთვისაც, რომელიც ისევ მარტოდმარტო ქეიფობდა ძველი, მიტოვებული სახლის ფერად-ფერადი ქვებით მოგებულ აივანზე. მთვრალის ყვირილმა პალმისსახურავიან ქოხში ადვილად შეაღწია. ალიონზე ამდგარი ლუნერო მიწის იატაკს წყალს ასხურებდა, მუჭით იღებდა სხვა მხრიდან ჩამოტანილი თასიდან, რომელზეც ლაქით მოხატული ფარშავანგები და ყვავილები, ალბათ, ოდესღაც ცისარტყელას ყველა ფერით ელვარებდა. ლუნერომ მაყალი აანთო გუშინდელი სადილის ნარჩენი თევზი-ჩარალის შესაცხელებლად, შემდეგ თვალებმოწკურულმა

ბანანებიან კალათში ხელები მოაფათურა და გაშავებული ნაყოფები ამოარჩია - უნდა შეჭამოს მანამ, ვიდრე გადამწიფდება, დასკდება და მატლები გაუჩნდება. ცოტა ხნის შემდეგ, როცა გახურებული ტაფიდან ავარდნილმა ბუღმა ბიჭი მთლიანად გამოაფხიზლა, ლოთის ჩახლეჩილი ბურდღუნი შეწყდა. გაისმა მთვრალის არეული ნაბიჯების ხმა, ბოლოს, კარის შორეულმა ჯახუნმაც მოაღწია. ეს იყო ხანგრძლივი უძილო დილის შესავალი. დონ პედრიტო გავალაკიან, ქინქლების საწინააღმდეგო ბადით შემობურულ წითელ ხის საწოლზე დაეხეთქა. ცხვირი შიშველ, ჭრელ ლეიბში ჩარგო - სასოწარკვეთილი იყო, სპირტიანი სასმელები გასთავებოდა. ლუნერო ხუჭუჭა თავზე ხელს უსვამდა ცეცხლთან მისულ ბიჭს, რომლის დაჭაბუკებასაც ვეღარ მალავდა მოკლე ხალათი და თან იგონებდა, რომ უწინ, როდესაც დიდი მიწები ჰქონდათ, ქოხები სახლისგან მოშორებით იდგა და არავინ იცოდა, რა ხდებოდა იქ. ზორზოხა მზარეული ქალებისა და მეტისი გოგონების ლაპარაკი, გამალებით რომ გვიდნენ და ხალათებს ახამებდნენ, თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე მზეზე გარუჯულ მამაკაცებამდე ვერ აღწევდა. ახლა კი ყველაფერი ხელისგულზეა გადაშლილი. განსვენებული ბატონის მევახშეებისა და პოლიტიკური მტრებისგან გაპარტახებული ასიენდესგან ჩამსხვრეულფანჯრებიანი სახლი და ლუნეროს ქოხიღა დარჩა. უწინდელ მსახურთაგან

ახლა ერთი გამწლეული ბარაკოა დარჩენილიყო, ჯერ კიდევ რომ უვლიდა შორეულ, ცისფერ ოთახში გამოკეტილ მოხუც ქალბატონს. ქოხში კი ლუნერო და პატარა ბიჭი ცხოვრობდნენ, ეს ორად ორი მოჯამაგირე.

მულატი დატკეპნილ იატაკზე დაჯდა და ნაწილი შემწვარი თევზისა თიხის ჯამზე გადმოიღო, ნაწილი კი ტაფაზე დატოვა. შემდეგ ბიჭს მანგო მისცა, ბიჭმა

კი ბანანი გაუფცქვნა. ორივე მდუმარედ ჭამდა. როდესაც ღადარი სულ მიინავლა, გამოჩნდა შესასვლელი - დიდი ხვრელი, კარი, ფანჯარა, მაწანწალა ძაღლების ზღურბლი, წითელი ჭიანჭველების მიჯნა, რადგან ვერ ბედავდნენ კირით გავლებული ხაზის გადმოლახვას - ხვრელი, ხვიარა მცენარეების მძიმე, მწვანე ფოთლებით დაბურული, რომლებიც რამდენიმე წლის წინ ლუნერომ დარგო ნაცრისფერი, თიხატკეპნილი კედლების დასაფარად, რათა ქოხი ყვავილების ღამეული სურნელებით გაჟღენთილიყო. ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ მულატიც და ბიჭიც ერთნაირ სიხარულს განიცდიდნენ იმის გამო, რომ ერთად იყვნენ, სიხარულს, რასაც ხანდახან იშვიათი ღიმილით თუ გამოხატავდნენ, ვინაიდან აქ იმისათვის კი არ ცხოვრობდნენ, რომ ესაუბრათ ან გაეღიმათ. ცხოვრობდნენ, რომ ერთად ეჭამათ და

ესვათ, ერთად გამოსულიყვნენ სახლიდან ყოველ დილით - ერთთავად მშვიდ, მაგრამ სულის შემხუთველი ნესტით გაჟღენთილ ალიონზე - და ერთად ემუშავათ და ეცხოვრათ დღიდან დღემდე, შაბათობით ევლოთ დედაბრის საჭმლისა და დონ პედრიტოსთვის ბოთლების მოსატანად, ნაყიდები ყოველთვის ინდიელი ბაროკასთვის გადაეცათ. კარგი რამ იყო ის სქელი, ცისფერი ბოთლები, სიცხისგან ოსოკის წნულით დაცული, ტყავის სახელურებიანი - ბუთხუზამუცლებიანი და მოკლე, ვიწროყელიანი. სენიორ პედრიტო ბოთლებს კარის ზღრუბლთან ყრიდა, ხოლო ლუნერო თვეში ერთხელ მთისძირა სოფელში მიდიოდა და გრძელი მხარიხეთი, იმით, აისენდეში ვედროებს რომ ეზიდებოდა, წნული ბოთლები მოჰქონდა; სიმძიმისაგან წელში იდრიკებოდა. ეზიდებოდა საკუთარი მხრებით, ვინაიდან ბებერი ვირი დიდი ხანია მოკვდა. ახლომახლო ეს ერთადერთი მთისძირა სოფელი იყო. მასში სამასიოდე კაცი ცხოვრობდა, მაგრამ სახლების სახურავები ძლივსღა ჩანდა დამრეც ფერდობებს მოდებულ ხშირ ბარდებში მთის მწვერვალიდან სანაპირომდე, სადაც ზღვისკენ მდინარე მიედინება.

ბიჭი ქოხიდან გამოვიდა და ფერდობისკენ გაიქცა, გვიმრნარში გარბოდა, რომელიც

ნაცრისფერ, ნაზ მანგოს ხეებს ერტყა ირგვლივ. ნესტიანმა ბილიკმა, რომელსაც წითელი ყვავილები თუ ყვითელნაყოფიანი ხეები წამოხურვოდა და რომლის მიღმაც ცა აღარ ჩანდა, სანაპიროსთან გაიყვანა. იქ მდინარე ფართოვდებოდა, მაგრამ მაინც ბობოქრობდა, ლუნერო უკვე მაჩეტეს აქნევდა და სამუშაო ადგილს წმენდდა. გრძელხელა მულატმა მიტკლის შარვალზე ქამარი მაგრად შემოიჭირა, შარვალი ქვემოთ განიერდებოდა, თითქოს ძველებურ, მეზღვაურულ მოდაზე. ბიჭმა მოკლე, ლურჯი შარვალი ჩაიცვა, მთელი ღამე აქ, დაჟანგულ რკინის რგოლზე მიგდებულს, ქარი რომ აშრობდა. ამ რგოლს მიუახლოვდა ახლა ლუნერო. მანგოს ქერქის გასწორებული და გათლილი ნაჭრები წყალში იყო ჩაწყობილი. მუხლებამდე წებოვან შლამში ჩამდგარმა ლუნერომ მიმოიხედა. აქ, სულ ახლოს ზღვასთან, მდინარე გალაღებულიყო, გვიმრებსა და ბანანის დაბალ

ფოთლებს ეალერსებოდა. გადაბარდული სიმწვანე ცაზე მაღალი ჩანდა, ვინაიდან ცა იყო სწორი, დაბალი, მოკიაფე. ყოველ მათგანს თავისი საქმე ჰქონდა. ლუნერომ ზუმფარა აიღო და ქერქის წმენდა დაიწყო - დაძაბულობისაგან კანქვეშა კუნთები აუმოძრავდა. ბიჭმა კოჭლი, ნახევრად დამპალი ტაბურეტი რკინის რგოლის შუაში, დაფაზე დაამაგრა. რგოლის ათი ვიწრო ნახვრეტიდან თოკის პატრუქები იყო გადმოკიდებული. ბიჭმა რგოლი

დაატრიალა და ქვაბის ქვეშ ცეცხლი დაანთო; სქელი სურნელოვანი ცვილი რომ გადნა და აბუყბუყდა, დატრიალებული რგოლის ნახვრეტებში ჩაასხა.

- მალე მირქმის დღესასწაულია, - თქვა ლუნერომ, კბილებში სამი ლურსმანი რომ ჰქონდა გაჩრილი.

- როდის? - მწვანე თვალები აუკიაფდა...

- ორ რიცხვში, კრუს, ჩემო ბიჭუნავ, ორ რიცხვში. მაშინ კარგად გასაღდება სანთელი; მარტო მეზობლებს კი არ მივყიდი, მთელ ოლქს. იციან, ჩვენს სანთელზე უკეთესი რომ არ არსებობს.

- მახსოვს. როგორც შარშან იყო.

გავარვარებული ცვილი ხანდახან შხეფებს ისროდა. ბიჭს ბარძაყები პაწაწინა ნაიარევებით ჰქონდა მოფენილი.

- ამ დღეს ვირზაზუნა თავის ჩრდილს დაეძებს.

- შენ რა იცი?

- ასე ამბობენ. აქ კი არა - შორს.

ლუნერო გაჩერდა და ჩაქუჩს დასწვდა, მუქი შუბლი ნაოჭებმა დაუფარა.

- კრუს, ბიჭუნავ, შეძლებ კანოეს გაკეთებას თუ ვერა?

ბიჭის სახე ფართო, თეთრკბილა ღიმილმა გაანათა. მდინარისა და სველი გვიმრის მომწვანო ანარეკლზე მისი კანი უფრო ნათელი ჩანდა, სახის ნაკვთები - უფრო მკვეთრი. მდინარის წყლისგან გადასლექილი თმა მაღალ შუბლსა და მუქ ქეჩოზე ჯიუტად ხუჭუჭდებოდა - მზის სინათლეზე სპილენძისფერი გადაჰკრავდა, ძირებთან კი შავი იყო, უმწიფარი ხილივით ყვითელი, გამხდარი ხელები და მაგარი მკერდი ჰქონდა. შლამიანი ფსკერისა და ჭაობიანი ნაპირების სიგრილით გამოცოცხლებული, სულ ახლახან დინების საპირისპიროდ ცურავდა მდინარეში.

- როგორ არ შემიძლია. ხომ ვნახე, როგორ აკეთებდი.

მულატმა ისევ დახარა თვალები, როგორც ყოველთვის მშვიდი, მაგრამ გაფაციცებული.

- ლუნერო რომ წავიდეს, შეძლებ ყველაფერი გააკეთო, რაც საჭიროა?

ბიჭმა რკინის რგოლი გააჩერა.

- ლუნერო რომ წავიდეს?

- წასვლამ რომ მოუწიოს.

„ოჰ, არ იყო საჭირო, არაფერი არ უნდა მეთქვა“, - გაიფიქრა მულატმა. არ ეთქვა არაფერი, ისე წასულიყო, როგორც მისი ტომის კაცები წავიდნენ - სიტყვის უთქმელად, - ვინაიდან ლუნერომ იცის, რა არის ბედისწერა, იგი ამ ბედისწერას ემორჩილება და გრძნობს, რომ არსებობს უამრავი მოსაზრება და მოგონება, რაც მიჯნავს, გამოყოფს მის ცოდნას, ბედისწერისადმი მის ამ მორჩილებას სხვა ადამიანების ცოდნისაგან, ვინც ბედისწერის კარნახს გამორიცხავს. ვინ-ვინ და ლუნერომ იცის, რა არის სამშობლოს სევდა და ხანგრძლივი ხეტიალი. მულატი ხვდებოდა, რომ არაფერი არ უნდა ეთქვა,

მაგრამ ხედავდა, როგორი ცნობისმოყვარეობით უყურებდა ბიჭი - გუშინ მათ ქოხში მოსულ ვიწრო და ოფლით გაპოხილ სერთუკში გამოწყობილ კაცს.

- შენ შეგიძლია ბევრი სანთელი დაამზადო და მირქმის დღესასწაულზე სოფელში გაყიდო. თვეში ერთხელ ცარიელი ბოთლები წაიღო და სენიორ პედრიტოს კართან ლიქიორი დააწყო... შეგიძლია კანოე გააკეთო და სამ თვეში ერთხელ მდინარის გაყოლებით დააცურო... შეგიძლია ბარაკოას ფული მისცე და ერთი მონეტა შენთვისაც დაიტოვო, შეგიძლია თევზი დაიჭირო აი, იქ.

მდინარესთან ტყის კაფვის ხმა მიწყნარდა. დადუმდა ჩაქუჩი, მულატის ხელში თანაბრად რომ კაკუნობდა, შეწყდა ჟანგიანი ბორბლის ჭრიალი. ატეხილი ჭალების მარწუხში მოქცეული მდინარე ღრიალით მიექანებოდა, ატრიალებდა ღამის ქარიშხლით ამოგლეჯილ ხეებს, მთის მდელოების ბალახის გორგლებს, ნარჩენებს. მიფარფატებდნენ შავი და ყვითელი პეპლები - ისინიც იქით, ზღვისკენ. ბიჭი ადგილზე გაშეშდა და მულატს დახრილ თვალებში მიაჩერდა.

- შენ მიდიხარ?

- შენ არ იცი უწინდელი ამბები. ოდესღაც ეს მიწა ჩვენს ბატონებს ეკუთვნოდათ. შემდეგ ყველაფერი დაიკარგა. მოხუცი სენიორი გარდაიცვალა. სენიორ ათანასიოს ზურგში დანა ჩასცეს და ყველაფერი გავერანდა, ან სხვის ხელში გადავიდა. ერთი მეღა დავრჩი და თოთხმეტი წელი არავის მოუკითხავს. მაგრამ ჩემი დროც ხომ უნდა დამდგარიყო.

ლუნერო გაჩუმდა, რადგან აღარ იცოდა, მეტი რა ეთქვა. წყალზე მოლიცლიცე ვერცხლისფერი ათინათი მზერას სტაცებდა, მკლავები სამუშაოს სთხოვდნენ. ცამეტი წლის წინ, როდესაც ჩვილი ჩააბარეს, მულატს უნდოდა ბავშვი მდინარისთვის გაეტანებინა, პეპლების იმედად, - როგორც თეთრმა მეფემ გააკეთა თეთრი ადამიანების ლეგენდებში, - და დალოდებოდა, ვიდრე ძლიერი და ყოვლისშემძლე დაბრუნდებოდა. მაგრამ მებატონე ათანასიოს სიკვდილმა საშუალება მისცა ბავშვი თავისთან დაეტოვებინა, გულცივი და უსიცოცხლო

სენიორ პედრიტოს რისხვის უკვე აღარ ეშინოდა, არც დედაბრის რისხვა ჰგვრიდა შიშს, რომელიც გამოკეტილიყო მაქმანისფარდებიან და შანდლებიან ცისფერ ოთახში, მეხის გავარდნაზე რომ წკარუნობდნენ. დედაბერი ვერასოდეს გაიგებდა, რომ თავისი დაგმანული სიგიჟის

გვერდით ბიჭი იზრდებოდა. დიახ, პატრონი ათანასიო დროულად მოკვდა, თორემ ბიჭს არ დაინდობდა, მოაკვლევინებდა. ლუნერომ კი გადაარჩინა. თამბაქოს უკანასკნელი ნათესები ახალი კასიკის ხელში გადავიდა, ადრინდელ პატრონებს კი მხოლოდ ეს სანაპირო, ეკალბარდით დაფარული გაუვალი ჭაობები და ძველი სახლი - ეს ცარიელი, დახეთქილი ქოთანიღა შერჩათ. ლუნეროს თვალწინ ყველა მოჯამაგირე ახალი სენიორის მიწებზე გადავიდა, და იქიდან, მთებიდან ახალი ადამიანები მოიყვანეს ახალ პლანტაციებზე სამუშაოდ. გარშემომდებარე სოფლებიდან და დასახლებებიდანაც ძალით ერეკებოდნენ მამაკაცებს, ამიტომაც მოხდა, რომ ლუნერომ სანთლების ჩამოქნა და კანოეების გაკეთება დაიწყო, რაღაც სახსარი რომ გაეჩინა საკუთარი თავისა და პატრონების გამოსაკვებად. მას სჯეროდა, რომ ამ უნაყოფო მიწის ნაგლეჯიდან - სულ ერთი გოჯი მიწიდან მდინარესა და დანგრეულ სახლს შუა რომ თავსდებოდა, არავინ გააგდებდა, ვერც ვერავინ დაინახავდა ამ გაუვალ უღრანში მას და ბიჭს. თოთხმეტი წელი გავიდა, სანამ კასიკმა მისი არსებობა შეიტყო - არაერთხელ გადაცხრილეს ეს ადგილები და აი, თივის ზვინში ჩამალულ უკანასკნელ ნემსს მიაგნეს, ამიტომ იყო, გუშინ კასიკის მუშათა დამქირავებელი რომ გამოეცხადა და თავის შავ სერთუკში გამოწკეპილმა საფეთქლებიდან ჩამომდინარე ოფლის წმენდით უბრძანა,

ხვალვე - ესე იგი, უკვე დღეს - შტატის სამხრეთით სენიორის ასიენდეში მისულიყო: იქ თამბაქოს პლანტაციებში მუშები აკლიათ, ლუნერო კი აქ დამჯდარა და ღიპს იდებს, ლოთსა და ჭკუანაკლულ დედაბერს დარაჯობს. ლუნერომ აღარ იცოდა, როგორ გაემხილა ეს ყველაფერი პატარა კრუსისთვის, რომელიც, ალბათ, ვერც ვერაფერს მიხვდებოდა - ბავშვმა ხომ მხოლოდ მდინარის პირას თავისი სამუშაო იცის, უზმოზე მდინარის გრილ წყალში ბანაობა და ზღვის სანაპიროზე სიარული, სადაც მოლუსკებითა და კიბორჩხალებით ასაჩუქრებდნენ. ზოგჯერ მახლობელ სოფელში, ინდიელებთანაც დადიოდა, თუმცა იქ არავინ ელაპარაკებოდა. სიმართლე რომ ითქვას, მულატს ეშინოდა, თუ ძველი ამბის ძაფს გამოსწევდნენ, მთელი ნაქსოვი დაირღვეოდა და იძულებული გახდებოდა, დასაწყისს დაჰბრუნებოდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბიჭი დაეკარგა. მაგრამ ბიჭი მისთვის ძვირფასი იყო - დიახ, ასე ფიქრობდა გრძელხელება მულატი, პემზით ქერქს რომ ხეხავდა. ო, რა ძვირფასი იყო, მას შემდეგ, რაც მისი ღვიძლი და ისაბელ კრუსი აქედან ჯოხის ცემით გააგდეს და ბიჭი მას მისცეს; თავის ქოხში ლუნერომ ჩვილი ძველი პატრონის დიდი ფარიდან შემორჩენილი ბებერი თხის რძით გამოკვება, მერე ნამიან ქვიშაზე პატარას ასოებს უხატავდა, რომელიც ბავშვობაში, ვერაკრუსში ფრანგებთან მუშაობის დროს შეისწავლა, ასწავლიდა ცურვას,

ნაყოფთა ცნობას, მაჩეტეს ხმარებას, სანთლის ჩამოქნას, სიმღერებს, რომლებიც ლუნეროს მამამ სანტიაგო-დე-კუბიდან ჩამოიტანა, როცა ომი დაიწყო და ფრანგთა ოჯახები მსახურებიანად ვერაკრუსში გადასახლდნენ. აი, ის, რაც ლუნეროს უნდა სცოდნოდა ბიჭზე, მართლაც, მეტი არც არაფრის ცოდნა იყო საჭირო, გარდა იმისა, რომ ბიჭსაც უყვარდა ლუნერო და უმისოდ სიცოცხლე არ შეეძლო. მაგრამ სულ სხვა სამყაროს ეს აჩრდილები სენიორი პედრიტო, ინდიელი ბარაკოა, მოხუცი ქალბატონი - მათ დანას უღერებენ, მათი დაშორება სწადიათ. ისინი ხომ უცხოები არიან, სულ არაფერში რომ არ არგიან მათ. ასე ფიქრობდა ბიჭი და ასე ესმოდა ცხოვრება.

- იცოდე, ეს სანთლები ცოტა იქნება, მღვდელი შემოგვაგინებს, - უთხრა ლუნერომ.

ლუნერო წყალში შევიდა; ბადე თითქმის მდინარის შუაგულში იყო გაჭიმული. მულატმა ჩაყვინთა, წამიც და, წყლიდან თავი ამოყო: ხელში ბადე ეჭირა. ბიჭმა შარვალი ჩაიძრო და ისიც წყალში გადახტა. როგორც არასდროს, მთელი სხეულით შეიგრძნო წყლის სიგრილე; თავი წყალში ჩაყო და თვალები გაახილა. შლამიან მწვანე ფსკერზე გამჭვირვალე ნაკადები გადადიოდა. შემდეგ ზურგზე გადაბრუნდა და

წყალმა საათის ისარივით დაატრიალა: აგერ იქ, უკან, სახლი მოჩანს, რომელშიც ცამეტი წელია, არასოდეს შესულა; იქ ცხოვრობს ის კაცი, რომელიც მხოლოდ შორიდან დაუნახავს, და ის ქალი, რომელსაც მხოლოდ სახელით იცნობს. წყლიდან თავი ამოყო. ლუნერო უკვე თევზს წვავდა და დანით პაპაიას ფხეკდა.

ნაშუადღევს მზის მცხუნვარე სხივებმა მწვანე ტროპიკული სახურავი გაკვეთეს და მიწას დააცხრნენ. ეს იყო გარინდებული ფოთლების საათი, როცა თითქოს მდინარეც ჩერდება. ბიჭი შიშველი გაიშოტა ეულად მდგარი პალმის ქვეშ. მზის სხივების მცხუნვარებას დაემალა, რომლებიც ნელ-ნელა ხისა და ფოთლების ჩრდილებს ავიწროებდნენ. მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, თუმცა მისი ირიბი სხივები ნელ-ნელა მიადგა ბიჭის ტანს - ხის ქვეშ წამოწოლილს ჯერ ტერფები გაუნათა, შემდეგ სხივები დაეფრქვა გაშლილ ფეხებს, მიძინებულ ასოს, ბრტყელ მუცელს, ჯიუტ ნიკაპს, ცხვირისკენ გაჭიმულ ორი ნაოჭის ხაზს, მკვრივ ღაწვებს, ქუთუთოებს, სიესტის ამ მყუდრო ჟამს თვალებს რომ გადაჰფარებოდა. ბიჭს ეძინა, ლუნერო კი იქვე ახლოს მუცელზე გაწოლილი, შავ ქვაბს თითებს უკაკუნებდა. რიტმი აჯადოებდა. თითქოს დაღლილი სხეული იმ ხელივით დასძაბვოდა, ძველ ჭურჭელზე რიტმულად რომ

აკაკუნებდა. რაკარუკი აჩქარდა, მეხსიერებას აფორიაქებდა და მულატმა, როგორც მუდამ ასეთ დროს, სიმღერა წამოიწყო, ბავშვობის დროინდელი სიმღერა, იმ დროის სიმღერა, რომელმაც ჩაიარა, როდესაც მისი წინაპრები სებიოს ქვეშ მაღალ, ზანზალაკებიან გვირგვინს იდგამდნენ და მკერდს არყით იზელდნენ. ის კაცი კი სავარძელში იჯდა, თავზე თეთრი თავსაფარი ეფარა; ყველა სიმინდისა და ფორთოხლის არაყს შეექცეოდა, სვამდნენ ძირის

გამოჩენამდე, სადაც შავი შაქარი რჩებოდა. ბავშვებს ამუნათებდნენ, ღამღამობით არ ესტვინათ:

იეიეს ქალიშვილს

ჭაბუკი მოსწონს... რომელსაც უყვარს ცოლი...

იეიეს ქალიშვილს მოსწონს ჭაბუკი, რომელსაც უყვარს ცოლი,

იეიეს ქალიშვილს მოსწონს, ჭაბუკს რომ უყვარს ცოლი...

რიტმმა მონუსხა. მულატმა ხელები გაშალა, ხელისგულები ნოტიო მიწას დააჭირა და

თითები აარაკუნა, ბინძურ მიწას მუცელს უხახუნებდა, ბედნიერი ღიმილი კი ლოყებსა და განიერ ღაწვებზე გადაჰფენოდა: „იეიეს ქალიშვილს მოსწონს, ჭაბუკს რომ უყვარს ცოლი...“ შუადღის მზე თითქოს გამდნარ ტყვიას აღვრიდა მის მრგვალ, ხუჭუჭა თავს, მაგრამ ლუნეროს წამოდგომა არ შეეძლო - ოფლი ჩამოსდიოდა შუბლზე, ნეკნებზე, ბარძაყებზე; საწესჩვეულებო სიმღერა თანდათან ილეოდა, იკარგებოდა. რაც უფრო სუსტდებოდა მისი ხმა, უფრო ძლიერად შეიგრძობდა მიწას, უფრო მჭიდროდ ეკვროდა, თითქოს მისი დაუფლება ეწადა. „იეიეს ქალიშვილს...“ მულატს ნეტარება გარდმოევლინა, თავდავიწყებას მიეცა - ლუნერო აღარ ფიქრობდა შავსერთუკიან კაცზე, რომელიც დღეს ძალიან მალე მოვიდოდა; იგი, დაწოლილი, მთლიანად სიმღერასა და ცეკვას შთაენთქა, კუბელთა ტუმბუს რომ აგონებდა, და იმ ქალებს, რომლებიც ამ გადამწვარი კარ-მიდამოს ტყვეობაში გადაავიწყდა.

იქ, უკან, ხშირი ბარდნარი და ის სახლია, ბიჭს სიზმარში რომ ელანდებოდა, მზისგან ნანანავები სახლი. ეს კედლები მაშინ გადაწვეს, როდესაც ლიბერალებმა ჩაიარეს, მაქსიმილიანის[70] სიკვდილის შემდეგ იმპერიის საწინააღმდეგო ლაშქრობას რომ ამთავრებდნენ. აქ შეხვდნენ ოჯახს, რომელმაც სახლის ოთახები მარშალს დაუთმო,

ფრანგების მეთაურს, ხოლო თავისი სარდაფები კონსერვატორთა ჯარებს. კოკუიას ასიენდეში ნაპოლეონ მესამის ჯარისკაცებმა სურსათი მოიმარაგეს - ჯორები დატვირთეს აპოხტით, ლობიოთი და თუთუნით. სანამ ხუარისტებზე მიიტანდნენ იერიშს მთებში, საიდანაც უკანდახეული რაზმები თავს ესხმოდნენ მინდვრებსა და ვერაკრუსის პროვინციის ქალაქების ციხესიმაგრეებში დაბანაკებულ ფრანგებს. ასიენდეს მახლობლად ზუავები გიუელასა და არაფაზე დამკვრელებსა და მომღერლებს პოულობდნენ. „ბალახუ ომში წავიდა და თან წაგიყვანა“. ღამეებს მხიარულად ატარებდნენ ინდიელ და მულატ ქალებთან, რომლებიც შემდეგ ქერა მეტისებს, ღიაფერისთვალება შავგვრემან მულატებს ბადებდნენ და გარდუნიოს ან ალვარესს არქმევდნენ დიუბუასა ან გარნიეს ნაცვლად. დიახ, სწორედ ამ სიცხისგან გათანგულ შუადღის საათებში მოხუც ლუდივინიას - სამუდამოდ რომ გამოიმწყვდია თავი უცნაურშანდლებიან საწოლ ოთახში: ორი შანდალი შეთეთრებული ჭერიდან ეშვება, ერთიც კუთხეში

მოჩუქურთმებულ ხის საწოლთან დგას, ხოლო ფანჯრებზე მაქმანის გაყვითლებული ფარდები ჰკიდია, - მარაოთი უნიავებს ინდიელი ქალი ბარაკოა. მასაც ასიენდეს ყველა მულატის წაბაძვით ეს ზანგური სახელი დაარქვეს, სულაც რომ არ ესადაგებოდა მის არწივისებურ პროფილსა და მბზინავ ნაწნავებს -

თვალდახუჭული მოხუცი ლუდივინია ერთი წყეული სიმღერის სიტყვებს დუდუნებს. ეს სიმღერა მას, კაცმა რომ თქვას, უკვე დაავიწყდა კიდეც, მაგრამ უნდა, როგორმე გაიხსენოს, ვინაიდან სიმღერაში გენერალ ხუან ნეპომუსენო ალმონტეს დასცინიან, რომელიც თავდაპირველად მისი ოჯახის მეგობარი, განსვენებული ირენეო მენჩაკას, მისი, ლუდივინიას ქმრის ნათლია იყო, და გენერალ სანტა-ანას ამალაში შედიოდა. შემდეგ კი, როცა მექსიკის ამ მხსნელმა და მენჩაკას ოჯახის დიდმა მფარველმა დევნილობიდან დაბრუნება მოიწადინა და დიზენტერიის შეტევას გადარჩენილი გემიდან ნაპირზე სწორედ აქ გადმოვიდა, ნეპომუსენო ალმონტემ უარი თქვა თავის ოდინდელ ლოიალობაზე, ფრანგებს სანტა-ანას დაჭერასა და გემზე მის დაბრუნებაში დაეხმარა: „ნეპომუსენო წმინდა ხუანი - ნაგავია და რეგვენი“. ლუდივინია იხსენებს ხუან ნეპომუსენო ალმონტეს შავგვრემან სახეს, რომელიც მღვდელ მორალესის ათასობით სიძვის დიაცთაგან ერთ-ერთის შვილი იყო - და ამ გახსენებაზე ჩავარდნილ, უკბილო პირს ღრეცს. იხსენებს ხუარისტების ამ სამგზის წყეული სიმღერის ორაზროვან ფრაზას, სადაც უსაზღვროდ არის დამცირებული გენერალი სანტა-ანა: „როგორ გამხიარულდებოდა, უცბად ბანდიტები რომ დაგსხმოდნენ თავს, შენი მტრედი მოეტაცათ და ნიფხავი ჩაეხადათ...“ - ლუდივინიამ სიცილით ჩაიკაკანა და

ხელი შეარხია, მარაო უფრო ჩქარა მომინიავეო. კირით შეთეთრებული ეს უხალისო საძინებელი თითქოს გრილიც კი მოგეჩვენებოდათ, მაგრამ შიგ დახუთულ, ცხელ ტროპიკულ ჰაერს შმორის სუნი ასდიოდა. კედლებზე სინესტის ლაქები დედაბერს სიამოვნებდა, სხვა ჰავას, სხვა ადგილებს ახსენებდა, სადაც მისმა ახალგაზრდობამ განვლო, ვიდრე ცოლად გაჰყვებოდა ლეიტენანტ ირენეო მენჩაკას და თავის ცხოვრებასა და ბედს გენერალ ანტონიო ლოპეს დე სანტა-ანას დაუკავშირებდა, რომელმაც მდინარისპირა მოსავლიანი შავი მიწები, მთისძირა და ზღვისპირა უდიდესი ნაკვეთები უბოძა: „უამინდობა მოვიდა საფრანგეთიდან, ავდარი და უამინდობა... ბენიტო ხუარესი გარდაიცვალა... ხოლო მასთან ერთად დასამარდა თავისუფლება“. ამ სიტყვებზე მოხუცს სახე უკმაყოფილოდ დაეჭყანა, თითქოს შეპუდრულ ათას ფუფხად დაეშალა და იმავე დროს მთლიანი დარჩა ცისფერი ძარღვების ბადის ქვეშ. ლუდივინიას აცახცახებულმა, გამხმარმა ხელმა ბარაკოა დაითხოვა, შავი აბრეშუმის სახელოები და მაქმანის გაცრეცილი სამაჯურები შეარხია. შუშა და მაქმანი, მაგრამ განა მხოლოდ ეს იყო ამ ოთახში. გაპრიალებული ალვის ხის გრეხილი მაგიდები, მარმარილოს მძიმე ფილებით გადახურული, რომლებზეც მინისხუფიანი საათები იდგა; აგურის იატაკზე სამუდამოდ გაშეშებული,

შალითებგადაკრული, წნული საქანელები; ლომბერის მაგიდები, სპილენძის ლურსმნები, რკინით შემოჭედილი სკივრები, უცნობი კრეოლების ოვალური პორტრეტები - სწორი, გამოწკეპილი, ფუმფულაბაკენბარდებიანი კაცები და მაღალმკერდიანი, თმაში სავარცხელჩაბნეული ქალები; წმინდანთათვის თუნუქის სადგამები; ძველი გაქუცული ოქრომკედისგან თითქმის გაცლილი გობელენი, ატოჩის წმინდა ყრმის გამოსახულებით. ჩუქურთმებიანი ფეხებითა და მოვერცხლილი გავალაკით დამშვენებული საწოლი - უსიცოცხლო სხეულის განსასვენებელი, ჭუჭყიანი ზეწრებისა და ნახევებში თივაგამოჩრილი, დატკეპნილი ლეიბების ბუდე.

ხანძარმა ეს სავანე დაინდო. დაინდო დაკარგული მიწებისა და ჩასაფრებით მოკლული შვილის, მულატის ქოხში დაბადებული ბავშვის ამბავიც. ამბავს შეეძლო დაენდო იგი, მაგრამ ინტუიციას არა.

- ინდიელო, დოქით წყალი მომიტანე.

დაიცადა, სანამ ბარაკოა წავიდოდა, შემდეგ კი თავისივე დადგენილი წესები დაარღვია, ფარდები გადასწია და წარბები შეყარა. ცდილობდა გაერჩია, რა ხდებოდა

გარეთ. იგი დღენიადაგ ხედავდა, აკვირდებოდა, როგორ იზრდებოდა ეს უცნობი ბიჭი; ჩუმად უთვალთვალებდა ფანჯრიდან, მაქმანის ფარდიდან. იგი ცნობდა ამ მწვანე თვალებს და სიამოვნებისგან აკაკანდებოდა ხოლმე, რადგან ამ ნორჩ სხეულში თვითონ იყო განსახიერებული, თვითონ იგი, ქალი, რომელიც თავის ტვინში მთელი საუკუნის ხსოვნას ინახავდა, თავის სახის ნაოჭებში - უწინდელი მზის, უწინდელი ცის, უწინდელი მიწის ელვარებას, მან გაძლო, გადარჩა, ძალიან კი გაუჭირდა ფანჯარასთან მისვლა; თითქოს ოთხზე მიცოცდა იატაკს დაჩერებული, ხელებით მუხლებს ეყრდნობოდა. თეთრბუწუწებიანი თავი მხრების ამოჩრილ ძვლებში ღრმად ჩავარდნოდა. მაგრამ იგი გადარჩა, გადარჩა და ახლა კოჭლობით მიჩლახუნობდა თავისი აბურდული ლოგინიდან კარისკენ. ცდილობდა იმ თეთრკანიანი მზეთუნახავივით ევლო, კოკუიას ასიენდეს კარებთან ესპანელი პრელატების, ფრანგი კომერსანტების, შოტლანდიელი ინჟინრების, ბრიტანელი ვაჭრების, გადამყიდველებისა და ფლიბუსტიერების გაუთავებელ წყებას რომ ეგებებოდა. ისინი მეხიკოსკენ მიემართებოდნენ, რათა ამ ახალგაზრდა და ამბოხებული ქვეყნის ყოველნაირი შესაძლებლობები გამოეყენებინათ: მისი ბაროკოს ტაძრები, მისი ოქროსა და ვერცხლის საბადოები, მისი ტუფითა და თლილი ქვით ნაგები სასახლეები, მისი

მოღალატე კრებული, მისი მუდმივი პოლიტიკური კარნავალი და მისი გამუდმებით გაჭირვებული მთავრობა; მავანი ქლესა უცხოელთათვის იოლად მისაღწევი საბაჟო შეღავათები, მექსიკას საუკეთესო დღეები ედგა, როცა ცოლ-ქმარმა მენჩაკებმა თავიანთ უფროს ვაჟს ათანასიოს ასიენდე დაუტოვეს - რათა ნამდვილ მამაკაცად ჩამოყალიბებულიყო მოჯამაგირეებთან, ბანდიტებთან, ინდიელებთან ურთიერთობით - თვითონ კი მეხიკოში გაემგზავრნენ, მისი

ბრწყინვალე უდიდებულესობის ილუზორულ კარზე. განა გენერალ სანტა-ანას შეეძლო ეცხოვრა თავისი ძველი მეგობრის - აწ უკვე პოლკოვნიკ მენჩაკას გარეშე? იმ მენჩაკას გარეშე, ვინც ყველაზე უკეთესად ერკვეოდა მამლებსა და ცხენებში, ვისაც შეეძლო მთელი ღამე განუწყვეტლივ ესვა, თან მოეგონებინა კასამატას გეგმები, ბარადასის, ელ-ალამოს, სახ-ხასინტოს, გერა დე ლოს პასტელესზე ლაშქრობები, გაეხსენებინა დამპყრობელ იანკებთან შეტაკებებში დამარცხებებიც კი? დამარცხებებზე გენერალი ირონიული ღიმილით ლაპარაკობდა, ფეხს იატაკზე აბაკუნებდა, ცალ ხელში ჭიქა ეჭირა, მეორით ფლორ დე მეხიკოს, თავისი ნორჩი მეუღლის თმას ეალერსებოდა, გარდაცვლილი პირველი ცოლის ჯერ კიდევ თბილ სარეცელზე რომ დააწვინა. შემდეგ შავი დღეები დაუდგათ, როდესაც მმართველი ლიბერალთა ბანდამ მექსიკიდან განდევნა და

ცოლ-ქმარი მენჩაკები ასიენდეში დაბრუნდნენ თავიანთი მამულების მოსავლელად. ეს გახლდათ მამლების ბრძოლის მოყვარული კოჭლი ტირანის მიერ ბოძებული, ინდიელი გლეხებისთვის წართმეული ათასი ჰექტარი მიწა, რომელთაც ისღა დარჩენოდათ, ან პეონებად ქცეულიყვნენ ან არა და, მთის ძირისკენ გაქცეულიყვნენ; კარიბის ზღვის კუნძულებიდან მორეკილი ზანგების, იაფი მუშების დამუშავებული მიწა, მიწა, რომელსაც მენჩაკას მოვალე წვრილი მესაკუთრეების სულ ახალ-ახალი მიწები უერთდებოდა. ემატებოდა თამბაქოს ფოთლის გროვები, ბანანისა და მანგოს ურმები. სიერა-მადერას დაბალ ფერდობებს შეფენილი თხების ფარა, ხოლო მამულის შუაგულში იდგა ერთსართულიანი სახლი ფერადი კოშკურით, თავლებით, რომელთა კედლებს ცხენების ჭიხვინი აზანზარებდა, ფარდულები ლანდოებისა და კარეტებისთვის, ნავსაბმელები კანოესა და ნავებისათვის. ათანასიოც, ეს მწვანეთვალება ვაჟიშვილი, თეთრად მოსილი და თეთრ ცხენზე ამხედრებული - ისიც სანტა-ანას ბოძებული - ბარაქიან მინდვრებზე მათრახით ხელში დათარეშობდა. გასამართლებასა და სამაგიეროს გადახდაში სულსწრაფი, ნორჩი გლეხი გოგონების მუსუსი გახლდათ. მზად იყო შემოყვანილი ზანგების ბანდით მიწების დასაცავად. „გაუმარჯოს მექსიკას, ჩვენს მშობლიურ ქვეყანას, არ დავინდობთ უცხო ტომის

მბრძანებელთ...“ იმპერიის ბოლო დღეებში, როდესაც ბებერ ირენეო მენჩაკას აცნობეს, სანტა-ანა დევნილობიდან დაბრუნდა, რათა ახალი რესპუბლიკა გამოაცხადოსო, ბერიკაცი უმალვე თავისი შავი ეტლით ვერაკრუსს გაემგზავრა, სადაც მოლთან ნავი ელოდა, ხოლო „ვირხინიას“ გემბანიდან სანტა-ანა და მისი გერმანელი ფლიბუსტიერები ღამღამობით სან-ხუან-დე-უალუაში სიგნალებს გზავნიდნენ, მაგრამ მათ არავინ გამოჰპასუხებია. ნავსადგურის გარნიზონი იმპერიის მომხრე იყო, დასცინოდა დაცემულ ტირანს, რომელიც გემბანზე ალმებს შორის მიმოდიოდა და თავის მტრებს წყევლა-კრულვას უგზავნიდა. ბოლოს იალქნები აუშვეს და ორი ძველი მეგობარი კაპიტან იანკის კაიუტაში ბანქოს სათამაშოდ დაჯდა. გემი ცხელ, უძრავ ზღვაზე მიცურავდა. სიცხის ბუღში ძლივსღა ჩანდა სანაპირო ზოლი. საზეიმო ალმებით მორთული გემიდან

დიქტატორის მრისხანე თვალებმა სესალის თეთრ მოხაზულობას ჰკიდა თვალი. და კოჭლი ბერიკაცი თავის ერთგულ მეგობართან ერთად ნაპირზე გადავიდა, იუკატანის მცხოვრებთ თავისი პროკლამაცია გადასცა და ისევ მიეცა ხელისუფლების მოპოვების ტკბილ ოცნებებს, ვინაიდან მაქსიმილიანს კუერეტაროში სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და რესპუბლიკას ისევ გაუჩნდა თავისი ძველი და კანონიერი ბელადის, თავისი უგვირგვინო მონარქის პატრიოტიზმის იმედი.

შემდგომ კი ლუდივინიას უამბეს, როგორ დააპატიმრა ორივე სესალის კომენდანტმა, როგორ გაგზავნეს კამპეჩეში, და ხელებზე ბორკილშებმულები ქუჩა-ქუჩა ატარეს, როგორც ნაღდი ბანდიტები, ხიშტებიანი მებადრაგეების თანხლებით. უამბეს, როგორ ჩაყარეს ისინი ციხის საპატიმროს აქოთებულ საკანში, როგორ გარდაიცვალა დამყაყებული წყლისგან მუცელგაბერილი მოხუცი პოლკოვნიკი მენჩაკა. ამ დროს კი ჩრდილოამერიკულმა გაზეთებმა ქვეყანას ამცნეს, რომ სანტა-ანა ხუარისტებმა დასაჯეს. ტრიესტის პრინცივით უდანაშაულოდ დაიღუპაო. მაგრამ ეს ასე როდი იყო. ყურის მახლობლად, სასაფლაოზე ირენეო მენჩაკას გვამის დამარხვით დამთავრდა მისი აზარტული და რისკიანი ცხოვრება, მსგავსი თვით ქვეყნის ცხოვრებისა, სანტა-ანა კი, ეს შეშლილივით მუდამ მოღიმარი, ხელახლა განდევნეს.

ეს ტრაგიკული ამბები ათანასიომ უამბო - იხსენებდა მოხუცი ლუდივინია ახლა ამ ხვატიან შუადღეს, - და მას შემდეგ იგი ოთახიდან აღარ გამოსულა, აქ შემოატანინა თავისი საუკეთესო ნივთები, შანდლები სასადილოდან, მოჭედილი სკივრები, ყველაზე ძვირფასი სურათები და, როგორც რომანტიკული ბუნების ქალს შეეფერებოდა, მოახლოებულ სიკვდილს დაუწყო ლოდინი, მაგრამ აგერ 35 წელი გავიდა, სიკვდილი

კი აგვიანებდა, რასაც, კაცმა რომ თქვას, უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა 93 წლის დედაბრისათვის, რომელიც არეულობის პირველ წელიწადს დაიბადა, როდესაც დოლორესის მრევლში ყვირილი და ქვების სტვენა ისმოდა, ხოლო მშობიარეს სახლის კარი შიშისგან ურდულებით ჰქონდათ ჩაკეტილი. მისთვის უკვე აღარ არსებობდა კალენდრები და ეს 1903 წელი მხოლოდ გაგრძელება იყო იმ დროისა, რომელიც დასცინოდა გარდაცვლილ ქმარზე დარდისგან სწრაფი სიკვდილის მოლოდინს. მისთვის თითქოს არც ყოფილა 1868 წლის დიდი ხანძარი, მთელ სახლს რომ მოედო და მისი ჩაკეტილი საძინებლის წინ ჩაინავლა. ორივე ვაჟი - ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ ათანასიო უყვარდა - უყვიროდა, თავს უშველე, გამოდიო, მაგრამ ყველა ნაპრალიდან შემოღწეული სქელი ბოლისაგან ხველებაატეხილი მაგიდებსა და სკამებს აგროვებდა. მას არავის ნახვა არ უნდოდა და მხოლოდ ერთ ინდიელ ქალს იტანდა, ვიღაცას ხომ უნდა მიეტანა საჭმელი და შავი ტანსაცმელი დაეკემსა. დედაბერს არაფრის გაგება არ სურდა, მხოლოდ წარსულს იგონებდა. ამ ოთხ კედელში გამომწყვდეულმა რეალობის შეგრძნება დაკარგა. მხოლოდ

თავის ქვრივობაზე ფიქრობდა, დაუბრუნებელ წარსულზე და ამ ბიჭზე, რომელიც გამუდმებით კუდში დასდევდა ვიღაც უცნობ მულატს.

- ინდიელო, დოქით წყალი მომიტანე...

ბარაკოას ნაცვლად კარში ყვითელი აჩრდილი გამოჩნდა.

ლუდივინიამ წამოიყვირა და საწოლში შეიმალა, შიშისგან თვალები დააჭყიტა, სახის კანი მოეპრუწა. კაცი ზღურბლზე შეჩერდა და აკანკალებული ხელი გამოუწოდა.

- მე პედრო ვარ...

ლუდივინიამ ვერ გაიგო. დაზაფრულს კრინტი ვეღარ დაეძრა, მაგრამ მისი ხელები შავი ძონძებიდან გამოღწევას ლამობდნენ, უნდოდა, თილისმით შეეკრა შემოსული, თავი დაეცვა. ფერმკრთალი აჩრდილი კი უახლოვდებოდა.

- მე... პედრო... ო-ოჰ... - ბუტბუტებდა კაცი და ბინძურ ნიკაპს იზელდა, - მე... - პედრო...

ქუთუთოები ნერვიულად უთრთოდა. საშინელებისგან გაშეშებულ დედაბერს არ ესმოდა, რას ამბობდა ეს ნამძინარევი, ოფლისა და ალკოჰოლის სუნით აქოთებული კაცი.

- ო-ოჰ. ყველაფერი დაიღუპა. თქვენ იცით?.. ყველაფერი... ჯანდაბა... ახლა კი... - უცრემლოდ აქვითინდა, - ზანგიც მიჰყავთ. მაგრამ თქვენ ხომ არაფერი არ იცით...

- ათანასიო...

- ო-ოჰ, არა... პედრო ვარ. - ლოთი საქანელა სავარძელში ჩაეხეთქა და ფეხები გაჭიმა, - ზანგი მიჰყავთ... ჩვენ რომ გვაჭმევს... თქვენ და მე...

- არა. მულატია. მულატი და ბიჭუნა.

ლუდივინია პასუხობდა, მაგრამ აჩრდილისათვის არ შეუხედავს, ვინაიდან არ შეიძლებოდა სხეული ჰქონოდა იმ ხმას, ამ აკრძალულ აკლდამაში რომ შემოვარდა.

- ჰო, მულატი და ბიჭუნა... სულერთია.

- ბიჭი ზოგჯერ ეგერ, იქ დარბის. მე დავინახე. მე კმაყოფილი ვარ. ბიჭუნა.

- დამქირავებელი მოვიდა, გამაღვიძა... საშინელ სიცხეში გამაღვიძა... ზანგი მიჰყავთ... აწი რაღა ვქნათ?

- ზანგი მიჰყავთ? მერე რა მოხდა, მამულში უამრავი ზანგია. პოლკოვნიკი ამბობს, ზანგები იაფი მუშახელია და მუშაობაც მარჯვე იციანო. მაგრამ ეგ თუ ასე ძალიან მოგწონს, სანაცვლოდ ექვსი რეალი მიეცი.

და ეს მარილის ქანდაკებები გაჩუმდნენ, ახლა იმასღა ფიქრობდნენ, რაზე უნდა ელაპარაკათ მაშინ, როცა უკვე ძალიან დაგვიანდება, როდესაც ბიჭი მათთან აღარ იქნება. ლუდივინიამ თვალები შემოსულისკენ მიბრიცა, ვის აქ ყოფნასაც ვერ ურიგდებოდა; ვინ არის ეს კაცი, რომელსაც, ალბათ, საგანგებოდ ამოუთრევია სკივრიდან თავისი საუკეთესო ტანსაცმელი, რომ აკრძალულ ზღურბლზე გადმოებიჯებინა? ჰო, ჰოლანდიური ტილოს გულისპირს ტროპიკული ნესტის ლაქები ატყვია; ვიწრო, ძალიან ვიწრო შარვალი გალეულ სხეულზე შემოსტკეცია, არც ძველებური კოსტიუმი ესადაგება დაუბანელი სხეულის, თუთუნისა თუ ალკოჰოლის სუნს, არც უფერული თვალები, თვალები გულუბრყვილო ლოთისა, აგერ თხუთმეტ

წელზე მეტია ადამიანს რომ არ დალაპარაკებია, სათანადო რწმენასა და უპირატესობას არ გამოხატავენ. აჰ, ამოიოხრა ლუდივინიამ თავის აბურდულ ლოგინში. ბოლოს და ბოლოს დაემორჩილა იმ აზრს, რომ ამ ხმას სახეც აქვს, და ეს არ არის ათანასიო, იგი ვაჟკაცი იყო, თუმცა კი გაჭრილი ვაშლივით მგავდა, ჩემი ასლი იყო მამაკაცად განსახიერებული. ეს კი ნამდვილი დედაკაცია, ეგაა, რომ წვერებიანია და შარვალი აცვია. ცხადად განსხეულებული დედა, ათანასიოს არ ჰგავს, ამიტომ უყვარდა მას მხოლოდ ის შვილი - ათანასიო და არა ეს - ქალმა ამოიოხრა, - უყვარდა ის, ვინც მუდამ აქ ცხოვრობდა, მათ კუთვნილ მიწას მიეზარდა, და არა ეს, თავს დამტყდარი უბედურების დროსაც კი იქ, დედაქალაქში რომ ამჯობინებდა დარჩენილიყო და სასახლეებში ისე ეცხოვრა, როგორც მათ უკვე აღარ შეეფერებოდათ. ლუდივინია ხვდებოდა: სანამ ყველაფერი მათ ეკუთვნოდათ, უფლებაც ჰქონდათ მთელი ქვეყნისთვის თავს მოეხვიათ საკუთარი არსებობა, მაგრამ როცა აღარაფერი ეკუთვნით, მათი ადგილი ოთხკედელშუაა. ქალმა გაუბედავად გააქნია თავი.

დედა-შვილი ერთმანეთს შეჰყურებდა. მათ შორის მკვდრეთით აღმდგარი წარსულის კედელი იდგა.

- „შენ იმის სათქმელად მოხვედი, რომ უკვე აღარც მიწები გაგვაჩნია, აღარც დიდებულება, რომ სხვებმა ისევე წაგვართვეს ყველაფერი, როგორც ოდესღაც ჩვენ წავართვით ყველაფერი ოდინდელ, ჭეშმარიტ პატრონებს? შენ მოხვედი იმის სათქმელად, რასაც დიდი ხანია მივხვდი - ჩემი ცოლქმრული ცხოვრების პირველივე ღამეს?

- მიზეზით ვისარგებლე და მოვედი. მოვედი, რადგან მეტად აღარ მინდა მარტო ვიყო.

- მინდა შენი პატარაობა გავიხსენო. მაშინ მიყვარდი, რადგან ახალგაზრდა დედას თავისი ყველა შვილი უყვარს. ხანში რომ შევდივართ, ჭკუა გვემატება, არავინ არ შეიძლება უმიზეზოდ გიყვარდეს. მშობლიური სისხლი მიზეზი არ არის. ერთადერთი მიზეზია ის სისხლი, რომელიც ყველაფრის გარეშე შენთვის ძვირფასია.

- მე მინდოდა ისეთივე ძლიერი ვყოფილიყავი, როგორიც ჩემი ძმა იყო. მკაცრად ვექცეოდი მულატსა და ბიჭს, დიდ სახლთან მოახლოებაც კი ავუკრძალე. გახსოვს, ასე აკეთებდა ათანასიოც? მაგრამ მაშინ ბევრი მოჯამაგირე გვყავდა. ახლა კი მულატი და ბიჭიღა დაგვრჩნენ.

- შენ მარტო დარჩი. ჩემთან მოხვედი, რომ მარტო არ იყო. გგონია, მე მარტო ვარ, შენს საბრალო თვალებში ვხედავ, როგორც ყოველთვის, სულელი ხარ და სუსტი. შენ ჩემი შვილი არა ხარ. იგი არავის სთხოვდა თანაგრძნობას. შენ ისეთივე ხარ, როგორიც მე ვიყავი ახალგათხოვილი. ახლა არა, ახლა მე ისეთი აღარა ვარ. ახლა მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრება თან მახლავს. დიახ, მახლავს ცხოვრება და არა სიბერე. შენ კი ბებერი ხარ, ვინაიდან ფიქრობ, რომ ყველაფერი დამთავრდა, რაკიღა გაჭაღარავდი, გალოთდი და ნებისყოფა დაკარგე. გხედავ, კარგად გხედავ, შე ღვთის გლახავ, შენა! შენ ის ბრძანდები, ვინც ჩვენ დედაქალაქში გვახლდა, ის ბრძანდები, ვინც ფიქრობდა, ძალაუფლება იმისთვის გვხვდა წილად, რომ მექეიფა და მელოთაო. კი არ განგემტკიცებინა, კი არ დაგემკვიდრებინა, მარჯვედ მოგეხმარა; შენ ფიქრობდი: ჩვენი ძალა სამუდამჟამოდ გვებოძა და საზრუნავიც არაფერი გვაქვს, ამიტომ შეიძლება დარჩე იქ, ზემოთ, ჩვენი ხელშეწყობის გარეშე, და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ისევ ჩამოვედით ამ ცხელ მიწებზე, სიცოცხლის ამ წყაროზე, ამ ჯოჯოხეთში, საიდანაც ამოვედით და ისევ მოგვაბრუნეს... სუნი! უფრო ძლიერი სუნი არსებობს, ვიდრე ცხენის ოფლის სუნია, ხილის არომატი და საფანტის სიმყრალე... იცი კი ცოლქმრული სარეცლის სუნი? აი, როგორი სუნი ასდის აქ მიწას, შენ კი ეს არასოდეს გცოდნია...

გესმის? როცა შენ დაიბადე, მე გივლიდი, გაჭმევდი და გეუბნებოდი: „ჩემი ბიჭი ხარ, ჩემი“. ვიხსენებდი იმ წამს, როდესაც მამაშენმა, სიყვარულით დაბრმავებულმა, ჩაგსახა შენ. ეს სიყვარული იმიტომ კი არ დუღდა, რომ შენ წარმოეშვი, არა, მხოლოდ ჩემთვის სიამოვნების მოსანიჭებლად; ხსოვნა დარჩა, შენ გაქრი...

- რატომ არაფერს მეუბნებით და მხოლოდ მიყურებთ? ჰო, კეთილი... კეთილი... ჩუმად იყავით. მაინც ჯობია თქვენ გიყუროთ აქ; ჯობია, ვიდრე შიშველ საწოლზე ვეგდო და ღამღამობით ჭერს შევცქეროდე.

- შენ ცოცხალ ადამიანს ეძებ? მერე ის ბიჭი, აგე, ფანჯრის მიღმა? განა იგი ცოცხალი არ არის? შენ, ეტყობა, გგონია, მე არაფერი ვიცი, აქედან ვერაფერს ვხედავ... თითქოს არ შემიძლია, ვიგრძნო, რომ აქვე გვერდით იზრდება ჩემი სისხლი და ხორცი, მათი, ირენეოსა და ათანასიოს გაგრძელება, კიდევ ერთი მენჩაკა, კიდევ ერთი მამაკაცი, ისეთი, როგორიც ისინი არიან. აქ, ფანჯრის იქით, მომისმინე... ცხადია, იგი ჩემია, რაკიღა შენ არ ეძებ მას... სისხლის ყივილი შორიდან...“).

- ლუნერო, - თქვა გამოღვიძებულმა ბიჭმა და დაინახა ნამიან მიწაზე გაშხლართული

ღონემიხდილი მულატი, - დიდ სახლში მინდა შევიდე.

შემდეგ, როდესაც ყველაფერი დასრულდა, მოხუცმა ლუდივინიამ შეიზიზღა თავისი პატიმრობა და უფრთო ყვავივით აკოჭლებული გვიმრამოდებულ ხეივანში ყვირილით გავარდა. თვალები სიერას მიაპყრო. ერთთავად სანთლის შუქით განათებული თავისი სენაკის შემდეგ ბრმა გეგონებოდათ. ხელებგაწვდილი ქალის სახეს, ამ უსიცოცხლო, ლურჯად დაძარღვულ ნიღაბს, ტოტები ეხეთქებოდა, რომელთა უკანაც ეძებდა ადამიანს. გრძნობდა მიწის სიახლოვეს და თავისი ყრუ ხმით დავიწყებულ თუ სულ ახლახან გაგონილ ხელებს იკბენდა, ვინაიდან მისი გული - წლები, ხსოვნა, წარსული, რაც მის სიცოცხლეს შეადგენდა - ეუბნებოდა, რომ მისი მოგონებების მიღმა არსებობს სიცოცხლე, რომ შეიძლება იცხოვრო, გყავდეს ღვიძლი არსება, გიყვარდეს იგი, ვინც ირენეოსა და ათანასიოს სიკვდილით არ მოკვდა, მაგრამ ახლა, როცა სენიორ პედრიტოს შესცქეროდა, იმ საძინებელში შემოსულს, რომელიც ოცდაათი წელია არ მიუტოვებია, ლუდივინია ყველაფერს მხოლოდ წარსულს უკავშირებდა.

- დედა, თქვენ ხომ არ იცით...

დედაბრის მზერამ შვილს სიტყვა შუაზე გააწყვეტინა.

„- რა არ ვიცი? რომ ყველაფერი დასასრულისკენ მიდის? რომ ჩვენი ძველი ძლიერება მხოლოდ ტრაბახს ემყარებოდა, მხოლოდ უსამართლობას, რომელიც მეორე უსამართლობის შედეგად დაიღუპა? რომ მტრები, რომელთაც ჩვენ ვხვრეტდით, რათა ბატონებად დავრჩენილიყავით, მტრები, რომელთაც მამაშენმა ენები ან ხელები დააჭრა, რათა მებატონედ დარჩენილიყო... რომ მტრები, რომელთაც მამაშენმა მიწა წაართვა, რომ მებატონე გამხდარიყო, რომ ისინი ერთხელ გამარჯვებულად მოგვევლინენ და წაგვართვეს ის, რაც ჩვენი არ იყო, რაც ძალით მოვიპოვეთ და არა უფლებით? რომ ყველაფრის მიუხედავად, შენმა ძმამ არ ინდომა დამორჩილებოდა სამარცხვინო დამარცხებას და ისევე ათანასიო მენჩაკად დარჩა - იქ კი არ ცხოვრობდა, დედაქალაქში, შენსავით უსაქმურად, არამედ აქ, დაბლა, თავის მონებთან ერთად, არ აშინებდა განსაცდელი, მულატ და ინდიელ ქალებს იმორჩილებდა, შენსავით გასაწოლად გამზადებულ ქალებს კი არ ეარშიყებოდა. რომ შენი ძმის ასობით გააფთრებული, კადნიერი, ნაჩქარევი კავშირის კვალი უნდა დარჩენილიყო, თუნდაც ერთი კვალი ჩვენს მიწაზე? რომ ყველა ვაჟიშვილთან, რომლებიც ათანასიო მენჩაკამ

ჩვენს თვალუწვდენელ სამფლობელოში მიმოფანტა, ერთი მაინც ჩვენ ახლოს უნდა დაბადებულიყო? რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც რომელიღაც ზანგის ქოხში მისი ვაჟიშვილი დაიბადა - და უნდა დაბადებულიყო კიდეც, როგორც მამამისის ძლიერების კიდევ ერთი დასტური, თუნდაც სულ დაბლა, - ათანასიო ხომ...“).

სენიორ პედრიტოს დედის თვალები არაფერს ეუბნებოდნენ: დედაბრის მზერა თითქოს უსიცოცხლო სახეს გამოეყო, მძიმე ცივ ტალღად ცურავდა გახურებულ

ოთახში, ვიწრო, ძველმოდურ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცისთვის არ იყო აუცილებელი დედის ხმის გაგონება.

„- ნურაფერს მისაყვედურებთ. მეც თქვენი შვილი ვარ... მეც იგივე სისხლი მაქვს, როგორც ათანასიოს... რატომ მოხდა მაშინ, იმ ღამეს ასე? მე მითხრეს: „სერჟანტმა რობაინამ, სანტა-ანას ძველმა გვარდიელმა, იპოვა ის, რასაც თქვენ დიდი ხანია ეძებთ - პოლკოვნიკ მენჩაკას ცხედარი კამპაჩეს სასაფლაოზე. ერთმა ჯარისკაცმა, რომელმაც დაინახა, სად ჩაფლეს საფლავის ქვის დაუდებლად მამაშენის ცხედარი, სერჟანტს აცნობა, როდესაც იგი გარნიზონიდან ნავსადგურში გაგზავნეს. ჰოდა, სერჟანტმა

კომენდანტი მოატყუა, პოლკოვნიკ მენჩაკას ძვლები მოიპარა. ახლა იმით ისარგებლებს, რომ ხალისკოში გადაჰყავთ და თქვენთან შემოივლის ნეშტის გადმოსაცემად. შუაღამისას შენ და შენს ძმას სოფლიდან ორ კილომეტრზე, ტყის პირას, იმ ადგილას დაგელოდებათ, სადაც ბოძზე ურჩ ინდიელებს ჩამოახრჩობდნენ ხოლმე“. აი, როგორ ვერაგულად მოგვატყუეს, ათანასიომაც ისევე დაიჯერა ეს ნათქვამი, როგორც მე; თვალები ცრემლით აევსო; წამითაც არ დაეჭვებულა ამ ამბის ჭეშმარიტებაში: ...ოჰ, ნეტავ რად ჩამოვედი მაშინ კოკუიაში? ჰო, მართალია, უკვე მეხიკოში საცხოვრებლად ფული აღარ მყოფნიდა, ათანასიო კი უარს არასოდეს არაფერზე მეუბნებოდა; ხელსაც კი აძლევდა, რომ შორს ვყოფილიყავი, უნდოდა ოლქში ერთადერთი მენჩაკა თვითონ ყოფილიყო, თქვენი ერთადერთი მცველი.

იმ ზაფხულის ცხელ ღამეს, როდესაც დათქმულ ადგილას ცხენებით მივედით, მთვარე წითელი იყო. სერჟანტი რობაინა ცხენს მიყრდნობილი გველოდა. სერჟანტს ბავშვობიდან ვიცნობდით. კბილები ბრინჯის მარცვლებივით უბრწყინავდა, თეთრი ულვაშიც უბზინავდა. გენერალ სანტა-ანას განუყრელი მხლებელი და ველური ცხენის საუკეთესო გამხედნავი იყო. ყოველთვის ისე გადამდებად იცინოდა, თითქოს რაღაც

ძალიან სასაცილო რამ თქვაო. ცხენის ზურგზე კი ჭუჭყიანი ტომარა იყო გადაკიდებული, ის, რისთვისაც იქ მივედით. ათანასიო ტომარას მოეხვია, სერჟანტმა კი გადაიხარხარა, სიცილისგან იგუდებოდა. წამიც და, ბარდებიდან თეთრებში გამოწყობილი ოთხი კაცი გამოხტა, - მთვარის შუქზე აჩრდილებს ჰგავდნენ. „ეს სულებია, წამებულთა სულები! - ხარხარებდა სერჟანტი, - ცოდვილი სულები არ ცხრებიან, დაკარგულის დაბრუნება სურთ!“ შემდეგ უცბად გაჩუმდა და ათანასიოსკენ წავიდა. გეფიცებით, ჩემთვის არც არავის შეუხედავს; ჩემს ძმას უახლოვდებოდნენ, თვალს არ აშორებდნენ, თითქოს მე არც ვიყავი იქ. აღარც კი მახსოვს, როგორ ავფოფხდი ცხენზე და იმ წყეული ალყიდან გამოვაღწიე, - მაჩეტეები აეწიათ და ათანასიოს შემორტყმოდნენ გარს, მან კი მშვიდი, ოდნავ ხრინწიანი ხმით დაიძახა: „მოიცადე, ძმაო, ნახე, უნაგირზე რა გაქვს!“ ვიგრძენი, როგორ მომხვდა მუხლზე თოფის კონდახი, მაგრამ ვეღარ ვხედავდი, როგორ წაესია ოთხი კაცი ათანასიოს. ფეხები შეუკრეს, შემდეგ კი აკუწეს - იქ, მთვარის შუქზე, ღამის სიბნელეში. რა დახმარება უნდა მეთხოვა

ასიენდეში, როდესაც ვიცოდი, რომ იგი უკვე მოკლეს, ახალი კასიკის ბიჭებმა მოკლეს, რომელსაც ადრე თუ გვიან უნდა მოეშორებინა ათანასიო, რათა ნამდვილი მეპატრონე გამხდარიყო? აბა, ახლა ამას ვინღა შეებრძოლება? არც კი

მიმიქცევია ყურადღება ახალი გალავნისათვის, რომელიც მეორე დღესვე ააშენა მეზობელმა, ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე რომ გვარბევს. რას იზამ? სულერთია, მოჯამაგირეები უკანმოუხედავად გარბოდნენ მისკენ, ათანასიოზე უარესი ბატონის მოძებნა მართლაც ძნელი იყო. ფეოდალური რაზმი მთელი კვირა იდგა კასიკის ახალი ეზო-მიდამოს საზღვართან, თითქოს იმიტომ, რომ მე არ გავდავებოდი. აბა, მე რისი გამდავებელი ვიყავი? მადლობა იქით უნდა მეთქვა, რომ ხელი არ მახლეს. ერთი თვის შემდეგ გენერალი პორფირიო დიასი ოლქში ახალ, ყველაზე დიდ მამულს ეწვია. მე დაცინვა მაკმარეს. ათანასიოს დამახინჯებულ გვამთან ერთად ხარის ძვლები და რქებიანი თავი გადმომცეს, - აი, რა მოგვიტანა სერჟანტმა ტომრით. ისღა დამრჩენოდა, ის ბედნავსი თოფი სახლის შესასვლელთან დამეკიდა - იქნებ კიდევ გამოდგეს საცოდავი ათანასიოს ხსოვნის ნიშნად. ღმერთმანი, იმ ღამეს, ცხენზე შეჯდომისას, თოფი არ შემინიშნავს. თუმცა შემდეგ კონდახი ერთთავად მუხლზე მეხლებოდა, ღმერთმანი, დედა, ისე ხანგრძლივი იყო ეს ჭენება, ისე ხანგრძლივი...“).

- იქ არასოდეს არ უნდა შეხვიდე, - უთხრა ლუნერომ და მიწიდან წამოდგა, რომელზეც შიშისა და ნაღვლის გამომხატველი ცეკვა თუ ამ უკანასკნელ დღეს ბიჭთან მისი უტყვი

დამშვიდობება იყო აღბეჭდილი. საცაა ექვსი გახდებოდა. მალე დამქირავებელი მოვიდოდა.

- შორეულ პლანტაციებში გაემგზავრები, - უთხრა გუშინ დამქირავებელმა, - იქიდან კი ვეღარ გაიქცევი - ყველა, ვინც იქ ოფლს ღვრის, ამჯობინებს ლტოლვილი ასჯერ გასცეს, ვიდრე სამშვიდობოს გაღწევაში დაეხმაროს.

არა, მთელი თავისი აზრით, ფიქრით, ლუნერო უკვე ზღვის სანაპიროზე იყო. იქით უბიძგებდა წინაპართა ძახილი და მონად გადაქცევის შიში. როგორი უზარმაზარი მოეჩვენა ბიჭს მულატი, როდესაც იგი მიწიდან წამოიმართა და სწრაფად მდინარეს დახედა, თავის წყლებს მექსიკის ყურისკენ რომ მიაქანებდა! 33 წელიწადში რამსიმაღლე გაზრდილა ეს ყავისფერი, ვარდისფერხელისგულებიანი სხეული! თითქოს ლუნეროს თვალები ზღვის ნაპირს არჩევდნენ, ქუთუთოები ჩასთეთრებოდა, მაგრამ ასაკისგან კი არა, რომლის მომატებასთან ერთად ქუთუთოების გათეთრება თითქოს ზანგების მზერას ამახვილებს, არამედ მშობლიურ ადგილებზე დარდისგან, ვინაიდან ესეც ასაკია, ოღონდ სხვა, უფრო ძველი. აგერ იქ, ისარია გაწოლილი,

მდინარის სრბოლას რომ ეღობება. ჩალისფერი ჩრდილით ზღვის საზღვარს აღნიშნავს. იქით კი კუნძულთა სამყარო იწყება და დიდ მიწასაც ადვილად მიაღწევ, სადაც შეიძლება უღრანში დაიკარგო და შენს თავს უთხრა, მე დავბრუნდი. უკან გახედვა არ უნდოდა. მულატმა ღრმად ამოისუნთქა და კიდევ

ერთხელ გაიხედა ზღვისკენ, თითქოს უკვე მოეჯადოებინა თავისუფლებასა და სისხლსავსე ცხოვრებას, მის წინ რომ იშლებოდა. ბიჭი წამოხტა და ტიტლიკანა, ისევე, როგორც იყო, ლუნეროს მივარდა, გადაეხვია.

- ლუნერო, არ წახვიდე...

- კრუს, ბიჭუნა, ღმერთმანი, აღარ ვიცი, რა ვქნა?

დაბნეული მულატი ბიჭს თავზე ალერსით უსვამდა ხელს და გრძნობდა, როგორ ევსებოდა გული ბედნიერებით, მადლიერებითა და ტკივილით, სწორედ ამ მძიმე წუთს, რომლისაც ასე ეშინოდა. ბიჭმა თავი ასწია:

- მე მივალ და ვეტყვი, რომ შენი წასვლა არ შეიძლება...

- იქ, იმათთან?

- ჰო, დიდ სახლში.

- ბიჭუნა კრუს, იქ ჩვენ არ ვუყვარვართ, არასოდეს შეხვიდე იქ. წამოდი, სამუშაო გვაქვს. მე კიდევ ბევრი დღე დავრჩები, არ წავალ, ვინ იცის, იქნებ სულაც არ წავიდე.

ლუნერო მდინარეში გადაეშვა. მალიმალ ყვინთავდა, რომ აღარაფერი ეთქვა და თავისი ერთადერთი პატარა მეგობრისგან თავი დაეღწია. ბიჭი ისევ სანთლების რგოლთან მივიდა და გაეცინა, მდინარის აღმა ფართხალით მოცურავე ლუნერო რომ დაინახა, გეგონებოდა, იხრჩობაო. შემდეგ ელვისებურად ამოყვინთა და ისევ სიღრმეში ჩაიკარგა. ერთი წამიც და, მდინარის ზედაპირზე კბილებში ჯოხგარჭობილი გამოჩნდა. ნაპირზე კი ტანის ფერთხვითა და სასაცილო ფრუტუნით გამოვიდა. ბოლოს, გაწმენდილი ქერქების გვერდით ბიჭისკენ ზურგშექცევით დაჯდა. ჩაქუჩი და ლურსმანი მოიმარჯვა, ისევ მშფოთვარე აზრები დაუბრუნდა: სადაცაა მოვა დამქირავებელი. მზე ხეთა კენწეროებს უკან იმალებოდა. ლუნეროს არ უნდოდა იმაზე ეფიქრა, რაზეც უნდა ეფიქრა. სიმწრის მახვილი მის ბედნიერებას კვეთდა, უკვე გარდასულ ბედნიერებას.

- ქოხიდან ზუმფარა გამომიტანე, - უთხრა მულატმა ბიჭს, იცოდა, ეს გამოსამშვიდობებლად რომ უთხრა.

ჰო, წასვლა ასეც შეიძლება, ამ ძველი შარვლითა და ხალათით. რაღას უნდა უცადოს? ახლა, როდესაც მზე უკვე ჩადის, ალბათ, ბილიკთან დარაჯობენ, რომ სერთუკიანი კაცი ატალახებული გზით ქოხში არ მივიდეს.

- დიახ, - თქვა ლუდივინიამ, - ბარაკოასგან ყველაფერი გავიგე. ჩვენ მულატისა და ბიჭის შრომა გვარჩენს. ისინი გვაჭმევენ პურს. შენ კი ისიც არ იცი, როგორ მოიქცე?

დედაბერი მიჩვეული იყო თავისთვის დუდღუნს, ამიტომ მისი ხმა ძლივს ისმოდა.

- ...როგორც მოიქცეოდნენ მამაშენი და შენი ძმა: გადი და დაიცავი მულატი და ეს ბიჭი, არ დაანებო, რომ წაიყვანონ... წაგართვან... თუ საჭირო შეიქნეს, სიცოცხლე შესწირე, რომ დამცირებას ასცდე... წახვალ თუ მე წავიდე, შე კრეტინო, შენა!.. ბავშვი მოიყვანე! მინდა ველაპარაკო...

მაგრამ ბიჭს ხმები არ ესმოდა, სახეებს ვერ ხედავდა, მხოლოდ სილუეტებს არჩევდა. აი, ახლა, ლუდივინიამ თავშეუკავებელი მოძრაობით უბრძანა სენიორ პედრიტოს, სანთლები აენთო. ბიჭი მოშორდა ფანჯარას და ფეხის წვერებზე შემდგარი დიდი სახლის ფასადისკენ, მიტოვებული, სვეტებშემომწვარი აივნისკენ წავიდა, სადაც ჰამაკი ეკიდა და მარტოსული ლოთი ქეიფობდა ხოლმე. თუმცა, მარტო ჰამაკი კი არა, ზღურბლის ზემოთ ორ ჟანგიან კაუჭზე ჩამოკიდებული თოფიც ჩანდა. ეს თოფი იმ ღამეს სენიორ პედრიტოს უნაგირზე ედო და მას შემდეგ სათუთად ზეთავდა და წმენდდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ვერავისაც ვერ ესროდა.

კრიალი გაქონდა ორლულიან თოფს: ბიჭი თოფქვეშ გაძვრა. ასიენდეს ყოფილ დარბაზს აღარც იატაკი ჰქონდა და არც ჭერი; ზემოდან ჩამოღვრილი დაისის მომწვანო შუქი ეფრქვეოდა, აკაშკაშებდა სახლის ცარიელ, ბალახმოდებულ, ფერფლწაყრილ ჩონჩხს, სადაც ბაყაყები ყიყინებდნენ, კუთხეებში კი შავად ბზინავდნენ წვიმის წყლის გუბურები. იქით ჯაგმოდებული პატარა პატიო იყო, იმის იქით კარი ჩანდა, საიდანაც სინათლის ზოლი გამოდიოდა. ესე იგი, იქ ცხოვრობდნენ. იქიდან ისმოდა ხმებიც, თანდათან რომ ძლიერდებოდა. პატიოს მეორე მხრიდან, სადაც ოდესღაც სამზარეულო

იყო, ინდიელმა ბარაკოამ გამოყო თავი და იქაურობას ყურებდაცქვეტილი ჩააშტერდა. ბიჭი დარბაზის კედელს აეკრა. მერე აივანზე დაბრუნდა და მიწაზე აგურის ორი ნატეხი დადო, რომ თოფს მისწვდომოდა. ხმაური ძლიერდებოდა - ერთი გააფთრებით ყვიროდა, მეორე მორჩილად ლუღლუღებდა. ბოლოს ვიღაც მაღალი კაცი სწრაფად გამოვიდა ოთახიდან; სერთუკის კალთები ფეხებზე სცემდა, დერეფნის ქვის იატაკზე კი ტყავის ბათინკებს ბრაგაბრუგი გაუდიოდა. ბიჭს აღარ დაუხანებია. მან იცოდა გზა, რომელსაც გაჰყვებოდა ეს ფეხები. თოფი გულზე მიიკრა და ბილიკით თავისი ქოხისკენ მოკურცხლა.

ლუნერო კი უკვე შორს იყო სახლიდან, ამ ქოხიდან, წითელი მიწის გზასაყართან მიიმალა, საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, ახლა სადაცაა გამოჩნდება. მულატი ხან ერთ გზას გასცქეროდა, ხან მეორეს. დამქირავებლის ცხენი აუცილებლად მტვრის კორიანტელს დააყენებს. მაგრამ უცბად, ფლოქვების თქარუნის ნაცვლად, უკანა მხრიდან სროლის გრუხუნი მოისმა. ლუნერო გაშეშდა. არ იცოდა, რა ეფიქრა.

თოფიანი ბიჭი კი ბუჩქებში შეიმალა, ეშინოდა, კაცი დამეწევაო. დაინახა, როგორ

ჩაუარა ვიწრო ბათინკებმა და მონაცრისფრო შარვალმა, სერთუკის კალთებიც ირხეოდა, - ზუსტად ისეთი სერთუკისა, გუშინ რომ ნახა. აჰა, ყველაფერი ცხადია - მით უმეტეს, რომ კაცი ქოხში შევიდა და დაიღრიალა: „ლუნერო!“ მის

მოუთმენელ ხმაში ბიჭმა მრისხანება და მუქარა იგრძნო, რაც გუშინ მულატთან მისული სერთუკიანი კაცის მოძრაობაშიც შენიშნა. თუ ძალით წასაყვანად არა, აბა, რად დასჭირდებოდა ლუნერო? მძიმე თოფი მკერდზე აწვებოდა, თითქოს ბიჭის ჩუმ გააფთრებას უნდა გზა მისცესო, გააფთრებას, რადგან ახლა იცოდა, რომ არსებობენ მტრები, რომ ცხოვრება მარტო მდინარის წყლისა და სანთლებიანი ბორბლის ტრიალი არ იყო; დიახ, გააფთრებას, რადგან ახლა მათ განშორება ემუქრებოდა. ქოხიდან გამოვიდა შარვალმოტკეცილი ფეხები, სერთუკის კალთები შეირხა - ბიჭმა ორლულიანი თოფი ამართა და ჩახმახს გამოჰკრა...

- კრუს! ჩემო ბიჭო!.. - დაიღრიალა ლუნერომ, როცა სენიორ პედრიტოს დაღრეჯილი სახე და გულისპირზე გაჩენილი წითელი ლაქა დაინახა, - კრუს.

ბუჩქნარიდან გამომძვრალმა, აცახცახებულმა ბიჭმაც ძლივს იცნო სისხლით შეღებილი

და საფანტით დამწვარი სახე კაცისა, რომელსაც ყოველთვის შორიდან ხედავდა, თითქმის შიშველს, უბეწვო, თეთრ მკერდზე ჩახსნილი, დახეული ხალათი რომ ეცვა და ხელში ერთთავად ბოთლი ეჭირა. მოკლული არც ეს ლოთი იყო და არც ის ელეგანტური და ტანადი კაბალიერო, რომელიც ლუნეროს ახსოვდა; არც ის ბავშვი იყო, რომელსაც 60 წლის წინ ლუდივინია მენჩაკას ხელები ეალერსებოდა. იყო მხოლოდ უძრავი სახე, სულელურად დამანჭული, გასისხლიანებული გულისპირი, გულისწამღებად ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები. ლუნერო და ბიჭი უძრავად იდგნენ, მაგრამ მულატი მიხვდა, რომ პატრონი მისი გულისთვის დაიღუპა. ლუდივინიამ თვალი გაახილა, ენით საჩვენებელი თითი დაისველა და სასთუმალთან სანთელი ჩააქრო. თითქმის ხოხვით მივიდა ფანჯრამდე. რაღაც მოხდა. შანდალი აწკრიალდა. გასროლის გრუხუნმა ააწკრიალა. გამოუსწორებელი რაღაც მოხდა. ხმებიც ჩაესმა, თუმცა ყველაფერი მალე მიწყნარდა. კვლავ მხოლოდ ჭრიჭინობელების ჭრიჭინი ისმოდა. ბარაკოა სამზარეულოში მიიყუჟა, ცეცხლი ჩააქრო და კანკალებდა. ეგონა, ომი დაიწყოო. ლუდივინიაც მიყუჩდა, სანამ ბოღმამ არ სძლია, რომელიც წყნარ, ჩაკეტილ საძინებელში ვერ დაეტია. დედაბერი ბორძიკ-ბორძიკით გამოხოხდა გარეთ - ღამის უძირო ცის ქვეშ, იმ გადამწვარი სახლის ნანგრევებს შორის, ქვიშის შავ მარცვალს

მიაგავდა. პატარა უსისხლო მატლს. დედაბერი ხელებს იშვერდა, რომ ბიჭს მიალერსებოდა, იმას, ვინც 13 წელია - ეს იცოდა - აქვე იყო, მის გვერდით, მაგრამ ვისი შეხებაც მხოლოდ ახლა ისურვა, დიახ, ახლა ისურვა მისთვის სახელი დაეძახა, ეთქვა, ცხადლივ. კრუსი - არც ნამდვილი გვარი, კრუსი - მულატებმა დედამისის გამო შეარქვეს, რომელსაც ისაბელ კრუსი ან კრუს ისაბელი ერქვა. ისაბელი ათანასიომ ჯოხის ცემით გააგდო აქედან, ქალი, ვინც ოლქში პირველმა ვაჟი გაუჩინა. დედაბერს დავიწყებოდა, როგორი იყო ღამე გარეთ; ფეხები უკანკალებდა, მაგრამ ხელებაპყრობილი ჯიუტად მიიწევდა წინ. სურდა უკანასკნელად გადახვეოდა სიცოცხლეს. მის შესახვედრად კი მხოლოდ

ნალების რაკუნი და მტვრის ღრუბელი მოქროდა. გაქაფული ცხენი ჭიხვინით გაჩერდა მოკაკული ლუდივინიას წინ და დამქირავებელმა უნაგირიდან გადმოსძახა:

- ბებერო, კუდიანო, საით გაიქცნენ მულატი და ბიჭი? მითხარი, თორემ ჯარისკაცებსა და ძაღლებს მივუსევ.

ლუდივინიამ მუშტი ბურუსში გააფთრებით გაიქნია:

- წყეულო გაიძვერავ! - სახეში მიახალა კაცს, ვისაც ვერ ხედავდა, ვინც სადღაც მაღლა, უნაგირზე იჯდა, - გაიძვერავ! - კვლავ გაიმეორა ქალმა და მუშტი აფრუტუნებულ ცხენს ზედ დრუნჩთან მიუტანა.

დედაბრის ზურგზე მათრახმა გაისტვინა და ლუდივინია მიწაზე დაახეთქა, ცხენი კი შეტრიალდა, წაქცეული მტვერში გაახვია და აისენდეს გაშორდა.

* * *

მე ვიცი, ხელს ნემსით მიჩხვლეტენ და ჯერ ტკივილის შეგრძნება ვერც მოვასწარი, ისევ ვყვირი: ჩემი ტვინი უფრო ადრე აღიქვამს ტკივილს, ვიდრე ამას კანი იგრძნობდეს. ოჰ... გეტკინებაო, რომ გამაფრთხილონ, ის ტკივილი, რომელიც უნდა იგრძნო... რომ ფხიზლად ვიყო და შემეძლოს შევიცნო... დიდი სიმძაფრით შევიგრძნო ტკივილი... ვინაიდან, როცა შეიგრძნობ... სუსტდები... მსხვერპლად ვიქცევი... როცა შევიგრძნობ... რომ არსებობს ძალები, რომლებიც მე არ მემორჩილებიან... ანგარიშს არ მიწევენ... უკვე აღარ ვიცი... სად მტკივა... როცა ჩემამდე... აღწევს ტკივილი... ნემსისგან არა... ისე, თავისთავად... მე... ვხედავ... ჩემს მუცელს ეხებიან... თავს ძლივს ვიკავებ... მუცელზე საპონს მისვამენ... საპარსით მუცელს მპარსავენ. ქვემოთაც... მე ვერ ვუძლებ... ვყვირი... რომ თავი დამანებონ... აუტანელია, როცა ხელით სინჯავენ... ანთებიან მუცელს... გახსნილი წყლულივით მგრძნობიარეს... აუტანელია... არ ვიცი... არ მიშვებენ... მაკავებენ... ჩემი შიგნეული უძრავია... უძრავია, მე ახლა ამას ვგრძნობ... ვიცი... ლამის გამგლიჯონ გაზებმა... არ გამოდიან... ყველაფერი დადამბლავებული მაქვს... ლამის გავიგლიჯო... მე ვიცი, სიცხე ეცემა... მე ვიცი... ვის ვეახლო, ვის ვთხოვო შველა, როგორ

ავდგე, საით წავიდე?.. ვიძაგრები... ვიჭინთები... სისხლი არ მიდის... ვიცი, სისხლი იქამდე არ მიდის, სადაც უნდა მიდიოდეს... პირიდან უნდა გადმოდიოდეს... სწორი ნაწლავიდან... არა... არ გადმოდის... მაგათ არაფერი იციან... მარჩიელობენ... ხელით მსინჯავენ... ჩემს აჩქარებულ გულს უსმენენ... ჩემი მაჯა უჭირავთ... მაჯისცემა არა მაქვს... ვიხრები... ორად ვიკეცები... იღლიებში მკიდებენ ხელს... ვიძინებ... მაჩვენებენ... მე ვიკეცები... ვიძინებ... ვეუბნები... მანამდე უნდა ვუთხრა, ვიდრე დავიძინებ... ვეუბნები... თვითონაც არ ვიცი, ვის... „მდინარეზე გადავედით... ცხენებით...“ საკუთარ სუნთქვას ვისუნთქავ... მყრალს... მაწვენენ... კარი იღება... ფანჯრები იღება... გავრბივარ... მიბიძგებენ... ვხედავ ცას... ვხედავ ჩემს თავზე აციაგებულ მქრქალ შუქს... ხელს ვკიდებ... ვსუნთქავ... ვხედავ... მათ სუნს ვსუნთქავ... სადღაც წამიღეს... ჩავუარე... დერეფანში... მათ სუნს ვსუნთქავ... ჩავუარე დიდებულ ქანდაკებებს, მდიდრულ ინკრუსტაციებს, ოქროსა და თაბაშირის სტატუეტებს, ძვლისა და კუს ბაკნის ზარდახშებს, მოხატულ ურდულებსა და სახელურებს, ლირსიან და რკინისსალტეებიან სკივრებს, აიაკაუიტეს სურნელოვანი ხის მერხებს, ძველებურ სკამებს, ნაძერწ სამკაულებს, სავარძლების მოღუნულ ზურგებს, ნაირფერად როსტრებს, სპილენძის ლურსმნებს, გამოყვანილ ტყავებს, გრეხილ ავეჯს, ვერცხლის სირმით ნაქარგ,

მოოქრულ გობელენებს, აბრეშუმგადაკრულ სავარძლებს, ხავერდგადაკრულ ოტომანებს, მასიურ მაგიდებს, თასებსა და ამფორებს, ლომბერის მაგიდებს, სელის თეთრეულიან საწოლებს, გერბებსა და ვინიეტებს, ფუმფულა ნოხებს, რკინის კლიტეებს, დამსკდარ სურათებს, აბრეშუმსა და ქიშმირს, თავთასა და შალს, სარკეებს და ჭაღებს, ხელით მოხატულ ჭურჭელს... გამატარეს

მოჩუქურთმებული კოჭებისა და წითელი ხის ჭერქვეშ... ამას ისინი ხელს არ ახლებენ... ამის წაღება არ შეუძლიათ... რა იქნება, ფანჯრები გახსნან... ვბზრიალებ... დიდი ხელები... ვეებერთელა ფეხები... ვიძინებ... ჩემი გახელილი თვალების წინ მოციმციმე ცეცხლია... ცარიელი ცეცხლი... გახსენით ვარსკვლავები... არ ვიცი...

შენ დადგები იმ მთაგრეხილის კალთაზე, რომელიც შენს ზურგს უკან ზეცისკენ მიემართება... ძალას იკრებს... შენს ფეხებთან ფერდობია, ხშირი ტოტებით დაფარული, მარადიული ხმებით სავსე, ქვემოთ კი - ტროპიკული სივრცე, წყვდიადის ლურჯი ფარდები, მრგვალი, ყველაფრის გადამფარველი... კლდის პირველ საფეხურზე შედგები, დაბნეული და აღელვებული მომხდარის აუხსნელობით, იმ ცხოვრების დასრულებით, რომელსაც გულის სიღრმეში მარადიულად თვლიდი... უცვლელი

გეგონა ხვიარებით მორთულ ქოხში ცხოვრება, ცხოვრება სავსე ბანაობითა და თევზაობით, ცვილის სანთლებითა და მულატ ლუნეროთი... მაგრამ შენ წინაშე - წარსულის დაუბრუნებლობითა და მომავლის წინათგრძნობით თავზარდაცემული ბიჭის წინაშე - ღამისა და მთების ეს ახალი სამყარო გადაიხსნება. მისი ბნელი შუქი დაიბუდებს შენს თვალებში, შენი თვალები უკვე ახლებურად იხედებიან, მაგრამ ჯერ კიდევ დანისლულად, რადგან რეალობა მოგონებად იქცა; ბავშვის თვალებში, რომელიც ამიერიდან გადავა ჯერ კიდევ დაუმორჩილებლობისა და უცხოს, თვალუწვდენელი მიწისა და საკუთარი ძალების ტყვეობაში... თავისუფალი იქნება დაბადების ადგილისა და დაბადების გარემოებათა საბედისწერო ბორკილებისგან... დაიპყრობს ამ მთიდან მოსული სხვა ბედი, ახალი და უცნობი, იმ კაშკაშა ვარსკვლავებით განათებული. მღელვარებისგან სულშეგუბებული იქვე ჩამოჯდები, წინ გადაგეშლება ფართო შორეთი, ვარსკვლავებით მჭიდროდ მოფენილი ზეცის თანაბარი და მარადიული შუქი... შეუჩერებლად იბრუნებს დედამიწა დირიჟორი მზის ირგვლივ... დედამიწა და მზე საკუთარი თავის გარშემო იტრიალებენ და სხვა ციური სხეულის გარშემოც, ორივე საკუთარი სიმძიმით გატაცებული... მზის მთელი ამალა იცურებს, მის თეთრ შლეიფს ქამრად შემოირტყამენ, ხოლო ციური მტვრის ნაკადები

თანავარსკვლავედების გვერდით იქროლებენ ტროპიკული ღამის ამ ნათელი ცის კაბადონის მარადიულ ფერხულში, დაუსრულებელი - უკიდეგანო კოსმოსის დიალოგში... მოციმციმე შუქი დაგეფრქვევა შენცა და შენ გარშემო მთა-ველს. ისე თანაბრად და უწყვეტლივ, თითქოს არც დედამიწა ბრწყინავდეს და არც მთვარე, თითქოს უძრავი იყოს ვარსკვლავები, გალაქტიკა, ნისლეულები, თითქოს თავიანთ სრბოლაში არ იცოდნენ მიზიდულობის, შეჭიდულობის და ხახუნის ძალები, რომლებიც აკავებენ შენი გარემომცველი სამყაროს, მთების, შენი საკუთარი ხელების ძალას, სწორედ იმას, აღტაცებულმა ტაში რომ შემოჰკარი იმ ღამეს და პირველად წამოიყვირე... შენ მოგინდება მზერა მიაპყრო ერთადერთ ვარსკვლავს და შეიწოვო მთელი მისი ნათება, ეს ცივი ნათება,

უჩინარი, როგორც მზის დღიური შუქი... მაგრამ სითბოსგან დაცლილი შუქი... შენ თვალებს მოჭუტავ, მაგრამ სულერთია, ვერც ღამით და ვერც დღისით ვერ დაინახავ მიწის ჭეშმარიტ ფერს. მისი დანახვა ადამიანის თვალს არ ძალუძს... შენ გაოგნდები, თეთრი ნათების ყურებით გართული, რომელიც შენს თვალებში მოციმციმე წყვეტილ ნაკადად ჩაიღვრება... სამყაროს მთელი სინათლე თავიანთი წყაროებიდან გადმოიღვრება, გადატყდება კოსმოსის მკვდარ ყარიბებთან შეხვედრისას... ნაწილაკთა მოძრავ მასებში რომ შეაღწევს, სინათლის ჩქერები მყის

გაიფანტება და შექმნის ყოველივეს, რაც ირგვლივ ხილვადია, დედამიწის რელიეფს... შენ შეიგრძნობ ამ სინათლეს და თანაც... მთისა და ველის მახლობელ და მოკრძალებულ სურნელს დაიჭერ; მირტისა და პაპაიის, ღამის იისა და ტაბაჩინის, ფიჭვისა და დაფნის, ჰელიოტროპისა და ტეკოტეუეის, იის, მიმოზის, ვეფხვისყვავილას... ნათლად დაინახავ, როგორ იხევენ უკან, შორს - როგორც ყინულოვანი სანაპიროდან ზღვის მიქცევა... - ახალი აღმოჩენებით, იდუმალებაში პირველად ჩახედვით სულ უფრო შევიწროებულნი... შუქი ჩაგეღვრება თვალებში, იმავე დროს შორეულ ჰორიზონტს გადაანათებს... შენ ორივე ხელს კლდის კიდეს ჩასჭიდებ და თვალს დახუჭავ... ისევ სულ ახლოს ჩაგესმება ჭრიჭინობელების ჭრიჭინი, გზააბნეული ნახირის ზმუილი... წამით თვალდახუჭულს ანაზდად მოგეჩვენება, რომ ყველაფერი ზევით მიიწევს... ან ქვევით, მიწისკენ, რომელზეც დაფუძნებულია ყველაფერი... ეს ქორიც კი, ვერაკრუსის მდინარის ყველაზე ღრმა ხეობის თავზე რომ დანავარდობს: მერე, უძრავ კლდეზე დასვენებულ-ძალამოკრებილი, მაღლა შეფრთხიალდება, რათა იქიდან ძირს დაეშვას და ბნელ ტალღებში ჩაახრჩოს ჯიუტი ვარსკვლავები... მაგრამ შენ ვერაფერს იგრძნობ... თითქოს ამ ღამით არაფერი გარხეულა, ქარიც კი არ დაარღვევს შენს სიმშვიდეს... ეს გაუთავებელი სრბოლა, ფრენა,

სამყაროში სხეულთა წრიალი შენს თვალებში არ აისახება, შენ მიერ არ შეიგრძნობა... შენ მშვიდად განჭვრეტ გაბრწყინებულ მიწას... მთელ მიწას: კლდეებსა და საბადოებს, მთაგრეხილებსა და ერთმანეთს მიკრულ ნახნავ მინდვრებს, მსრბოლავ მდინარეებს, ადამიანებსა და სახლებს, ცხოველებსა და ფრინველებს, დედამიწის აალებულ წიაღის უცნობ ფენებს, - ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგება შეუქცეველ, ურყევ მოძრაობას, მაგრამ ხელსაც ვერ უშლის... ლუნეროსა და ჯორის მოლოდინში ქვის მაღლა სროლით გაერთობი, მერე ძირს ხევში გადაუძახებ, რომ თუნდაც წუთით ქვამ თავისი ცხოვრებით იცხოვროს, სწრაფი და დინამიკური ცხოვრებით. პაწია მგორავი მზე, ციმციმა ათინათების ხანმოკლე კალეიდოსკოპი... თითქმის ისეთივე სწრაფი, როგორიც სინათლე, მას რომ აცისკროვნებს - და აი, ეს მარცვალი უკვე ჩაიკარგა მთის ძირში, ხოლო ვარსკვლავთა ბრწყინვა ისევ გაუგონარი სისწრაფით იღვრება ზემოდან. შენი მზერა ხევისკენ დაცურებულ ქვას მიჰყვება... მუშტზე ნიკაპს დააყრდნობ და ღამეული ცის ფონზე დაიხატება შენი პროფილი... პეიზაჟის ახალი ნაწილი გახდები, მაგრამ მალე გაეცლები აქაურობას, რათა მთის გადაღმა შენი გამოუცნობი მომავალი ეძებო, თუმცა აქვე, ახლავე, სიცოცხლე შენს მომავლად

იქცევა, შენი წარსული არსებობას შეწყვეტს... უცოდინარობა თანდათან მოკვდება - და ეს ვინმეს მიზეზით კი არ მოხდება - ეს

მოხდება სულის შემაგუბებელი აღტაცებისგან... ასე მაღლა, ასე მაღლა ჯერ არასოდეს ასულხარ... ასეთი უკიდეგანო შორეთი არასოდეს დაგინახავს... ის ჩვეული მდინარისპირა პაწია ადგილი მხოლოდ ნამცეცი იყო ამ სივრცისა, რომლის არსებობა ფიქრადაც არ მოგსვლია... მაგრამ ამ მშვიდი განუსაზღვრელობის მჭვრეტელს თავი პატარად არ მიგიჩნევია. ჭვრეტდი ღრუბელთა შორეულ ზვინებს, აბიბინებულ მდელოებსა და ცის ასვეტილ სიმაღლეს... თავს უკეთ, უფრო მშვიდად იგრძნობ... ყველაფრისგან შორს... შენ არ გეცოდინება, რომ ახალ მიწაზე ხარ, სულ ახლახან რომ გამოაღწია ზღვას, რათა უზარმაზარ მთებს შესჯახებოდა და მესამეული პერიოდის ძლიერ ხელს პერგამენტივით დაეჭმუჭნა... ჰორიზონტამდე გადაჭიმულ მინდვრებს ზემოთ, ამ მთაზე მდგარს შენი თავი ძალიან მაღალი მოგეჩვენება... და საკუთარ თავს ამ ღამეში მზის მიერ სადღაც კუთხეში მიჭეჭყილს აღმოაჩენ... აგერ, იქ, მაღლა, ნუთუ ასე ახლოს არიან თანავარსკვლავედები, როგორც ეს შეუიარაღებელ თვალს ეჩვენება, თუ ერთმანეთისგან გამოუთვლელი დროით არიან გაყოფილი?.. ალბათ, რომელიმე სხვა პლანეტა იტრიალებს შენ ზემოთ, და ამ პლანეტას თავისი დრო ექნება; იქნებ ეს შორეული და ბნელი ბრუნვა ახლაც დროის რაღაც საზომს ამთავრებს, მერკურისეული გამოთვლის ერთადერთი წლის ერთადერთ დღეს, არასოდეს რომ არ დაემთხვევა შენს

დღეებსა და წლებს. და ეს „ახლაც“ არ ემთხვევა შენსას, ისევე როგორც შენს სინამდვილეს არ ემთხვევა ვარსკვლავთა სინამდვილე, რომელთაც ისევ დაუწყებ ცქერას და იმკითხავებ, რომელ წარსულს, იქნებ უკვე დაღუპულსაც, ეკუთვნის ეს შუქი... შუქმა, რომელსაც შენი თვალები დაინახავენ, თავისი გზა მრავალი წლის, მრავალი შენი საუკუნის მიღმა დაიწყო. ნეტავ კიდევ ცოცხალია ეს ვარსკვლავი?.. იგი ცოცხლობს, სანამ შენი თვალები ხედავენ მას... მკვდარ ვარსკვლავს რომ შეჰყურებდი, შენ მხოლოდ მომავლის იმ ღამეს მიხვდები, როდესაც ბოლოს და ბოლოს შენს თვალებში შუქი აღარ ჩაიღვრება, თუ კიდევ იარსებებს იგი - შუქი, რომელსაც გიგზავნიდა ვარსკვლავი, სანამ ცოცხალი იყო, რომელსაც შენ ხედავდი, როგორც შორეული წარსულის ათინათს და შენი მზერით ლოცავდი... იმას, რაც მოკვდა, კიდევ დიდხანს ცოცხლად ჩათვლი... ამ ჩამქრალი, გაქვავებული წყაროდან სინათლე შორეულ დროში იქროლებს და იქროლებს ერთი ბიჭის თვალებისაკენ... შორეულ დროში... რომელიც შემდგომ შეივსება სიცოცხლით... საქმეებით, აზრებით, მაგრამ ვერასოდეს შეძლებს წარსულის პირველი წერტილის მომავლის ბოლო წერტილთან დაკავშირებას... მეხსიერების ცალკეულ გაელვებაში, ცალკეულ სურვილთა აღმაფრენაში იარსებებს, მაგრამ გაქრება, როდესაც ამოიწურება სიცოცხლე - იმ უცნაურ

არსებაში განხორციელებული, როგორიც ხარ შენ, ბიჭუნა ან უკვე მომაკვდავი მოხუცი, თითქოს ჯადოსნურად რომ აერთიანებ საკუთარ თავში იმ პაწაწინა მწერებს, ამ ღამით მთის ფერდობზე რომ დაცოცავენ, და სამყაროს ცის

კაბადონზე მორიალე უთვალავ მნათობს... დუმილის იმ წუთში მიწაზე არაფერი მოხდება; იქნებით მხოლოდ შენ და ცის კაბადონი... ყველაფერი იარსებებს, იმოძრავებს, განცალკევდება და იმავე დროს დაიშლება, დაჩაჩანაკდება და დაიღუპება - მოთქმისა და მშველელის მოუხმობლად... მზე ცოცხლად იწვავს თავს, რკინა ფერფლად იქცევა, ენერგია სივრცეში იფანტება, სხეულის მასასაც რადიაცია შლის, მიწა ცივდება, კვდება... შენ კი ლუნეროსა და ჯორს დაელოდები, რომ მთები გადაიარო და ცხოვრება დაიწყო, დრო შეავსო, მონაწილეობა მიიღო იმ მკაცრ თამაშში, რომლითაც ცხოვრება წარიმართება და ამავე დროს მოკვდება; მონაწილეობა მიიღო გიჟურ როკვაში, რომელშიც დრო საკუთარ თავს ნთქავს და ცოცხალს არაფერს შეუძლია გაქრობის შეუქცევადი პროცესი შეაჩეროს... ბიჭი, დედამიწა, სამყარო: ერთხელაც თქვენ სამს აღარ გექნებათ, აღარც შუქი, აღარც სითბო, აღარც სიცოცხლე... მხოლოდ უნივერსალური ერთიანობა გექნებათ - უსახელწოდებოდ და უადამიანოდ, რომელიც მას სახელს დაარქმევდა: ურღვევი სივრცე და დრო, მატერია და ენერგია... და ყველაფერს მხოლოდ ეს სახელი ერქმევა.

არაფერი... მაგრამ ჯერ არა... კიდევ იბადებიან ადამიანები... შენ კიდევ გაიგონებ ლუნეროს გაბმულ „აუუს“ და კლდოვან ბილიკზე ნალების წკარუნს... კიდევ უფრო აგიჩქროლდება გული - ბოლოს და ბოლოს მიხვდები, რომ დღევანდელი დღიდან იწყება შენი დაკლაკნილი გზა, რომ სამყარო შენ წინ ისახება და თავის დროს გთავაზობს... შენ არსებობ... შენ მთელი სიმაღლით ხარ აღმართული მათზე... ლუნეროს ძახილს სტვენით გაეპასუხები... შენ იცოცხლებ... შენ იქნები წინააღმდეგობის შუაგული და სამყაროს აზრი... შენს სხეულს ექნება აზრი... აზრი ექნება შენს სიცოცხლეს... შენთვის აალდება გალაქტიკები და აენთება მზე... რომ შენ გიყვარდეს, რომ შენ იცოცხლო, იარსებო... რომ შეეჯახო ყოფიერების საიდუმლოს და მოკვდე. ასევე შეუცნობელი, რადგან მას მხოლოდ მაშინ ჩასწვდები, როდესაც თვალებს სამარადჟამოდ დახუჭავ... შენ, 13 წლის კრუსი, სიცოცხლის დასაწყისთან დგახარ... მწვანე თვალები, გამხდარი ხელები, შავი, მბზინავი თმა... შენ მეგობარი ხარ სადღაც მიყრუებულ ადგილას დარჩენილი მულატისა... შენ დედამიწის ადამიანი იქნები... შენ ლუნეროს გაბმულ „აუუუს“ გაიგონებ... შენ გაამართლებ ცივი უსასრულობის, უკიდეგანო სამყაროს არსებობას... შენს ყურს კლდოვან ბილიკზე ნალების წკარუნი მისწვდება... შენში გაერთიანდება ვარსკვლავები და დედამიწა... შენ გაიგონებ თოფის

სროლის ხმას და ლუნეროს ყვირილს... თითქოს უსასრულო დასაწყისი აქვს და არც დასასრული ექნება, თავს მოგეხვევა ცხოვრების ყველა აღთქმა: აღთქმა სიყვარულისა და მარტოობისა, სიძულვილისა და შრომისა, ძალმომრეობისა და სინაზისა, მეგობრობისა და გულგატეხილობის, დარდისა და თავდავიწყების, არცოდნისა და გაკვირვებისა. შენ მხოლოდ ღამის სიჩუმეს გაიგონებ - აღარ გამოგეპასუხება ლუნერო, - შენს გულში, იმ ღამით სიცოცხლის შესახვედრად გადახსნილ შენს გულში, შენს გადახსნილ გულში.

*** * ***

1889 წლის 9 აპრილი

იგი ამქვეყნად მოვლენილი პაწაწინა გუნდაა. თავი დედის სისხლით აქვს მოსვრილი, რომელთანაც რაღაც ძაფებით ჯერ კიდევ არის დაკავშირებული. როგორც იქნა, ცხოვრების შესახვედრად გამოვიდა.

ლუნერომ ისაბელ კრუსს, ანუ კრუს ისაბელს, თავის დას, ხელები მაგრად მოუჭირა და თვალები დახუჭა, რათა არ დაენახა, რაც ხდებოდა. შემდეგ ზურგშექცევით მდგარმა დას ჰკითხა: „დღეები გამოთვლილი გაქვს?“ მაგრამ ქალმა ვერ უპასუხა, რადგან ყვიროდა, ყვიროდა ჩუმად, ტუჩებმოკუმული, კბილებდაკრეჭილი, გრძნობდა, რომ ბავშვის თავი უკვე გამოჩნდა. უკვე მოდიოდა. ლუნეროს დის ხელები ეკავა. მხოლოდ ლუნერო ჰყავდა გვერდით, ცეცხლზე წყლიანი თასი თუხთუხებდა, დანაც იქვე იდო და შესახვევი ჩვრებიც მომზადებული ჰქონდა. მუცლის სულ უფრო და უფრო ხშირი ჭინთვით იძულებული ნაყოფი დედის სხეულს ტოვებდა. ლუნერო იძულებული გახდა, ისაბელ კრუსის, კრუს ისაბელის წინ მუხლებზე დაეჩოქა და თავისი

ხელისგულებით დაეჭირა სველი, მუქი თავი, აეყვანა პაწია, უმწეო სხეული, ისაბელ კრუსთან - კრუს ისაბელთან ჯერ კიდევ გაუთიშავი. აი, სხეული სულ დაშორდა დედას - ქალმა კვნესა მიატოვა, ღრმად ამოისუნთქა, თეთრი ხელისგულებით შავგვრემანი სახიდან ოფლი მოიწმინდა და ძებნა დაუწყო, ფათურით ძებნა დაუწყო ახალმოვლენილ არსებას. ლუნერომ ჭიპლარი მოჭრა, ჭიპი შეუხვია, დაბანა ბავშვი, სახე გაუწმინდა, ხელი გადაუსვა, აკოცა და დას გაუწოდა. მაგრამ ისაბელ კრუსმა, კრუს ისაბელმა, ისევ დაიკვნესა უკანასკნელი შეტევისგან, გარედან კი მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა, ნაბიჯები ქოხს უახლოვდებოდა, სადაც შიშველ იატაკზე პალმის რტოების ჭერქვეშ მულატი ქალი იწვა. ნაბიჯები ახლოვდებოდა, ლუნერომ კი ჩვილი თავდაყირა დაიჭირა და ხელი შემოჰკრა, შემოჰკრა ხელისგული, რათა ეტირა, სანამ ნაბიჯები მოუახლოვდებოდა. ბიჭმაც იტირა, იტირა და სიცოცხლე დაიწყო...

* * *

მე არ ვიცი... არ ვიცი... ის მე ვარ?.. შენ ის იყავი? თუ მე სამივენი მე ვარ? შენ? შენ ჩემს არსებაში გატარებ და ჩემთან ერთად მოკვდები... ის... მას ჩემს არსებაში ვატარებდი და ჩემთან ერთად მოკვდება... სამივე... მე... ჩემს არსებაში წაგიღებ და მოვკვდები... მარტო...

* * *

შენ უკვე ვეღარაფერს გაიგებ, ვერ დაინახავ ამ ღამით გადახსნილ შენს გულს... გაიძახიან: „სკალპელი, სკალპელი...“ მე კი მესმის, იმიტომ, რომ კიდევ ვგრძნობ, მესმის ის, რაც შენ უკვე აღარ გესმის, ვეღარ გაიგებ... მე - ის ვიყავი, ვიქნები შენ... მე ვუსმენ შუშებს შორის, ლამპის ქვეშ, სიღრმეში, შენ ქვემოთ, შენ მაღლა... „სკალპელი...“ გკვეთენ, იარა მოგიწვეს... მუცლის ღრუ გაკვეთეს... ზუსტი, თხელი, ცივი დანა კვეთს... მუცელში სითხეა ჩამდგარი... უფრო ღრმად შედიან... აწყდებიან ანთებიანი შიგნეულის გაბერილ გორგალს შენი მაგარი, სისხლით სავსე ჯორჯალის ქვეშ... მათი აზრით, ცირკულარული განგრენაა... რომელიც მყრალი სითხითაა ავსებული... ლაპარაკობენ, იმეორებენ... „ინფარქტი...“ „მეზენტერიის ინფარქტი...“ შენს ახდილ მუქწითელ, თითქმის შავ ნაწლავებს დაჰყურებენ... ლაპარაკობენ... იმეორებენ... „პულსი...“ „ტემპერატურა...“ „წერტილოვანი გახვრეტა...“ გჭამს, გღრღნის... სისხლიანი სითხე წვეთავს შენი გაკვეთილი მუცლიდან... ლაპარაკობენ, იმეორებენ.... „ამაოა...“ „ამაოა...“ სამნი... აი, შენადედი სცილდება, მოსცილდა შავ სისხლს... გაცურდება, შეჩერდება... შენს გაყინულ თითებს... არ გრძნობენ... შენს მოშავო-მოლურჯო ფრჩხილებს... შენს

მოცახცახე ყბებს... არტემიო კრუს... „გული...“ „მასაჟი...“ „ამაოა...“ შენ უკვე აღარ გეცოდინება... მე ჩემს არსებაში გატარებდი და შენთან ერთად მოვკვდები... სამივე ერთად... მოვკვდებით... შენ... კვდები... ის მოკვდა... მოვკვდი... მეც...

დამშვიდებული სინდისი

ნანი მაძაღუას თარგმანი

„ქრისტიანები ესაუბრებიან ღმერთს, მეშჩანები საუბრობენ ღმერთზე“.
სიორენ კერკეგორი

„ადამიანები შებღალულ სინდისს უფრო ურიგდებიან, ვიდრე შებღალულ რეპუტაციას“.
ემანუელ მუნიე

ხაიმე სებალიოსი ვერასოდეს დაივიწყებს ივნისის ამ ღამეს. შესახვევში, სახლის ცისფერ კედელს მიყრდნობილი გაჰყურებდა, როგორ ეფარებოდა თვალს მისი

მეგობარი ხუან მანუელი. მასთან ერთად შორდებოდნენ ხელისუფლების ტყვეობაში ჩავარდნილი მამაკაცის, მარტოხელა ქალის, გუშინ გარდაცვლილი საბრალო, მსუქან-მსუქანი კომერსანტის სახეები და რაც მთავარია, შორეულ სივრცეში ქრებოდა აწ უკვე აზრდაკარგული სიტყვები: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად...“ გულგრილობისა და მყუდროების უფსკრულში ნამსხვრევებად, მარცვლებად იკარგებოდნენ ისინი. ბიჭი თავს მშვიდად გრძნობდა. ვალდებულიც არის მშვიდად იყოს. ხაიმე სებალიოსი ახლა ჩურჩულით წარმოთქვამდა თავის გვარს: სებალიოსი. რატომ ჰქვია ასე? ვის და რატომ ერქვა დღემდე ეს სახელი? ნუთუ ამ ცივ, უკადრისა ყვიციანებს, კორსეტშემოჭერილ აჩრდილებს, რომელთა პორტრეტებიც მამამისმა სიკვდილის წინ ჩამოკიდა საძინებლის კედლებზე? გუანახუატოელი სებალიოსები, პატივსაცემი ოჯახი. პატიოსანი კათოლიკეები, წესიერი ადამიანები. არა, ესენი არ არიან აჩრდილები. სურს თუ არა, ხაიმე გულში ინახავს მათ სახეებს. ცამეტი წლისა ჯერ კიდევ თამაშობდა ძველ, უბორბლო კარეტაში, მტვრიან ფარდულში რომ ინახება. მაგრამ არა, ჯერ ისინი იმ სახით უნდა მოიგონოს, როგორიც მამამისის საძინებლის კედლებიდან გახუნებულ დაგეროტიპებზე აღბეჭდილნი გამოიყურებიან.

ხაიმე მოიგონებს მათ. მოიგონებს მათ სახელებს, მათ თავგადასავლებს. აი, მათი სახლი, ნესტიანი და პირქუში. სახლი, რომლის კარები და ფანჯრები ერთიმეორის მიყოლებით იკეტებოდა ხან სიკვდილის, ხან დავიწყების, ხანაც, უბრალოდ, ამაოებათა გამო. მისი ხანმოკლე ყრმობის სახლი, ოჯახი, რომელშიც მას სურდა კეთილმსახური ქრისტიანი ყოფილიყო. სახლი და ოჯახი. გუანახუატო. იგი დაუსრულებლივ მოიგონებს მათ სახეებს, თავგადასავლებს.

ბიჭი წინაპართა სახლში შებრუნდა. მთვარე ამოვიდა. გუანახუატო გულუხვად აბრუნებდა მის შუქს, არეკლილს გუმბათებზე, აივნების რიკულებსა და ქვაფენილებზე. სებალიოსების ქვითკირის სახლმა ფართოდ გაუღო თავისი ფართო მწვანე სადარბაზოს კარი ხაიმეს.

1

აი, ისიც, ეს დიდი ქვითკირის სახლი, სადაც დღესაც ცხოვრობს ოჯახი. გუანახუატოს ისტორია მუქი ფერებით აღბეჭდავს ვარდისფერ ქვის კედლებს, სებალიოსების ბედს, მათ საძინებლებსა და დერეფნებს. დიდი ქვითკირის სახლი, რომელიც მორელოსის[71] ბაღის დაღმართსა და წმინდა როხას ქუჩას შორის მდებარეობს, იმავე წმინდანის ტაძრის მოპირდაპირე მხარეზე, მცირე მოედნიდან რამდენიმე ნაბიჯზე, რომელიც იმით არის ცნობილი, რომ იქ წლიდან წლამდე - ბუნებრივი დეკორაციების - ფარნების, ხეების, აივნების, ჟანგმიწით შეღებილი კედლებისა და ქვის ჯვრების ფონზე - სერვანტესის ინტერმედიების წარმოდგენა ეწყობა.

სიცოცხლე სახლში ნელა მიზოზინებს და მასში რაღაცნაირი დახავსებულობა იგრძნობა - არათუ ძველ კედლებსა და დანესტიანებული ჭერის კოჭებში, თვით ჰაერშიც, ღამე რომ დაგუბებულა და პორტიერების ნაკეცებში ჩამჯდარი მტვრის სუნით გაჟღენთილა. ამ პორტიერებით სავსეა სახლი: მწვანე ხავერდისა სადარბაზო აივნის კარებზე კიდია, ძველებური ოქროქსოვილი აბრეშუმის ფარდები - ცოლ-ქმრის საძინებლების კარებზე;

ჩითისა - სხვა ოთახებში. როცა მთებიდან მონაბერი ქარი კვნესით შემოვარდება, პორტიერები მოქნილი ხელებივით მაღლა აიწევიან, შეირხევიან და მაგიდებსა და სტატუეტებს გადააყირავებენ. თითქოს ვიღაცის მძლავრი ფრთები კედლებს მოხვევია და სახლის ცად აზიდვა მოუწადინებიაო. მაგრამ ქარი ჩადგება თუ არა, მტვერი ისევ მყუდრო ადგილს იკავებს.

სანთლის შუქზე მკაფიოდ იკვეთება ზოგიერთი საგანი: სასტუმრო ოთახის დიდი საათი, ბაბუა ფრანსისკოს მოვერცხლილი ხმალი, ხილის ბრინჯაოს ლარნაკი, რომელიც ბნელი სასადილო ოთახის შუაგულში უცვლელად ბზინავს, ფიცარი პატარა ზარით სამზარეულოს კართან და თვით სამზარეულოში - შორენკეცი, თიხის და სპილენძის ჭურჭელი. პატიოში[72] ქვით მოპირკეთებული შადრევანი სიბნელეში თეთრად მოჩანს; თვითონ სახლი მუქი ყავისფერია; მაღალი ჭერი კოჭებით, მომწვანო შპალერგაკრული კედლები, აბრეშუმგადაკრული დაწნული მუქი ავეჯი.

დარბაზები და საძინებლები მესამე სართულზეა; უზარმაზარ წინკარში დაღმართის მხრიდან შედიხართ, მის სიღრმეში მქრქალ შუქს აფრქვევს პატიო; იქვე, მარჯვნივ,

განიერი, სასახლისებრი ქვის ფართო კიბეა, მაღალ კედლებზე - ქვაში ამოკვეთილი ქალაქის გერბი და კიბის მოედანზე - სურათი „ჯვარცმა“. კიბეს ვრცელ სასტუმრო დარბაზში მივყავართ, ოდესღაც რომ თეთრი, ხალისიანი და ქვის ფილებით მოპირკეთებული ყოფილა, თეთრი კედლებითა და კაკლის ხის ავეჯით დამშვენებული. ახლანდელი სახე მას ბაბუამ, პეპე სებალიოსმა მისცა: მძიმე ფარდები, მასიური შანდლები და მომწვანო შპალერი, პარკეტის იატაკი,

ყავისფერ აბრეშუმგადაკრული ტახტები და ლაჟვარდისფრად შეღებილი სვეტები. წმინდა როხას მოედანს ოთხი აივანი გადაჰყურებს, ოთხივე ამ დიდი სასტუმრო ოთახიდან გამოდის. ოქროქსოვილი პორტიერა გამოყოფს მას მომიჯნავე უფანჯრო ოთახიდან, სადაც უწინ ორკესტრი იყო მოთავსებული. მქრქალმინებიან და ფლორენციულად მოხატულ კარს მივყავართ ბნელ, პირქუშ სასადილოში, რომლის უკან, მთელ სიგრძეზე, სამზარეულოა. ასეთივე მეორე კარის უკან ბიბლიოთეკაა გაშავებული ტყავის სავარძლებით, საიდანაც პატიოს თავზე მდებარე გალერეაში შეიძლება გახვიდე და სადაც მწვანე ხავსზე რაკრაკით მოჩუხჩუხებს წყალი. სამკუთხედად განფენილ გალერეას ბიბლიოთეკის, დიდი საძინებლისა და ხაიმეს საძინებლის ფანჯრები გადმოჰყურებს. საძინებლებს იქით საუკუნის დამდეგს ნაშენი საერთო სააბაზანოა,

დღემდე რომ შემოუნახავს მოოქრული ონკანები და ლომის თავები, რომლითაც პეპე სებალიოსს თავისი სააბაზანო მოურთავს და იქ დღემდე მიედინება ყავისფერი, რკინაგარეული წყალი, რომლითაც გუანახუატოს მკვიდრნი განიბანებიან.

შემოსასვლელის მარცხნივ, აბლაბუდებით დაფარულ დიდ ფარდულში, ინახება სკივრები, გადაყრილი სურათები, დამტვრეული ავეჯი, ფიცრები, პეპლების კოლექციები, რომელთა ფრთები შუშის ნამსხვრევებთან არეულა, დაბინდული სარკეები, თივის ზვინები, პოლ ფევალის, დიუმას, პონსონ დიუ ტერაილის რომან-ფელეტონების გაქექილი ტომები, წინა თაობათა საკითხავი წიგნები. აქვეა წყობიდან გამოსული ძველი საკერავი მანქანები, უბორბლებო ტილბიური, შავი კარეტა - ჩრჩილების ბუდე, ნაჭრებით დატენილი ზარნაშოს ფიტული, გაშავებულ ვერცხლის ჩარჩოში პორფირიო დიასის[73] ლითოგრაფია, ძველმოდური მკერდგანიერი მანეკენი; ზემოთ, ძალიან მაღლა, დატანებულია მრგვალი სარკმელი, საიდანაც მკრთალი შუქი ატანს. ეს ყოფილი საკარეტო ფარდული გახლავთ.

როგორც შუქი უფრო გამოკვეთს ხოლმე ზოგიერთ საგანს სახლში, ისე ხაიმეს

მოგონებებშიც გამოირჩევა ფარდულში მიგდებული ზოგიერთი ნივთი. აგონდება ყვითელი გარეკანი სკივრში ჩაგდებული წიგნისა „XIX საუკუნე“[74] - სამშობლოს მადლობა გენერალ პრიმს[75] იმისათვის, რომ მონაწილეობა არ მიუღია იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ავანტიურაში. ახსენდება ბაბუა ფრანსისკოს მოვერცხლილი ხმლები, გადაჯვარედინებული რომ ეკიდა სასტუმრო ოთახის კედელზე. რამდენჯერ უთამაშია ხაიმეს ამ ხმლებით, ხან ვითომ ყაჩაღებს იგერიებდა, ხან რაინდთა ასპარეზობას, მუშკეტერების დევნას ასახიერებდა. ახსენდება ბაბუისა და ბებიის დიდი, ოვალური ფოტოსურათები. ერთხელ სკივრში იპოვა შავი ვუალი, რომელიც ბებიას, ალბათ, პეპე სებალიოსის დაკრძალვის დღეს ეკეთა.

ზომავდა, რომ ამერიკაში ჩვენ ასეთი მნიშვნელოვანი ბატონები ვიქნებოდით! ხანდახან მეშინია კიდეც. არ დაივიწყოთ, შვილებო: ჩვენ თუ ხალხში გამოვედით, მხოლოდ და მხოლოდ პატიოსანი შრომის წყალობით. ჩვენ არისტოკრატები არა ვართ, უბრალო, ლიბერალურად მოაზროვნე ოჯახი ვართ. წმინდა ღვთისმშობელო! ხანდახან მინდა, ჩვენმა ყოფილმა პატრონმა, იმ სანტა კრუსმა, ახლა დაგვინახოს!

დედა და შვილები გულიანად ხარხარებდნენ ამ ხუმრობაზე, მაგრამ, თუ პანფილო დონია მარგარიტას ამ სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით იგებდა, პეპე მაინც სიამაყით ივსებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ასე გამდიდრდნენ ამერიკაში.

პანფილო უფრო შრომისმოყვარე, ხოლო მეორე ძმა უფრო გამჭრიახი გახლდათ. პანფილო მაღაზიას დილის 7 საათზე აღებდა და დახლს აღარ შორდებოდა, - „კარგ მაუდს შინ, სკივრშიაც გაყიდი“, - მხოლოდ ცოტა ხნით თუ მიდიოდა შინ სასაუზმოდ და მალევე ბრუნდებოდა მაღაზიაში, რომელშიც ახალ-ახალი ჩითეულის, აბრეშუმეულის, შალეულის სუნი ტრიალებდა; პეპე, პირიქით, საღამოებს საზოგადოებაში ატარებდა, ცდილობდა გაეგო, ამ ქალებსა და მამაკაცებს რაგვარი სამოსის შეძენა სურდათ, რომ ხვალვე ან ნიმუში, ან თარგი გამოეგზავნა. მაღაზიაში ათ საათზე ადრე არ ცხადდებოდა და ხშირად მიდიოდა - ხან ისევ სტუმრად, ხან ოლია და სან-რენოვატოს კაშხლებზე სასეირნოდ და კლიენტების მოსაძებნად, საღამოობით კი ხშირად ბანქოს სათამაშოდ დადიოდა. ხშირად მიემგზავრებოდა მექსიკაში. მადრიდული კილო, ბავშვობაში რომ ჰქონდა, სულ დაავიწყდა, პანფილოს კი მაგრად ეჭირა თავი და „ს“ -ს კასტილიურად წარმოთქვამდა. პეპე ქერა, ცისფერთვალება, სხარტი კაცი იყო. პანფილო - ხშირწარბიანი, მძიმე ნაბიჯით მოსიარულე. უფროსი ძმა თავს უფლებას არ აძლევდა, ქსოვილებით ვაჭრობას რაც არ შეეხებოდა, იმაზე ეფიქრა, უმცროსი მხოლოდ შემთხვევას ელოდა, რომ ცხოვრების ნირი შეეცვალა. პანფილო უცოლშვილოდ გადაეგო. ხოსე 1873 წელს სენიორიტა გილიერმინა მონტანიესზე დაქორწინდა. იმავე წელს გუბერნატორმა ფლორენსიო ანტილიონმა გადაწყვიტა, აეშენებინა ხუარესის თეატრი. წაწვეტებული წვერ-ულვაში, სენიორ გუბერნატორის ფრიდრიხისებური ელვარე ჩექმა, თეთრი შარვალი, ოქრომკედით ნაქარგი დიდსაყელოიანი ლურჯი ხიფთანი და ბუმბულიანი ქუდი ამ ქორწილის ნამდვილი მშვენება გახლდათ.

დონია მარგარიტამ ოჯახში თუმცა მიიღო ღვთისმოსავი, მკაცრი, იუმორის გრძნობამოკლებული გილიერმინა, მაგრამ სიყვარულით არ უყვარდა. „წმინდა ქალწულო! ჩანს, ამ სახლს ხუმრობის გარეშე არსებობა უწერია“. ხანდახან დონია მარგარიტა, თითქოს რძლის გაკენწვლა უნდაო, ჰყვებოდა ანდალუსიელ ქალიშვილებზე, ესოდენ რომ უყვარდათ ცეკვა და სიმღერა. მისი სიტყვები, როგორც ტალღით მოტანილი ქაფი ქვიშაზე, ისე ჩაივლიდა მშვიდი და თავდაჭერილი რძლის ყურებს მიღმა. წაბლისფრად გადახრუკული ზეგანი

სამხრეთ ესპანეთის ბაღებს აშკარად ჯაბნიდა. სებალიოსები გამექსიკელდნენ: იმ დროიდან, რაც გილიერმინა მათ ოჯახში შემოვიდა, მისი სახე კაცს ერმენეხილდო ბუსტოსის[89] სურათებს მოაგონებდა. ხალხში - ყვავილები, დეკოლტე, შინ - მოწყენილი სახე, მაღალი საყელო, მუქი ფერები. გილიერმინა მონტანიესი ძველი გვარის წარმომადგენელი ბრძანდებოდა, მათი სიმდიდრე მაღაროთა დამუშავებაზე იყო დაფუძნებული. როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროიდან ამ სახის საწარმოებს მძიმე დროება დაუდგა, მაგრამ ქონების შემცირებამ გილიერმინასა და მის ნათესაობას მხოლოდ სიამაყე შესძინა: საშუალო წოდების ადამიანები, თავი რომ არისტოკრატებად იგრძნონ, ხალისით ეძლევიან წარსულზე სევდას. ცოლის ამ ხასიათის გამო ქსოვილებით ვაჭრობა პეპეს უფრო მობეზრდა და უმაღლეს წრეებში შეღწევა გადაწყვიტა. ტუსტეპეკის აჯანყებამ[90] და მთავრობაში პორფირიო დიასის მოსვლამ მის ბედზე დიდი გავლენა მოახდინა. ოახაკელ მებრძოლთან[91] ერთად ცენტრალური ადმინისტრაციის ორგანოში მონტანიესების ნათესავები და სებალიოსების მეგობრები მოვიდნენ - ახალი ადამიანები, რომელთაც ლერდო დე ტეხადას ხალხი შეცვალეს, და პეპემ მოუხშირა მეხიკოში მოგზაურობას. აქ მან ერთი რამ შეიტყო: სამთამადნო მრეწველობა აღორძინდება. დიასი ყველა სახის ტრანსპორტით მის იაფად გადაზიდვაში დაეხმარება. დაბალსინჯიანი ლითონების გასაწმენდად და გამოსადნობად საზღვარგარეთიდან შემოზიდავს უახლეს დანადგარებს. გაზრდის მრეწველობისათვის ლითონზე მოთხოვნას. პეპემ ძლივს დაარწმუნა გილიერმინა, - რადგან მას წარსულზე კაეშანი უფრო იზიდავდა, ვიდრე ახალ აღორძინებაზე ფიქრი, - გაეყიდათ რამდენიმე ოქროს ძველი საბადო, დაეწყოთ ახლის დამუშავება, მოეპოვებინათ ვერცხლისწყალი, ტყვია და კალა. შეამხანაგებოდნენ ერთ ბრიტანულ წარმოებას და 1890 წლისათვის საბადოების ექსპლუატაცია კარგა გვარიან მოგებას მისცემდათ. პეპე სებალიოსის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა ამით არ ამოწურულა. გამოუყენებელ მიწებზე 1894 წლის კანონმა საშუალება მისცა - არალეგალურად, მაგრამ დიასის ადმინისტრაციის ჩუმი თანხმობით - 48 000 ჰექტარი მიწა ეყიდა იმ ზოლში, რომელიც მიჩოაკანის შტატს ესაზღვრებოდა. ამ შტატში პეპემ კიდევ 3 000 ჰექტარი შეიძინა - გუანახუატოს მამულების ხორბალს, ლობიოსა და იონჯას სუბტროპიკული ხილიც მიემატა.

1903 წელს, როცა პრეზიდენტმა დიასმა ბრინჯაოს კაპიტელებქვეშ და მუზათა სტატუეტებს შუა ჩაიარა, რათა ხუარესის თეატრი გაეხსნა, სებალიოსებს ერთ-ერთი საპატიო ლოჟა ეკავათ. ოჯახს პეპე მესვეურობდა: ლოყაღაჟღაჟა, ღიპიანი, იმპერატორ ფრანც-იოსების სტილის ჭაღარა ულვაშითა და წვერით. მას ახლდნენ: ცივი, ქედმაღალი გილიერმინა; ისევ ისეთივე გულკეთილი, თუმცა, უკვე ოთხმოცი წლის დონია მარგარიტა და თავმდაბალი ვაჭრის მორჩილების განსახიერება - ბუზღუნა პანფილო; ლერდიზმის განადგურების შემდეგ ღარიბ ნათესავებად ქცეული, მლიქვნელურად ლაქუცა ლემუსები და მოტიტინე როდოლფო და ასუნსიონი, - უმწიკვლო ქორწინებით დაბადებული ეს ორი

ბავშვი პირველად იჯდა უფროსებთან. ეს საღამო, შეიძლება ითქვას, ხოსე სებალიოსის დიდების მწვერვალი იყო. „აიდას“ მეორე ანტრაქტში გუბერნატორმა ობრეგონ გონსალესმა ანიშნა, პრეზიდენტის ლოჟაში შესულიყო დონ პორფირიო დიასთან სასაუბროდ. ბოლო აქტის დროს მსმენელთა უმრავლესობის ყურადღება ორად გაიყო, - ცოცხლად დამარხული ეთიოპიელ-ეგვიპტელი წყვილის ნაღვლიან სიმღერასა და საპატიო ლოჟაში პოლიტიკურ-სოციალური წყვილის ხმადაბლა საუბარს შორის.

- თქვენი დასწრება დიდი პატივია ჩვენთვის. ეს საღამო ყველას დაამახსოვრდება, - თქვა პეპემ.

- გუანახუატო მექსიკის პროგრესის ბასტიონია, - მიუგო დონ პორფირიომ.

- ხვალ ნახავთ, რა მშვენიერი დღესასწაული გაგვითენდეს. აიუნტამიენტომ ძალა არ დაიშურა, - განაგრძობდა პეპე, რომლისთვისაც ზოგადი ფრაზები გაუგებარი იყო.

- მშვენიერია, მშვენიერი, - მოიწონა დონ პორფირიომ, - ესეც საჭიროა. მშვიდობა ისე დიდ გარჯად დაგვიჯდა, რომ მექსიკელებს უფლება გვაქვს დროდადრო ვიმხიარულოთ.

- მშვიდობა მხოლოდ თქვენი წყალობაა, სენიორ პრეზიდენტო, - დაასკვნა პეპემ.

ამ გულითადი საუბრის შემდეგ ოჯახში მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა. დონია მარგარიტა 1905 წელს, დიდი წყალდიდობის წელს გარდაიცვალა. პანფილო მაღაზიის თავზე სახლში გადასახლდა. ეს გონებაშეზღუდული დახლიდარი დედის დაუხმარებლად მოდის ცვალებადობას ალღოს ვერ უღებდა. ტურნიურიდან ვიწრო ქვედაკაბაზე, მუქი ქსოვილიდან „ფანტაზიის“ ტონებზე გადასვლა ძველმა სოვდაგარმა დროულად ვერ შენიშნა. ტყუილად როდი დაარიგა დედამ სიკვდილის წინ: „უყურე და დააკვირდი, როგორ იცვამს ედუარდ VII“. პანფილო ვერ მიხვდა ამ სიტყვების ღრმა აზრს და მაღაზია მალე გადაიქცა საზეიმო შემთხვევებისათვის ქსოვილების სავაჭროდ - ყიდულობდნენ მხოლოდ ოფიციალური ცერემონიებისა და დაკრძალვების ჟამს. მწარე ღიმილით უთვალთვალებდა პანფილო, ძველი კლიენტები როგორ მიდიოდნენ მაღაზიაში, რომელიც მოპირდაპირე კუთხეში გუანახუატოში სულ ახლახან ჩამოსულმა ესპანელმა კომერსანტმა, ვინმე დონ ხოსე ლუის რეგულესმა გახსნა.

მორელოსის ბაღთან, თავდაღმართზე მდგარი განმარტოებული სახლი გახლდათ ის ადგილი, სადაც ხშირად დღესასწაულებზე ზეიმები ტარდებოდა. პეპე სებალიოსს, დედის ასლსა და კვალს, ერთობ უყვარდა ეს მხიარული აურზაური, საცობების სროლა, ვიოლინოს ხმა და აბრეშუმის ქვედაკაბების შრიალი. იმ წლებში მითქმა-მოთქმის საგნად ქცეულ ასეთ საღამოებზე გილიერმინა ხაზგასმული არისტოკრატიულობის კონტრასტულ ტონს ქმნიდა. განმარტოებულ ქვის სახლში ერთმანეთს ხვდებოდნენ ქალაქის საუკეთესო

ოჯახიშვილები, ადმინისტრაციულ წრეებს, სამთო მრეწველობასა და მსხვილ კომერციას რომ ეკუთვნოდნენ, ოჯახები, რომლებიც გამდიდრებას იწყებდნენ ბამბისა და ფქვილის, შალისა და ტყავის წარმოებით. დიდ სასტუმრო ოთახში, მესამე სართულზე, რომლის ძველებური გემოვნების სტილი საუკუნის მიჯნაზე ფრანგული ყაიდის მორთულობამ შეცვალა, კვარტეტი იოჰან შტრაუსის, ხუვენტინო როსასისა[92] და რიკარდო კასტროს[93] ვალსებს უკრავდა. მსახურები ლანგრებით აქეთ-იქით გარბი-გამორბოდნენ და პოლიტიკური დისკუსიებიც კი იმართებოდა. ჩვეულებრივ, აქ ორი ჯგუფი გამოირჩეოდა: ერთი მოხელეთა, კომერსანტთა და სამთო მრეწველთა - ყველა სფეროში დიასის პოლიტიკის მიმდევართა და მომხრეთა უმრავლესობა, ხოლო მეორე - ახალ მეწარმეთა ჯგუფი, ცვლილებებსა და მეტ თავისუფლებას რომ მოითხოვდა. ამ ორივე ჯგუფში გაერთიანებული ახალი აზროვნების ადამიანები დიდ პატივს სცემდნენ პრეზიდენტს და იგი შეუცვლელად მიაჩნდათ. ახლახან გამოჩენილი კომერსანტი დონ ხოსე ლუის რეგულესი ამ საღამოებს ერთობ მცირე ხანს ამშვენებდა: ერთხელ, როდესაც ფოლადისფერი თვალების ახამხამებით შენიშნა, აუცილებელია წვრილ მესაკუთრეებს მხარი დავუჭიროთ და ლატიფუნდიები მოვსპოთო, მისთვის სასტუმრო ოთახების კი არა, ლამის სავაჭრო დაწესებულებების კარი დაიკეტა. დროდადრო ზეიმებს ორი ბავშვისთვის აწყობდნენ. უფროსს, როდოლფოს, ვექილად ზრდიდნენ. პეპემ იგი 1912 წელს იურისპრუდენციის კათოლიკურ სასწავლებელში გაამწესა. დონია გილიერმინა ფიქრობდა, ქალიშვილს თვრამეტი წლისას გავათხოვებ და ისიც მეუღლესავით წინდაწინ საქმროდ ახალგაზრდა ბალკარსელ დელ მორალს, ქალაქის მეორე მდიდარი ოჯახის ერთადერთ მემკვიდრეს ითვალისწინებდა.

ერთხელ, 1910 წლის ღამით, გილიერმინას შეატყობინეს, რომ მისი ქმარი - ეგოდენ ჯანიანი და ღაჟღაჟა - მეზობელ სოფელ ლეონში ავად შექნილიყო, ციებ-ცხელება შეჰყროდა. ზედიზედ სამი დღე ცხენზე ამხედრებულს მამული შემოეარა და ერთ-ერთ ღამეს თავსხმაში მოხვედრილ პეპე სებალიოსს ფილტვების ანთება დამართოდა, სიკვდილის პირას მისული ისე ძლიერ ბოდავდა, რომ თიხის ბინძური ქოხიდან, სადაც იწვა, შინ წამოყვანაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. გულცივმა მეუღლემ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩააკითხა, მაგრამ ჩამქრალ კოცონებთან მხოლოდ მძინარე პეონები, მოხვიხვინე ცხენები და პეპეს ცხედარიღა დახვდა. სებალიოსთა ოჯახის პატრიარქებს წესად ექცათ ისტორიული თარიღის დროს სიკვდილი: ნოემბრის მესამე კვირა ილეოდა და მალე მთელ ოლქში ცნობილი გახდა, რომ იმავე დღეს პუებლაში აკილეს სერდანი[94] მოეკლათ.

სამგლოვიარო პროცესია გილიერმინასა და მისი ორი შვილის მეთაურობით როგორც კი დაიშალა, ქვრივთან პანფილო გამოცხადდა და მოახსენა, რომ შეეძლო, როგორც ყველაზე ახლო ნათესავისა, მისი იმედი ჰქონოდა. მუნიციპალური სასაფლაოდან გამოსვლისას გილიერმინამ მთებით, ეკლესიებითა და ხეობებით აღსავსე შავ-ლალისფერ-მწვანე პანორამას გახედა

და შავი კარეტისაკენ მიმავალმა გაიფიქრა, რომ ამ ქსოვილებით მოვაჭრე უმიზნო კაცს ვერაფერს გამორჩებოდა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა და პეპეს სიკვდილის შემდეგ ქონების მართვის საკითხები მხოლოდ თვითონ უნდა გადაეწყვიტა. ნაწილობრივ შვებაც იგრძნო. ეს დარტყმა რაღაცნაირად ისევ წარსულზე უწინდელ ნაღველს ჰგვრიდა, რაც მას ერთგვარ სიამოვნებასაც ანიჭებდა. გილიერმინამ ხელი ჩაჰკიდა როდოლფოსა და ასუნსიონს, ყველანი ჩასხდნენ კარეტაში და ქალაქის ცენტრისაკენ დაიძრნენ.

გილიერმინამ რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო: ჯერ ერთი, ინგლისელი კომპანიონები რომ სთავაზობდნენ პეპეს, საბადოები იმ ფასად გაყიდოს, მმართველს დაავალოს მიწებზე ზედამხედველობა; ქალიშვილი თხუთმეტისა რომ გახდება, გაათხოვოს და როდოლფო მოამზადოს ისე, რომ მან მომავალში მამა შეცვალოს და თვითონ გაუძღვეს მეურნეობას. სიხარულით გაყიდა - საბადოების არაფერი გაეგებოდა, რომელთა არაქათგამომცლელმა, სასტიკმა და ხშირად დანაშაულებრივმა დამუშავებამ მისი წინაპრების - მათრახ და ხანჯალშემართული ამ უხეში და დაუნდობელი მამაკაცების - სიმდიდრეს დაუდო სათავე. ახლა გილიერმინა მხოლოდ მიწათმფლობელი გახლდათ, ეს უფრო არისტოკრატიული იყო. თითქოს ჭაობიდან ქვაფენილზე ამოვიდა. მან როდოლფოს სწავლის გეგმაც შეცვალა - იგი მემამულეა და ეს სავსებით საკმარისია. მაგრამ თუ ქალისთვის რევოლუციის მშფოთვარე ამბები გაუგებარი იყო, კიდევ უფრო გაუგებარი აღმოჩნდა შვილის ხასიათი. შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ანდალუსიელი დონია მარგარიტა გაცოცხლდა და შვილიშვილში აშკარად არასასურველად, ფიზიკურად და სულიერად განსახიერდა. ძნელად მოიძებნებოდა უფრო უზრუნველი, ვიდრე როდოლფო, იგივე ფიტო, ზედგამოჭრილი სებალიოსი, და ყოვლად უუნარო ადამიანი ამ დიდი მამულის გაძღოლის საქმეში.

- რევოლუციის დროს რა ხდებოდა? - იკითხა ერთხელ ხაიმემ, როცა ცხრა წლისამ გაიგო, რომ ასეთი პერიოდი იყო.

- თავდაპირველად დედას არ შეშინებია, - უპასუხა მამამისმა როდოლფომ და ასუნსიონს კითხვით შეხედა.

- ჰო, ჰო, - დაეთანხმა მამიდა ასუნსიონი, - თავდაპირველად არ შეშინებია.

- გახსოვს, - შეაწყვეტინა როდოლფომ, - გუანახუატოში სხვა შტატებიდან რომ ჩამოდიოდნენ ოჯახები? გული ყველას აქეთ მოუწევდა.

- ჰო, ეს 1914 წელს იყო, - თქვა ასუნსიონმა, - ომის დროს, კარანსამ[95] რომ გააჩაღა, საზარელი ამბები ხდებოდა. ბევრმა ჩვენმა მეგობარმა კოაუილიდან, სან-ლუისიდან და ჩიუაუადან[96] აქ თავშესაფარი პოვა. დიახ, ეს იყო ეკონომიკური და რაც მთავარია, მორალური კატასტროფა.

- მაგრამ დედას ძალიან უხაროდა, რომ ამდენი ახალი ადამიანის ჩამოსვლით საზოგადოება გამოცოცხლდა. ხომ ასე იყო, არა?

- ჰო, ასე იყო, ასე. ჩამოვიდნენ ნათესავები, მამის ძველი კომპანიონები, ჩვენი მეგობრები და კიდევ მეგობრების მეგობრები. ყველანი ქალაქის საუკეთესო ოჯახებში მოაწყვეს და მათი ჩამოსვლის გამო მეჯლისები იმართებოდა. ყველანი ესწრებოდნენ ამ რელიგიურ ზეიმებს. მშვენიერი რამ იყო.

- გახსოვს, ხანდახან ვიღაც სხვა შტატიდან ჩამოსული რომ მოჰყვებოდა ხოლმე ძალადობასა და მძარცველობაზე. დედა ამბობდა, ეს პირველი რევოლუცია არ არის, გუანახუატო ყოველთვის მექსიკის უმდიდრესი შტატი იყო და ხელს ვერავინ ახლებსო.

- რესპუბლიკის საკუჭნაო და ბეღელიაო, ამბობდა ხოლმე მამა, მაგრამ ასე როდი აღმოჩნდა. იმ წელს რევოლუციონერთა ბანდამ ჩვენი მიწები დაიტაცა. დიახ, ფიტო, შენ ხომ იქ იყავი.

- მეთაურებმა ბეღლებში მარცვალიც არ დატოვეს. დედას ვუთხარი, ჩვენი საქმეები ძალიან ცუდად არის-მეთქი. მაშინ იყო, პირველად რომ შეშინდა.

- უარესი წინ გველოდა. მომდევნო წელს საშინელმა შიშმა შეიპყრო ყველა. გუანახუატოში თავზე ხელაღებული ვილია შემოიჭრა.

- წარმოიდგინე, შვილო, ყველას გვეშინოდა და ტყუილუბრალოდ კი არა. ის პეონი იყო, სისხლისმსმელი, შურისმაძიებელი, და უეცრად ის ცხრა ათასი კაცით აქ, ელ-ბახიოში გადმოვიდა. გუანახუატო მაშინ კარანკლანებით[97] იყო ოკუპირებული. მათმა გენერლებმა, დუსარტმა და... მეორეს რა ერქვა?

- კარერა.

- ...და კარერამ აქ, ჩვენს სახლში მოაწყვეს თავიანთი შტაბი, მაშინ შენ, ასუნსიონ, და შენი ქმარი გუანახუატოდან გაიქეცით, ხომ გახსოვს?

- ჰო, ის-ის იყო, ჯვარი დავიწერეთ. დარჩენისა გვეშინოდა. დედამ გამგზავრების ნება დაგვრთო.

- თქვენ ხომ შეგეძლოთ დაგეყოლიებინათ, თქვენთან ერთად წამოსულიყო?

- დედას რომ ეს ყველაფერი დაეტოვებინა, დაეტოვებინა თავისი სახლი? რას ამბობ! მერე კიდევ ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით. ჩვენ ხომ გვქონდა უფლება გვენახა ცხოვრებაში რამე, მკვლელობების გარდა, ფიტო? გვინდოდა სხვა ქვეყნებიც გვენახა...

- დიახ, დიახ. დედა და ძია პანფილო დიდ საძინებელში დაიმალნენ. სახლი ჯარისკაცებითა და ცხენებით იყო სავსე. მე მამულში, მთავარ კარ-მიდამოში დავრჩი. ძია პანფილომ მაღაზია დაკეტა, რომ ვილიას სესხი არ აეღო. მერე მოვიდა გენერალი ობრეგონი,[98] ბრძანა გაეღოთ მაღაზიები და არ აეღოთ ვილიას ფული. და კიდევ, გვაიძულა ხელფასი მოგვემატებინა. ძია პანფილო ფიქრობდა, რომ გაკოტრდებოდა. დედამ ოქროს ფული საძინებლის იატაკქვეშ შეინახა. მაგრამ ყველაფერმა ამან უცბად დაკარგა მნიშვნელობა. კარანკლანებმა

რომ ქალაქი დატოვეს, ხალხი შიშით კინაღამ დაიხოცა, წარმოგიდგენია, ბებიაშენი და ძია პანფილო საძინებელში თითქმის ამოიქოლნენ. ფანჯრები ლეიბებით დაგმანეს. საქმე ის არის, რომ ქალაქში ვილიას რაზმებს თვით გენერალი ნატერა[99] უნდა შემოსძღოლოდა. მერე ორივე მეტოქემ ქალაქი დატოვა და სელაიაში[100] ჩასხდნენ, გუანახუატო ბანდიტ პალომოსა და სხვა ნაძირალების ხელში ჩავარდა. პირდაპირ მეორედ მოსვლა იყო. ჩვენ არ გვესმოდა, როგორ მოხდა, რომ მშვიდობიანი დრო დამთავრდა. ხომ მართალს ვამბობ, ასუნსიონ, ხომ არ გვესმოდა?

მაგრამ დონია გილიერმინას თავგზა არ აბნევია: განკარგულება გასცა, ოცდაათ შეიარაღებულ პეონს დაეცვა კარ-მიდამო და მამული, მეურნეობის მეთვალყურეობა მოურავს დაავალა, როდოლფო კი ამ დავალებისგან გაათავისუფლა. გაძლიერდა მისი რელიგიური მოღვაწეობა. ეს მკაცრი ქალბატონი არც ერთ პროცესიას არ ტოვებდა და უფალს მშვიდობას ევედრებოდა; მშვიდობისათვის სანთლებს ყველა ტაძარში ანთებდა. წირვის დროს გალობდა „Salve Regina“-ს, უზენაესს მშვიდობას შესთხოვდა. ჰოდა, ახლა გარემოებათა გამო წარსულზე დარდით გული იჯერა. ხალხში ჩიოდა, რომ გუბერნატორმა წმინდა ქალწულის დღესასწაულზე ზარების რეკვა აუკრძალა, შინ აღტაცებით იგონებდა, უწინ რა მშვენიერი რეკვა იყოო. გულახდილად გამოთქვამდა საყვედურს მწყემსი კეთილის ასულთა განდევნის გამო.

ნეტარებით იგონებდა იმ დროს, სებალიოსები გულუხვად რომ აჯილდოებდნენ მონაზვნებს. აღშფოთებული იყო, რომ ამ მეამბოხე სიურობმა[101] გაბედა და გუბერნატორის სასახლიდან პრეზიდენტ დიასისა და გუბერნატორ ობრეგონ გონსალესის პორტრეტები ჩამოახსნევინა; სამაგიეროდ, როგორ ტკბებოდა, როცა აგონდებოდა დონ პორფირიოსა და პეპეს შეხვედრა ოპერაში, ასუნსიონის ქორწილს დონ ხოაკინი რომ ესწრებოდა!

სიურობის მმართველობის დროს უფრო მშვიდი ცხოვრება იყო. როდოლფო სებალიოსმა როგორღაც შეუმჩნევლად, ყოველდღიურად დაიწყო სიარული ძველ მაღაზიაში წმინდა დიეგოს ტაძრის პირდაპირ - ძია პანფილო საქმეს თავს ძლივს ართმევდა. უკვე 80 წელს მიღწეულმა, მუდამ მოღუშულმა და უცნაურად მოჩლიფინე მოხუცმა სრული თავისუფლება მისცა და როდოლფომ იპოვა თავისი ჭეშმარიტი - სისხლით ნაკარნახები საქმე ცხოვრებაში - დახლთან მოღიმარი სახით დგომა.

1917 წელს, მოხუცი პანფილო რომ გარდაიცვალა, სახლში უკვე სულ ცოტა მოსამსახურე იყო. 1920 წელს, როცა გილიერმინა მოკვდა, თითქმის ყველა საძინებელი დაკეტეს. ასუნსიონი და მისი ქმარი, ხორხე ბალკარსელი, ინგლისში ცხოვრობდნენ. როდოლფო მარტო დარჩა. საზოგადოებრივ საძოვრებზე კანონის გამოსვლის შემდეგ მან კიდევ რამდენიმე კარი დაკეტა. უნდა გაენაწილებინათ პეპე სებალიოსის მიერ საოცრად იაფად შეძენილი საძოვრების მეტი ნაწილი, 78 000 ჰექტარი; როდოლფოს მიწის გამო ომი არ შეეძლო და ხელი ჩაიქნია. წმინდა დიეგოს ტაძრის პირდაპირ მაღაზიითა და

დედის ნაქონი ოქროს პესოებით უკანასკნელი სებალიოსი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. მჯდომარე ცხოვრების გამო ბებიის მემკვიდრეობამ, სიმსუქნისაკენ მიდრეკილებამ იმძლავრა და 29 წლისა იგი სქელი, მოღიმარი, ფლეგმატური ახალგაზრდა კაცი გახლდათ. იოლად იმეგობრებდა ხალხს, მაგრამ არა ძველ, დიდგვაროვანთა ოჯახის წევრებს, მათ ქვის განმარტოებულ სახლში ერთ დროს რომ იკრიბებოდნენ. ასეთ ადამიანებთან მალე სწყინდებოდა - სულ ძველ დროს იხსენებდნენ, ჰყვებოდნენ უწინდელ მდიდრულ ქორწილებსა და იმაზე, რა ფხიანი კაცი იყო დონ პეპე სებალიოსი. ყველანი რევოლუციამ დააზარალა, ყველა წარსულს მისტიროდა, უმეტესობა კი მექსიკაში გადასახლდა. როდოლფოს ერჩია ბამბის ფასზე ესაუბრა, პორტუგალიურ სარდინებზე, რომელიც დონ ჩეპეპონ ლოპესს მოჰქონდა, და დომინოს ღირსსახსოვარ პარტიებზე, სხვა კომერსანტებთან ერთობის ბაღის სარდაფში რომ თამაშობდა. საღამოს ექვს საათზე თავის დაწესებულებას კეტავდა და იქ მიდიოდა. მალე როდოლფო, სახლის ერთადერთი მფლობელი, რომელსაც ოჯახი არ გააჩნდა, ქვითკირის ამ განმარტოებულ სახლში ეპატიჟებოდა ასეთი პატივით დამფრთხალ თანამოსუფრეებს. წარმოიდგინეთ, რას იტყოდა დონია გილიერმინა, მის ფრანგულ სასტუმრო ოთახში კაცების ეს კომპანია რომ ენახა! ისინი სიგარას ეწეოდნენ, ლუდს სვამდნენ და ბაზრის ფასებზე საუბრობდნენ. ირწმუნებოდნენ, რომ ვიღაც სულელს მოხვდებოდა, მაგრამ ერთ-ერთის - ჩეპეპონ ლოპესის წყალობით, რომელიც ღვინისა და კონსერვების მომწოდებელი იყო, - როდოლფომ გაიცნო ის, ვინც შემდგომ მისი ცოლი და მისი ვაჟიშვილის დედა გახდა. მართალია, ადელინა ლოპესი ჭკუით არ ბრწყინავდა, მაგრამ მაღალი, მოკრძალებული ქალი გახლდათ. დიდად უყვარდა ცხრადღიანი ლოცვების ჩატარება, პარასკევს ზიარება და დიდმარხვაში ღვთისმოსავი ფიქრებისათვის განმარტოება. როდოლფო მას კონცერტებზე ხედავდა, ერთობის ბაღში კვირაში სამჯერ რომ იმართებოდა. მამაკაცები და ქალები ორ მწკრივად სეირნობდნენ, ფლეგმატური როდოლფო კი ჩვეულებრივ თავისთვის იჯდა ხოლმე, მოსეირნეთ შეჰყურებდა და კბილსაჩიჩქნით კბილებს იჩიჩქნიდა. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ქალიშვილი არ იზიდავდა და არც ცდილობდა რაიმეთი მისი ყურადღების მიქცევას. ნახევარ დღეს მაღაზიაში ატარებდა, ნახევარს - მეგობრებში, ხანდახან საროსკიპოში შეივლიდა. ასე რომ, ახალგაზრდა კომერსანტი ცხოვრების საოცრად კმაყოფილი იყო; ჩეპეპონი რომ ასე მონდომებული არ ყოფილიყო, ქალიშვილი მორელოსის ბაღთან თავდაღმართზე მდგარ ცნობილ სახლში დაებინავებინა, ხაიმე სებალიოსი არც მოევლინებოდა ამ ქვეყანას. მაღაზიაში სიარულს ჯერ ნორჩმა ლოპესმა მოუხშირა და ლაპარაკის მოყვარული როდოლფო წამოეგო მისი მსჯელობის ანკესზე ოჯახური კერის სიწმინდესა და ახალგაზრდა დედებისათვის ღვთისმოსაობის სულით აღზრდის სარგებლობაზე. შემდეგ ახალგაზრდა სქელოს, ცოტა არ იყოს, მდარე კომპანიებთან ერთად ექსკურსიებზე მიპატიჟება დაუწყეს: ვალენსიანაში, სიუდად-მარფილის გამოქვაბულებში. ადელინა ხან ჩურჩულით უარყოფდა, ხან კი მოფერების ნებას რთავდა თავის მოუხეშავსა და მორცხვ კავალერს.

ბოლოს, როცა მეგობრებმა ერთ-ერთ პარასკევს დაინახეს, რომ წყვილი იეზუიტურ ტაძარში შევიდა, დარწმუნდნენ, რომ დონ ჩეპეპონმა ბრძოლა მოიგო.

იყო უსიამოვნებაც. საქმრომ მომავალ ქორწინებაზე დას, ასუნსიონ ბალკარსელს მისწერა და მან კი უპასუხა, არ ვიცი, ვინ არიან ლოპესებიო, მაგრამ მისმა ქმარმა მოახერხა, დაეზუსტებინა, რომ ჩეპეპონები ერთობ საეჭვო წარმოშობისა იყვნენ. ამ გაფრთხილებას ნაყოფი არ გამოუღია, მაშინ ასუნსიონმა ისევ მოსწერა, დონ უგვაროს ქალიშვილს დედაჩემის საძინებელში ადგილი არ ექნებაო. საქმე ის იყო, რომ სებალიოსის სიმამრობას მოწადინებული ჩეპეპონ ლოპესი ოდესღაც სიყმაწვილეში უბრალო შეგირდი იყო სწორედ იმ დონ ხოსე ლუის რეგულესის ქსოვილების მაღაზიაში, რომელმაც თავისი კონკურენციით ძია პანფილო კინაღამ გააკოტრა, ახალგაზრდა ჩეპეპონს უკანონო ქალიშვილი შეეძინა, რომელიც იშვილა და ეს გახლდათ სწორედ ის ადელინა, მარგარიტა მაჩადოს და გილიერმინა მონტანიესის წითელი ხის საწოლის შებილწვას რომ ლამობდა. „კი მაგრამ, ბაბუაჩვენი იხინიოც მოწაფედ სწორედ მაღაზიაში მუშაობდა“, - ამბობდა თავისთვის როდოლფო. 1926 წლის დეკემბერში მან და ადელინამ ჯვარი დაიწერეს და ქვითკირის ამ განმარტოებულ სახლში დომინოში მხიარული პარტნიორების სიცილი ჩაკვდა. როდოლფო ერთობ კმაყოფილი გახლდათ თავისი დამოუკიდებლობის დეკლარაციით, მაგრამ მალე ისევ მოუწია ოჯახურ ტრადიციათა სიმძიმე - ბაბუა იხინიოს გულწრფელობა, ძია პანფილოს მოუსყიდველობა, გილიერმინას არისტოკრატიულობა, პეპე სებალიოსის დაუცხრომლობა - ეტვირთა, როცა მომდევნო წელს ბალკარსელების წყვილი გუანახუატოში გადმოსახლდა და ახალგაზრდებს მოსთხოვა, წინაპართა სახლი დაგვიცალეთო. ხორხე ბალკარსელ დელ მორალს პრეზიდენტ კალესისგან[102] დავალებული ჰქონდა, დეტალურად შეესწავლა მათი პროვინციის ეკონომიკა და მდგომარეობა ავალდებულებდა, თავისუფლად ეცხოვრა. ბალკარსელი, რომელიც რევოლუციის კავალერიის ფლოქვების თქარუნით შეშინებული, 20 წლისა გაიქცა და მერე ლონდონის ეკონომიკის სკოლაში განაგრძო სწავლა, 29 წლისა უახლესი მეცნიერების მცოდნის შარავანდედით მეხიკოში დაბრუნდა, ხოლო როცა გენერალი კალესი ქვეყნის ფინანსური ცხოვრების რეორგანიზაციას შეუდგა, ბალკარსელი ერთობ საჭირო კაცი აღმოჩნდა. და აი, გოლფის შარვალსა და კუბოკრულ კეპში გამოწყობილმა ახალგამომცხვარმა ეკონომისტმა სქელ კომერსანტს განუცხადა, მამისეული კერა დამიცალეო.

- მისი საქმე უფლებას აძლევს, მაღაზიის ზედა სართულში იცხოვროს, სადაც ძია პანფილო ცხოვრობდა, მე კი ჩემი საქმიანობის გამო დიდი სახლი მჭირდება.

თქვა ეს ბალკარსელმა და ამიერიდან მისი ხმა მბრძანებლის ხმა იქნება.

- არა, ჩვენ თანახმა არა ვართ, - გაბედა შეწინააღმდეგება ადელინამ, - თქვენ, ალბათ, ჯერ არ იცით, რომ მე და ფიტოს გუანახუატოს საუკეთესო ოჯახებთან

გვაქვს ურთიერთობა. ჩვენ სტუმრები გვყავს ხოლმე, როგორც გილიერმინას სიცოცხლეში, დიახ, დიახ!

როგორ ჩაიარა ადელინასა და როდოლფოს ქორწინების პირველმა წელმა? ქორწინების შემდეგ, როგორც ჩანს, როდოლფომ გადაწყვიტა, ჭეშმარიტი სებალიოსის ცხოვრების სტილი აღედგინა. მოგეხსენებათ, ქორწინება ყოველთვის სულიერ ცვლილებას იწვევს: როდოლფო სებალიოსის ერთადერთი ცვლილება, ალბათ, ის იყო, რომ უზრუნველი, უმოქმედო, არხეინი ცხოვრებიდან, - როგორც თვითონ ამბობდა, - ხელი მიჰყო უფრო სერიოზულ, დინჯ, თავდაჯერებულ ცხოვრებას. მისი იმედი არასოდეს ჰქონიათ. მან ვერ მიიღო იურიდიული განათლება. დედამ მამულების მართვას ჩამოაშორა. ახლა ის დაამტკიცებს, რომ ისეთივე სანიმუშო ოჯახისთავია, როგორიც მამამისი. ფერისცვალება არც ისე დიდ ჯაფად დაუჯდა: თუ როდოლფო სიცოცხლით სავსე მარგარიტას შვილიშვილი იყო, თავდაჭერილი გილიერმინას ვაჟიც გახლდათ. უნდა ვაღიაროთ, რომ ადელინამ, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა, რომ ის ამ გზას დასდგომოდა. ამ ქალის საქციელი თავისებური თვითმკვლელობა გახლდათ: ცდილობდა, საუკეთესო საზოგადოებაში ჰქონოდა საქმე, რის გამოც როდოლფოს მაღალი წრის ცხოვრებით უნდა ეცხოვრა. სწორედ ამიტომ, რაც დრო გადიოდა, უფრო თავს იჩენდა თვით ადელინას ვულგარულობა. მას ვერ გაეგო, მისი ბედნიერების საწინდარი, პირიქით, იმაში მდგომარეობდა, რომ როდოლფოს ძველებურად უზრუნველად, დაუდევრად ეცხოვრა. იგი იქნებოდა დომინოს მოყვარული კაცის იდეალური ცოლი, მაგრამ სწორედ ადელინამ აიძულა როდოლფო, ჩამოშორებოდა უწინდელ პარტნიორებს და დონ ჩეპეპონის ხმაურიანი ვიზიტებიც მეტად გააიშვიათა, - ახლა იგი მხოლოდ კვირადღეობით მოდიოდა სადილად. ადელინამ ქმარი დაითანხმა, გაეღო დიდი ფრანგული სასტუმრო ოთახი. ისევ ადგენდა მაღალი წრის სტუმართა სიებს. მოითხოვა, როდოლფოს მაღაზიაში ნოქარი აეყვანა, თვითონ კი ზემო შენობაში მჯდარიყო, რომელსაც „კანტორა“ ერქვა. ეს მან ჩამოაშორა ბოლოს და ბოლოს კომერსანტის ბაგეს უცვლელი ღიმილი, მაგრამ სამწუხაროდ, შაბათსაღამოობით ძველი ოჯახებიდან უხეიროდ შეკრებილ საზოგადოებაში ტრიალისას ადელინა ქმარს განსჯა-შედარების საშუალებას აძლევდა. და არა იმიტომ, რომ სტუმართა მანერები მეტისმეტად დახვეწილი იყო, უბრალოდ, ყოველთვის აშკარა იყო ხოლმე, რომ ადელინა საშუალო პროვინციელის დონეზე დაბლა იდგა. ყველა ხმადაბლა ლაპარაკობდა, ადელინა - გაჰყვიროდა. გულწრფელი არავინ იყო, ადელინას კი ენაზე არაფერი ამაგრდებოდა. ყველა ღვთისმოსავი გახლდათ, ადელინა - ვულგარულად ღვთისმოსავი. ყველას ჰქონდა საყოველთაოდ ცნობილი ამბების მინიმუმ ცოდნა მაინც, ადელინას კი ესეც არ გააჩნდა. დაიწყო მითქმა-მოთქმა: უგემოვნებო, უტაქტო, ცუდად აღზრდილი ქალიაო და როდოლფოს, ოჯახური ტრადიციების ამღორძინებელს, უნდა მოესმინა ეს საყვედურები. ცოლის გეგმებს ხორცი ესხმებოდა, ქმრის გრძნობები ცხრებოდა. დაიწყო კინკლაობა, საყვედურები, ჩხუბი, ცრემლები.

აი, ასეთი ვითარება გახლდათ, როცა გუანახუატოში ცოლ-ქმარი ბალკარსელები დაბრუნდნენ და როდოლფო ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა. მას დამოუკიდებლობის დაკარგვა და თან ადელინას ჩამოშორება ელოდა. მან ასუნსიონი დაითანხმა, რამდენიმე კვირა ერთად ეცხოვრათ. როგორც კი იგრძნო, შინ რა ხდებოდა, ბალკარსელის მეუღლე მაშინვე დათანხმდა. და დაიწყო, ადელინას ყოველ ნაბიჯს აკრიტიკებდნენ: საკუჭნაოში ხოჭოებია, კონსოლებზე - მტვერი, როცა დონია გილიერმინა დიასახლისობდა, ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა.

- ძვირფასო, თუ მართლა გინდა მეგობრების შენარჩუნება, ნება მიბოძე, ვახშმის თადარიგი მე დავიჭირო. ხომ იცი, შენ ყველა დაგცინის. არის რაღაც-რაღაცები, რაც დედის რძესთან ერთად შეიწოვება, ხომ ასეა?

ორი კვირის შემდეგ დონ ჩეპეპონის დაჩაგრულმა ქალიშვილმა განაცხადა, მინდა, მამას ვესტუმროო. იგი არავის შეუჩერებია. როცა ერთი თვის შემდეგ წმინდა დიეგოს ტაძართან მდებარე მაღაზიაში ზღვისგაღმა დელიკატესების მომწოდებელი როდოლფოს ესტუმრა და უთხრა, ადელინა ფეხმძიმედ არისო, ქმარი სინდისის ქენჯნამ შეიპყრო და მოსალაპარაკებლად დას მიმართა. ასუნსიონმა მაშინვე აუხსნა, როგორც კი ბავშვი გაჩნდება, იმწამსვე შინ უნდა წამოიყვანონ, რათა ჩვილი შესაფერ გარემოში აღიზარდოსო; განქორწინება გარდაუვალია, უნდა გაუქმდეს ესოდენ უგუნური ქორწინება. ეს ვულგარული ქალი როდოლფომ უნდა მიატოვოს და შეირთოს მისი ოჯახისა და საზოგადოებრივი დონის შესაფერი ცოლი. ბევრი მშფოთვარე ღამე გაატარა საწყალმა როდოლფომ ამ უსიამოვნო ამბის მოლოდინში. ხან ისევ ის წითელლოყება უზრუნველი ყმაწვილი იყო, ხან მამაკაცი, რომელსაც დადინჯება გადაუწყვეტია. გული სიბრალულით ევსებოდა: ჯერ იყო და, თავს ირწმუნებდა, ჩემი და მართალიაო; მერე კვლავ მარტოხელა მშობიარე წარმოუდგებოდა თვალწინ, მერე ბრაზობდა იმის გამო, რომ აგონდებოდა უწესრიგობა ოჯახში, მოუგვარებელი მეურნეობა, სურვილი, მხოლოდ გარეგნულად დაეცვა წესრიგი და სანამ როდოლფო ორჭოფობდა, ასუნსიონი დროს არ კარგავდა და ერთ მშვენიერ დღეს ძმას ჩვილი მოუყვანა, ბაბუასავით ოქროსფერთმიანი და ლოყებღაჟღაჟა. კომერსანტმა ვერ გაბედა დედაზე რამე ეკითხა. ასე რომ, ნათლობას მხოლოდ როდოლფო და ნათლიები, ბალკარსელების წყვილი დაესწრნენ. მალე ბავშვმა ასუნსიონს დედა დაუძახა.

2

როგორც ბიძია ხორხე ბალკარსელი ამბობდა, ისინი ეკუთვნოდნენ გუანახუატოს ოჯახს, რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა და უამრავი ნათესავი ჰყავდა. მექსიკაში გუანახუატო თითქმის იგივეა, რაც ევროპაში ფლანდრია: გულისგული, სტილის კვინტესენცია, ჭეშმარიტი ეროვნული თვითმყოფადობა. გუანახუატოს საზოგადო მოღვაწეების ჩამოთვლას ვერ აუხვალ, თუმცა, მათი რიცხვი კიდევ არ მოგვცემს წარმოდგენას ამ შტატის

მექსიკელთა პოლიტიკური გრძნობის სიღრმეზე, რომლებიც ამაყობენ, რომ ეს შტატი დამოუკიდებლობის აკვანი[76] იყო. რომ გვინდოდეს, განვსაზღვროთ, რესპუბლიკის რომელ შტატს ეკუთვნის პოლიტიკაში მექსიკური სტილის ფესვები, გუანახუატო უნდა დავასახელოთ. ჩანაფიქრის ცბიერება და შესრულების სინატიფე ძველთაგანვე გუანახუატოს ანაბეჭდია; გუანახუატოელებზე უკეთ არავინ ფლობს ფარული მიზნის უცილობლად განხორციელების დასაფარავად გარეგნული ლოიალურობის ტაქტიკას; მათზე უკეთ არავის ესმის ფორმალური პროცედურებისა და კაბინეტური ინტრიგების მნიშვნელობა. ახალი ესპანეთის[77] ფართო სივრცეებში რატომ იყვნენ სწორედ გუანახუატოელები ვოლტერისა და რუსოს

მკითხველები და თაყვანისმცემლები? უკვე ჩვენს დროში აქაური უნივერსიტეტის დიდებული ამფითეატრების საფეხურებზე რატომ იმართებოდა დისკუსიები ჰაიდეგერსა[78] და მარქსზე? გუანახუატოელი დაჯილდოებულია უაღრესად დიდი უნარით, შეითვისოს თეორია და პრაქტიკულადაც განახორციელოს იგი. ამაოდ როდი იყო გუანახუატო ლუკას ალამანის[79] სამშობლო, ხოლო აქაური უნივერსიტეტი - ძველთუძველესი იეზუიტური ცენტრი.

ასე რომ, გუანახუატოელი ნამდვილი იეზუიტია. იეზუიტ ერისკაცს (როგორც ყველა საქმიან კაცს) კი ძალუძს უფრო ხელსაყრელად ემსახუროს ეკლესიას და თეორიულად მოაზროვნე „საზოგადოების ნება-სურვილი“ პრაქტიკულად უკეთ წარმართოს. ჭკვიანი ხალხია, მკაფიოდ შეგნებული მიზნებითა და მოქმედების ორჭოფული მანერით, ტრადიციების მემკვიდრეები, რომელიც ვერ მოსპო თავგამოდებულმა მექსიკურმა ცენტრალიზმმა. გუანახუატოელები ასახიერებენ მწვერვალს, რასაც შეიძლება მექსიკის ცენტრის სული ეწოდოს. ზეიმურობამდე აღზევებული მიჩოაკანელების სერიოზულობა გუანახუატოელებს შემსუბუქებული აქვთ ირონიისა და ზრდილობის გრძნობით. საკატეკასელების უსაზღვრო კუთხურობა გუანახუატოელებს

უნივერსალიზმის შეგნებით უნელდებათ: ოდესღაც აქ ბარონი ჰუმბოლდტიც[80] ჩამოსულა; ხუარესის[81] თეატრი მათ ცხოვრებას პარიზის კომიკური თეატრის დეკორატორის ნახატებით ალამაზებს; ისინი იცავენ განათლების საუკუნის დამოუკიდებლობის მოღვაწეთა მიერ ათვისებულ ტრადიციებს. პუებლელის აშკარა თვალთმაქცობას გუანახუატოელის გაწაფული მლიქვნელობა უპირისპირდება და ბოლოს, იქ, სადაც დედაქალაქის მცხოვრებისაგან ან დასტურს, ან დუმილს ელოდები, გუანახუატოელი ტიპურ კომპრომისზე მიდის.

სებალიოსების ოჯახი შუა მექსიკის ამ მეტად თავისებურ კუთხეს ეკუთვნოდა. თუ სხვა ადგილობრივი ოჯახებისათვის სახელმწიფოს ისტორიაში მთავარ გმირს წარმოადგენდა გრაფი დე კასა რულის[82] ან ინტენდანტ რაიანიო[83] დონ მიგელ იდალგოს, დონ ხუან ბაუტისტ მორალესის[84] ან პადრე მონტეს დე ოკას[85] სახელები, სებალიოსთათვის არ არსებობდა უფრო სახელოვანი

სახელი, - რასაც გვახსენებდა ქვითკირის განცალკევებული სახლის დარბაზებში გამოფენილი პორტრეტები - ვიდრე მუნიოს ლედოს[86] სახელი. სწორედ მან, ერთ დროს ამ შტატის გამორჩეულმა გუბერნატორმა, მისცა უფლება მადრიდელ ღარიბ ემიგრანტებს დიდი ხნის წინ, 1852

წელს, წმინდა დიეგოს ტაძრის მიდამოებში ვაჭრობა გაემართათ. ოჯახის უფროსი დონ იხინიო სებალიოსი, სალის ქუჩაზე ქსოვილებით მოვაჭრე, წარმოშობით ასევე ესპანელი ბალდომერო სანტა კრუსის ნოქარი გახლდათ და სწორედ მისგან ისწავლა ვაჭრობის მთავარი პირობა: კარგ მაუდს სკივრშიაც გაყიდი. მთელი დღე დახლთან მდგარი იგი თანდათან, მაგრამ გულმოდგინედ, სიმდიდრეს აგროვებდა და მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ ესპანეთიდან გადმოსახლებულ სებალიოსს და თანაც, მედუქნეს, იმ დროს, როდესაც იგი დამოუკიდებლობის პირველ ნაყოფს იმკიდა, ალმაცერად უყურებდნენ. სულ სხვა აზრისა გახლდათ სენიორ გუბერნატორის მდივანი, ესოდენ რომ მოხიბლა სებალიოსთა ჩვიდმეტი წლის ლოყებღაჟღაჟა და მწვანეთვალება უფროსი ქალიშვილის სილამაზემ. ასე რომ, სწორედ ამ მშვენიერი სენიორა დე ლემუსის, ზემოთ ნახსენები მდივნის მეუღლის წყალობაა, მამამისის დუქანი მკვდარი ძაღლების ბნელი ქუჩიდან წმინდა დიეგოს დიდებული ტაძრის პირდაპირ მზიან და საპატიო ადგილზე რომ გადმოიტანეს. მაგრამ ახლაც ოჯახი პირველი წარმატების მიზეზად გუბერნატორ ოქტავიანო მუნიოს ლედოს თვლის, ამით გუანახუატოში თავის ასიმილაციას დამაჯერებლად ასაბუთებს: ჯერ საზოგადოებრივი აზრი, ხოლო შემდეგ საოჯახო პრობლემები. ასეთი მაღალი მფარველობის წყალობით

სებალიოსების სამი შთამომავალი ფუფუნებაში იზრდებოდა, კერძო მასწავლებლებს ქირაობდნენ და ასწავლიდნენ ყველაფერს, რაც კომერციასთან ერთად კარიერის მაძიებელ დარბაისელ ვაჭრებს უნდა სცოდნოდათ. მართალია, მათი გზა ყოველთვის როდი გახლდათ ია-ვარდით მოფენილი: მუნიოს ლედო გუბერნატორად ერთობ მცირე ხანს იყო და თუმცა მისი მემკვიდრეები ასევე კონსერვატორები იყვნენ, ლემუსმა, შტატის მმართველის მდივანმა, მოახერხა მარჯვე პირუეტის გაკეთება და მშვიდობიანად მოკალათდა ლიბერალთა ბანაკში. 1862 წელს, როცა პრიმის რაზმები მექსიკის ნაპირზე გადმოვიდა, რათა მექსიკისთვის ვალი ეზღვევინებინა, ესპანელებისადმი სიძულვილის აფეთქებამ, ახალგაზრდობას რომ მოუწოდებდა ძველი ქალაქის ვიწრო ქუჩებში ეყვირათ „მადრიდისაკენ!“, დონ იხინიო სებალიოსი აიძულა, მაღაზია გამოეკეტა და მთელი ოჯახით - ხაბარდებითა და კულულებით, ლურჯი რედინგოტებითა და გაფუებული ბაკენბარდებით, კორსაჟში მიხაკითა და ჟილეტზე ძეწკვით - ლემუსის სახლში გახიზნულიყო.

მაგრამ უფრო მეტად, ვიდრე მეორე სამშობლოს, მექსიკის, სებალიოსები - ერთად შეკრებილნი კაცს კორდეროს[87] ოჯახურ პორტრეტებს რომ მოგაგონებდნენ, გენერალ

პრიმის მოულოდნელი ჟესტის მადლიერი უნდა ყოფილიყვნენ. ისევ აყვავდა მათი ვაჭრობა. მოდას აყოლილი ქალბატონები ყოველთვის პოულობდნენ „სებალიოსი და ვაჟიშვილებთან“ მქრქალი ფერის აბრეშუმს, ჩინურ შალს ან ბრიუსელურ მაქმანებს სასახლის მომავალი მეჯლისისათვის. როცა მოხუცი იხინიო სებალიოსი გარდაიცვალა - იმავე დღეს ვერაკრუსის მიწაზე მაქსიმილიანი ჩამოვიდა - მისი ოჯახი პროვინციის საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე იყო.

სებალიოსებმა წმინდა როხას ტაძრის პირდაპირ არისტოკრატიული, განმარტოებული სახლი იყიდეს, კოლონიურ სტილში ნაგები, თეთრი კედლებით, ქვისა და კაკლის ხის იატაკის რბილი ტონებით. სადარბაზოსთან, გრანიტის ფილებზე რამდენიმე წმინდა სისხლის ცხენის ფლოქვების ხმა გაისმოდა, ხოლო საკარეტო ფარდულში იდგა საზეიმო მსვლელობისათვის გამზადებული შავი კარეტა, ამასთან, ტილბიური - ქალაქგარეთ გასასეირნებლად და ორადგილიანი ეტლი - ყოველდღიური საჭიროებისათვის. მეჯინიბეები, გუვერნანტები, მზარეულები, მუსიკის მასწავლებელი, მსახურები წინ და უკან გარბი-გამორბოდნენ, განუწყვეტლივ გაისმოდა ფეხსაცმლის ქუსლების ბრაგაბრუგი თუ ფეხშიშველთა ტყაპატყუპი.

ინტერვენტებთან ომმა სამი ძმა გააცალკევა. პანფილომ და ხოსემ ადგილობრივ დიდებულთა გემოვნების საამებლად კვლავ მეფის ხელისუფლების მფარველობაში ცხოვრება ამჯობინეს, მაგრამ თუ პანფილო - დონ იხინიოს უფროსი ვაჟი - იმპერიის ერთგული გახლდათ, ხოსე ფარულად იზიარებდა ლიბერალურ აზრებს, რაც, სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გაგიმხელთ, ერთ დროს დონ იხინიოს ემიგრირების მიზეზი შეიქნა. მხოლოდ ფრანსისკომ გადაწყვიტა აშკარად მიმხრობოდა ლიბერალებს: ის გენერალ მარიანო ესკობედოს[88] მეთაურობით იბრძოდა, ბოლოს და ბოლოს, ტყვედ ჩავარდა და მრისხანე დიუპენის ბრძანებით დახვრიტეს ხალისკოს ერთ-ერთ ხეობაში.

ოჯახს უძღვებოდა დონ იხინიოს ქვრივი, მარგარიტა მაჩადო, კორდოველი, ჭკვიანი, მხიარული და ცრურწმენას მოკლებული ქალი, რომელსაც შეეძლო გარეგნული დაუდევრობით ემართა საქმეები, მაგრამ მაინც ყველაფერი იდეალურ წესრიგში ჰქონდა, და რაც ყველაზე გასაოცარი იყო, ყველაფერს, რასაც დიასახლისი აკეთებდა, არეულობის იერი დაჰკრავდა. დონია მარგარიტა ცხოვრებას აღიარებდა იმ სახით, როგორიც იყო, და ამ ქალის ცხოვრების ნირით მტკიცდებოდა ცნობილი ჭეშმარიტება სიმსუქნესა და გულმხიარულების ურთიერთკავშირს შორის. გუანახუატოელი სხვა

ქალები, უფრო მარტივნი, მაგრამ ამასთან, უფრო თავდაჭერილნი, აღტაცებული იყვნენ დონია მარგარიტათი; მან დაწვრილებით იცოდა რა იყო მოდური, პარიზიდან და ლონდონიდან იღებდა უახლეს, საუცხოოდ ილუსტრირებულ ჟურნალებს. პირველი გამოჩნდებოდა ქუჩაში ახალი ფასონის ტურნიურით ან ჭრელი ქოლგით. დიახ, ჭკვიანი იყო, ჭკვიანი და დახვეწილი, ზომიერების გრძნობა არ ღალატობდა. არც ზედმეტ მხიარულებასა და არც ზედმეტ სევდას

არ ეძლეოდა ამა თუ იმ სამხიარულო თუ სამწუხარო ცხოვრებისეული საქმეების გამო. არსებითად ეს ნიშნავდა, რომ არ შეეძლო არც ამპარტავნობა, არც თანაგრძნობის გამოწვევა და დონ იხინიოს გარდაცვალების მერე მალე გამოჩნდა საზოგადოებაში მოდურად შეკერილ შოტლანდიურ ახალ სამოსში; შემოიარა მთელი სავაჭრო ქუჩები, თავისი ხელით არჩევდა თითოეულ ჭოტ მწვანე ლობიოს, გოგრის ყვავილებსა და სურნელოვან ბალახებს, და მოსამსახურე ძლივს ეწეოდა. სიტყვით თუ არა, პირადი მაგალითით ცდილობდა თავისი ვაჟიშვილებისთვის, ხოსესა და პანფილოსათვის, ადამიანური წესიერების პატარა, უბრალო მაგალითი ეჩვენებინა. მას ნამდვილი ინდიელი ქალის აზროვნება ჰქონდა.

- აბა, ვინ იფიქრებდა, - ეუბნებოდა ვაჟიშვილებს, - როცა იხინიო სალის ქუჩაზე ნაჭრებს

3

მოსამსახურეთა სადგომი პატიოს ირგვლივ, ქვედა სართულზე იყო. ავდარში ჭრიჭინი გაჰქონდა კედელზე მიმაგრებულ ხრახნილ კიბეს, რომელსაც როდოლფო სებალიოსის საძინებელში და ბრტყელ სახურავზე ავყავდით. ცოლ-ქმარმა ბალკარსელებმა საცხოვრებლად აქ რომ დაიდეს ბინა, როდოლფომ მათ დიდი საძინებელი დაუთმო, ხოლო თვითონ გვერდითა ოთახში გადაბარგდა. მაგრამ ასუნსიონმა აუხსნა, ბავშვთან ახლოს მე უნდა ვიყო, ხოლო მარტოხელა კაცისთვის უფრო მოშორებული ოთახია უპრიანიო. ჰოდა, როდოლფომ კვლავ განაახლა ერთობის ბაღის სარდაფსა და შაბათობით საროსკიპოში სიარული, ხოლო კვირადღეს ქეიფს ანდომებდა. ყოველ საღამოს რკინის ჭრიჭინა საფეხურები მის ფეხაკრეფით ასვლას იუწყებოდნენ. მაგრამ იგი ამ ფიზიკური ძალდატანებისათვის დაჯილდოებულად მიიჩნევდა თავს: რა დამატკბობელია მთვარის შუქით განათებული გუანახუატო, რა დიდებული სანახავია აქა-იქ აკიაფებული სინათლე საცხოვრებელ ბინებში, მთებში, გლეხების ქოხებში! მსუქანი როდოლფო ქშინავდა, იხრჩობოდა, ხანდახან ეშინოდა, ფეხი არ დასცდენოდა და არ დაცემულიყო. იგი მალე შეეჩვია ასეთ ყოფას. ოჯახური სიმძიმის ცენტრი

როდოლფოს გვერდს უვლიდა. მისი საძინებლის მდებარეობის გამო არც ესმოდა დონია ასუნსიონის სტუმრების საუბარი.

სენიორ ბალკარსელის გამოჩენით მამისეულ სახლს დონია გილიერმინას დროინდელი რიტმით ცხოვრება დაუბრუნდა. საუზმე - რვაზე, სადილი - ორის ნახევარზე, ვახშამი ცხრაზე, - დილით საადრეო წირვა და საოჯახო საქმეები, ნასადილევს - ვიზიტები და საღამოს ლოცვა, ხუთშაბათობით - ხელსაქმე. ბალკარსელმა მართვის სადავეები სწრაფად აიღო ხელში და როდოლფომ მეორე პლანზე გადაინაცვლა. ბავშვისათვის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა იყო, როგორ მიემართა ამ ორისთვის. ვერა და ვერ გაეგო, რატომაა დედის ქმარი - ბიძა, ხოლო მამას სახლის მეორე ბოლოში ეძინა? რომელს უფრო უნდა გაუგონოს - კარგად ჩაცმულ მკაცრ ბატონს თუ ამ კეთილ, მსუქან მამაკაცს?

ბიძია ბალკარსელი წერდა თავის ცნობილ შრომას ეკონომიკაში, ურთიერთობას აბამდა გუანახუატოელ მოღვაწეებთან და ინგლისური ეკონომიკური თეორიების ცოდნით ყველას აცვიფრებდა. თუ 1915 წლის რევოლუციამ იარაღით შეაძრწუნა, 1929 წლის

რევოლუციამ ზევიდან მისი სახით თავაზიანი განმმარტებელი პოვა, - „შენება“ რევოლუციის სიტყვაა და კალიესი კი მისი ნების მთავარი გამომხატველიაო. ალბათ, ყოვლად უცნაურად მოგეჩვენებოდათ - ეს მოვლენა ასე გავრცელებული, თითქმის საყოველთაო რომ არ იყოს - კონტრასტი ხალხში ბალკარსელის მხურვალე ანტიკლერიკალიზმსა და შინ მის ღვთისმოსაობას შორის. ამ მხრივ ასუნსიონის სათნოებამ, რითაც ეგოდენ ამაყობდნენ მისი წინაპრები, ყოველივეს გადააჭარბა. რელიგიური დევნის წლებში მან პირველმა მოაწყო კარის

სამლოცველო და მართლაც, დასაცინი შეიქნა, ლიცენციანტი ბალკარსელი ერთობის ბაღში მთელი ხალხის გასაგონად როგორ გმობდა მღვდლების შეთქმულებას, და სასაცილო სანახავი იყო, იმავ დღეს დონია ასუნსიონი ქვითკირის განმარტოებული სახლის კედლებზე როგორ ჰკიდებდა ღვთისმშობლის ხატს. დიახ, დიახ, სენიორ ბალკარსელს არასდროს გამოუტოვებია მწუხრის ლოცვა, რომელსაც ჩვეულებისამებრ გილიერმინა სებალიოსის მიერ დადგენილი წესის მიხედვით შინაურები საღამოობით მისი მეუღლის მეთაურობით ერთხმად აღავლენდნენ. ქრისტიანული სათნოების ამ მემკვიდრეს შიშით აგონდებოდა, რომ მისი ბებია, ანდალუსიელი მაჩადო, აშკარად დასცინოდა ამ რიტუალს და ამბობდა, ღმერთს გულში უნდა სცე პატივი და არა

საჯაროდ, ყველას დასანახავადო. ბავშვივით იყო საცოდავი მოხუცი! რაც შეეხება ასუნსიონს, ქმრის საქციელი გარეთ, ხალხის დასანახავად და საწინააღმდეგო მოქმედება შინ - არასდროს აფიქრებდა. აქ საქმე ეხებოდა პოლიტიკას - და ეს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ პოლიტიკაში, ე. ი. მამაკაცურ საქმიანობაში, ქალები არ უნდა ჩარეულიყვნენ: გარდა ამისა, ასუნსიონს ისიც მოეხსენებოდა, რომ სწორი პოლიტიკური პოზიცია მუდამ ყოფილა და იქნება ოჯახის ეკონომიკური აყვავების საფუძველი, ის კი არც ისე სულელი გახლდათ, რომ მიწიერი უზრუნველყოფა ზეციურისთვის შეეწირა, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეიძლება ერთიც გქონდეს და მეორეც. განა თავისი სიმდიდრითა და მდგომარეობით არ უნდა უმადლოდნენ სებალიოსები გუბერნატორების, მუნიოს ლედოსა და ანტილიონის მფარველობას? განა გენერალ დიასის დახმარებით არ გაამრავლეს პირველი და არ განამტკიცეს მეორე? მაშ, რად უნდა უარყონ გენერალ კალესის ან გენერალ კარდენასის[103] წყალობა, როცა მან დაამტკიცა, რომ იგი არ იქნება მარიონეტი? ან, ბოლოს, გენერალ ავილა კამაჩოს[104], რომლის მმართველობის დროს ხორხე ბალკარსელმა თავს ნება მისცა, გაეერთიანებინა თავისი პირადი რწმენა და საჯარო გამოსვლები. „მე ყოველთვის ვამბობდი, - განმარტავდა ის, - რომ რევოლუციებს, ღვინოსავით, დრო არბილებს. გადაჭრით რომ

ვთქვათ, უკიდურესობის ეტაპი უკვე განვლილია“. მსგავსი ფილოსოფიით თუ ვიხელმძღვანელებთ, ბიძიას ჯერ დეპუტატის პოსტი ეკავა, შემდეგ ბანკის დირექტორის, ხოლო 1942 წლიდან შეძლებული და ძლიერი მევახშე გახდა.

წინათ სახლში ერთი ოცი საძინებელი მაინც იყო, მაგრამ ბალკარსელმა მარჯვენა კარი ამოქოლა, წმინდა როხას ქუჩიდან ვიწრო შესასვლელი გააკეთა და ეს ოთახები გააქირავა. ასე რომ, სახლის პატრონი გახდა და ეს შემოსავალი პოლიტიკურ მოღვაწეობასა და ფულის სესხებასთან ერთად მისი გამდიდრების ძირითად წყაროდ იქცა.

მისმა მშობლებმა - იმ დროისა (1925 წელი) და იმ ადგილისთვის (მექსიკის პროვინცია) არცთუ ისე მცირე, მთელი ქონება გაანიავეს - რათა მათ ვაჟიშვილს ემიგრაციაში გვარიანად ეცხოვრა და ესწავლა. მრავალი ტონა მინერალის

საფასურად იყიდეს: გემის ბილეთი, ლონდონში ავეჯგაწყობილი ბინები, ტანსაცმელი და წიგნები ეკონომიკაში - და ყველაფერი ეს ხორხე ბალკარსელის და მისი ახალგაზრდა ცოლის, ასუნსიონ სებალიოსისათვის. ჰოდა, ესენიც იძულებული შეიქნენ, სასწრაფოდ გაეყიდათ

ადგილ-მამული, რის გამოც ვეღარ მოხერხდა უფრო სარფიანად მისი გაყიდვა. ბალკარსელი მარტო საპატიო დავალებისათვის როდი ბრუნდებოდა გუანახუატოში, რომლის ღირსიც პრეზიდენტმა კალიესმა გახადა, მთავარი სტიმული სულ სხვა რამ იყო: იგი წინასწარ ჭვრეტდა, რომ ყოველ დიდ ქალაქში მას გაღატაკებული არისტოკრატის ღარიბული, უფერული, ყოვლად უმიზნო სიცოცხლე ემუქრებოდა. გუანახუატოში კი, პირიქით, თვით თავისი სახელიც დაავიწყებდა უწინდელ ლაღ ცხოვრებას, იშრომებდა, რომ თავი არ შეერცხვინა, ისევ გამდიდრდებოდა და უწინდელ მდგომარეობას დაიბრუნებდა, როგორც მისი გვარის კაცისგან ელოდნენ თანამემამულეები. უმაღლესი ბელადის მიერ დავალებული გამოკვლევის დასრულების მერე ახალგაზრდა კაცს ეკონომიკური მეცნიერებისადმი ინტერესი დაეკარგა, თანაც, ახლომახლო არც იყო ვინმე, ვისთანაც შეიძლებოდა ემსჯელა ისეთ განყენებულ თემებზე, როგორიც გახლდათ კარტელი, შემოსავლის კოეფიციენტები, საზოგადოებრივი შრომა და ბიბლიოგრაფიული სიახლეების გამოწერაც სრულიად გამორიცხული იყო. ჰოდა, ბალკარსელმაც დაივიწყა, რომ ინგლისელი მეცნიერის წოდება ჰქონდა და გულმოდგინედ შეუდგა ახალი რევოლუციური ხელისუფლების წინაშე მლიქვნელობას. ფართოდ გაიღო წმინდა როხას ქუჩაზე ქვითკირის

განმარტოებული სახლის კარი და იქ გამოჩნდნენ ოჯახები, რომლებიც ათი წლის წინ ვერც იოცნებებდნენ ასეთ არისტოკრატიულ და მდიდარ ოჯახში ვახშმად მიპატიჟებას. „თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა ბიჭობაში მამათქვენს აი, იქ, პირდაპირ სარაჯის[105] დუქანში ვეხმარებოდი! ისიც კარგად მახსოვს, დედათქვენი როგორ დადიოდა საყდარში“. სენიორ ბალკარსელი შტატის საკანონმდებლო კომიტეტის დეპუტატი გახლდათ და თუმცა მისი იქ მოღვაწეობა არაფრით დაამახსოვრდათ - და შეიძლება სწორედ ამ მიზეზით, დეპუტატთა ფედერალურ კონგრესში მიიწვიეს, მაგრამ უარი თქვა. „ჩემს სამშობლოსა და მის ურიცხვ პრობლემას ვერ მოვშორდები“, - განაცხადა მან ოფიციალურ წრეებში. გულში კი სულ სხვა რამ გაიფიქრა. იგი ფიქრობდა პორფირიოს დროინდელ საზარელ აჩრდილებზე, რომლებიც დედაქალაქში მოსვენებას არ მისცემდნენ, იმასაც ფიქრობდა, რომელიმე გაზეთი ხმაურს ატეხს, აღშფოთდება, მდიდარი სამთო მრეწველი და ყოფილი მემამულე კარდენისტულ კონგრესს რომ დაესწრებაო. ფიქრობდა, აგრეთვე მოსალოდნელ ნოსტალგიაზე; კმაყოფილი იყო იმითაც, რომ საზოგადოებრივი შენობების მშენებლობაში კონტრაქტებით მომგებიან საქმეებს და რამდენიმე ხნის მერე კი ბანკის დირექტორობას ჰპირდებოდნენ. ჩატარებული დევალვაციების შესახებ წინასწარ იგებდა და კონტრაქტებსა და

ფისკალური ოპერაციების შუამავლობაში ბლომად პროცენტებს იღებდა. ასე რომ, ძია ბალკარსელმა თხუთმეტი წლის განმავლობაში მკაცრი პირობების პროცენტული სესხით დიდძალი ქონება დააგროვა. ჩვეულება - ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთის ბანკებში ჩაერიცხა - წინაპრებისგან შეითვისა, რევოლუციური ოლიგარქიისგან კი ქალაქის უძრავ საკუთრებაში ფულის დაბანდება. სახლების შემოსავლითა და პროცენტებით, მისი საზოგადოების აზრით, იგი ფუფუნებით ცხოვრობდა.

და აი, ის თქვენ წინაშეა: წარმოსადეგი, წაბლისფერთმიანი, ყოველდღიურად ქოჩორი რომ უთხელდება, თხელი ტუჩები, ყვითელი სახის კანი, ხეშეშ წამწამებქვეშ გუდალებიანი მკაცრი თვალები, კარგად პირგაპარსული, და საერთოდ - პეწიანი იერი. უყვარს სენტენციების ფრქვევა, ყოველ წუთს იხსენებს ზნეობრივ კოდექსებს და მეფური დიდებულებით ჩვევად აქვს ჟილეტის ბორტში ხელის გაყოფა. კოსტიუმი სოლიდური, ოდნავ ძველმოდური აცვია, ჩასმული კბილები აქვს, საკითხავად ბიფოკალური სათვალე. თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის დიდი ხნის განმავლობაში მოუხდა მსხვერპლად შეეწირა თავისი რელიგიური გრძნობები, მაშინ,

როდესაც მოახერხა საჯაროდ ეღიარებინა თავისი „მორწმუნეობა“, წარსული წლები ერთობ ჭარბად აინაზღაურა. სიტყვები „კათოლიკე“ და „წესიერი კაცი“ მისი პირიდან კვლავ სინონიმებად აჟღერდა. ახლა შეეძლო ღრმა კმაყოფილებით თავისი მაღალსაზოგადოებრივი ინტერესები რელიგიური რიტორიკის მიდრეკილებისათვის შეეხამებინა. „კერძო საკუთრება ღვთიური გონების უდავოდ ერთ-ერთი პოსტულატია“. „მექსიკაში პატიოსანი ადამიანების მოვალეობაა ჩამორჩენილი ხალხის აღზრდის, მორალისა და ეკონომიკური მოღვაწეობის მეთვალყურეობა“. „ოჯახი და რელიგია - აი, ადამიანის მთავარი განძი“. აი, ასეთი გახლდათ მის მიერ ხშირად წარმოთქმული მარჯვე მაქსიმები.

ზედმიწევნით პუნქტუალური იყო, ვერ იტანდა ვერავითარ უწესრიგობას, ფუქსავატურ, დაუფიქრებელ სიტყვას, შემუშავებული რეგლამენტის ოდნავ დარღვევასაც კი. თბილი აბაზანა მისთვის რვის ნახევრისთვის უნდა გაემზადებინათ, რვა საათზე მიირთმევდა მდუღარე წყალში ზუსტად სამ წუთს მოხარშულ კვერცხს. კვირის განმავლობაში გარეცხილი თეთრეული მის საწოლზე უნდა დაეწყოთ, რათა პირადად შეემოწმებინა, ჯეროვნად იყო თუ არა საყელოები გახამებული: მისი

თანდასწრებით უნდა ელაპარაკათ მხოლოდ იმ თემებზე, რაც ოჯახს შეეხებოდა, რათა შემდგომ სენტენციების წარმოთქმის შესაძლებლობა მისცემოდა; ოჯახის წევრებს მწუხრის ლოცვა ზუსტად ექვს საათზე უნდა წარმოეთქვათ და საკვირაო წირვაზე შავებში გამოწყობილნი უნდა წასულიყვნენ. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ შეუვალი იყო, მასთან ვერავინ ბედავდა შეკამათებას, ყველას მისთვის უნდა მიეგო პატივი. ასე იყო კარგა ხანს. ბალკარსელის მაღლა აწეული საჩვენებელი თითი მისი ავტორიტეტის უცილობელი ნიშანი გახლდათ. ყოველ საღამოს ეს სანიმუშო მეოჯახე გაზეთებით წვებოდა - მისი ერთადერთი

საკითხავი რომ გახლდათ - გულსმოფენილი სიმშვიდითა და ძალაუფლების დამკვიდრების სრული შეგნებით.

როგორც ყველა ბურჟუა-კათოლიკე, ბალკარსელი სულით პროტესტანტი[106] ბრძანდებოდა. თუ დიდი სამყარო პირველ ინსტანციაში იყოფა ისეთ კეთილ, მოაზროვნე არსებებად, როგორიც თავად იყო, მაშინ მეორე, ადგილობრივ ინსტანციაში, გუანახუატოს სამყარო იყოფოდა საკუთრების მფლობელ კეთილი და ბოროტი არსის მქონე არსებებად. მაგრამ ეს მანიქეური დაყოფა[107] ოჯახის წიაღშიც ხდებოდა: აქ კი ბალკარსელი ზნეობრივი ადამიანი გახლდათ, რომელმაც იცოდა, თუ რაი არს

კეთილდღეობა, ხოლო სხვა დანარჩენი - მეტ-ნაკლებად საეჭვონი, რომლებზეც უნდა იზრუნო და ჭეშმარიტების გზაზე დააყენო. მისი ცოლისძმა, როდოლფო, ხომ ყოვლად უნდილი ქმნილებაა. ბალკარსელის მსგავს ადამიანში, შრომა და გამდიდრება რელიგიად რომ უქცევია, ეკონომიკური ზრდისათვის უნიჭო და უუნარო ბენტერა კომერსანტი მტკნარ ზიზღს იწვევდა. ამას თუ დავუმატებთ როდოლფოს უგვან ქცევას, რასაკვირველია, ქადაგების მიზნად და თვითკმაყოფილების სტიმულად ვერ გამოდგებოდა. აი, სწორედ ამაზე ითქმის, თვალსაჩინო მაგალითიაო. ხაიმე, როგორც საკუთარი მამის შვილი, ბიძის მორალიზატორული გადახრებისათვის ორმაგ შესაძლებლობას იძლეოდა. ბიჭს როდოლფოს ზნეობრივ კრახზე მიუთითებდნენ და სხვა, წაღმართი გზისკენ მოუწოდებდნენ. ბალკარსელს, ცხადია, არ უყვარდა ძმისწული, მას მხოლოდ ხორხე ბალკარსელი უყვარდა. ბიჭი კი, მართალია, აღიზიანებდა, მაგრამ როგორც სულიერი ნედლეული, აინტერესებდა და თან აუცილებლად სჭირდებოდა, რომ ცოლთან მორიგებით ეცხოვრა.

რადგან საგვარეულოს ამ უფროსს ოჯახი არ გააჩნდა და ეს მისი, როგორც წესიერი კაცის ხატების ერთადერთ ხინჯს წარმოადგენდა, ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ

ცოლ-ქმარმა ლონდონში ექიმს მიმართა. ასუნსიონს არასოდეს დაავიწყდება ექიმის სიტყვები: „თქვენ სავსებით ჯანმრთელი ხართ, შეგიძლიათ იყოლიოთ იმდენი შვილი, რამდენიც გნებავთ“. სამაგიეროდ, ხორხეს არასოდეს გაუმხელია ექიმთან თავისი საუბრის შედეგი. ამ ამბის მერე რამდენიმე დღის განმავლობაში იგი, როგორც ასუნსიონმა შენიშნა, საოცრად ჩაფიქრებული დადიოდა. მერე ახალგაზრდა მეუღლე ისევ თავის საქმეს ჩაუღრმავდა და ამ სახიფათო თემას გაურბოდა. გამოხდა ხანი, გავიდა ქორწინების პირველი წლები, ფეხმძიმობას კი საშველი არ ადგებოდა. ასუნსიონს აღზრდა ნებას არ აძლევდა, ქმართან ამ თემაზე ელაპარაკა, ქმარი კი, როცა ქალს თვიური ჰქონდა, ხან ჯიუტად დუმდა, ხანაც ცდილობდა, უბრალო რამეზე ეჩხუბა, ხან კი სენტენციებს აფრქვევდა; მთავარ თემას ყოველნაირად თავს არიდებდა და სიმკაცრის კედლით შემოისაზღვრებოდა. დროთა განმავლობაში ეს ზნე მისი ხასიათის მთავარ თვისებად იქცა. ქალის ბუნებრივი გრძნობები ნორმალური ცოლქმრული ურთიერთობის დროს სრულიად ჩვეულებრივი ნორმალური

სექსუალურობიდან ფარულ, დაძაბულ, მწვავე ვნებაში გადაიზარდა. ცოლქმრული მოვალეობა მექანიკურ წეს-ჩვეულებასავით სრულდებოდა. ასუნსიონი უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ ამ ურთიერთობას შედეგი არ მოჰყვებოდა და თავისი ზმანებებისა და

დაუკმაყოფილებელი სურვილების ფარულ სამყაროში გადასახლდა. ამის თაობაზე არასდროს არავის ელაპარაკებოდა. მხოლოდ ხანდახან ძილსა და მარტოობის წუთებში ეჩვენებოდა, რომ მუცელში ნაყოფი იზრდებოდა, რომ ბავშვს შეეხო, რომ მის არსებაში თესლი აღმოცენდა. მერე იღვიძებდა: საფეთქლები სტკიოდა, მუცელი წიწკნიდა, მაგრამ საშინაო საქმეებს უნდა შესდგომოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ასუნსიონი ახერხებდა, ცდუნება დაეძლია, რომელიც მერე ისევ ტანჯავდა და ეუფლებოდა.

ქმართან ერთად სამშობლოში დაბრუნებული ასუნსიონი მაშინვე მიხვდა, ძმის ოჯახში სწორად რა არ კეთდებოდა. სიზმრებითა და აბეზარი ხილვებით მოსილმა ნახევრად უგრძნობ მდგომარეობაში დაისახა მოქმედების გეგმა. როდოლფო დაარწმუნა, რომ შვილები უნდა ჰყავდეს. „მაშინ შენ, ფიტო, ამ ცხოვრებაში ჭეშმარიტ სიყვარულს პოვებ“. როცა ადელინამ საიდუმლოდ ამცნო თავისი ფეხმძიმობა, ასუნსიონმა რძალს სიცოცხლე გაუმწარა და იძულებული გახადა, დაეტოვებინა იქაურობა. ბოლოს, იმასაც მიაღწია, რომ ბავშვი წინაპრების სახლში მიეყვანათ: დონ ჩეპეპონს ათასი პესო ჩაუჯიბეს და ბავშვი დედას მოაშორეს. მხოლოდ მაშინ მოეხსნა შემაშფოთებელი ზმანებანი. ასუნსიონის ტუჩები, თვალები, ხელები ბალღის ნაზი კანის შეხებით,

ბავშვის ტკბილსურნელებით, მისი პატარა სხეულის დიდი ხნის ნანატრი სიახლოვით ტკბებოდნენ. ასუნსიონის ერთადერთი საზრუნავი ხაიმე, მის ტანსაცმელზე, საჭმელზე, ბანაობაზე დედობრივი ზრუნვა გახდა. ქალის ცხოვრება ბავშვის ყოველნაირი ავადმყოფობის დროს მისი მოვლით შეივსო. მისი სული დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აივსო: პირველი ასოები, ერთად წაკითხული პირველი ლოცვა, საშობაო საჩუქრები, პირველი ველოსიპედი, სკოლაში პირველად წასვლა, პირველი ზიარება. ეს ქალი მანიაკური ვნებათაღელვით ადევნებდა თვალყურს ბავშვის ცხოვრებას და ღრმა ოხვრა აღმოხდებოდა, ქორწინების პირველი უშინაარსო წლები რომ აგონდებოდა. შექმნილი მდგომარეობა არ გახლდათ ბალკარსელისთვის საიდუმლო: როგორც მისი მეუღლე, იგიც თანდათან შეეგუა აზრს, რომ ამ ბავშვის წყალობით მათ ოჯახში პრობლემა მოიხსნა. ბიჭმა შეავსო მათი უნაყოფო სიცარიელე, რომელზეც იქნებ ასუნსიონსა და ხორხეს შორის მარადი მტრობა აღმოცენებულიყო.

ამ ოჯახის თავისებურება იყო რწმენა, რომ ცხოვრების ძირითადი კანონი რეალური დრამების მიჩუმათებაა. როგორც ასუნსიონი ჩუმად ნაღვლობდა ბავშვზე, ასევე როდოლფოც, როცა მარტო რჩებოდა, თავს კიცხავდა და საყვედურობდა ადელინას

მიტოვების გამო. ეს მათი განცდები არასდროს გამჟღავნებულა; როდოლფოს არც ერთხელ არ უეჭვია, რომ ასუნსიონი უნაყოფობით იტანჯებოდა, მის დას კი, რომ როდოლფოს ცოლის ხვედრის გამო სინდისი ქენჯნიდა. არც ერთის და არც მეორის აზრი ხორხე ბალკარსელს არ აწუხებდა. ოჯახის მეუფეს მის მორჩილ ადამიანთა ცხოვრებაში მრავალფეროვნება შეჰქონდა, როცა ზნეობის წესებსა და მაგალითებს უქადაგებდა იმის შესახებ, წესიერი ადამიანი ასეთ ვითარებაში როგორ მოიქცეოდა. მაგრამ მის დეკლარაციებს ყოველთვის განყენებული ხასიათი ჰქონდა და ცხოვრების კონკრეტული სიტუაცია ამ სენტენციებისგან ერთობ შორს იყო. ოჯახის სამივე წევრი იცავდა წესს: ნუ შეეკამათები, თუ გინდა, რომ არ შეგეკამათონ, არ იხმარო ძალა, თუ არ გინდა, რომ შენზეც იხმარონ. გამონათქვამთა ნიაღვარსა და უფროსთა შეუღწეველ სიჩუმეში ხაიმე სასურველი თავშესაფარი იყო, მეტისმეტ მწუხარებასა და მწარე ბრალდებებისგან რომ იცავდა მათ. ასუნსიონის შვილობილი, ბალკარსელის პატრიარქალური მბრძანებლობის გამოვლენის საბაბი, როდოლფოს ცხოვრების გამართლება - როგორც არსება, რომელსაც სხვა, განსაკუთრებული ბედი ელოდა, რასაც დედა ხელს შეუშლიდა - ბიჭი იზრდებოდა მხურვალე ერთგულების, პირფერულ რჩევა-დარიგებათა გარემოცვაში.

„ღმერთო, ნეტავ არ გაიზარდოს, ნეტავ არ გაიზარდოს!“ - ყოველდღიურად გუნებაში ასე ჰვედრებდა მამიდა. მერე ძმისწულის საძინებელში შედიოდა, ერთხანს დაჰყურებდა მძინარეს, შუბლზე ეამბორებოდა და ფარდებს გადასწევდა ხოლმე. ასუნსიონი ჩანთას ამოწმებდა, შიგ იმდღევანდელი გაკვეთილების სახელმძღვანელოებს და რვეულებს ჩააწყობდა, ფანქრებს თლიდა და საშლელს წმენდდა. ხაიმეს საუზმეს გაუწყობდა და სულს უწყალებდა, ხან ტკბილი ფუნთუშეულის, ხილის, ხან ჭიქა რძის შეთავაზებით.

- ძალიან ანებივრებ ბიჭს, - შენიშნავდა ხოლმე ბალკარსელი, - ხაიმე, კარგად ისწავლე არითმეტიკის გაკვეთილი?

- დიახ, ბიძია.

- შენ ასაკში კლასში ყოველთვის პირველი ვიყავი ხოლმე. ვერ მოვითმენ, ჩემი ძმისწული სხვებზე ცუდად რომ სწავლობდეს. სკოლაში დისციპლინა ცხოვრების დისციპლინის საფუძველია. ხომ არ გეშინია, რომ წელს ჩაგჭრიან?

- არა, ბიძია.

- უნდა გეშინოდეს, საგამოცდოდ რომ ემზადები, ერთიანის უნდა გეშინოდეს. ეს ერთადერთი საშუალებაა ბეჯითად მეცადინეობისა. მასწავლებელმა ყოველთვის მოწაფეზე მეტი იცის და თუ მოისურვა, ყველაზე მუყაითი მოწაფის ჩაჭრაც შეუძლია.

- მესმის, ბიძია.

4

დაწყებითი განათლება ხაიმემ ოლივეროსის ოჯახში მიიღო, სადაც ჯერ რელიგიის დევნის გამო, ხოლო შემდეგ იმ მიზეზით, რომ სკოლებში სოციალისტურ აღზრდას ეწეოდნენ, შეძლებული და ღვთისმოსავი ოჯახის შვილებს გზავნიდნენ. ბიჭს იქ აქებდნენ არა იმდენად სწავლაში სიბეჯითის, რამდენადაც რელიგიური განაწესის მკაცრი შესრულებისა გამო. შვიდი წლისამ პირველი ზიარება მიიღო და პირველი საკითხავი წიგნებიც მამიდამ შეურჩია: ლოცვანი, დამხმარე მოთხრობები გუანახუატოს წმინდა ქალწულზე. ხაიმე მწუხრის ლოცვას მუდამ ესწრებოდა, ხოლო დილაობით წმინდა როხას ტაძარში წირვაზე მამიდას ახლდა ხოლმე. ამან ის მოიტანა, რომ თერთმეტი წლის ეს ქერათმიანი ბიჭუნა მღვდლად კურთხევას ფიქრობდა და თავისუფალ დროს ღვთისმსახურებას თამაშობდა. როცა უფროსებმა ეს შეიგნეს, ბიძია ბალკარსელი სერიოზულად მოეთათბირა ასუნსიონს და შემდგომ ეს საუბარი მომავალ სასულიერო პირთან განაგრძო. ბიბლიოთეკაში ბოლთას სცემდა, პიჯაკის გადანაკეცზე ხელს ისვამდა და ეს თმაზე პომადაწასმული იურისტი ამბობდა, რომ რელიგიური აღზრდა აუცილებელია, რათა ადამიანებმა პატიოსნად იცხოვრონ, და როცა დრო მოვა,

ქრისტიანული წესით ოჯახი შექმნან; მაგრამ ამ დროს საჭირო იყო სიფრთხილე, რადგან ერთი საქმეა ქრისტიანული ზნეობა და სულ სხვა უზომო მისტიციზმი. თუ პირველი საჭიროა ცხოვრებისათვის, მეორე მხოლოდ განარიდებს ადამიანებს ერთმანეთისგან. ადამიანებთან ცხოვრება კი, რასაკვირველია, პატიოსნების მერე უმთავრესია. მოკლედ, ბალკარსელს არ სურდა, რომ მისი ძმისწული ნეტარად ჩაეთვალათ. მან გააფრთხილა ბიჭი, რომ ამიერიდან მთელი ეს აბდაუბდა - ობლატები, პატარა საფარველი, წმინდა ქალწულის ლითოგრაფია, რომლებითაც ხაიმე თავის საძინებელს რთავდა, პირდაპირ სანაგვეში გადაიყრებოდა. თუ სურს, ღმერთს ესაუბროს, შეუძლია გადაკვეთოს მოედანი და ილოცოს წმინდა როხას ტაძარში. ხვალიდან კი თავისუფალი დრო სპორტს დაუთმოს. ამ საუბრის მერე ბიბლიოთეკიდან გამოსული თავჩაქინდრული ბიჭი დონია ასუნსიონის მკლავებში მოექცა, რომელიც ბიძამისის ბრძნულ იდეებს სულშეგუბებული იმეორებდა.

ცოლ-ქმარ ბალკარსელების მიმართ მტრულმა განწყობილებამ ხაიმე მამასთან დააახლოვა. როდოლფო სებალიოსი უწინდებურად უძღვებოდა წმინდა დიეგოს მოედანზე მაღაზიას. ჩაატარა სხვადასხვა რეფორმა, მთავარი კი ის იყო, რომ მზა

ტანსაცმლით ვაჭრობა გააჩაღა. ძვირფასი ქსოვილების ყიდვა, წინათ დიდი მოთხოვნილება რომ ჰქონდა, როცა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რჩეული წრეები მონაწილეობდნენ და უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული კლასობრივი განსხვავებები, შეწყვიტა. უწინო, ფიქრობდა ჩვენი კომერსანტი, ბერს ანაფორით ცნობდნენ, ახლა კი ყველა ერთნაირად იცვამს, ვერ გაარკვევ,

პატიოსანი კაცია თუ თაღლითი, კარგი ოჯახიშვილი თუ გამოპრანჭული მძღოლი. ამიტომ როდოლფომ თავისი ასორტიმენტი იაფფასიანი ქიშმირისა და გაბარდინის, აგრეთვე დაჩითული და სადა ბამბის ქსოვილებით შემოფარგლა - უკვე აღარ შემოჰქონდა ევროპული საქონელი, უფრო იაფი უჯდებოდა ქსოვილების ორისაბაში ყიდვა. განსხვავებას ვერავინ ამჩნევდა და უკეთესს არავინ თხოულობდა. როდოლფო შეეცადა, როგორც ახალგაზრდობაში, მხიარულად ეცხოვრა, თუმცა, ბალკარსელების მიერ ოჯახში შემოღებული მკაცრი წესების მიხედვით, რაც უწინ ნორმალურ არსებობად ითვლებოდა, ახლა სამარცხვინო სიამოვნება გახლდათ. მეძავები, დომინო, ლუდი, ყველაფერს ასუნსიონი განუსაზღვრავდა დღის განაწესითა და თან ბალკარსელთან შეხვედრის შიშით. მაგრამ ახლა უადელინოდ სანიმუშო მეოჯახის თამაში უაზრობა იყო. საცოდავი როდოლფო სადღაც უკანა ეზოში მიყუჟეს, მისი ცხოვრება შიშით, აკრძალვებით იყო სავსე,

განსაკუთრებით ცოლ-ქმარ ბალკარსელების თვითდაჯერებულ კმაყოფილებასთან შედარებით. დროდადრო როდოლფოს ადელინაზე ფიქრი ეწვეოდა.

- ასუნსიონ, ადელინას ხომ არაფერი უჭირს?

- ნუ ღელავ, კარგად ცხოვრობს, ოღონდ, იცოდე, არ გაბედო ღვთის გულისთვის და ხაიმესთან არ ახსენო.

ერთხელ როდოლფომ ადელინას ეკლესიასთან მოჰკრა თვალი და სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა დაეუფლა. უწინ ტანადი და ლამაზი ქალი დაუშნოებულა, გამხდარა, ძვალ-ტყავად ქცეულა. როდოლფომ რამდენიმეჯერ გადაწყვიტა, ბიჭი მასთან წაეყვანა, მაგრამ მუდამ გამოჩნდებოდა რაღაც მიზეზი, რომლის ძალითაც ეს სურვილი სურვილადვე რჩებოდა. უფრო სწორად, კომერსანტს გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ასუნსიონის მკაცრი ზედამხედველობიდან გამოეხმო შვილი და მით უფრო, მასთან დედაზე ელაპარაკა. მერე გაიგო, რომ ჩეპეპონი გარდაცვლილა და ადელინა გუანახუატოდან წასულა.

როდოლფო უკვე შეჩვეული იყო, რომ მასა და ბიჭს შორის სიახლოვე არ არსებობდა და აღფრთოვანებით შეეგება ბიჭის სურვილს, მამას დაახლოებოდა. ხაიმეს მაშინვე უჩურჩულა, რომ მამიდასა და ბიძიას არ უნდა სცოდნოდათ მათი შეხვედრების ამბავი. მოგონილი მიზეზით გაკვეთილების დამთავრებისას ყოველდღე მიდიოდა ოლივეროსების სახლთან, რომ ხაიმე შინისკენ გაეცილებინა და თუნდაც ოცი წუთით მასთან ელაპარაკა. როდოლფოს ცხოვრებაში ნათელი წერტილი აკიაფდა, თავი დაირწმუნა, რომ ყოველნაირად უნდა ეცადოს ბიჭის გულის მონადირებას, და მართლაც, სასწაულად გაუჩნდა იმის ნიჭი, რომ ზღაპრები შეეთხზა და ბიჭის ცნობისმოყვარეობა გაეღვივებინა. მისი ყურადღება მიექცია. სიცოცხლეში არასოდეს ჰქონია იმაზე უკეთესი წუთები, ვიდრე შვილთან შეხვედრების იმ ერთადერთ წელს, როცა ხაიმე

თორმეტი წლის იყო. თითქოს ამ მაუდით მოვაჭრის მსუქან, ულაზათოდ ჩაცმულ სხეულში ახალი სული ჩასახლდა. რა სხარტად და ლამაზად ჰყვებოდა იმ საგნებზე, თითქმის რომ გადაავიწყდა, ჰყვებოდა მოგონილ ისტორიებს, საპოტეს ქუჩასა და მორელოსის ბაღისკენ მიმავალ გზას თავშესაქცევი ამბებით, ანეკდოტებით ალამაზებდა.

- აბა, წარმოიდგინე... წარმოიდგინე, რომ ეს ქუჩა სავსეა ძველებური კარეტებით, ისეთებით, როგორიც ჩვენს სარდაფში დგას. ხომ გინახავს? ერთ-ერთში შენი დიდედა დონია მარგარიტა თავის ვაჟიშვილებთან ერთად ზის... ხელში ჭრელი ქოლგა უჭირავს... თავს უკრავს საკვირაო წირვიდან დაბრუნებულ ნაცნობებს... დიდედა, ალბათ, სენიორ ეპისკოპოსთან მიემგზავრება ფინჯანი შოკოლადის დასალევად. ოჰ, რა კარგი იყო ეს ყველაფერი! ხომ მართალია? აბა, ახლა წარმოიდგინე, წარმოიდგინე, რომ გვყავს ჯადოსნური მანქანა, ველოსიპედის მსგავსი, რომ წარსულში დავბრუნდეთ და გავიცნოთ - მოიცა, ვინ? ვინ დაგისახელო - პიპილა![108] იცი, იყო ასეთი ბიჭი, შენნაირი, იგი აჯანყებულებს მიეშველა ალოდინგა დე გრანადიტასის დაპყრობაში, გინდა მისი გაცნობა? აი, ალოდინგაში როგორმე წავალთ და მაშინ მოგიყვები...

როდოლფო ტყუილად როდი ცდილობდა - ბიჭი უფრო მაგრად უჭერდა ხელს, სიცილით ახარებდა და თავისი უმანკო ბავშვური თვალებით შეჰყურებდა. მოუთმენელი სიხარულით სავსე მამა და შვილი სან-რენოვატოს რაბის გახსნის ცერემონიალზე მიიჩქაროდნენ. ბიჭი შესცქეროდა უბრალო ხალხს, ტკბილეულს სანსლავდა და აღტაცებისგან ყვიროდა, როცა რაბის ჭიშკარი აიწეოდა და ბრბოს წყლის

ხმაური და ხუვენტინო როსასის მელოდია ესმოდა. ქონწასმული ბოძები, ქაღალდის ბურთები, ნიღბები - სახალხო დღესასწაულის ჭრელი სამყარო ბიჭს მხიარულად თვალს უჭრელებდა, რომელმაც მხოლოდ აქ და როდოლფოსთან ერთად იგრძნო პირველად ცხოვრების გემო. ხალხში გარეული მამა-შვილი მღვიმის დღეს სალოცავად მიდიოდნენ, სიცილით ყრიდნენ ყვავილებს წითელ პარასკევს, იეზუიტთა ტაძარში ვნების პარასკევს თაღქვეშა ვარდისფერი ქვის კედელს მიყრდნობილმა შავკულულებიანი და შუბლდასერილი ქრისტეს გამოსახულებას ჩაშტერებულმა ბიჭმა აქ პირველად იგრძნო, რომ ბიძია ბალკარსელი მართალს არ ამბობდა. დიდხანს არ უფიქრია, ხაიმემ ისე გადაწყვიტა თავისთვის, რომ კაცი, რომელსაც ეს მწუხარე ქანდაკება ასახიერებდა, სულაც არ გახლდათ შეშლილი, მაგრამ ბიძიას რომ იგი სიცოცხლეში სცნობოდა, უთუოდ შეშლილად ჩათვლიდა.

თუმცა, იყო კიდევ რაღაც. ბიჭი, რომლის თვალები ჯვარცმულს მიჯაჭვოდა, თავის გრძნობებს სიტყვით ვერ გამოხატავდა. სიტყვა უძლური იყო მასთან შედარებით, რასაც ის, როგორც ძლიერ მოზღვავებულ თბილ ნიაღვარს, გრძნობდა და განიცდიდა.

ჯვარცმა რხევა-რხევით მოჰქონდათ და ამ პატივისთვის ინდიელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. თუმცა, ხელებში ჯვარცმულის შესახებად რომ იწევდნენ, არ იგრძნობოდა მოუთმენლობა, მწუხარება ან სიხარული. ყველა ეს გაწვდილი ხელი თითქოს მოქმედი მორჩილებისა და დაძაბული ცხოვრების სიმბოლო გახლდათ. თითქოს მორწმუნეთ არა იმდენად თავის გამოჩენა ეწადათ, რამდენადაც ჯვარცმის შეხებაში განზავება. თითქოს ღვთისმოსაობისთვის ჯილდოს კი არ ითხოვდნენ, არამედ პირიქით, უარს ამბობდნენ მასზე. თითქოს მათი მორწმუნეობა ცხოვრებაში აწყმოს მომავლის შეცვლით ან წარსულის განსახიერებით განმტკიცებას კი არ ემსახურებოდა, არამედ ცხოვრებისგან განდგომას, უსახელო ბრბოში გაქრობას.

მორწმუნე ინდიელების ხელში ქრისტე, როგორც იმედის სიმბოლო, ყველას თავს ზემოთ დაფრინავდა. აღტაცებულ სახეებზე წარსულში დაბრუნების ფარულ სურვილს, დაკარგულის შეძენის სურვილს, აგრეთვე უსიტყვო გამოწვევას ამოიკითხავდით. ჯვარცმას ღარიბები მოასვენებდნენ - შეძლებული მეტისები და კრეოლები ტროტუარებსა და აივნებზე იდგნენ და მოწყალედ თვალს ადევნებდნენ მათ. ხალხის რწმენასა და ქრისტეს გარდაცვალებას მათთვის ყველა სიკეთე, სიამე და სიმშვიდე

მოჰქონდა. და სწორედ ეს ჰმატებდა საიდუმლო რწმენას მათ, ვისაც ნაზარეველი ხელთ ეპყრა. ეს ზეიმი მათი სულის ზეიმი იყო, მხოლოდ ასეთ შემთხვევებში იყვნენ ისინი მთავარი მოქმედი პირნი, ზეიმურ დუმილში გარინდებულნი, საღვთო გამოსახულებასთან გაერთიანებულნი, ისინი ცერემონიის გმირები იყვნენ.

ხაიმე სხვანაირად ხედავდა და გრძნობდა ყოველივეს. ეს ჭრელჭრული დღესასწაული ფიქრებს უბინდავდა, მაგრამ სინათლის ციმციმში, ბრბოს ამოსუნთქვასა და უტყვ დაძაბულობაში იგი ახერხებდა საკუთარ თავსა და ჯვარზე გაკრულ ფიგურას შორის ფარული კავშირი ეგრძნო: ტროტუარებზე მდგარი ხალხის ვეება მასა ქრებოდა და ქრისტე პირდაპირ მას მიაპყრობდა მზერას. ცხელი დენივით იღვრებოდა რაღაც იესოსა და ხაიმე სებალიოსს შორის. მაშინ სადღესასწაულო ძლიერ გუგუნს მიღმა ხაიმეს ბიძის ხმა ჩაესმოდა და ეს უსასრულოდ გამეორებული სენტენციები მის პიროვნებასა და ჯვარცმულს შორის კავშირს შლიდა: ბალკარსელის ყოველი სიტყვა მოწმობდა, რომ მორალი მარად უცვლელი იყო, რომ ქრისტიანული მოქმედების წესი ყველასთვის ერთია, იგი სავალდებულოა როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცთათვის, ბავშვებისათვის, მოზარდთათვის, მდიდართა და ღარიბთათვის და სავსებით არ იყო

მნიშვნელოვანი, როგორი ხარ შენ, შენ - შენა ხარ. და ბრბოთი მიჭყლეტილი ხაიმე ისევ ცდილობდა, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი მზერა დაეჭირა, რომელსაც შეეძლო იგი მოეძებნა და მხოლოდ მისთვის დაეგდო ყური.

ქრისტეს ქანდაკებას იისფერი ბალახონი მოაცვეს. მწუხარე და ვნებისკვირის პარასკევებს შორის ბიჭი ყოველდღე დადიოდა ტაძარში, იმედოვნებდა, რომ მაცხოვარს ბალახონს მოხსნიდნენ. ინსტინქტი კარნახობდა, რომ ეს ფიგურა მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვან რაღაც საიდუმლოს მალავდა. ტაძარში სიარული და ლოცვა ამ საიდუმლოს გამჟღავნების საშუალება გახლდათ.

მოგვიანებით მიხვდა, რომ სწორედ იქ, ღვთის სამსხვერპლოსთან, თავი სხვანაირად, ახალ ადამიანად პირველად იგრძნო. ქერათმიანი, გამგონე და არაფრით გამორჩეული ეს ბიჭი იმ ოჯახის თბილ გარემოში იზრდებოდა, რომელიც წინაპრებზე მოგონებებს შეეკავშირებინა და იმავდროულად, დაეშორიშორებინა კიდეც სხვადასხვა საიდუმლო მიზეზით განაწყენებას, რაზეც ზრდილობის გამო ხმას არავინ იღებდა. მას არასდროს გაუგონია საყვედურები, არც იცოდა, რა იყო ეს. დღის მკაცრი განრიგი, შეჩვეული

კომფორტი, უცვლელი სინაზე, გარდაცვლილი ნათესავების ხსოვნის პატივისცემა. რამდენჯერ ხსენებულა ოჯახურ სუფრასთან დონია გილიერმინას სიბრძნე, ენერგია და პეპე სებალიოსის სიკეთე! მოქანავე მრგვალი ჭაღის ქვეშ ამ სუფრაზე შემოსხდომა უკვე წარსულთან ზიარებას ნიშნავდა. სასმისები წყნარად წკრიალებდნენ. მწვანე ხავერდის სუფრაზე უხმაუროდ იცვლებოდა თეფშები და ბიჭი უკვე ელოდა, რომ ახლა დაიწყებოდა ვრცლად მოყოლა ასუნსიონის „დედის“ ალბომში, ფოტოებზე გაშეშებულ არსებებზე. ასუნსიონი ნაზი ღიმილით იხსენებდა მათ, როდოლფო - უბრალოდ და სადად, ბიძია ბალკარსელი კი დამრიგებლური დასკვნებით ამთავრებდა საუბარს. პირველი მეჯლისის მოგონებას ცვლიდა ქალაქგარეთ გასეირნების, ვიღაცის სიკვდილის, რაღაც საბავშვო სათამაშოებისთვის დაღვრილი ცრემლის გახსენება. როცა ბალკარსელი იტყოდა, უწინ ყველაფერი კარგი იყო, როდოლფოს, ასუნსიონსა და გამგონე ხაიმეს სახეზე ჩვეულებისამებრ გამოეხატებოდათ მოკრძალებული ყურადღება. ეს ნიშნავდა, რომ ბიძიას ლაპარაკი სურდა.

- ახლა უწინდელთან შედარებით სულ სხვა მორალი გვაქვს. ჩვენი მტკიცე ვალი ისაა, რომ კეთილი ზნე და პატივისცემა ოჯახისა შევინარჩუნოთ იმ საზოგადოებაში, რომელიც კრიზისს განიცდის.

ბიძიას სენტენციების მერე სადილი მთავრდებოდა, ასუნსიონი ვერცხლის ზარს დარეკავდა და მაგიდის ასალაგებლად შემოვიდოდა მოსამსახურე. როდოლფო ბოდიშს იხდიდა და სასადილო ოთახიდან ნელი ნაბიჯით გადიოდა. მერე ყველა იშლებოდა. ნასადილევს, ხანმოკლე დასვენების ჟამს, დერეფნებში ჩამიჩუმი არ ისმოდა, იკეტებოდა კარები და იხურებოდა დარაბები.

ოჰ, დასვენების ამ საათებში რა მდუმარება ისადგურებდა! პროვინციული ქალაქი აკომპანემენტს უწევდა ამ მდუმარებას ზარების რეკვის ხმითა და საძოვრად გაშვებული საქონლის შორეული ბღავილით. ამ ღამეულ სიჩუმეში ბიჭი გრძნობდა, რომ, მართალია, ცალ-ცალკე იწვნენ, თითოეული თავის საძინებელში, მაინც ერთმანეთთან ურთიერთთვალყურის მჭიდრო კავშირი და

წარსული აკავშირებდათ. მას არასდროს შინებია სიბნელის, არასდროს უგრძნია თავი გარიყულად და განცალკევებულად ამ ოჯახისგან. არასდროს შეუმჩნევია განსხვავება არა მარტო მათგან, არამედ მიცვალებულებისგანაც კი, ლაპარაკში მუდამ რომ ახსენებდნენ, ამ შეჩვეული მიცვალებულებისგან, მათ ყოველ სადილს რომ ესწრებოდნენ.

მაგრამ აი, დღეს, ვნების კვირას, მამასთან ერთად პროცესიიდან შინ მიმავალმა, თავი ამ ოჯახისგან რაღაც განსაკუთრებულად, განსხვავებულად იგრძნო, თუმცა, არ შეეძლო ამის სიტყვებით გამოხატვა. ღარიბული ვახშმის შემდეგ, ჭმუნვის საღამოს შავებით მოსილი ბიძის, მამიდისა და მამის ჩვეულ გარემოში, როცა ბალკარსელი ნაცნობ ქადაგებას მოჰყვა ოჯახსა და კეთილ ზნეზე, ხაიმემ პირველად შენიშნა მამის გაწითლება. სიმართლე რომ ვთქვათ, ხაიმე არც ისე გულისყურით უსმენდა ბიძიას. ის სულ ქრისტეზე ფიქრობდა; ზევით, ჭაღისკენ იმზირებოდა და მისი მინის ციმციმზე სისხლიან სხეულს ხედავდა მხოლოდ. იმ ღამით პირველად ეზმანა საშინელი სიკვდილი, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ამქვეყნიური ოჯახური დამკრძალავი ქრონიკისგან. ყურებამდე საბანში ჩამძვრალი სებალიოსი, ღია პირითა და გულზე ხელდაკრეფილი; აი, მარგარიტა მაჩადო მაქმანის ჩაჩით; აი, პეპე სებალიოსი, სანთლისგან ჩამოქნილ თოჯინას რომ ჰგავდა. აი, ხელსახოცით პირაკრული ბებია გილიერმინა. სიზმარში ბიჭი მათ უღიმოდა: ისინი ისეთები იყვნენ, როგორიც თვითონ, მისი ნაწილები. იყვნენ ალერსიანები, მათთან ხაიმე მშვიდად იყო. მაგრამ მერე რაღაც სიღრმისეული სამალავიდან აღმოცენდა სიმშვიდის დამრღვევი ეს უცნაური, უცხო ფიგურა. ეს გახლდათ ტანჯვასა და სისხლში მცურავი საშინელი

ცხედარი და როგორც ხდება ხოლმე სიზმარში, ლურსმნებით დახვრეტილი ხელებით საიდუმლო, გაუგებარი და უცნაური ძღვენი მოჰქონდა. ხმამაღალ ღმუილში ეს ფიგურა სულ იზრდებოდა და იზრდებოდა, და ამით ნაცნობ მკვდრებს უკან ახევინებდა და ავიწროებდა. ბოლოს ყველა ისინი, მშობლიური, საყვარელი ცხედრები, უცნაურად დაკრუნჩხულნი უაზრო გრიმასით, ამ უზარმაზარი მკვდარი სხეულის ფეხქვეშ აღმოჩნდნენ და სინათლის გრიგალში მასთან განზავდნენ. ხაიმეს ყვირილით გამოეღვიძა. პირზე ხელები აიფარა, მაგრამ მოსასხამმოსხმული ფეხშიშველი მამიდა უკვე მის საძინებელში შემოდიოდა, რათა ბიჭი დაემშვიდებინა და ჯვარი გადაესახა.

დიდი შაბათის მაშხალები მის მთვლემარე ტვინში ამ სიზმრის მოგონებაში აირია. აი, ისინი ყველანი საეკლესიო ზეიმზე მიდიან. ქანდაკებას იისფერ საფარს ხსნიან. წმინდა ქალწული ისევ იღიმება, წმინდანები ოქროსფერ სამოსში ელვარებენ, ის საკმევლის მოტკბო, მსუყე სურნელს იყნოსავს, ტაძარში უხვად რომ იღვრება. დიახ, ყველანი ტაძარში წავლენ. აბაზანას რომ იღებდა, ხაიმე მომავალ სანახაობაზე სიხარულით ფიქრობდა. ნეჭით იზელდა მხრებს და გრძნობდა, ძვლები როგორ თანდათან უმაგრდებოდა და მოუქნელი უხდებოდა. აბაზანა პირთამდე სავსე იყო თბილი,

მოწითალო წყლით. ბიჭმა ფეხები გაჭიმა. უწინ ფეხის ქუსლებით ონკანს ვერ სწვდებოდა. ფეხების ამ მოძრაობამ წყალი იღლიებქვეშ აუთქაფუნა და ეს ძალიან ესიამოვნა, მაგრამ ეს შეგრძნება მაშინვე დაივიწყა. კვლავ და კვლავ გულმოდგინედ ისაპნებოდა და საზეიმო დღეზე ფიქრს განაგრძობდა.

აი, ატკაცუნდნენ მაშხალები და ბიჭები ხარების ფიგურებითა და ჭოკზე მიკრული ნიღბებით გარბიან და გუანახუატოს ყველა სამრეკლოზე უკვე ზარები რეკავენ. აი, იუდას წითელი ცხვირი და შავი ულვაში გამოჩნდა. აი, ისინი ყველანი ტაძრის ეზოში მიდიან. მამამისი, მამიდა და თვითონ. მათ აღდგომის საზეიმოდ მიმავალი მამაკაცები და ქალები უერთდებიან. აი, მათ მუხლი მოიყარეს სააღსარებოს წინ. აი, ისინი ზიარებას იღებენ. აი, ქორო სააღდგომო ჰიმნს გალობს. აი, ყველანი ტაძრიდან გამოდიან, რომ ხალხთან ერთად სუფთა ჰაერზე იმხიარულონ. აი, ისინი მოკლე-მოკლე ნაბიჯით მიდიან, ნელა მიდიან. აი, ხაიმე თავის გვერდით მრავალი ადამიანის სხეულს გრძნობს. თითოეული თავისებურად ეკვრის და თავის სურნელს აფრქვევს. უცებ საპონი ხელიდან დაუსრიალდა და ხაიმე ძებნის დროს თავის მაგარ მუხლს შეეხო და ხელი გადაისვა ამ უცნაურ, თითქოს უცხო, ასეთ გრძელსა და უხეშ ფეხზე. ამოვიდა

აბაზანიდან და პირსახოცში გახვეული შეეცადა თავისი თავი რაღაც ახლებურად დაენახა.

ქალაქის ცენტრმა კეთილშობილი ქვით ნაგები სახლებითა და განაპირა სოფლებით რწმენა შეინარჩუნა. მზით გადამწვარი ბორცვებიდან მიწათმოქმედნი ჩამოსულან. სან-მიგელიდან ფეხებზე ეჟვნებითა და ჩხარუნა სამაჯურებით ინდიელები მოგროვილან. აივნების მოაჯირებთან მოხუცები გამოჩნდნენ, ბალღები ლურჯთავსაფრიანთა და ჩალისქუდიანთა შორის მჭიდრო ბრბოში გზას იკვლევდნენ. ყოველ კუთხეში წყლის, ხილისა და ყვავილების ფარდულები გაუხსნიათ. ვალენსიანის შორეული უცნაურად გამოკვეთილი მთებიდან მტვერი აღწევს. ჰაერში დამწვრის, ნაკელის, სველი ქვაფენილისა და კომშის სუნი ტრიალებს. ზოგი მიწიდან იფრქვევა, ზოგი ფარდულებიდან, ხორაგითა და საჭმელებით სავსე კედლის კარადებიდან, რომლებიც ეგოდენ მრავლადაა ამ ქალაქის სახლებში, თანამედროვე კომფორტი ძლივს რომ შეხებია. თეთრი კარადების წნულებს მიღმა ახალი ყველის თავები, რძეში მოხარშული ბრინჯი, ნამცხვარი, ალუბლის კუნწულები, რომპოპეს[109] გახსნილი ბოთლები, ხილის ნაყენი, გუაიავის[110] პასტილა და მარციპანი ინახება. ყველა ამ სურნელის ნაზავი დიდ

შაბათსაც კი იგრძნობა. გუანახუატო ქალაქია, სადაც უყვართ ჩაროზი და მაგარი სასმელები, სადაც საჭმელებში, ისე როგორც საზოგადოდ მთელ ყოფაში, უფრო მეტად აფასებენ უცნაურად მორთულ ნიგვზის ტორტსა და საკურთხეველს, ვიდრე მადანსადნობი ღუმლის მწარმოებლობას. ამ სურნელით, ამ სადღესასწაულო სულით აღსავსენი ქუჩაში, მოედანზე გამოდიან და ქრისტიანობის დიდებულ დღეს ზეიმობენ.

ალბათ, ძნელი წარმოსადგენია უფრო დიდი, მნიშვნელოვანი ზეიმი, ვიდრე ბეთლემის ღამე, რამეთუ ამ დღეს ხორცს ისხამს ყოველი, რაც შობით არის ნაწინასწარმეტყველები, მაცხოვარი ყველასთვის მოკვდა და როცა მკვდრეთით აღდგა, მარტოობისა და ნაღვლისგან ხსნა ყველას აღუთქვა. ყველას უთხრა, რომ საკუთარ ძმათათვის სიცოცხლე - როგორც მან სიკვდილი მიიღო - ნიშნავს უზრუნველყოფილი გქონდეს მარადი სიცოცხლე ადამიანებთან ერთად. და მართლაც, ვინც თავის ძმებს შეიყვარებს, მუდამ იცოცხლებს მათში, მათ შვილებსა და შვილიშვილებში. და რადგან ეს ოდესღაც ითქვა, დღეს, როგორც ყოველთვის, ხაიმეს ხელჩაკიდებული ასუნსიონ ბალკარსელი იეზუიტთა ტაძრისაკენ დაღმართს მიუყვებოდა. ვერც კი შენიშნა, რომ ბიჭი გაზრდილიყო. დიდი დღესასწაულის გამო ვაჟსა და დას იმავე შავ კოსტიუმში

გამოწყობილი, რაც წინადღეს ეცვა, კომერსანტი როდოლფო სებალიოსი მიჰყვებოდა. მიდიოდა ჩვეული მძიმე ნაბიჯით, გულხელდაკრეფილი.

როცა იეზუიტთა ტაძარში პატივსაცემი ოჯახებისთვის კუთვნილი ადგილები დაიკავეს, ვაჟების ქორო ამ დღესასწაულისათვის ჰენდელის „ალილუიას“ ასრულებდა. ამასვე ეძღვნებოდა წირვა გალობით, ხოტბის გამოცხადება, საპასექო სანთლის ლოცვა-კურთხევა და ბოლოს აღტყინებული შეძახილი „Exsultet!“.[111] ხაიმე სულ დაჩოქილი იყო. სადღესასწაულო ლურჯი კოსტიუმი დავიწროებოდა და როცა დაიჩოქა, შარვლის ნაკერები გაერღვა. მამიდა ლოცვანს კითხულობდა, როდოლფო პირღია იდგა და თვალები საკურთხევლის უცნაური ყვავილწნულებისთვის მიეპყრო. ბიჭი თვალს არ აშორებდა საპასექო სანთელს. უკვირდა, რომ ყოველ წელს, რაც დიდი შაბათის წირვას ესწრებოდა, არასდროს მიუქცევია ყურადღება სანთლისათვის, რომელსაც ამ სპექტაკლში ცენტრალური ადგილი ეკავა. მაგრამ ამ ცერემონიის მიზანიც ხომ ის იყო, რომ ეს აღტყინების სიმბოლო აენთოთ: ბიჭმა სიხარულით შეიცნო ეს და სანთელს თვალს აღარ აშორებდა. ხედავდა, როგორ სცილდებოდა სანთელს გაქვავებული ნაღვენთი, როგორ ნელ-ნელა, მაგრამ გარდაუვალად პატარავდებოდა, მოკლდებოდა ეს

მაღალი თეთრი სვეტი. ანთების სიხარული წვავდა ამაყ სხეულს; სხვებს უნათებდა, თვით კი იწვოდა, მათ ეწირებოდა. ხაიმეს გვერდით ასუნსიონი ხმამაღლა იმეორებდა: „აღდგა მკვდრეთით, ჭეშმარიტად, ამინ“. ისინი ფეხზე წამოდგნენ და ვიდრე უწმინდესს ზურგს შეაქცევდნენ, პირჯვარი გადაიწერეს. მიდიოდნენ ნელა, ბრბოთი გარშემორტყმულნი. ტაძარი გაჭედილი იყო და ასუნსიონი ხაიმეს ეკვროდა. გამოსვლას დიდხანს მოუნდნენ. ტაძარში წირვის ზარების გუგუნი ისმოდა. წინ გაძრომა შეუძლებელი იყო. ხაიმეს სული ეხუთებოდა. მამიდა სულ უფრო და უფრო ეკვროდა, თითქოს სალბუნივით მიეწებაო. და ბიჭი გრძნობდა მის ტანს, რომელიც თითქოს ეხვეოდა. ასუნსიონის ტანი, მისი მკერდი, რბილი მუცელი თავისი შეხებით ძმისშვილს კანკალს აღუძრავდა. იგი შემობრუნდა, ასუნსიონმა თვალები დახარა. და ბოლოს, როგორც იქნა, გავიდნენ ტაძრის ხმაურიან ეზოში, სადაც პროვინციული

ქალაქის სურნელი იდგა და მედუქნეებისა და ბიჭების შეძახილები ისმოდა. ეზოში სალამურის ხმაზე ცეკვავდნენ, ინდიელების თავზე ბუმბული ირწეოდა.

შინ რომ დაბრუნდნენ, ასუნსიონმა თქვა, დაკვრა მინდაო. ორმოცი დღის მარხვა, რომლის დროსაც მთელი ქალაქი ღრმა სიჩუმეში ცხოვრობდა, დამთავრდა. საქმეებზე

წასული ბალკარსელი სააღდგომო არდადეგებმა მეხიკოში დააყოვნა. მამიდამ გაიხსენა, პეპე სებალიოსმა აღდგომის კვირას კამერული ორკესტრის მოწვევა იცოდა და ნასადილევს ბავშვები მშვენიერ იმპროვიზებულ მეჯლისს მართავდნენო. როდოლფო და ხაიმე უკან გაჰყვნენ წითელი ხავერდის ფარდებიან საწოლ ოთახში - იქ პუებლას სტილში პატარა ინკრუსტირებული პიანინო იდგა, რომელიც ასუნსიონს აჩუქეს, როცა თხუთმეტი წელი შეუსრულდა. თუმცა ალაგ-ალაგ ეშლებოდა, მამიდამ მაინც დაუკრა „Für Elise“.[112] როდოლფო დაწნულ სავარძელში თავჩაქინდრული იჯდა. მის შეხედვაზე კაცი იფიქრებდა, თავის მაგიერ ქინძისთავი მსუქან, დონდლო სხეულში ჩაურჭვიათო. ფანჯარაში მიმწუხრის სხივი ციალებდა. ხაიმე სარკმელთან დაჯდა. ჩამავალი მზის შუქზე ბიჭის ჩამქრალი პროფილი მკვეთრად იხატებოდა და მისი ქერა თმა ოქროსფრად ლივლივებდა.

- ეს დედას საყვარელი ნაწარმოები იყო, - თქვა ასუნსიონმა და პიესის დასაწყის ტექსტს იმეორებდა.

სავარძელში მჯდარმა როდოლფომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ეს პიანინო მე მამამ მაჩუქა, გახსოვს?

- როგორ არ მახსოვს, როცა თხუთმეტი წელი შეგისრულდა.

- ჩვენ ხომ როიალიც გვქონდა, გახსოვს? სად გაქრა მერე ის როიალი? სასტუმრო ოთახში იდგა. წარმოგიდგენია, მე სულ დამავიწყდა.

როდოლფომ ხმაურით მოიწმინდა ცხვირი.

- ჰო, იმან გაყიდა, - თქვა მან.

- ჩვენ რომ ინგლისიდან არ დავბრუნებულიყავით, თითქმის ყველაფერს გაყიდდა. გასაკვირია, რომ რაღაც კიდევ შემოგვრჩა.

- ის ხომ... მან დაკვრა არ იცოდა და სწორედ იმხანად მოდაში პატეფონი შემოვიდა...

ასუნსიონმა ცივ კლავიშებს თითები მოაშორა და ხაიმეს მალულად გახედა. ეს

ლაპარაკი ბიჭის გონებაში ნელ-ნელა აღწევდა. ღონემიხდილი, თითქოს ჩამქრალი მზე ყოფილიყოს, ხელით ფარდას დაეკიდა... იმან, იმან... ფიქრების აღუძვრელად რატომღაც ეს სიტყვა ჩაეჭედა ტვინში. იმ დღეს უამრავი შთაბეჭდილებით გაკვირვებულს ვერა და ვერ გაეაზრებინა, რა ხდებოდა.

გადაწყვიტა, სხვა დროს, ოდესმე, ამაზე კარგად ეფიქრა... „ოდესმე ყველაფერს მივხვდები“, - გაიფიქრა ბიჭმა. ფარდას ხელი უშვა, გაიხსენა ახლახან მოსმენილი ლაპარაკი, მას მიკრული მამიდის ტანი, სანთლის ანთების ცერემონია და მთელი ის ღვთისმსახურება.

ნელი ნაბიჯით საძინებლიდან გამოვიდა.

- საქმე ის არის, რომ ის ისეთი არ იყო, როგორიც ჩვენ, - ხმამაღლა თქვა ასუნსიონმა და შოპენის „ექსპრომტის“ დაკვრა დაიწყო. იგი არცთუ ისე ჩქარა კითხულობდა და ნოტებში საფუძვლიანად ჩახედვა და დაკვრის თავიდან დაწყება მოუხდა. დერეფანში ხაიმეს ნაბიჯები მიწყდა.

- გინდა, ხაიმე შეაცდინო? - თქვა ასუნსიონმა და თვალი მოჭუტა, რომ ნოტები უკეთ დაენახა, - გაიხსენე, რას გვეუბნება სახარება.

- მაგრამ ის ხომ დედაა მისი.

- არა, როდოლფო, - და ასუნსიონმა მწარედ ჩაიცინა, - მისი ძმა, როგორც ყოველთვის, მსხვერპლის როლს თამაშობდა, - ამ ბიჭს დედა არა ჰყავს და არ მოგცემ იმის უფლებას, რომ იგი გარყვნა.

- ოდესმე ხომ მოუწევს მისი გაცნობა.

- სრულებითაც არა. მაგრამ თუ შენ დაიჟინებ, მე ხორხეს ვეტყვი, რომ ამის თაობაზე სერიოზულად მოგელაპარაკოს.

- რატომ? - როდოლფოს სულ არ უნდოდა ამ მუქარაზე ემსჯელა. მას უნდოდა რაღაც ეთქვა, უფრო საერთო საქმეზე. ჩანს, დამ გაუგო, აღარ გააგრძელებინა.

- ახლა ადელინა ირაპუატოში ცხოვრობს და საზრუნავი არაფერზე აქვს. ხვდება დაბალი წრის ხალხს, რაც მისთვის უპრიანია. თავისიანებს არ უნდა დაშორებოდა. ადამიანები, რომელთაც ავიწყდებათ თავიანთი ადგილი...

- გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი! შეიძლება, მართალი ხარ, მაგრამ შეეცადე, გამიგო, მე მტანჯავს, სინანული მტანჯავს. დიახ, ერთხელ, თუნდაც ერთხელ რომ მიმეყვანა ბიჭი ან ჩვენ რითიმე ვეხმარებოდეთ...

- არ გახსოვს, თვითონვე უარი რომ გვითხრა? რომელი ჩვენგანი დაიხევდა უკან... გაგახსენდა? მერე, შენს სიმამრს ფული ჰქონდა.

- დონ ჩეპეპონი უკვე მოკვდა. მას, ალბათ, უჭირს.

- სულელო, ის ხომ შესანიშნავად ცხოვრობს.

- არ ვიცი, მე შენი არ მესმის. ყველა ისე ექცეოდა, თითქოს ძალიან ცუდი იყო. არა, სულაც არ იყო ცუდი ცოლი...

დაღამდა, საძინებელში ჩამობნელდა. როდოლფომ მხოლოდ მაშინ მოისაზრა: ასუნსიონმა ძალიან კარგად იცოდა, რომ როიალი ადელინამ გაყიდა. აბა, როგორ

არ ეცოდინებოდა, როცა ყველაფერს თვალს ადევნებდა, ყველაფერი იცოდა, ასუნსიონმა

„ექსპრომტის“ ნოტების რვეული დახურა და ისევ დაუკრა „Für Elise“ - პიესა, რომელიც ზეპირად იცოდა.

- არ გაბედო და სადილობისას ამაზე ლაპარაკი არ დაიწყო. ხომ იცი, ქმარი დაღლილი მოდის და ამ თემაზე ლაპარაკი არ უყვარს, ჩვენ კი და-ძმა ვართ, საიდუმლო არ გაგვაჩნია.

მამიდას ნაცრისფერი კატა მიუახლოვდა და მის ფეხებთან ტკბილად აკრუტუნდა.

აღდგომის კვირადღეს, ტაძრიდან რომ დაბრუნდა, ხაიმე პარმაღზე გამოვიდა ფორთოხლით ხელში და კიბეზე ჩამოჯდა. გამთბარ ფილებზე ფეხები გაჭიმა. თბილ წვენს წრუპავდა და მოსეირნეებსა და ტაძრისკენ აჩქარებულთ შეჰყურებდა. აი, მლოცველი ქალები, რომლებიც, ალბათ, მთელ დღეს წმინდა როხას წმიდათაწმიდა კალთის ქვეშ გაატარებენ. მოსამსახურეებს მოაქვთ წითელ ქაღალდში გახვეული სალათის, ნიახურის, წიწმატისა და ეპასოტეს[113] კონები. ფეხშიშველა ბავშვები, მწიფე აგვაკატეს[114] ფერ თვალებს აცეცებენ, ქუჩებში დარბიან და ფანჯრის ცხაურას ჯოხს ურტყამენ. ქალიშვილები უხეში სწორი თმითა და ოდნავ აბურცული მკერდით

სეირნობენ ხელიხელჩაჭიდებულნი, სეირნობენ, ჩურჩულებენ, იცინიან, წითლდებიან. ღატაკები - ისინი სულ მოხუცები არიან, ხანდახან ბრმა ან დასახიჩრებული მოზარდები, - გაუპარსავნი, ჩალის ქუდებში, გამვლელთ აჩვენებენ ვინ ლიბრს თვალებში, ვინ დაჩირქებულ წყლულს, ვინ აკანკალებულ ხელებს, მოთრეულ ფეხებს, დადამბლავებულ ენას; ზოგი დახოხავს, ზოგი რგოლებიან ფიცარზე მიბმული მიგორავს, ეს კი მიაბიჯებს, გამართული, ზეცისკენ სახეაპყრობილი, ჯოხის კაკუნით ჰყვება ბიჭების ჟღურტულს, ფანჯრის ცხაურას, ლითონის ჟღრიალს რომ გამოსცემს. ეს პროცესია ჯერ ვიწრო ქუჩაზე მჭიდროვდება, წამით აქ ჩერდება, მიწას ტკეპნის, ტორტმანებს ამ დღის მთავარ სცენაზე და აქედან ვიწრო კანტარიტოსის ქუჩით მიემართება. ეს ის რაიონია, სადაც ინდიელები არცთუ ისე ბევრია. უმეტესად მეტისების მზემოკიდებულ, ნაოჭებით დაღარულ სახეებს შეხვდება კაცი, ზეთისხილისფერ კანზე მბრწყინავი მწვანე თუ ნაცრისფერი თვალებით. შავი თმა, ბრჭყვიალა ან მოცისფრო ჭაღარა, როგორც განთიადისას ვულკანის წვერი. აი, ინდიელი ქალი, უხეში გახამებული ქვედაკაბის ქვეშ დუნდულები რომ უთამაშებს, მაისის [115]მარცვლებივით კბილდაკრეჭილი სამ ჭოკზე აყენებს ფარდულს, რომ მოედნიდან კარგად გამოჩნდეს, ქვაფენილზე აწყობს ანანასის გვირგვინებსა და

საზამთროს ემბლემებს, სურნელოვან კომშს, გახლეჩილ ბროწეულებს, მამეის[116], წვრილ ლიმონებს, მრგვალ ხიკამებს[117], მწვანე ფორთოხლის პირამიდებს; ლიმონის ციფერბლატებს, საპოტეს[118] მაგარ კაკლებს, ოპუნციასა[119] და მაყვალს. მარწყვის გამყიდველი გვერდზე მიმდგარა და

ხოტბას ასხამს თავისი საქონლის ალისფერს. ესტამპების, ვერცხლის გულებისა და ვარდისფერი წმინდა სანთლების გამყიდველის დაკორძებული ხარიხიდან ჩამოკიდებული გრძელი სანთლები მშვიდი სიმამაცით თავს იწონებენ. ესეც ყვავილების ქუჩა - მებარგულის ზურგს უკან კუზივით მოჩანს ზიზილები და ჟასმინები, ვარდის კოკრები და ცისფერი გეორგინები, შროშანები და მთვლემარე ყაყაჩოები, სადღესასწაულო ნიუკები და კეკლუცი მიხაკები, მთელი გზის გასწვრივ რომ ტოვებენ აქროლად სურნელის ტალღებს. ბიჭს უნდა, ხელი შეახოს, დაიჭიროს მთელი ეს მრავალფეროვნება; ღიმილით უყურებს სახლიდან ბეწვის გორგალივით გამოგორებულ კნუტს. ბიჭი და კნუტი ალერსიანად თამაშობენ, მერე კნუტმა, თითქოს მზე დაუბნელდაო, ყვითელი თვალები უცბად ფართოდ გაახილა და სახლის ჩრდილში გაუჩინარდა. ჩერდება მლესავი თავისი მოძრავი დაზგით და მზის სხივებზე ბრჭყვიალებს დანები, მაკრატლები და ნაჯახები. ჯორი გაქაფულ ზურგზე შაქრის ლერწმის კონებს ეზიდება და გამყიდველი ყოველი სახლის კართან სთავაზობს

თავის საქონელს - მწვანე, თეთრსა და ყვითელ ღეროებს. ამლაყი ცხენების ჯოგის წინ მინავარდობს ამაღლებულ უნაგირზე მჯდომი მხედარი. ბამბუკით დატვირთული ჯორის გვერდით მიკუნტრუშობს ახალგაზრდა ჯორი, ყალყზე დგება და გაქაფულ გავაზე შეხტომას ლამობს. მხედარი ჩამოქვეითდა, ჯორს ფერდებზე შოლტს ურტყამს და უკან, ამლაყ ცხენთა რემაში ერეკება. ერთმა ცხენმა ფლოქვი ფორთოხლის გორას წაჰკრა და გადმოაყირავა; ინდიელი ქალი უხმოდ აგროვებს ფორთოხლებს, საყდართან მსხდომი ღატაკნი კი კისრისტეხით მისდევენ დაფანტულ ნაყოფს, პატარა ცდომილ მზესავით რომ მიგორავენ, გზისპირა არხით, სადაც ქვები და სარეველებია.

ხაიმე ნიკაპზე ამოწვერილ მეჩხერ წვერს ხელით ივარცხნის და უყურებს, მხედრის ხრინწიან ხმაზე როგორ შორს მიდის რემა, სველი ფლოქვების ელვარებით. ის ფორთოხლის თესლებს გადმოაფურთხებს და ღიღინ-ღიღინით ძველი კარეტის ფარდულში შედის, საკუჭნაოდ რომ გადაუქცევიათ. ფერდებზე ჩამოისვა ფორთოხლის წვენით გაწებილი ხელები და ძველი, დამტვრეული, გატეხილი კარეტის კოფოზე შესკუპდა. ენას აწკლაპუნებს, უჩინარ მათრახს უქნევს წარმოდგენაში ძველთაძველ ლამაზ აკაზმულობას. ფარდულში შმორის დამყაყებული სუნია, მაგრამ ბიჭს

ნესტოებში ჯერ კიდევ ცხენის ოფლის, ჩონჩორიკის, ჯორის მძაფრი სუნი უდგას ჯორის მორჩილი გავისა და წითელი უკანალისკენ რომ მიიწევს. და თვალდახუჭული ხაიმე გონების თვალით უჭვრეტს ქუჩის ფერებს - ხილისა და ყვავილების ფერებს, ელვარე დანებსა და ღატაკთა წყლულებს. ხაიმეს დამუშტული ხელები, გაწვდილი ოცნებაში წარმოდგენილი ცხენებისკენ, ძველ კარეტას რომ ექაჩებიან, თითქოს ეხებიან ხეიბრებსა და მათხოვრებს. სანთლის ჩამომდნარ ცვილს, ქუჩის გამყიდველი ქალის გამობურცულ დუნდულებს, ქალიშვილების პატარა, მკვრივ ძუძუებს; ბიჭი ღრმად სუნთქავს, თვალწინ ფერთა გრიგალი ურიალებს. მაგრამ უცბად აღმოცენებული ეს სამყარო მეტად

ხანმოკლეა და უცბადვე ქრება. ხაიმე ხელს უშვებს სადავეს, შარვალში იყოფს და რამდენიმე დღის წინ ამოზრდილ თმას უსვამს ხელს. სიტყვები არ ჰყოფნის, ისეთი თრთოლა იტანს, შემაღლებულზე რომ ზის, თვალები დახუჭული აქვს, ფეხები გაშლილი და ნორჩ ხორცს ნოტიო გრილ ჰაერს უშვერს. სიტყვები არ ჰყოფნის იმის გამოსახატავად, თუ რა ძლიერ უყვარს ეს ყველაფერი. მას არ უნდა გაიხსენოს, როგორ უფანცქალებს გული ნაყოფის, ქალებისა და ცხოველების დანახვისას. მან არ იცის სასიყვარულო სიტყვები, არ იცის, რა უნდა უთხრას, რით უპასუხოს ამ ყველაფერს - მიმდინარე უხვ ცხოვრებას, თვალწინ რომ გადაეშალა იმ აღდგომის დილას. მხოლოდ

იმაზე ფიქრობს, რომ უკვე დამთავრდა ეს ყველაფერი, რომ ცხენები უკვე წავიდნენ, რომ ინდიელმა ქალმა ხილი აალაგა, რომ გამქრალან ყვავილები, სწრაფად და მორცხვად რომ გაურბოდნენ მის ხელებს, გამქრალან იმ ქალიშვილების მსგავსად, მას ზედაც რომ არ უყურებდნენ. და რომ ეს ყველაფერი მას უყვარს, უნდა, რომ მისი იყოს, ხელით შეეხოს, მთელი სხეულით ჩაეფლოს ყველაფერ ამაში და თითოეული ამ ნაყოფის წვენი იგემოს. აქ მას ახსენდება საკუთარი თავი, იხსენებს იმ ნაზი სახისა და ქერათმიან ბიჭს, როგორ შეექცეოდა ფორთოხალს, პერანგი გახსნილი ჰქონდა, სახელოები აკაპიწებული და მკერდი უბალნო; იხსენებს, როგორ იჯდა ქვაფენილზე ფეხებგაჭიმული და უკვე ვიწრო შარვალი შემოტკეცოდა კანჭებზე. არ განძრეულა. კვლავ საფეხურზე იჯდა - და მთელი ეს სამყარო მის თვალწინ დატრიალდა. რა არის მუდმივი და მარადიული? - თითქოს თავის თავს ეკითხებოდა ბიჭი. რა არ იცვლება არასდროს? რა ელის მას ამ მუდმივი და მარადიული სიყვარულისგან? მაღალი კარეტიდან ჩამოხტა და მუცელში მწვავე ტკივილი იგრძნო.

გარეთ გაიჭრა და მთლად ოფლად გაღვარული ციცაბო ქუჩას აუყვა. მისი ორიენტირი იეზუიტთა ტაძრის რომაული გუმბათია, გუანახუატოს რომ გადმოსცქერის.

ფეხისგულები უხურს და მალე ჩქარი და ნერვიული სიარულისგან კოჭებმა ღრღნა დაუწყო. ტაძარში არავინ იყო - წირვა დამთავრებულა; ყვავილები ახლა უფრო მკრთალი ჩანს, ვიდრე საკურთხეველი; მთავარი ნეფის გვერდით ნუჟრიანი ჯვარი აღმართულა, რომელზეც მოკრუნჩხული ქრისტე გართხმულა. ეს ჯვარი პროცესიებზე გამოაქვთ ხოლმე. ხაიმე წამით ჩერდება. მას ამ გალაქული ფიგურის შიში კი არ ბოჭავს, არამედ აუხსნელი სიყვარული, იმის მსგავსი, ამ დილის ცხოველი სამყაროს გახსენებისას ან დიდი შაბათის სანთლის ჩაქრობისას რომ აღელვებდა. აი, ის იქ, ჯვარზე ქრისტეს სისხლის ღვარებით ჩამუქებული სახე, ქუთუთოებქვეშ მწუხარებით მბრწყინავი თვალები. უძრავად არის ღონემიხდილი სხეული, თუმცა, ხელები თითქოს ცოცხლობენ ტანჯვასა და მუდარაში. წითელი, კილიტებშემოვლებული უხეში კვართი მუცელსა და ფერდებს უფარავს, აქედან კი ორი დამშრალი ნაკადულივით დაშვებული ფეხები, ქუსლებზე მიჭედებული ლურსმნებით. დიახ, ვერ დაიძვრება ეს ჩვენი გადამრჩენელი სხეული, ვერ დაუსხლტება მის ხელებს, როგორც ცოცხალი

სამყაროს საგნები. ხაიმე იჩოქებს, მან არ იცის, რა უნდა გააკეთოს. ტაძარში გამეფებული სიჩუმე ჯვარცმის ორივე მხარეს დანთებული სანთლების ნაღვენთის შიშინსა და ტკაცუნს ფარავს. უცნაური, აქამდე განუცდელი კანკალი ეუფლება ხაიმეს სხეულსა და

საზარდულის ფოსოდან ქვემოთ დაძაბულად შეკუმშული მზის წნული წნულს ჩახლართვია. იგი მილურსმულ ფეხებს ეხვევა.

თითქოს ერთი სიჩუმე მეორეს დაჰფენია. ტაძრის ჩვეულ მწუხარე მდუმარებას აღადგენს - ეს სიმშვიდე თითქმის ხელშესახებად იგრძნობა. მღვდლებს, ჩანს, ტრაპეზი აქვთ. მალე ქალაქი სიესტას[120] მიეცემა. რაღაც, ალბათ, ანთებული სანთლების ციმციმი, წამების რბოლას აღნიშნავს. როცა პირველმა უჩვეულო სიხარულმა გაიარა, ხაიმემ მაცხოვრის ფიგურას ახედა და უკვე ვეღარაფერს არჩევს: ქრისტეს სხეული მის სხეულად გარდაქმნილა თუ თავად ხაიმე სებალიოსის სხეულია ჯვარცმული? ბიჭმა თვალი მიმოატარა, რათა დარწმუნებულიყო, დიახ, საკურთხეველი შორსაა და იქ სიჩუმე გამეფებულა. ისევ ჯვარცმულის ფეხებთან დაჩოქილი კვართს მაღლა სწევს. ნატურის გამოსახულება ქსოვილით დაფარულ თეძოებს ზემოთ მთავრდება, მერე ხის ჯვარია, დაჭრილ სხეულსა და გაშლილ ხელებს რომ იკავებს.

- ხმა, კრინტი, ბიჭო, თორემ გაგაქრობ...

გარინდებული ტაძრიდან უკაცრიელი ქუჩებით სიესტას სიმშვიდით მოცული ხაიმე

შინ ბრუნდება. აღდგომის კვირიდან ნასადილევის შემდეგი საათი იყო. მარხვის დამთავრება უხვი სადილით აღინიშნა. გუანახუატოს კუჭი დამძიმებოდა, გუმბათების თვალებსაც ჩასძინებოდათ. ხაიმე ქუჩებს მიუყვებოდა და ქალაქს სიჩუმისათვის მადლობას უხდიდა. სად არიან ახლა მოხეტიალე ვაჭრები, მხედრები, ქალიშვილები? ქრისტეს მონახულების შემდეგ ისევ მათი ნახვა მოუნდა, ვინც დილით მასთან იყო. შეიძლება, ფიქრობდა ის, ახლა მაინც შემამჩნიონ. ქალიშვილები შეხედავდნენ მას, მხედარი სთხოვდა, თავგასული ჯორის რემაში შედენაში მომეშველეო. ინდიელი ქალი ხიკამის ნატეხს შესთავაზებდა, რადგან ის სხვანაირი გახდა („მე, ალბათ, ახლა სულ სხვანაირი ვარ. ალბათ, სახე გადამისხვაფერდა: მზერაც, ალბათ, სხვანაირი მაქვს. საინტერესოა, შინ, ვახშმობისას, როგორ დამიწყებენ ცქერას. ნუთუ უკვე თითქმის მამაკაცი ვარ? მაგრამ მთელი ჩემი სკოლის ამხანაგები - ჩემი ტოლები, ისეთივენი არიან, როგორიც უწინ. ან იქნებ არაფერი მემჩნევა“) და თავის ანარეკლს ფანჯრებში შიშით შეჰყურებდა („ყველა ისვენებს, ყველას სძინავს, ალბათ, გუანახუატოში მხოლოდ მე ვფხიზლობ“); პროვინციული ქალაქი ამ უკაცრიელ საათს უზარმაზარ ოქროს მონეტას დამსგავსებია.

მეორე სართულზე ასვლა არ უნდოდა („დღეს არ მინდა დასვენება, მაგრამ ძილით კი მეძინება. მათი დანახვა არ მინდა. ჰოდა, მორჩა და გათავდა. არ მინდა. უმჯობესია, ვნახო, რა არის იმ სკივრში“) და მან ფარდულის ჭრიალა კარს ფეხი

ჰკრა. აქ იგრძნო ხელი, რომელმაც პირი დაუმუწა, მუხლი, რომელიც ზურგში მოებჯინა, და ოფლის სუნი:

- ხმა, კრინტი, ბიჭუნავ...

ცხვირში ოფლის უცნაური სუნი ეცა.

ეს არ იყო არც ჭუჭყის, არც შმორის სუნი. ეს იყო სხვა, ძალდატანების ოფლი. დილის სუნი - ხილის, სანთლების, ცხენების, ყვავილების, კანის, ახალდაბანილი თმის - ხაიმეს მეხსიერებაში ამ ახალი სუნისგან განსხვავდებოდა, მამაკაცის სუნისგან, რომელიც პირზე ხელს უჭერდა და ზურგში მუხლს. მუხლით, რომელიც ფარდულის სიღრმისკენ, იქ, სადაც მანეკენები, სკივრები იდგა, შავი კარეტის უკან უბიძგებდა.

მამაკაცმა ხელი უშვა და იმავ წამს რკინის შავი ტარი ამოაძვრინა.

- გესმის?.. - ჰკითხა მან ძალიან ჩუმად.

კუთხეში მიყუჟულ ხაიმეს მღელვარებამ ხელი შეუშალა, დაენახა კაცი, რომელიც ემუქრებოდა, შავტარჩაბღუჯულ გაჭიმულ მუშტს უკან ბუნდოვნად ჩაშავებულიყო გაურკვეველი, მაგრამ ძლიერი ფიგურა. ბოლოს მან ესღა გაიაზრა: ქურდია. და უფრო ზუსტად: გამოქცეული დამნაშავე. მერეღა გაარჩია - ჯერ ის, რომ მაღალია, მერე მისი ძლიერი ფიგურა შეამჩნია, მერე შუბლზე კულულებად ჩამოყრილი შავი თმა, მაგრამ, როცა მის თვალებს შეხედა, მიხვდა, ის არც ქურდი იყო, არც გამოქცეული დამნაშავე.

ისინი ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ.

ხაიმეს სული ეხუთებოდა და ცხვირს იწმენდდა ხელის ზურგით. ეს ღონიერი კაცი ადგილიდან არ იძვროდა. მხოლოდ თვალები დაურბოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ შიშით კი არა, მბრძანებლური თავდაჯერებით. ტუჩზე მეჭეჭიც თითქოს თავისით ცმაცუნობდა. ბლაგვცხვირიანი ყელიანი ფეხსაცმელიც უხეში, დამტვერილ-დაკაწრული ჰქონდა. ლურჯ პერანგზე ბლომად ოფლის შემშრალი ლაქები ემჩნეოდა. ყავისფერი შარვლის ტოტები აეკაპიწებინა. ძლიერი ტორსი, მაგრამ სუსტი,

ელექტროზონარივით წვრილი ფეხები ჰქონდა.

- მომისმინე, სასმელი, ჩასახეთქი მინდა. ახლა შეხვალ სახლში და რამეს გამომიტან. გაიგე? არ გაბედო და ვინმეს არ უთხრა, რომ მე აქა ვარ... რადა გაქვს ასე შეშინებული სიფათი? ბანდიტი კი არა ვარ. იცი, მოღალატეს რას უშვრებიან? ჰოდა, წადი ახლა...

მამაკაცის ხმა, ხან მშვიდი, ხან მუქარით სავსე ბიჭს იზიდავდა და თან კიდეც აფრთხობდა.

- გააკეთე, რაც გითხრეს.

კუთხეში მიყუჟული ხაიმე არ იძვროდა.

- ახლა წავიქცევი, ბიჭო, საშინლად მეძინება და მშია.

ხაიმე მამაკაცთან მივიდა და ხელი გაუწოდა, მერე სამზარეულოსკენ გაიქცა. როცა ხელსახოცში გახვეული საჭმლით დაბრუნდა და სკივრზე დააწყო, მამაკაცმა გაიღიმა. ყველისა და ბარკლის ნაჭრები, წიწილის ფრთები, ფილა კომშის პასტილა.

- აი, დოქი, სენიორ.

- ესეკიელი დამიძახე.

- კარგი, სენიორ ესეკიელ...

კაცმა ფრთების ტკვერა მიატოვა და გადაიხარხარა.

- უბრალოდ ესეკიელი დამიძახე. რამდენი წლისა ხარ?

- ცამეტის... მეთოთხმეტეში გადავდექი.

- მუშაობ?

- არა. მე აქ ვცხოვრობ. სკოლაში დავდივარ.

ორივე სკივრზე იჯდა, რომელიც წარსულს გაახსენებდა კაცს, სადაც ბებია

გილიერმინას ვუალი და გასული საუკუნის გაზეთები თვლემდა. ესეკიელი გაცხარებული ღეჭავდა, უსწორმასწოროდ ჩამოკიდებული ულვაში ცხიმით მოთხვროდა, დროდადრო ხაიმეს მუხლზე ხელს დაჰკრავდა. მას ისევ უჭირდა სიხარულის დაოკება, როგორც თავისი მუქი ტორსის ძალისა და ცოცხალი მზერის მოძრაობის; მისი შავი თვალები ხან კარს და ხან ბიჭს შეჰყურებდა. მრგვალ ფანჯარას, მილურსმულ კარეტას („ეს ბრძოლა რაღაცას იძლევა. მაშინვე სწავლობ, როგორ განასხვაო სად დამსმენია და სად მეგობარი. რა აქვს, აბა, ამ ბიჭს გულში? - კარგი ბიჭია. მორჩა და გათავდა, ვთქვი ჩემთვის, როცა დავინახე. მდიდარი ოჯახის მოჯამაგირეა, გავიფიქრე, როცა საჭმელი მომიტანა. მაგრამ მან მიშველა. კარგი, უბრალოდ ძალიან მარტოსული ბიჭია“).

- რა გქვია?

- ხაიმე.

- ხაიმე კარგი სახელია. პასტილაზე გპატიჟებ. რა არის, ხმას რომ არ იღებ? ეშმაკმა დალახვროს, სიტყვა ვერ გათქმევინე.

- გმადლობთ, სენიორ ესეკიელ.

- რაო, ჩვენ ხომ შევთანხმდით?

- ესეკიელ.

- ჰო, მითხარი, რა იფიქრე, როცა დამინახე. ალბათ, ქურდიაო, ასეა ხომ? რაღაც დანაშაულისთვის, ალბათ, მისი დაჭერა უნდათო.

- დიახ.

- ბევრი მეგობარი გყავს?

- არა, ისე რა, როგორ გითხრათ...

- ყველაფერი გასაგებია! წყალი შენთვისაც დაისხი. შენ არ იცი, რას ნიშნავს ცივი წყლის გემო, როცა ამ გამხმარ მიწაზე სამი დღე-ღამე ხან ფეხით, ხან მანქანით მოდიხარ. შენ არასდროს გსმენია ესეკიელ სუნოს შესახებ?

- არა, ეს, ალბათ, შენა ხარ?

- ცხადია, მე გახლავარ („შეიძლება, ვერ მიხვდეს, შეიძლება მიხვდეს. უნდა გავჩუმებულიყავი. მაგრამ იმდენ ხანს არ დამიძრავს სიტყვა. ზოგჯერ კიდევ მეჩვენებოდა, ღმერთმა უწყის რა. არაფერია უდაბურ მთებზე უარესი. გეგონება, მზესთან სულ ახლოს ხარ. თან საწყენია, ეს ხომ ნამდვილი უდაბნო არ არის, ერთიანად გამომშრალი ნიადაგია, სადაც წყალი გამქრალა, იმიტომ, რომ არავის უნდა. როცა სატვირთო მანქანიდან გადმოვხტი, მიწა იქაც გამხმარი იყო“). შენ არ იცი, რა მშვენიერი იყო, როცა ღამით აქ, გუანახუატოში ჩამოვედი და კაშხალზე გავიარე.

- რა თქვით?

- არაფერი. მეძინება და თვითონაც არ ვიცი, რას ვლაპარაკობ. ახლა დავწვები. აქ ხომ არავინ შემოვა?

- არა. მაგრამ თუ გინდა, შენთან დავრჩები.

- ძებნას არ დაგიწყებენ?

- ბიძია, ჩემი ბიძია, სენიორ ბალკარსელი... მექსიკაში წავიდა. საუზმემდე არავინ მომიკითხავს.

- შესანიშნავია... მომისმინე, მერე ერთ ისტორიას მოგიყვები... მანამ კი... („ბიჭს არაფრად სჭირდება იცოდეს, როგორია, როცა გცემენ... არ უნდა იცოდეს სალანძღავი სიტყვები, რასაც გეუბნებიან... არ უნდა იცოდეს, რას ნიშნავს მაგრად დადგომა, არ დაუთმო და გეშინოდეს, რომ შიშით დაუთმობ... არ უნდა იცოდეს, ბოლოს როგორ გეჩვენება, რომ ყველაზე იოლი მაგრად დადგომაა და ყველაზე ძნელი კი პირის დაღება... არ უნდა...“).

ესეკიელს დაეძინა, ფეხები გაუჩაჩხავს, თავი სკივრზე ჩამოუდვია. ჯარისკაცთა მწკრივები ესიზმრებოდა. ეს ხშირად ესიზმრებოდა ხოლმე, მაგრამ ესეკიელი, როცა გაიღვიძებდა, არასდროს იგონებდა ამას. ახლა, როცა გაიღვიძა, თავზე ხელებშემოჭდობილი ხაიმე იატაკზე იჯდა. ბიჭი დაჰყურებდა მუყაოს ყუთს,

რომელშიც ქინძისთავზე წამოცმული პეპლები ეწყო: დონია ასუნსიონის ბავშვური, კარგა ხნის წინ მივიწყებული გატაცება!

„ერთგული ლეკვივით მცველი - ბიჭუნა“).

- გამოიძინე, ესეკიელ?

- გვარიანად, გმადლობ, რომ დარჩი.

ფანჯრიდან შემოსული მიმქრალი სინათლე ელაციცებოდა ესეკიელ სუნოს შესივებულ ქუთუთოებს.

- რომელი საათია?

- ექვსი ხდება.

- მომაწოდე, გეთაყვა, დოქი... აჰ! („რა დამესიზმრა? ისევ ის, მაგრამ უკვე აღარ მახსოვს“).

სუნომ თვალებზე ხელი მოისვა. გაიზმორა.

- რამდენი ხანია არ გიძინია?

- მანქანაში რამდენჯერმე წავთვლიმე, მაგრამ ამას ხომ ძილი არ ეთქმის - საქონლის სუნით ყარს და სულშეხუთული პაპანაქებაა.

- რატომ, ესეკიელ?

- რატომ ვიმალებოდი? ამჯერად გადავწყვიტე თავად მეეშმაკა. რასაკვირველია, ყველა მეუბნება, ვინ გაძალებსო? მართალია. კარგ ჯამაგირს ვიღებ, ცოლ-შვილი მყავს... ახლა ღმერთმა უწყის, როგორ იცხოვრებენ... ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ შენ ხომ მარტო არა ხარ. აი, საქმე რა არის. ის, რომ მარტო არა ხარ. მერე კი, როცა დგახარ კასიკის[121] წინ და ეუბნები, რომ ყველას, ვინც შენთან ერთად საბადოში მუშაობს, უნდა ჰქონდეს გაერთიანების უფლება და შენ კიდეც მოახერხებ მათ შეკრებას, გამოათრევ სოროებიდან და დემონსტრაციაზე წაიყვან, მაშინ შენ თითქოს უკვე შენ აღარა ხარ, ყველას ეკუთვნი. ოჯახი, შვილები, შენი სახლი სუფთა ჰაერზე, საბადოდან მოშორებით, ყველაფერი, რაც შენთვის ძვირფასი იყო, ყველაფერი საფრთხეშია. აი, რა დამემართა.

ფანჯრის მიღმა სინათლე ჩაქრა და სიბნელეში მხოლოდ სპილენძის ბალთები ბრწყინავდა სუნოს ქამარზე. ხაიმეს ეჩვენებოდა, ეს ხორხისმიერი ხმა თითქოს მუცლიდან ამოდისო. თითქოს ესეკიელი სპილენძის ღილაკს აჭერს და მაშინ ლაპარაკობსო.

- აბა, რად გიყვები ამას! იქ ჯერ კიდევ ბევრი სხვა საქმეა - სილიკოზი და ის, რომ ოცდაათი წლის ჭაბუკები კვდებიან ან ავადდებიან და რომ მათ, როგორც ვირთხებს, ისე უყურებენ, დამუშავებულ ძარღვში მადნის მოსაპოვებლად გზავნიან და უხდიან იმდენს, რამდენიც მოუნდებათ. და აი, წარმოიდგინე, შენ

შეკრიბე ყველა ისინი და საღამოს მიიყვანე დაფიონით განათებული კანტორის შენობასთან, სადაც სამმართველოა. ასეთი რამ იმ ადგილებში ჯერ არ მომხდარა. ვინ იფიქრებდა, ოდესმე თუ ხმას ამოვიღებდით. მაგრამ აი, მე მოველაპარაკე მათ, თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად - საჭიროა, ყველამ ერთად მოვითხოვოთ, რაც ჩვენ გვეკუთვნის-მეთქი. გრინგოებმა ცხვირიც კი არ გამოყვეს. მხოლოდ კასიკი მომისიეს. მაშინვე დამიჭირეს, გამომამწყვდიეს და მცემეს - უთხარი ბიჭებს, სამუშაოდ დაბრუნდნენო. მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რით მთავრდება ასეთი საქმეები. რომც მეთქვა, გაფიცვა შეეწყვიტათ, ეს

ვაჟბატონები მაინც გამომიყვანდნენ ღამით გზაზე, თითქოს გავიქეცი და იქ კი კანონი გაქცეულს მკაცრად სჯის. ამიტომ მე თვითონ გავიქეცი, ბიჭიკო, რომ მერე მათ ჯიბრზე მრთელი და უვნებელი დავბრუნებულიყავი, რომ მერე მომენახა ჩვენი ბიჭების მსგავსი ხალხი, რომ ყველას ერთად...

- ხაიმე!

დონია ასუნსიონის ხმა ქვემოთ ქვის კიბით ჩამოდიოდა. ბიჭი, ესეკიელ სუნოს ფეხებთან რომ იჯდა, დამდუღრულივით წამოხტა.

- რას გააკეთებ, ესეკიელ?

- მე გუადალახარას უნდა მივაღწიო. იქ მეგობრები მეგულება, მაგრამ შენ ახლა წადი, დილით კი კიდევ მომიტან საჭმელს.

- როდის წახვალ?

- ხვალ საღამოს. ერთი დღე აქ დამასვენე, მერე კი გზას გავუდგები.

ბიჭმა მაღაროელს ხელზე ხელი მოჰკიდა.

- ნება მომეცი, მოგეხმარო.

- შენ უკვე დამეხმარე, ბიჭიკო.

- ხაიმე! ხაიმე!..

- ახლა წადი, რომ ეჭვი არ აიღონ...

- ხვალ სკოლაში წასვლამდე ხომ გნახავ, არა?

- რასაკვირველია, გმადლობთ. გაიქეცი.

ესეკიელ სუნომ ისევ გაჭიმა ფეხები. თავქვეშ ხელები ამოიდო და ღრმად შეისუნთქა ფარდულის სიძველის ჰაერი („ოჰ, რა კარგი ბიჭია! ორი საათის წინ ისიც ხომ ფიქრობდა, რომ ამქვეყნად მარტოდმარტოა“).

ხაიმე სასახლის კიბეზე რაღაც ახლებური სვლით - მშვიდი და ამასთან, დაძაბული სვლით ადიოდა. სამყარო მყარი გახდა, ის აღარ ეცლება ხელიდან, ხაიმე გვერდით ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ხედავს. უფრო ახლოს ხედავს

ესეკიელ სუნოს - მაგრამ არა მდუმარეს, ჯვარცმულ ფიგურასავით, ხედავს, როგორც სააღდგომო სანთელს, რომელიც ინთება, რათა დაიწვას. ხედავს საკუთარ, მოზარდის ნახევრად მამაკაცურ სხეულს, რომელშიც ყველა სახე და ხატება - ქრისტესი, ესეკიელის, სანთლის - ერთ მთლიანობაში, მამაკაცის სხეულში აისახება. ნელა დგება, ხელს ჰკიდებს ხაიმე სებალიოსის საოცარ სხეულს, სახეზე, მხრებზე, თეძოებზე. მოედანზე მარაოსავით იშლება სურათის - „ჯვარცმა“ - ბრწყინვალე საღებავები. კიბის თავზე კი მოუთმენლად ელის შავოსანი ფიგურა.

- არა, ერთი შეხედეთ, რას ჰგავს! სად იყავი? თითქოს მტვერში იგორავაო? იესო, მიხსენი და დამიცავი! საცაა ბიძია ჩამოვა. სასწრაფოდ გამოიცვალე ტანისამოსი, ვახშამი რვა საათზეა. ცოცხლად, არ დაიგვიანო!

„ოჰ, ბიჭს რაღაც აწუხებს. სხვები შეიძლება, მოატყუოს, მე კი ვერ მომატყუებს“).

ლიცენციანტმა ხორხე ბალკარსელმა საუზმე დაამთავრა და პირი ხელსახოცით მოიწმინდა. ძმისშვილი მათ ლაპარაკს არ უსმენდა, როცა მიმართავდნენ, ბიჭი წითლდებოდა.

- დღეს ნამდვილად რაღაც დაბნეული ხარ. სკოლაში არ მიდიხარ? ოჰ, არდადეგები ბავშვებს მხოლოდ რყვნის. ცოცხლად, ცოცხლად, ბიჭიკო („სახის გამომეტყველება შესცვლია. მამაკაცდება აი, შუბლზე მუწუკიც გამოსვლია. აი, კიდევ... ესეც სხვებივით იქნება, უდისციპლინო, ადვილად შემყვარებელი, უფროსებთან თავხედი... დიახ, მან გამოცადა, რა არის დისციპლინა, ახლა მოწევა, დალევა... ქალებთან დაწოლა მოუნდება... შეიძლება შემხვდეს კიდეც. მუწუკები, ულვაში - კოშმარია! აღარ დამემორჩილება. თუმცა, ამას კიდევ ვნახავთ“)! ჩქარა, ყმაწვილო! მე კი არ ვხუმრობ.

ხაიმე მოუხეშავად ადგა და სკამი გადააყირავა; ბოდიში მოიხადა და ბიძის დაჟინებული მზერამიშტერებულმა და ფეხზე მდგარმა რძიანი ყავა დალია, ზურგჩანთა აიღო და სამზარეულოსკენ გაემართა.

- მოუჩქარე, ეშმაკმა დალახვროს! სამზარეულოში რაღა გინდა?

- ჭიქა წყალი...

- განა მაგიდაზე არა დგას წყალი? („ჰგონია, ვერ ვხედავ, რა გატენილი ზურგჩანთა აქვს... ალბათ, ღარიბ ბავშვებს, თავის სამწყსოს აჭმევს. როდის ჰქონია ასეთი დიდი ხელები?“).

- მაპატიეთ. ვერ შევნიშნე.

- ვერ შენიშნა, ვერ შენიშნა! აი, ასე ვერ შენიშნავ და ორმოში კი ამოყოფ თავს. აბა, მარდად, საქმეს მიხედე. და იცოდე, ზრდილობიანად მიპასუხე ხოლმე.

- მე გითხარით, მაპატიეთ-მეთქი.

- აბა, სკოლისკენ, გესმის?! თავხედი! ამ კვირას სასეირნოდ არ წახვალ. აი, ასე!

ხაიმემ სასტუმრო ოთახი გაიარა და კიბეზე დაეშვა. კარეტის ფარდულზე დააკაკუნა. არავინ უპასუხა. სუნთქვა შეეკრა. კარი გააღო და შეშფოთებული ძველი ხარახურის სიღრმეში შევარდა.

- ეს შენა ხარ, პატარა ბიჭო?

- ესეკიელ! მე კი მეგონა, წახვედი. თავს როგორ გრძნობ?

- უკეთ. საღამოს წავალ. მომიტანე რამე?

- აი, აიღე. კინაღამ არ ჩამავლეს. ისევ ის მოგიტანე, რაც გუშინ, ასეთ წვრილმანს ვერ შენიშნავენ.

- შინაურებმა ხომ არაფერი იყნოსეს?

- რას ამბობ! ყველას სძინავს.

- შუადღისთვის დაბრუნდები?

- კი. მოვალ.

- არ გინდა. შეიძლება, დაეჭვდნენ. ახლა ერთმანეთს დავემშვიდობოთ.

- არა, გთხოვ, ნება დამრთე, მოვიდე.

ესეკიელმა თმა აუჩეჩა.

- ძალიან კარგი ბიჭი ხარ!.. მაგრამ თუ მართლა გინდა დამეხმარო, არ მოხვიდე. როგორც კი დაბნელდება, მაშინვე წავალ.

მამაკაცის ძალა. მამაკაცური უდრეკი ნებისყოფა სრულიადაც არ არის ის, რასაც ბიძია ქადაგებს. ეს ხომ უსიტყვოდაც გასაგებია, გაიფიქრა ხაიმემ, ესეკიელს თვალებში რომ უყურებდა. ის არასოდეს დაივიწყებს მას, არასოდეს დაივიწყებს მის ამბავს.

- მოდი, მოგეხვიო, ბიჭო, და გმადლობ, რომ გამიგე და დამეხმარე.

არასოდეს მოხვევია ასე ძლიერი ხელები, არასოდეს უგრძნია სუნი ასეთი მწირი სხეულისა: იმდენი ხორცი, რაც მუშაობისთვისაა საჭირო, არც ერთი ზედმეტი გრამი.

- ესეკიელ, კიდევ როდის გნახავ?

- ოდესმე, მოულოდნელად.

- გაიმარჯვებ?

- ცხადია, როგორც ის, რომ მზე ყოველ დილით ანათებს.

- მაშინ ნებას დამრთავ, დაგეხმარო?.. მაშინ, როცა გაიმარჯვებთ, მე უკვე დიდი ვიქნები?

სუნომ ბოხი ხმით გადაიხარხარა, ბიჭს მხარზე ხელი დაჰკრა:

- დარწმუნებული იყავი, ბიჭუნავ, შენ უკვე ახლაც კაცი ხარ. შენ ეს დაამტკიცე. ახლა მოუსვი აქედან, თორემ შეიძლება, რამე იეჭვონ.

კართან მისულმა ხაიმემ თქვა:

- გახსოვდეს, მე შენი მეგობარი ვარ.

ესეკიელმა თითი ტუჩებთან მიიდო და უპასუხა:

- ჩუ!..

როცა ბიჭი ფარდულიდან გამოვიდა, ბიძია ბალკარსელი პატიოს ამოეფარა და თითები გაატკაცუნა.

* * *

- შეხეთ, ბიჭებო?

- პატიმარი.

- ჯარისკაცებს მოჰყავთ!

- ალბათ, ვინმე ბანდიტია.

მოსწავლეები დერეფანში გამოცვივდნენ. ზარი დაირეკა, დასვენება დამთავრდა. მორიგე ყვიროდა:

- დაეწყვეთ! დაეწყვეთ!..

ოთხ ჯარისკაცს ხელბორკილიანი კაცი მოჰყავდა.

- შეხეთ, რა ბრაზიანი სახე აქვს!

ხაიმე თითის წვერებზე აიწია, პატიმარი დაინახა და ხმადაბლა წამოიყვირა, ძალა მოიკრიბა, ამხანაგების ჯგუფიდან გამოძვრა და ქუჩაში გაიჭრა. ხუთი უხმოდ მომავალი მამაკაცის ფიგურებზე სინათლე და ჩრდილი დარიალებდა.

- ესეკიელ!

ეს იყო შეშფოთების კი არა, დამნაშავის ძახილი, ძახილი, რომლითაც ბიჭი თავს იდანაშაულებდა. სუნო მიაბიჯებდა, ქვაფენილს მზერას არ აცილებდა. შუბლი და

ზურგი ისევ გაოფლიანებოდა. ქვაზე მაღაროელის მძიმე ფეხსაცმლის ბრახუნი ისმოდა. მისკენ მიშვერილი ხიშტები სახეზე ჩრდილის ზოლს ტოვებდა.

- ესეკიელ! ეს მე არ მიქნია! გეფიცები! ჩემი ბრალი არ არის!

ხაიმე ახლა უკვე მირბოდა, ჯარისკაცებს სახეში შეჰყურებდა. ქუჩა მკვეთრად ქვემოთ ეშვებოდა. წაბორძიკდა, დაეცა, კაცებმა გვერდით ჩაუარეს.

- ეს მე არ ვიყავი! არა! მე შენი მეგობარი ვარ!

ფეხსაცმლის ხმა მიყუჩდა. დაცემულ ბიჭს, რომელსაც წამოდგომის ძალა არ შესწევდა, რამდენიმე ცნობისმოყვარე შემოეხვია.

- ეს მე არ ვყოფილვარ! არა!

5

მთელი სიცოცხლე, დროის გარკვეულ მონაკვეთში, არსებობს რაღაც ჩავარდნები, შუალედები, როცა მეხსიერებიდან ამოვარდება ხოლმე საათები, დღეები, არსებობის მთელი ნაწილებიც კი. ამ თვალსაზრისით შტატის ქალაქის ცხოვრება გასაოცარ სურათს იძლევა. რჩება რაღაც დღეები, ცალკეული ფურცლები. ისინი ტყვიის საძირავების სიჯიუტით ეცემა მეხსიერების ფსკერზე და იქ ილექება. თოთხმეტი წელი: მაჩუქეს ბიბლია. თხუთმეტი წელი: მათი ხმები, ვინც შენზე მსჯელობს, შენზე რაღაცას ამბობს, ვინც თვლის, რომ შენს მომავალზე პასუხისმგებელია, ვინც სწორ გზას გიჩვენებს: დონია ასუნსიონთან ფინჯან შოკოლადზე მოწვეული მღვდლები, ვიზიტად მოსული ერთობ თავდაჭერილი ქალბატონები, მორცხვად მზირალი ქალწულები, რომლებიც უკვე კეთილი მწყემსის დების ორდენში არიან გაერთიანებული, პოლიტიკური მოღვაწეები და კომერსანტები, ბიძია ბალკარსელთან რომ სადილობდნენ. მას ხალხთან ყოფნა უნდოდა? უნდოდა, რომ იგი შეენიშნათ? სწყუროდა, გაეგონა ხის ქანდაკების ხმა, რომელსაც ძვირფასი სისხლი სდიოდა? ფიქრობდა, რომ ერთადერთი ადამიანური ხმა მაღაროელი ესეკიელ სუნოს

დაუვიწყარი ხმაა. ახლა ესმის, თუ რა აზრის არიან მასზე მაღალი წრის ადამიანები, მამიდამისის ნაცნობები: მეორე საფეხურის სკოლის დირექტორი, ჩაყვითლებულკბილებიანი დონ ტერესო ჩავესი, ამ ბეჯითი ბიჭის დიდი იმედი რომ ჰქონდა; პადრე ლანსაგორტა, დონია ასუნსიონის მოძღვარი, ქადაგებას მყეფარე ხმით რომ კითხულობდა და მისი პროფილი, მშიერი მწევარივით რომ ამშვენებს პარასკეობით ვახშამს; სენიორ ეუსებიო მარტინესი, მექსიკური რევოლუციის პარტიის მოღვაწე, რომელიც ლიცენტიანტ ბალკარსელს არწმუნებდა, პრეზიდენტის უახლოესი არჩევნების დროს ახალგაზრდული ფრონტის ხელმძღვანელობა შენ უნდა ითავოო; დონია პრესენტასიონ ობრეგონი, ბრწყინვალე კვირეულს კოლექტიურ ლოცვას, საქველმოქმედო საქმეებს, წმინდა ზიარების დღესასწაულის, ღვთისმოსავთა კრებებს, კერძო სახლებში ლოცვებს, 12 დეკემბრის პროცესიებსა და საქონლის კურთხევის ცერემონიას რომ ხელმძღვანელობდა; ლატარიის ბილეთების ყიდვასა და მოკლევადიანი სესხის დიდი პროცენტით გაცემაში ბალკარსელის ერთადერთი კონკურენტი დონ ჩემა ნარანხო; დონ ნორბერტო გალინდო, ყოფილი ვილისტი, სელაიის შემდეგ ობრეგონის მხარეზე რომ გადავიდა და საქონლის გაძარცვით დიდებული რანჩო შეიძინა; სენიორიტა პასკუალინა ბარონა, კინოში, საღამოებზე,

სეირნობებზე, ქუჩებში გვიანი ღამით ზნეობის ფხიზელი დამცველი: ის ყველგან ასწრებს ხოლმე, რათა ხელი შეუშალოს სერენადებს, აივნის რიკულებს შორის ხელის ჩამორთმევას, შინ გვიან დაბრუნებას; ყველგან რომ შეხვდებით მის ოქროს პენსნესა და შავ შლაპას; ექსდეპუტატი მაქსიმინო მატეოსი, რომელიც გუანახუატოში ზის, სამი მუნიციპისგან შემდგარ თავის პატარა უბანს მართავს და თავისი სამფლობელოს საზღვრებში გადასახადისა და გამოსაღების რთულ

სისტემას ინარჩუნებს, ხოლო მის შემოსავალს ბალკარსელის ბანკში ინახავს. ხ. გუადალუპე მონტანიესი, დონია ასუნსიონის ბიძაშვილი, ძველი რეჟიმის უკანასკნელი მოჰიკანი.

ყველა ლაპარაკობს. ყველა დადის სებალიოს ბალკარსელების განცალკევებულ სახლში („ხაიმე მშვენიერ თხზულებებს წერს. იცით, ხანდახან სამ-სამჯერ გადავიკითხავ ხოლმე. ამ ბიჭს ისეთი ორიგინალური აზროვნება აქვს! რასაკვირველია, სტილი გაშალაშინებას ითხოვს. თქვენის ნებართვით, დონ ამადო ნერვოს[122] რჩეულ გვერდებს მივცემ, რომელიც დახვეწილი სიტყვაკაზმულობის უდიდესი ოსტატი გახლდათ და კეთილ ზეგავლენას მოახდენს ყმაწვილის მგრძნობიარე გონებაზე. „მე გირჩევდით, დონია ასუნსიონ, მისი მისწრაფებანი სასულიერო კარიერისკენ

მიგემართათ. მითხრეს, რომ ზეპირად კითხულობს საღვთო წერილიდან მთელ აბზაცებს. ჩინებულია, ჩინებული, თუ მისი გადაწყვეტილება ფოლადივით მტკიცეა, რათა გაუმკლავდეს იმ ცდუნებებს, ამჟამად თავს რომ დაგვესხა. რამდენი სემინარიელი უარყოფს ხოლმე პირველივე წელს წოდებას! ეკლესიას ახალგაზრდა ყლორტები ესაჭიროება; წმინდა პეტრეს ხე უღვთოობის მძვინვარე მეხის დაცემამ გამოხრა. რამდენი სოფელია ახლა უმღვდლოდ! უწინ სხვანაირად იყო, დიახ, ხალხი, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის რჩეული, უკეთესი ხვედრის ღირსია“; „თქვენ გესმით? სენიორ მადეროს დროიდან ეს იქნება პირველი სამოქალაქო ხელისუფლება, ახალგაზრდათა და მეცნიერთა ხელისუფლება. სავსებით შესაძლებელია, რომ თქვენი ძმისწული დეპუტატი გახდეს. რევოლუციის ახალი ისტორიული პერიოდის შესაბამისად მრპ[123] რეორგანიზებული იქნება და მაშინ ჩვენ, მოქალაქეებს, უკეთესი ნაჭრები შეგვხვდება. ჩვენ გვჭირდება ახალგაზრდები, ჩვენსავით ფხიანი ადამიანები, რომ ბრძოლა გამოვუცხადოთ რეაქციონერ პადილისტებს.[124] მისმინეთ, აი, რას გეტყვით: დამთავრდა გენერალ კარდენასის წითელი დემაგოგიის ხანა (თუმცა, ის პარტიის დისციპლინირებული წევრია და სამშობლოს უმაღლეს ინტერესებს სცემს პატივს). მე გთხოვთ რევოლუციურ თანადგომას ახალგაზრდული ფრონტის ორგანიზაციისათვის.

მომიყვანეთ თქვენი ძმისწული, ისიც ხომ რევოლუციის შვილია, რად უნდა ამას ლაპარაკი“; „შევიკრიბებით ჩვენთან სახლში ჯვართამაღლების დღეს. მე უკვე მივეცი ლოცვები დასაბეჭდად. მოიყვანეთ ბიჭი - იქ სხვა ბავშვებიც იქნებიან, კარგი ოჯახიშვილები. ჩვენ პროცესიით წმინდა დიეგოს ტაძრისკენ წავალთ და იქ, ჭურჭლის საცავში მომზადებული იქნება გამაგრილებელი სასმელები. შარშან არცთუ ისე მარჯვედ გამოგვივიდა - ღმერთმა უწყის, უწინდელ გუბერნატორს საიდან მოუვიდა აზრად კონსტიტუციის გამო აყალმაყალი აეტეხა. ერთი იფიქრეთ, რამდენი გუბერნატორ-კომუნისტი გვყავს და ყველა მდიდრდება. დაე, ღმერთმა გვიბოძოს სამართლიანი სიკვდილი!“; „მაქსიმინო მატეოსის ვაჟიშვილი, რასაკვირველია, ქარაფშუტაა, მაგრამ კარგადაა უზრუნველყოფილი. მე მას კვირაში 40 პროცენტამდე მოვუმატე, ის კი ვითომც

არაფერიო, მაინც მესესხება ხოლმე. გაფრთხილებთ, თქვენ თუ მოგმართავთ, მხოლოდ 40 პროცენტი, გახსოვდეთ და გაითვალისწინეთ, დიახ. ჰო, მართლა, თქვენი ძმისწული როგორაა, დონ ხორხე? ყაირათიანობასა და ზომიერებას აქედანვე მიაჩვიეთ. გაფრთხილდით, მისგან ისეთივე მფლანგველი არ გამოვიდეს, როგორიც მაქსიმინო მატეოსის ვაჟიშვილია!“; „როგორც კი თქვენი ძმისწული სკოლას დაამთავრებს, დასვენების საშუალება მიეცით. ჩემთან რანჩოში გამოუშვით, მისგან

ნამდვილ მამაკაცს გამოვიყვან“; „ზუსტად არაფერი ვიცოდი, მაგრამ მაინც მთელი საღამო ვაკვირდებოდი. არ მომეწონა, მაგალითად, მარტო რომ წავიდა კინოში. ჩანს, ტყუილად როდი თვლიან ქარაფშუტად და კეკლუცად, მაგრამ თუ დაფიქრდებით, ის ხომ ლუს მარიას ქალიშვილია, დიახ, დიახ, ლუს მარია ოროსკოსი, ვინც ჩვენთან ერთად იყო კეთილი მწყემსის დების ორდენში. მაგრამ შენ შეიძლება თქვა, რომ დედა და შვილი ერთი და იგივე არ არის, მაგრამ რას იზამ, ქალიშვილი სხვა დროში აღიზარდა. ოჰ, ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ამ კინოს სულაც დავხურავდი! არა, იმას ვერ ვიტყვი, რომ ამ ქალიშვილმა რაღაც ცუდი ჩაიდინა, მაგრამ მაინც, ღმერთო ჩემო, რამდენი კოცნა და უზნეო სცენაა ამ ფილმში! მე პადრე ლანსაგორტა გავაფრთხილე, ფილმს ხომ მისი სამწყსოს კვარტალში უჩვენებენ. ენით არ ითქმის, პირდაპირ ოფლმა დამასხა, ამ გაუთავებელ კოცნას რომ ვუყურებდი, მაგრამ ძალ-ღონე მოვიკრიბე და მაინც ბოლომდე ვუყურე. მერე კი ვნახე, ამ საზარელ ქუჩებში მარტოდმარტო როგორ მიდიოდა და რამდენი ნაზი სიტყვა დაადევნეს უკან, ღმერთმა უწყის. მე ეს სიტყვები არ გამიგონია, იმიტომ, რომ კარგა მოშორებით მივდევდი. მაგრამ, დამიჯერეთ, მზად იყო ყოველ შემხვედრ მამაკაცს ჩამოკონწიალებოდა კისერზე. ყველაფერ ამას იმიტომ გეუბნები, რომ შენი ხაიმე ახლა ყველაზე სახიფათო ასაკშია“; „არა, რას ბრძანებთ,

გადასახადის სარგებელი უწინდელზე ნაკლებია. თქვენ ძველი მკვიდრი ხართ და უნდა გახსოვდეთ, უწინ ყოველ სოფელს თავისი მდიდრები ჰყავდა, მაგრამ რევოლუცია დაიწყო და ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, ვინ გუანახუატოში, ვინ მეხიკოში, სოფლებში მხოლოდ ღარიბები დარჩნენ და მათთან ყველაფერი თანაბრად უნდა გავანაწილოთ. თქვენი რჩევა რომ არა, გავკოტრდებოდი! მითხარით, გეთაყვა, თქვენს საქმეებს ძმისშვილს უანდერძებთ? არა, მომიტევეთ, თქვენ ჯერ კიდევ ძალიან კარგად ბრძანდებით, მაგრამ უმჯობესია, საქმე წინასწარ გააკეთო, რომ მერე სანანებელი არ შეგვექნას“; „Dieu et mon droit“[125] - ხალხს რომ ეს დევიზი ახსოვდეს, რამდენად ნაკლები სისაძაგლე მოხდებოდა ამქვეყნად. მეცოდება ჭაბუკი ხაიმე სებალიოსი! როდის შეძლებს ნამდვილი თავადი გახდეს. რადგან, როცა პორფირიო დიასი „იპირანგას“[126] ტრაპზე შედგა, ჩვენ გონიერება და პიროვნების უფლებების პატივისცემა დავკარგეთ. ირგვლივ უხეშობა და ხელისუფალთა თვითნებობაა გამეფებული. ბოლო მოეღო წესიერებასა და დისციპლინას, დიახ“).

მაგრამ ყველაზე დაუვიწყარი სიზმარი, რომელიც ჭეშმარიტად ჩაებეჭდა გულში, ეს როდი იყო. ეს იმ წიგნის გვერდებს შორის იგულისხმებოდა, ბიჭმა დაბადების

თოთხმეტი წლის შესრულებასთან დაკავშირებით საჩუქრად რომ ითხოვა. ბალკარსელს მიაჩნდა, რომ საღვთო წიგნის კითხვა პროტესტანტების საქმეა. ასუნსიონი მოეთათბირა პადრე ლანსაგორტას, რომელმაც უთხრა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავო. მტვრიანი საკარეტო ფარდული ბავშვების სათამაშო ადგილად გადაიქცა, სხაპასხუპით კითხვის ალაგად, სადაც ზედიზედ რამდენჯერმე კითხულობდა ერთსა და იმავე საზეპიროს, სანამ ყოველი წინადადება გონებაში არ ჩაებეჭდებოდა. ხაიმე ნასადილევს, მრგვალი სარკმლის მქრქალ შუქზე კითხულობდა, კითხულობდა მანამ, ვიდრე ფარდულში ჩამოწოლილი ჩრდილები მზის შუქს არ დაჯაბნიდა; დიდ, მძიმე, ლურჯ ყდაში ჩასმული დასურათხატებული წიგნის სტრიქონებს შორის არ ათამაშდებოდა პატარა ფიგურები, არ აციმციმდებოდა სხვა სიტყვები (შინ გაგონილი, მაგრამ მხოლოდ ახლა, აზრით გაცოცხლებული), არ დაებადებოდა ახლანდელი კითხვები. ხაიმე სულის ახალ-ახალ მოძრაობას, ცვალებადობას განიცდიდა, რომელიც ურღვევდა სულის მყუდროებას, აიძულებდა, ღრმად ჩაჰფიქრებოდა იმას, რასაც მან „ამოცანები“ შეარქვა - რაღაც ალგებრული ამოცანებისმაგვარი, მაგრამ ბევრად რთული და ძნელი. და მაინც, თითოეული საათი, რომელსაც ის კითხვას ანდომებდა, სიხარულის საათი იყო. ხაიმესათვის მთელი

სამყარო ქრებოდა. მთელი სამყარო მხოლოდ თვითონ იყო, ზურგით ზანდუკს მიყრდნობილი. მუხლებზე გაშლილი წიგნით. ის და ყოვლისმომცველი სიტყვები: „მოვიდა ცეცხლი და ჩამომიყვანა მე ქვეყნად. და მსურდა მე, რომ ანთებულიყო ის: ნათლისღებისთვის გარდავისახავ პირჯვარს და რაოდენ ვღელავ, ვიტანჯები, სანამ ის ახდებოდეს“, - ეს იყო იესოს სიტყვები და მას იმეორებდნენ აქ, სადაც ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა ესეკიელ სუნო. ცეცხლი დედამიწაზე - მაშასადამე, ყოველი ადამიანი დედამიწაზე მოდის საკუთარი ცეცხლის ალით, მაშასადამე, ადამიანის სიცოცხლე სიმშვიდე კი არ არის, როგორც მის შინაურთა სიცოცხლე, არამედ ცეცხლია, ვით ესეკიელის ცხოვრება. „თქვენ გგონიათ, მე იმისათვის მოვედი, რომ ქვეყანას სიმშვიდე მოვანიჭო? არა, გეუბნებით მე. ეს არის განყოფა ცვლადთა, რამეთუ ამიერიდან ხუთნი სახლსა შინა განიყოფიან; სამი ორის წინააღმდეგ. და ორი სამის წინააღმდეგ. მამა აღდგება შვილის წინააღმდეგ და შვილი მამის წინააღმდეგ. და ეს განყოფა მოხდება უცხო კაცის მიზეზით, კაცისა, რომელიც სახლში არ იმყოფება, კაცისა, რომელიც შორეთიდან მოსულა; და თუ ვინმეს სურს წამოვიდეს ჩემთან ერთად, უარყოს თავი თვისი, აღიღოს ჯვარი თვისი და წამოვიდეს ჩემთანა. რამეთუ ვისაც სურს გაუფრთხილდეს სულსა თვისსა, იგი დაკარგავს მას, და ვინც დაკარგავს სულს თვისსა ჩემთვის, იგი ჰპოვებს“.

სახარების სტრიქონებს შორის მეშახტე სუნო დროდადრო მისთვის მიტანილ კერძს შეექცეოდა და ჰყვებოდა თავის საბრძოლო თავგადასავალს.

თვალდახუჭულ ხაიმეს ესმოდა სუნოს სიტყვები, შემდეგ კი ესმოდა მისი უხეში ფეხსაცმლის ბრაგუნი ქვაფენილზე. შეხვდება ისევ ესეკიელს, რათა შეუერთდეს მას, დატოვოს ყოველი და გაჰყვეს? ერთგულება მისი. ერთგულება. ესეც ახალი სიტყვა იყო, სიტყვა, რომელიც უარყოფდა ლექსის ბოლო სამ სიტყვას: „ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოისასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი შჯულისაი: სამართალი და წყალობაი და სარწმუნოებაი ესე ჯერ იყო საქმედ და იგი არ დატევებად“.

შემდეგ შვიდ საათზე მწუხრის ლოცვაზე უხმობდნენ დიდ საძინებელში, იქ, სადაც ინკრუსტირებული პიანინო იდგა. მამა, ბიძა და მამიდა დაიჩოქებდნენ, ზოგჯერ მათ დონია პრესენტასიონ ობრეგონი და სენიორიტა პასკუალინა უერთდებოდნენ, პარასკეობით ლოცვას პადრე ლანსაგორტა ხელმძღვანელობდა. დონია ასუნსიონი სანთლებს ანთებდა და სანამ რამდენიმე ხმა ისევ და ისევ დაზუთხულ სიტყვებს იმეორებდა, „გიხაროდენ, კურთხეულო! უფალი შენთანა! დაგვიცევ ჩვენ ეშმაკისაგან“,

- ანდა დღევანდელი დღის აღსანიშნავი სპეციალური ლოცვა - „განვედ ჩემგან, მართლუკუნ, სატანა“, „გახსოვდეს, რომ უნდა მოკვდე, მაგრამ როდის, არ იცი“, - ან ჰიმნს, რომელსაც პროცესიებზე ასრულებენ: „დამიფარეთ მე და წარმიტანეთ ზეციურ სავანეში“.

ფარდებთან ახლოს, რომლებზეც სანთლების ჩრდილი კრთოდა, დაჩოქილი ბიჭი ამ უსიცოცხლო ბუტბუტს ებრძოდა და სხვა სიტყვებს ჩურჩულებდა: „ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ დაკარგეთ სასუფეველი ცათა წინაშე კაცთა: თქუენ არა შეხუალთ და შემავალთა არა უტევებთ შესვლას“ - და მის გონებაში თავისთავად ამოძრავდა პიანინოს კლავიშები და მას ესმოდა მამიდის სიტყვები დიდ შაბათს (Für Elise... „საქმე ის არის, რომ ის ისეთი არ იყო, როგორიც ჩვენ“) და Ora pro nobis[127] ზუზუნი ბიძია ბალკარსელის თხელ ტუჩებზე იყინებოდა: „ღმერთო, მადლობელი ვარ, რამეთუ ისეთი არა ვარ, როგორიც სხვები - ხარბნი, უსამართლონი, გარყვნილნი, ვარ არა ისეთი, როგორიც ეს მწვალებელი“. ეს მისი დედა იყო. ისინი მის დედაზე ლაპარაკობდნენ. იგი მისი დედა იყო. დედამისი და ესეკიელ სუნო, ისინი, ვინც მათ სახლს გარეთ, მწვალებელნი, ცოდვილნი იყვნენ, ყველა ისინი, ვისთვისაც ცოლ-ქმარმა ბალკარსელ-სებალიოსებმა ცის სამეუფოში კარი დაახშვეს.

ლოცვა მთავრდებოდა. სენიორიტა პასკუალინა ჰყვებოდა წყვილზე, შესახვევში რომ კოცნიდნენ ერთმანეთს. პადრე ლანსაგორტა სიამოვნებით შენიშნავდა, რომ კიდევ რამდენიმე ოჯახია შემორჩენილი, რომელთაც შეუძლიათ კარგი მაგალითის მიცემა. სენიორა პრესენტასიონმა ყველას გაახსენა, რომ ხვალ დღესასწაულის ბოლო დღეა. სანთლებს აქრობდნენ, ლამპებს ანთებდნენ და მწვანე ხავერდის სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან ვახშმობდნენ.

- რახანია, რაც ზიარება არ მიგიღია, ჩემო ბიჭო? - შეეკითხა ლანსაგორტა.

- თვეა, პადრე.

- ხვალ ნასადილევს გელოდები.

- კარგი, პადრე.

* * *

- რამდენჯერ?

- ხუთჯერ... ექვსჯერ... ზუსტად არ მახსოვს...

- ვისთან?

- ერთ...

- არასდროს ყოფილხარ ქალთან?

- არა...

- დიდი ცოდვაა! უდიდესი შეურაცხყოფაა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი. შეიგრძენ სირცხვილი, იტირე სირცხვილისაგან, რადგან შებღალე ყმაწვილი იესოს სიწმინდე. განა გაბედავდი ეს სისაძაგლე მამიდაშენისა და ბიძაშენისთვის, რომელთაც მსოფლიოში ყველაზე უბიწო ბიჭად მიაჩნიხართ, მოგეყოლა? იცოდე, მომავალში აღარ შესცოდო; ყოველთვის, როცა ცდუნება გეწვევა, „მამაო ჩვენო“ თქვი, მომავალში აღარ შესცოდო. და ყოველ შემთხვევაში, უმჯობესია საკუთარ თავს მიაყენო შეურაცხყოფა, მაგრამ თავს ნუ შეირცხვენ ქუჩის ქალთან ურთიერთობით. იგრძენი სირცხვილი და

ზიზღი. იფიქრე, რომ ბილწი ავხორცობის მაგივრად შენ ეკლესიის სამსახური შეგეძლო. იფიქრე, რომ ძალა, რომლებიც ბოროტებას მოახმარე, შეგეძლო ახლობელთა სულის განწმენდისათვის დაგეთმო. დაირწმუნე ამაში თავი. მაგრამ თუ ვერ შეძლებ თავის დარწმუნებას, გამაგრდი და ნუღარ დაარღვევ წმინდა ცნებას და შენი ავადმყოფი გონებიდან ეს ბილწი ხილვები განდევნე. გიკრძალავ შიშველ სხეულზე ფიქრს. გიკრძალავ ქალზე ფიქრს. გიკრძალავ საკუთარი სხეულით ტკბობას. მოიშორე ეს ცდუნებანი.

- პადრე, მითხარით, რა უნდა გავაკეთო?

- ილოცე, ილოცე და არ იფიქრო ქალებზე.

- მე ქალი მინდა, პადრე, თქვენ გიმხელთ ამას, ყოველთვის მინდა.

- შენ ორმაგად სცოდავ და ორმაგად დაისჯები, იცოდე. არ გაბედო აქ მოსვლა, ვიდრე გულწრფელად არ მოინანიებ. მამიდაშენს მოველაპარაკები...

- არა, თქვენ ეს არ...

- მე სულებს ყველა ხერხით ვიხსნი. დღეს ვერ მოგიტევებ. ეს თითქოს უბრალო, ჩვეულებრივი საუბარი გვქონდა.

* * *

სხვა ადამიანთა ბედი - პროვინციელთა საუბრის საყვარელი თემაა. თუ სიტყვა ბედს ეხება, რომელზეც შეიძლება გავლენა იქონიო, ინტერესი ორმაგდება. თუ გავლენას დაქვემდებარებული ბედი მოზარდის ბედია, ინტერესი მოვალეობაში გადაიზრდება. ხოლო თუ ამ მოზარდს ჭირვეული ხასიათი აქვს, მოვალეობა ჯვაროსნული ლაშქრობის მასშტაბამდე იზრდება. აქ ყველამ იცის ერთმანეთი, ოჯახები ერთმანეთს რახანია იცნობენ, თითქმის რამდენიმე თაობაა.

- დიახ, რასაკვირველია, - ოხრავს დონია პრესენტასიონი, - ახლა ცხოვრებამ სახე იცვალა.

- უწინ წოდებებს შორის უფრო დიდი სხვაობა იყო, - ამბობს სენიორიტა პასკუალინა, - ახლა ყველაფერი აირ-დაირია.

ასუნსიონმა საქარგავს თვალი მოაცილა.

- სწორედ ამიტომ, როგორც პადრე ამბობს, წესიერი, პატიოსანი ოჯახები უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ერთად უნდა იყვნენ.

ეს ქალბატონები - დაახლოებით თოთხმეტი - ხუთშაბათობით ნასადილევს იკრიბებიან, რათა სუფრები, ხელსახოცები და ბალიშისპირები მოქარგონ, რომლებსაც მერე მღვდელს მიართმევენ ხოლმე. ყოველ კვირას სხვადასხვა ოჯახში ხვდებიან. ყველა ეს ქალი ცხოვრებისეული მოსაზრებით რევოლუციის პერიოდში გამდიდრებულთა ცოლებთან მეგობრობს. ხუთშაბათობით მხოლოდ ეს საათები ეთმობა ძველი ნაცნობების ვიწრო წრეში ურთიერთობას. ყველაზე ახალი წარმოშობის ოჯახი პორფირიოს დროს გამოჩნდა. ყველაზე ძირძველი მადლობით მოიხსენიებს თავის ფუძემდებელს, რომელმაც ენკომიენდე[128] კოლონიაში მიიღო. ასუნსიონ სებალიოს დე ბალკარსელს - მაღაროები და კომერცია - სავსებით საპატიო საშუალო ადგილი უკავია, რომელსაც დიდი შრომისმოყვარეობით მიაღწია.

- ამბობენ, მეხიკოში მოახლეები ძალზე ძვირიაო.

- ჩემი რძალი მზარეულს თვეში ორას პესოს უხდის.

- წარმოუდგენელია.

- ახალგაზრდა რეგულესი ხომ გახსოვს, კომერსანტის ვაჟი? ჰოდა, ახლახან მეხიკოში ვიყავი, საშობაო დღესასწაულზე, მასთან შევიარე და მისმა ცოლმა მითხრა, რომ ისინი მხოლოდ მოახლეებზე ხარჯავენ სამი ათას პესოს.

- წელიწადში?

- რას ამბობ, თვეში, ერთ თვეში.

- ოჰო! ჩუმად, შენმა მოახლემ არ გაიგოს. საბედნიეროდ, ისინი ჯერჯერობით მორჩილნი არიან, მაგრამ მეხიკოში ამბობენ, რომ...

- ახალგაზრდობა ბედნიერების მისაღწევად მეხიკოსკენ ისწრაფვის. მე კი ყოველთვის ვამბობ - ასეთ ხელსაყრელ პირობებს, როგორც გუანახუატოშია, ვერსად ნახავ. რა

სასიამოვნოა, ოჯახი იმ ადგილას გქონდეს, სადაც ყველა გიცნობს და ჭეშმარიტი მეგობრები გეგულება.

წრიულად მსხდომი ქალბატონები ქარგავენ. სასტუმრო ყოველ კვირას სხვაა, მაგრამ ყველა ისინი ერთნაირები არიან: მოგრძო ოთახი, რიკულებიანი აივნები, მაღალზურგიანი სავარძლები, მოქსოვილი ხელსახოცებით სამკლავურზე, მაღალი მაგიდა მარმარილოს დაფით, ბრინჯაოს სტატუეტით - ფეხშიშველი ესპანელი გლეხი ქალები, დანტე და ბეატრიჩე. ჭაღი მდიდრული ან უბრალო. ნაწნავებიანი და წინსაფრიანი მოახლე.

- ასუნსიონ, ძმისწულზე რას ფიქრობ, რას აპირებ?

- რა ვიცი, ის ხომ მეორე საფეხურის სკოლას მხოლოდ ახლა ამთავრებს.

- რამდენი წლის არის?

- ახლახან თხუთმეტი შეუსრულდა.

- ძალიან ლამაზი ბიჭია, ქუჩაში შემხვდა ამას წინათ.

- ჰო, მადლობა ღმერთს, ლამაზია.

- მაგრამ უნდა გითხრა, რომ ძალიან უცნაურ მეგობრებს კი ურჩევ.

- მეგობრებს?

- დიახ, სწორედ მეგობრებს. თავად ვნახე, თმაგაბურძგნილ, ნამდვილ მაწანწალა ინდიელს ახლდა. ხელიხელგადახვეულები მიდიოდნენ. რაღა უნდა თქვა!

- პასკუალინა, გეფიცები, ამის შესახებ არაფერი ვიცი. ალბათ, სკოლის ამხანაგი თუ იყო.

- იმიტომ გეუბნები, რომ იცოდე. ბიჭებმა არ იციან მეგობრების ამორჩევა. ცუდი მეგობარი კი ბავშვისთვის დამღუპველია.

- ჩემი ბიჭები ხაიმეს სულ ეპატიჟებიან, მაგრამ იგი ერთხელაც არ მოსულა.

- რაღაც გულჩათხრობილი ბიჭია, ხომ მართალია?

- გახსოვს, როგორ იყო ბავშვების მეჯლისზე!

- როგორ არ მახსოვს! საოცარია პირდაპირ. მთელი გუანახუატო იმას ლაპარაკობს, რომ არსად დადის.

- ვერც კი წარმოიდგენ, ასუნსიონ, ყველას რა მოწყენილობა მოჰგვარა. მოაფიქრდა და რაღაც იშვიათ წიგნებზე მსჯელობა წამოიწყო, თანაც ისეთი

მედიდური სახით, მერე კი ყველას განუცხადა, უვიცები და უჭკუოები ხართო და ღმერთმა უწყის, კიდევ რა არ უწოდა.

- ყველა იმას ამბობს, დიდი პირქუში ვინმეაო.

- ღმერთმა ქნას, ყველაფერი კეთილად დაგვირგვინდეს.

- რელიგიურ მოვალეობებს თუ ასრულებს?

- აბა, როგორ! შენ ხომ იცი, ჩემი ქმარი ამ მხრივ ძალიან მკაცრია.

- აღსარებაზე ვისთან დადის?

- უწინ პადრე ლანსაგორტასთან დადიოდა, მაგრამ ახლა ნება დავრთე, ობრეგონთან იაროს, რომელთანაც თითქმის ყველა მისი ამხანაგი დადის.

- უბრალოდ, იმიტომ გეუბნები, რომ ჩემი დისშვილის, რეფუხიოს ბიჭი სკოლიდან გაგიჟებული მოვიდა. წარმოიდგინე, შუა გაკვეთილზე ხაიმე ამდგარა და განუცხადებია, ჩვენ, კათოლიკეები... არა, ეს საშინელებაა. გამეორებისაც კი მრცხვენია.

- თქვი, თქვი.

- ბიჭის აღზრდაზე ასუნსიონია პასუხისმგებელი. თქვი, მან ყველაფერი უნდა იცოდეს.

- რომ ჩვენ, კათოლიკეები, ფარისეველნი ვართ.

- ოჰ!

- ღმერთო ჩემო, პრესენტასიონ! ეს იდეები ვინ ჩააგონა?

- ამას არ ვამბობ? ცუდმა გარემომ.

- და ცუდმა წიგნებმა.

- რატომ არ ჩაწერ „კათოლიკურ ქმედებაში“?[129]

- როცა ჩემი ბიჭები მისი ასაკის იყვნენ, ამან ძალიან მიშველა მათ აღზრდაში.

- ბიჭებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ სულიერი ხელმძღვანელობა.

- მართალია! ჯერ ცუდ ბიჭებთან ამხანაგობენ, აკრძალულ წიგნებს კითხულობენ. მერე კი იწყება ქალებთან ურთიერთობა და მეამბოხე იდეებით გატაცება.

- შენ ხომ იცი, ლუის ორტეგას ვაჟი კომუნისტი გახდა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო!

- იმიტომ, რომ თვრამეტი წლისა სასწავლებლად მეხიკოში გაგზავნეს. ჰოდა, აი, შედეგიც.

- გაიხსენე, ასუნსიონ, როგორ ზრდიდნენ ჩვენს ძმებს.

- ჰო, მართალი ხარ.

- მაგრამ თუ გულახდილად ვიტყვი, ასუნსიონ, შენი ძმაც დიდად სანიმუშო არ ბრძანდება. მაპატიე, რასაკვირველია, ეს გულახდილობა, მაგრამ ჩვენ ხომ მეგობრები ვართ...

- ღვთის გულისათვის, პასკუალინა! ის ჩემთვისაც ღვთის რისხვაა.

- როგორ შეეძლო იმ ქალზე დაქორწინება?

- დიახ, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა!

- ხაიმე დედას არ იცნობს. ის ჩვენი აღზრდილია.

- ოჰ, ჩემო ძვირფასო, ცუდი სისხლი მემკვიდრეობით გადადის.

- ლიბრადა, ჩართე შუქი! ხომ არ გინდათ რამე გამაგრილებელი შესვათ?

მზე ჩადის, თითები საკერავზე სწრაფად და დაჯერებით მოძრაობენ. კაბები ამ ქალბატონებს განგებ ძველმოდური აცვიათ. სახეები - ფერმკრთალი, სანთლისფერი დაჰკრავთ. ყველა ქარგავს. მუხლები მჭიდროდ მიუტყუპებიათ.

* * *

რა წინააღმდეგობრივი, საიდუმლო გრძნობა ეუფლება ასუნსიონს, როცა პადრე ლანსაგორტა წმიდათაწმიდა მოვალეობის ორაზროვანი ევფემიზმებისა და ფორმულების მოშველიებით ხაიმესთან ნაუბარს უყვება. როცა მღვდელი, რომელსაც თავისი ჩრდილი მშიერი ძაღლივით უკან მისდევს, მიდის, ქალი თავისთვის იმეორებს უაზრო ფრაზას: „ნეტავ არამც გაზრდილიყო ჩემი ბიჭი“ და როცა ახსენდება, რომ ამ სიტყვებში აზრი არ არის, ღრმა და სამარცხვინო სიხარული იპყრობს. ცდილობს, სარკეში თავისი გრძნობების რაღაც გარე ნიშანი აღმოაჩინოს, ხოლო ბიჭის სახეში მისი

მომწიფების ნიშნებს დაეძებს; იგი ხაიმეს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებს. უორკეცდება სიყვარული. აი, გადასწია ფარდა, აივანზე გადაიხედა; ხაიმე და როდოლფო სებალიოსი სახლიდან გავიდნენ და გუანახუატოს ცენტრისკენ მიემართებიან. მუქი ფარდის მიღმა მთვარესავით ფერმკრთალი ასუნსიონი გადაწყვეტს, ქმარს არაფერი გაუმხილოს. მღვდლის ნათქვამი არ გაიმეოროს. აღარაფერს იტყვის მამისა და შვილის სულ უფრო და უფრო იშვიათ შეხვედრებზე. არ ახსენებს ღარიბ სტუდენტს ხუან მანუელ ლორენსოს, ხაიმეს საუკეთესო მეგობარი რომ გახდა ამ ბოლო ხანებში. ენას არ დაძრავს წიგნებზე, რომელსაც ბიჭი წინანდელზე მეტად ფარულად ეზიდებოდა შინ. წინანდელზე მეტად მიაჩნია ქალად თავისი თავი: მას უნდა ბუნებრივ დასასრულამდე მოვლენებს წინ არ გაუსწროს, თავისი მსვლელობა აცალოს, არა, არ სურს არაფრის წინასწარმეტყველება. არ სურს ერთიან აზრს შეაჯეროს ფაქტები.

ფარდის უკან მდგარი ხედავს, როგორ მიდის მამა-შვილი და მღელვარება, ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრი უნისლავს თვალებს.

- მამა, რას აკეთებს ბიძია?

- რას აკეთებს? შრომობს.

- ხოსე მატეოსი, ერთი ჩემი ამხანაგი ამბობს, თითქოს ბიძია უფროსი ძმის უფლებას ითვისებს.

- სიცრუეა, სიცრუე. როგორ შეიძლება! ბიძაშენი მდიდარია, აბა, რისთვის სჭირდება ეს...

- ასე მითხრა, ფულს სესხად აძლევს და ორჯერ მეტს იგებსო.

- მე შენ გეუბნები, არაფერი ვიცი-მეთქი. მე ჩემი საქმე მაქვს.

- მამა, მითხარი, ვინ დააბეზღა ესეკიელი?

- ესეკიელი? ვინ არის ესეკიელი?

- მაღაროელი, ჩვენს ფარდულში რომ იმალებოდა. ნუ მომატყუებ, თქვენ იცით.

- აჰ, ის ლტოლვილი. კმარა. ამაზე არაფერი ვიცი. პოლიცია რომ მოვიდა, მე მაღაზიაში ვიყავი. მამიდაშენმა მიამბო ეს ამბავი.

ისინი გვერდიგვერდ მიაბიჯებენ - მამა, მსუქანი, დღითი დღე უფრო დაღლილი, ყურებზე ჩამოფხატული ფეტრის შლაპით, და შვილი, მოხდენილი, ნერვიული ბიჭი, რომელმაც არ იცის, სად წაიღოს ხელები, როგორ დადგას ფეხები. ხელები და ფეხები ისე ძალიან და ისე სწრაფად გაეზარდა. ბიჭი ხან იკრავს, ხან იხსნის თეთრი პერანგის საყელოს.

- რა ხანია აღარ გაგვივლია მე და შენ, როგორც უწინ, პატარა რომ იყავი. გახსოვს? მოდი, ალონდიგაში წავიდეთ. მე ისევ მოგიყვები პიპილას ისტორიას. გახსოვს, როგორ მოგწონდა...

- მე ახლა სხვა ისტორიები მაინტერესებს.

- გაჩუმდი, ღვთის გულისათვის. ხომ გითხარი, არაფერი ვიცი-მეთქი. ის ლტოლვილი პოლიციამ წაიყვანა. ბიძაშენი კი ძალიან მშრომელი და პატიოსანი კაცია და მისი წყალობით...

- დედაჩემის ამბავი? რატომ მიატოვე? სად არის ახლა? მე მისი გაცნობა მინდა.

შიშის ზარი, რომელმაც როდოლფო სებალიოსი წამით დაადამბლავა, იმ ზარის პრელუდია იყო, რომელმაც ერთი ნახტომით ისევ უკან, სახლისკენ გააქანა, - როდოლფოს სახე ფხვიერი ცომის კვერივით გაუხდა. ხაიმემ თვალი გააყოლა. მაუდის გამყიდველი ფიქრობდა: „არა, ეს როგორ დამავიწყდება, არასოდეს

დამავიწყდება“. და თვითონაც არ იცოდა, იმას ამბობდა, რაც იმ წუთში მოხდა, თუ იმას, რაც მოხდა თექვსმეტი წლის წინ.

წინ მოსაწყენი საღამოა. ერთობ გაბევრდა ასეთი საღამოები. საზიზღარი თანაკლასელები. გახშირდა მარტოობის საათები. ახალი წიგნები, რომლითაც ხუან მანუელ ლორენსო ამარაგებს. ყველაზე საყვარელი წიგნია ის, ლურჯყდიანი. ახლა კიდევ, გოიას გრავიურები, „დავით კოპერფილდი“, „დანაშაული და სასჯელი“. აი, ის ხოსე მატეოსი აჩერებს, სახე მთლად დამუწუკებული და თმა პომადაწასმული რომ აქვს.

- მომისმინე, მოდი იქ, შესახვევში დავიმალოთ, ჰოდა, გოგოები სკოლიდან რომ გამოვლენ, რიგრიგობით...

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ხაიმე ერთობის ბაღისკენ მიეშურება, დაფნის ფოთლებში შეყუჟული ჩიტები რომ ჭიკჭიკებენ. შედის იქ, ქალაქის ყველაზე მჭიდრო კვარტალში, გველივით რომ შემოტმასნია ცენტრს. აი, პოსიტოსის მოედანი. კაბესიტასის ქუჩა. მეხიამორის ქუჩა. კამის ქუჩა. ბოღმა ყელში ებჯინება. მთელი არსებით ებრძვის ბოროტებას, სიძულვილს, თვითამბოხების სურვილს. გულს ურევს მთელი ეს პროვინციული ცხოვრება, მითქმა-მოთქმა, კეთილგანზრახული და ბრძნული რჩევანი, პადრე ლანსაგორტა, ის, ვინც გასცა ესეკიელ სუნო, სენიორიტა პასკუალინა. მამამისი და საკუთარი თავი. უკვე დაიღალა ამ ციცაბო ქუჩებში ხეტიალით. ფიქრით მისტერ მიკობერის[130] იუმორს უტრიალებს, იგი პეტერბურგში მცხოვრებ რასკოლნიკოვის მოღუშულ ფიგურად გარდაიქმნება, პირქვე ემხობა გეთსიმანიის ბაღში, ცეკვავს გოიას ოფორტზე; გული მათი რიტმებით უცემს, სწამს, რომ შეიძლება ყველა მათგანად იქცეს; რომ შეუცნობი, მომავალში დაფარული შეიძლება მხოლოდ მტკიცება იყოს; რომ სიჭაბუკე დიდების მაუწყებელია; ახლა ისე მიათრევს თავის სხეულს, რაღაც ორიოდე წუთის წინ ასე ამაყად რომ გამოიყურებოდა, როგორც წაბილწულ ნადავლს. პირობა დადო, რომ ამ საღამოს საზიარებლად წავიდოდა პადრე ობრეგონთან, აღსარებისთვის. ამას არ გააკეთებს. არა, აღარ ივლის აღსარებაზე. ეწვევა თვითონ ქრისტეს. დიახ. ხვალ

მამიდა ასუნსიონთან ერთად ზიარებაზე კი წავა, მაგრამ აღსარებას აღარ იტყვის, თავს არ მისცემს გასასამართლებლად, რომ თავად არ გაასამართლოს. არ დაადანაშაულებს, რადგან არ სურს, თავად დაადანაშაულონ. ხაიმე ისევ მამასთან ერთად ივლის დღესასწაულებზე და სალოცავში.

ასე განვლო დაახლოებით წელიწადმა.

6

მაინც რით იყო ეს წელი ღირსშესანიშნავი? ყოვლად ჩვეულებრივ მექსიკურ სეზონთა მონაცვლეობით. წვიმიანი ზაფხულით, შემოდგომის კვამლის სუნით, მზიანი მშრალი ზამთრით, გაზაფხულის აფორიაქებული ღრუბლებით. არდადეგებზე ზიხარ შენთვის პარკში ან პარმაღზე, სათავგადასავლო წიგნით ხელში, და ათვალიერებ გამვლელ-გამომვლელს. ახალი სასწავლო წლიდან კი კვლავ მიუჯდები გაკვეთილებს. ცდილობ, გამოიცნო მასწავლებლების ხასიათი და ხელი შეუწყო მათ. თავიდან იძენ ამხანაგებს, ასე რომ შეცვლილან არდადეგების პერიოდში.

- მე რანჩოში ვიყავი.

- მე კიდევ მეხიკოში. არ იცით განა, ჩემმა ბიძაშვილმა სანადიროდ რომ წამიყვანა?..

- მე კი ცხენზე ჯდომა ვისწავლე.

- უჰ, თავი მომაბეზრა სკოლამ. მომავალი წლიდან აუცილებლად ვიმუშავებ ჩემს მოხუცთან.

- სებალიოს, ქალთან ჯერ კიდევ არ ყოფილხარ?

ჰმ, მთელი ეს წელიწადი უარს ეუბნებოდი იმ მუწუკებიან პეპე მატეოსს ლუდის დასალევად ან საროსკიპოში წასვლაზე. მთელი წელი - მწუხრის ლოცვა-მონანიება მამიდის საძინებელში, მთელი ეს წელი მარტოობაში იმეორებდა ქრისტიანთა უდიდეს აღთქმას.

* * *

სახლის ბინადარნი აყურადებდნენ აპრილის ღამეს. კედლებს ჯერ კიდევ შერჩენიათ დღის ლბილი სითბო. სასადილო ოთახიდან დიდი საათის შორეული რეკვა ყველა საძინებელში აღწევს. ძინ, ძინ, ძინ... ბოლოს, ლითონის თორმეტი დარტყმა და თავიანთ საწოლებში მწოლიარენი გონების თვალით უმზერენ კრინოლინებისა და თეთრი პარიკების როკვას. აი, იღება გალაქული კარი და გამოდის ფაიფურის თორმეტი ფიგურა. ფერხულს უვლიან დიდი საათის გარშემო. ეს საათი მამამთავარმა იხინიო სებალიოსმა ჩამოიტანა მადრიდიდან. უწყიან ოჯახის წევრთა, რომ ამის შემდეგ გუანახუატოს სამრეკლოებიდან შუაღამის მოწოდებას გაიგონებენ. იხინიო

სებალიოსიდან მოყოლებული ეს საათი დაბეჯითებით სამი წუთით გარბის წინ. მარტო ხაიმე სებალიოსი ფიქრობს ამ დროს მთვარის სხივით განათებულ მზის საათზე, ნესტიანი პატიოს კუთხეში სულ სხვა დროს რომ უჩვენებს.

პატიოში გამოდის მისი, მამიდისა და ბიძის საწოლი ოთახები. როდოლფო სებალიოსის საწოლი იქ, იმ ბრტყელ სხვენზეა. ხაიმე თავისი ვიწრო წაგრძელებული ოთახის თეთრად შეფეთქილ კედელს აეკრო. კარი ღია დატოვა

და ღრმად შეისუნთქა ღამის მძაფრი სუნი. პატიოდან ბალახის სურნელი მოდის, მაგრამ უფრო ძლიერია ქალაქს მიბჯენილი მინდვრიდან და კორომიდან მოდენილი სურნელი. მაშინ ჩრდილის მუქშტრიხებიანი საათი და დრო როგორღაც ორად იყოფა: მზის საათი, აი, თითზე რომ არის ჩამოსათვლელი; მთვარის საათი ხელიდან უსხლტება და სურს როგორმე დაიჭიროს. ღამის მუსიკა ცოლ-ქმრის დიდ საძინებელშიც აღწევს. იმ ხმას იქ ხავერდის პორტიერები, აბრეშუმგადაკრული ტახტი, ინკრუსტირებული პიანინო, ფარდა, საწოლის კედრის ხის მაღალი ზურგი ახშობს. გაზაფხულის ბუნების ცეცხლოვანი ფლეიტის ხმები ესმის ასუნსიონ ბალკარსელს ყურში. თვალს ახელს და გვერდით ქმრის მძინარე სხეულს შეიგრძნობს. როდოლფოს საძინებელში ქვის იატაკია. ღამით აქ

ჭიანჭველები დაფუთფუთებენ. აქეთ-იქით სწრაფად დაცოცავენ საწოლის რკინის ფეხებს შორის. როდოლფომ იცის, რომ ისინი აქ არიან, ეჩვენება კიდეც, რომ ესმის მათი ფუთფუთი.

მთქნარებით მოისხამს ბამბაზიის საბანს. ცხელი დღე იყო, მაგრამ საღამოს მაგრილებელმა თქეშმა დასცხო. ღამე ისევ თბილია, ალბათ, ასეთივე იქნება ხვალინდელი დღე. და მაინც სცივა.

ხაიმეს ყურთან ბუზმა ჩაიბზუილა. ბიჭი ხელს იქნევს და კვლავ კედელს ეკვრის. საწოლი ოდესღაც კედელთან მიუდგამთ, რომ ბიჭი ღამით არ გადმოვარდნილიყო; უწინ საწოლს სკამებითა და სავარძლის ბალიშებით ქოლავდნენ. ახლა კი, ფიქრობს ხაიმე, ეს საჭირო აღარ არის. უკვე თექვსმეტი წლისაა და ამ შესანიშნავი ღამის მელოდია, რომელიც სავსეა ყველა ჯურის ქმნილებით, მის აზრებს ხორციელი სახეებით ავსებს, ხილის, მიწის ნესტისა და თბილი ქარის სურნელი რომ დაჰკრავს.

საწოლი სხვენზეა. როდოლფო საბნიდან გამოყოფილ ხელებს გულზე იწყობს. უნდა ოფლიანი პერანგი გაიხადოს, მაგრამ ეზარება და თანაც ეშინია, სურდო არ შეეყაროს.

ხელებით თვალებს იფშვნეტს და თავს არწმუნებს, რომ ეს სიცრუეა: მას დაძინება არ შეუძლია, რადგან ეს შორეული სურნელი, უფრო ძლიერი, ვიდრე თავდავიწყება, მისი ცოლის სხეულის არომატია. უწინდელ სიტყვებს, მოქმედებებს იმეორებს. ხელით გვერდით მწოლი ცოლისკენ მიიწევს. ხელისგულებს ისე აწყობს, თითქოს წყაროს წყალს უშვერსო. ასე დასჩემდა იმ დროიდან, რაც ხაიმემ დედა ახსენა და მამას ისევ დაეუფლა მისი სხეულის მონატრება.

დიდი საძინებელი. აზუზუნდა წითურა მაისის ღრაჭა და ასუნსიონი იღვიძებს - პირი ღია აქვს, ხელები პატარა ქალიშვილური ძუძუებისთვის ჩაუვლია. ასუნსიონი ფარდას გადასწევს, ცდილობს, უხმაუროდ მივიდეს მისი სიმაღლის სარკესთან. უყურებს საკუთარ თავს, ნამძინარევს, მაგრამ მწყურვალს, წაბლისფერ თმას, წელამდე რომ სწვდება, ლოყებს, მხუთავი ძილისგან რომ

წითლად ჩამუქებია. თავს არწმუნებს, რომ ჯერ ისევ ლამაზი და ახალგაზრდაა. იხსნის საყელოს და სარკეს აჩვენებს მკერდს, მომრგვალებულს, თითქმის ხელმიუკარებელს. ეს ძუძუ ბავშვს არასოდეს მოუწოვია. მერე, თვითონ რომ ვერ გეტყვით, რატომ, პერანგის კალთებს მუცლამდე იწევს და ისე გამობერავს, ლამის ქსოვილი გაიხეს. მერე სარკეს ზურგს შეაქცევს და ხორხე

ბალკარსელის მძინარე სხეულს დასცქერის, თეთრ ბადისებრ ქსოვილს მიღმა მუქად რომ მოჩანს. არავის ესმის ასუნსიონის კვნესა, არავინ ხედავს, რა უიმედოდ ეფერება თავის მუცელს, ძუძუებს. უცბად ქალს ახსენდება გვერდით ოთახში მძინარე პატარა ბიჭი და დაუძლეველი სურვილი ეუფლება, გაიქცეს და დახედოს.

პატიოს ქვის ფილებიდან რუხი განთიადი მოიწევს. ბიჭი, რომელსაც მარტოსული სიყვარული დაუფლებია, პირქვე წევს, მთელი ძალით ხუჭავს თვალებს და მუშტებშეკუმშული დაუსრულებლად ბუტბუტებს ერთსა და იმავეს: „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, ამინ“. სირცხვილი ერთიანად წვავს. მთელი სხეული შავი მიწის გროვად ეჩვენება. ხაიმე დგება, მერე მუხლებზე იჩოქებს და ხელებს ჯვარედინად იშვერს, მაგრამ სიტყვები პირიდან აღარ ამოდის და ეს დრამატული პოზა ბოლოს და ბოლოს თავადვე სასაცილოდ ეჩვენება. მაშინ კედლიდან საწოლს გამოსწევს და შუა ოთახში დგამს.

ბიძია ბალკარსელს გვერდით ოთახში ხმაური აღვიძებს. ფარდა სახეზე ხვდება. ბუზღუნით ისვრის ბადეს, თვალებს ახელს და გვერდით მძინარე ასუნსიონს ხედავს.

ეს რა ხმაური ატეხა ძმისშვილმა ასეთ დროს? ბალკარსელი ოხრავს და მჩხვლეტავ ნიკაპზე ხელს ისვამს. იგი ხაიმეს მომავალზე ფიქრობს. ზოგი ეუბნებოდა, მამა-შვილი სხვადასხვა ხალხურ ზეიმს ესწრება ხოლმეო, ზოგი აფრთხილებდა, ხაიმეს განუყრელი მეგობარი მოსამზადებელი ფაკულტეტის ყმაწვილიაო. ბალკარსელი ფიქრობდა, ბიჭი საკუთარივე გამოუცდელობისგან უნდა დავიცვა, ცხოვრება ათასნაირი ხიფათითაა სავსეო და ხელი ჩასწია, რომ სპილენძის საფურთხებელი მოენახა. ხაიმე კი განაგრძობდა ფიქრს, თან, როგორც ყოველ დილით, სქელი ნახველი ჩააფურთხა. დიახ, ხაიმე, აუცილებელია, ოჯახში სიმშვიდე სუფევდეს. ხაიმე ყველაფერია, ის, რაც მან ვერ შეძლო ცოლისთვის მიეცა. ხაიმე ვაჟიშვილია, - ახლა მეჩხერ თმაზე ისვამს ხელს და ენაზე საზიზღარ ნალექს შეიგრძნობს, - თან ისეთი ვაჟიშვილი, რომელსაც სწორედ იმიტომ, რომ მათი საკუთარი არ არის, კიდევ უფრო მეტი მზრუნველობა სჭირდება და უფრო ძლიერ და გაბედულად უნდა შეიჩვიო, ვიდრე მაშინ, იგი რომ ამ მძინარე ქალის წიაღს ეშვა. მაგრამ, როცა მისი ოთხკუთხედი თავი ისევ ბალიშზე ეშვება და მშვიდად დაძინებას აპირებს, ხორხე ბალკარსელისთვის ნათელი ხდება, რომ თავის მოტყუება არ არის საჭირო. დიახ, იგი ზიზღს ჰგვრის, აუტანელია ფიქრი ამ ახალ ყვინჩილაზე და ეს ნორჩი სიყვარული აშფოთებს. ეს სათნო პოლიტიკოსი და ბანკირი უხამსი

ხილვებით იქცევს თავს, თან რომ უნდა და არც უნდა მათი თავიდან მოშორება. მაგრამ აი, ასუნსიონი ამოძრავდა საწოლში, თვალს ახელს და ტუჩებს კუმავს.

- შენ რა, არ გძინავს? - ეკითხება ის.

- საათი ახლა ექვსს დაჰკრავს, - პასუხობს ქმარი და შეჭაღარავებულ წვერზე ხელს ჩამოისვამს.

ქალი წამოჯდება. ფეხებს წითელ ფლოსტებში ჩაყოფს. ფანჯრის ჭუჭრუტანიდან მოცისფრო შუქი შემოდის. ასუნსიონი შალს მოიხურავს და ღამის დახუთულ ანაორთქლს ყნოსავს. იგი პატიოს ირგვლივ შემორტყმულ გალერეაში გამოდის. ჩამოდის ქვის საფეხურებზე, რუხი ეზოს დილის სუნს ჩაისუნთქავს. მოახლის ოთახის ფანჯარაზე აკაკუნებს. მერე ხელს მკერდზე მიიდებს და თითების სწრაფი მოძრაობით პერანგს თითქმის კისრამდე შეიკრავს.

* * *

მამიდა და ძმისწული ეს-ესაა, დაბრუნდნენ ცისკრის წირვიდან. წმინდა როხას ტაძარში სკამების ნახევარი წინ თითქმის ცარიელი იყო, იქ მათივე წრის მხოლოდ ექვსიოდე წარმომადგენელი იჯდა. უკანა სკამებზე მუქ ტანისამოსში გამოწყობილი უკბილო დედაბრები ლოცულობდნენ. ისხდნენ, ხელებგადაჯვარედინებული, შავთვალა გლეხის ქალები ლურჯ კაბებში, ტალახშემხმარი ფეხებით. დონია ასუნსიონი კრიალოსანს ფერებით მარცვლავდა, თითქოს მარგალიტის მძივებიაო. უკანა სკამებზე მსხდომი დედაბრები თითოეულ მძივს ხელში ატრიალებდნენ, როგორც მაისის მარცვლებს, რაღაც უძვირფასესს, მათი შავბნელი სიღარიბის ერთადერთ სამკაულს.

ახლა მთელი ოჯახი ჩაბნელებულ სასადილოში, მწვანე ჭაღქვეშ იკრიბებოდა. მოახლემ მწვანე ხავერდის სუფრაზე შემოდგა ლანგარი პაპაიით[131], ლიმონებით, გრილი ბანანებითა და არომატული კომშით. ხაიმემ კომშის ნაჭერი ცხვირთან მიიტანა და დიდხანს იყო ასე. ბიძია ბალკარსელი, ტუჩებმოკუმული და წარბებაზიდული, პურის ვარდისფრად შებრაწულ ნაჭერს ლიმონს აწურავდა. როდოლფოს პერანგის საყელოს ქვეშ ხელსახოცი ჩაეფინა. მარცვლებს იფურთხებოდა და თან პირზე ხელს იფარებდა. მამიდამ ხაიმეს ხელით ანიშნა, მარჯვენა თვალი ამოიწმინდეო. შემწვარი ძეხვისა და შაშხის სუნი ტრიალებდა.

- გეყოფა კომშის ყნოსვა, ჭამე, - დაიწრიპინა ბიძია ბალკარსელმა, - ბიჭი ნამდვილად გახდა.

- იზრდება და იმიტომ.

- ვარჯიში უნდა დაიწყო. თავისუფალ დროს რას აკეთებ?

- ბევრს ვკითხულობ, ბიძია.

- ნუ ლაპარაკობ, როცა პირი საჭმლით გაქვს სავსე, - ბიძია ბალკარსელი გამართული ზის, ღირსებით სავსე, როდოლფოს მოუქნელობის საპირისპიროდ, მომუშტული მარცხენა ხელი მბრძანებლურად უდევს სუფრაზე, დროდადრო ჟილეტის ჯიბიდან საათს ამოიღებს და წარბებს შეყრის.

- როდოლფო, არ მინდა გაგახსენოთ, მაგრამ ვგონებ, დადგა დრო, ხაიმეს გულახდილად ელაპარაკოთ, იგი უკვე ბავშვი აღარ არის, შეიძლება ითქვას, კაცია, თექვსმეტი წლისა.

მსუქანმა კომერსანტმა მწუხარე სახე მიიღო და ჩანგალი გვერდზე გადადო. „გულახდილად ელაპარაკო“ - ხაიმემ ვერ გაბედა, ეთქვა, რომ თავადაც უნდა ეს, მას ხომ ყველაფერზე ლაპარაკი და ყველაფრის გაგება სწყურია.

- თანამედროვე ცხოვრება ხიფათითაა სავსე, - პატრიარქის ისეთივე მკაცრი სახით განაგრძობდა ბალკარსელი, - ჩვენი სიჭაბუკის ჟამს გარემო ეხმარებოდა ყმაწვილებს სწორი გზით ევლოთ. მაგრამ ახლა, როგორც ამბობენ, ნაცვლად იმისა, რომ დისციპლინირებულ ცხოვრებას მიჰყვნენ, თხებივით უმეთვალყურეოდ დახეტიალებენ, ყოვლად, ყოვლად შეუფერებელ რამეებს ხედავენ და შეუფერებელ წიგნებს კითხულობენ. ახლა მიაჩნიათ, რომ ინსტინქტები არ უნდა შეზღუდონ და ახალგაზრდებს საშუალება უნდა მისცენ, ცხოვრება თავად შეიცნონ. მე, მაგალითად, ამის წინააღმდეგი ვარ. დიახ, დიახ, წინააღმდეგი ვარ. ინსტინქტები ცხოველებისთვისაა. ადამიანებს კი კონტროლი, დისციპლინა სჭირდება.

ბალკარსელმა მაგიდასთან მსხდომთ თვალი მკაცრად მოავლო. მბრძანებლური მზერა სტყორცნა. ხაიმემ თავი დახარა.

- ვხედავ, ჩემო ბიჭუნა, რომ ჩემმა სიტყვებმა აგაფორიაქა, - თქვა ღიმილით ბიძიამ, - ეს კარგი ნიშანია. აბა, ერთი მითხარი, ახლა რა წიგნს კითხულობ?

- ერთ რომანს.

- რომანს? ძალიან კარგი. რა ჰქვია ამ რომანს?

- „წითელი და შავი“.

- ასუნსიონ, კეთილინებე, შეამოწმე პადრე ლანსაგორტასთან ერთად, ხომ არ არის ეს წიგნი ინდექსში შესული. თუ შეტანილია, ხაიმე იმით დაისჯება, რომ თავის ეგზემპლარს გადმოგვცემს. აბა, ახლა განვაგრძოთ. მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი?

- ერთი სტუდენტი... მოსამზადებლიდან.

- რა ჰქვია?

- ხუან მანუელი.

- ხუან მანუელი. მერე?

- ხუან მანუელ ლორენსო.

- ასუნსიონ, შენ თუ იცნობ ჩვენი ნაცნობი ოჯახებიდან ვისმე ლორენსოს გვარით. არა? ჰოდა, არც მე ვიცნობ და მე გეტყვი, თუ რატომ, იმიტომ, რომ ეს გლეხის ოჯახია და მათი ვაჟი აქ მთავრობის სტიპენდიით ცხოვრობს.

- ჩემო ბიჭუნი, მეგობრები უფრო გონივრულად უნდა შეარჩიო... - თქვა დონია ასუნსიონმა და ხაიმეს მხარზე ხელი დაადო. სკამზე აწურული, მთლად გაწითლებული ბიჭი სიტყვებს ეძებდა, რათა ბიძიას შეჰპასუხებოდა და მზერით კი მამას, როდოლფოს გამოქომაგებას ემუდარებოდა, მაგრამ როდოლფო ისევ ისე მუნჯივით იჯდა, მუხლებზე ხელებდაწყობილი. სახეზე მოკრძალება და სრული ყურადღება აღბეჭდოდა.

- მე ჯერ არ დამიმთავრებია, - და ბიძიამ დამრიგებლურად ასწია საჩვენებელი თითი, - როდოლფო, ნამდვილად, აქ თქვენი დანაშაულიც არის, რამდენად სწორად მიგაჩნიათ,

მაგალითად, რომ ჭაბუკი, რომლის შეგნება ახლა ყალიბდება, ყოველნაირ სალოცავში და ხალხურ ცეკვებზე მდაბიოთა ბრბოში დახეტიალებს. თავდაპირველად ვითმენდი ამას, რადგან ხაიმე ჯერ კიდევ ბალღი იყო, მაგრამ ახლა, როცა უკვე თექვსმეტი წლისაა, მე, მაგალითად, ყოვლად შეუწყნარებლად მიმაჩნია, რომ იქ იაროს, სადაც ყოველნაირ ცდუნებას იგემებს, შეხვდება გარყვნილ ქალებს... და ამაში ყველაზე ცუდია, რომ თქვენ, როდოლფო, თან ახლავხართ, მაგრამ რატომღაც ამაზე ჩვენთვის არაფერი გითქვამთ... მაპატიეთ სიმკაცრე, მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხოთ: საროსკიპოშიც ხომ არ გყოლიათ თქვენი შვილი?

მამიდის შეძახილი ბალკარსელის რიტორიკულმა ჟესტმა შეაჩერა.

- ვგონებ, აქ გულახდილობაა საჭირო. ყოველ ოჯახში უნდა იყოს ოჯახის უფროსი და მე ჩვენს ოჯახს უნდა ვაგრძნობინო ჩემი ძალაუფლება. ჩემი პირველი განაწესი ასეთი იქნება: ხაიმე, როგორც ჩვენი გვარის ყოველი ახალგაზრდა, ქორწინებამდე უმწიკვლო უნდა იყოს და არ უნდა იცოდეს სხვა ქალი, გარდა იმისა, რომელიც ღვთით ებოძება. ამგვარად, თავი უნდა დაანებოს მდაბიური წიგნების კითხვას და სხვა წრის ამხანაგებს - ერთი სიტყვით, მტკიცედ უნდა დაიცვას ზრდილობის წესები.

ვიდრე ბიძია ლაპარაკობდა, ბიჭი რისხვისა და სირცხვილის ბუნდოვანმა გრძნობამ შეიპყრო იმის გამო, რომ როდოლფო ხმას არ იღებდა. ბიჭი სიტყვიერ დაცვას კი არა, აქტიურ ნაბიჯს ელოდა მისგან. მოელოდა, რომ მამამისი ბალკარსელს ეტყოდა: „ეს ჩემი შვილია“. ჰოდა, მეტს არაფერს ითხოვდა იგი. ხაიმეს რცხვენოდა არა მარტო თავის, არამედ მამის გამოც, რომელმაც განსაცდელის ჟამს ასე მიატოვა. სიჩუმე, რომლის დროსაც მამა-შვილის მზერა ერთმანეთს შეხვდა, ერთობ მრავლისმეტყველი იყო. როდოლფომ თვალები

დახარა და ხაიმემ თავისი უსუსური სირცხვილის სიღრმიდან, ბოლოს და ბოლოს, ამოღერღა სიტყვები, შინაგანად ასე რომ ბუგავდნენ მას:

- აი, თურმე როგორი გულახდილობით მელაპარაკებით! სიცრუეა ეს ყველაფერი!

- ადექი ახლავე სუფრიდან! - მუქარით აიქნია ხელი ბიძიამ, - შენს ოთახში წადი, ძაღლის ლეკვო! იჯექი იქ უსადილოდ, ეგებ შიმშილმა ნერვები და უხეშობა დაგიმშვიდოს! თუ მამაშენს არ შეუძლია წესრიგისკენ მოგიწოდოს, მე შენ გიჩვენებ, რომ ამ სახლში მორჩილება და უფროსების პატივისცემა უნდა იყოს.

ბალკარსელმა პირი ხელსახოცით მოიწმინდა. ხაიმე ადგა, თვალებით შველას სთხოვდა მამასა და მამიდას, მაგრამ ორივემ თავი დახარა და ბიჭი თავისი ვიწრო თეთრი ოთახისკენ გაემართა, სადაც მოახლეს საწოლი ისევ კედელთან მიედგა.

პროვინციული უხვი საუზმის სურნელება იდგა. ყველა უხმოდ შეექცეოდა ერბოკვერცხიან ძეხვს. ასუნსიონმა გაღიმება სცადა.

- უნდა გითხრა, რომ შენი დეიდაშვილები ცდილობენ ჩვენი მზარეულის გადაბირებას. გთხოვ, მოელაპარაკო მათ. ფელისას გარეშე არაფრით არ შემიძლია.

ბალკარსელმა თავი დაუქნია, ისევ საათს დახედა და სასადილოდან გავიდა. და-ძმა ისევ ჭამას განაგრძობდა.

- ხვალ მამას გარდაცვალების წლისთავია, - თქვა როდოლფომ.

- ჰო. ათ საათზე იქნება „Te Deum“,[132] პადრე ლანსაგორტა წირავს.

- შენმა ქმარმა რომ თქვა... მე და ხაიმე...

- მე ეს ვიცოდი.

- იცი, უწინ ეს ძალიან სასიამოვნო იყო. ახლა კი შემოგველია სალაპარაკო. უჩუმრად დავდივართ.

- ჰო?

- მას მერე, რაც მან... ასუნსიონ, საიდან გაიგო? ხაიმემ ადელინაზე ჩამომიგდო სიტყვა. მითხრა, რომ მე ის მივატოვე.

- ხომ დამპირდი, რომ არასოდეს ახსენებდი მის სახელს?

- მე აკი არც მიხსენებია... იმას გეუბნები, ვერ გამიგია-მეთქი, ვინ უთხრა, საიდან გაიგო, მაგრამ ეს ხომ შენი ბრალია! რატომ მივატოვე! ჰო, შენ, მხოლოდ შენ ხარ ამაში დამნაშავე!

გარედან ჩიტების ჟივჟივი ისმის. ახალ ბუდეებს იკეთებენ გაზაფხულის ფუშფუშა

იფნებზე. წმინდა როხას ეკლესიიდან გამოსული მოხუცები ფეხებს ძლივს მოათრევენ. ხილითა და ტკბილეულით მოვაჭრენი თავიანთ საქონელს აქებენ. წინაპართა სახლის ლავგარდანზე ჩუმად, სულთანივით დააბიჯებს მისი მონა-მორჩილი საქათმის მბრძანებელი მამალი. მამლის ქოჩორი ტორეროს მოხდენილი მოსასხამივით გაშლილა.

- ო, როგორ მჭირდება ეს ბიჭი, ასუნსიონ, მე ხომ მის მეტი არავინ გამაჩნია.

ხაიმე კი საწოლ ოთახში გამეფებული სიმყუდროვით ტკბება. კურცხლებს ყლაპავს და თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. გაქცევისა და ამბოხის გეგმებს აწყობს. ასუნსიონმა საწოლი ოთახის ფანჯარაზე თითები ააკაკუნა. დამთავრდა საუზმე. დონ ხორხე ბალკარსელი უკვე ტყავის სავარძელში მოკალათდა, თითქოს ამით ამტკიცებდა თავის ძალაუფლებას სუსტებზე და მაამებლობას ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე. როდოლფო სებალიოსს წმინდა დიეგოს ეკლესიის პირდაპირ ძველი მაღაზია გაუღია და ქსოვილის თოფის გასაშლელად ემზადება. ისევ ფანჯარაზე კაკუნი ისმის. ფერმკრთალი, შეშფოთებული შავოსანი ქალი შემოდის, თმა უკან აქვს გადაწეული და შეკრული. ხაიმე ხვდება მამიდის შემოსვლის მიზეზს: მხოლოდ მას ეკუთვნოდეს დიდი

სიყვარული, მხოლოდ მას გაანდოს ბავშვური მარტოსულობა. ბიჭი ვიწრო საწოლზე გაუნძრევლად ზის. ასუნსიონი ხელით ეხება.

- ნუ გეწყინება, ბიძაშენი, ცხადია, ცოტა ზედმეტად მკაცრია. სამაგიეროდ, მხოლოდ შენს კეთილდღეობაზე ზრუნავს.

და რადგან ბიჭმა არ იცის, რა უპასუხოს, იგი დასძენს:

- ბიძიას უნდა, რომ შენ ისეთივე პატიოსანი, უმწიკვლო იყო, როგორც თვითონ და როგორც ყველა ჩვენი წინაპარი. შენ უკვე თითქმის მამაკაცი ხარ, ხომ ასეა. მამაკაცები კი ბევრ ხიფათს ხვდებიან ცხოვრებაში. ბიძაშენს და მე, ძალიან გვინდა, დაგიცვათ ტანჯვისაგან. გვინდა ჩვენი გამოცდილებით მოგეხმაროთ.

ასუნსიონმა ამოიხვნეშა და ხელები გადაიჯვარედინა.

- მალე მოგინდება დაუახლოვდე, უკეთ გაიცნო ქალები. გთხოვ, მოითმინო, სანამ პატიოსან, ქრისტიანულ ოჯახს შექმნიდე. ექვსი-შვიდი წელი - ეს ხომ არც ისე ბევრია?

ხომ ასეა? ბიძაშენი და მე, ჩვენ მოგეშველებით კარგი ქალიშვილის პოვნაში. მამაშენის შეცდომა უნდა გახსოვდეს.

- რომელი შეცდომა? - უეცარი გულისტკივილით კითხულობს ხაიმე.

- დედაშენი ჩვენი წრის ქალი არ იყო...

- მე, მე რომელი წრისა ვარ? - კითხულობს ზიზღით ხაიმე, რომელსაც ასეთი კითხვა თავდაჯერებით წარმოთქმულმა ამ სიცრუემ აღუძრა. მამიდა წელში

გასწორდა, გილიერმინასგან მემკვიდრეობით გადმოცემული ჩვეული, ცივი პოზა მიიღო.

- შენ სებალიოსი ხარ, სებალიოსები კი მუდამ კეთილშობილების, წესიერების ნიმუში...

ხაიმე რომ მისკენ მობრუნებულიყო, ასუნსიონი ძმისწულის თვალებში ნაღვლიან დაცინვას ამოიკითხავდა.

- პატიოსანი ქალი უფრო ძნელი საპოვნელია, ვიდრე თივაში ნემსი, - სენტენციურად

წარმოთქვა მამიდამ, - ამიტომ უნდა მიენდო ქალს, რომელსაც თავის დროზე მე და ბიძაშენი ამოგირჩევთ. როგორც განძს, ისე უნდა გაუფრთხილდე შენს სიწმინდეს, შენი შვილების დედისთვის. სხვა ქალები კი... - აქ დონია ასუნსიონი გაფითრდა და ენა დაება, - სხვა ქალებმა შეიძლება განუკურნებელი სენი შეგყარონ... ან შენს ფულს გამოედევნონ...

იგი ისევ აღელვებული გაჩუმდა და მოეხვია ბიჭს, რომელიც მისი დარიგებიდან სულ სხვა ისეთ დასკვნას აკეთებდა, ქალი რომ ვერც წარმოიდგენდა.

- მაგრამ ეს არ მინდოდა მეთქვა. შეეცადე, გამიგო, რომ ყველაფერ ამას შენი კეთილდღეობის სურვილი მათქმევინებს, - ბუტბუტებდა ასუნსიონი და თან ხაიმეს თავზე ეფერებოდა, - ჩვენ გვინდა ხიფათისა და ახალგაზრდული შეცდომებისგან დაგიფაროთ, შენ ძალიან კეთილი ბიჭი ხარ, ასე არ უნდა ენდო ცხოვრებას. ხალხი ბოროტია. მაგრამ რჩევა რომ მოგცე, მე მუდამ გვერდით გეყოლები, არც ერთ ქალს ისე არ ეყვარები, როგორც შენს დედა ასუნსიონს.

და ხაიმემ, ქალის მოალერსე ხელს რომ გრძნობდა, პირველად, თავად არ უწყოდა, რას

ამბობდა, ისე დაუდასტურა“ „დიახ, მამიდა“. „მამიდა“ დაუძახა იმას, ვისაც მუდამ „დედას“ ეძახდა. შეიძლება მან იგრძნო ეს თრთოლა, ის დარდნარევი სიხარული, რომლითაც ასუნსიონმა ეს სიტყვები აღიქვა, მაგრამ ეს თრთოლაც რომ არა, მისი უბიწო სიყვარულის სიწმინდემ აგრძნობინა, რომ ასუნსიონს იგი თავისთვის უნდა, და როგორც ქალს, ისე უყვარს. ეს იყო უეცარი თვალის ახელა, რომლის სიტყვებით ახსნას ვერ შეძლებდა ხაიმე; იგი ადგა და მოხატულ პირსაბანთან მივიდა, რომ სახე გაეგრილებინა. ხაიმე უხერხულად იყო და იმ ბუნდოვან გაოცებაში ძლივს იგრძნობოდა მცირე სიბრალული ქალისადმი, რომელიც სიყვარულის ნამცეცების მოპოვებას, არც ერთმა კაცმა რომ არ მისცა, ამ გზით ლამობდა.

ასუნსიონმა ხელი მოისვა სქლად კრემწასმულ ლოყაზე და ღრმად ჩაცვენილ თვალებზე. ზედმეტია ახლა ამაზე ფიქრი. ცხადია, მას უფრო ესიამოვნება, სწამდეს, რომ ჯერ ისევ ნორჩი კანი აქვს, მაგრამ ყოვლად უძლური იყო ეთქვა თავის ყველაზე იდუმალ სურვილზე, იმდენად იდუმალზე, რომ ღრმა ძილის

მდუმარებაშიც კი მას სქელი ნისლი ფარავდა მისი წარმოსახვისგან და ამ ნისლს შეგნებამდე შეუღწევლად სხვა, შავი ფარდაც ეფარებოდა, სადღაც მზის წნულის კუნჭულში, უტყვი ხორცის

ყველაზე ღრმა ჭუჭრუტანაში, ვიდრე ის იდუმალი სურვილი არ გაქრებოდა, და მდუმარების ეს საფარველები სულ უფრო შორს, უფრო ღრმად, საწყისი იმპულსების შავბნელი უფსკრულისკენ ერეკებოდნენ ასუნსიონის ჭეშმარიტ ხმას. ამასობაში შეუგნებელი დამცველი რეფლექსით მისი ბაგენი სულ სხვა სიტყვებს წარმოთქვამდნენ. მან ცხვირსახოცი ამოაფრიალა და ცხვირზე მოისვა.

- ბიძაშენი მართალია. იმ ბიჭს აღარ უნდა შეხვდე. ხომ ხედავ, ხალხის სალაპარაკო შეიქნა. არა, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ სულ სხვადასხვა წრის ორი ბიჭი განუყრელად ერთად დადიოდეს. სიტყვა მომეცი, რომ ამიერიდან აღარ შეხვდები იმ ხუან მანუელს.

* * *

ხუან მანუელი ტანდაბალი, მეტად ნელი ჯეელი ინდიელი გახლდათ. მისი ღრმა და ნათელი თვალები ოდნავ გაოცებით იმზირებოდნენ, თითქოს ყველაფერს პირველად ხედავენო. ეს თვალები თითქმის ყოველთვის უაზრო იყო. თითქოს იქ მხოლოდ ინტუიცია აღწევდა. აი, ის, მორელოსის ბაღისკენ მიმავალ ქუჩაზე დგას, მისჩერებია

საკარეტო ფარდულის მრგვალ ფანჯარას და წყნარად უსტვენს: „ფიუ!“; პატარა ფიგურა ქაღალდის შარვალსა და თეთრ პერანგში, ყვითელ ფეხსაცმელში, თავი მაღლა აუწევია, ხელით რვეულსა და წიგნების გროვას იხუტებს. ოთხი წლის წინ ადგილობრივმა მთავრობამ სოფლის სკოლებიდან სწავლის გასაგრძელებლად ერთი მოწაფე ჩამოიყვანა, რომ მეორე საფეხურის მოსამზადებელი ფაკულტეტის სკოლაში სტიპენდია მიეცათ. ლორენსომ დატოვა სოფელი თავისი თხებითა და ქოხებით და შტატის დედაქალაქში ჩამოვიდა. ცხოვრობდა პანსიონში, პაწაწინა ოთახში, და საღამოობით ირაპუატოში რკინიგზის სახელოსნოში მუშაობდა. ეს შემოსავალი მის ბიუჯეტს ავსებდა და წიგნებს ყიდულობდა. მისი პაწაწინა ოთახი სავსე იყო წიგნებით, კოშკებად დაეხვავებინა. პატარა ლამპის შუქზე, გრძელ მავთულზე რომ ეკიდა, ბეჯითად და რუდუნებით ნთქავდა თავის ტომეულებს. ყოველთვიურად ყიდულობდა ტომს სერიიდან „ესპანელი კლასიკოსები“ და სწრაფად, ორ ღამეში კითხულობდა. მისთვის ესპანური ენა, სწორად ლაპარაკი, იყო უცხო ენა, რომელიც შეგნებულად შეისწავლა. ლორენსო, თავისი ზანტი მოძრაობებითა და მეტყველებით, იმათთვის, ვინც ისე ახლო არ იცნობდა - სკოლაში, სამუშაოზე თუ პანსიონში - არცთუ უჭკუო, მაგრამ არც ბრწყინვალე, უბრალოდ, სხვებისგან განსხვავებული ყმაწვილი იყო. მისი

ლაპარაკის მანერა და გარეგნობა რამდენადმე უცნაურ გრძნობას აღუძრავდა ყველას. შინ ბეჯითი სწავლა ხალხის თვალში ბრიყვად აჩენდა იმ ბუნებრივი და ჯანსაღი გაუთლელობით, რომელსაც ვერ ფარავდა ქალაქში გადმოსახლებული ინდიელთა რასის ადამიანის მოკრძალებული მანერები. პატარა ტანზე დიდი

თავი ედგა და ვერავითარი შინაური წამლებით, ეს ჭაბუკი სტუდენტი თვითონ რომ ამზადებდა, აბურძგნილი, კაქტუსივით ხეშეშა, გრუზა თმის დამორჩილება ვერ მოეხერხებინა. მიუხედავად ყველაფრისა, ხუან მანუელი უშნოაო, ვერავინ იტყოდა. გაოცებული, იდუმალი სიხარულით გაბრწყინებული, ყოვლისდამნახავი თვალები უნათებდა სახეს, რომელშიც ნებისყოფა და სულიერი ენერგია გამოსჭვიოდა. რა გამოუთქმელად შნოიანი იყო ხუან მანუელის უბრალო ჟესტები! რა უნებლიე მოწიწებას და რიდს აღძრავდა მისი უეშმაკო ბუნებრიობა! სწორედ ეს თვისებები იცავდა მას მოსამზადებელ ფაკულტეტზე ქალაქელ მოსწავლეთა სოფლელებთან ჩვეული დამოკიდებულებისაგან.

ხუან მანუელი ხაიმესთან ერთად ყოველ შაბათ საღამოს - როგორც იმ საღამოს - გუანახუატოს ქუჩებსა და მოედნებზე დაეხეტებოდა. „უმეტესობისთვის დაკეტილი

სამოთხე“ - ასე ეჩვენებოდა ჭაბუკ ლორენსოს ქალაქი გუანახუატო, უამრავი ადამიანის ეს პაწია თავშესაფარი, სადაც ასე სასიამოვნოა ნელა სიარული და ლაპარაკი, ჯადოსნური ქალაქი ქვის ლაბირინთებითა და დღე-ღამის განმავლობაში ფერთა ცვალებადობით. ასეთი გახლდათ აკადემია, სადაც იღვიძებდა ორი მეგობრის გონება. და არის კი სხვა საწყისი და ჭეშმარიტი სკოლა პიროვნების გამჟღავნებისთვის, ვიდრე ხანგრძლივი და თითქმის უსიტყვო, მდუმარე სეირნობა სიყრმის მეგობართან, პირველი, ვინც როგორც მამაკაცს, ისე რომ გეპყრობა, ვისაც მოსმენის ნიჭი აქვს, პირველი, ვისაც წაკითხულის შთაბეჭდილებას, ფიქრს, ცხოვრების გეგმებს გაუზიარებ. ხუან მანუელი და ხაიმე შაბათობით სეირნობისას ამით ამდიდრებდნენ ერთმანეთის სულს. ღია ფანჯრებს მიღმა მჩქეფარე ქალაქის ცხოვრება მათ გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა. როცა გუანახუატოს ქუჩებში ადი-ჩადიხარ, XVII საუკუნის ამ უძველეს ვიწრო ქუჩებში ყოველდღიური ცხოვრება, როგორც სკა, თქვენ თვალწინ იშლება. აი, ყვიციანი დედაბერი ფანჯრის გისოსებს იქით ლოცვას რომ ბუტბუტებს და კრიალოსანს მარცვლავს; აი, მეორე ფანჯარასთან - ხუთი თეთრწინსაფრიანი ბავშვი გისოსებს მიჰკვრია, რკინის წნულს ლოკავს და მხიარულად გაჰყვირის. აი, იქ კი აწითლებული და თავდახრილი ქალიშვილი შეყვარებულს ხელს

უწვდის. ლოგინს შლიან, წინდებს კემსავენ, გამაგრილებელ სასმელებს, შოკოლადს მიირთმევენ, ახალ ამბებზე კამათობენ და ჭორებს თხზავენ, საქანელაში წამოწოლილნი ჭვრეტენ მომავალს, სიკვდილს ელიან, შვილებს ბადებენ, წმენდენ იატაკს და მიცვალებულის თავთან სხედან; და ყველაფერი ეს ხდება ღია ფანჯრებში, უყურე, რამდენიც გინდა, მაგრამ ასევე საოცარი სიმშვიდით, საოცარ სიჩუმეში ამ მზერისთვის გაშლილ არსებობაში მარტოობის უღელი ძევს. ის, რაც სხვა განედებზე, სხვა ხალხისათვის დღესასწაული და ხმაურიანი მეგობრული მხიარულება იქნებოდა, გუანახუატოში ყოველდღიური

ცხოვრება მდუმარედ, დაძაბულად მიედინება ორ საზღვარს შორის - აკვანსა და სუდარას შუა.

გასულ კვირას ხუან მანუელმა ხაიმეს სტენდალის რომანი ათხოვა წასაკითხად: მდიდარს უფრო უჭირდა წიგნების შეძენა, ვიდრე ღარიბს, რადგან ღარიბი მინიმალური დამოუკიდებლობით მაინც სარგებლობდა, რაც ხაიმეს არ გააჩნდა. თანაც მკაცრი კონტროლი დაუწესეს ცოლ-ქმარმა ბალკარსელებმა. ამიტომ ხაიმე იძულებული იყო, შაბათობით მეგობრისგან ნათხოვარი ეს წიგნი შინ ჩუმად მიეტანა. წიგნის არშიებზე ბევრი შენიშვნა, ბევრი ხაზგასმული ადგილი იყო - გამოცემა მუდამ ძალზე იაფი, მუყაოს ყდა დაძენძილი და გაცვეთილი იყო.

- წაიკითხე ჩემი წიგნი? - ჰკითხა მანუელმა და ხაიმეს მხარზე ხელი დაადო, როცა ის ქუჩაში გამოვიდა.

- მამიდამ და ბიძიამ წამართვეს, აკრძალული წიგნიაო.

მეგობრები ჩვეულებისამებრ გაუყვნენ კანტარიტოსის ქუჩას. ხუან მანუელი ჩუმად მიაბიჯებდა, ნაღვლიანი სახე ჰქონდა, მაგრამ ხაიმემ, თუმცა ძალიან უნდოდა, სხვა ეგზემპლარის ყიდვა ვერ შესთავაზა.

- შენ როგორ ფიქრობ, სებალიოს... მერედა ბიძაშენი და მამიდაშენი გაიგებენ, იმ წიგნში რა წერია?

გვარით მიმართვა ამ ყმაწვილების მეგობრობის ერთ-ერთი უხმოდ აღიარებული პირობა გახლდათ. მოზარდების ყველა უცნაურობანი - პედანტურობა, გულჩახვეულობა, ჭირვეულობა, დაცინვა, ორიგინალურობისკენ ლტოლვა - ყველაფერი ეს, რასაც ჩვენ „გარდამავალი ასაკის ახირებებს“ ვუწოდებთ, მხოლოდ უფროსებთან თვითდამკვიდრების მეთოდი იყო, რომელთაც არ სურთ მოზარდების

პიროვნებად აღიარება. მეგობრებში კი ეს ურთიერთპატივისცემის ინსტინქტურ ხაზგასმაში ვლინდება, რაც კერძოდ, ხაიმესა და ხუან მანუელს შორის ამ სახით გამოიხატებოდა. სებალიოსს თავდაპირველად ეჩოთირებოდა მეგობრის გვარით მოხსენიება, რომელიც გვარსაც არ ჰგავდა. თუმცა, ხუან მანუელი „ლორენსოს“ განსაკუთრებულად გამოთქვამდა და არა ისე, როგორც ჩვეულებრივ წმინდანების სახელს. ის მეორე მარცვალზე აკეთებდა ძლიერ აქცენტს, ხოლო უკანასკნელს ძლივს გასაგონად უბრალო ამოსუნთქვასავით წარმოთქვამდა. ლორენ-სო. ხაიმემ აიტაცა ეს გამოთქმა და ამის გაგონებაზე ჭაბუკი ინდიელის მზერაში მადლიერება ისახებოდა.

- მაინც რამ დატოვა შენზე ყველაზე მეტი... ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

- იცი, ლორენსო... - ხაიმემ გულზე ხელები დაიკრიფა და წარბები შეჭმუხნა, - იქ არის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რომ ყოველი დიდი საქმე, თუ მისთვის იბრძვის დიდი ადამიანი, უკიდურესობებით ხასიათდება და მერე, როცა ის შესრულდება, მისი სიდიადე საშუალო ადამიანებისთვისაც გასაგები ხდება.

- ჰო... ყოველი რადიკალური... საქმე...

მეგობრების ურთიერთპატივისცემა ერთმანეთისთვის ციტატებისა და აზრების ზუსტ, ოდნავ პედანტურ გამოთქმაში ვლინდება.

- მე ეს ძალიან სწორ დაკვირვებად მიმაჩნია, გამიგე? - ცხვირი შეიჭმუხნა ხაიმემ, - ასე და მხოლოდ ასე უნდა იქცეოდნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები. ასე იქცეოდა ქრისტე. გიჟ ექსტრემისტად, რადიკალად რომ სახავდნენ, ახლა კი ყველა თავს მის მოწაფეს უწოდებს. როგორია: გიჟის მოწაფეები.

- მეშინია... - ჩვეულებისამებრ ნელა ამბობს ლორენსო, - რომ რწმენა, დამყარებული ცალკეული ინდივიდუუმის მაგალითზე... მიბაძვის ძალით კარიკატურად გადაიქცევა. ქრისტიანობა კარიკატურად სასულიერო პირებმა გადააქციეს... და მაღალი კლასის წარმომადგენლებმა... მდიდრებმა... განა ასე არ არის?

- კარიკატურა მაინც იყოს! - გაეცინა ხაიმეს, - რომ არც ასეა. იცი, ლორენსო, მე კარიკატურა მუდამ რაღაც მეამბოხე წარმომიდგენია, გახსოვს, გოიას ნახატები, რომლებიც ერთხელ მომეცი? მამიდა ასუნსიონმა ჩემს ოთახში აღმოაჩინა და საშინლად ამიღავღავდა. როგორ, როგორ უნდა მყავდეს სახლში ეს უგვანი, შემზარავი მაიმუნები,

რომელთა გამო ტანში ჟრუანტელი უვლის?! ამას როდი ცდილობდა გოია და იმიტომ კი არა, რომ მამიდაჩემისთანა ადამიანებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნონ?

- ზოგჯერ... ეს ერთადერთი იარაღია ქვეყნიერებასთან დასაპირისპირებლად... ამ მტრულ და უსამართლო ქვეყნიერებასთან დასაპირისპირებლად.

დამთავრდა მოყვითალო და მუქ ლურჯ ფერებში მოლივლივე აღმართში მიმავალი ქუჩა. წინ, რომელიც გარშემო პურის საცხობების სურნელითაა სავსე, პურის საწყობების ქუჩაა.

- კარგი სუნია! - თქვა ლორენსომ.

- ესე იგი, შენ გგონია, რომ ერთი კაცის მოღვაწეობა მთლად ღირსეული არაა?

- ყველაზე ღირსეული? განკერძოებული - არა. მე ის მიმაჩნია... ღირსეულად... მხოლოდ მაშინ, როცა იგი საერთო მოღვაწეობის ნაწილად ითვლება. ჰო, რაღაც მინდოდა მეთქვა, სებალიოს...

ხაიმემ ოდნავ წინ გაუსწრო და ორი შაქრის ფხვნილმოფრქვეული ბისკვიტი იყიდა. ერთი ხუან მანუელს შესთავაზა. მან ფრთხილად მოკბიჩა და ზემო ტუჩზე შაქრის ფხვნილის ულვაშის ზოლი დარჩა.

- მამაჩემს... ერთხელ დასამუშავებლად ნაკვეთი მისცეს... საერთოდ ეს ძალიან კარგი საქმე იყო. მშვენიერი განზრახვა... ოღონდ მიწა... ერთობ მწირი იყო... და

კიდევ წიწმატის. აბა, მაისი იქ არ იზრდება. წყალი იქ არ არის. ჰოდა, მამაჩემს... კვლავ სხვაგან მოუხდა სამუშაოს ძებნა, კვლავ მემამულის მოვალე შეიქნა. სამაგიეროდ, ჩვენი ოჯახი კომბოსტოსა და წიწმატს ჭამს. არსებითად... მდგომარეობა არ შეცვლილა... როგორიც იყო, ისეთივე დარჩა... მაგრამ მამა... მარტო... აბა, რას გახდება... საჭიროა, ყველა გაერთიანდეს... უწინ, მრავალი საუკუნის უკან... საძოვარი მთელ სოფელს ეკუთვნოდა. ყოველ მიწათმოქმედს... საკუთარი ნაკვეთი ჰქონდა... და ამას გარდა, გლეხი სარგებლობდა იმით, რაც საერთო საძოვარზე იზრდებოდა... ახლა ეს საძოვარი აღარ არსებობს... არის მხოლოდ პატარა ინდივიდუალური ნაკვეთი. გლეხობა კი ისეთი ღარიბია... ისეთი უსუსური... მარტო ვერაფერს მიაღწევენ... ყველამ ერთად უნდა... საჭიროა, რომ ეს გაიგონ... ყველამ ერთად.

ხაიმესთვის მუდამ მოულოდნელი იყო ეს ცნობები. იგი რაღაცნაირად ივიწყებდა ლორენსოს, ამ ყმაწვილის წარმოშობას, რომლის ცხოვრებას გამუდმებული კითხვა ასაზრდოებდა. ხუან მანუელის ქოხში ერთადერთი ნათურა განთიადამდე ენთო. ღამით, ყოველი ასეთი დაძაბული კითხვის შემდეგ, შავგვრემანი სახე უფრო და უფრო უგრძელდებოდა. სკოლის მერხზე დაყრდნობილი, გაბურძგნილ თავზე ორივე ხელშემოდებული ყმაწვილი, რომ იტყვიან, პირდაპირ ნთქავდა წიგნის ფურცლებს. შენიშვნებს აკეთებდა, საკუთარ თავს ეკამათებოდა. უხილავი ავტორის არც ერთ მტკიცებას ბრმად კი არ იღებდა, არამედ ეჭვქვეშ აყენებდა და მისი ჭეშმარიტი საფუძვლის მოძებნას ლამობდა. ამ ფიქრსა და კამათში მისი შენელებული მეტყველების სირთულე დაუნდობელ მჭევრმეტყველებას ენაცვლებოდა. ნიცშე, სტენდალი, ანდრეევი თავისი „საშკა ჟეგულიოვით“, დოსტოევსკი, დიკენსი, ბალზაკი, მაქს ბერი, მიშლე მისი ყოველდღიური მოპაექრენი გახლდნენ. აგრეთვე კალდერონი, ტირსო, ბერსეო[133] და მაინც ამ ბიჭს, რომელიც გონიერი შრომის სამყაროში ასე სიხარულითა და აღტაცებით დანავარდობდა, თავისი წარმოშობა, მშობლიური სოფლის პრობლემები ვერ დაევიწყებინა. პირიქით, იმის მიხედვით, თუ როგორ იჯდა ყოველღამ თავის ვიწრო ოთახში და სიცხისა და სიცივის მიუხედავად, ცოდნის

ოკეანეს, ამ თექვსმეტი წლის ბიჭის წინ გადახსნილს, უფრო და უფრო უღრმავდებოდა, მასში უფრო ძლიერ მტკიცდებოდა გადაწყვეტილება, რომ იდეები, რომელთაც ეცნობოდა, მისთვის ცნობილ სინამდვილესთან დაეკავშირებინა. ამ დღეებში იგი მექსიკურ რეფორმასა და რევოლუციაზე ყოველნაირი ლიტერატურის კითხვამ გაიტაცა. ხაიმე სებალიოსი ხუან მანუელთან, მის მეგობართან შედარებით, მართალია, ნაკლებს კითხულობდა და მეცადინეობდა, მაგრამ მეტს ოცნებობდა - ისიც ორ-სამ იდეაზე, რომელიც მას ყველაზე მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა. როგორც ლორენსო და - როგორც ყოველი მოზარდი, - იგი თავს უფრო დაჯერებულად თვლიდა, როცა თვალდახუჭული წარმოთქვამდა მონოლოგებს, ვიდრე ხალხთან დალაპარაკებისას, რომლისთვისაც უნდოდა ამ სიტყვით მიემართა: ბალკარსელების წყვილისა და როდოლფო სებალიოსისთვის, იმათთვის, ვინც ამ დღეებში გარს ერტყნენ და

მოქმედების წესებს კარნახობდნენ, იმათთვის, ვისთანაც ყოველდღიურად დღეში სამჯერ საერთო მაგიდას მიუჯდებოდა. მარტო დარჩენილი ოცნებობდა იმაზე, რომ თავისი აზრები გაეზიარებინა, მათთან ურთიერთობისას კი ბიძის დამრიგებლური მბრძანებლობის, მამის გულწრფელი და უძლური დარცხვენის წინაშე კრთოდა. როგორ უთხრას მამას, დამცირებულსა და დაშინებულს, რომ მოიკრიბოს გამბედაობა და

მოძებნოს ადელინა, ხაიმეს დავიწყებული დედა? როგორ უთხრას მამიდას, რომ ცოდვა როდია იყო ქალი, ცოდვაა მხოლოდ იყო პირმოთნე. და ბოლოს, როგორ უთხრას ბალკარსელს, რომ იგი, ხაიმე სებალიოსი, პიროვნებაა? როგორ აიძულოს ბიძია, რომ პატივი სცეს მას, ხაიმეს, ისეთს, როგორიც არის, და იმისათვის, როგორიც არის? როგორ უთხრას, რომ ზნეობის სიყვარული უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე მანკიერების შიში? და როგორ უთხრას სამივეს, რომ თუ თავს კათოლიკეებად თვლიან, ვალდებული არიან ქრისტიანებივით მოიქცნენ ცხოვრების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომ ისინი უნდა იყვნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები ან უნდა უარი თქვან რწმენის ხსენებაზეც კი, რომელსაც ისინი, არსებითად, ცხოვრებაში არ მისდევენ? მაგრამ ვაი, რომ, როცა ბალკარსელი საჩვენებელ თითს მაღლა ასწევს და მორიგ ფუჭ დარიგებას წარმოთქვამს, ხაიმეს ენა ერთმევა. და პასუხის უქონლობა გამოუთქმელ კითხვებზე ბიჭს არწმუნებდა, რომ სწორედ თავის თავთან მარტო ყოფნის ჟამს, როცა არავისთან გაქვს ურთიერთობა, უნდა დაამტკიცო, რომ ეს ყველაფერი, რასაც ის სხვებისგან თხოულობს, შესაძლებელია, მოსახდენია.

ხუან მანუელს მხოლოდ გაკვრით უმჟღავნებდა თავის ახალგაზრდულ მარტოობაში

ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილებებს, როგორც სასურველი მოწიფულობის, უნდობლობის დამცველ და საკუთარი თავის თუ ოჯახის წევრებისადმი სიბრალულის გამოვლინების ერთადერთ საწინდარს.

„1886 წლის 13 დეკემბერს ამ სახლში დაიბადა ცნობილი მხატვარი დიეგო რივერა“, - იუწყებოდა პოსიტოსის ქუჩაზე მდებარე სახლის ჟანგმიწით შეღებილი ფირფიტა. მეგობრები უხმოდ მიაბიჯებდნენ. ხაიმე მიდიოდა, ხელი ხუან მანუელის მხრებისთვის მოეხვია. მათ მკაცრად ჩაუარა სენიორიტა პასკუალინა ბარონამ და ოქროს პენსნეს ოვალიდან თვალები დაჭყიტა, მედიდურად და მრისხანედ გაისწორა თავზე შავი შლაპა, მის ჩამოზეთილ ცხვირ-პირს რომ აგვირგვინებდა. „და ეს სებალიოსია!“ - წაისისინა, ხაიმეს რომ გაუსწორდა.

მათ პატარა ქალაქში ასეთი შეხვედრები ყოველ ნაბიჯზე იყო მოსალოდნელი. ლორენსომ შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

- გახსოვს... ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რომ... ჟულიენი საოცარი მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდაო, ასეა, არა? და თუ არ ვცდები, შენიშნავს, რომ ის

ისე კარგად ლაპარაკობდა, იმიტომ...

- იმიტომ, რომ არ ესაჭიროებოდა ისე მოქმედება, როგორც ნაპოლეონის ეპოქის ხალხს, - აჰყვა ხაიმე, თან ცდილობდა წაკითხულზე ამ საუბრით სენიორიტა პასკუალინასთან გულღვარძლიანი შეხვედრა ჩაეხშო, რომელიც, რასაკვირველია, დღეს საღამოსვე გაიქცევა მამიდა ასუნსიონთან და მოახსენებს, მეგობრები ხელიხელგადახვეული მისეირნობდნენო.

მერე ერთხანს იყუჩეს. ასე, ჩუმად მიდიოდნენ. ხაიმეს წარმოდგენაში იხატებოდა ლამაზი და თავისუფალი სამყარო, რომელშიც მისი ასაკის ყმაწვილები შინიდან მიდიოდნენ, რათა ერთ-ორ თვეში ეგვიპტურ ლაშქრობაში პოლკოვნიკის ეპოლეტები შეეძინათ, თითოეული ჯარისკაცი თავის ზურგჩანთაში მარშლის კვერთხს ინახავს. ნაპოლეონის ეპოპეა ხაიმეს აღაფრთოვანებდა. თავს წარმოიდგენდა ხოლმე ამ დიადი ბრძოლების შუაგულში, დიად სახელებს რომ ატარებენ, და რომლებიც, ენციკლოპედიის სიტყვებით რომ ვთქვათ, პარიზის ტრიმუფალურ თაღს, ვაგრამს, აუსტერლიცს, იენას, სმოლენსკს, პირამიდებს, ფრიდლანდს, ბრწყინვალე მუნდირებს,

კავალერიის თქარათქურს, ხანძარში გახვეულ მოსკოვს ამშვენებდა. ეს საოცარი ხანძარი თოვლში; და იდუმალებით მოცული ქალები, ისტორიის ფურცლებს რომ შემორჩენიან - ჟოზეფინა, მარია ვალევსკაია; სასახლეების სახელები; ფონტებლო, მარლი, ვერსალი, შანტილი; ფუშესა და ტალეირანის ფიგურები, მათი გასაოცარი ინტრიგები და ბობოქარი სვე.

- ჰო, მართლა, თუ წაგიკითხავს წიგნი, „ომი და მშვიდობა“ რომ ჰქვია? - ჰკითხა ერთხელ ხაიმემ.

- არა.

- ძალიან გრძელია. არდადეგებზე თუ წაიკითხავ.

ჯერ ჩუმად იყვნენ. ხუან მანუელიც თავის მშვიდ საფიქრალს მისცემოდა. გულმხურვალე მოღვაწეობა, რომელზეც სტენდალი წერდა, მას სხვა ხალხსა და სულ სხვა ქვეყნებში გადაჰქონდა. ვილისტების კავალერია ელ-ბახიოში, იაკები,[134] ობრეგონის ჯარში რომ იბრძოდნენ, ჩინამეკში საპატეს ჩასაფრება. ახლა ყველა ეს

გმირი უკვე მკვდარია, ისინი ჟულიენ სორელებმა შეცვალეს, მექსიკის რევოლუციაზე დიდი მჭევრმეტყველებით რომ მსჯელობენ.

- სებალიოს, თუ გინდა, ვასკონსელოსის[135] წიგნს გათხოვებ.

ხუან მანუელმა თხელი თითები ურჩ კულულებზე გადაისვა - ხანგრძლივი კითხვის დროს ზოგჯერ მისთვის საინტერესო ამ კითხვებზე დაფიქრებულა. რატომ არის, რომ ადამიანები ერთ ეპოქაში ასე ლაპარაკობენ, ხოლო სხვა ეპოქაში სხვანაირად? ერთი მხრივ, ვასკონსელოსის პროზის მგზნებარე უწესრიგობა,

ხოლო მეორე მხრივ - გუსმანის[136] მშვიდი ნათელი. რატომ ხდება, ერთნი რომ მსჯელობენ როგორც უცილობელ ჭეშმარიტებაზე, თუმცა, სულ სხვანაირად, იმავე საგნებზე, რომლებიც სხვათა პირიდან სიცრუე, სიმდაბლე და უმსგავსობაა? ახსენდებოდა თავის სოფელში რაიონული კომისრებისა და ირაპუატოში ლიდერების სიტყვები, გაზეთის მოწინავე, მოხელეთა განცხადებები... დიახ, ეს იყო მექსიკის მეორე ენა, ლაქიების ენა.

გუანახუატოს ამ სასიამოვნო პატარა ქუჩის მშვიდი ცხოვრებისთვის უცხონი, თავ-თავიანთ ფიქრში ჩაფლული მიაბიჯებდნენ მეგობრები. უცბად ყველა ფარანი ერთად

აინთო, მეარღნე არღნის სახელურს ატრიალებდა - „საკატეკასის მარში“ ფანჯრის წინ ჟღერდა, სადაც გაუნძრევლად იდგნენ პაწია ბავშვები და თითქოს პირველად, სულ პირველი რიგიდან შეჰყურებდნენ ცხოვრების თეატრს.

„სხვა ენაც უნდა არსებობდეს, რომელიც არა მარტო ასახავდა, შეძლებდა კიდეც სინამდვილის შეცვლას“, - გაიფიქრა ხუან მანუელმა. უნდოდა, ეს აზრი მეგობრისთვისაც გაეზიარებინა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ, ალბათ, თვითონაც არ იცოდა, რა სიტყვებით შეიძლებოდა ამ უჩვეულო სურვილის გამოხატვა.

ხუან ვალიეს ქუჩას დაუყვნენ, სადაც ლორენსო ცხოვრობდა. დიდი წითელი აგურის სახლის კედლებშეთეთრებული პანსიონიდან მიმწვარი კერძის სუნი გამოდიოდა. პანსიონის დიასახლისი, გაუთხოვარი ქალი, მთელი დღე სახლის საუკეთესო ოთახში ღია ფანჯარასთან სარწეველაში ქანაობდა. მან თავი დაუქნია ხუან მანუელს და ხაიმეს. წვირიანი, უთითო თათმანებწამოცმული ხელები ზარმაცად დაეწყო მუცელზე. მაგრამ ორი მეგობარი ეზოში რომ შევიდა, დიასახლისი უკვე იქ დახვდათ. შემცივნებული მჭიდროდ გახვეულიყო შალის თავშალში და ყელიან ფეხსაცმელებს აბაკუნებდა.

- ყმაწვილო, - მწივანა ხმით უთხრა ქალმა, - მოახლე საყვედურობს, რომ თქვენ ოთახში პირდაპირ შეუძლებელია შესვლა. ამ თქვენი წიგნების გამო ყელამდე მტვერია. ვინღა ინდომებს ამ მტვრიან ოთახში ცხოვრებას? სრულიადაც არ მსურს - ეს კარგად დაიმახსოვრეთ, - რომ თქვენი გულისთვის დავკარგო შემოსავალი.

- მაპატიეთ, სენიორა... მაგრამ წიგნები სამეცადინოდ მჭირდება, - უპასუხა ხუან მანუელმა და კიბისკენ გაემართა.

- ყმაწვილო! - მიაკივლა ქალმა, - თქვენ უკვე ერთი თვის ქირა გმართებთ!

- სენიორა, ხვალ სახელოსნოში ხელფასს მივიღებ, - მიუგო ლორენსომ ისე, რომ მისკენ არც მიბრუნებულა.

- რამდენჯერ გაგახსენოთ! სენიორიტა!..

ისინი ვიწრო, მორყეული კიბით ავიდნენ. ჭერის დრომოჭმული ბოძებიდან წყალი წვეთავდა. კედლებიდან ბათქაში ცვიოდა და ზემოთ ბნელ კუთხეებში შავ-შავი

პეპლები იყვნენ მიმალული. ყველაზე ვიწრო დერეფნის სიღრმეში ლორენსომ მოჩითულფარდიანი კარი გააღო და მეგობრები შევიდნენ წიგნებით სავსე ოთახში, სადაც რკინის საშინელი საწოლის ფეხთან და საწოლქვეშ წიგნები გროვად ეწყო.

- აჰა, შენ... წიგნი... ვასკონსელოსის. მე სახელოსნოში ვარ წასასვლელი. დღეს ზედმეტი სამუშაო გვაქვს.

ხაიმემ გაიფიქრა, რომ შინაბერა, წეღან ქუჩაში რომ შემოხვდათ, ასუნსიონთან ჭორაობას უკვე მოასწრებდა, მამიდა, ალბათ, მთელ სახლში გამწარებული დაეძებს, რათა ბალკარსელის გაბრაზება აიცდინოს და, თავის მხრივ, ბიძიაც ასევე მიემართება ხაიმეს ოთახისკენ, რათა დარწმუნდეს, რომ მორჩილი ძმისწული მთელი დღე ოთახიდან არ გამოსულა. მაგრამ მოსალოდნელი დასჯის შიში უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე დაუმორჩილებლობის ავანტიურული სიხარული.

- მეც შენთან წამოვალ, - გაიმეორა მან, მოვერცხლისფრო მწუხრის დადგომით განსაკუთრებულად აღგზნებულმა.

მეგობრები ქუჩაში გამოვიდნენ, თითქოს ერთმანეთს უხმოდ შეთანხმება შეჰფიცესო. ორივე მხრებში გასწორდა, ღრმად შეისუნთქეს ღამის სუფთა ჰაერი და ორ მამლაყინწასავით მხიარულად და ამაყად გასწიეს იქით, საითაც ირაპუატოში მანქანები მიემართებოდნენ.

- თუ სამუშაო იქნება, შემიძლია ხვალაც მოვიდე, - მუშაობის დამთავრებისას თქვა ხუან მანუელმა, შუბლი რომ მოიწმინდა, ხელისგულზე მუქი ზეთოვანი ზოლი აღბეჭდოდა. ხაიმე მის გვერდით უკეთ როდი გამოიყურებოდა. ხუან მანუელმა მხარზე ჩანთა მოიგდო და სახელურით მოკაუჭებულ საჩვენებელ თითზე ჩამოიკიდა. მეგობრების პერანგებსა და სახეებს ოფლისგან ბზინვა გაუდიოდა. ნახშირითა და ქონით გაპოხილიყვნენ. ხაიმე უჩვეულო სიხარულს განიცდიდა. მან მხრებზე ხელი შემოიხვია, რათა უკეთ ეგრძნო კუნთების მღრღნელი ტკივილი.

- არ გინდა, არა, - თქვა სახელოსნოს პატრონმა და ხუან მანუელს ქოჩორზე ღიმილით ხელი გადაუსვა, - არა, გირჩევ გაისეირნო, დღეს ზეგანაკვეთური სამუშაო შეასრულე. შენი მეგობარი კი შეიძლება მომავალი კვირიდან შეუდგეს მუშაობას. საქმე თავზე საყრელი გვაქვს.

- ის არ... - დაიწყო ხუან მანუელმა.

- ჰო, რასაკვირველია, - შეაწყვეტინა ხაიმემ.

- ჰოდა, კარგი, ხუან მანუელმა აგიხსნას, რა არის საჭირო შეზეთვისა და კბილანისთვის და თუ გინდათ, ორშაბათს ერთად მოდით.

მეგობრებმა ორთქლმავლის თანაბარი ქშენის თანხლებით ორთქლის ღრუბელში გაიარეს. მემანქანეები კაბინებიდან ესალმებოდნენ ლორენსოს, ქუდს უხდიდნენ, თითქოს მადლობას ეუბნებოდნენ, რომ მათი ორთქლმავლები წესრიგშია.

- სებალიოს, დღეს გვარიანად იმუშავე... მაგრამ, რადგან გასამრჯელოს არ გადაგიხდიან, ნება მიბოძე, კათხა ლუდით გაგიმასპინძლდე.

- ხედავ? - შესძახა ხაიმემ, როცა რომელიღაც მუშამ მათ გვერდით ჩაუარა, მიესალმა და ყმაწვილ სებალიოსს მხარზე ხელი მოუთათუნა, - მე უკვე შენში ვეშლები, - ხაიმემ ეს სიხარულით თქვა, მაგრამ მაშინვე შეშინდა, ხომ არ ვაწყენინე მეგობარსო. მას კიდევ

უფრო გულღიად გაეცინა. სიტყვა აღარ დასცდენიათ ლუდხანაში შესვლამდე, სასურსათო დუქანს თუ სამიკიტნოს რომ ჰგავდა და გზის პირას ყავრის სახურავქვეშ ბოლქვა-ბოლქვად ადენილ კვამლში გახვეულიყო.

- ორი „სუპერიორი“, - უთხრა ხუან მანუელმა უნაგირივით სახიან მამაკაცს, რომელიც ბოთლებს ხსნიდა.

გახვითქულები, ოფლიანები ბუზებით სავსე დახლზე დაყრდნობილი ელოდნენ. ხარბად დალიეს ჭიქა სქელი სითხე. მერე ხუან მანუელმა, თავზე ხელშემოდებულმა, თქვა:

- როგორ მიაღწევ... მამიდისა და ბიძის ნებართვას?..

- მუშაობას ვერ ამიკრძალავენ. მე უკვე დიდი ვარ. ბიძია მუდამ ჩამჩიჩინებს, შრომისმოყვარე უნდა იყოო.

დუქანი ივსებოდა მუშებით, რომლებიც ხარბად იკლავდნენ წყურვილს. ისინიც ამ ორი

მეგობარივით მაზუთით იყვნენ დასვრილი. ზოგი ხუან მანუელს ესალმებოდა და სახელით მიმართავდა, სხვებს ხელი ქუდთან მიჰქონდათ და ორივეს ესალმებოდნენ. ხაიმემ სულმოუთქმელად შესვა პირთამდე სავსე ჭიქა. პირი ქაფით სასიამოვნოდ აევსო. უნდოდა ამხანაგისთვის ეთქვა, რომ ეს მისი, მოწიფული მამაკაცის პირველი ნამდვილი დღეა, მაგრამ კმაყოფილება ღვარძლიანმა გრძნობამ შეცვალა: გაახსენდა ბიძია და მამიდა, შეშფოთებულები და გაბრაზებულნი - აჰ, ღმერთი იყოს მათი შემწე! სამიკიტნო თანდათან კვამლით ივსებოდა. რომელიღაც მუშამ ხუან მანუელს მუჯლუგუნი წაჰკრა: დარბაზში იოლი შემოსავლის მაძიებელი სამი ქალი შემოვიდა. ორი ახალგაზრდა იყო, მესამე - ხნიერი და გამხდარი; ერთ-ერთი ახალგაზრდა, დაბალი და ფუმფულა; მეორე - გრძელკანჭა და მაღალი; ორივენი ძალიან

შეღებილი, ძლიერ განსხვავდებოდნენ მესამისაგან, რომელიც შეუღებავი სახითა და დაუხვეველი თმით მონაზონს უფრო ჰგავდა.

- მეჩე! - მოისმა დარბაზის სიღრმიდან და ის, რომელიც უფრო სანდომიანი იყო, ძახილზე იქით გაეშურა.

დანარჩენმა ორმა დახლისკენ გზა მუჯლუგუნით გაიკვლია და ორ მეგობარს მიუახლოვდა.

- შენ რას დალევ, არისტოკრატო? - ჰკითხა ახალგაზრდა და სქელმა ქალმა გამხდარსა და ყვითელსახა ქალს.

- კონიაკზე გვეყოფა?

- მე მხოლოდ თერთმეტი მონეტა მაქვს, ლუდი აიღე. ეჰ, ტყუილად კი არ შეურქმევიათ შენთვის არისტოკრატი?

ახალგაზრდამ ჭიქა ასწია, თავი დაუქნია ხუან მანუელსა და ხაიმეს. ხუან მანუელმა რაღაც ღიმილის მსგავსი გამოხატა, ხაიმემ თვალები დახარა.

- მისმინე, არისტოკრატო, შესვი ამ ბიჭების სადღეგრძელო.

- ეს ბიჭები უკვე საწოლში უნდა იწვნენ, - თქვა გამხდარმა, მერე თითი ზედ ცხვირთან

დაუქნია ახალგაზრდა ქალს, - შენ კი უნდა იფიქრო, რომ ხვალ კვირაა და ღმერთს პატიება სთხოვო.

ფუმფულამ გადაიკისკისა და ხელი სტაცა ჩალისქუდიან თხის მსგავს მამაკაცს, დახლთან რომ ფუსფუსებდა.

- გომიტოს, მოუსმინე ერთი ამ არისტოკრატს, როგორც ყოველთვის, წმინდანად მოაქვს თავი.

- კი არ მომაქვს თავი, ვარ კიდევაც, - შეეპასუხა გამხდარი, თან ლუდის ბოთლს ხელს უჭერდა.

- რა კარგია... ერთად რომ ვიმუშავებთ, - თქვა ხუან მანუელმა.

- იცი, მეგობარი მყავდა ერთი, ესეკიელი ერქვა.

- გომიტოს, ალბათ, არ იცი, რომ არისტოკრატი არავისთან დადის. ის მხოლოდ ჩვენთან დადის, რომ ზნეობის გზაზე გვატაროს, - ისევ გამხიარულდა ახალგაზრდა.

- თავი დამანებე, ლუპიტა, შაბათობით არც ერთი წუთი არ მაქვს თავისუფალი.

- ლორენსო, მასზე შენთან არასდროს მილაპარაკია.

- შენთან და მეჩესთან სიარული მხოლოდ დროის დაკარგვაა, - ჩაიბურტყუნა ქალმა, რომელსაც არისტოკრატს უძახდნენ.

- ესეკიელი მაღაროელი იყო, ჩვენს სახლში დავმალე, პოლიცია დაეძებდა, მან მაღაროელთა ამბოხება მოაწყო.

- ეცადე, ცოტა ფული იშოვო, ქადაგებას სჯობია, ვინმე მოძებნო, იქნებ რომელიმე ბებერს მოეწონო, - მხიარული სიცილით უპასუხა ლუპიტამ.

- ვის შეეძლო მისი გაცემა, ლორენსო? მას მერე სულ ამას ვფიქრობ. ახლა კი რატომღაც ვირწმუნე, რომ ჩვენი მუშაობა ესეკიელს შეეხიდება.

- უმადურო! გულის მოსაოხებლად ვისთან მიდიხარ და ვის ეხვეწები, რომ შენზე

ილოცოს, როცა საქმე ცუდად მიგდის? ჩემთან, არა? მიაკითხე არისტოკრატს, ვინძლო შენი დარდი გაიზიაროს.

- დროა, გუანახუატოში დავბრუნდეთ, - უთხრა ხაიმემ ხუან მანუელს, მაგრამ მან ღიმილით ანიშნა, ჯერ ნახევარი ბოთლიც არ დაგვიცლიაო. ორთქლმავლის საყვირმა და სიბნელეში გამვლელი მუქი მწვანე ვაგონების მძიმე კაკუნმა ხმების გუგუნი ჩაახშო.

- ეი, ბრიგადა სიუდად-ხუარესში! - დაიყვირა ვიღაცამ სამიკიტნოს კარში. სახელოთი ტუჩების წმენდით რამდენიმე ლაბადიანი კაცი გამოვიდა. რკინიგზის გრუხუნი ხან ძლიერდებოდა, ხან ყრუდ ისმოდა: ეს იყო ღრმა მიწისქვეშა დარტყმები და მათ გამო, როგორც ჭიქაში კოვზის წკარუნი, სამიკიტნოს ხმაური ოდნავღა ისმოდა.

- ამ არისტოკრატს ვერ უყურებ, - ეუბნებოდა ლუპიტა მიკიტან გომესს, - როგორ გაყოყოჩდა, თითქოს გუანახუატოში დიდი ვინმე ბრძანდება და ოდესღაც მდიდარი ბერიკაცის ცოლიც კი ყოფილა.

- რაო მერე, მემკვიდრეობა არ დაგიტოვა? - ჰკითხა სრულიად სერიოზულად გრძელსახიანმა, ჭაღარა, თხისწვერა გომესმა.

- რამდენი უნდა მოგცეთ? - ჰკითხა ხუან მანუელმა მიკიტანს.

- ეს ყველაფერი სულ მოგონილია, - იცინოდა ლუპიტა, თან დეკოლტეს ისწორებდა და ღიღინებდა „ჩემი გაზაფხული დუქნებში დარჩა“.

- ერთი პესო.

არისტოკრატს ყვიციანი სახე წამოენთო, სახე ლუპიტას შეღებილ ფიზიონომიას მიუახლოვა და თითქოს ყოველ სიტყვას აფურთხებსო, წკრიალა, დაძაბული ხმით წარმოთქვა:

- ჰო, ადელინა ლოპესი ერთ დროს გუანახუატოს ყველაზე საუკეთესო სახლში ცხოვრობდა, ვერცხლის შანდლები და დანები ჰქონდა და მასთან

უწარჩინებულესი ადამიანები დადიოდნენ, ვისაც შენ შორიდანაც ვერასოდეს მოჰკრავ თვალს.

- ოთხი პესო ხურდად, - თქვა გომიტოსმა.

სიტყვები ხაიმეს ყურამდე აღწევდა, თუმცა ამ ხმას ბორბლების შორეული კაკუნი და ორთქლმავლების ქშენა ახშობდა. როგორც დიდ შაბათს, ის, რასაც ამბობდნენ, დიდი ხნის მერე აღწევდა მის ყურამდე. აი, ლუპიტა არისტოკრატს უკვე რაღაცას პასუხობს და გომესი იშორებს სქელოს ხელს.

- ჰო, მართლა, რას აკეთებ მუშაობის მერე, გომიტოს?

ხაიმემ თავი ასწია, იგი დაჟინებით მისჩერებოდა ამ თხელ სახეს გამჭვირვალე ძვლებით, ნაღვლიან და ამაყ გამოხედვას, უფერულსა და შეუღებავ ტუჩებს, მუქ, შეჭაღარავებულ თმას იმისას, ვისაც დედამისის სახელი ერქვა. ხაიმეს უნდოდა გათავისუფლებულიყო მისი მომნუსხველი მზერისაგან, მან თვალი დახარა და მაშინ ლუდის ბოთლზე აირეკლა გაოფლილი, ჭუჭყიანი სახე, აღარ დაელოდა ლორენსოს, გარეთ გავიდა, და უკვე კარს უკან არისტოკრატის ბოლო სიტყვები მოესმა:

- მე ეს არ მინდა, მე აქ იმიტომ მოვდივარ, რომ თქვენ გიხსნათ...

და ვიდრე ხაიმე ერთმანეთში გადახლართულ რელსებზე მიაბიჯებდა ანთებულ

ნათურებს შორის, გაოფლილ ზურგზე ცივ ჰაერს გრძნობდა, თითქოს მისი სხეულის დაშლილი ნაწილების ერთად მოგროვებას რომ ლამობდა. არისტოკრატმა ისევ თითი დაუტრიალა ლუპიტას ცხვირწინ და სქელოს წიკვინა ხარხარი უცნაურ, უსასრულო განგაშის ღრიალში გადაიზარდა.

- მოწყენილი ვარ და ამიტომაც მოვდივარ აქ. ჰო, მე ძალიან მოწყენილი ვარ.

- მეამბოხე! მეამბოხე და ჯიუტო. იჯექი ახლა მთელი კვირა ცარიელ პურსა და წყალზე შენს ოთახში. ვნახოთ, ვინ ვის მოერევა. მამაჩემი იტყოდა, მორჩილებას ჯოხით აღწევენო. შენ ნამდვილად ბოროტად სარგებლობ ჩემი მოთმინებით. ამჯერად მე ერთხელ კიდევ გამოვიჩენ კეთილშობილებას.

მაგრამ ხაიმე ბიძამისის სიტყვებს ყურს აღარ უგდებდა.

საწოლზე პირქვე დამხობილი, უძლურად ხელებჩამოყრილი, იმავე დასვრილ პერანგსა და შარვალში, გრძნობდა, რომ ტყვიის ბურთი ყელში ლღვებოდა და ძარღვებში ცხელ ლავად მიედინებოდა. მას აღარ ძალუძდა ამ ტანჯვის, ამ სიძულვილის, ამ საშინელი

ცოდვის გაძლება. ლეიბს ფრჩხილებით ჩაბღუჯული გულამოსკვნილი ქვითინებდა. ესეკიელ სუნო და ადელინა ლოპესი აგონდებოდა. არა, რწმენის ახსნა ბიბლიას კი არ ძალუძს, არამედ ამ ორ სახელს, ამ ორ ადამიანს, რომლებმაც ამ კონკრეტული ადამიანების მიერ, მის ოჯახს რომ შეადგენენ, კონკრეტულად

მიყენებული ბოროტება განიცადეს. ყოველდღიური ზიარება, ყოველდღიური მწუხრის ლოცვა. ცხრადღიანი ლოცვები, წირვები და პროცესები: როდოლფო, ასუნსიონი, ბიძია ბალკარსელი - ყველა შავებში გამოწყობილა. თვალები ღვთიური ნეტარებით ავსებიათ, ეკლესიაში დაჩოქილან, პირი დაუფჩენიათ, რომ ობლატი ჩაყლაპონ. ნეტავ ესეკიელი ან ადელინა სად არიან ახლა?

- მაგრამ შენ ხომ მარტო არა ხარ. აი, რაშია საქმე. საქმე ის არის, რომ მარტო არა ხარ.

- არა, მე არ მინდა. მოვდივარ იმიტომ, რომ გადაგარჩინოთ...

ამ სიტყვებს იმეორებდნენ კედლები. სამყაროს ნაწილი, ფანჯრის გადაღმა რომ მოჩანდა და საწოლიდან წამომდგარმა რომ აღმოაჩინა, ამ სიტყვებს იმეორებდა. ამ უვიწროეს ქუჩაზე უცბად ვინმე გამვლელი რომ გამოჩენილიყო, ისიც ამასვე

გაიმეორებდა; გაიმეორებდა ესეკიელისა და ადელინას სიტყვებს, რომლებიც ამ ქვეყანაზე ერთადერთი სიტყვები გახლდათ, ხაიმესათვის რომ ნიშნავდა რაღაცას.

იგი ისევ საწოლზე დავარდა. მოახლემ შემოიტანა ლანგარი პურითა და წყლით და ნატეხი ბადაგი შაქრისა, რომელიც მამიდას გამოეგზავნა. ბალკარსელმა ასუნსიონსა და როდოლფოს ხაიმეს ოთახში შესვლა აუკრძალა. ხაიმემ პური წყალში ჩააწო, დაუღეჭავად გადაყლაპა და თავი ისევ ბალიშში ჩარგო. გადიოდა საათები. დროდადრო მისი ცნობიერებიდან ყველა სახე ქრებოდა, დროდადრო სიტყვები და სახეები შეუჩერებელი ოთხით მიქროდნენ. უცბად გულში აენთო ძლიერი სურვილი, რომ მთელ გუანახუატოს რაღაც კატაკლიზმი დაუნდობლად თავს დასტყდომოდა და ელვას სებალიოსების სახლი ფერფლად ექცია. კრეტინი, ქრისტიანი, კრეტინი, ქრისტიანი, - ალბათ, უკვე ალიონია, რადგან ჩამოფარებულ ფარდებს ნათებამ გაჰკრა. ხაიმემ უძილო, ტანჯული ღამის შემდეგ, უაზრო სიტყვების ბუტბუტით გაიღვიძა. კრეტინი, ქრისტიანი, - ვითომ რა იქნება, მათ რომ დაელაპარაკოს? შეძლებს აიძულოს, რომ გაუგონ? შეძლებს, აუხსნას რამე? „შენ უკვე მამაკაცი ხარ“, - უთხრა ესეკიელ სუნომ. ეს სხვამ არავინ იცოდა და არავის სჯეროდა. იყოს მამაკაცი - აი, მისი მეორე

მტანჯველი ფიქრი, სახლიდან უნდა გაიქცეს. ქალი შეიყვაროს, განძი იპოვოს. დაბრუნდეს და შური იძიოს. გახდეს მამაკაცი...

საძინებელში დაცხა. ბიჭი სიკვდილზე ფიქრს შეუპყრია. ეჩვენება, რომ სიკვდილი მათი, ვინც არ უყვართ, მშვიდი და წყნარი იქნება; მკვდარ დედას ხედავს, - წყნარსა და მშვიდს. დღის ხმაური იზრდება. ისმის ჟღარუნები, ქუჩის ვაჭართა ყვირილი, მიმოქრიან შორეული ავტომანქანები. ორგულნო, კეთილად წინაწარმეტყველებდა თქუენთვის ესაია და თქუა: ეს ხალხი მადიდებს თავისი ბაგით, მაგრამ მისი გული შორსაა ჩემგან. მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან; ამაოდ მადიდებენ, რადგან ასწავლიან ადამიანურ

მოძღვრებებსა და მცნებებს. ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.[137]

ისევ შემოდის მოახლე. ხაიმე მას ღამის ქოთანს აწვდის. ფეხშიშველი მიმოდის ოთახში. გაბედა და ფარდები გადასწია. მის მშიერ ტვინში საღვთო წერილის სიტყვები გუგუნებს; ისინი შეურაცხგყოფენ, შენ, ღმერთო, შეურაცხგყოფენ, როცა მამაკაცს

გასცემენ ან როცა ქალს მიატოვებენ; შეურაცხგყოფენ, როცა გაყიდიან ან ამცირებენ სხვა ადამიანს, რათა თვითონ არ იქნენ გაყიდულნი ან დამცირებულნი; შეურაცხგყოფენ, რამეთუ დაჰპირდი, რომ შენი მსხვერპლი ფუჭი არ იქნება, ისინი შეურაცხგყოფენ შენ, ღმერთო. დგას ნაშუადღევის მშვიდი საათები. მთელი ქალაქი ისვენებს. ხაიმე თვალებს ხუჭავს, მაგრამ შიმშილით დავიწროებული კუჭი არ აძინებს. როცა ბინდდება, ისევ გადასწევს ფარდებს და ზეცას უხმობს აბეზარი უაზრო იდეა - ჰორიზონტის შორეულ ხაზზე ის კვლავ დაეძებს ადამიანს, რომელსაც უნდა მიაგოს პასუხი, რაი არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამენ გეტყვი თქუენ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული.[138] არა, უფალო, მომივლინე ზეციური სასწაული, რათა ვიცოდე, რომ მარტო არა ვარ. იობმა შეიცადა და იხილა უფალი.

ხაიმემ მოშარდა და ისევ დაწვა.

როცა გაიღვიძა, შენიშნა, რომ პირველად ამოეღინღლა წვერი - ეს უკვე ის აქა-იქ გრძელი ბეწვი კი არ იყო, მაკრატლით რომ იჭრიდა, განსაკუთრებით ქვედა ტუჩს ქვემოთ. იგი დგება და სარკეში იყურება. რამდენჯერ ჩაიხედა სარკეში, რაც ცამეტი

წელი შეუსრულდა! როგორ აჯადოებს ამ სხვა სახის დანახვა! რა იმალება ამ ნაღვლიან თვალებს მიღმა? რატომ უთრთის ნაზი კისერი? თავს რატომ გრძნობს ასე ეულად?

- როგორაა საქმე, მოგიხდა გაკვეთილი? - ეკითხება ბიძია ბალკარსელი, გაბრაზებული რომ შეჰყურებს ბიჭს, რომელიც სარკეში თავის სახეს ჩაჰკვირვებია. ხაიმე შეკრთა, ხელი სტაცა მაკრატელს და აკანკალებულმა ზეასწია. ბიძია მშვიდად უყურებს.

- ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი მოკვლა გინდა. ყოველდღე სულ უფრო და უფრო მჟღავნდება შენი უზნეობა.

ხაიმემ მაკრატელს ხელი უშვა.

ტანადი, ნერვიული ფიგურა, და მის გვერდით მეორე - დაკუნთული, თვითკმაყოფილი. ისინი უხმოდ შეჰყურებენ ერთიმეორეს. ფანჯრიდან დილის სიო მოქრის. ოთახი სინათლით ივსება, ფანჯრის ჩარჩოს შუაგულში მზე ჩახჩახებს. მოედნებზე დაფნები ირხევა. ქუჩებში კასრებიდან რწყავენ

ტორსფენილს. ძვირფასი ავეჯის სადურგლოში ხერხის ხმა ისმის, წკარუნობს რძის დამტარებელი ვირის ეჟვანი.

გაჰყვირის მლესავი, ისმის წმინდა როხას ეკლესიისკენ წირვაზე მიმავალთა ფეხის ხმა. ხაიმეს ზურგს უკან გუგუნებს მთელი სამყარო.

ბალკარსელს ცერა თითები ჟილეტის ჯიბეებში გაურჭვია და მუცელზე ხელებს იტყაპუნებს.

- ბოლოს და ბოლოს, მეტყვი თუ არა, სად იყავი შაბათ საღამოს?

- თქვენ ხომ ისედაც იცით, სენიორიტა პასკუალინა, ეს ჭოტი, ხომ ბრძანდებოდა აქ?

- შენ ხომ, რა თქმა უნდა, მთელი ღამე იმ შენს გაბურძგნილ მეგობართან ერთად სეირნობდი?

- არა. იმ ღამეს მე ვიკვლევდი, ვინა ხართ თქვენ და ვინ არის მამაჩემი... ღმერთო, მამაჩემს... როგორ შეეძლო?

ბალკარსელის ცივ თვალებში ყოყმანმა იელვა, მაგრამ მას თავშეკავება მართებს, მისი ამორჩეული ნიღაბი, რასაც უნდა ლაყბობდეს ეს ბიჭი, გულგრილობას მოითხოვს.

- ხაიმე, მე არასოდეს მყვარებია უსიამოვნო ამბებზე ლაპარაკი, არსებობისათვის ბრძოლა ისე რთულია, რომ შინ კიდევ აღარ მინდა უსიამოვნო თემებზე საუბარი, მაგრამ რადგან არ იშლი, ღელავ, ალბათ, ნამდვილად უკეთესია, გულწრფელნი ვიყოთ. მე მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ უნდა გაგიმჟღავნო, ალბათ, უფრო სერიოზული რამ, ვიდრე შენ შეგიძლია მითხრა.

ხაიმეს უნდა ხმამაღლა ილაპარაკოს, მაგრამ ხმა ღალატობს და ჩურჩულით ამბობს:

- თქვენ, თქვენ დააბეზღეთ ესეკიელ სუნო... თქვენი დაჟინებით გააგდეს ქუჩაში დედაჩემი... თქვენ მხოლოდ მაღალ ზნეობაზე მსჯელობთ - და ეს ყველაფერი ფუჭი ყბედობაა! თქვენ, და ყველა ამ სახლში, დაუსრულებლად ლაპარაკობთ რელიგიაზე, სინამდვილეში კი ყველაფერს პირიქით აკეთებთ...

- მე ვისარგებლე ამ დღეებით, რომ ჯერ პადრე ლანსაგორტასთან მესაუბრა, მერე კი პადრე ობრეგონთან. რასაკვირველია, შენ არ უნდა ილაპარაკო მორალსა და რელიგიაზე. გიკვირს? მოიცადე, გაიზრდები და მაშინ გადამიხდი მადლობას, რომ ვიღაც ზრუნავდა შენზე. დაჯექი, შენ ჯერ მხოლოდ ნერვების გროვა ხარ. ჰო,

პატარაობიდანვე მოგწონდა, რომ თავი წამებულად მოგქონდა.

როცა ხაიმე საწოლზე ჩამოჯდა, მზე შიგ კეფაში აცხუნებდა. მაინც რა სწრაფად ამოდის მზე! ბალკარსელი ხაიმეს წინ მიდი-მოდიოდა, თან საათის ძეწკვს ათამაშებდა, მისი ლაიკის ფეხსაცმელებს ჩუმი ჭრიალი გაჰქონდა.

- შენი მოქმედების მიზეზი ჩემთვის სავსებით ნათელია. შენ გარყვნილი ბიჭი ხარ და ცოდვების აღიარების შიშით აღარ დადიხარ პადრე ლანსაგორტასთან.

ბალკარსელმა იყუჩა. კმაყოფილმა შეხედა ძმისწულს და ზურგს უკან ხელებდაწყობილმა, სახე მიუახლოვა.

- პადრე ობრეგონმა მითხრა, რომ მასთან აღსარებაზე არასოდეს ყოფილხარ...

- მხოლოდ ცოდვები რატომ გაინტერესებთ? - ხმას აუწია ხაიმემ, - რატომ არ გინდათ ღირსებები შეიცნოთ? - თქვა მან, ბალკარსელს მოშორდა და საწოლის კუთხეში მიიყუჟა.

- ცოდვა! ღირსება! შენ ქრისტეს სხეული შებღალე, შენ ზიარებაზე აღსარების უთქმელად მიხვედი, იმიტომ, რომ მხდალი ლეკვი და მკრეხელი ხარ! დიახ, მკრეხელი!

- ადამიანის ღალატს რაღა ეწოდება, ბიძია?

- ჩვენ აღარაფერი გვაქვს სალაპარაკო...

- და დედაჩემი რომ გააგდეთ ქუჩის ქალებთან...

- ჩუმად, რეგვენო! აივსო ჩემი მოთმინების ფიალა! ამაოდ ჩაუვლია ჩემს ზრუნვასა და აღზრდას - მგელს თვალი მხოლოდ ტყისკენ უჭირავს. ლტოლვილები, მაწანწალები, ქუჩის ქალები - აი, ვინ არიან შენთვის ძვირფასი. დიახ!

- რას იზამ, სიყვარული არ არსებობს! დიახ, ისინი მიყვარს, თქვენ კი მძულხართ.

ბალკარსელი ხაიმეს გაწითლებული ხელისგულებით სილას ულაწუნებდა, ბიჭი კი

წიხლებით იგერიებდა. ბოლოს ბალკარსელს მუცელში წიხლი ჩააზილა და ის სიმწრით დაიწმახნა.

მთელი დილა, ლოგინიდან აუდგომლად, ხაიმე ისევ და ისევ ამ მომენტს იგონებდა: წიხლისგან დაწმახნილი ბიძია. ხაიმე კანკალით პატიებას სთხოვს, ეხვევა საცოდავ ბერიკაცს. იგონებს, როგორ გავიდა ბალკარსელი მისი საძინებლიდან, განერვიულებული, ხმის ამოუღებლად და მუქარის ნიშნად თითის ქნევით.

მერე ეს სცენა სადღაც შორს მიიკარგა. სხეული მოუდუნდა. თავს მშვიდად გრძნობდა. აი, ისმის ზარების რეკვა, რომელიც ხალხს მწუხრის ლოცვაზე უხმობს. ქუჩიდან ნოტიო ჰაერი მოქრის, იქ უკვე ბინდი ჩამოწვა. ძაღლებმა ძილს მისცეს თავი. ქვები გაცივდა. ღამეულ სიმშვიდეში კვლავ ახლოვდება დედისა და მემაღაროეს ხატება, კვლავ მარტოხელათა და დამცირებულთა სიტყვები ესმის. ხაიმეს ბრაზი უნელდება. ბიძიასთან ჩხუბი მეხსიერებაში პანტომიმის გროტესკულ ხაზებად შემორჩა მხოლოდ. უეცრად მისი ფიქრი სინათლის

სვეტმა გაასხივოსნა. სხვებს არაფერი უნდა მოსთხოვოს, არა, არ უნდა განიკითხოს ბიძია. მან, ხაიმემ, ეს თვითონ უნდა გააკეთოს

ესეკიელისთვის, ადელინასთვის. მათი სახელით იმოქმედოს: ასუნსიონის, როდოლფოს, ბალკარსელის.

ღრმა ძილით დაეძინა იმ იმედით, რომ დღე ხვალინდელი ზეცაზე რაღაც ბრძანებას დაწერდა. ბალიშს ჩახუტებული, ძილს რომ უფრთხობდა, იმავე ხმამ გამოაღვიძა: „არა მოვედ წოდებად მართალთა...“

7

„არამედ ცოდვილთა სინანულად“.[139]

დამთავრდა მყარი, სწორი ქვაფენილი, ფეხქვეშ უეცრად ცხელი, ფხვიერი მიწა შეიგრძნო. შეჩერდა. წინ ვრცელი ველია. ყვითელი გზა მოთეთრო პურის ყანის სწორკუთხედებსა და მაისის მაღალ შუბებს შორის მიიკლაკნება. ღრმა, ვიწრო ღარტაფი ზევით, თითქმის ჰორიზონტისკენ მიიწევს, მერე იქ უცბად წყდება და მდინარისკენ ტერასებად ეშვება.

ხაიმე მთის ძირას მიაბიჯებს. კოჭებამდე შავ გრუნტში ეფლობა. ყურესთან შედგა - მდინარის გაღმა დილის ნიავზე ჩალისფერ-ყვითელი დაბლობი მოჩანს, თითქმის განთიადის ნისლით მოცულ მთებამდე, ტალღებივით რომ ირხევა. წმინდა დიეგოს იეზუიტთა ეკლესიისა და წმინდა როხას ბაზილიკის ზარები უკან, დილის წირვაზე უხმობს ქალაქს. ქალაქი სააღდგომო სათამაშოსავით სულ უფრო შორს რჩება. ხაიმე გზას გვერდს აუვლის, გზადაგზა ფეხთ იხდის და თვალს უსწორებს მზეს, ბოლქვა-ბოლქვად ადენილ ნისლში უცბად რომ გამოაჭყიტა. ველზე ბორცვი ამაღლებულა.

ბიჭმა ხელისგული მოიჩრდილა და სულ ახლოს მუქ, ბირკავათი მოფენილ ღრანტეში ბექობი შენიშნა; ირგვლივ ჭრელი, სიცოცხლით სავსე მიწაა, რომლის თავზე შავ ელვასავით გადაივლიან აურები[140] და ჟივჟივებენ შაშვის ბარტყები.

ბორცვს იქით სიარული ჭირს: ეკალბარდები წვივებს უკაწრავს, პერანგი ოფლიან ზურგზე მისწებებია. ქარი სახეში სცემს, ლანჩებში წვეტიანი ქვები ესობა. ნაცრისფერ, ეკლიან ღეროთა გროვები ღრანტეს ფერდობზე მოგორავენ. კაშხლიდან წამოსული არხის წყლის საცეცები ვერ აღწევს აქამდე. ამ ვერან ადგილას რამდენიმე ეჟვნიანი თხა ძოვს. ეს უნაყოფო მთიანეთია, როგორც ჩვეულებრივ, მექსიკაში, გარს კუნძულებად სიმწვანე რომ შემორტყმია. ნაყოფიერი მიწა უკან დარჩა - თვალწინ გადაშლილ პეიზაჟში ისევ ბატონდება ქვა, სილა და შავი ფრინველი. მომრგვალებულ ბორცვს მოეფარა გუანახუატოს სახლები. ერთ მუშტად შეკრულ ციცაბო კლდეებს, მოუხრელ ქედებს, ტაფობებსა და უდაბნოებს შორის მოქცეული მტკაველ-მტკაველ მოპოვებული უტეხი მიწა, დასახლებები, საწარმოები დღემდე გამონაკლისივით არის მექსიკაში. ასეთია ჩვენი მამაპაპური პეიზაჟი - ველური, ალაგ-ალაგ უსაზღვრო სივრცეები, უარს რომ ამბობენ ადამიანთა მიღებაზე. თავისთავად არსებული ბუნება, სამყარო, რომელიც გაყოფას არ ექვემდებარება.

ხაიმე პერანგს იხდის. აღელვებულ სახეზე ღრმა შეშფოთება აღბეჭდვია. გაოფლიანებული ხელებით კვერცხის ნაჭუჭს დასწვდა. ნეტავ რა გამოიჩეკა ამ ნაჭუჭიდან? - ჩიტი თუ ხვლიკი? მზე ბეჭებს უბუგავს. ბიჭის ფიგურა ამ ვეებერთელა უხმო უდაბნოში შთანთქმულა. ხრამის პირას ამოშვერილ, გაუნძრევლად მდგარ დიდი ხის ტანს დამსგავსებია. ხაიმე ეკლიან ღეროებს

წნავს. ეჩვენება, რომ მზე ფეთქავს და მისი ფეთქვა ფილტვებივით ჰაერში ექოს გამოსცემს.

ხელი ასწია. აი, ქუჩაში ხელებდაბორკილი ესეკიელი მოჰყავთ, სამიკიტნოში ადელინა კვლავ ლუდიან კათხას დასწაფებია - და ხაიმე გამეტებით ირტყამს ზურგზე ეკლიანი ღეროებისგან დაწნულ მათრახს. პირი ებრიცება სიტყვების შეკავებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ტკივილი შეუმსუბუქონ და მისი ყურადღება სხვა საგანზე გადაიტანონ. კიდევ გაისმის ეკლიანი მათრახის ძალუმი დარტყმა და ეკლები კვლავ ზურგში ესობა. ხაიმე ძალით იშორებს მათრახს მომდევნო დარტყმამდე - მცირე, იძულებითი შეყოვნება: წვეტიანი ეკალი ძუძუსთავთან შეესო. ნაწნავივით დაწნულ მათრახს რომ იშორებდა, ხაიმემ იგრძნო, კაუჭა ეკალი როგორ უგლეχდა სხეულს. მზე კი ისევ ისე ბრწყინავდა, მზე - ეს ერთადერთი მოწმე. ხაიმე სისხლის ლეკერტებს ეხება და

ბუჩქნარში დაიჩოქებს. თვალები ებინდება, საკუთარ სისხლს პირველად ხედავს. ამის შემხედვარეს თვალთ ისე უბნელდება, ეჩვენება კიდეც, თითქოს მზე აღარაა ერთადერთი მოწმე. მაგრამ რად არის ეს ტკივილი ესოდენ ტკბილი?! ის ხომ ამისკენ არც მიილტვოდა, ახლა კი ამ მაგარ გრუნტზე დაჩოქილი, გრძნობს, სხეულში ნაზი სითბო როგორ ეღვრება და გული მხიარულად უცემს. არც წამომდგარა, ისე ასწია თვითგვემის იარაღი და გასისხლიანებული ეკლები ისევ დაირტყა ახალ ჭრილობაზე. მზე სისხლს შეერია, სისხლში ირევა მისი სხივები. ღრუბლებზე ალიონი ისე მკვეთრად როდი ბრწყინავს, როგორც სისხლიან ეკლებზე. ერთი ბირკა პირდაპირ სასქესო ასოში ჩაესო და ბიჭმა სიმწრით პირველად შეჰყვირა. პირქვე დაემხო. დაგუბებული ჰაერი ტვირთივით მძიმედ აწვება დაუძლურებულ სხეულზე. ხაიმე ცივ ჰაერს ჩაისუნთქავს და ცხელ, გავარვარებულ ოხშივარს აფრქვევს. მძიმედ მსუნთქავი პირისკენ ბალახისფერი ცნობისმოყვარე ხვლიკი მოხოხავს. ბიჭს უცბად ეჩვენება, თითქოს იგი აფრინდა - დედამიწა მის თვალწინ იფუყება, ღრმა ამოკვნესა თითქოს შორიდან ისმისო, და აი, ადგილზე, სადაც ხვლიკი იყო, აღარაფერი ჩანს. ხაიმე თვალებს ხუჭავს, შიში იპყრობს, უფრო დიდ სამყაროში შემავალ ვარსკვლავებიანი პლანეტების სფეროებზე როცა ფიქრობს, რომელიც ასევე ქვიშის მარცვალია, თვალუწვდენელ

ვარსკვლავთა ოკეანის უმნიშვნელო ნაწილი; პაწაწინა ხვლიკმა კი დიდი ქვის ქვეშ შეაფარა თავი.

დროს დაუკარგავს თავისი რიტმი. დგება საათი, რომლის მნიშვნელობაც განსაკუთრებით საგრძნობია, რომელიც დავიწყებას არასოდეს მიეცემა, დღევანდელი დღის ცენტრში ელვარებს ცეცხლოვანი ოქროს დისკო. ქარი ჩადგა და საგნები იძირება ქვეყნიერების ვიბრირებულ თრთოლაში. ხაიმეს ცხვირწინ აჩქარებით ტრიალებენ მტვრის წერტილები. მზე ჭრილობებს ელამუნება. მიწაზე გართხმულს კუჭის მწვავე ტკივილი უვლის.

მერე ქარი ამოიჭრება და როცა ბარდებში ისევ ატყდება შარიშური, ცხელ შუადღეს მიყუჩებული ჭრიჭინობელები გაიღვიძებენ. მერე ხმამაღლა პირველი

ლოცვის ჟამი დადგება, წარმოთქმული ნელა, ისეთი ხმით, დილიდანვე უხმოდ რომ ლოცულობდნენ. ხარბი აურა ქვასავით ეცემა სისხლდენად სხეულს: ხაიმეს სისხლის მძაფრი სუნი სდის. იგი ზურგზე მსუქან თითებს გრძნობს. ხორხისმიერი კივილით ფრინველს ფრთებზე ურტყამს, მერე ყვირის და მისი ხმა ექოსავით გაისმის ტაფობში,

რომელსაც თავზე ახლა შავი ფრინველი დასტრიალებს: „გამხადე ისეთი... როგორიც ხარ შენ... მაგრამ არა სიცრუით“. ამასობაში შარავანდმოცული მეწამული მზე მთებს მიღმა ჩაესვენა და ჩამავალი მისი სხივები ყველა სიტყვაზე ძლიერია.

არასოდეს უგრძნია ხაიმეს ასე ახლოს დედამიწა. პირი დაეღო, უნდოდა, დალაპარაკებოდა გვამის ნაწილს, მისი სხეული რომ შეიკედლა. „ეს მე გავაკეთე მათ მაგივრად, - ჩუმად ამბობს იგი, - თითოეული მათგანის გამო: კეთილი საქმეები არ დარჩება დაუნახავი, ბოროტება არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს, ვიღაცამ უნდა გაბედოს ის, რისიც სხვებს ეშინიათ“. ხაიმე თავს ძალას ატანს. დგება. მიწაზე დაგდებულ პერანგს იღებს. ტილო ზუმფარასავით უფხაჭნის კანს. მუხლი ეკეცება. იღვიძებს სამყარო, მანათობელი მწერების ზუზუნით ივსება. ოდნავ შესამჩნევად ნათდება გზა. ბიჭი ალერსით, თითქმის ბაგით ეხება ქვებს, ბუჩქებს, მოულოდნელად მის წინ გაჩენილ ბარაქიან თავთავს. დიახ, ის უკვე დაბრუნდა. ბოსტნებში, წიწმატის კვლებში მიმავალი ხაიმეს შიშველ ფეხებქვეშ სელის ღეროები წივის. ხშირი ხევნარი სქელი შტოებითა და მრგვალი ბარჯებით იმის მაუწყებელია, რომ ქალაქი შორს აღარაა.

ხაიმე უცბად შედგა. შეშინებულმა შეშლილივით დააცეცა თვალები: წყვდიადში, ღამეულ ჩრდილებშორის, გაირბინა გაოფლილმა ძვალტყავა ჯაგლაგმა და კუდი მოარტყა სახეზე. და მხოლოდ სულიერი არსების ამ შეხებამ დაადინა პირველად სიმწრის ცრემლი. გონებას უძრაობა იპყრობს. წყალი კვლავ მიედინება. ცხენმა ახალამოთხრილი მიწის სუნი დააყენა. ხაიმეს ეჩვენება, რომ სპილენძისფერთვალებიანი და წკარუნადეზებიანი თოფშემართული მხედრები მინდორზე ცხენებს მიაჭენებენ. ხმაური, რომელსაც ამ მშვიდი დღის განმავლობაში ყური გადაეჩვია, ერთიანდება, აზრს იკრებს: ყელში მოწოლილი სპაზმები იმას მოწმობს, რომ ახლოა ქალაქი. აი, გუმბათები. შეფეთქილი სახლები, კოშკები, ქვის კედლები. პატივცემული კომერსანტის, იხინიო სებალიოსის, გუანახუატო, სადაც ბაბუა პეპემ მათი ოჯახის სიმდიდრე შექმნა და სახლი ფრანგული კანდელაბრებით მორთო; გუანახუატო, სადაც ბიძია პანფილო ყოველ საღამოს სეიფში ოქროს პესოებს მალავდა; გუანახუატო, სადაც მამამისი როდოლფო თავისი სიჭაბუკის ღამეებს ატარებდა; გუანახუატო, სადაც ბიძია ბალკარსელი, მისი მომწვანო სახე და სენტენციური მეტყველება ბატონობს. ქალაქი წმინდანთა, იმ ადამიანთა ოჯახი, რომლებსაც ბოროტება არასოდეს ჩაუდენიათ, წინაპართა კერა. თითქოს ღამე

განმეორებით მოუთხრობდა სებალიოსთა ოჯახის გრძელ ისტორიას. თითოეულ ქუჩას თითქოს კვლავ უკან, ბალკარსელებთან, ამ წყვილთან ნაცხოვრები საათების უსასრულო დინებასთან მიჰყავდა.

აი, ქვაფენილიც. წინ ქალი მიდის - შავი სილუეტი თავზე შემოდგმული კოკით. მერე საზეინკლოებისა და სასარაჯოების სინათლეები, სამიკიტნოთა ღია კარი, საიდანაც სასიამოვნო სუნი იფრქვევა. ნაცრისფერი, მშიშარა ჩოჩრები. ესეც მოედანი. ქვითკირის განცალკევებით მდგარი სახლი. ხაიმეს სახე ეძაბება, სილაში მოთხვრილი ჭრილობები ეწვის და კარს დაჯახებული ფარანით გაშუქებულ ფილაქანზე ეცემა.

- ამ ბიჭისა ვერაფერი გამიგია. ნამდვილად არაფერი მესმის, - ამბობს ბალკარსელი და ჩვეულებისამებრ ზურგს უკან ხელებს იწყობს, რის გამოც ჟილეტი და პიჯაკის განაკეცები მკერდთან გამობერვია, - რაო, რა გითხრა?

დილის ორპირი ქარის მიუხედავად, ცოლ-ქმრის საძინებელში რაღაც დახშული, შმორის სუნი იდგა. ხავერდის ფარდები გამოხუნებულ ნაოჭებში წინაპართა მშვიდ ხმებს ინახავდნენ. ბალკარსელი ან ასუნსიონი რომ მიმხვდარიყვნენ და ოდნავ ნაზად

ჩამოეფერთხათ, იქნებ გაეგონათ კიდეც მათი ხმები. ეს ოთახი ხომ ესპანელი ბებია-ბაბუის საძინებელი იყო, ერთმანეთი რომ ეგოდენ ნაზად და ნატიფად უყვარდათ, მერე - პეპე სებალიოსი სადა მისი თავდაჭერილი, მკაცრი მეუღლის; მერე ცოტა ხანს - როდოლფოსა და ადელინას განხეთქილების ადგილი. წითელი ხის კარადა თითქმის მთელი საუკუნის სატუალეტო ნივთებს ინახავდა: ტურნიურებს, რედინგოტებს და თეთრ გეტრებს, მანილურ შალებს, ცილინდრებს, მზის ქოლგებს, ინკრუსტირებულ ბუნიკებიან ხელჯოხებს, წკეპლებს, სადღესასწაულო სერთუკებს, ფრაკებს, ჭრელ ბოას, სირაქლემისბუმბულიან შლაპებსა და კლოშებს,[141] XX საუკუნის 20-იანი წლების ჩალის ქუდებს, აგურისფერ პიჯაკებს, ვარდისფერ წინდებსა და კილიტებითა და ფოჩებით მორთულ მოკლე ქვედაკაბებს. ცოლ-ქმარ ბალკარსელების ტანსაცმლის სტილი დიდი ხანია მყარად და სამუდამოდ დამკვიდრდა. ისინი 30-იანი წლების მოდაზე იცვამდნენ. ბიძია ატარებდა ორბორტიან პიჯაკს ფართო გადანაკეცებით, ჟილეტსა და შოტლანდიურუჯრედიან ჰალსტუხს. ქალი გრძელ, ვიწრო ქვედაკაბას, ოდნავ გულამოჭრილ და გულზე ნაკეცებიან ბლუზას. ასუნსიონის ოდნავ დახვეული, კეფაზე შეკრული თმა იმ წლების მოდას გაგახსენებდათ, როცა ის თხოვდებოდა. კონსერვატიულობაა! არა, მე ვიტყოდი, ეს უფრო ახალგაზრდობის უსიტყვო მონატრება გახლდათ.

- ხაიმეს ლაპარაკი არ შეუძლია, - თქვა მამიდამ, რომელსაც თვალები დაეხარა და თეთრი ხელებით ნელა ასწორებდა ფარდის ნაკეცებს, - არაფერი მესმის, ბოდავს, უაზრობას ბუტბუტებს მთლად დაჭრილია, ფეხები დასისხლიანებულ-დაგლეჯილი აქვს... ღმერთო ჩემო! - უეცრად მოწოლილი ქვითინი შეიკავა,

რომელიც უფრო თავისივე სიტყვებით იყო გამოწვეული, ვიდრე ბიჭის საცოდავი შესახედაობით. ბალკარსელს მოუნდა, მოხვეოდა ქალს, მაგრამ გადაიფიქრა. იმ წუთიდან, როცა მოახლემ ხაიმე კართან აღმოაჩინა და ყვირილით შემოვარდა, ბიჭი მოკლესო, ბალკარსელმა გადაწყვიტა, ესარგებლა ამ შემთხვევით, რათა გაეძლიერებინა ძალაუფლება ხაიმესა და ასუნსიონზე. აგრეთვე როდოლფო სებალიოსზე. მას სულაც არ აინტერესებდა ხაიმეს ასეთი მოქმედების მიზეზი, უფრო - მაგრამ ამაში არასოდეს გამოტყდებოდა - ცოლის სასოწარკვეთილება აშფოთებდა. და მაინც, ეს სამწუხარო ამბავი ბალკარსელს შესანიშნავ შემთხვევას აძლევდა, ამ სახლში თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა.

- ეს ამბავი ჩვენ შორის უნდა დარჩეს, - თქვა ბალკარსელმა, - ჩვენს ძმისშვილზე ისედაც ბევრს ლაპარაკობენ. ისღა გვაკლია, ახლა გიჟადაც მონათლონ.

- გიჟად? ის ხომ ნაგვემია?

- არაფერიც. წავიდა და თვით იცემა საკუთარი თავი. ეს ხომ ცხადზე უცხადესია.

- რას იტყვი, ხორხე, რა მოხდა, მიზეზი მაინც არ უნდა გავიგოთ? მე ის მინდა ვთქვა, რომ ბიჭი ნამდვილად რაღაცის გამო იტანჯება... ხომ არ აჯობებდა, ჩვენ თვითონ გვეცადა და გვენუგეშებინა?

- რა უნდა გავიგოთ? პირიქით, უფრო მკაცრად უნდა ვუთვალთვალოთ და ერთხელ და სამუდამოდ შევახუროთ. იცი თუ არა, რომ გვატყუებდა, ვითომ აღსარებაზე დავდივარო? აბა, პადრე ობრეგონს ჰკითხე, მთელი წელიწადია, სააღსარებოს სიახლოვეს არ გაჰკარებია.

- კი მაგრამ, მე და ის ხომ ყოველ პარასკევს ერთად ვეზიარებით ხოლმე!

ბალკარსელმა მხოლოდ მუცელზე დაიტყაპუნა ხელი და ტუჩები მოკუმა. მისი მზერა ირონიული და თან შეურაცხყოფილიც იყო, ელოდა, ვიდრე ასუნსიონი ჯეროვნად არ გაიზიარებდა ამას. ქალმა ფარდას ხელი უშვა და ოთახის შუაგულში ბარბაცით გავიდა.

- მის სულს ეშმაკი დაეპატრონა, - წაიჩურჩულა მან.

- გიკრძალავ ამისგან ტრაგედიის შექმნას, - ბიძიას გაბრაზებულ სახეზე ამ სიტუაციით მოგვრილი სიამოვნება დაეტყო, - არც შენ, არც როდოლფომ ბიჭი არ უნდა ნახოთ, გესმის? არ უნდა ნახოთ, ვიდრე არ გამოკეთდება და თავად არ გავესაუბრები. ეს ჩერჩეტი ჩვენ კეთილი გრძნობებით კი არ უნდა გადავარჩინოთ, არამედ ენერგიული მოქმედებით, უნდა ვაიძულოთ, შეიგნოს, რომ ვალდებულია, თავისი მოვალეობა შეასრულოს. სწორად გამიგე, ასუნსიონ, დანაზოგი, რომელიც ასე სიმწრით გავაკეთე, უფლებას მაძლევს, მომავალ წელს სამსახურიდან გადავდგე. როცა რაბი ოლიას პირდაპირ ნაკვეთს შევიძენ, მილიონ პესოზე მეტი ქონება გვექნება. როცა შენი ძმა მოკვდება და ამ სახლს დაგვიტოვებს, შეიძლება მაღაზიაც გავაახლოთ და უფრო შემოსავლიანი

გავხადოთ. მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს ხაიმემ შეიძლება მდიდრულად იცხოვროს, თუ მოახერხებს იმ შესაძლებლობებით სარგებლობას, რომელსაც ჩვენ მას, როგორც ოჯახის ერთადერთ მემკვიდრეს, დავუტოვებთ. ჩვენ, ასუნსიონ, გუანახუატოს უმაღლეს ფენას ვეკუთვნით და არ შეგვიძლია რისკი გავწიოთ იმით, რომ ჩვენი ქონება გავანიავოთ... ის კი, ის მართლაც მზადაა, ყველაფერი ღატაკებს დაურიგოს...

ასუნსიონმა ქმრის ლაპარაკიდან მხოლოდ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ქმარი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისი უნაყოფობის გამო, და წყენამ თვალი დაუბნელა (მოელანდა, თითქოს ბადურაზე ხაიმეს ჭრილობის სისხლ შეესხურა); დაბარბაცდა და უხმო ვედრებით ბალკარსელისკენ მიიხედა, საყრდენს ეძებდა. ქმარი ლაპარაკს განაგრძობდა, არგუმენტები მოჰყავდა, რომლებიც მას სინდისის დასამშვიდებლად სჭირდებოდა. ქალი ვეღარაფერს ხედავდა, დაბარბაცდა და მკლავებში ჩაუვარდა. ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა. ქმრის ლაპარაკი საიდანღაც შორიდან ესმოდა, აღშფოთებით სავსე გულში ეს სიტყვები ბლანტ ტყვიასავით მძიმე ჭაობიდან პატარ-პატარა ბუშტუკებივით სკდებოდა.

აკანკალებული ასუნსიონი ჩაებღაუჭა ქმარს, ის კი შეუსვენებლივ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა.

- ...და დონ ჩემა ნარანხომ მართალი თქვა, ჩემი კაპიტალის მემკვიდრე ვინ უნდა იყოს, თუ არა ხაიმე? გახსოვს ის დრო, ლონდონიდან რომ დავბრუნდით? მაშინ მაინცდამაინც არ გვიმართლებდა, ოჯახის კეთილდღეობის აღდგენა ჩვენ თითქმის

საძირკვლიდან მოგვიხდა. ახლა ჩვენი შრომის წყალობით ხაიმეს ყველა შესაძლებლობა ეძლევა. აი, მაგალითად, ეუსებიო მარტინესი ნატრობს, ხაიმე ახალგაზრდული ფრონტის სათავეში იხილოს. სწორიცაა. ბიჭი წინ წაიწევს, თუ ჩვენ დროულად მოვახერხებთ მისი ტვინიდან ათასი სისულელის აღმოფხვრას.

...ქალი მოეხვია ისე, როგორც უნდოდა, ხაიმეს მოხვეოდა.მის შეხებაზე ბალკარსელმა შეჰყვირა და ხელი ჰკრა. ასუნსიონი საწოლზე გულაღმა გაიშოტა და ბუტბუტით ლოცვას მოჰყვა. ქალს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უზარმაზარი შავი სამკუთხედი პირს უკუმავდა და ჭარხალივით წითელი ნოტიო ენა, ბოდვისას რომ ეზმანებოდა, გადარეცხილნაკვთებიანი სახის ღიად დარჩენილი ტუჩებისკენ მიიწევდა. დადგა მისი, განსაკუთრებული ჟამი, ხოლო ქმრის შეშფოთებული ხელები ძალიან შორს დარჩა მისგან, ქალი თითქოს ჭაობში ჩაეფლო. ასუნსიონი ყვიროდა. „მე ცოდვილი ვარ“ - და პირველად მისცა თავს უფლება, ეთქვა ის, რაზეც ამდენი წელი კრინტი არ დაუძრავს. ცივ საწოლზე მწოლიარე, დაფეხმძიმების ამაო ლოდინში, თითებზე ითვლიდა ქმართან სულ უფრო და უფრო იშვიათ სიახლოვეს და ნაღვლიანად აყურადებდა კაცის ბებრულ სუნთქვას, რომელიც მთელი ამ წლების

განმავლობაში მის გვერდით მშვიდად ფშვინავდა. მაგრამ მის წარმოსახვას ხაიმეს ტანი, მისი ახალი ჭრილობების მძაფრი სუნი დაუფლებოდა. მერე ბიჭის სისხლი რაღაცნაირად ქმრის სხეულზე წარმოდინდა, ასუნსიონს არ ესმოდა, რას ამბობდა, უფრო და უფრო წყნარად ჩურჩულებდა ბალკარსელისადმი მიმართულ სიტყვებს, თან მის სულს ბუნდოვანი ისტერიკული ხილვები ტანჯავდა.

- მასზე ნამდვილად ძალიან იმოქმედა ჩვენი ძმისწულის მდგომარეობამ, - უთხრა ბალკარსელმა ექიმს, როცა მიტკალივით გაფითრებულმა ასუნსიონმა გაიღვიძა და ხელები ზეწრიდან ამოყო.

- დასამშვიდებელმა უშველა, - თქვა ექიმმა ოთახიდან გასვლისას.

ბალკარსელმა საწოლის თავთან დაწნული სავარძელი მიაჩოჩა. ასუნსიონს ვერ გადაეწყვიტა, გაეხილა თუ არა თვალი. ქმარი ავადმყოფის საწოლთან ჯდომას აპირებდა და თვალი მოხუჭა.

- მომეხვიე).

- ღმერთო ჩემო, რატომ უნდა მომხდარიყო, რატომ, ეს ყველაფერი? მე წესიერი კაცი ვარ. შესაძლებელია, გამოჩენილი ადამიანიც გავმხდარიყავი, მაგრამ ვკმაყოფილდებოდი იმით, რომ მუხლჩაუხრელად ვშრომობდი, რომ არაფერი გაგვჭირვებოდა. იქნებ ზოგჯერ ძალიან მკაცრიც ვიყავი, მაგრამ ეს აუცილებელია შინ წესრიგის დასამყარებლად. მე იძულებული შევიქენი, წინ აღვდგომოდი ასუნსიონისა და ცოლისძმის სუსტ ნებისყოფას. ყოველ ოჯახში აუცილებელია ვინმეს ხელმძღვანელობა).

- მომეხვიე).

- ჰო, მე ჩემზე კი არა, ბიჭზე ვზრუნავდი. რასაკვირველია, ვიღაც-ვიღაცებს, უსაქმურებს, შეუძლიათ გამკიცხონ, რომ მკაცრი ვიყავი და სესხის დროულად დაბრუნებას ვითხოვდი. დიახ, მეზიზღება უყაირათობა, ჩემი სინდისი სუფთაა. რამდენი ოჯახი გადავარჩინე გაკოტრებას. სესხის იოლი პირობები მომავლის ნამდვილი გაკოტრებაა. რად ვფიქრობ ასე? ყველაფერი რომ წესრიგში იყოს, წესრიგში).

- შენ ხომ არაფერი გიღირს, რომ მომეხვიო. აი, ნახავ, ხვალ მშვიდად ვიქნები).

- რა გვაქვს ასაღელვებელი?! აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება. ცხოვრებაში ყველა თავის საკადრისს იღებს. მხოლოდ შესაშფოთებელსა და საწინააღმდეგოს მე რატომ ვხვდები? მე რომ შენთან ლაპარაკი შემეძლოს, ასუნსიონ, შენ კი ჩემი გაგება შეგეძლოს. იქნებ ზოგჯერ ცივადაც გექცევი, მაგრამ ეს ხომ შენი პატივისცემის ჩემებური გამოხატულებაა. მე ჩვენს ოჯახში გარყვნილებას არ შემოვიტან. დიახ, მართალია, სრულყოფილი არ გახლავარ, ბუნებრივი მამაკაცური სისუსტეები მახასიათებს, მაგრამ შენ პატივს გცემ. როცა ცდუნება მძლევს, შორს მივემგზავრები და ბინძურ სურვილებს ლეონში, გვადალახარაში

ან მეხიკოში ვტოვებ ხოლმე. ჩემს სახლში კი წმინდა ვარ და უბიწო სიყვარულით მიყვარხარ. გამიგებდი, მე რომ ყველაფერი მეთქვა? მე მინდოდა წესიერი კაცი ვყოფილიყავი).

- მე რა უნდა გითხრა. დაე, სინაზემ გაიღვიძოს შენში, გემუდარები).

- ხაიმე რომ გაიზრდება, თვითონ გაერკვევა ყველაფერში. აბა, მითხარი, რა კაცი დადგებოდა დედამისის ხელში, ქალისა, რომელმაც თავისი ცხოვრებით დაგვანახვა, თუ რა იყო მისი ბუნებრივი მონაცემები? მეძავი, რომელსაც წმინდანად მოაქვს თავი,

ასე უნდა დაემთავრებინა კიდეც. ან თუნდ ის ლტოლვილი ავიღოთ, მე რომ ხელისუფლებას გადავეცი, ამით ხომ მხოლოდ კანონს დავემორჩილე, საკუთარი სინდისის წინაშე სუფთა ვიყავი. მალე მაინც გავიდოდეს ჭაბუკობის ეს საშინელი პერიოდი. ბიჭი ვერ გამოსულა ავადმყოფური მდგომარეობიდან. მერე დაკაცდება და დადინჯდება. იმედია, ვიცოცხლებ იმ დღემდე, როცა დამიფასდება ამაგი, თუ, რა თქმა უნდა, ამდენმა დარდმა ნაადრევად არ მომიღო ბოლო).

- მე არასოდეს მითხოვია მოფერება. ხვალიდან ისევ ისეთი ვიქნები, როგორიც ყოველთვის, არაფერს მოგთხოვ. მხოლოდ დღეს მინდა, დაიხარო და მომეფერო. რახანია აღარ გითქვამს, მიყვარხარო!).

- უკეთ ხარ? - ჰკითხა ექიმმა.

ასუნსიონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- გადავწყვიტე, ხაიმე დღესვე წავიყვანო პადრესთან. არა, ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. რა ვუყოთ, მთლად კარგად თუ ვერ არის. ბიჭს სხეული კი არა, სული აქვს დაზიანებული და სწორედ სულს უნდა ვუმკურნალოთ.

ასუნსიონი დაეთანხმა. ბალკარსელი ისევ დარბაისლურად წელგამართული დაჯდა. ხავერდის ფარდებში, წითელი ხის კარადებში, ინკრუსტირებულ პიანინოში, წინაპართა პორტრეტებში, ფარდიან უზარმაზარ საწოლში უფრო მეტი სიცოცხლე იგრძნობოდა, ვიდრე ამ ორ მოჩვენებითად მშვიდ, გულჩახვეულ ადამიანში. როცა ფარდებს მიღმა განთიადი აციმციმდა, ასუნსიონმა თქვა:

- რატომ არ წვები? გეფიცები, უკვე კარგად ვგრძნობ თავს. უბრალო რამეზე ნუ მანერვიულებ, გეხვეწები, დაწექი.

* * *

- წამო, შვილო ჩემო, რახანია აღარ გითქვამს აღსარება. აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც აქ ვისაუბროთ. თავდაპირველად, უბრალოდ, ჩვეულებრივ ვილაპარაკოთ. მიხარია შენი ნახვა. სკოლიდან მოხვედი, ხომ ასეა? როგორ

გაზრდილხარ! თითქმის ყველა შენი ამხანაგი დაიარება ჩემთან აღსარების სათქმელად.

პადრე ობრეგონმა ხაიმეს მხარზე ხელი მოუთათუნა და შენიშნა, რომ ბიჭი თრთოდა.

ხაიმე შეჰყურებდა და ცდილობდა იმ პადრეს სახე გაეხსენებინა, ბავშვებს კატეხიზმოს რომ ასწავლიდა, როცა მათ პირველი ზიარებისთვის ამზადებდა. მოგვიანებით სკოლის ამხანაგებმა უთხრეს, მტარვალ ლანსაგორტასთან შედარებით ობრეგონი ერთობ კეთილიაო. მაგრამ თუ ბავშვობის წლებში მღვდელი მას დიდ, შავ, უსახო არსებად ეჩვენებოდა, ახლა, სანამ ორივე ცენტრალურ ნეფს გაივლიდა, ხაიმე იმ უსახო არსებას დამახასიათებელი შტრიხებით ავსებდა. მხრებზე მღვდლის მძიმე ხელს გრძნობდა, რომელიც უბრალოდ კი არ ედო, არამედ პირდაპირ ჩასჭიდებოდა მას. პადრე ობრეგონი ღრმად სუნთქავდა და თამბაქოს სუნს აფრქვევდა. ხაიმემ შენიშნა, რომ შავი თმა წინ ჰქონდა გადმოვარცხნილი და ნაოჭებით დაღარული შუბლი გაწეწილი კულულებით დაეფარა; შავი, ღრმა, პატარა თვალები ძლიერ გაბანჯგვლულ წარბებში, მაღალ ყვრიმალებში, ნაოჭებით დამძიმებულ ქუთუთოებში ჩაკარგულ ორ მარცვალს მოგაგონებდა; მეჩხერი ჯაგარი, რომელიც ნამდვილ წვერს არასოდეს დამსგავსებია, მაგრამ მთლიანად არც არასოდეს მოპარსულა, ნაწილობრივ უფარავდა მოწითალო სახეს, მაგრამ ბიჭის ყურადღება ყველაზე მეტად ობრეგონის ხორკლიანი ტყავის უხეშმა ყელიანმა ფეხსაცმელმა მიიქცია. სქელ, ორმაგ, მრავალჯერ დაკერებულ ლანჩას დიდი ხნის ხმარებისა და ეკლესიის სინესტის გამო გონდოლის ფორმა მისცემოდა, რაც

ხაიმეს ერთობ სასაცილოდ და ამასთან, გულის ამაჩუყებლადაც კი მოეჩვენა. საკურთხეველთან გავლისას მღვდელი და ბიჭი შეჩერდნენ. პირჯვარი გადაისახეს და ეკლესიაში თავი დახარეს. ობრეგონის ხველამ ცარიელ ეკლესიაში დაიგუგუნა, მერე მარმარილოს ფილებზე ნაბიჯების ექო გაისმა - და აი, პადრემ ჟალუზის ცხაური გააღო.

ნესტს ჭურჭლის საცავის მაღალი ჭერის კოჭები შეეჭამა. თუმცა, აქ შემოსულს სითბოს და დიდებულების გრძნობა ეუფლებოდა. ერთ-ერთ კედელთან ხის დიდი, შორენკეცით მოპირკეთებული კომოდი იდგა. იქ სამოსელი ინახებოდა. კომოდზე დაუდევრად ეგდო ყვითელარშიიანი სამოსელი. მოპირდაპირე კედელს დაფნის ფოთლის მოწითალო ყვავილწნულებით, კაკლებითა და ფუნჩულა ანგელოზებით დიდებულად მოჩუქურთმებული საკურთხეველი ამშვენებდა. მისი ოქროსფერი სვეტები ჭერამდე ასვეტილიყო, სადაც ჩუქურთმის ნაყშებს ისევ ბაფთაშემოხვეული, რელიეფურად მოხატული დაფნისა და ზეთისხილის ტოტები აგრძელებდა. ოთხივე კედელს ბერძნული ორნამენტი გასდევდა. ჭურჭლის საცავის ამ ორი ვიწრო კედლის დიდებულებას უპირისპირდებოდა უბრალოება და თვალისმომჭრელი სითეთრე უფრო გრძელი კედლისა, უფერულ ქუჩაზე გამავალი პატარა გისოსებიანი სარკმელი

რომ ჰქონდა გაჭრილი. პადრე ობრეგონი ხის მაღალ სავარძელში ჩაჯდა და ხაიმეს ხელით ანიშნა, მეორე, უფრო პატარა ჩალის დაწნული სავარძელი მოაჩოჩე და დაჯექიო.

- ჩემთან რატომ არ მოდიოდი? - ჰკითხა მღვდელმა და ბიჭს დატალღულ ქერა თმაზე ხელი გადაუსვა.

- არ იყო საჭირო, - ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ თქვა ხაიმემ, - ახლა იმიტომ მოვედი, რომ მაიძულეს.

- გაიძულეს? არავის აქვს უფლება, გაიძულოს.

- დიახ, მაიძულეს. მე არაფერი მაქვს სათქმელი.

პადრე ობრეგონმა გაიღიმა და თითები სავარძლის მოჩუქურთმებულ ლამაზ სახელურზე ააკაკუნა.

- შენთვის მე მხოლოდ ადამიანი ვარ, ხომ ასეა?

- მეც ადამიანი ვარ, - თქვა მოუქნელმა ყმაწვილმა, ძლივს რომ აღებდა პირს.

- ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, უფალიც ადამიანი იყო და ადამიანივით ხორციელ წამებას განიცდიდა.

- ამიტომ მე შემიძლია მას ველაპარაკო, - გამომწვევად უთხრა ხაიმემ მღვდელს, - მე შემიძლია ავუხსნა და პატიება ვთხოვო ჩემთვის და ყველასთვის, არ მივმართო...

ობრეგონმა სავარძლის სახელურს ხელი დაჰკრა და ადგა. ჩამავალი მზე საკურთხევლის ამობურცულ ჩუქურთმებსა და მღვდლის სახეს ოქროსფრად ანათებდა.

- არავის აქვს ასე ლაპარაკის უფლება. უფალს რომ მიუახლოვდე, მუდამ ორია საჭირო. ერთი ადამიანი ვერ შეძლებს ამას. გამიგე? შენ ხომ უკვე დიდი ხარ! ერთს არ შეუძლია.

ნუთუ ის მხოლოდ ბავშვია? გაიგებს განა? მღვდლისკენ მიმართული ხაიმეს მტკიცე, ზეაწეული სახე ჩუმი გამოწვევითა და მედიდურობით თითქოს გაგებას მეტყველებდა, მაგრამ ობრეგონმა ამაში როდი დაინახა უკვე დიდი ადამიანი, არამედ ბიჭის თვალებში

გამკრთალ ეჭვში, რადგან ხაიმეს, როცა პადრემ თქვა: „ერთს არ შეუძლია“, მემაღაროე ესეკიელ სუნოს სიტყვები გაახსენდა. მღვდლის ხელი მზის ყველაზე კაშკაშა სხივით გაბრწყინებულ იმ წუთში, როცა მზე ადამიანთან ყველაზე ახლოსაა, ისევ მის თმას შეეხო.

- როგორ აგიხსნა? მინდა, სწორად გამიგო. მე არ მსურს გაიძულო რამე. განა შენ სხვის გამო გილოცია ოდესმე? - ობრეგონის ხმაში რაღაც ლითონისებური გაისმა,

ხაიმეს მხარზე მძიმედ დაადო ხელი, - იქნებ შენ უფალს, როგორც ახლა მე, მხოლოდ გამომწვევად ექცეოდი და შენი სიამაყით შეურაცხყოფდი?

- რატომ სიამაყით? - ჩუმად იკითხა ბიჭმა. პადრე ჭურჭლის საცავში ბოლთის ცემას მოჰყვა, გულზე ხელებგადაჯვარედინებული პასუხზე ფიქრობდა, და უცებ ხაიმეს შეკითხვამ აღაფრთოვანა, - განა ეს სიამაყეა, რომ ქრისტეს მცნებები შევასრულო ისე, როგორც თვითონ ის ასრულებდა?

ბიჭს სახე აელანძა. ობრეგონმა შენიშნა ეს და საყვედურით მიმართა:

- შენ როგორ ფიქრობ, შეგიძლია განა იესო ქრისტეს გაეტოლო?

- არა, მე ვფიქრობ, რომ შემიძლია მივბაძო.

- რა გიშველო, რომ ამ სენს გადაგარჩინო?

- ნუ მიყვირით, თუ შეიძლება.

- გისმენ, შვილო ჩემო, - ბიჭის მშვიდ ტონს დამორჩილებულმა პადრე ობრეგონმა ხმას დაუწია და დიდი, ამაღელვებელი სინაზე პირველად იგრძნო. ძველი, ნესტიანი ჭურჭლის საცავი, როგორც თეატრის სცენა, მთელი თავისი ბრწყინვალებით წარდგა ამ მდუმარე ფიქრების წუთში, - ახლა ეს არა მარტო დამხმარე შენობა, არამედ შესამოსლის საცავიც იყო. კეთილ პადრე ობრეგონს, ასე გამოცდილ მოძღვარს, ოდესღაც სემინარიაში ბრწყინვალედ რომ სწავლობდა, ერთ წერტილზე გაყინული პროვინციული ცხოვრების გავლენით დიალოგის ჩვევა თანდათან დაევიწყებინა. ამიტომ, ვიდრე საუბარს განაგრძობდა, გაიფიქრა, საჭირო სიტყვების მოსაძებნად ძალა, ალბათ, არ მეყოფაო. თავხედობით შეიარაღებულ ამ ბიჭს საყრდენი ეგულებოდა იმ სიტყვებში, რომლებისაც სწამდა. რას უპასუხებს მოძღვარი? იპოვის კი ჭეშმარიტ, ბრძნულ, სარწმუნო სიტყვებს და არა გაცვეთილ ფორმულებს ჩვეულებრივ

განდობილთ, ყველა გლეხსა და მლოცველს რომ აკმაყოფილებდა, როცა მას რჩევას სთხოვდნენ? და რამდენადაც ამან შეძრა, იმდენადვე იგრძნო გამოწვევის მნიშვნელობა. მერე საკუთარი თავი შეეცოდა და ბიჭისადმი ამაღელვებელი, დაუძლეველი სინაზე იგრძნო. ეს გრძნობა მის სიტყვებში გამოიხატა.

- ვიდრე რამეს იტყოდე, ნება მომეცი, რაღაც გითხრა - შენ ადამიანი ხარ, გეთანხმები, მაგრამ ჯერ ძალიან ნორჩი. არ შეიძლება დიდი ცოდვები გქონდეს. არ შეიძლება დიდად განსხვავდებოდეს შენსავით ახალგაზრდა კაცთა ცოდვებისაგან, გიფიქრია ოდესმე, რომ ასობით და ათასობით ყმაწვილია, ვისაც შენსავით...

მღვდელი დარწმუნებული არ იყო, სწორ სიტყვებს ამბობდა თუ არა და თავს კიცხავდა, რომ ისინი ნაკარნახები იყო არა ჭეშმარიტი სიყვარულით, არამედ სისუსტით.

- ყოველმა ჩვენგანმა უნდა ვზიდოთ ჩვენ-ჩვენი სასჯელი, - ცივად დაუმატა ხაიმემ, სანამ ენადაბმული ობრეგონი ფიქრობდა, ჩემი მოვალეობის საზღვარს ხომ არ გადავაბიჯეო. მაგრამ მღვდლის სახეზე შეშფოთება რომ ამოიკითხა, ბიჭმა დასძინა, - ხომ ასეა, პადრე? რას მოვიგებ, თუ ვიფიქრებ, რომ სხვა შეიძლება ჩემზე უარესია?

ვფიქრობ, ჩემი ცოდვები მე უნდა მოვინანიო და მარტომ ვზიდო, რადგან... მე რომ მსოფლიოში ერთადერთი ცოდვილი ვიყო. დიახ, პადრე, თუ სხვებმა არ იციან, რომ შესცოდეს, განა ერთ-ერთმა არ უნდა იტვირთოს სხვათა ცოდვები?

- შვილო ჩემო, შვილო ჩემო, ასე ძლიერ ნუ წუხხარ, - თქვა მღვდელმა უფრო დაჯერებით, როცა მიუახლოვდა ბიჭს, რომელიც გაუნძრევლად იჯდა ჩალის სავარძელში, - იმაზე იფიქრე, რომ შენი ცოდვები მხოლოდ ასაკობრივი ცოდვებია, ცოდვები სიყვარულისა, რომელიც ეძიებს და პოვებს საკუთარ თავს. არ შეიძლება ეს ცუდი იყოს, არ უნდა იფიქრო, რომ ეს ცუდია. მერე კი, როცა დაგჭირდება განსჯა, თუ როგორია ეს სიყვარული, მარტო შენკენ არის მომართული თუ შენ ძალგიძს შეიყვარო უფალი და მოყვასი შენი - მხოლოდ მაშინ გაირკვევა, კარგად მოიქეცი თუ ცუდად. ბევრს, ძალიან ბევრს შემდეგ იმდენად ერცხვინებათ ეს პირველი სიყვარული, საკუთარი თავის სიყვარული, რომ ვეღარ ბედავენ სხვას გაუნაწილონ. აი, რა არის არსებითი, შვილო ჩემო, - აი, ამაზე იფიქრე. აი, ეს იქნება შენი გამოცდა წლების მერე, აი, მერე შეგეძლება, შენი სიყვარული სხვებს უწილადო. ამიტომ მინდა დაგეხმარო, რომ ეს სიყვარული უმტკივნეულოდ და უდრტვინველად განვიდეს შენგან. უფალს

მიჰბაძო! შენ ყველაზე რთული რამ მოგიწადინებია - მარცხის შემთხვევაში დარდს შეეწირები. ამიტომ უნდა მენდო და შეისმინო ჩემი, რათა უფალს მიუახლოვდე, შენ აუცილებლად გჭირდება ჩემი დახმარება, ან დახმარება სხვა ვინმესი.

- და არ ექნება მნიშვნელობა, ეს სხვა ვინმე უბრალო კაცი იქნება თუ ცოდვილი ქალი?

- მათთვის მოგვევლინა უფალი, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდები, გამიგე?

- დიახ, - დაუდასტურა ხაიმემ, - ვფიქრობ, ასეა, - გაიღიმა ბიჭმა და მღვდელს ხელზე ემთხვია, - ოღონდ, პადრე, მგონი, ყველაფერი, რაზეც მელაპარაკებოდით, მთელი ეს სამყარო სიყვარულისა, ჩემთვის მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ქრისტეს აღთქმას შევასრულებ.

- ჩვენ ყველა ასე ვფიქრობთ, შვილო ჩემო, მაგრამ რომ შეასრულო ის, აუცილებლად გჭირდება ეკლესია, რადგან იგი არს უფლის სხეული დედამიწაზე; განა შეიძლება შენ შენი გზით იარო, ხოლო ეკლესიამ - თავისით?

პადრე ობრეგონი უზარმაზარ, გონდოლასავით ფეხსაცმელს ჭურჭლის საცავის ქვის იატაკზე აბაკუნებდა.

- ეკლესია უფალი არ არის, პადრე, - ბიჭს ხმა და მზერა ისევ მკაცრი გაუხდა, - ეკლესია ის ადგილია, სადაც მამიდაჩემი ასუნსიონი, ბიძია ბალკარსელი და სხვები დადიან, რომ კვირაში ერთხელ თავი კარგ ადამიანებად იგრძნონ, და როგორც, ალბათ, სხვების დასანახავად თეატრში ან რაიმე დღესასწაულზე ივლიდნენ. უფალი მათ არ სჭირდებათ, სულაც არ სურთ და არც შეუძლიათ მასთან ერთად ცხოვრება.

- ნუ უარყოფ სიკეთის შესაძლებლობას და ნურც ასე მკაცრად განსჯი სხვებს. ამას როდი გვასწავლიდა უფალი. ნუთუ გგონია, რომ ბიძაშენი და მამიდაშენი, მამაშენი, ეს კეთილი ადამიანები, დიდად სცოდავენ?

- დიახ, დიახ! მათ ბოროტება ჩაიდინეს...

- მაგრამ შენ არ უნდა დაადანაშაულო ისინი ბოროტებაში, რომელიც შეიძლება კიდეც ჩაიდინეს, შენ უნდა სიკეთისკენ ისწრაფო...

მზე ჩავიდა და ჭურჭლის საცავში უცბად ჩამობნელდა. ობრეგონმა რამდენიმე წამში ხაიმეს სახე ვეღარ დაინახა და კინაღამ შეჰყვირა, როცა იგრძნო, ბიჭის სხეული როგორ ჩაეხუტა. თითქოს უეცრად ჩამოწოლილ სიბნელეში ადამიანის მარტოობა გაუსაძლისი შეიქნა.

- პადრე, - ისმოდა ჩახუტებული ბიჭის დახშული ხმა, - ნუთუ ვერ შევძლებთ ისეთი ვიყოთ, როგორიც მას უნდა? ადამიანებს ნუთუ ვერ ვაპატიებთ ბოროტ საქმეებს, მაგალითად, როგორც მან ზიდა სხვათა ცოდვები და ტანჯვა-წამება? თქვენ რატომ არ ჰბაძავთ მას ყველაფერში? რატომ ყველას თავი არ მიგვაქვს მსხვერპლად, როგორც ეს უფალმა გააკეთა, და არ ვცხოვრობთ სიდუხჭირესა და დამცირებაში? გამწკეპლეთ!..

ბიჭი ზლუქუნებდა, პადრე ობრეგონი იხუტებდა მას და აკანკალებული ხელით ნაზ კეფაზე ეფერებოდა. ხაიმეს კინაღამ გული შეუღონა ოფლიანი იღლიებისა და გაურეცხავი საცვლების სუნმა.

- დამშვიდდი, შვილო ჩემო, დამშვიდდი, გულს მიკოდავს შენი ამბავი. ნუ ტირი, მომისმინე, - ეუბნებოდა ობრეგონი და ვერ ამჩნევდა, რომ ჩახუტებული ბიჭის

პერანგიდან რაღაც სქელი სითხე ჟონავდა და ხელებზე ეწებებოდა, - უკვე თხუთმეტი წელია ვწირავ, მოძღვრის მოვალეობას ვასრულებ, ორმოცი წლისა ვარ... აი, ჩემი ცხვირსახოცი აიღე, მოიხოცე ცხვირი... ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ბევრი ადამიანის აღსარება მომისმენია. დიახ, გეთანხმები, ვიცი, ცოდვა ყველას ერთი და იგივე აძევს. ზოგჯერ მგონია, რომ ეს საწყალი ცოდვილნი არც არიან მიტევების ღირსნი. ყველა ისინი არც დიდ ცოდვას სჩადიან და არც დიდ სასჯელს იმსახურებენ...

- გამწკეპლეთ, პადრე, გამწკეპლეთ, - ბუტბუტებდა ბიჭი, - მინდა შევამოწმო, რამდენს გავუძლებ...

- დამშვიდდი, ხაიმე, - თქვა ობრეგონმა, რომელსაც ჯერაც ვერ შეენიშნა ბიჭის მხრებს შემოხვეულ თავის ხელებზე სისხლის ლაქები, - ჩვენ, ყველანი, ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანები ვართ. იმათთვის, ყველა იმათთვის, და არა რჩეულ ადამიანთათვის, ვინც მიზიარებია, არსებობს ქრისტიანობა. წმინდანი გამონაკლისია. ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე ამ ადამიანებს არ მოეთხოვებათ ჭეშმარიტი ქრისტიანული აღთქმით სიცოცხლე, რელიგია უნდა ეხმარებოდეს მათ და

შემწყნარებლობას იჩენდეს მათ მიმართ... როგორ შეიძლება მოსთხოვო რომელიმე მათგანს, ყველას ცოდვები ზიდოს?

- თქვენ კომპრომისს ქადაგებთ? - და ხაიმემ მოიშორა მისი ხელები, - ქრისტეს არ უყვარდა ის, ვინც არც ცივია და არც ცხელი!

მღვდელმა ღრმად ამოიოხრა, სავარძლიდან წამოდგა, კომოდთან მივიდა, ანაფორის კალთა ასწია, შარვლის ჯიბიდან ასანთი ამოიღო და სანთლები აანთო.

- წმინდა ფრანცისკო სალელმა თქვა, რომ უფალმა ადამიანურად და დროსთან შეთანხმებით უნდა იღვაწოს იმ დღის მოლოდინში, როცა უკვდავებასთან შერწყმით ღმერთივით სამსახური შეეძლება.

- ეს ადამიანური ყოფა როგორია? - მოისმა ჩალის სავარძლიდან სუსტი, უნებური ქვითინით ჩამწყდარი ხმა.

ჭურჭლის საცავში ყველა საგანი და საკურთხეველი გამქრქალდა. პადრე ობრეგონმა ასანთს გაჰკრა, ნაცრისფერი ბოლის წვრილი ზოლი ჭერში აიჭრა.

- უფლის ნებაა, იმ მცირე მოვალეობებს ვასრულებდეთ, განგებამ ჩვენთვის ხელმისაწვდომი რომ გახადა. ჩვენ მოკვდავნი და უძლურნი ვართ, რამეთუ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე ყოველდღიური მოვალეობანი აღვასრულოთ. რასაკვირველია, არსებობს უფრო დიდი საქმენი, მაგრამ ჩვენთვის ისინი ხელმისაწვდომი არაა. საგმირო საქმენი შორს არიან ჩვენგან. მაშ, ვიყოთ მორჩილნი, მონანი უფლისა.

პადრე ობრეგონის სიბრალულით სავსე მშვიდი, ჩუმი ხმა, ჭურჭლის საცავში ექოს გამოსცემდა.

- ხაიმე, მამაშენი ერთი იმათგანია, ვინც უფალმა შეიყვარა. ნუ აწყენინებ, სიყვარულით მოექეცი.

- საიდან იცით? - ჰკითხა ხაიმემ და მღვდლისკენ მიბრუნდა.

- ვიცი, იფიქრე იმაზე, რომ სხვებზე უკეთესი არა ხარ და რომ ღვთის კანონს ყველა თავისებურად ასრულებს. შენ ამას კომპრომისს უწოდებ, მე - თანაგრძნობას. ახლა კი

წადი, შვილო ჩემო, უკვე გვიანია, ხვალ ნამდვილ აღსარებაზე მოხვალ. დავიღალე და თანაც გვიანია.

ხაიმე ობრეგონს ხელზე ემთხვია და ჟალუზიან ფანჯარასთან მივიდა. მხოლოდ ახლა დაინახა მოძღვარმა ხაიმე მთელი სიმაღლით. შეხედა ამ ჩამოსხმულ ტანს ლურჯ შარვალსა და თეთრ პერანგში და შენიშნა, რომ ბიჭი ძლივს მიდიოდა, ფეხს ძლივს მიათრევდა. გისოსთან მისული ხაიმე მას მოეჭიდა და მუხლი მოეკვეთა.

„პადრე, მგონი, ავად ვარ...“

ობრეგონმა ხელებზე სისხლის ლაქები მხოლოდ ახლა შენიშნა. ბიჭი უკვე ნეფზე მიაბიჯებდა გაუბედავად და მხოლოდ ახლა მიხვდა პადრე ობრეგონი ყველაფერს, გაეკიდა, დაიჩოქა და შეჰყვირა:

- ილოცე ჩემთვის!

ტაძარში ბოლო სკამზე მჯდარი ბიძია ბალკარსელი ამ სცენას თვალს ადევნებდა.

მღვდელი რომ მუხლებზე დაეცა, საათის ძეწკვით თამაში მიატოვა. უნდოდა, წინ წასულიყო, რათა თავისი აქ ყოფნა შეეხსენებინა, მაგრამ ვერ შეძლო. კანკალმა აიტანა.

ხაიმე მთავარ შესასვლელს მიუახლოვდა, აქ ბიძიამ ხელკავის გაკეთება სცადა, მაგრამ ბიჭმა გადაუხვია და მუქლურჯ ბინდბუნდში ჩაძირულ ქუჩებში ბალკარსელის წინ წავიდა.

ფანრები აინთო. ქვაფენილს გაზაფხულის მწკლარტე სუნი ასდიოდა.

8

იმ ღამის შემდეგ, ირაპუატოში რომ გაატარა, აღარ უნახავს ხუან მანუელ ლორენსო. გაზაფხულის არდადეგები დაიწყო. ხაიმე ისევ ჩაწვა. მაღალი სიცხე ჰქონდა. გამოჯანმრთელებას რამდენიმე კვირა მოუნდა.

კითხულობდა რომანებს, ლიმონათს წრუპავდა და დონია ასუნსიონის ხანგრძლივ მონახულებებს ითმენდა. მომხდარს აღარ ახსენებდნენ. მამიდა გამართული იჯდა, სავარძლის ზურგს არ ეხებოდა. ქსოვდა.

- როგორ გარბის დრო! - ამბობდა ასუნსიონი, - პასკუალინა ბარონას ძმისშვილები აგერ ახლა ბავშვები იყვნენ და უკვე საინსტიტუტოდ ემზადებიან. შენ რას ფიქრობ, რა უნდა ქნა, მოსამზადებელს რომ დაამთავრებ? კარგი იქნება, იურისპრუდენციას თუ შეისწავლი! ოდესღაც მამაშენიც ოცნებობდა ამაზე, მაგრამ მის კარიერას რევოლუციამ შეუშალა ხელი.

სენიორიტა პასკუალინა და დონია პრესენტასიონი ყოველ საღამოს მოდიოდნენ

სანახავად. მუდამ იმას იმიზეზებდნენ, რომ ავადმყოფის ჯანმრთელობის საკითხავად მოვიდნენ, ხაიმე წიგნს გადადებდა, თვალებს დახუჭავდა და ყველაფრის ლაპარაკის უფლებას აძლევდა მათ.

- სძინავს?

- საწყალი! ოჰ, ამ გარდამავალი ასაკის ბიჭები მშობლებისთვის ღვთის რისხვაა!

- ნუ წუხხარ, ასუნსიონ. ჩვენ არავისთვის გვითქვამს, როგორ იყო საქმე. ყველას ვეუბნებით, რომ ბიჭს ხუნაგი აქვს.

- რას იტყოდა ხალხი, რომ გაეგოთ, ხაიმე თავის დასასჯელად ქალაქგარეთ მინდორში წავიდაო.

- არაფერია, გაუვლის, რას იზამ, ასაკის ბრალია.

მერე ორივე სტუმარი მამიდას ბოლო რელიგიური ცერემონიების ამბებს უყვებოდა,

რომლებზეც ასუნსიონს დასწრება არ შეეძლო, რადგან ავადმყოფ ხაიმეს უვლიდა. უყვებოდნენ პადრე ლანსაგორტასთან საუბარს და მისი მორიგი ყოველკვირეული ქადაგების მნიშვნელობაზე მსჯელობდნენ.

ხაიმეს ოთახში ბალკარსელი ერთხელაც არ შესულა. როდოლფო შედიოდა და მისი დანახვა ყველაზე მეტად აღიზიანებდა ბიჭს. როგორც კი დერეფანში მისი ნაბიჯების ხმას იცნობდა, თავს იმძინარებდა. საწოლს მიახლოებული როდოლფო ხვდებოდა ბიჭის ოინებს, მაგრამ მაინც არ მიდიოდა, იდგა, სასთუმლის მოოქრულ წნელს ჩაჭიდებული. მაგრად თვალმოხუჭული ხაიმე ბრაზობდა, განმარტოების სურვილი ეუფლებოდა. ეს გრძნობა მასზე ძლიერი

იყო და აგრძნობინებდა მამას, რომ სამაგიეროს უხდიდა. ბრაზს იმედი ცვლიდა, რომ როდოლფო ადელინას მოძებნიდა, და ეს შესაძლებლობა ხაიმეს ცხოვრების მიზანი გახდა.

როდოლფო ხვდებოდა, რომ შვილის სიყვარული დაკარგა. რატომ მოხდა ეს, არ ესმოდა. აგონდებოდა ის ნათელი წუთები, როცა ხაიმე ბალღი იყო, ქუჩაში ერთად დადიოდნენ და როდოლფო ათასნაირ ამბავს უყვებოდა. ახლა მისი ცხოვრება

დამღლელი ერთფეროვნებით მიედინებოდა. მთელი კვირა მთლად გაღარიბებულ ძველ მაღაზიაში იჯდა. საღამოობით მოწყენილობისგან ორსერიიან მექსიკურ ფილმებს ნახულობდა. კვირადღეობით ნაცნობ კომერსანტებთან ლუდს მიირთმევდა. შაბათ საღამოს შინიდან ჩუმად გაიპარებოდა და პასტიტის კვარტალში, საროსკიპოში მიდიოდა. იქ ზუსტად ათზე პატარა, შავგვრემანი, ხალებიანი ქალი ელოდებოდა. როდოლფოს სტუმრობა ამ ქალთან ხანმოკლე და უსიტყვო იყო. არასოდეს ეუბნებოდა იმაზე მეტს, რაც აუცილებელი იყო. მათ ერთმანეთის სახელებიც კი არ იცოდნენ. როდოლფო ხედავდა, როცა ძალდატანებით შეიხსნიდა აჭიმებს და შარვალს იხდიდა, ქალი მუდამ თვალს არიდებდა. ოთახიდან გამოსული როდოლფო თავისი რიგის მომლოდინე მომდევნო კაცს ხედავდა. თერთმეტ საათზე ნელა ბრუნდებოდა ქვითკირის სახლში.

ხაიმე ცოტა გამომჯობინდა და ერთხელ მამიდას ჰკითხა, ჩემს მეგობარ ხუან მანუელს ხომ არ ვუკითხავვარო. ასუნსიონმა მიუგო, არაო.

- შენ კიდევ არ დაჭკვიანდი? ჯობს, შენს მომავალზე იფიქრო. ისწავლე და დაივიწყე

ყველა ის სისულელე, რითაც თავი გაქვს გამოტენილი. ხომ ხედავ, შევძელი და მოვახერხე, ბიძაშენი ცოტა დამემშვიდებინა, ნებაც კი დაგრთო, სანამ ავად ხარ, რაც მოგინდება, ყველაფერი იკითხო.

- პადრე ობრეგონი? არც ის მოსულა?

- კი, მოვიდა. თქვა, რომ ვიდრე მასთან მიხვიდოდე, ერთხანს უნდა მოიცადო და საერთოდ, უფრო ხშირად უნდა გაიხსენო მისი დარიგებანი. არ ვიცი, ხანდახან მეჩვენება, რომ ჩვენი პადრე ობრეგონი ცოტა აფრენს. ბიჭებს იმიტომაც ის ურჩევნიათ. პადრე ლანსაგორტასთან ხომ არ დაბრუნდები?

- არა, არა...

- შენი ნებაა. ვნახოთ, რას იტყვის ბიძაშენი.

- ხუან მანუელის ნახვა მინდოდა.

- მაინც არ იშლი შენსას?

* * *

მაისის დამდეგს როდოლფო სებალიოსს დაძაბუნება დაეტყო. თავდაპირველად, ხვეულა კიბეზე ასვლისას უფრო და უფრო სძლევდა დაღლილობა. ბარე ოთხჯერ მაინც შეისვენებდა ხოლმე. რკინის საფეხურების ჭრიალს შეჩვეული მსახურები ფანჯრიდან უყურებდნენ, რა გაჭირვებით მიბობღავდა ეს სქელო. მაღაზიიდან უპიჯაკოდ გამოსულს წითელზოლიან აჭიმებზე ჩამოკიდებული შარვალი ეცვა. ოთხი საფეხური, ხუთი, თითები მოაჯირს მაგრად ეჭიდება - თითქოს კიბის არამყარი სადგარი ვეღარ უძლებს ამ სიმძიმესო. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი ზევით, ისევ შეისვენა და შეშფოთებით გამოიხედა. მოსამსახურეები ცნობისმოყვარეობას მალავდნენ და ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდნენ. მერე როდოლფოს უძილობა დასჩემდა. ღამღამობით ხაიმესა და ბალკარსელების წყვილს ზემოდან ბრტყელ სახურავზე სომნაბულური ფლარტუნი ესმოდათ. „იმდენს იზამ, რომ ფილტვების ანთებას დაიმართებ“, - უთხრა ერთხელ ასუნსიონმა. როდოლფოს უძილო საათებში მხოლოდ მზის ამოსვლის ცქერა ჰგვრიდა მცირეოდენ სიამეს. გრილი ჰაერი იმწამსვე ხველას აწყებინებდა. რიჟრაჟი თეთრად ხაზავდა ქონგურებს, სიღრმეს, სიკაშკაშესა და მოცულობას მატებდა

ყოველივეს, რაც რამდენიმე წუთის წინ ბუნდოვან, გლუვ მინად ეჩვენებოდა. დილის ექვს საათზე ისევ წვებოდა და ერთ ნახევარ საათს წასთვლემდა ხოლმე. მაგრად, მაგრამ შფოთიანად ეძინა. ელანდებოდა, რომ მისი საძინებელი მტრებით იყო სავსე, ის კი, რაც უნდა ეძალა, უსუსურად იწვა და ჭის ფსკერზე ეძინ. შვიდი საათისათვის იღვიძებდა და სასაუზმოდ ჩაცმული ქვემოთ ჩადიოდა, რომ ორცხობილათი ჩაი დაელია. მოულოდნელად ქვედა მუცელი მძაფრად ასტკივდებოდა, ბოდიშს მოიხდიდა, საპირფარეშოში გავიდოდა და მტკივნეულად, მწვავე სიამოვნებით შარდავდა. შარდავდა ძალიან ხშირად. ღამის ქოთანი, საწოლ ოთახში რომ ედგა, ღამის განმავლობაში არ ჰყოფნიდა და ვიწრო აივანზე უნდა გამოსულიყო.

ნათესავების პორტრეტებისადმი ინტერესი მოეძალა. გადააქოთა ძველი სკივრების უჯრები, ბებერი პანფილო რომ სარგებლობდა, ასუნსიონსაც კი სთხოვა თავისი, ბალკარსელისა და ბიჭის ფოტოები. სულ მალე მისი საძინებლის მოყვითალო კედლები ძველი, ფერგადასული, მაგარ მუყაოზე აღბეჭდილი და ახალი, ჯერ კიდევ მბრწყინავი ფოტოებით აივსო. ფოტოები - ეს მეორე სიკვდილისდარი უსახელო უკვდავება, - ნერვებს უცნაურად უმშვიდებდა. ეჩვენებოდა, რომ შინაური მფარველი სულები, მის

ძილს რომ ავსებდა, გაფანტავდნენ უსახო მტრებს. ხანდახან კიდეც გრძნობდა, რომ საქმე უფრო ღრმა, თუმცა ძალიან უბრალო იყო. საათობით იჯდა გამოხვრეტილ სავარძელში და კედლებიდან მომზირალ სახეებს შეჰყურებდა. აი, მისი ბაბუის, დონ იხინიო სებალიოსის გრავიურა, თავი ხელზე ყოვლად არაბუნებრივად რომ დაუყრდნია. ოვალური დაგეროტიპიდან ახალგაზრდა გილიერმინა იცქირება, ყურებზე ფაფუკ კულულებდაყრილი და მიხაკებით მკერდზე. სასთუმალთან ჩამოიკიდა სეპიის ტონში შესრულებული სურათი -

მშობლები ქორწინების დღეს: ორივეს ფართოდ გახელილი თვალები ჰქონდა, ქალი - გრძელშლეიფიანი კაბითა და შემოჭერილი კორსაჟით, კაცი - ქერა, ფაფუკი წვერ-ულვაშითა და თეთრი გულისპირით, შიგნით კი, სიღრმეში, რიალტოს ხიდისა და დიდი ვენეციური არხის ამსახველი ტილო მოჩანს. სხვა ფოტოები ნაკლებად სადღესასწაულო იყო. მისი ცოლის, ადელინას ერთადერთი სურათი: ბაღში მერხზე ზის გამხდარი, მოღიმარი ქალიშვილი. მუხლები შიშველი აქვს - ოციანი წლების მოდური შავი ქვედაკაბა, შუბლზე - კილიტებიანი ლენტი. მეორე სურათზე ჩალისქუდიანი როდოლფო იღიმება და ხელში უჭირავს გულსაფრიანი ბიჭი, რომელიც კანფეტს წუწნის. როდოლფოს მანია იქამდე მივიდა, რომ სარდაფში, თვითონაც არ იცოდა, რატომ, დონ პორფირიოს ლითოგრაფია

მოძებნა, მაგრამ, როცა სავარძელში ამ გაყინული სახეების დასათვალიერებლად ჩაჯდებოდა, გრძნობდა, რომ მათგან სხეულის სითბოს მომფენი სიმშვიდე ეუფლებოდა.

ბოლო ხანებში საშინლად გახდა. ოთხმოცდათექვსმეტი კილოგრამი წონის მამაკაცს ტანისამოსი თავისუფლად ედგა და აჭიმებს გარდა, ქამარიც სჭირდებოდა, რომ ნაოჭებად ქცეული შარვალი როგორმე დაემაგრებინა. ძალიან ფართო პერანგიდან მოჩვარული დანაოჭებული კისერი ამოსჩროდა. ხშირ-ხშირად გული ერეოდა, მერე კი სისხლს შარდავდა.

„როდოლფო ნამდვილად დიეტას იცავს, რომ მეორედ იქორწინოს“, - დაცინვით შენიშნა ლიცენციანტმა ბალკარსელმა. ასუნსიონმა კი ერთხელ ნასაუზმევს ძმას ჩურჩულით უთხრა: „ღორო! როგორ არ გრცხვენია, მოსამსახურეები გიჩივიან, პირდაპირ სახურავზე უშვებსო... და ეს ყველაფერი... მერე მილებით პატიოში მოედინება“. მხოლოდ ხაიმე არ ამბობდა არაფერს, თუმცა ის ერთადერთი იყო, ვისაც საოჯახო ტრაპეზის დროს მამა სიყვარულითა და სინაზის თხოვნით შესციცინებდა.

უფრო და უფრო დაჟინებით შესჩერებოდა მამა შვილს, თითქოს გრძნობდა, რომ სიყვარულისთვის ძალზე ცოტა დრო დარჩენოდა. სამივე ტრაპეზის დროს როდოლფოს ავადმყოფური ღიმილი ბიჭისკენ იყო მიმართული. ბალკარსელი ენაწყლიანად ამაოდ ლაქლაქებდა ნათესავთა თუ უცხოთა საქციელზე. ასუნსიონიც ტყუილუბრალოდ უმზერდა საყვედურით ძმას, რომ ის ოჯახის უფროსისა და პატრონის ლაპარაკს საკმაო ყურადღებით არ უსმენდა. მოხუცი სებალიოსის სული შვილისკენ ილტვოდა, ხაიმე კი ერთთავად თეფშს ჩასციცინებდა, თითქოს ამ აღმაშფოთებელ ფაქტს ვერც კი ამჩნევსო.

- ღვთის გულისათვის, მამიდა, უთხარი, ასე ნუ მომჩერებია, - შესძახა ერთ საღამოს მოთმინებიდან გამოსულმა ხაიმემ.

- რას ჰგავს ეს? აბა, რა საქციელია? - ჩაიბურტყუნა ბალკარსელმა, როცა ხაიმემ უცბად ხელსახოცი მოისროლა, წამოხტა და ასუნსიონს გვერდით ამოუდგა. ლიცენციანტის ტირადა ხუარესის დროინდელი „ძალაგამოფიტული

იაკობინელობის“ ბოყინის წინააღმდეგ ამ უსაქციელობით შეწყდა. გაცოფებული ბალკარსელი უცბად მიხვდა,

რომ მთელ მის სიტყვას მხოლოდ ლანდები ისმენდნენ, - აქ მე ჯეროვან პატივს არ მომაგებენ, შენ კი, დაჯექი და ჭამე. აბა, რას ჰგავს ეს? ახლავე გაიმეორე ჩემი ნათქვამის არსი. თქვენ კი, როდოლფო, თქვენ, ვინც ამ უპატივცემულობაში ნამდვილად დამნაშავე ხართ, ჰო, თქვენ რაღას იტყვით? იმედია, დამეთანხმებით, რომ ამ სახლში ვიღაცის უნდა ესმოდეთ და საერთოდ, მე არ მესმის, თქვენ როგორ...

მაგრამ როდოლფოს ტუჩებზე ღიმილი შეჰყინვოდა, მისი დაძაბული მზერა უწინდებურად განერვიულებულ ბიჭს მისჯაჭვოდა.

- მე თქვენ მოგმართავთ, როდოლფო, - თქვა ბალკარსელმა და სახე ლურჯ-წითლად აულაპლაპდა.

- ხორხე, ის ავად არის, მას არაფერი ესმის... - ცდილობდა ძმის გამოქომაგებას ასუნსიონი და ძმას იმ მიზეზით ამართლებდა, რომელიც აქამდე ოჯახის ვერც ერთ წევრს ხმამაღლა ვერ წარმოეთქვა. ბალკარსელმა ბოღმა დაიოკა ოჯახური კლანის ჩუმი შეთანხმების დაცვით: ძალადობა არ იხმარო, რამეთუ თავად შენზე არ იხმარონ ძალა. პირად განცდებზე კრინტი არ დაძრა, მხოლოდ სენტენციური დოგმები წარმოთქვი. „აჰ,

დიახ!“ - დროზე გაახსენდა მის ცოლს, რომელმაც გაიფიქრა, რომ როდოლფოს ავადმყოფობაზე პირველად ლაპარაკობდა ხმამაღლა.

- ავად არის! - კბილებში გამოცრა ბალკარსელმა, - ამ სახლში არ არიან ავადმყოფები... უბრალოდ, ჩვენ... ყველა ცოტა დაღლილი და განერვიულებული ვართ, ესაა და ეს! სხვა არაფერი. ავადმყოფობაზე ლაპარაკი აღარ იყოს, - დაასკვნა მან, თან ცდილობდა, თავი ხელში აეყვანა და გაკიცხვის სათანადო ფორმულა მოენახა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. ადგა, მაგიდის მწვანე ხავერდის სუფრას ხელით დაეყრდნო და მოითხოვა, რომ ყავა მისთვის შავტყავიანი ავეჯით გაწყობილ ბიბლიოთეკაში მიერთმიათ. ლამპის ოვალური შუქი სუფრას ეცემოდა და ღია მწვანე წრეს გამოყოფდა. მოქმედების ადგილი ფერების მიხედვით სათამაშო სახლს მოგაგონებდათ: მაგიდასთან მსხდომი სამი ადამიანი ჩუმად იყო: მამიდა და ხაიმე ისეთი სახით ისხდნენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ როდოლფო სებალიოსის გაყინულ მზერას, მის გაყინულ ღიმილს. მამა თვალებით ჭამდა შვილს. ხაიმემ თავი დახარა, ბოდიში მოიხადა და სასადილო ოთახიდან გავიდა. რამდენიმე წუთს და-ძმა ხმაამოუღებლად აყურადებდა ჯერ დერეფნის ქვის იატაკზე ბიჭის ნაბიჯების ხმას, მერე დიდი საათის ქანქარის

უცნაურად განკერძოებულ რიტმს. ორივე თავდახრილი ფიგურა მწვანე სინათლის წრის მიღმა ჩანდა. ბნელი ოთახის ღამეული ნესტი ჭერის კოჭებიდან ჩამოწვა და შპალერგაკრულ კედლებზე გავრცელდა. როდოლფომ მაგიდაზე

ჭორფლიანი და რუხვენებიანი ხელი დადო და კოვზის ტრიალს მოჰყვა. შალქვეშ ხელებდაკრეფილი ასუნსიონი ფიქრობდა, რა სწორია, არასოდეს თქვა სიმართლე, ახლობლებს სიმართლის თქმით არასოდეს გული არ ატკინოო. მშობლებისგან ნასწავლი წესები, რჩევა-დარიგებები, რომელთაც ეს ყველაფერი ასევე თავიანთი მშობლებისგან შეითვისეს: პატარა ცხოვრებისეული სიბრძნე, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა, ყოველი ახალი არსებისადმი გულგრილი და ყველა დროისთვის გამოსადეგი.

- რა შორსა ვართ!

- რაო, რა თქვი? - იკითხა ასუნსიონმა, როცა ძმამ სიჩუმე დაარღვია. როდოლფოს რაღაც შეუცვლელად განსაზღვრული სახე ჰქონდა, თითქოს მისი ნაკვთები ამიერიდან აღარასოდეს შეიცვლებოდა.

- ჰო, რა შორსა ვართ... ჩვენ, ისეთი, როგორიც ვართ, იმისგან, რაც უნდა

ვყოფილიყავით...

და ცივად, წელგამართული უსმენდა. ასუნსიონის ტანი გოტიკურად წამახულ კუთხოვან, შავ ბრტყელ ქანდაკებას ჰგავდა. ქალს უნდოდა, ჩასწვდომოდა როდოლფოს სიტყვებს თუნდაც ახლა, როცა ხაიმე უკვე წამოიზარდა და ორივესთვის დაუმორჩილებელი გახდა, მაგრამ ამაზე ფიქრი ვერ გადაეწყვიტა. იცოდა, რომ როდოლფოს გაგება ნიშნავდა, შეურაცხყოფა მიგეყენებინა მისთვის: სიმართლე ერთობ მკაცრი გახლდათ. და მხოლოდ სიცრუე რთავდა ნებას, როგორღაც მორიგებულიყვნენ და ერთად ეარსებათ.

- ვინ იცის, რატომ არ ვგავართ დედ-მამას. მე... ძალიან მინდოდა, ბედნიერად მეცხოვრა, როგორც ცხოვრობდნენ ისინი, - მიძინებული ხმით ამბობდა როდოლფო, - გახსოვს, დედას ან მამას თუნდაც ერთხელ ესაყვედუროს? ჩვენ ძალიან ნაზად ვეპყრობოდით მათ, ყველანი ისე ახლოს ვიყავით... შენ კი... გახსოვს, მამა როგორ გეთამაშებოდა? რა საყვარელი მოხუცი იყო, რა მხიარული, ხომ მართალია?

- გახსოვს, როგორ მოგვიყვანა თოჯინას ოსტატი, ცხრა წლის რომ შევიქენი?

- ჰო, როგორ არ მახსოვს! - გაიცინა როდოლფომ, თან ხავერდის სუფრაზე ხელს აკაკუნებდა, - აბა, როგორ! უყვარდა, გარშემო რომ ყველა კმაყოფილი იყო, ეს დიდ სიხარულს ჰგვრიდა. მაგრამ შენ და მე...

- შენ და მე, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით როდოლფო. ყველაფერი როდი იყო ისე ცუდად, - თავი დახარა დამ.

- მაგრამ საქმე ის არის, რომ უკეთესად შეიძლებოდა ყოფილიყო. მე რომ დედაჩემის მსგავსი ქალი შემხვედროდა, ბიჭი ჩემი იქნებოდა, შენ კი... შენ რომ ბიჭი გყოლოდა, ხაიმეს არ წამართმევდი. იგი ჩემი იქნებოდა.

მაგიდას ჭუჭყიანი თეფშების, გაყინული ქონის უსიამოვნო სუნი ასდიოდა, ასუნსიონი ძმისკენ დაიხარა, მხარზე ხელი დაადო.

- შენ ავად ხარ, - თქვა მან, - არც კი გესმის, რას ამბობ.

- არა, ვიცი, ვიცი, რომ მარტოხელა გამხადეთ, წამართვით ჩემი ადელინა - ასეთი იყო

თუ ისეთი, იგი კიდევ გამათბობდა და მიმეგობრებდა კიდეც. თქვენ კი ჩემს ოთახში მარტო დამტოვეთ... მომაკვდავი...

- როდოლფო! - ასუნსიონმა ძმას ხელი შეაშველა, რომ სკამიდან არ ჩამოვარდნილიყო, - როდოლფო, - გაიმეორა და მოეხვია უსიცოცხლო, უხერხემლო სხეულს, - მე შენ გაფრთხილებდი, - გახსოვს? იმ ქალზე... გეუბნებოდი, არ არის შენი შესაფერისი და ჩვენი ღირსი-მეთქი და აი, ხომ ხედავ, რა გამოვიდა. რას იზამ, ალბათ, ასე ეწერა. უბრალოდ, შენ სულელი ხარ, სულელი. მე რომ მაშინ აქ ვყოფილიყავი, ეს არ მოხდებოდა. ის ბილწი ქალი იყო და ამას მაშინვე შეატყობდა კაცი. მას მხოლოდ შენი მდგომარეობა იზიდავდა, არ უყვარდი.

- არ ვუყვარდი? - სუფრის ზემოთ გაისმა სუსტი, მოგუდული ხმა, - არა, არა... ვუყვარდი... და ეს უკვე იყო რაღაც. რაღაც ხომ უნდა გწამდეს ცხოვრებაში... ხომ უნდა გიყვარდეს ვიღაც, თუნდაც ჩვენ არ ვუყვარდეთ მას...

- არა, არა, არ უყვარდი! შენ არ გიფიქრია, რომ ის არ იყო ხაიმეს დედობის ღირსი. ამიტომაც მე ვიტვირთე მისი დედობა. მე შენი შეცდომის გამო... და ეს ყველაფერი შენი

ბრალია, ამაში მხოლოდ შენ ხარ დამნაშავე.

ასუნსიონი ამ სიტყვებს გაქვავებულ, მოღუშულ როდოლფოს ეუბნებოდა. ამას ძმას რომ უყიჟინებდა, ქალი ამავე დროს მწარე სიმართლის ფარული სიმძიმისაგან თავისუფლდებოდა. როდოლფოს მოსმენა არ უნდოდა. მას ახლა ძილი, დასვენება სწყუროდა. ხელით ანიშნა, ადგომაში მომეხმარეო.

- ზემოთ ამიყვანე. ცუდად ვარ.

უცბად სასადილოში ჩქარი ნაბიჯების ხმა გაისმა, ხაიმემ მოირბინა. მამას მოეხვია. ააყენა. როდოლფო პირმშოს მკერდს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და ტუჩები ააცმაცუნა, რომ შვილის პერანგი დაეკოცნა.

* * *

ოჯახურ სუფრასთან ჩაცმული, ფეხზე მყოფი ერთხელ კიდევ იხილა მამა. ფანჯრიდან დაინახა, ქუჩას როგორ მიუყვებოდა, ეს ყვითელი სახე, ეს ტანისამოსი, ერთობ ასე

ხალვათი ამ გალეული სხეულისათვის, ფერფლისფერი თმა და ვიწრო შუბლი, გამობურცული თვალები თეთრ გარსზე სისხლიანი წერტილებით, თვინიერი მოძრაობები, დაჭორფლილი ხელი, კარს რომ აღებდა, გამოთიშული, უაზრო გამოხედვა, ყველაფერი ეს - მისი მამა იყო. როდოლფო ნელა ავიდა სასტუმრო ოთახში, მერე სასადილო ოთახი შეაღო, მოხატულ პირსაბანში ხელი დაიბანა და სანამ სუფრას მიუჯდებოდა, თქვა, ჰაერი არ მყოფნის, სული მეხუთებაო. დაქუცმაცებული ბოსტნეული - ერთადერთი, გაუჭირვებლად რისი გადაყლაპვაც შეეძლო - თეფშზე გალიგვდა. ასუნსიონი ვერცხლის მოსევადებულ რგოლში ქმრისთვის ხელსახოცს ამაგრებდა და როდოლფოსთვის არც მიუქცევია ყურადღება. „დაჯექი, ჭამე, ცხელი კერძი სასარგებლოა შენთვის“. ხაიმემ შენიშნა, რომ ავადმყოფი შეტორტმანდა და მისთვის ხელის შეშველება არც უფიქრია. იგი ელოდა, რომ მამის თვალებში ჩვეული მავედრებელი გამომეტყველება იელვებდა, მაგრამ მოხუცს აღარაფრის სურვილი აღარ გააჩნდა. იგი ეძებდა საყრდენს და სკამზე მჯდარი ბიჭი გააოგნა ამ ფიზიკური უძლურების ხილვამ. როდოლფომ მაინც შეიკავა თავი, ლაჟვარდისფრად მოხატულ სვეტს ჩაეჭიდა, თვალები დახუჭა, ღრმად ამოიხვნეშა და სასადილო ოთახიდან გალასლასდა. მერე ვაჟიშვილის ოთახში, ხაიმეს საწოლზე იპოვეს, - ზემოთ, თავის

ოთახში ასვლის ძალა აღარ შესწევდა. ექიმმა ბრძანა, ხელი არ ახლოთო და ხაიმე ბიბლიოთეკაში ტყავის დივანზე იძინებდა. სხვენქვეშა ოთახი ბიჭს შიშს ჰგვრიდა. „მაგრამ ეს ხომ გადამდები არაა, - ეუბნებოდა დონია ასუნსიონი, - შენს ზეწრებს დაგიფენთ“.

მთელი ოცი დღის განმავლობაში, რაც როდოლფოს დარჩენოდა სასიცოცხლოდ, ყოველ დილით, ვაჟიშვილი თავის საწოლ ოთახში, ახლა მომაკვდავს რომ ეკავა, შედიოდა, რათა ის ტანსაცმელი აეღო, რაც იმ დღეს სჭირდებოდა. ხაიმე მამის მადლიერი იყო იმ სიტყვებისთვის, რაც მან ასუნსიონს უთხრა, მაგრამ, როგორც კი საძინებელში შევიდოდა, არ იცოდა, რა უნდა ეთქვა მამისათვის, როგორ მიახლოებოდა. ავადმყოფის ვიწრო თავის ქალას დილის ნათელი დაჰფენოდა. იგი მახინჯი იყო, მახინჯი მოხუცი, რომელიც ტუჩებზე რაღაც ღიმილის მსგავსი ღრეჭითა და ჩირქით დაწებებული წამწამებით იღვიძებდა. გაწეწილი თმა როდოლფოს ყურებზე ჩამოშლოდა. როცა ხაიმე უჯრას გამოაღებდა, რომ პერანგი ეპოვა, ცდილობდა, ერთი სიტყვა მაინც ეთქვა მამისათვის. მაგრამ თავს ასწევდა თუ არა, სარკეში ხედავდა თავის ახალგაზრდა სახეს, ჩამოქნილი ნაკვთებით, ტუჩებთან ღია ფერის ღინღლით დაფენილს, და ასეც ვერ

მონახა ეს საჭირო სიტყვა. და მამასაც მისთვის ერთხელაც არ მიუმართავს. ორივე ელოდა.

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე როდოლფოს ეყო ძალა, ხელებით შეხებოდა ვაჟიშვილის თითებს. ხაიმე ავადმყოფის საწოლთან ჩამოჯდა და სუნზე, მწვანეზოლიან პიჟამას რომ ასდიოდა, კინაღამ გული აერია. როდოლფოს უზარმაზარი სურვილისაგან დანაოჭებული კისერი, ჭაღარა წვერი და საბანქვეშ

მხრები აუცახცახდა, ცოცხალ ლეშს მასთან ლაპარაკი ეწადა. ცდილობდა, ჭაბუკის თავი ტუჩებთან მიეტანა, მაგრამ ამ უკბილო რუხ ორმოში ენა ამაოდ სავსავებდა. რატომ დახარა ჭაბუკმა თვალები, სიკვდილის უეცარი მოსვლით გაოგნებულმა? რატომ იყო, ქვეშეცნეულად თავს რომ იძვრენდა და წიგნებში ამოკითხული იდეებისკენ მიილტვოდა, რომელიც ტკივილს ამსუბუქებდა, მაგრამ პირადად მას არ უნდოდა გამოეცადა. მამის სიკვდილით გამოწვეულ გულგრილობას რატომ ამართლებდა იმ წიგნის გვერდებით, სადაც ამოიკითხა, რომ ტანჯვა და სხვისთვის ტანჯვის მიყენება სულით ძლიერთა ხვედრია? ბიჭი ცდილობდა, გაეხსენებინა სახარების სიტყვები ოჯახზე, რომელიც გაიყოფა, და ისინი მის გონებაში ნიცშეს ციტატებთან ერთად ირეოდა. თუმცა მამა-შვილს სხვა,

უფრო დიადი რამ აშორებდა, ვიდრე იდეებია, ვიდრე ასაკში განსხვავება ან განდგომა. მამის სარეცელთან მჯდარი ხაიმე სიჭაბუკისა და სიცოცხლის განსახიერება იყო. როდოლფო, რომლის ნაცრისფერი ხელები ზეწრის ზემოთ ესვენა, სიკვდილის ძლევამოსილებას ადასტურებდა და ერთს მეორეზე არაფრის ცოდნა არ სურდა. თითოეულს მეორეში უნდოდა დაენახა თავისი თავის დამკვიდრება და არა უარყოფა. მხოლოდ მდგომარეობის იგივეობას შეეძლო მათი დაახლოება. მაგრამ იმ დილით შეუძლებელი იყო დაახლოება. ამიტომ ხაიმეს არ უნდოდა მოესმინა სიტყვები, ბოლოს ავადმყოფის ხორხიდან მდუღარე წყლის ბუშტებივით რომ ამობუყბუყდა. მამის მკერდს მიყრდნობილ ვაჟიშვილს სუნთქვა შეუგუბდა. „ჩვენ ცოტა ხანს ვცოცხლობთ, - ლუღლუღებდა გაურკვევლად, - ხოლო დიდხანს, ძალიან დიდხანს ვკვდებით“. ექიმმა კარზე ჩუმად დააკაკუნა. ხაიმეს გაუხარდა მისი მოსვლა. წამოდგა, მაგრამ უეცარი აღტყინების ზეგავლენით მამისკენ კვლავ მობრუნდა და ხელი ჩამოართვა.

ასუნსიონმა დილის ოთხ საათზე გააღვიძა. მამიდას ტირილს ყივილით ეხმიანებოდნენ შეცივებული მამლები. ცისფერი დილა გათენდა. როდოლფოს გაქვავებულ სახეს მან ლითონისფერი შემატა, ლურჯ ხელებს ჯვარცმა ჩაებღუჯათ. მხოლოდ ზეწრები იყო

დამაბრმავებლად ქათქათა - გვამს ლითონის ანარეკლი დაჰკრავდა. ხაიმე ზღურბლზე იდგა და ფიქრობდა, რომ მამა ჭაბუკობის ოთახში, ჩვიდმეტი წლის ბიჭის საწოლზე მოკვდა. ძლივს იკავებდა ქვითინს, რომელიც ნესტოებიდან და ტუჩებიდან ამოხეთქას ლამობდა. ახლა მამამისს - ამ ლურჯ ხელებს, ამ დამაბრმავებლად ქათქათა ზეწარს - სახელი აღარ ერქვა.

ბიძია ბალკარსელი იდგა. ხელები ჟილეტის ღილ-კილოში გაეყარა. სახეზე დიდებული სიმკაცრე აღბეჭდოდა. ასუნსიონი დაჩოქილი ქვითინებდა. სასთუმალთან მჯდარი პადრე ობრეგონი წამოდგა და ძალიან ჩუმად თქვა:

- ჩვენ მუდამ ძალიან გვიან მოვდივართ, - და, როცა ხაიმეს ჩაუარა, სერიოზულად შეათვალიერა და უთხრა, - ზეგ ჩემთან მოხვალ, შვილო ჩემო.

- Requiem aeternam dona eis, Domine![142] - ქვითინებდა ასუნსიონის ბრტყელი, მუხლმოდრეკილი ფიგურა.

ბალკარსელი დერეფანში გამოვიდა და მკაცრად შეყარა წარბები.

- ადრე თუ გვიან, ყველას ეს გველის.

დიახ, მას აღარ ერქვა სახელი და სიყვარულის ბოლო გამოვლინებასაც აზრი დაჰკარგოდა. იმას, რასაც ბოლო თვეების განმავლობაში ასე ითხოვდა. ხაიმეს მოუნდა, ცხედართან მისულიყო და შუბლზე ეკოცნა, მაგრამ იმის შეგნებამ შეაჩერა, რომ ეს სიყალბე იქნებოდა. კართან მდგარს უცებ მოუნდა ამ გაყინულ, ზეწარგადაფარებულ სხეულს დალაპარაკებოდა. მისი სიამაყისა და სიჭაბუკის გამო პატიება ეთხოვა.

- ნამდვილად ძალიან კეთილი კაცი იყო, - თქვა ბალკარსელმა, - დაუდევარი, უთავბოლო, მაგრამ კეთილი, დიახ.

- ...et lux perpetua luceat eis...[143]

დილის ექვს საათზე დამკრძალავი ბიუროს მოსამსახურე გამოცხადდა.

- შორს წასული შემთხვევაა, კუჭის კიბო ჰქონდა, - უთხრა მას ექიმმა. მერე ყველას სთხოვა, საწოლი ოთახიდან გასულიყვნენ.

9

როცა კუბოს ნიჩბებით მიწას აყრიდნენ, ხაიმეს მოწოლილი მწარე სიხარულის შეკავება არ შეეძლო. ასევე აუხსნელი იყო მისთვის, თუ საიდან გაუჩნდა გათავისუფლების ეს გრძნობა, რომელიც უფრო და უფრო ეუფლებოდა, როცა მამის ნეშტს ფარავდა მეორე სუდარა - ტალახი. ბოლო დღეებში გადაუღებლად წვიმდა და კუბო ორმოს თიხიან ფსკერზე ტორტმანებდა კარაველასავით, რომელიც, სამგლოვიარო კორტეჟი როგორც კი დაიძვრებოდა, ნაპირს მოსწყდებოდა.

- ჩვენს მეგობრებს თავაზიანად უნდა მოექცე, - გააფრთხილა დონია ასუნსიონმა, - შენ ხომ ოჯახის წევრის დაკრძალვაში პირველად გიწევს მონაწილეობა. შავი ჰალსტუხი უნდა გაიკეთო და ჩვენთან ერთად გაიზიარო სამძიმარი. იცოდე, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგვაგდო.

და აი, იდგა ხაიმე ჭირისუფლებს შორის. რიგრიგობით ხელს უწვდიდა დონ ჩემე ნარანხოს, დონ პრესენტასიონ ობრეგონს და სენიორიტა პასკუალინას, მიხრწნილ ბიძია ხ. გუადალუპე მონტანიესს, გავლენიან მაქსიმინო მატეოსს, ღვთისმშობლის ასულებს,

პადრე ლანსაგორტას. მწუხარე სახეები, ხელის ჩამორთმევა და სანუგეშო სიტყვები სულ ერთნაირი იყო. ხაიმე მხოლოდ თავს აქნევდა, თითქოს რაღაცას ადასტურებდა. არც ერთი ამათგანი ხელს არ ართმევდა როდოლფო სებალიოსს, როცა ცოცხალი იყო. მსუქანი კომერსანტი კარგა ხნის დავიწყებული ჭორაობის ყველაზე დიდი ობიექტი გახლდათ. არავის გაუწვდია მისთვის დახმარების ხელი და ყველაზე ნაკლებ - მის ვაჟს, - გაიფიქრა ხაიმემ, მისამძიმრების ბოლო კოცნა რომ მიიღო.

- შეიძლება მარტო დავრჩე? - ჰკითხა ბიძასა და მამიდას, როცა ნათესავები და მეგობრები სასაფლაოდან წავიდნენ. ბალკარსელმა მხრები აიჩეჩა.

- ნუ შეყოვნდები, - უჩურჩულა ასუნსიონმა, - ბიძაშენს საღამოს გადაუდებელი სხდომა აქვს. გემუდარები, ერთად ვივახშმოთ.

ხაიმე კვიპაროსის ხეივანს გაუყვა. ნაბიჯს თანდათან აუჩქარა. ცდილობდა ხეების დაბალი ტოტების სიახლოვეს ევლო და სახეზე ნამის წვეთები ეგრძნო.

საფლავთან, სადაც როდოლფო სებალიოსი დამარხეს, ვიღაც იდგა. ეს გახლდათ ხუან

მანუელ ლორენსო, რომელიც ვიწრო ლურჯ პიჯაკში ერთობ უცნაურად გამოიყურებოდა. მეგობრებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

- სებალიოს, დავიცადე... ვიდრე ყველა არ წავიდოდა.

- გმადლობთ, ლორენსო...

- როცა ავად იყავი... შენს სანახავად მოვედი... გითხრეს?

- არა, არ უთქვამთ.

ისინი სასაფლაოდან წამოვიდნენ. თითოეული დარწმუნებული იყო, რომ მეგობარი დუმილს არ დაარღვევდა. სასაფლაოს ბორცვიდან გუანახუატოს თავზე სწრაფად მიქროდნენ ტყვიისფერი ღრუბლები. ქალაქის დღის ანაორთქლი ბინდბუნდში უფრო იგრძნობოდა. სადურგლოდან ლაქის სუნი, სამჭედლოდან - დამწვარი ჩლიქების, ღარიბთა სამზარეულოებიდან მომწარო ბოლის ნაცრისფერი ტალღები მოცურავდა სახლების სახურავებზე და ხაიმესა და ხუან მანუელის ფილტვებს ავსებდა. არეულად,

შეუწყობლად რეკავდა ეკლესიის ზარები და ვირების ეჟვნები. ვერცხლისფერ ღრუბლებქვეშ უფრო მკვეთრად ბწრყინავდა კოლონიური ქალაქის გუმბათები, ცისფერი კედლები მიხვეულ-მოხვეულ გზაჯვარედინებში და ხრამების პირას მიკრული თეთრი ქოხები.

- მე შენ მაშინ... მეორე დღეს... გელოდი, რომ სამუშაოდ ერთად წავსულიყავით... - უთხრა ხუან მანუელმა, ციცაბო ფერდობზე რომ ეშვებოდნენ.

ხაიმემ შავი ჰალსტუხი და პერანგის საყელო შეიხსნა.

- იცი, ის ქალი, არისტოკრატს რომ ეძახდნენ...

- ...დედაშენია, სებალიოს.

- საიდან იცი? - ხაიმემ კონსერვის ქილას ფეხი გაჰკრა.

- დიდი ხანია ვიცოდი... ის... მუდამ ამას გაიძახის... სულ, როცა ლუდხანაშია ხოლმე...

- მერედა, რატომ არ მითხარი?

- განა... არ ჯობდა... თავად გაგეგო? ხაიმე, თვითონ რად არ უთხარი, შენ ვინა ხარ?

- შენ ასე მოიქცეოდი?

- აბა, რა! არ შემრცხვებოდა.

- მე არ შემრცხვენია!

- არა, შენც... შეგრცხვა... როგორც მამაშენს... მამიდაშენსა და ბიძაშენს.

- ხუან მანუელ! ხუან მანუელ!

ისინი შედგნენ. ნესტიანი მიწიდან მისი სიღრმისეული სურნელება სქლად ამოდიოდა. მეგობრებმა სახელით პირველად მიმართეს ერთმანეთს.

* * *

ასუნსიონი საღამოს ცხრა საათამდე ელოდა ხაიმეს. მწვანე ხავერდის სუფრაზე გალიგვდა ვახშამი. სუფრის თავში მამიდის განმარტოებული უძრავი ფიგურა თორმეტი სკამის ერთ-ერთ ზურგს ჰგავდა. მამამ, დონ პეპე სებალიოსმა, ოდესღაც შეუკვეთა ეს თორმეტი სკამი, მრავალრიცხოვან ოჯახსა და ყოველდღიურ სტუმრებს რომ ჰყოფნოდათ. გვარის ფუძემდებლის, დონ იხინიოს დროს ოჯახში რვა კაცი იყო. პეპეს მმართველობისას - ათი: თავდაჭერილი გილიერმინა, შვილები - ასუნსიონი და როდოლფო, ძმა პანფილო, ლემუსები, ღარიბი ნათესავები, ანდალუსიელი ბებია დონია მარგარიტა, ქალიშვილის საქმრო. ახლა კი, ამ საღამოს, იგი მარტოა, არც ქმარია, არც ხაიმე.

ცხრა საათზე მოითხოვა, ჭიქა შოკოლადი გამიცხელეთო, მერე შალის თავშალი მოიხვია და სასტუმრო ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. დროდადრო აივნის ფარდებიდან იყურებოდა. ცრიდა. ერთ-ერთ კედელს რომ ამშვენებდა, გუბერნატორ მუნიოს ლედოს მრუდედ დაკიდებული პორტრეტი გაასწორა. კედლებიდან ერთიმეორის მიყოლებით ახლობელთა პორტრეტები ჩამოხსნა, ბოლო თვეებში ძმამ რომ მოაგროვა.

გამოსვლისას საძინებელი ოთახი დაკეტა. მოუნდა, სახლი უკეთეს დროში წარმოედგინა, როცა აქ ათობით მოახლე ტრიალებდა, როცა ოჯახი მთელ ამ კარ-მიდამოს ავსებდა და ეკიპაჟებიცა და ცხენებიც ჰყავდათ.

ისევ პატიოში ჩამობრუნდა და ფოტოგრაფიებით ხელში შემოსასვლელში მდებარე ყოფილ საკარეტო ფარდულს მიაშურა. დიდი ხანია არ ყოფილა იქ. სკივრზე სურათები რომ დააწყო, გამხმარი პეპლების ფრთებს შემთხვევით ფეხი დაადგა.

ცამეტი წლის ასაკში ეს მისი გატაცება იყო. სიყვარულით აგროვებდა პეპლების კოლექციას. გაახსენდა, რა გატაცებით მისდევდა ამ საქმეს და არდადეგებზე დასასვენებლად რომ მიემგზავრებოდნენ, მინისსახურავიანი ყუთები როგორ მიჰქონდა თან მუდამ.

გათელილი ფრთების ასაღებად დაიხარა. მტვრის ფენის ქვეშ ჯერ კიდევ ბრწყინავდნენ ლურჯ და შავ ფერებად. ის ნაზად ეფერებოდა იმას, რაც პეპლებისგან გადარჩა.

მერე გაახსენდა მისი ახალგაზრდული აღტაცება და პირველად გაიფიქრა, რომ მომავალი აღარაფერს უქადდა.

ფარდულიდან გამოსვლისას ეს კარიც გასაღებით დაკეტა.

* * *

ორი ყმაწვილის ლურჯი ქურთუკები წვიმისაგან ბრწყინავდა. ჟინჟვლა საღამოს შვიდ საათზე დაიწყო, მაგრამ მეგობრები უკვე მიეჩვივნენ ამ მომაბეზრებელ, გაუთავებელ წვიმაში სიარულს. ახლა ისინი მეხუთე ბოთლი ლუდის ქაფს

დახლზე ასხამდნენ და მხიარულად იცინოდნენ. არასოდეს უსვამთ ამდენი, ხუან მანუელზე ალკოჰოლი თითქოს არც მოქმედებდა, სამაგიეროდ, ხაიმე ხელებს იქნევდა, ცმუკავდა, ტრიალებდა, ხელისგულს გაწეწილ სველ თმაზე ისვამდა და უეცრად კარგავდა მანძილის შეგრძნებას მასა, კედელსა თუ საგნებს შორის, რომლებიც თითქოს თავზე ეცემოდა. ხაიმეს ოდესღაც გაგონილი ჰქონდა, მთვრალს ყველაფერი თვალწინ უტრიალებსო, მაგრამ ეჩვენებოდა, თითქოს კონტურშემოსაზღვრული კედლები და საგნები გარშემო სივრციდან გამოიყოფოდა და თავზე ეცემოდა.

- ...და იქ ისევ იყო ის სულელი მატეოსი, ისევ ისე ცდილობდა თავისი ღორული მოქმედებით სკოლიდან გამოსული გოგონების შეშინებას, - თქვა ხაიმემ და მეგობარს

მხარზე ხელი მოუთათუნა, - შენ არასოდეს ყოფილხარ აღსარებაზე? ხომ მართალია?

ხუან მანუელმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- სწორად იქცევი. თუ არა, არასწორად. ეს ეშმაკის ჭია პადრე ლანსაგორტა ისეთ ამბებს მეუბნებოდა, ისეთ ამბებს, ეშმაკმა დალახვროს... მომისმინე, ხუან მანუელ, ოდესმე ყოფილხარ ქალთან?

უარის ნიშნად ხუან მანუელმა ისევ თავი გაიქნია.

- მოდი, ერთხელ წავიდეთ, ჰა? ფული არა გაქვს? არც მე მაქვს.

ხაიმემ ხელიდან საათი შეიხსნა.

- რამდენს მომცემთ? - ჰკითხა მიკიტანს.

- დალეულის ფასად?

- არა, მაგისთვის გვეყოფა, ცხადია, გვეყოფა.

- მაშინ სხვა საქმეა. ას პესოს მოგცემ, ახალგაზრდავ.

- ხუთასი ღირს.

- ოჰ, არა.

- ასი და დალეული ლუდი.

- კეთილი.

- აიღეთ. სად არიან აქ ქალები? ყველაზე საუკეთესო...

- აქვე ახლოს, პასტიტის კვარტალში, ყველაზე კარგი სახლია...

- წავედით.

- უთხარით, რომ მე გაგგზავნეთ.

- აბა, როგორ. გმადლობთ.

ისინი ისევ წვიმაში გავიდნენ. ხაიმე ძალზე უცნაურად გრძნობდა თავს, სიმღერაც კი წამოიწყო. ეხვეოდა ხუან მანუელს, მეგობრის მკვრივ სხეულს.

- რაღაც ნამეტანი მხიარულად ვარ!

- ეს იმიტომ, რომ...

- ...ავძვერი პალმაზე მაღლა...

- ...გსიამოვნებს, რომ ცოცხალი ხარ.

- შენ ყველაფერი გესმის? ხომ ასეა? - გადაიხარხარა ხაიმემ, - პირდაპირ სულში იყურები.

კარი მაშინვე გაუღეს.

- ახლა ყველა დაკავებულია. თუ გინდათ, შედით დარბაზში, რამე დალიეთ.

მუსიკალური მანქანა დანსონს[144] უკრავდა, დერეფნებში ნახევრად ბნელოდა. დარბაზიდან ზედმეტად ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. ოთახები ყვავილიანი ქოთნებით სავსე დერეფანში გამოდიოდა. ერთ-ერთი ოთახიდან პატარა, მთლად ხალებიანი შავგვრემანი ქალი გამოვიდა. ბლუზას ისწორებდა და ხაიმე რომ დაინახა, მაშინვე ხელმკლავი გაუკეთა.

- უფრო შორს წასვლა რად გინდა?

- მართლაც, რად მინდა?

- ასი.

- პაწიავ, მხოლოდ ორმოცდაათის მოცემა შემიძლია, მეგობარსაც რომ ეყოს.

- კარგი, რა გაეწყობა.

თითქოს ბახუსმა გაუარაო და ხაიმემ იგრძნო, რომ შიშმა შეიპყრო. კანკალმა აიტანა. ხელებს იორთქლებდა და ამბობდა:

- უჰ, როგორ ცივა!

ქალმა ჰკითხა, პირველად ხომ არა ხარო და, მან დაუდასტურა.

- რა გქვია?

- ე... ე... როდოლფო. თქვენ?

- შენ!.. ოლღა.

ხალებიანმა ქალიშვილმა სინათლე ჩააქრო.

ოთახიდან გამოსულმა ხაიმემ ხუან მანუელს დაუძახა და მეგობარი მეზობელი ოთახიდან შეეხმიანა. დარბაზში ხმაური გრძელდებოდა. ხაიმემ ქალიშვილთან ათი წუთი დაჰყო.

- არ ეწევი? - ჰკითხა ხალებიანმა ქალიშვილმა, ფეხდაფეხ რომ გამოჰყვა. ხაიმემ უარი უთხრა.

- წამო, დარბაზში დავსხდეთ, ცოტა რომ მოშინაურდე. ხომ იცი, აქ მთელი კვირა ვართ, კვირა დღის გარდა.

ბნელი დერეფნები გაიარეს. დარბაზი სახლის სიღრმეში იყო. ქალიშვილმა ფარდები გადასწია, ხაიმეს უკნიდან კისერზე მოეხვია და ისინი დარბაზში შევიდნენ. აქ კივილითა და ჟრიამულით ქალები და კაცები ცეკვავდნენ. ხაიმემ დივანზე მჯდარი დონ მაქსიმინო მატეოსი იცნო, რომელსაც განმკარგულებლის იერი ჰქონდა. ერთ-ერთ მაგიდაზე ფეხშიშველი და უპიჯაკო, იღლიებქვეშ ოფლიან პერანგში და მელოტ თავზე პატარა ბერეტით ბიძია ხორხე ბალკარსელი ცეკვავდა. ბოთლი რომი ჩაეხუტებინა და მარტო ცეკვავდა. ყველა ხარხარებდა და ხელებს იქნევდა, ხაიმეს ხარხარმა ყველას

გადააჭარბა. მისი ხარხარი ქალიშვილსაც გადაედო. შეუკავებელი ხარხარისაგან ორივე ჩაბჟირებამდე იცინოდა.

ხაიმეს დანახვაზე ბალკარსელი უაზრო პოზაში გაქვავდა. ხაიმემ ხალებიან ქალიშვილს ტუჩებში აკოცა და ქუჩაში გავიდა.

- კი მაგრამ, როგორ?

- როგორ და უთქმელად, ყველა ბოროტებისა წილ, რომელიც, შენი აზრით, მათ ჩაიდინეს, გიყვარდეს ისინი. კარგად მომისმინე: სიყვარული სიტყვებით კი არ გამოიხატება, არამედ საქმით. აი, შენ მხოლოდ იმისთვის მოხვედი, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა მოგეყენებინა, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი არ გადაგიდგამს ჭეშმარიტი სიყვარულის წილ. გულს მტკენს შენი სიმხდალე, მე კი მწამდა, მჯეროდა შენი...

ხაიმეს სახე ტირილისაგან ბავშვურად დაეჭყანა. თავი დახარა. ვინ არის ეს ობრეგონი, ასე რომ ელაპარაკება? ვინ არის ეს კაცი მღვდლის შესამოსელში, ადამიანური რეალური ვნებებისა რომ არა გაეგება რა? ნებაყოფლობით რომ დასაჭურისებულა და ეს ანაფორა ჩაუცვამს? ჩახუტებული ქალის შიშველი სხეულის შეგრძნება, მღვდლის დადანაშაულებით გამოწვეული სირცხვილი ხაიმეს ტვინში ერეოდა და ფიქრს უმღვრევდა.

ჭაბუკი ჭურჭლის საცავიდან გამოვარდა, მღვდელი კი ერთხანს უძრავად იჯდა, მერე სახეზე ხელები აიფარა.

„ღმერთო, სწორად მოვიქეცი თუ არა? არავინ მოდის ჩემთან ასეთი პრობლემებით, ამ საწყალი სამწყსოს ცოდვები უბრალო და ერთნაირია. რთული ამოცანების გადაწყვეტის ჩვეულება დავკარგე, ვითომ მივეშველე ახლა ამ ჭაბუკს, სიმართლე რომ პირში ვუთხარი? თუ სასო წარვუკვეთე? განვუმტკიცე თუ შევურყიე რწმენა? ღმერთო!“).

მაგრამ, როცა ვახშმად დაჯდა, ფინჯანმა ცხელმა შოკოლადმა დაარწმუნა, რომ სიმართლეს ამბობდა, სიმართლეს... არასოდეს ჰქონია შემთხვევა, ასე ელაპარაკა, ეჩვენებინა, რომ სემინარიაში სწავლას ფუჭად არ ჩაუვლია. ძალიან კარგი, ძალიან...

ყმაწვილის მშფოთვარე გონება მადლიერებით ემორჩილებოდა ცხრადღიანი ლოცვის პირველი ღამის წესებს. ხაიმემ ასუნსიონის გვერდით მუხლი მოიყარა და თვალი დახუჭა. მალე დაივიწყა პადრე ლანსაგორტა, რომელიც უკბილო ლომივით ჩასჭიდებოდა კათედრის გალიის გისოსებს. აღარ ესმოდა ყველა ამ „მამაო ჩვენოსა“ და „ავე მარიას“ მონოტონური ბუტბუტი. მან ვერ შენიშნა ბიძიას შეცბუნებული მზერა, როცა ის სკამზე ჩამოჯდა. გადაეჩვია საწყალი მსუქანი კომერსანტის საუკუნო განსასვენებლის ლოცვისათვის ოჯახის მეგობართა სტუმრობას. ის მარტო იყო თავისი ჭაბუკობის უფალთან ამ სისხლმდინარე, დაწმახნილ სტატუასთან, რომელიც კვლავ დაელაპარაკა მას, როგორც მაშინ, მისი სულიერი გამოღვიძების დიდ შაბათს.

- უფალო, მაქვს კი მე ჩემი დანიშნულება?

- შენ ხომ მარტო არა ხარ, შვილო ჩემო.

- ღმერთო, აღარ მინდა თავის მოტყუება. ვფიქრობდი, რომ მარტო მე, შენი მოძღვრების მიმდევარი, შევძლებდი ჭეშმარიტი ქრისტიანი დავმდგარიყავი.

- მაგრამ შენ ხომ მარტო არა ხარ, შვილო ჩემო. ჩემი მოძღვრების შესრულება მხოლოდ სხვებთან ერთად შეიძლება.

- უფალო, საიდუმლოდ გეტყვი, რომ შეწყნარებისთვის ვაჟკაცობა არ მეყოფა. ვაღიარებ, შიშს მგვრის მისი სამყარო, მისთვის სიტყვების მოძებნა არ ძალმიძს და არც მისი სიტყვების მოსმენა შემიძლია მშვიდად. ჩემთვის გაუსაძლისი იქნება ეს სიბინძურეც, ცუდი აღზრდაც და ყველა მათი ლაპარაკიც, ვინც მას გარს ახვევია.

- მაგრამ შენი საუკეთესო მეგობარიც ხომ მდაბიოა.

- უფალო, საიდუმლოდ გაგანდობ, რომ ხუან მანუელთან მეგობრობა სინდისს მიმშვიდებს, ისევე როგორც ჩემი თავხედური გადაწყვეტილება, ირაპუატოში ვიმუშაო.

- შენ შეგნებული გაქვს, რომ ამას მეგობრის გამო აკეთებ, სინამდვილეში კი არ გინდა.

- ოჰ, არა...

- შენ გესმის, რომ ის მდაბიოა და რომ ღირსების შეულახავად შეგიძლია ხელი გაუწოდო, მაგრამ დედის ცხოვრებაში შესვლა უფრო რთული იქნებოდა. აი, მაშინ იქნებოდი დამცირებულთა თანასწორი. მაგრამ შენ მხოლოდ ქედმაღლურად შეგიძლია დამცირებულთა სიყვარული.

ვერცხლისთვალება უფალი ჩაშტერებოდა ხაიმეს.

- ღმერთო, რა უნდა გავაკეთო?..

- ვისაც სურს სული შეინარჩუნოს, ის დაკარგავს; ის კი, ვინც სულს ჩემი გულისთვის დაკარგავს, შეინარჩუნებს მას.

უფლის ხმა შორდებოდა, იკარგებოდა, „Ora pro nobis“-ი ახშობდა.

დავითის კიდობანი,
აღთქმის კიდობანი,
წამებულთა გადარჩენა,
რიჟრაჟის ვარსკვლავი.

თვალი გაახილა, მარჯვნივ მამიდა ასუნსიონი ედგა. თავი დაეხარა და ლოცულობდა. ბიძია ბალკარსელი კათედრას თვალს არ აშორებდა. ხაიმეს არ შეეძლო თავი მოეტყუებინა: ეს პატარა გამარჯვება დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა: ის, რომ ბიძია საროსკიპოში ნახა. არა, ხაიმე მეტად აღარაფერს უსაყვედურებს. ბიძიას მიიღებს ისეთს, როგორიც არის, პირმოთნეს, უძლურს, ფარისეველს, ყველანაირი ადამიანური სისუსტით.

შინ რომ ბრუნდებოდა, ნაბიჯი შეანელა, რათა წინ მდუმარედ მიმავალ მამიდასა და ბიძას ჩამორჩენოდა. სულში კი ერთმანეთს ებრძოდა ზიზღი და გულმოწყალება. ეს იყო გულს შემოწოლილი შიში, რომელიც ვერ დაეძლია. ბალკარსელები შორდებოდნენ; ხაიმეს არ უნდოდა მათ დამსგავსებოდა და მაინც, რა სასიამოვნო და დამამშვიდებელი იყო მისთვის თავი ისეთად წარმოედგინა, როგორიც ისინი იყვნენ. უყურებდა ფანჯრების შუქით დაგრძელებულ თავის ჩრდილს და ხედავდა, რომ მაღალი იყო. ჯიბეებში ხელჩაწყობილი, სხვანაირად მხრებაწეული, აუჩქარებელი, მტკიცე ნაბიჯით მიმავალი, თავად ვერ გრძნობდა, რომ ახლებურად თავის დაჭერას სწავლობდა, რაც მერე მთელი სიცოცხლე გაჰყვა. ხაიმე შეუგნებლად ჰბაძავდა ბიძიასა და დონ მაქსიმინო მატეოსის ზოგ დამახასიათებელ მიმიკას და სარკეში რომ ჩაეხედა, შეამჩნევდა პრეზიდენტობის კანდიდატ ალემანის ღიმილთან მსგავსებას, ვისი გამოსახულებაც გზად კედლებზე გაკრული დიდი პლაკატებიდან შემოჰყურებდა.

მაგრამ არა, ის ხომ ხაიმე სებალიოსია! ეკლესიიდან შინ წირვიდან ვახშამზე მიმავალი ჭაბუკის შუბლი სულ ახლახან გაჩენილ ნაოჭს დაეღარა.

იგი თავს მკვეთრად აბრუნებს, მისი სიმტკიცე შიშს თრგუნავს; ღრმად ჩამჯდარ თვალებში წინანდელი გაოცება აღარ ირეკლება, - ისინი მზად არიან, ყველაფერი უკითხავად მიიღონ, აკვირვებთ მხოლოდ ის, რომ საიდუმლოებანი გაქრა.

ხაიმეს შეეძლო საკუთარ თავს შეჰკითხოდა, - მზრუნველი ალერსის მომთხოვნი ბალღის ქერათმიანი თავი რომელ მომენტში გარდაიქმნა სუსტ გამოწვევად, ასე მალე რომ გაქრა და დაუწერელი კანონის მორჩილი ახალგაზრდობის სტერეოტიპულ მანერად იქცა. კანონისა, რომლის მიხედვით ყმაწვილმა სამყარო გულგრილად, თითქმის ზიზღით უნდა განჭვრიტოს.

მაგრამ ყველა ეს ახალი თვისება მისდა უნებლიეთ ჩნდებოდა. მხოლოდ სადღაც, შეგნების საიდუმლო კუნჭულებში ორი გრძნობა - ზიზღი და სიმშვიდე - ერჩოდა ერთმანეთს.

რამეთუ ყველაფერი ისე იოლი იყო (ფიქრობდა ახლა ხაიმე და აღმართიან ქუჩებში უთავბოლო სიარულისგან წვივები სტკიოდა), ისე არ ჰგავდა იმას, რაც წარმოედგინა. ისე არ ჰგავდა სიყვარულისა და ტანჯვის, დაცემისა და გადარჩენის იმ რთულ თეორემებს, რომლებიც მის გონებაში იკვანძებოდა. ეს უეშმაკო, უხამსი ცხოვრებისეული საქმეებია: შეცოდება, მორჩილება და სიკვდილი. ერთი უცნაური, უაზრო შერეკილია, როგორც ერთხელ პეპე მატეოსმა უთხრა, როცა სკოლიდან გამოდიოდნენ და ის აკანკალებული, მოკრუნჩხული თითებითა და გაწითლებული სახით დამბლადაცემულივით გაშეშდა და არ ძალუძდა, ხმა გაეცა, არ ძალუძდა, პირში მიეხალა სულის სიღრმეში დაგროვილი თავისი სიჭაბუკის, თავისი ყმაწვილობის საიდუმლოებანი და აზრები. ახლა კი გაიფიქრა, რომ პეპე მატეოსი მართალი

იყო. სულელ ბიჭს მაშინ ეგონა, რომ ცხოვრება ყოველწამიერად ჩერდებოდა, თითქოს იმისათვის, რომ თავი ესახელებინა და ყოველი მოქმედება საბოლოო შეფასებით დაეჯილდოებინა. სინამდვილეში კი ყველაფერი ასე როდია: ცხოვრება მიქრის, არასოდეს ჩერდება - დღეს რომ მეძავ ქალს ჩაახუტებს, ხვალ ორი ჟანდარმის ბადრაგშუა ჩაატარებს, მერე დუქანში დათვრება, ზეგ კი კატაფალკას გაჰყვება უკან. ყველა ეს პეპე მატეოსები და ხორხე ბალკარსელები მართალნი იყვნენ: ჩვენ ამქვეყნად მოვდივართ, რომ შემთხვევით ნაჩუქარი დრო როგორმე ნაუცბადევი სიტყვებითა და დაუდევარი საქციელით შევავსოთ.

ხაიმე ფიქრებიდან გამოერკვა, წინაპართა სახლამდე ერთი კვარტალიღა დარჩენილიყო. ნაბიჯს უკლო. ქვეშეცნეულად გადაწყვიტა, - ამ ვახშმიდან მოყოლებული, ამიერიდან და მომავალში, მოქმედების განსაზღვრული გეზი დაეჭირა. მოსწონდა, ბიძია ბალკარსელისა და მამის მსგავსად თავის მოხუცად წარმოდგენა. ნუთუ ის არის, ორმოცდაათი წლის ხაიმე სებალიოსი, დახლთან ან საწერ მაგიდასთან ქაღალდებში რომ ჩაფლულა? ის, გაბედული ოცნების გმირი, რომელმაც მთლად არც მიატოვა, ისევ მოუწოდებს, მცირეოდენს დასჯერდეს და ქრისტიანობის მაღალ სიტყვებს ჩასჩიჩინებს?

ქვით მოკირწყლული ტროტუარის ორივე მხარეს სიმარტოვის უფსკრული გაჩნდა. მამიდასა და ბიძიას ღია დაეტოვებინათ კარი, საიდანაც დონია ასუნსიონის რუხმა კატამ გამოიჭყიტა. ხაიმეს კუჭი აეწვა, თითქოს გავარვარებული მონეტა ჩაეყლაპოს. როგორც პასექის კვირაძალს, ზღურბლზე ჩამოჯდა და შეიცადა, ვიდრე კატა - ასეთი თბილი და მგრძნობიარე - თავისი რბილი სხეულით ფეხებზე არ მიეგლისა, ბიჭს მუხლზე არ გაეხახუნა და თვალები დახუჭა ბრმა სიამოვნებისაგან, სიახლოვემ და მოფერებამ რომ მიანიჭა.

ხაიმე ვერ აგიხსნიდათ, როგორ და რატომ, უცბად მტკიცე გადაწყვეტილებით, უყოყმანოდ ხელი სტაცა ქვას, რომელიც კარს აჩერებდა. ასწია ქვა და ცხოველს გამეტებით ჩასცხო თავში. კატამ იყვირა, შიშითა და ვედრებით გაფართოებულმა მრგვალმა ვერცხლისფერმა თვალებმა წამიერად განგმირა ხაიმეს თვალები და ყურები. ცხოველის სასიკვდილო ხროტინი ბიჭმა ფეხის დადგმით მოსპო - და აი, გაფშეკილი თათები ზეაწია, მხოლოდ მსუბუქმა კანკალმა გადაუტარა სხეულზე საპნის ქაფივით რბილი რუხი ბეწვი. ის კი იდგა მკვდარი კატის ახლოს, უყურებდა მის ფართოდ გახელილ თვალებს და სისხლს, რომელიც გაზაფხულის ნაკადულივით მოჩქრიალებდა. ხაიმეს თვალები, ხაიმეს სისხლი.

ინსტინქტურად კარისკენ დაიხია, უკან იხევდა, ფეხებგაფშეკილი კატის ცქერით მონუსხული. ხაიმემ სიმწრით თითზე იკბინა. ვის უთხრას, რაც ჩაიდინა? ვისთან იმართლოს თავი? თითზე კბენით ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, რომ ეს იყო კატა, კატის მოკვლა კი დანაშაული არ არის, მაგრამ ამ ფიქრს, მეორე, უკვე სრულიად გამოკვეთილი, სასიამოვნო და ამავე დროს მღელვარე ფიქრი მოსდევდა და ტვინს უხვრეტდა. მას უნდა, თავი იმართლოს.

უნდა იფიქროს, რომ ნება აქვს, მოკლას კატა. აი ის, თავისუფლების სამაგიერო, სავსებით საკუთარ სინდისზე იკისრა სხვათა ბოროტი ქცევანი, ოცნებობდა სული თვისი ბიბლიის თავშესაფრად ექცია.

უცბად მოუნდა ქონგურის ქვად ქცეულიყო. ბნელ დერეფანში ჩაცუცქდა. ავადმყოფი ცხოველივით მოიკაკვა. ტვინში ფიქრები აერ-დაერია, ხახვის ფურცლებივით მიმოიფანტა და ამ უთავბოლო, არეულ-დარეულ ფიქრს ბოლო არ უჩანდა.

მოქნეული მათრახივით ატყორცნილი შინ შევარდა და კარი მიაჯახუნა. იქ მწვანე ფიცრის კედელს მიეყრდნო და ინატრა, სხვებივით ყოფილიყო. ახლა სხვა ღმერთს ევედრებოდა, ახალ ღმერთს, უწინდელს, ჭაბუკობის დროინდელ პირველ ღმერთს რომ განდგომოდა, გადაერჩინა სიყვარულსა და სიამაყეზე, თავგანწირვასა და დანაშაულზე მაღალფარდოვანი სიტყვებისაგან, ამ საღამოს, მკვდარი კატის დანახვისას, ერთადერთ სიტყვაში რომ შერწყმულიყო.

თვალი გაახილა.

ახლა ეს ლეში სადღაც უნდა დაემალა. კარს ჩუმად ხელი ჰკრა, ქუჩა მოათვალიერა, ხელი გაიწვდინა და კატას კუდში წაეტანა. როცა ლეში წაათრია, ქვებს წითელი ზოლი გაჰყვა. გაჩეჩქვილი თავის ქალა ხაიმემ ცხვირსახოცით გაწმინდა. ლეში აიღო, პატიოში გაიქცა და ქვის აუზში მოისროლა. იქვე დაიბანა ხელები, ფაფუკბეწვიანი სხეული ფსკერზე ნელა იძირებოდა.

ხაიმემ ცხვირსახოცი დაჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიდო. ალბათ, ვახშმობის დროა. კიბეს მტკიცე ნაბიჯით აუყვა.

იმ საღამოს ვახშამზე ბალკარსელს არ წარმოუთქვამს მორალური სენტენციები. ხაიმე ღიმილს ძლივს იკავებდა. დიახ, ბალკარსელი დამარცხებულია, ხაიმე ამიერიდან სრულ თავისუფლებას ეწია, - უკვე შეუძლია მაგიდასთან უშიშრად ლაპარაკი, შეუძლია, სადაც უნდა წავიდ-წამოვიდეს. ბიძია მის სურვილებს წინ ვეღარ აღუდგება. ასუნსიონი გაკვირვებული შეჰყურებდა ქმარს, მერე ძმისშვილს. ვახშამმა უხმოდ ჩაიარა. ხაიმე ჯიბეში სველ ცხვირსახოცს გრძნობდა.

- გადავწყვიტე გაისად იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარო, - თქვა ხაიმემ, როცა დესერტი გამოიტანეს.

- რა გამახარე, შვილო! - თქვა ასუნსიონმა, ძმისწულს მიუახლოვდა და შუბლზე აკოცა.

- დონ ეუსებიო მარტინესი, - ბალკარსელმა ჩაახველა, პირზე ხელსახოცი აიფარა, - დაბეჯითებით თხოულობს, სასწრაფოდ ახალგაზრდულ ფრონტში შეხვიდე. არჩევნები მომავალ თვესაა დანიშნული, მაგრამ საჭიროა ახალგაზრდობამ პარტიასთან ითანამშრომლოს და...

- კარგი, თუ გინდათ, ამ დღეებში ვინახულებ სენიორ ეუსებიოს.

- აჰ, შვილო, მიხარია, რომ ასე გამოიცვალე! რომ იცოდე, რამდენს ვლოცულობდი! იცი, პრესენტასიონის ძმისშვილები შაბათს საღამოს აწყობენ და თუმცა ჩვენ მგლოვიარენი ვართ, ვუთხარი, რომ თუ მიხვალ და მხოლოდ მაგიდასთან იჯდები, არ იცეკვებ, არაფერი მექნება საწინააღმდეგო... შენ უკვე იმ ასაკში ხარ, რომ შეგიძლია შენი წრის ქალიშვილების გაცნობა და საცოლის მოძებნა...

- როცა იურიდიულზე ჩააბარებ, ერთდროულად შეიძლება კანტორაშიც იმუშაო, - თქვა ბიძიამ და ისევ დაახველა. ხელსახოცი პირთან მიედო და სადღაც ხაიმეს მიღმა იყურებოდა, - ოდესმე ხომ მოგიწევს ამ სახლისა და ჩემი საქმეების გაძღოლა. ამას გარდა, იგრძნობ, რა სასიამოვნოა საკუთარი შრომით ნაშოვნი პირველი გასამრჯელო.

- ჩვენს პატარა მამაკაცს ბევრი მოვალეობა დაეკისრება, - თქვა ასუნსიონმა და ხაიმეს მხარზე ფერმკრთალი ხელი დაადო, - კარგად უნდა მივხედოთ და ვუხელმძღვანელოთ. შენ არაფერი იდარდო. მართალია, მამა აღარ გყავს, მაგრამ ჩვენ ხომ შენ გვერდით ვართ, ყველაფერს მოვაგვარებთ. შენ დარდი ნუ გაქვს.

- ცოტა ხნით გავივლი, - თქვა ხაიმემ, მოიბოდიშა და ადგა. ბალკარსელმა იყუჩა და ასუნსიონმა ორ მამაკაცს შორის დამყარებული ახალი ურთიერთობისათვის უფალს მადლი შესწირა.

ბიჭი ნელა ჩაუყვა კიბეს. არა, თავს აღარ მოიტყუებს. ამიერიდან უარს ამბობს ყველაფერზე და მშვიდობას ითხოვს. „ახლა უკვე აღარაფერი უნდა მაღელვებდეს. დაე, სხვებმა იზრუნონ ჩემზე, იშრომონ ჩემთვის, ცხოვრება მომიგვარონ“.

ხაიმე ფარდულის კართან მივიდა, სადაც ოდესღაც ოცნება უყვარდა, - კითხულობდა ყრმობის წიგნებს; სადაც განმარტოვდებოდა ხოლმე, რომ დამტკბარიყო თავისი ზმანებებით, სადაც ჩამოუყალიბდა ცრუ აზრები გულმოწყალებაზე, რისხვაზე, ქრისტიანულ ამბოხზე. ხაიმეს ძველ ფარდულთან გამომშვიდობება მოუნდა, მაგრამ წუხელ მამიდამ კარი გასაღებით ჩაკეტა.

უცებ ხაიმეს ხუან მანუელ ლორენსოს ნიშანი - სტვენა მოესმა და მორელოსის ბაღის დაღმართისკენ გასწია.

- სებალიოს, გუშინღამ შემაგვიანდა, - ღიმილით თქვა ჭაბუკმა ინდიელმა, - როცა გამოვედი, შენ უკვე აღარ იყავი.

- წავიდეთ, ლორენსო, ვიხეტიალოთ.

ნუთუ ამ ქუჩებში ერთად უკანასკნელად მიდიან? ხაიმეს სადღაც, გულის კუნჭულში სევდა შემოაწვა. მოაგონდა ყველა აზრი, რომელსაც მეგობარს

უზიარებდა, როცა თითოეული მათგანი ყრმობის გაფურჩქნის ჟამს ვაჟკაცურად, დაუეჭვებლად განამტკიცებდა რწმენასა და გადაწყვეტილებას ცხოვრებაში იდეის განხორციელებისათვის. თითოეული თავისი ახალგაზრდული ნების ბატონ-პატრონი იყო, რომელსაც შეეძლო სამყარო შეეცვალა: მშვენიერი მარტოობა, მშვენიერი სხვაობა და განკერძოებულობა. ახლა ეს ყველაფერი კვდებოდა.

არა, გაიფიქრა თავისთვის, როცა ისინი კანტარიტოსის ქუჩას ჩუმად მიუყვებოდნენ. არა, ხაიმეს უყვარს ხუან მანუელი. ეს სიცრუე როდია. დედა არ იცის, ამიტომ მისი ჭეშმარიტი სიყვარული არ შეუძლია. მაგრამ ხუან მანუელი, სიყრმის მეგობარი, უყვარს. ღალატი დაუშვებელია: ხუან მანუელი მის მეგობრად დარჩება მუდამ, მიუხედავად მამიდისა და ბიძის წინააღმდეგობისა, მამიდის ხელსაქმის წრის წევრთა და მღვდელთა და ღვთისმშობლის ასულთა წინააღმდეგობისა.

- სებალიოს, გუანახუატოდან მივემგზავრები, დედაქალაქში, რკინიგზაზე, უკეთესი სამუშაო შემომთავაზეს... პროფკავშირებში შევალ, თუ შევძელი, სწავლას გავაგრძელებ...

- ხუან მანუელ...

- თუ ოდესმე ჩამოხვალ... ხომ მინახულებ?

- იმედი მქონდა, რომ ერთად გავიზრდებოდით.

- ჩვენ უკვე გავიზარდეთ ერთად...

- განა ასეთივე მეგობრებად დავრჩებით, როცა დიდები ვიქნებით?

- არა, ჩემო მეგობარო... ჩვენ სხვადასხვა გზით მივდივართ. აბა, რად მოვიტყუოთ თავი?

- რად ვიზრდებით, ლორენსო? რისთვის? უკეთესი იქნებოდა, ისევ ბალღებად დავრჩენილიყავით, აუხდენელი ოცნება გულში შეგვენახა. მაშინ მას არასოდეს ვუღალატებდით.

ხაიმემ ერთხანს იყუჩა, მერე ხუან მანუელს მიუბრუნდა.

- მე დავმარცხდი, ლორენსო.

დაბალმა, შავგვრემანმა ჭაბუკმა იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა. ეს ცრემლი მეგობრისადმი თანაგრძნობითა და სიყვარულით იყო გამოწვეული, მაგრამ ხაიმეს ნათქვამმა აღაშფოთა, თითქმის განარისხა.

- გადავწყვიტე იმის საწინააღმდეგოდ ვიმოქმედო, რაც უწინ მინდოდა, - განაგრძობდა ხაიმე, - გადავწყვიტე, სხვებივით ვიცხოვრო.

- იქ... შენ უკვე ვეღარავის შეხვდები, - თქვა ცოტა ხნის სიჩუმის მერე ხუან მანუელმა, - და შენ არცთუ ისე იტანჯები... სხვები... ისინი ნამდვილად იტანჯებიან... დადგება დღე, სებალიოს... და უფლება აღარ გექნება, გვერდი აუქციო... საკუთარი თავის გადარჩენის მიზეზით. გადაგეფარება... რაღაც დიდი ტალღის მსგავსი. შენ ანალიზს გაუკეთებ... შენს თავს... და... სასოწარკვეთილი დარჩები... მაგრამ ტალღა, გარსის მსგავსი, აღარ დაგინდობს.

- მე შენ მიყვარხარ, ლორენსო, შენ ჩემი მეგობარი ხარ.

- შენც ჩემი მეგობარი ხარ, სებალიოს. აი... მისამართს დაგიტოვებ... აი, აქ წერია, ამ ქაღალდზე... მშვიდობით!

ხუან მანუელმა ქაღალდი ხაიმეს პერანგის გულის ჯიბეში ჩაუდო. მეგობრები გადაეხვივნენ და დაშორდნენ ერთმანეთს.

შესახვევში ცისფერ კედელს მიყრდნობილი ხაიმე უყურებდა, როგორ შორდებოდა ხუან მანუელი. დასრულდა ყრმობა. უკანასკნელად ხედავს მიმავალი მეგობრის დაბალ ფიგურას და ვიდრე ის კუთხეს მიეფარებოდა, გაიმეორა სიტყვები: „რამეთუ დედამიწაზე ცეცხლის მოსატანად მოვედი“.

მერე ხუან მანუელის დაწერილი მისამართი წაიკითხა: „პანსიონი. სენიორ ლოლა ვილიეგასი. ესპალდა დე სოტოს ქუჩა, 21, იდალგოს პროსპექტის ახლოს“.

ხაიმე ბნელ ქუჩაში იდგა. რას იტყოდა ხუან მანუელი, ეს ყველაფერი მისთვის რომ ეამბნა? მეგობარი, ალბათ, უსიტყვოდ გაუგებდა:

„მე არ მეყო ვაჟკაცობა. ვერ შევძელი, გავმხდარიყავი ის, რაზეც ვოცნებობდი. ვერ შევძელი, ჭეშმარიტი ქრისტიანი გავმხდარიყავი. მარცხი რომ განვიცადე, აღარ შემიძლია მარტო დარჩენა. ამას ვერ გადავიტან, რაღაცას უნდა ვგრძნობდე. სხვა საყრდენი კი აღარ მაქვს. მხოლოდ ისინი, ბიძია და მამიდა, და კიდევ ცხოვრება, რომელიც მათ მომიმზადეს, ცხოვრება, რომელიც მემკვიდრეობით მერგო წინაპართაგან. დიახ, უნდა დავმორჩილდე, სასოწარკვეთილებაში რომ არ ჩავვარდე. მომიტევე, ესეკიელ, მომიტევე, ადელინა, ხუან მანუელ, პატიებას გთხოვ“.

ახლა ხაიმემ იცოდა, რომ იქნება ბრწყინვალე სტუდენტ-იურისტი, ოფიციალურ სიტყვებს წარმოთქვამს. შტატის რევოლუციური პარტიის ნებიერა გახდება, წარჩინებით დაამთავრებს კურსს. წესიერი ოჯახის სამაგალითო წევრი იქნება, დაქორწინდება მდიდარ ქალიშვილზე, ოჯახს შექმნის და სუფთა, დამშვიდებული სინდისით იცხოვრებს.

დამშვიდებული სინდისი - ამ სიტყვებმა ამ საღამოს გუანახუატოს ბნელ ქუჩაში ენა ატკინა. იგი წმინდანად იქცევა მაგრამ უფალი არა მართალთათვის, არამედ ცოდვილთათვის მოვიდა.

სიცოცხლეში პირველად ეს ფიქრი უარყო. ამიერიდან მამაკაცი უნდა დადგეს, დროა, დაივიწყოს გუშინდელი ბავშვობა. რას იზამ, სამყარო, სადაც ცხოვრობს, ასეა მოწყობილი. უფალს უყვარს წმინდანები. იცხოვრებს დამშვიდებული, სუფთა სინდისით. ხაიმე ეკუთვნის წესიერ ადამიანებს, კარგი რეპუტაციის მქონე პატივსაცემ ადამიანთა რიცხვს. დალახვროს ეშმაკმა ყველა დამცირებული, ყველა ცოდვილი, ყველა მიტოვებული, ყველა მეამბოხე, ყველა განკიცხული, ყველა განზე დარჩენილი იმ წესით, რომელიც თავად ამოირჩია!

ხაიმემ ისევ წინაპართა სახლისკენ იბრუნა პირი. მთვარე აღმობრწყინდა და გუანახუატო უხვად აბრუნებდა მის კაშკაშა ნათელს, არეკლილს გუმბათებით, აივნების გისოსებითა და ქვაფენილით. სებალიოსთა ქვითკირის სახლი თავისი ფართო მწვანე დერეფნის კარით ეგებებოდა ხაიმეს.

10

მეორე დღეს ათ საათამდე ეძინა. მამის სიკვდილის გამო სკოლაში არ უნდა წასულიყო, მამიდამ და ბიძიამ იმ დღეს ვერ გაბედეს მის საძინებელში შესვლა. ბალკარსელი ჩვეულებრივზე ადრე ადგა. მარტო ისაუზმა. ასუნსიონმა ძლივს მოასწრო, გაეფრთხილებინა, რომ ამ საღამოდან როდოლფოს სულის ათდღიანი მოსახსენიებელი ლოცვები იწყებოდა.

საღამოს ხაიმე პადრე ობრეგონთან წავიდა. მღვდელი მთავარ საკურთხეველთან იდგა და ელოდა. პადრეს მკაცრი იერი ჰქონდა. სწრაფად დაუქნია ხელი და ყმაწვილს ანიშნა, ჭურჭლის საცავში გაჰყოლოდა. ისევე დასხდნენ, როგორც წინა შეხვედრისას, მაგრამ ამჯერად მღვდელს სახეზე არავითარი ეჭვი, ხოლო ჟესტებში არავითარი სინაზე არ ეტყობოდა.

- აღსარებაზე მოვედი... - გაიღიმა ხაიმემ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, მოძღვრისთვის ეთქვა, ქალთან პირველად ვიყავიო. მღვდელს მკაცრი სახე ჰქონდა, არც განძრეულა. უცბად ალაგ-ალაგ გაპარსული ლოყები აუჭარხლდა.

- გაფიქრებაც არ მინდა, რომ შენი მწამდა და ღვთის რჩეულ ჭაბუკად მიმაჩნდი. სხვანაირი ბიჭი იყავი, რომელსაც პატიებისა და ლმობიერების ვალი შეუძლია გმირულად შეასრულოს...

ხაიმემ ქვეშეცნეულად იგრძნო, რომ მისი პიროვნების რაღაც ნაწილი ჩაკვდა. მას ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რაში იყო საქმე. გაიფიქრა, რომ მღვდელს გუშინდელი ღამე ჰქონდა მხედველობაში, რომ მან მამის დაკრძალვის დღეს ხაიმეს საროსკიპოში ყოფნის ამბავი შეიტყო. ბიჭს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მღვდელმა ანიშნა, იყუჩეო.

- მამაშენმა უკანასკნელ დღეს აღსარება გამანდო. გარდაცვალების ღამეს, როცა ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, შენი სიყვარულის გარდა სიცოცხლისგან არაფერს

ელოდა. უამისოდ სიკვდილი არ უნდოდა, მაგრამ შენ არ უბოძე ეს სიყვარული, არც ალერსი, თუნდაც სიმბოლური. შენ ის მწუხარებასა და სასოწარკვეთილებაში სიკვდილისათვის გაწირე. შენ მხდალი ხარ, გესმის? დიახ, მხდალი, და შენ სულის საწინააღმდეგოდ შესცოდე... შენ...

პადრე ობრეგონის სახეს ბრაზი წითელ ტალღასავით ედებოდა, ამ გასაკიცხ სიტყვებს

ძლივს წარმოთქვამდა.

- და შენ, სიამაყით სავსემ, აქ მოსვლა გაბედე და ქრისტეს მიბაძვაზე, უფლის ჩვენის ჭეშმარიტ სიყვარულზე ლაპარაკობდი! თავად კი არ ძალგიძდა მამისათვის თუნდ პაწია სიყვარული გაგემეტებინა.

- პადრე!..

- შენ მხოლოდ საკუთარი თავი გიყვარს, სხვა დანარჩენთათვის არ გცალია და სათნოების ნიღაბქვეშ სიამაყეს მალავ. შენც ისეთივე ფარისეველი ბრძანდები.

- ღვთის გულისათვის, პადრე, ამას ნუ ამბობთ. მომისმინეთ.

ობრეგონმა ხის სავარძლის სახელურს მთელი ძალით დაჰკრა დიდი ხელი.

- არა, უფლებას არ მოგცემ, შენი ლაპარაკით ისევ მომატყუო. ყურადღებით მომისმინე. ერთხელ თავი რომ გეწამებინა, საკუთარი სხეული დაგეჭრა... შინიდან წახვედი!

ხაიმემ თავის ჭრილობებზე ისევ იგრძნო პადრე ობრეგონის მხურვალე ხელები. გაახსენდა ის დღე, როცა მიუხედავად ექიმის გაფრთხილებისა, ბალკარსელმა მიიყვანა აღსარებისთვის. მკერდში ისევ მათრახის წვეტები იგრძნო. უნდოდა, ეფიქრა, რომ მონანიებისათვის, საწამებლად წავიდა. ხაიმეს მეხსიერებაში ბალკარსელის თვითკმაყოფილი სიფათი, ასუნსიონის სახეზე გულგატეხილობის გრიმასა, მამის საცოდავი, შეშინებული ღიმილი და ირაპუატოს ავაზაკთა ბუნაგში დედის საშინელი მზერა ამოუტივტივდა. იმ დღეს ის ყველას მაგივრად საწამებლად, მათი ცოდვების მოსანანიებლად წავიდა.

მათრახის ერთი დარტყმა - ბალკარსელის პატიება, მეორე - ასუნსიონის თანაგრძნობა, კიდევ ერთი - როდოლფოს ცოდვა: ყველა დარტყმა, ყველა ჭრილობა - მარტოხელა, მიტოვებული დედის გამო.

ეს ეკლის ჩხვლეტა მისი მწუხარებისთვის და მთელი თვითგვემა, რომ ღმერთს უთხრას, მთელი ოჯახის ეგოისტობისა და უგულობისთვის ცოდვას ვიღებ ჩემს თავზეო.

- ვიცი, რასაც ფიქრობ. ფიქრობ, რომ ეს გმირული საქციელი სხვებისგან მიყენებული ბოროტებისთვის ნებაყოფლობითი მონანიება იყო.

- დიახ! მე ეს დედაჩემის გამო გავაკეთე! გეფიცებით...

- არა, გაიგე, ეს მხოლოდ შენი სიამაყისა და სასოწარკვეთილების ამოხეთქა იყო, თვითგამართლება გეწადა. ერთადერთი ჭეშმარიტი მონანიება ის არის, როცა სხვებს არ კიცხავ. ერთადერთი ჭეშმარიტი მონანიება ის არის, რომელიც სიყვარულით, ყოველგვარი ანგარების გარეშე თავის თავზე იღებს სხვის ცოდვას. რას ელოდი, შენ, პირტიტველა ბიჭი, შენი ჭრილობების წილ საგრძნობ მისაგებს? სასწაულს, რომელიც შენ იმ ნებაყოფლობითი ტანჯვისთვის დაგაჯილდოებდა?

- დიახ, დიახ... მე მწამდა...

- რომ ადამიანები ერთ ღამეში გარდაიქმნებიან, იმიტომ, რომ თავს იწამებდი? რომ ადამიანთა ბუნება უცბად შეიცვლებოდა შენი წყალობით? აი, სადამდე მივიდა შენი სიამაყე! შენი სიმხდალე!

- მე რა უნდა მექნა, პადრე?

- უნდა გყოფნოდა ვაჟკაცობა ამ უბედური, მიტოვებული ქალისათვის გეთქვა, ვინა ხარ და დაგეჯილდოებინა შენი სიყვარულით. აი, რა უნდა გექნა. მამისათვის უნდა გეჩუქებინა შენი სიყვარული და ერთი წყენისთვის მეორე არ მიგემატებინა. შენ კი არავინ დაინდე, არავის არაფერი აღირსე.

- ახლა რა უნდა ვქნა?

- მოძებნე დედაშენი და გულწრფელად შეიყვარე, შენი სიძულვილით უფალს მაინც ნუ შეურაცხყოფ. მომავალში, რადაც უნდა დაგიჯდეს, შეიყვარე მოყვასი შენი, ბიძია და მამიდა. ეს უფრო ძნელია, ვიდრე მინდორში გასვლა და თვითგვემა. მიეხმარე მათ, განდევნე შენგან სიძულვილი.

- მივეხმარო მათ?

- დიახ, სიყვარულით. ეს არის შენი მოვალეობა.

[1] ქალაქ მეხიკოს ერთ-ერთი რაიონი.

[2] (ინგ.) „ნუ მოსწევთ, ქამრები შეიკარით!“

[3] ვალდეს მიგელ ალემანი (1900-1983) - მექსიკის პრეზიდენტი 1946-1952 წლებში.

[4] გენერალი ლასარო კარდენასი (1895-1970) - მექსიკის პრეზიდენტი 1934-1940 წლებში.

[5] ქალაქი ეგვიპტის ჩრდილო-დასავლეთში, რომლის მახლობლად 1940 წელს დაბანაკებული იყვნენ იტალიის მე-10 არმიის ჯარები დიდი ბრიტანეთისა და მოკავშირეთა არმიებთან შესაბრძოლებლად.

[6] ქალაქი ეგვიპტის ჩრდილოეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, სადაც იმ პერიოდში ჩრდილოეთ აფრიკის იტალიურ-გერმანული შეიარაღებული ძალები ფელდმარშალ ერვინ რომელის მეთაურობით ებრძოდნენ ბრიტანეთის ჯარებს ბერნარდ მონტგომერის სარდლობით.

[7] ამერიკული ფეშენებელური რესტორანი და ფუფუნების საგნების მაღაზია მეხიკოში.

[8] (ინგ.) „კლიენტი მუდამ მართალია“.

[9] (ინგ.) ყველი.

[10] (ინგ.) მიღებაზე.

[11] ლათინური ამერიკის ხალხების ქალის შალი-მოსასხამი.

[12] მბრუნავი კარი.

[13] ერთგვარი ქსოვილი.

[14] მექსიკის ტეუანტეპეკის რაიონში მცხოვრები ინდიელთა ტომი.

[15] ცნობილი ამერიკელი მსახიობი.

[16] (ინგ.) ძაღლისშვილი.

[17] არისტოკრატთა რეზიდენციების რაიონი მეხიკოში.

[18] ხვიარა მცენარე წითელი ყვავილებით.

[19] იკსტაკსიუატლი (თეთრკანიანი ქალი) და პოპოკატეპეტლი (მბოლავი მთა) - ვულკანები მეხიკოს ახლოს.

[20] მგალობელი ჩიტი, ბინადრობს მექსიკაში.

[21] (ინგ.) „ძალიან წუხხართ, მისტერ კრუს?“

[22] (ინგ.) „კარგად გამოიყურებით“.

[23] (ინგ.) „ყურადღებით გისმენთ, მისტერ კრუს“.

[24] რისამე ლპობის შედეგად გაჩენილი შხამიანი ანაორთქლი.

[25] ვიქტორიანო უერტა (1845-1916) - მექსიკელი გენერალი, 1911 წელს გადა-ტრიალება მოახდინა და 1910 წელს რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული პრეზიდენტი ფრანსისკო მადერო მოკლა. ფრანსისკო მადეროს პანჩიტოს ეძახდნენ.

[26] ინდიელთა სანდლები.

[27] მექსიკური არაყი, გამოხდილი აგავის წვენისგან.

[28] სარაპე - ინდიელთა მოსასხამი; კანტინფლასი - მექსიკური კინოს კომიკოსი მსახიობი; მარიაჩი - სახალხო მომღერლებისა და მუსიკოსების პატარა ანსამბლი; მოლე პობლანი - ხორცი წიწაკისა და შოკოლადის საწებლით.

[29] (ლათ.) „უფალო, არა ღირს ვარ“.

[30] (ინგ.) „სამი მილიონი პესო თითოეულმა“.

[31] (ლათ.) „მე მოგიტევებ“.

[32] აგავის სახეობები.

[33] ხუან დე ერერა (1530-1597) - ესპანელი არქიტექტორი და მეცნიერი, გვიანი რენესანსის წარმომადგენელი, არქიტექტურული სტილის „ერერესკოს“, ანუ desornamentado-ს (ესპ. „შეულამაზებელი“) შემქმნელი; იყო სასახლე-მონასტრის, ესკორიალის მთავარი არქიტექტორის, ხუან დე ტოლედოს თანაშემწე. მოგვიანებით, მისი პროექტით აგებული ვალიადოლიდის საკათედრო ტაძარი მეხიკოსა და ლიმის ტაძრების მოდელად გამოიყენეს. ერერესკოს სტილით, რომლისთვისაც დამახასიათებელია მკაცრი არქიტექტურული ფორმები და მორთულობის უქონლობა, არის ნაგები პუებლას საკათედრო ტაძარიც.

[34] (ესპ. capataz) - ზედამხედველი, ოსტატი, მოურავი.

[35] კაქტუსის სახეობა.

[36] კონკისტადორებისთვის შერქმეული ერთ-ერთი სახელწოდება.

[37] (ესპ. adobe) - მზეზე გამომშრალი აგური. სიმყარისთვის მოზელისას თიხანარევ მიწას ამატებენ დაჭრილ თივას, წივას, ნახერხს.

[38] (ინგ.) „პლუს ჩვენი საკომისიო“.

[39] (ინგ.) „უბრალოდ ალერგიული სურდოა. მე...“

[40] (ინგ.) აქ: „ცუდია, ცუდი“.

[41] (ინგ.) „არარენტაბელური, რა თქმა უნდა, არარენტაბ-არარენტაბ--არარენტაბ...“

[42] (ინგ.) „რა თქმა უნდა, თუკი როგორც თქვენ ამბობთ, ისინი კომუნისტები არიან, ჩემი ვალია, ყველაფერი ვიღონო, რაც კი შემიძლია“.

[43] (ინგ.) „ოჰ, ჩვენ არასოდეს ვერევით...“

[44] რძისა და კვერცხისგან მომზადებული დესერტი.

[45] (ესპ.) ბელადი.

[46] (ინგ.) „ჩიკაგო, ჩიკაგო, კოჭლო ქალაქო“ - ფრაზა ფრედ ფიშერის სიმღერიდან „ჩიკაგო“ (1922 წ.). მის ყველაზე ცნობილ ვერსიას ფრენკ სინატრა ასრულებდა.

[47] მიგელ ავგუსტინ პრო ხუარესი (1891-1927) - იეზუიტი მღვდელი; 1927 წელს რელიგიური თავისუფლების დამცველი ლიგის წევრები თავს დაესხნენ მექსიკის პრეზიდენტობის კანდიდატს ალვარო ობრეგონს. მიგელ ავგუსტინსა და მის ძმებს, რობერტოსა და უმბერტოს, ბრალად დასდეს თავდასხმაში მონაწილეობა და

დააპატიმრეს. დიპლომატიური კორპუსის ძალისხმევით მხოლოდ რობერტო გადარჩა, მიგელი და უმბერტო კი 1927 წლის 23 ნოემბერს დახვრიტეს. 1988 წელს რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მიგელ ავგუსტინ პრო ხუარესი ნეტარად შერაცხა.

[48] მტაცებელი ფრინველი.

[49] (ლათ.) „მოგიტევებ“.

[50] სათემო კომისარი; მექსიკაში დღესაც არსებობს გლეხთა თემები - ეხიდოსები, სადაც კოლექტიურად შრომობენ.

[51] ფრანსისკო ვილია (მეტსახელი პანჩო) (1877-1923) - მექსიკის ეროვნული გმირი, რევოლუციის აქტიური მონაწილე; 1915 წლის მიწურულს მისი პარტიზანული დივიზია სამთავრობო ჯარებმა პრეზიდენტ კარანსას მეთაურობით რამდენჯერმე დაამარცხეს ბრძოლებში.

[52] მექსიკის ჩრდილოეთის ინდიელები.

[53] ვენუსტიანო კარანსას მომხრეების მეტსახელი.

[54] მექსიკის რევოლუციის წლებში ქვეყნის სამხრეთით გლეხთა მოძრაობის მეთაურის, ემილიანო საპატას (1877-1919) მომხრეები.

[55] ინდიელთა დასახლებების ადგილობრივი ბელადები; აქ - მემამულეები.

[56] მექსიკის მშრომელთა კონფედერაცია, მექსიკის მთავარი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელსაც ბურჟუაზიის მმართველი წრეები აკონტროლებენ.

[57] (ინგ.) „ოკეი. სურათი ნათელია. იცით, მაგარ ბიჭს, ჩვენს ელჩს, სიტყვით გამოსვლა უნდა, კუბის დომხალი მექსიკის რევოლუციის წარსულს უნდა შეადაროს. რა იქნება, ერთი კარგი მოწინავესთვის რომ შეამზადებდეთ საფუძველს?

[58] (ინგ.) „შეიძლება. გაქვთ იდეები?“

[59] (ინგ.) „შესანიშნავია. დროებით, მისტერ კრუს, ყოველთვის მოხარული ვარ“.

[60] „გერმანული გრამოფონების კომპანია“.

[61] „გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის ნაწარმოებები“.

[62] (ესპ.) „¡No pasarán!“ - „ვერ შემოვლენ!“ - პოლიტიკური ლოზუნგი, რომელიც საკუთარი პოზიციის მყარად დაცვას გულისხმობს. გადმოცემით, ეს ლოზუნგი 1916 წელს ვერდენთან ბრძოლისას წარმოთქვა ფრანგმა გენერალმა რობერ ნიველემ (მეორე ვერსიით - მისმა მეთაურმა, მეორე არმიის ხელმძღვანელმა ფილიპ პატენმა). ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, როცა ფრანკისტები მადრიდს მიუახლოვდნენ, ეს ლოზუნგი გამოიყენა დოლორეს იბარურმა და ეს ანტიფაშისტური მოძრაობის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. როცა მადრიდი დაეცა, პასუხად იყო ფრანსისკო ფრანკოს ფრაზა: „Hemos pasado!“ - „ჩვენ შევედით!

[63] შემოკლ. დოლორესი.

[64] სიტყვათა თამაშია: ტახო მდინარეა, რომელზეც ქალაქი ტოლედოა გაშენებული; tajo (ესპ.) - იარა, ჭრილობა.

[65] (ლათ.) „ღაღად-ვყავ შენდამი“.

[66] (ლათ.) „ღაღად-ვყავ შენდამი, უფალო, მიეც მათ საუკუნო განსასვენებელი“.

[67] ვულკანური წარმოშობის ქანი.

[68] მექსიკის მმართველი კონსტიტუციურ-რევოლუციური პარტია.

[69] (ესპ. corral - უკანა ეზო); სახალხო თეატრის სახელწოდება ესპანეთში. წარმოდგენებს მართავდნენ დაქირავებული კარ-მიდამოს უკანა ეზოში.

[70] იგულისხმება მექსიკის უკანასკნელი იმპერატორი, ავსტრიის ერცჰერცოგი მაქსიმილიანი (1832-1867), რომელიც მექსიკელებმა 1867 წელს სიკვდილით დასაჯეს.

[71] ხოსე მარია მორელოს-ი-პავინი (1765-1815) - მექსიკის რესპუბლიკის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1813 წელს მექსიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

[72] შიდა, პატარა ეზო.

[73] პორფირიო დიასი (1825-1915) - მექსიკელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

[74] „XIX საუკუნე“ - ლიბერალური მიმართულების გაზეთი, რომელსაც მექსიკაში 1841-1896 წლებში გამოსცემდნენ.

[75] ხუან პრიმ-ი-პრატსი (1814-1870) - ესპანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

[76] დამოუკიდებლობის აკვანი - პირველი აჯანყება, რომელიც იყო დასაწყისი ესპანელების მექსიკაში ბატონობასთან ბრძოლისა.

[77] მექსიკის ადრინდელი სახელი.

[78] მარტინ ჰაიდეგერი (1889-1976) - გერმანელი ფილოსოფოსი, ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელი.

[79] ლუკას ალამანი (1792-1853) - მექსიკელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, სამთამადნო საქმის მცოდნე და მსხვილი მრეწველი.

[80] ბარონი ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტი (1769-1859) - ცნობილი გერმანელი ნატურალისტი და მოგზაური.

[81] ბენიტო ხუარესი (1806-1872) - მექსიკელი სახელმწიფო მოღვაწე.

[82] გრაფი დე კასა რული - ეს ტიტული 1803 წელს დიეგო დე რულ-ი-კალეროსს, შტატ გუანახუატოს საბადოების მფლობელს მიენიჭა.

[83] ქალაქის ინტენდანტი.

[84] ხუან ბაუტისტ მორალესი (1788-1856) - მექსიკელი ჟურნალისტი, ლიბერალების მომხრე.

[85] იგნასიო მონტეს დე ოკა (1846-1929) - ეპისკოპოსი, მწერალი და პოეტი.

[86] ოქტავიანო მუნიოს ლედო (1846-1874) - პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, ერთ დროს შტატ გუანახუატოს გუბერნატორი.

[87] მექსიკელი მხატვარი-პორტრეტისტი.

[88] გენერალი მარიანო ესკობედო (1826-1902) მექსიკელი პატრიოტების არმიებს მეთაურობდა.

[89] ერმენეხილდო ბუსტოსი (XIX ს. I ნახევარი) - მექსიკელი მხატვარი, ხატავდა ფრესკებსა და პორტრეტებს; დაიბადა გუანახუატოში.

[90] 1876 წელს ტუსტეპეკის რაიონში გამოცხადდა ე. წ. ტუსტეპეკის გეგმა, რომელიც პრეზიდენტ სებასტიან ლერდო დე ტეხიდას წინააღმდეგ იყო მიმართული.

[91] ოახაკელი მებრძოლი - პ. დიასი ოახაკაში დაიბადა.

[92] ხუვენტინო როსასი (1864-1907) - მექსიკელი კომპოზიტორი, წარმოშობით გუანახუატოელი.

[93] რიკარდო კასტრო (1864-1907) - მექსიკელი კომპოზიტორი და პიანისტი.

[94] პორფირიო დიასის საწინააღმდეგო 1910 წლის აჯანყების მეთაური.

[95] ვენუსტიანო კარანსა (1859-1920) - მექსიკელი პოლიტიკოსი, მექსიკის პრეზიდენტი 1915-1920 წლებში, რევოლუციის აქტიური მონაწილე.

[96] მექსიკის შტატები, სადაც განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობდა

პარტიზანებისა ვ. კარანსას არმიასთან.

[97] („კარანკლანი“ - მექსიკური ბამბის უხეში ქსოვილი); ასე ეძახდნენ კარანსას მომხრეებს.

[98] ალვარო ობრეგონი (1867-1928) - მექსიკელი სამხედრო და პოლიტმოღვაწე, „კონსტიტუციური არმიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

[99] გენერალი პანფილო ნატერა (1882-1951) - 1910 წლის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც პანჩო ვილიასთან იბრძოდა.

[100] ქალაქი გუანახუატოს შტატში.

[101] რამირეს ხოსე სიურობი (1886-1965) - პოლიტიკოსი, განათლებით ექიმი.

[102] პლუტარკო ელიას კალესი (1877-1945) - ალვარო ობრეგონის თანამონაწილე პრეზიდენტ ვენუსტიანო კარანსას მკვლელობაში.

[103]1 ლასარო ი-დელ რიო კარდენასი (1895-1955) - სამხედრო მოღვაწე, 1934-1940 წლებში მექსიკის პრეზიდენტი.

[104] მანუელის ავილა კამაჩო (1897-1955) - პოლიტიკოსი და სამხ. მოღვაწე, პრეზიდენტი 1940-1946 წლებში.

[105] ცხენის აღკაზმულობის ხელოსანი, მეუნაგირე.

[106] ერთ-ერთი განსხვავება პროტესტანტული მოძღვრებისა კათოლიკურისაგან - რწმენა იმისა, რომ ხალხი იყოფა წმინდანებად და ცოდვილებად, რომელთა ხვედრი რამდენადმე განსაზღვრულია და არავითარი საქმეებით არ შეიძლება შეიცვალოს.

[107] მანიქეური მოძღვრება, რომელიც სპარსეთში III საუკუნეში შეიქმნა, დაფუძნდა კეთილი და ბოროტი საწყისების ურთიერთწინააღმდეგობაზე, მუდამ რომ იბრძვიან და ერთნაირად ძლიერნი არიან.

[108] ახალგაზრდა ინდიელი, რომელიც ალოდინგა დე გრანადიტასის ალყის დროს შეიპარა შენობაში და ხის კარი დაწვა, რის შემდეგაც აჯანყებულები შიგ შეიჭრნენ.

[109] რძის, არყის, კვერცხისა და შაქრისგან დამზადებული სასმელი.

[110] გუაიავის ბუჩქის ნაყოფი, რომელიც იჭმება.

[111] „იხარებდენ!“ - კათოლიკურ ეკლესიაში სააღდგომო ღვთისმსახურების შემადგენელი ჰიმნი.

[112] „ელიზესათვის“ - ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მუსიკალური კომპოზიცია ფორტეპიანოსათვის.

[113] მექსიკური ჩაი; ენდროს ჯიშის მცენარე.

[114] მსხლის ფორმის ნაყოფი, ზეთოვანი რბილობით.

[115] ტკბილი სიმინდი.

[116] ხილის ხე, ამერიკაში რომ იზრდება. აქვს ბურთისებური ფორმა, არომატული მოყვითალო რბილობი.

[117] პარკოსანთა ოჯახის ბალახოვანი ლიანა, აქვს მომრგვალო ძირხვენა, რომელიც საკვებად გამოიყენება, სტრუქტურით უმ კარტოფილს ჰგავს; ხარობს მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში.

[118] იგივე საპოდილა, მარადმწვანე ხე; ნაყოფს აქვს ხურმის მსგავსი სტრუქტურის რბილობი.

[119] ინდიელების უძველესი საკულტო მცენარე კაქტუსისებრთა ოჯახისა, ნაყოფს იყენებენ საკვებად; ოპუნცია მექსიკის სახელმწიფო გერბზეა გამოსახული.

[120] სადილის შემდგომი დასვენება.

[121] თავდაპირველად ამერიკის დაპყრობის ეპოქაში ინდიელთა ტომის წინამძღოლი და უხუცესი; ახლა ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში მემამულე, კულაკი, სოფლის მამასახლისი.

[122] მექსიკელი პოეტი, ლირიკოსი.

[123] მექსიკელ რევოლუციონერთა პარტია.

[124] რეაქციონერი პადილისტები - ესეკიელ პადილია, შინაგან საქმეთა მინისტრი; ავილა კამაჩოს პრეზიდენტობის დროს (1940-1946) სათავეში ჩაუდგა რეაქციულ ჯგუფს, ამერიკის დახმარებას რომ ეყრდნობოდა.

[125] (ფრანგ.) „ღმერთი და ჩემი უფლება“ - რიჩარდ ლომგულის დევიზი, რაც ინგლისელ მეფეთა დევიზად გადაიქცა.

[126] გერმანული ტრანსატლანტიკური ხომალდი, რომლითაც 1911 წელს მექსიკიდან

საფრანგეთში გაემგზავრა დამარცხებული დიქტატორი პორფირიო დიასი.

[127] (ლათ.) „ილოცე ჩვენთვის“.

[128] (ისტ.) მიწის მფლობელობა, რომელიც ესპანელმა მეფეებმა თავადებს უბოძეს.

[129] საერთო სახელწოდება საერო კათოლიკურ ორგანიზაციათა, რომლებიც სასულიერო პირთა მეთაურობით სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევიან.

[130] ჩარლზ დიკენსის რომანის, „დევიდ კოპერფილდის“ გმირი.

[131] ნესვის მსგავსი ნაყოფი.

[132] (ლათ.) „შენ, უფალო“.

[133] გონსალო დე ბერსეო (XII ს-ის დასასრული) - ისტორიაში პირველი ცნობილი

ესპანელი პოეტი, რომელიც ლექსებს ესპანურად წერდა.

[134] მექსიკელი ინდიელების ტომი, მდინარე იაკის ნაპირზე ცხოვრობდნენ, სონორის შტატში.

[135] ხოსე ვასკონსელოს კალდერონი (1881-1959) - მექსიკელი პოლიტიკოსი და მწერალი.

[136] მარტინ ლუის გუსმანი (1887-1976) - მექსიკელი მწერალი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი.

[137] სახარება მათესი, 15:7, 8, 9

[138] სახარება მარკოზის, 8:12

[139] სახარება მარკოზის, 2:17

[140] მტაცებელი ფრინველი.

[141] (ფრანგ. cloche - ზარი) - ზარის ფორმის ქალის შლაპა; შლაპა-კლოშის შემქმნელი იყო ფრანგი დიზაინერი კაროლინ რებო (1837-1927).

[142] (ლათ.) „განუსვენე სამარადჟამოდ, უფალო“.

[143] (ლათ.) „მუდამ ნათელში ამყოფე“.

[144] კუბური ხალხური ცეკვა.

[1] ქალაქ მეხიკოს ერთ-ერთი რაიონი.

[2] (ინგ.) „ნუ მოსწევთ, ქამრები შეიკარით!“

[3] ვალდეს მიგელ ალემანი (1900-1983) - მექსიკის პრეზიდენტი 1946-1952 წლებში.

[4] გენერალი ლასარო კარდენასი (1895-1970) - მექსიკის პრეზიდენტი 1934-1940 წლებში.

[5] ქალაქი ეგვიპტის ჩრდილო-დასავლეთში, რომლის მახლობლად 1940 წელს დაბანაკებული იყვნენ იტალიის მე-10 არმიის ჯარები დიდი ბრიტანეთისა და მოკავშირეთა არმიებთან შესაბრძოლებლად.

[6] ქალაქი ეგვიპტის ჩრდილოეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, სადაც იმ პერიოდში ჩრდილოეთ აფრიკის იტალიურ-გერმანული შეიარაღებული ძალები ფელდმარშალ ერვინ რომელის მეთაურობით ებრძოდნენ ბრიტანეთის ჯარებს ბერნარდ მონტგომერის სარდლობით.

[7] ამერიკული ფეშენებელური რესტორანი და ფუფუნების საგნების მაღაზია მეხიკოში.

[8] (ინგ.) „კლიენტი მუდამ მართალია“.

[9] (ინგ.) ყველი.

[10] (ინგ.) მიღებაზე.

[11] ლათინური ამერიკის ხალხების ქალის შალი-მოსასხამი.

[12] მბრუნავი კარი.

[13] ერთგვარი ქსოვილი.

[14] მექსიკის ტეუანტეპეკის რაიონში მცხოვრები ინდიელთა ტომი.

[15] ცნობილი ამერიკელი მსახიობი.

[16] (ინგ.) ძაღლისშვილი.

[17] არისტოკრატთა რეზიდენციების რაიონი მეხიკოში.

[18] ხვიარა მცენარე წითელი ყვავილებით.

[19] იკსტაკსიუატლი (თეთრკანიანი ქალი) და პოპოკატეპეტლი (მბოლავი მთა) - ვულკანები მეხიკოს ახლოს.

[20] მგალობელი ჩიტი, ბინადრობს მექსიკაში.

[21] (ინგ.) „ძალიან წუხხართ, მისტერ კრუს?“

[22] (ინგ.) „კარგად გამოიყურებით“.

[23] (ინგ.) „ყურადღებით გისმენთ, მისტერ კრუს“.

[24] რისამე ლპობის შედეგად გაჩენილი შხამიანი ანაორთქლი.

[25] ვიქტორიანო უერტა (1845-1916) - მექსიკელი გენერალი, 1911 წელს გადატრიალება მოახდინა და 1910 წელს რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული პრეზიდენტი ფრანსისკო მადერო მოკლა. ფრანსისკო მადეროს პანჩიტოს ეძახდნენ.

[26] ინდიელთა სანდლები.

[27] მექსიკური არაყი, გამოხდილი აგავის წვენისგან.

[28] სარაპე - ინდიელთა მოსასხამი; კანტინფლასი - მექსიკური კინოს კომიკოსი მსახიობი; მარიაჩი - სახალხო მომღერლებისა და მუსიკოსების პატარა ანსამბლი; მოლე პობლანი - ხორცი წიწაკისა და შოკოლადის საწებლით.

[29] (ლათ.) „უფალო, არა ღირს ვარ“.

[30] (ინგ.) „სამი მილიონი პესო თითოეულმა“.

[31] (ლათ.) „მე მოგიტევებ“.

[32] აგავის სახეობები.

[33] ხუან დე ერერა (1530-1597) - ესპანელი არქიტექტორი და მეცნიერი, გვიანი რენესანსის წარმომადგენელი, არქიტექტურული სტილის „ერერესკოს“, ანუ desornamentado-ს (ესპ. „შეულამაზებელი“) შემქმნელი; იყო სასახლე-მონასტრის, ესკორიალის მთავარი არქიტექტორის, ხუან დე ტოლედოს თანაშემწე. მოგვიანებით, მისი პროექტით აგებული ვალიადოლიდის საკათედრო ტაძარი მეხიკოსა და ლიმის ტაძრების მოდელად გამოიყენეს. ერერესკოს სტილით, რომლისთვისაც დამახასიათებელია მკაცრი არქიტექტურული ფორმები და მორთულობის უქონლობა, არის ნაგები პუებლას საკათედრო ტაძარიც.

[34] (ესპ. capataz) - ზედამხედველი, ოსტატი, მოურავი.

[35] კაქტუსის სახეობა.

[36] კონკისტადორებისთვის შერქმეული ერთ-ერთი სახელწოდება.

[37] (ესპ. adobe) - მზეზე გამომშრალი აგური. სიმყარისთვის მოზელისას თიხანარევ მიწას ამატებენ დაჭრილ თივას, წივას, ნახერხს.

[38] (ინგ.) „პლუს ჩვენი საკომისიო“.

[39] (ინგ.) „უბრალოდ ალერგიული სურდოა. მე...“

[40] (ინგ.) აქ: „ცუდია, ცუდი“.

[41] (ინგ.) „არარენტაბელური, რა თქმა უნდა, არარენტაბ-არარენტაბ--არარენტაბ...“

[42] (ინგ.) „რა თქმა უნდა, თუკი როგორც თქვენ ამბობთ, ისინი კომუნისტები არიან, ჩემი ვალია, ყველაფერი ვიღონო, რაც კი შემიძლია“.

[43] (ინგ.) „ოჰ, ჩვენ არასოდეს ვერევით...“

[44] რძისა და კვერცხისგან მომზადებული დესერტი.

[45] (ესპ.) ბელადი.

[46] (ინგ.) „ჩიკაგო, ჩიკაგო, კოჭლო ქალაქო“ - ფრაზა ფრედ ფიშერის სიმღერიდან „ჩიკაგო“ (1922 წ.). მის ყველაზე ცნობილ ვერსიას ფრენკ სინატრა ასრულებდა.

[47] მიგელ ავგუსტინ პრო ხუარესი (1891-1927) - იეზუიტი მღვდელი; 1927 წელს რელიგიური თავისუფლების დამცველი ლიგის წევრები თავს დაესხნენ მექსიკის პრეზიდენტობის კანდიდატს ალვარო ობრეგონს. მიგელ ავგუსტინსა და მის ძმებს, რობერტოსა და უმბერტოს, ბრალად დასდეს თავდასხმაში მონაწილეობა და დააპატიმრეს. დიპლომატიური კორპუსის ძალისხმევით მხოლოდ რობერტო გადარჩა, მიგელი და უმბერტო კი 1927 წლის 23 ნოემბერს დახვრიტეს. 1988 წელს რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მიგელ ავგუსტინ პრო ხუარესი ნეტარად შერაცხა.

[48] მტაცებელი ფრინველი.

[49] (ლათ.) „მოგიტევებ“.

[50] სათემო კომისარი; მექსიკაში დღესაც არსებობს გლეხთა თემები - ეხიდოსები, სადაც კოლექტიურად შრომობენ.

[51] ფრანსისკო ვილია (მეტსახელი პანჩო) (1877-1923) - მექსიკის ეროვნული გმირი, რევოლუციის აქტიური მონაწილე; 1915 წლის მიწურულს მისი პარტიზანული დივიზია სამთავრობო ჯარებმა პრეზიდენტ კარანსას მეთაურობით რამდენჯერმე დაამარცხეს ბრძოლებში.

[52] მექსიკის ჩრდილოეთის ინდიელები.

[53] ვენუსტიანო კარანსას მომხრეების მეტსახელი.

[54] მექსიკის რევოლუციის წლებში ქვეყნის სამხრეთით გლეხთა მოძრაობის მეთაურის, ემილიანო საპატას (1877-1919) მომხრეები.

[55] ინდიელთა დასახლებების ადგილობრივი ბელადები; აქ - მემამულეები.

[56] მექსიკის მშრომელთა კონფედერაცია, მექსიკის მთავარი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელსაც ბურჟუაზიის მმართველი წრეები აკონტროლებენ.

[57] (ინგ.) „ოკეი. სურათი ნათელია. იცით, მაგარ ბიჭს, ჩვენს ელჩს, სიტყვით გამოსვლა უნდა, კუბის დომხალი მექსიკის რევოლუციის წარსულს უნდა შეადაროს. რა იქნება, ერთი კარგი მოწინავესთვის რომ შეამზადებდეთ საფუძველს?

[58] (ინგ.) „შეიძლება. გაქვთ იდეები?“

[59] (ინგ.) „შესანიშნავია. დროებით, მისტერ კრუს, ყოველთვის მოხარული ვარ“.

[60] „გერმანული გრამოფონების კომპანია“.

[61] „გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის ნაწარმოებები“.

[62] (ესპ.) „¡No pasarán!“ - „ვერ შემოვლენ!“ - პოლიტიკური ლოზუნგი, რომელიც საკუთარი პოზიციის მყარად დაცვას გულისხმობს. გადმოცემით, ეს ლოზუნგი 1916 წელს ვერდენთან ბრძოლისას წარმოთქვა ფრანგმა გენერალმა რობერ ნიველემ (მეორე ვერსიით - მისმა მეთაურმა, მეორე არმიის ხელმძღვანელმა ფილიპ პატენმა). ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, როცა ფრანკისტები მადრიდს მიუახლოვდნენ, ეს ლოზუნგი გამოიყენა დოლორეს იბარურმა და ეს ანტიფაშისტური მოძრაობის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. როცა მადრიდი დაეცა, პასუხად იყო ფრანსისკო ფრანკოს ფრაზა: „Hemos pasado!“ - „ჩვენ შევედით!

[63] შემოკლ. დოლორესი.

[64] სიტყვათა თამაშია: ტახო მდინარეა, რომელზეც ქალაქი ტოლედოა გაშენებული; tajo (ესპ.) - იარა, ჭრილობა.

[65] (ლათ.) „ღაღად-ვყავ შენდამი“.

[66] (ლათ.) „ღაღად-ვყავ შენდამი, უფალო, მიეც მათ საუკუნო განსასვენებელი“.

[67] ვულკანური წარმოშობის ქანი.

[68] მექსიკის მმართველი კონსტიტუციურ-რევოლუციური პარტია.

[69] (ესპ. corral - უკანა ეზო); სახალხო თეატრის სახელწოდება ესპანეთში. წარმოდგენებს მართავდნენ დაქირავებული კარ-მიდამოს უკანა ეზოში.

[70] იგულისხმება მექსიკის უკანასკნელი იმპერატორი, ავსტრიის ერცჰერცოგი მაქსიმილიანი (1832-1867), რომელიც მექსიკელებმა 1867 წელს სიკვდილით დასაჯეს.

[71] ხოსე მარია მორელოს-ი-პავინი (1765-1815) - მექსიკის რესპუბლიკის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1813 წელს მექსიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

[72] შიდა, პატარა ეზო.

[73] პორფირიო დიასი (1825-1915) - მექსიკელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

[74] „XIX საუკუნე“ - ლიბერალური მიმართულების გაზეთი, რომელსაც მექსიკაში 1841-1896 წლებში გამოსცემდნენ.

[75] ხუან პრიმ-ი-პრატსი (1814-1870) - ესპანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

[76] დამოუკიდებლობის აკვანი - პირველი აჯანყება, რომელიც იყო დასაწყისი ესპანელების მექსიკაში ბატონობასთან ბრძოლისა.

[77] მექსიკის ადრინდელი სახელი.

[78] მარტინ ჰაიდეგერი (1889-1976) - გერმანელი ფილოსოფოსი, ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელი.

[79] ლუკას ალამანი (1792-1853) - მექსიკელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, სამთამადნო საქმის მცოდნე და მსხვილი მრეწველი.

[80] ბარონი ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტი (1769-1859) - ცნობილი გერმანელი ნატურალისტი და მოგზაური.

[81] ბენიტო ხუარესი (1806-1872) - მექსიკელი სახელმწიფო მოღვაწე.

[82] გრაფი დე კასა რული - ეს ტიტული 1803 წელს დიეგო დე რულ-ი-კალეროსს, შტატ გუანახუატოს საბადოების მფლობელს მიენიჭა.

[83] ქალაქის ინტენდანტი.

[84] ხუან ბაუტისტ მორალესი (1788-1856) - მექსიკელი ჟურნალისტი, ლიბერალების მომხრე.

[85] იგნასიო მონტეს დე ოკა (1846-1929) - ეპისკოპოსი, მწერალი და პოეტი.

[86] ოქტავიანო მუნიოს ლედო (1846-1874) - პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, ერთ დროს შტატ გუანახუატოს გუბერნატორი.

[87] მექსიკელი მხატვარი-პორტრეტისტი.

[88] გენერალი მარიანო ესკობედო (1826-1902) მექსიკელი პატრიოტების არმიებს მეთაურობდა.

[89] ერმენეხილდო ბუსტოსი (XIX ს. I ნახევარი) - მექსიკელი მხატვარი, ხატავდა ფრესკებსა და პორტრეტებს; დაიბადა გუანახუატოში.

[90] 1876 წელს ტუსტეპეკის რაიონში გამოცხადდა ე. წ. ტუსტეპეკის გეგმა, რომელიც პრეზიდენტ სებასტიან ლერდო დე ტეხიდას წინააღმდეგ იყო მიმართული.

[91] ოახაკელი მებრძოლი - პ. დიასი ოახაკაში დაიბადა.

[92] ხუვენტინო როსასი (1864-1907) - მექსიკელი კომპოზიტორი, წარმოშობით გუანახუატოელი.

[93] რიკარდო კასტრო (1864-1907) - მექსიკელი კომპოზიტორი და პიანისტი.

[94] პორფირიო დიასის საწინააღმდეგო 1910 წლის აჯანყების მეთაური.

[95] ვენუსტიანო კარანსა (1859-1920) - მექსიკელი პოლიტიკოსი, მექსიკის პრეზიდენტი 1915-1920 წლებში, რევოლუციის აქტიური მონაწილე.

[96] მექსიკის შტატები, სადაც განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობდა პარტიზანებისა ვ. კარანსას არმიასთან.

[97] („კარანკლანი“ - მექსიკური ბამბის უხეში ქსოვილი); ასე ეძახდნენ კარანსას მომხრეებს.

[98] ალვარო ობრეგონი (1867-1928) - მექსიკელი სამხედრო და პოლიტმოღვაწე, „კონსტიტუციური არმიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

[99] გენერალი პანფილო ნატერა (1882-1951) - 1910 წლის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც პანჩო ვილიასთან იბრძოდა.

[100] ქალაქი გუანახუატოს შტატში.

[101] რამირეს ხოსე სიურობი (1886-1965) - პოლიტიკოსი, განათლებით ექიმი.

[102] პლუტარკო ელიას კალესი (1877-1945) - ალვარო ობრეგონის თანამონაწილე პრეზიდენტ ვენუსტიანო კარანსას მკვლელობაში.

[103]1 ლასარო ი-დელ რიო კარდენასი (1895-1955) - სამხედრო მოღვაწე, 1934-1940 წლებში მექსიკის პრეზიდენტი.

[104] მანუელის ავილა კამაჩო (1897-1955) - პოლიტიკოსი და სამხ. მოღვაწე, პრეზიდენტი 1940-1946 წლებში.

[105] ცხენის აღკაზმულობის ხელოსანი, მეუნაგირე.

[106] ერთ-ერთი განსხვავება პროტესტანტული მოძღვრებისა კათოლიკურისაგან - რწმენა იმისა, რომ ხალხი იყოფა წმინდანებად და ცოდვილებად, რომელთა ხვედრი რამდენადმე განსაზღვრულია და არავითარი საქმეებით არ შეიძლება შეიცვალოს.

[107] მანიქეური მოძღვრება, რომელიც სპარსეთში III საუკუნეში შეიქმნა, დაფუძნდა კეთილი და ბოროტი საწყისების ურთიერთწინააღმდეგობაზე, მუდამ რომ იბრძვიან და ერთნაირად ძლიერნი არიან.

[108] ახალგაზრდა ინდიელი, რომელიც ალოდინგა დე გრანადიტასის ალყის დროს შეიპარა შენობაში და ხის კარი დაწვა, რის შემდეგაც აჯანყებულები შიგ შეიჭრნენ.

[109] რძის, არყის, კვერცხისა და შაქრისგან დამზადებული სასმელი.

[110] გუაიავის ბუჩქის ნაყოფი, რომელიც იჭმება.

[111] „იხარებდენ!“ - კათოლიკურ ეკლესიაში სააღდგომო ღვთისმსახურების შემადგენელი ჰიმნი.

[112] „ელიზესათვის“ - ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მუსიკალური კომპოზიცია ფორტეპიანოსათვის.

[113] მექსიკური ჩაი; ენდროს ჯიშის მცენარე.

[114] მსხლის ფორმის ნაყოფი, ზეთოვანი რბილობით.

[115] ტკბილი სიმინდი.

[116] ხილის ხე, ამერიკაში რომ იზრდება. აქვს ბურთისებური ფორმა, არომატული მოყვითალო რბილობი.

[117] პარკოსანთა ოჯახის ბალახოვანი ლიანა, აქვს მომრგვალო ძირხვენა, რომელიც საკვებად გამოიყენება, სტრუქტურით უმ კარტოფილს ჰგავს; ხარობს მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში.

[118] იგივე საპოდილა, მარადმწვანე ხე; ნაყოფს აქვს ხურმის მსგავსი სტრუქტურის რბილობი.

[119] ინდიელების უძველესი საკულტო მცენარე კაქტუსისებრთა ოჯახისა, ნაყოფს იყენებენ საკვებად; ოპუნცია მექსიკის სახელმწიფო გერბზეა გამოსახული.

[120] სადილის შემდგომი დასვენება.

[121] თავდაპირველად ამერიკის დაპყრობის ეპოქაში ინდიელთა ტომის წინამძღოლი და უხუცესი; ახლა ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში მემამულე, კულაკი, სოფლის მამასახლისი.

[122] მექსიკელი პოეტი, ლირიკოსი.

[123] მექსიკელ რევოლუციონერთა პარტია.

[124] რეაქციონერი პადილისტები - ესეკიელ პადილია, შინაგან საქმეთა მინისტრი; ავილა კამაჩოს პრეზიდენტობის დროს (1940-1946) სათავეში ჩაუდგა რეაქციულ ჯგუფს, ამერიკის დახმარებას რომ ეყრდნობოდა.

[125] (ფრანგ.) „ღმერთი და ჩემი უფლება“ - რიჩარდ ლომგულის დევიზი, რაც ინგლისელ მეფეთა დევიზად გადაიქცა.

[126] გერმანული ტრანსატლანტიკური ხომალდი, რომლითაც 1911 წელს მექსიკიდან საფრანგეთში გაემგზავრა დამარცხებული დიქტატორი პორფირიო დიასი.

[127] (ლათ.) „ილოცე ჩვენთვის“.

[128] (ისტ.) მიწის მფლობელობა, რომელიც ესპანელმა მეფეებმა თავადებს უბოძეს.

[129] საერთო სახელწოდება საერო კათოლიკურ ორგანიზაციათა, რომლებიც სასულიერო პირთა მეთაურობით სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევიან.

[130] ჩარლზ დიკენსის რომანის, „დევიდ კოპერფილდის“ გმირი.

[131] ნესვის მსგავსი ნაყოფი.

[132] (ლათ.) „შენ, უფალო“.

[133] გონსალო დე ბერსეო (XII ს-ის დასასრული) - ისტორიაში პირველი ცნობილი ესპანელი პოეტი, რომელიც ლექსებს ესპანურად წერდა.

[134] მექსიკელი ინდიელების ტომი, მდინარე იაკის ნაპირზე ცხოვრობდნენ, სონორის შტატში.

[135] ხოსე ვასკონსელოს კალდერონი (1881-1959) - მექსიკელი პოლიტიკოსი და მწერალი.

[136] მარტინ ლუის გუსმანი (1887-1976) - მექსიკელი მწერალი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი.

[137] სახარება მათესი, 15:7, 8, 9

[138] სახარება მარკოზის, 8:12

[139] სახარება მარკოზის, 2:17

[140] მტაცებელი ფრინველი.

[141] (ფრანგ. cloche - ზარი) - ზარის ფორმის ქალის შლაპა; შლაპა-კლოშის შემქმნელი იყო ფრანგი დიზაინერი კაროლინ რებო (1837-1927).

[142] (ლათ.) „განუსვენე სამარადჟამოდ, უფალო“.

[143] (ლათ.) „მუდამ ნათელში ამყოფე“.

[144] კუბური ხალხური ცეკვა.